

114  
1950

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
ცენტრი

# მნათობი

5

მ ა ჯ ი ბ ი



1950



# მნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხარგრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

სამხარეთლოს საბჭოთა მწიგნობის ქაშვირის ორბანო

წელიწადი ოცდამეხუთე

5

★

მ ა ი ს ი



19

სახელგამი  
თვილისი

50



1364480

4815

**შინაარსი**

|  |      |
|--|------|
| სერგო კლდიაშვილი — რთელი, მოთხრობა, გაგრძელება . . . . .   | 33-3 |
| ანა ძალანდაძე — ორი ლექსი . . . . .  | 16   |
| ოთარ ზელიძე — სამი ლექსი . . . . .   | 18   |
| აბაძი ბულიაშვილი — ოქროს ჩარდახი, რომანი, გაგრძელება . . . . .   | 20   |
| გიორგი სამხარაძე — ლექსები . . . . .   | 63   |
| ოთარ ჩიჭავაძე — ორი მოთხრობა . . . . .   | 65   |
| ჰოსტარდ ფასტი — თავისუფლების გზა, რომანი, დასასრული, თარგმანი ინგლისური-<br>დან გივი უვანიასი . . . . .  | 74   |
| ნოდარ ბურაშვილი — გაზაფხული იმერეთში, ლექსი . . . . .  | 117  |
| <hr/>  |      |
| გიორგი ყურაშვილი — ბერლინის დაცემა და საბჭოთა კავშირის გამარჯვება<br>ღიდ სამამულო ომში, წერილი . . . . . | 126  |
| ლევან ასათიანი — საქართველო ვლ. შაიკოვსკის შემოქმედებაში, წერილი . . . . .                               | 139  |
| ლილი ზვარაძე — ქართული საცეკვაო ხელოვნების განვითარებისათვის, წერილი . . . . .                           | 149  |
| მერი იანაშვილი — თანამედროვე ინგლისური პოეზია, წერილი . . . . .  | 156  |
| ლავროსი ძალანდაძე — ქუთაისის თეატრის უკანასკნელი დადგმები, წერილი . . . . .                              | 162  |
| <hr/>  |      |
| დ. ჩხიკვაძე — რჩული პიესები, ბიბლიოგრაფია . . . . .  | 165  |
| ბ. ბლაშვა — „მ. დე ლაზარე — დ. ვულია“, ბიბლიოგრაფია . . . . .  | 171  |
| სოლ. ცაიშვილი — ილია ჭავჭავაძის წერალები, ბიბლიოგრაფია . . . . .   | 173  |

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ენიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი შტაბიანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო შიანილი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სერგი ბილაია.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. უმ 00064. შვედ. № 329. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42 .

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательства и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

## რთველი

თაზი მიორა \*



დიდ გზაჯვარედინზე დავემშვიდობე  
თანამგზავრებს და შინდოვანისკენ გა-  
ვემართე.

ერთხანს კიდეც ვხედავდი მანქანას.  
მიქროდა არაბულა და მისგან ამღვარი  
მტვერი თხელ რიდედ უკან მისდევდა.  
მანქანა თანდათან პატარავდებოდა და  
ბოლოს სივრცეში გადნა. მარტო დავრ-  
ჩი გზაზე, მარტო ჩემს თავთან და ჩემს  
ფიქრებთან.

გადავუხვიე გზატკეცილიდან და სოფ-  
ლისკენ მიმავალ შარას დავადექი. შო-  
რიდან გამოჩნდა გორაკებს შუა შუქუ-  
რასავით ამართული კლდე, რომლის  
ძირში შინდოვანი იყო. დავინახე თუ  
არა ეს პირქუში ტინი, რომელმაც პირ-  
ველმა შემომაგება აქ განვლილი ბავშ-  
ვობის დრო, გული სიხარულით ამევსო.

ნურავინ მიძრახავს ასეთ სანტიმენ-  
ტალობას. მე არ მესირცხვება ამისი და  
არც ვცდილობ დავფარო. ნურც ვინმე  
შეიცდება დამარწმუნოს, რომ სრულიად  
ჩვეულებრივია ეს გარემო და რომ სხვა-  
გან ბევრად უფრო მომხიბლავი არე-  
მიდამო არსებობს. განა მხოლოდ იმი-  
ტომ შეჰხარიათ შობილიურ ადგილს,  
რომ ბუნებას უხვად შეუშკია? თუნდაც  
ულაზათო ზრიოკი, მავრამ საამო წარ-  
სულთან დაკავშირებული, განა ნაკლე-  
ბად მიმზიდველია? ვინ დათვლის რამ-  
დენი თვალწარმტაცი ხევი, მთა და ვე-  
ლია, მავრამ აქაურობა მაინც ყველაზე  
ძვირფასია ჩემთვის. აქ პირველად დავი-

ნახე ჩემი ქვეყნის ცა, აქ გავიგონე პირ-  
ველი ზღაპარი, აქ გაიშალა გული სიყვა-  
რულისთვის. აქ ყოველივე შეერთებუ-  
ლია მოგონებასთან იმ ადამიანებზე,  
ვინც სიცოცხლის ხალისი მომცა და  
მზის საგალობელი მასწავლა. სამშობ-  
ლო — ეს ხომ თქვენა ხართ, კეთილო  
ადამიანებო, რომლებმაც მკერდში გუ-  
ლი სიყვარულის ბუდედ ჩამიდევით!  
თქვენი ხატება გულს მაჩნევია წარუშ-  
ლელად და ნეტავ შევიძლებდე ათწილ  
მოგიძღვნათ ის სიყვარული, რომელიც  
ოდესღაც აქედან გამატანეთ!

ჩემი ღირიკული ნაკადი უეცრად შე-  
წყდა, როცა ბუჩქნარიდან ორი მამაკაცი  
გამოჩნდა. მონადირენი იყვნენ. წინ  
ძალღი მოქმედებდნენ, ჩვეულებრივ  
ნაგავისაგან ძნელად გამოსარჩევი მოყ-  
ვითალო ფერის პატარა ძაღლი. არაქათ-  
გამოლუული ჩანდა, ხანდახან ჩამორჩე-  
ბოდა პატრონს, შეისვენებდა და მერე  
ისევ ქმედულით აედევებოდა.

მოულოდნელი იყო მათი დანახვა და  
ჩემი ყურადღებაც უმალვე მიიპყ-  
რეს. ერთს, რომელიც მადალი და გამზ-  
დარი იყო, ძველებური ფაფანაჟის მსგავსი  
ქუდი კეფავთ ედვა და ტყავის ჩან-  
თაზე გარედან ნანადირევი შაშვი ეკიდა.  
ამ კაცის დანახვაზე რატომღაც თვალწინ  
წარმომიდგა სახელმძღვანელო უშიშარი  
და გულმართალი ძველი ესპანელი რაინ-  
დი, რომელსაც ჩამოეჭვივითნა, ხოლო  
თავისი არანაკლებად განთქმული რაში  
იქვე საღდაც ბუჩქნარში საპალაზოდ  
გაეშვა.

ერთი ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, რომ, მისი დაკვირვებით, გარეგნობით ერთმანეთის მსგავს ადამიანებს ხასიათი და გონების მიმართულებაც ერთნაირი აქვთო. ვერ ვბედავ დავადასტურო ასეთი აზრის სისწორე, მხოლოდ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში ჩემი მეგობრის ვარაუდი შემცდარი არ ყოფილა. ამაში მალე დაერწმუნდი. ოღონდ ეს კაცი თავის ორეულზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, — თითქოს ტობოსელი მზეთუნახავის გულის მოსაგებად საგმირო საქმეებისათვის ველად გაჭირილი და ქვეყნის ამფორაქებული ოდესღაც შმაგი რაინდი სიბერეში შესულიყო (ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ასეთი გამრანჭული წინადადება, როცა შეიძლება უფრო მარტივად, განაგებად და ისე ითქვას, რომ სიტყვების კორიანტელი არ დადგეს! როგორ მახარებთ თქვენ, ბუნებრივად დალაგებულ სიტყვებო, როცა, ვითომდა არტიტიზმის გამოსაჩენად, ძალადობას არ მიმართავენ თქვენს წინააღმდეგ! რა საამოა მაშინ თქვენი მოსმენა, რა ნათელია აზრი და რა ღრმად სწვდება სულსა და გულს!).

ოჩოფებაზე შემდგარი მეჩვენა, ისეთი გრძელი კანკები ჰქონდა. რაღაცაზე აღგზნებით ლაპარაკობდა. ხელში გრძელლულიანი ფილთა ეჭირა და ხანდახან ისე აქნევდა, როგორც, ალბათ, მისი უკვდავი ორეული შეათამაშებდა შუბს სავარაუდო მტრის დანახვაზე. მოძრაობა, ხმა, ლაპარაკის კილო მოწყობდა, რომ აღტაცებული არსება იყო. ამაშიაც მალე დაერწმუნდი, როცა გზაზე ერთად მიმავალნი საუბარში ჩავებით. ამასთანავე გულმართალი კაცი ჩანდა. თუ არ ვცდები და ბუნებას მართლაც შეემო ამ ღირსებით, ვაბატოთ, რომ ცოტაოდნად ახირებული და ობროდი იყო!

მეორე მონადირე, რომელსაც ორწყეზად შემოერტყა ფალასკა, ბევრად დაბალი გახლდათ, ამასთანავე მსუქანი

და ზორზოხი. დალილობა ეტყობოდა და იქნებ ეს თუა მიზეზს ჩანს მსუქნული და უკმაყოფილო მსუქნული. მძიმედ მოაბოტებდა და ცდილობდა ყურადღება არ მიექცია, თუ რას ჩასჩინებდა მეგობარი.

— აი ამან გავსაჯოს! — თავისი გრძელი ხელი ჩემსკენ გამოიშვირა მაღალმა, როცა ბილიციდან გზაზე ჩამოვიდნენ და გამოთანასწორდნენ. — ამ კაცს ვკითხვით, მართალი ვარ თუ არა!

დაბალმა არც შემომხედა, მხოლოდ რაღაც ჩაიბურტყუნა. არც მაღალი ცდილა გაეგო, თუ ვის ირჩევდა მსაჯულად. — ალბათ იფიქრა, ვინმე შინდოვანელი ვიყავი, რადგან მათთან ერთად იქითყენ მივდიოდი.

— ოცი წელიწადია ერთად ვნადირობთ და ვერ იქნა, ვერაფერი შეგასმინე. შენ არც გინდა გაიგო, რომ ნადირობა ნამდვილი ხელოვნებაა და, ამასთანავე, მეცნიერებაც. როგორ შეიძლება მონადირე იყო და თვითეული ჩიტისა და ნადირის ფსიქოლოგიას არ იცნობდე? განა მხოლოდ იმით განსხვავდება ციყვი, ვთქვათ, სინდოფალასგან, რომ ტოტიდან ტოტზე დაბტის, ხოლო მეორე...

— ვიცი ეგ, მრავალჯერ გვსმენია შენგან, მაგრამ... — ნახევარი ტუჩით ჩაიბუბუნა და სიტყვა მოუჭრა დაბალმა. ტუჩის მეორე ნახევარს არ ეცალა, შიგაპაიროსი ჰქონდა შეჩრილი.

თამბაქოს ხშირი და ხარბი მწვეელი ჩანდა, რასაც ის ადასტურებდა, რომ მოკლედ შეკრეჭილი უღვაში ერთ მხარეს ჰადარაშერეული იყო, ხოლო მეორე მხარეს ნიკოტინისაგან ყვითლად შეღებილი ჰქონდა.

— მაგრამ რა? — ყური ცქვიტა მაღალმა.

— რა და, ვერაფერში ვერ გშველის, ჩემო აბესალომ, ის შენი მეცნიერება, მაინც ყოველთვის ასე ხელცარიელი წარუნდება, — გაბედა და უთხრა დაბალმა.

ამის გაგონებაზე მაღალმა, რომელსაც აბესალომი ზქმევოდა, თვალეში დააბრაიალა.

— ლონგინოზ! — მთელი ხმით შესძახა მან. გულის სიღრმიდან მხოლოდ ეს ერთი სიტყვა აღმოხდა. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა.

ამოძახილი ისეთი ძლიერი და ხმიანი იყო, რომ ძალდი დაფრთხა, მოიკრიბა ძალა და გაიქცა.

ლონგინოზი, ცხადია, კარგად იცნობდა მეგობრის ხასიათს, ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა და გაჩუმებული განაგრძობდა გზას.

აბესალომსაც დიდხანს არ გაჰყოლია გულმოსულობა, მალე კიდევაც დამშვიდდა და სიტყვის უნარიც დაუბრუნდა.

— განა ნადირობის სიღამაზე და ხალისი ისაა, რომ მაინცდამაინც მოჰკლა? არა, სრულიადაც არა! — ბოლო სიტყვაზე ოდნავ ისევ აიშალა ხმა, მაგრამ მაშინვე დაცხრა და მშვიდად განაგრძო: — ნადირობაც კაცთმოყვარეობის ვრძნობას უნდა ემორჩილებოდეს. ის მხოლოდ თავის ვართობაა და არა ველური ქინი — მოსპო ყოველივე.

— რა ვიცი, ძალიან კი გავგებარდა, როცა ეგ მუჰსოდენა ჩიტი ჩამოაგდე ტოტიდან! — ჩაიცინა ლონგინოზმა.

აბესალომმა ჯერ წაუყრუა, მაგრამ, ალბათ, გულს ემწარა დაცინვა, ვეღარ მოითმინა და სთქვა:

— დიახ, მეც ბოროტება ჩავიდინე, მხოლოდ, იცოდე, ვიტანჯები ამის გამო. ჩვენს შორის, ჩემო კეთილო მეზობელო, ის განსხვავებაა, რომ მე ვგრძნობ დანაშაულს და ვინაიებ, შენ კი ყველაფრისადმი გულგრილი ხარ... ჩვენ უფლება არა გვაქვს სიცოცხლე მოვუსწრაფოთ ბუნების მიერ თავის სამკაულად გაჩენილს. ყველამ უნდა იხაროს ამ ქვეყნის მშვენიერებით!

— რა კარგი კაცი იქნებოდი, რომ ასეთი ახირება არ იცოდე, — ჩაიბუბუ-

ნა ლონგინოზმა. — რა გრეეს ასე, გერ გამიგია!

— ეჰ, რა უნდა გითხრა, აბესალომ! არაფერი ვახარებს! — ღრმად ამოიოხრა აბესალომმა. — სიყრმის მეგობარი ხარ და სიყრმიდანვე მეცოდები, გულის მაგიერ ქვა გიდევს მეკრღში. ძალიან დაგსაჯა ბუნებამ...

პასუხის მაგიერ ლონგინოზმა მხოლოდ ხელი ჩააქნია. ვინ იცის, რამდენჯერ გაუგონია ეს სიტყვები! მენიშნა, რომ ნადირობის შემდეგ ისინი ყოველთვის კინკლაობდნენ, თუ ასე ხელცარიელი ბრუნდებოდნენ.

— ამ კაცმა სთქვას, თუ მართალი არა ვარ, — მოაგონდა აბესალომს რომ მსაჯულობა დამაკისრა. — რაო, რას იტყვი, ყმაწვილო?

ჩემსკენ სახე იბრუნა და გაკვირვებით მომაჩერდა, რადგან უცხოდ შემიცნო.

— შინდოვანში მიგდივარ, — დავასწარი სანამ მკითხაედა. მინდოდა თავი დამეზღვია ზედმეტი ცნობისმოყვარეობისაგან.

მაგრამ ამ მცირედით არ დაკმაყოფილდა აბესალომი. დაწერილებით გამოიძია საიდან და რა საქმეზე ჩამოვედი, ვინ ვარ და ვისთან მივდივარ.

— მოხარული ვარ, რომ შეგვხვდით! — ერთგვარი თეატრალით წარმოსთქვა, რამაც არ გამაკვირვა, რადგან აღრევე შეენიშნე, რომ სრულიად უმნიშვნელო ამბავსაც ყოველთვის გაზვიადებულად აღნიშნავდა. — მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდა კაცი ჩვენი დიდებული წარსულით გატაცებული ყოფილხართ. შემიძლია გაუწყოთ, ჩვენს მეზობლად სოფელში მრავალი ფასდაუდებელი ნივთი აღმოაჩინეს — ოქროს სამკერდეები, სამაჯურები, ბეჭდები, ვერცხლის სურები, ძვირფასი თვლებით მოჭდილი გვირგვინი, ისეთი დიდი, რომ თანამედროვე ადამიანის ორი თავი ეტევა შიგ. შემდეგ კიდევ ოქროს ქარქაშისანი ხმალი, რომელსაც ჩვენს დროში სამი კაცი ვერ

ასწევს... მოგეხსენებათ, ჩვენი წინაპრები ბუმბერაზები იყვნენ.

გასაკვირალი არაფერი იყო, რომ ნივთების აღმოჩენის ამბავს მეზობელ სოფლამდე მიეღწია, მაგრამ ის, რაც აბესალომმა სთქვა, ცხადია, მხოლოდ მისი აწეული ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, არ ვაგრძნობინე, რომ ზღაპრად ვთვლიდი ვაგონილს. დარწმუნებული ვიყავი, რომ სახეიროს არაფერს მეტყოდა, მაგრამ მაინც ყურადღებით ვუსმენდი, რადგან ამბავი ასე თუ ისე ეხმიანებოდა შინდოვანში ჩემი მოსვლის მიზეზს.

— ხომ არ გაგიგონიათ, რომ ნივთებში თასიც იყო? — ვკითხე ბოლოს.

— თასი? — ჩაფიქრდა და მერე თავი გააქნია. — არა, არაფერი.

— მე კი ისიც მითხრეს, რომ ამასწინათ ვიღაც აქაურს წამოუღია.

აბესალომს ეოცა.

— მოითმინეთ! — ხელი ჩამკიდა და შემაჩერა. — თქვენ ამბობთ, რომ ვაშლოვანიდან წამოიღო?

დაახლოებით ისე, როგორც ბავშვებისაგან ვიცოდი, ავუწერე იმ კაცის გარეგნობა.

აბესალომს სახე გაუბრწყინდა:

— მამ, თუ აგრეა, ვიცი ვინცაა! როგორც მახსოვს, ის მართლაც ამასწინეთ იყო ვაშლოვანში...

ხელი მიშვა და გზა ვანაგარძო.

— ვიცი ვინაა და დღესვე გავიგებ ყოველივეს... არა, დღეს არა, ხვალ... ის თვითონ მოვა ჩემთან.

— არ შეიძლება მეც ვინახულო? — ვთხოვე უკვე დაინტერესებულმა.

— რატომ არა, თქვენც ნახეთ. ოღონდ ხვალ. მოხვალთ ჩემთან და ისიც იქ იქნება... გაკვეთილების შემდეგ ყოველთვის მოდის სამკითხველოში და გაზეთებს ათვალიერებს.

— სამკითხველოში?

— დიახ, ჩემთან. ადვილად მომაგნებთ, ვისაც არ კითხავთ, ყველა მოგასწავლით... იქვეა სკოლა, ფოსტაც... —

სთქვა და ლონგინოზზე შემითითა. — იმ ფოსტის გამგეც ეს გახლავით. ვთხოვთ იცნობდეთ.

ლონგინოზმა ჯერ ხელი ჩამომართვა და მერე, კარგა მოგვიანებით, ღირს მყო და თვალი შემავლო. ახლა აღბათ, კმაყოფილი იყო, რომ მისი მეგობარი ჩემთან საუბარში გაერთო და მას თავი დაანება.

— ჰო, მაგრამ, რატომ არაფერი მითხრა? — ისევ ნივთების პოვნის ამბავს დაუბრუნდა აბესალომს. — ის ვალდებულიც იყო ეთქვა...

გაჩუმდა, მაგრამ მცირე ხნით. მალე ისევ აღაპარაკდა... მიაშობდა ათასგვარ რაღაც უცნაურს, რაც, მისი აზრით, წარსულის დიდების გამოშხატველი უნდა ყოფილიყო. აბესალომს ძალიან მაგონებდა იმათ, ვისაც ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს ჩვენ, თანამედროვენი, დაკნინებული და დაბეჩავებული ვართ, ხოლო წარსულში მხოლოდდამხოლოდ დევდვირებო. სწორად რაინდები იყვნენ და ყველა მათგანი რაღაც ზეადამიანური გრძნობითა და თვისებით იყო დაჯილდოებული.

დიდხანს მიაშობდა კიდევ თავის ცხოვრებაზე. ერთხანს სცენით გატაცებული ყოფილა, ბრწყინვალე მომავალი ელოდა ამ ასპარეზზე, მაგრამ შური, შური... აი ჩვენი დამლუბველი ავი სენი... შემდეგ წერა სცადა, მაგრამ აქაც მტრობა და შუღლი გადაეღობა... თუ მაინტერესებს, შეუძლია ხვალეე მაჩვენოს თავისი დიდი ნაშრომი „ნაბუქოდონოსორის მახვილი“, რომელიც, სავალალოდ, დაუმთავრებელი დარჩა... ნაცვლად იმისა, რომ უელისგულზე ატარებდეს ერი, ბედის უკუღმართი ტრიალის გამო, ახლა ის შინდოვანში ქობ-სამკითხველოს განაგებს... რა თქმა უნდა, დიდებული საქმეა ხალხში განათლების შეტანა, ოღონდ ამ მცირედით ვერ დაკმაყოფილდება ადამიანი, რომელსაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია...

— მაგრამ მე გულს არ ვიტებ, ვიცი-

ერთ დღეს ჩემი ვარსკვლავიც აღმობრწყინდება! — თითქმის მღელვარებით წარმოსთქვა ბოლოს.

სოფლის დასაწყისში ჩვენი გზებიც გაიყარნენ. შევთანხმდით, რომ ზვალ შევხვდებოდით ერთმანეთს, დავეშვით დობე და მარტო წავედი.

სიარულმა კი არა, აბესალომის დაუსრულებელმა ლაპარაკმა უფრო დამძალა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი მასთან შეხვედრით. მეგონა დიდი ჯაფა დამპირდებოდა თასის წამლები კაცის საოვენელად და საქმე კი ასე მოულოდნელად ძალიან გამიადვილდა.

ვენახვებს შუა პატარა აღმართი ავიარე და მაშინვე სოფლის შუაგულში შევედი.

გინდათ თუ არა, ახლა თქვენც შინდოვანის მიწაზე მოაბრჯებთ ჩემთან ერთად. ხომ არ ვიამბოთ ცოტა რამ შინდოვანზე, რომ შორეული წარმოდგენა მაინც გქონდეთ? ადამიანებს, ვისკენაც ახლა ჩემი გზა მიიმართება, მალე ვნახავთ და შევეცდები თქვენც შეგაყვაროთ ისინი. მანამდე კი თვალი გადავავლოთ იმ ვარემოს, სადაც სოფელია გაშენებული. მე შემიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო აქაურობაზე, მაგრამ მენდეთ, თავს შევიკავებ და სიტყვას არ გავაგრძელებ, — ვიცი, ამით მხოლოდ თავს შეგაწყენთ და იმის ნაცვლად, რომ ჩემსავით თქვენი გულიც მოინადიროს მან, ვაი თუ კიდევაც შეიძლება.

იქნებ მართლაც არაფერს წარმოადგენს შინდოვანი, არაფრით გამოირჩევა მრავალი სხვა სოფლისაგან, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ წუნს ვერავინ დასდებს და ყველა სიამოვნებით თვალს შეაჩერებს რგოლად შემოვლილ ტყიან გორაკებზე, რომელთა გულშიც თითქოს ბეჭედში თვალი პატიოსანი, სოფელი ჩამოჯდარა.

სოფლიდან თუ გადავიხედავთ, შორს, ქვევით, ვრცელ ველს დავინახავთ, რომელზედაც ორი მდინარე მიიკლავება, ხოლო ველის დასასრულს, სადაც მდინა-

რეები ერთდებიან, თვალს მიიბჯრებს მესხეთის მთების გრებილი *მეხსენებოდა*.

შემეძლო სულაც არ მეხსენებოდა ეს გრებილი, რომ მას შინდოვანელთა ცხოვრებასთან კავშირი არ ჰქონდეს, თუმცა ამბავი უფრო წარსულს ეკუთვნის და დღეს მხოლოდ მოგონებად არის დარჩენილი... ნოემბრიდან, როცა თოვლით იფარება მწვერვალები, ზეკარის უღელტეხილის აღმოსავლეთით ერთ ადგილას მთის გრებილი გაქცეული მგლის გამოხატულებას იღებს. ზამთარ-გაზაფხულ მირბის ნადირი და მაინც ვერ მოშორებია ერთ ადგილს. ამ შგელს გასცქეროდა შინდოვანელი და იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურებოდა ის, სოფლად ზენა-თესვის ალოს ამოწმებდა. სანამ დაუშლელს ხედავდა, სახნავად არ გავილოდა, მაგრამ როგორც კი წელი ჩაუტყდებოდა ნადირს, იმ დღიდანვე მინდორში კავი გაქმნდა...

ახლაც ყოველთვის ნოემბრიდან გამოჩნდება მთებზე თეთრი მგელი, მაგრამ შინდოვანელი უკვე გულგრილად შესცქერის მის ერთ ადგილზე სირბილსაც და წელში გაწყვეტასაც.

აი იმ მოხუცს, რომელსაც ეზოში ხის ქვეშ ჩამოქდარს გხედავ ზვალ მიმავალი, კარგად უნდა ახსოვდეს ის დრო როდესაც აქ, სადაც ახლა უთვალავი ზვარი და ბაღია, ბევრგან ტიტველი ადგილი იყო... შინდოვანი ახლა აყვავებული კუთხეა და ღმერთები, რომლებიც თურმე ჩვენსავით სცოდავენ და ნექტარზე დახარბებული არიან, ალბათ შურით დასცქერიან ოლიმპის სიმალიდან. — თუ კი სიბერისაგან თვალს არ აკლიათ. — აქაურ ვენახში მსხმოიარე ვაზს.

გავყევი ორდობეს, ავიარე პატარა აღმართი და, აი, ჩემი დედობილის კარმიდამოც... ჩემთვის კარგად ნაცნობი კიკინა ეზო, ოდნავ მოხუცებული და კენწეროში შემხმარი დიდი კაკლის ხე, საჩრდილებელი ხართუთა, იგივე სახლი, ისლის ნაცვლად ახლა კრამიტით გადახურული.

ბედნიერი ბავშვობა შემომეფეთა უცერად, მღელვარებით შევალე ქიშკარი და ეზოში შევედი.

ხართუთის ძირში თლილ ქვაზე ვილაც ქალიშვილი იჯდა. ისე მიეუახლოვდი, ყურადღება არ მომაქცია. კალთაში ჩაყრილ ფოთლებში ხელს ურევდა და დროდადრო ანიავებდა. გახელილი თვალები სივრცეში მიეპყრო, მაგრამ რატომღაც მეჩვენა, რომ სიცალიერეში იხედებოდა. ახალგაზრდა სახეზე ღრმა, სრული სიმშვიდე.

ახლო მივედი, მაგრამ თითქოს განზრახ არ მამჩნევდა.

ფოთლებს ხელი უშვა, როცა მის გვერდით დავედქვი.

მხოლოდ მაშინ დაერწმუნდი — ბრმა იყო.

ამ გარემოებამ, ცოცხალი არ იყოს, შემაერთო. გაუბედავად მიმოვიხედე — ეზოში სხვა არავინ ჩანდა, კარლია სახლშიც სიცალიერე.

ბრმა თითქოს გრძნობდა, რომ უცნობი ვიყავი და ელოდა, როდის დაველაპარაკებოდი.

ვინ უნდა ყოფილიყო? ჩემი დედობის სახლში ასეთი ვინმე არავინ მეგულებოდა, მით უფრო ქალიშვილი. სამი ძმა — ერთი ჩემი კბილა, ორი უფროსი, — შემდეგ მამობილი დამიტრია. სხვა არავინ.

გარშემო სიჩუმე. ეზოში და სახლში სიცალიერე.

— საღამო მშვიდობისა! — მივესალა.

თავაზიანი და დინჯი პასუხი:

— იცოცხლე, ბატონო!

ვიგრძენი, ეუცხოვა ჩემი ხმა.

— თუ იცით, ანო შინ არის?

ისევე იმ სიდინჯით, რომელიც მის ახალგაზრდობას მაინცდამაინც არ ეგუება:

— წყაროზეა წასული, მალე გეახლებათ.

სივრცეს მიჩერებული თვალები, თანაც შესამჩნევი ღიმილი მშვიდ სახეზე.

— არც დამიტრია?

თითქოს შეკრთა.

— დამიტრია?!

შემდეგ ჩუმი ხმით და ოდნავი გაყვირებით:

— მამა წელიწადზე მეტია, რაც გარდაიცვალა...

მამ, ეს ქალიშვილი ჩემი დობილია, მაგრამ რომელი?

თითქმის თრთოლვით შევცქეროდი. ბრმამ იგრძნო მასზე მიჩერებული თვალი. მოუსვენრობა შევნიშნე მის მკვდარ გამოხედვას.

და აი, მეხსიერებაში თანდათან გაცოცხლდა მივიწყებული... სამი წლის ვოგონა, სიცოცხლით საგნებ და მოუსვენარი, ფეხშიშველი დახტის ეზოში, გაჩეჩილი წაბლისფერი თმა მხრებზე გადმოფენია... ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ... ზო, მაგრამ, მაშინ კარგად მხედველი იყო...

— ნათელა! — გაუბედავად მივმართე ჯერ არასავსებით დარწმუნებულმა, რომ ასე ეძახდნენ.

შევნიშნე, როგორ ეუცნაურა უცნობისგან თავისი სახელის გაგონება. ჯერ მორიდებით ჩაილაპარაკა:

— უკაცრავად, ბატონო, ვერ გიცანი.

მერე თითქმის შემკრთალმა, როცა პასუხი დავეუვინე:

— ვინ ბრძანდები?

ვუთხარი, ვინც ვიყავი, და დავუმატე:

— შენ, აბა, საიდან უნდა იცოდეს...

მაშინვე წამოდგა. კალთიდან ფოთლები გადმოცვივდა და მიწაზე დაიფანტა.

— ძამიკო! — ხელი გამომიწოდა, მომეხვია და გადაამკოცნა.

ისევე სივრცეში იხედებოდა, თავის ბნელ, ცარიელ სივრცეში, მაგრამ თითქოს ყველგან მე მხედავდა და მიღიწოდა.

დავსვი და გვერდით დავეუქვი. ნათელამ ხელში ჩაიჭირა ჩემი ხელი და უაღერსებდა.

— მამ, შენ იცი, ვინ ვარ?

— როგორ არ მეცოდინება... შენს სახელს დედა ხშირად ახსენებს...

— შენ კი არ გახსოვარ?

— ოდესღაც მინახავხარ, ძამიკო... მაშინ პატარა ვიყავი.

წამიერი დუმილი და მერე სევდიანი ჩურჩული:

— მე ცოტადა მახსოვს იქიდან, რაც წინათ მინახავს...

მხოლოდ ნაღველს აუშლიდა ამაზე სიტყვის გაგრძელება და მაშინვე შეეცვალე საუბარი:

— მე დამნაშავე ვარ ყველა თქვენგანის წინაშე, რომ აქამდე ვერ გინახულეთ...

ნათელამ ჩემი გამართლება დააბირა:

— შენ დიდ ქალაქში ცხოვრობ. შორსაა აქედან...

— მაშ, ჩემი პატარა დედა ხშირად მიგონებდა?

„პატარა დედა“, — ასე ვეძახდი წინათ ჩემს დედობილს.

— რამდენჯერ უნატრიხარ...

— შენი ძმები? დიდხანია აღარ მინახავს. უკანასკნელად რვა წლის წინათ იყო ჩემთან აღექსანდრე.

— ახლა აქაა აღექსანდრე. მთელი თვე დარჩება. შემოდგომაზე იცის ყოველთვის მოსვლა.

— ისევე მალაროში მუშაობს? ანდრია, მიხეილი?

— ანდრია საღამომდე ვერ დაბრუნდება...

გაჩუმდა.

— მიხეილი? — შეეკახსენე შუათანა, რადგან მასზე არაფერი მითხრა.

ისევ მომილაღვსა.

— მიხეილი აღარ დაბრუნებულა, ძამიკო... ბერლინში დაიღუპა უკანასკნელ დღეს...

მერე ჩუმად დაუმატა:

— ის იყო შენი კბილა, ასე გამიგონია...

კიშკარს გადაღმა ბავშვებმა კივინით ჩაირბინეს. მათი მხიარული, წკრიალა ხმა ერთ ხანს ისმოდა ორღობეში.

შემოდგომის ადრიაანი საღამო ახლოვდებოდა. გადაიწმინდა დასაჯალი, მალდა აზიდულ ღრუბლებში გამოჩნდა სუფთა ცა და ბოლოს თვითონ მზე, წითელი და დიდი.

ნათელამ ხელი მოაფათურა ქვაზე და როცა ფოთოლი იგრძნო, აიღო და კალთაში ჩაიდვა... იქნებ ჩვეულებად ჰქონდა, რომ კალთაში ჩაეყარა...

მინდოდა რითიმე გამეერთო:

— გინდა დაგიკრიფო ფოთოლი?

გაეღიმა და თავი გააქნია:

— არა, ახლა არა... ხმის გამცემი არა ვინ იყო და თავს ვიყოლიებდი.

მაინც ავბოქვე და კალთაში ჩაეუყარე.

ჩამავალი მზის ირიბი სხივი სახეზე ხედებოდა. ბრმა გრძნობდა მზეს და თითებს ისვამდა კანზე, თითქოს ცდილობდა ხელში ჩაეკვირა ეს უხილავი თბილი სხივები.

ახსოვს თუ არა რა შესახედავი იყო მზე, ან როგორი ფერი ჰქონდა ფოთოლს? რა წარმოდგენა დარჩა გარემო ქვეყანაზე და საგნებზე? იქნებ იმგვარადვე წარმოუდგენია ახლა ყველაფერი. როგორც მხოლოდ მისი თითები ითვისებენ შეხებისას — იი ეს რალაც სითხეა. ის კი რალაც მეკრივი და მაგარი? რაზე ფიქრობს ხოლმე, როცა მარად ბნელ სამყაროში მარტო რჩება თავის თავთან?

შაგებში ჩაცმული დაბალი ტანის ქალი კოკით მხარზე ეზოში შევიდა.

მაშინვე ვიცანი ჩემი დედობილი. შორიახლოდან ისე შეჩვენა, თითქოს არ შეეცვლილიყოს. სწორედ ისეთი, როგორიც მახსოვდა — ჩასხმული, ჩქარი ნაბიჯით მოსიარულე. კი არ დადის, დაგოგმანებს. — „კვარკვალიტა!“ — მომაგონდა, რომ ასე ეძახდნენ ხუმრობით.

უცხო კაცის დანახვაზე წამით შედგა. მერე სწრაფად შევიდა სახლში, უმაღლვე ზღურბლზე გამოჩნდა, თავსაფარი შეისწორა და ჩვენსკენ გამოეშურა.

მორიდებულად მომესალმა და თავეშეკავებული გაკვირვებით მომაჩერდა.

ვერა, ვერ მიცნო.

ხელი გავეწოდე და ყრუდ, თითქმის ჩურჩულით:

— პატარა დედა, ვერ მიცანი?

უცბადვე გაუბრწყინდნენ თვალები და შეიკვილა:

— გივი, შეილო!

სიხარულით გადავეხვიეთ ერთმანეთს. მკოცნიდა, თან სტიროდა. რაღაცას ამბობდა საალერსოს და ისევ სტიროდა.

— იცი, შეილო, ვინ მოვიდა? იცი ვინ გავიხსენა? — ქალიშვილს მიუბრუნდა ჩემი დედობილი, — შენი ძმია, შენი უფროსი ძმა, ენაცვალოს მისი პატარა დედა... ვაი ჩემ თავს, რომ ვერ შეხედავ ჩვენს გამხარებელს!

ნათელა ჩუმად იჯდა, ხანდახან ფოთლებში ურევდა ხელს და მხოლოდ მოდიმარე სახე უმკლავებდა, რომ დედის სიხარულს იზიარებდა.

— თუ გინდ ჩემი მიხეილი დამბრუნებოდეს, — გულაჩუყებული ისევ იცრემლებოდა დედობილი. — ვაი რომ დიმიტრიც ვეღარ მოესწრა შენს ნახვას, ჩემო თვალის სინათლე!

ეცადე მისი დამშვიდება და ხუმრობით ვუთხარი:

— რომ მცოდნოდა სატიროლად გავიხდიდი საქმეს, არ მოვიდოდი!

ნათელას გაეცინა:

— ასე იცის მაგან, როცა ძალიან გაეხარდება რაიმე!

პატარა დედამ მაშინვე შეიმშრალა თვალები და სახე მოიწმინდა.

სამძიმარი მოვახსენე და ვთხოვე დიმიტრის საფლავზე წავეყვანე.

ამისმა გაგონებამ კმაყოფილება მოგვარა, ერთხელ კიდევ აემღვრა თვალები, მაგრამ უმალვე თავი შეიმავრა და მხოლოდ ღრმად ამოიოხრა:

— მაშ, გახსოვს შენი მამობილი? შენი ნახვა რომ ღირსებოდა, იქნებ ერთხანს კიდევ ეცოცხლა იმ უბედურს. რამდენჯერ შენი მოსვლა უნატრია, იმდენი სიხარული მიეცა ჩემს შვილებს...

მართლაც კარგად მახსოვდა მამობილი და მრავალი საამო მოგონებები დამრჩა მასზე. მეტად აღერსიანი იყო იყო და ხშირად მანებიერებდა კიდევაც. მასთან მისულს ისე არ გამომიშვებდა, რომ რაიმე არ გამოეტანებინა — კურდღლის ბაჭია, ჩალის ღერებისაგან გაკეთებული სათამაშო ურიცქლა, კვახის ყლორტიდან გამოჭრილი სალამური და რამდენი სხვა რამ, რაც ბავშვის გონებას აურაცხელ სიმდიდრედ მიიჩნია. მისი ახალუხის ჯიბეში კი ყოველთვის მოიძებნებოდა ჩემთვის ვაშლი, უნაბი, თხილი.

გავიხსენე, როგორ მომიყვანა ერთხელ ჭოტის ბარტყი, — ის წამდაუწუმ აფახულებდა თავის დიდ თვალებს, მეუბნებოდნენ დღისით ვერაფერს ხედავსო, მაგრამ, როცა ახლოს მივიტანე სახე, ისე ჩამკორტნა და გამამწარა, რომ ის იყო და ის, იმის შემდეგ აღარ გავკარებია.

— ცოტა არ იყოს შშიშარა კი იყავი ბავშვობაში, შემოგველოს ჩემი თავი — იცინოდა ამ მოგონებაზე დედობილი.

რამდენი რამ არ გავიხსენეთ მე და პატარა დედამ!

გამხიარულდა ანო და, თუმცა თავსაფრიდან თეთრი თმა მოუჩანდა და სახეზე ხშირი ნაოჭი ჰქონდა, ახლა ის, როცა იცინოდა, კიდევ უფრო ჰგავდა იმ ძველ პატარა დედას, რომელიც დიდიხანია აღარ მენახა. რაღაც თავისებური სიცილი იცოდა, — მილულავს ამ დროს თვალებს, გამოაჩენს დიდრონ თეთრ კბილებს, იცემს კალთაზე ხელებს და ისეთი ვადამდებია მისი ხითხითი, რომ ვინ იქნება, არ აიყოლიოს.

— შენ ისეთივე ხარ, პატარა დედა, როგორიც წინათ. სულ არ შეცვლილხარ! — მოვეხვიე და მოვეუალერსე.

დედობილმა ხელი ჩააქნია:

— სადღაა, შეილო, ის ჯანი და ის ხალისი... ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახალგაზრდობასაც და მოხუცებულობასაც. მაგრამ ბედს ვერ დავემღურები. შემოგველოს ჩემი თავი. ბევრი სიმწა-

რე ვნახე, მაგრამ მაინც ბედნიერად მი-  
მაჩნია თავი. არ შეგარცხებენ, ისეთი  
ძმობილები დაგიზარდე. იმათ შემხედ-  
ვარეს ისეც მარჯვედ მაქვს გული და  
სიბერეც ვერ მიხედავს ასე ადვილად  
დამორჩილებას... სადაა ალექსანდრე? —  
ვაყების გახსენებაზე მიმოიხედა და  
იკითხა.

— სად იქნება, არ იცი? — ჩაილაპა-  
რაკა ნათელამ და დაუმატა: — საცაა  
მოვა, ალბათ.

— დასასვენებლად ჩამოვედიო და  
მთელი დღე კოლმეურმეობაში ტრია-  
ლებს. ანდრიასაც ერთი წუთით თუ მოე-  
კრავ თვალს, სტუმარივით არის თავის  
სახლში...

— რატომ იცი, დედა, ასე თქმა; —  
საყვედურით გააწყვეტია სიტყვა ნათე-  
ლამ. — რატომაა სტუმარივით?

— ასეა შვილო, დილით რომ წავა,  
ძალის დრომდე არ დაბრუნდება. თუმ-  
ცა რა ქნას, იმას ვენაცვალე, სად სცა-  
ლია ჩემთვის, დიდი ვალდებულება  
აწევს. კოლმეურნეობის გაძლოა უბ-  
რალო საქმე როდია. ბრიგადირს რომ  
უძახიან, აი ისაა, შენი ჭირი. ახლა  
მაინც, როცა რთველი იწყება, დღე და  
ღამე გასწორებული აქვს. ჰო და, ძმას  
რომ საქმე გაუადვილოს, ალექსანდრეც  
მხარში ამოუდგა... ყოველთვის მოსიყ-  
ვარულე ძმები იყვნენ, იმათ შემოველოს  
ჩემი თავი. ესაა რომ ყველაზე უფრო  
მახარებს... მიხეილიც რომ დამბრუნებო-  
და, მაშინ ჩემზე ბედნიერი დედა ვინ  
იქნებოდა! ხომ გახსოვს, შვილო, მი-  
ხეილი?

თვალზე ცრემლი მოადგა და მაშინ-  
ვე თავსაფრის ყურით მოიწმინდა.

— სხვა ბედი ეწერა თურმე და სად  
წაუვიდოდა.. ნამეტანი კარგი იყო, ენა-  
ცვალის მისი დედა; ვიდაც უბრალო  
კაცის შვილიაო, ვერ იტყოდი, ისეთი  
ვაყკაცი დადგა. — ამოიოხრა და ჩუმად  
დამთავრა: — ნათელი ადგია იმის  
სულს, პატიოსანი იყო და პატიოსნად  
წაივინა ამ წუთისოფლიდან...

დავაპირე სანუგეშო მეთქვა რაიმე.

— თქვენ მყავდეთ ყველანაირი კარგად  
და ჩემთვის ესეც კმარა — ნუგეშად, —  
აღარ მაცალა და თვითონ განაგრძო: —  
ბედის სამღურავს როგორ ვიტყვი ჩემი  
ანდრიას და ალექსანდრეს შემხედვარე.  
ქვეყანა ხელდავს იმათ სიკეთეს, მეც თავი  
მესახელება ჩემი ბიჭების პატრონს...  
ჩემი ალექსანდრე აგერ რამდენიმე წე-  
ლიწალია მალაროში მუშაობს და სახე-  
ლიც მოიხვეჭა... დამსახურება ჰქონია...  
რა ჰქვია იმას, შვილო, ალექსანდრეს  
რომ ეძახიან? — მოუბრუნდა ქალი-  
შვილს.

— წარჩინებული მალაროელი, —  
სთქვა ნათელამ.

— ჰო, წარჩინებული მალაროელი, —  
კმაყოფილებით გაიმეორა დედობილმა.

ვიგრძენი, რომ ამით ამაყობდა.

— ერთხანს გულდაწყვეტილი ვიყავი  
ალექსანდრეთი, არ მინდოდა სახლიდან  
წასულიყო, მაგრამ ახლა რომ ვხედავ,  
თურმე კარგი უქნია. თქვენ ჩემზე უკეთ  
იცი, შვილო, რა სჯობია და როგორ  
სჯობია ამ დროებაში, თქვენოდენა მე  
რა გამეგება და რა მეკითხება. ანდრიაზე  
კი, არ დაგიმალავ, გულნატყენი ვარ, —  
აქამდე ოჯახს არ მოეციდა. მარტოხე-  
ლას რომ ვხედავ, გული მიკვდება.

— ხომ გითხრა, ამ შემოდგომაზე გა-  
დავწყვეტ საქმესო? — მოისმა ნათელას  
ხმა.

— ასე სთქვა, მაგრამ შარშანაც  
ხომ ამასვე მპირდებოდა! წელსაც რომ  
სამერმისოდ გადადვას?

— არ გასტეხს ანდრია თავის  
სიტყვას, — სთქვა ნათელამ. თითქოს  
სწყინდა, რომ ძმაზე ამდენი საყვედუ-  
რი ესმოდა.

— ნეტავი თქვენს კარგად ყოფნას და  
მართლაც გადაწყვეტდეს. აბა ვისთვის  
და რისთვის მინდა ყველაფერი ეს?  
თქვენ უნდა იყოთ ბედნიერი და გახა-  
რებული, თორემ მე ჩემი წუთისოფელი  
დიდხანია მოვჭამე. ერთი მისი შვილი-

მადირსა ჩემს კალთაში გაგორებული!  
ამას მომასწარი ოლონდ, ღმერთო!

ვილაც დედაკაცი გამოჩნდა ჭიშკარ-  
თან და ანოს გადმოსძახა. დედობილმა  
ჯერ წასვლა დააბირა, მაგრამ დაჯდა  
ისევ და ნათელას მიმართა:

— ჰვითხე, შვილო, რა უნდა. მისი  
ბეუტურის თავი არ მაქვს ახლა.

ნათელა აღგა და ჭიშკრისკენ გაემარ-  
თა. ფეხი არსად აშლია; ისე გულდაჯე-  
რებით მიდიოდა, რომ, ცხადია, ეზოს  
თვითულ მტკაველს კარგად იცნობდა.  
ერთი წუთით დამავიწყდა კიდეცაც,  
რომ ბრმა იყო.

დედობილმა შენიშნა, რომ თვალი გა-  
ვაყოლე და ჩუმად მითხრა:

— რვა წლიდან ამ დღეშია, რატომ  
მე არ დამეგსო თვალები მის მაგიერ...  
რაღაც ისეთი ავადმყოფობა შეხვდა, ვე-  
რაფერი ვუშველეთ. მაგის ჯავრმა იყო  
აღრე მოტეხა და სიცოცხლე მოუსწრა-  
ფა საცოდავ შენს მამობილს. სული რომ  
ზღებოდა, მაშინაც ამ უბედურს გვავედ-  
რებდა. ძალიან ვუმადლი ორივე ძმას,  
დიდად ესიყვარულებიან. მაგრამ რაში  
აღგია მაგ უბედურს? მერე და, ასეთი  
კარგი მანაც არ იყოს, — რა სახე, რა  
ფერხორცი, რა ტანადი...

არც ისეთი ლამაზი სახე ჰქონდა, რო-  
გორც დედის თვალს ეჩვენებოდა, ზო-  
ლო ტანადი მართლაც იყო.

— ვაი, ჩემო უბედურო თავო, რავე  
სულ გამოვჩერჩეტდი ამ სიბერეში! —  
წამოვარდა დედობილი. — გული შეგი-  
წუხე ამდენი ლაქლაქით და ისიც ვეღარ  
მოვიზარე, რომ წშიერი იქნები და მოს-  
ვენებაც გჭირდება. შენი ნახვის სიზა-  
რულმა დამარტყანა. შვილო, შენვე  
უნდა გადავაბრალო, ამით უნდა მო-  
ვიწმინდო ნაშუსი.

არ გამიდევს თავპატივი და დავუდას-  
ტურე, რომ საუზმეზე უარს არ ვიტყო-  
დი.

— ახლავე, შემოგველოს პატარა დე-  
და. ამ წუთში, ჩემო გამხარებელი! —  
დატრიალდა, ჯერ ჭიშკრისკენ გასწია,

რაღაც უთხრა მეზობელ დედაკაცს, მე-  
რე გამობრუნდა და სახლსკენ უწავი-  
გმანდა.

ზღურბლთან დავეწიე და სახლში შეე-  
ყვიე... ისევ ის ოთახი, ფართო, განიერი,  
ოდნავ დაბნელებული, ოლონდ შუაში  
კერა აღარ იყო და ჭერიდან ჩამოშვებუ-  
ლი ჯაჭვიც ჩამოეხსნათ. შუაცეცხლის  
მაგიერ ახლა კუთხეში განიერი ბუხარი  
დავიანხე.

— აქეთ, შვილო, აქეთ! — მეორე  
ოთახში შემძღვა დედობილი.

ის ჩემს შემდეგ მიეშენებინათ, უფრო  
პატარა, მაგრამ ნათელი. ღია ფანჯრი-  
დან მზის სხივი შემოდოდა და იატაკზე  
გრძლად ეფინა.

ვიგრძენი, აქ ნათელას სამყარო იყო.  
უსინათლოც კი ილამაზებდა თავის ცხო-  
ვრებას — საწოლთან დაფენილი იყო  
ფარდაგი, კედელზე გიტარა ეკიდა, რო-  
მელიც, ალბათ, მისი ერთადერთი მეგო-  
ბარი და გამართობი იყო მოწყენილობის  
წუთებში. პატარა მრგვალ მაგიდაზე  
ეწყო ქალის სამკაულები: სამაჯური,  
გულის ქინძისთავი, ქარვინ მანიაკი.  
აბრეშუმის ჭრელი ხილაბანდი. მაგრამ  
ნათელას რა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა  
მათზე? იქნებ ეს მხოლოდ ბუნდოვანი  
მოგონება იყო იმისა, რაც ბავშვობაში  
ენახა, ან იქნებ თავისი ქალური ინსტინქ-  
ტით გრძნობდა მათს სილამაზესა და და-  
ნიშნულებას?

არ მოვერიდე დედობილს და ვთხოვე  
საუზმე სახელდახელოდ მოეტანა. ლო-  
დინის თავი არ მქონდა, მოსვენება მენა-  
ტრებოდა.

— როგორც ვერჩიოს, როგორც შენ-  
თვის უკეთესი იყოს, — ფუსფუსებდა  
პატარა დედა.

ტაბლა შემოიტანა, გააწყო და გამი-  
მასპინძლდა.

საჩქაროდ ვისაუზმე და გაუხდელი  
ტახტზე გავიშოტე. ახლა ვიგრძენი, რა  
დადლილი ვყოფილვარ.

მეორე ოთახიდან ერთხანს მესმოდა  
ქალების ლაპარაკი, მერე ნათელა შემო-

ვიდა ფეხაკრეფით, რაღაც თეთრი ნაქუ-  
რი ამოიღო კარადის უჯრიდან და ისევ  
ჩუმად გავიდა. უკანასკნელად ჩამესმა  
საცრის ტყაცუნის, — დედობილი უკვე  
შეღდგომოდა ვახშმის სამზადისს...

— ძილის გულა ყოფილხარ, ჩემო ბი-  
კო! — ხალისიანად მომამახა პატარა  
დედამ, როგორც კი თვალი გაეახილე. —  
დიდიხანია დაღამდა!

რთახში ლამპა აენთოთ.

დედობილის ხმაზე ორი მამაკაცი შე-  
მოვიდა. ალექსანდრე მაშინვე ვიცანი.  
მალაროელთა ფორმის მუნდირში იყო. —  
ალბათ ჩემს პატივსაცემად ჩაეცვა. მკერ-  
დზე მედელი და რაღაც ნიშანი ჰქონდა  
მიბნეული. როგორც ყოველთვის, ახლაც  
დინჯად ეკირა თავი. უძრავ სახეზე მხო-  
ლოდ თვალები უღიმოდა ოღნავ, რაც  
უკვე იმას მოწმობდა, რომ დიდად გახა-  
რებული იყო.

მეორე არ ვიცოდი ვინ იყო, მაგრამ  
მაშინვე მიგხვდი, რომ ანდრია იქნებო-  
და. აქ კი არა, სადმე უცხო ადგილას  
რომ შემხვედროდა, არ შეიძლებოდა არ  
მეცნო. თავის დედას ჰგავდა უცნაურად:  
მისი თვალები, მოძრავი სახე, ისეთივე  
ჩასხმული, ოღონდ ცოტათი მალაი.

სიხარულით წამოვევარდი და გადავეხ-  
ვიე ძმობილებს.

— კიდევ კარგი, რომ ახლა მაინც გა-  
გვიხსენე! — თითქოს საყვედურით, მაგ-  
რამ სიყვარულით მითხრა ანდრიამ.

პირველი წუთების უნერხულობა მა-  
ლე გაუქრა და ამის შემდეგ ისე მეთა-  
მამებოდა, როგორც ყველა შინაურს.  
ანდრია იმითაც ჰგავდა დედას, რომ მასა-  
ვით ხალისიანი და დაუტყობელი იყო.  
ალექსანდრეს კი ისევ დინჯად ეკირა  
თავი და ჩემი ნახვის სიხარულს იმით  
გამოხატავდა, რომ ხანდახან მხარზე მო-  
მითათუნებდა. ეს ბრგვე ვაკაცო არა თუ  
მარტო ჩემთან, თავისიანებთანაც მორი-  
დებული და მორცხვი იყო.

იმ ღამეს დიდახანს ვუსწედიო სუფრას.  
ყველაფერი უხვად იყო და გემრიელი.  
პატარა დედამ მასპინძლობის ყოველი  
თავისი ხელოვანება გამოიჩინა.

ჩვენ მრავალი რამ გვექონდა ერთმანე-  
თისთვის საამბობი. იმ დროიდან, რაც აქ  
ჯერ კიდევ ბავშვები დაერბოდით,  
მთელმა ცხოვრებამ გაიარა. თვითული  
ჩვენგანი საკუთარ დიდ გზაზე დამდგა-  
რიყო და ახლა როდესაც უურს ვუგდებ-  
დი საუბარს, ვგრძნობდი, რომ არ შე-  
მოგვხარჯოდა ის განძი, რომელიც ამ  
სახლიდან გაგვატანეს — ყველას გვექონ-  
და სიცოცხლის დაუსრეტელი ხალისი.


— ორჯერ მოგაკითხე ქალაქში —  
მითხრა ანდრიამ, — და ორივეჯერ ასე  
მითხრეს, გათხრებზე მუშაობსო. რას  
ეძებ მიწაში, სულ რომ იმას ჩიჩქნი?  
რა ხელობაზე ხარ?

ვუამბე რაზე ვმუშაობდი და რას ვე-  
ძებდი.

ყველა ყურადღებით მისმენდა და  
გულწრფელ ცნობისმოყვარეობას იჩენ-  
და იმ საიდუმლოსადმი, რომელსაც,  
თურქმე, მიწა ინახავდა თავის სიღრმეში.  
მხოლოდ დედობილის სახეზე ვკითხუ-  
ლობდი, რომ მრავალი რამ ვერ გაეგო  
ჩემი ნაამბობიდან. ერთხელ გაკვირვე-  
ბაც გამოსთქვა: „რა განათლებული კა-  
ციის საქმეა მიწის თხრა და გამოუსადეგა-  
რი ძველი ნივთების ძებნა?“ ვიგრძენი,  
არ იწონებდა ჩემს საქმიანობას.

— ყოველგვარი სიკეთე რომ მას-  
შია... — ღიმილით სთქვა ანდრიამ. —  
შენ მეცნიერებას ეწევი და წარსულის  
ამბავს ვებულობ მისი წყალობით, მე კი  
ღღინს ვაცლი, რომ დღეს ადამიანს ემ-  
სახტუროს...

მერე ხელი ჩააქნია და დაუმბატა:  
— არა, მშაო, ჩვენ კი არა, ის გვაც-  
ლის ღღინს. პატარა ბავშვი არ საჭი-  
როებს იმდენ მოვლას და ზრუნვას. მო-  
უვლო — სიკეთით გადაგიხდის, სრა  
და — ნურაფერს ელი, ნურაფერს მოს-  
თხოვ...



— დაილოცა მიწის მადლი, ყველაფერი მისგანაა — მოკრძალებით ჩაილაპარაკა დედობილმა. მეურნე გლეხის ქალი პატარაობიდანვე მიჩვეული იყო იმას, რომ მოწიწებით უნდა წარმოეთქვა ადამიანის მარჩენალის სახელი.

მხოლოდ ნათელა არ ერეოდა საუბარში, ალექსანდრესათვის ხელი მოეხვივნა, თავი მის მხარზე ჩამოედვა და გაჩუმებული გვისმენდა.

— ერთხანს არც იფიქრო აქედან წასვლა, — მითხრა ანდრიამ. — უნდა ნახო როგორია ახლა ჩვენი შინდოვანი. ის არ გეგონოს, შენ რომ დასტოვე.

— სულ ვენახად იქცა აქაურობა, შევილო, ველარ იცნობ, — სიტყვა ჩაურთო ანომ და სიამაყით დაუმატა: — დიდ სასახელო საქმეს აკეთებს, ჩემო გამხარებელო, შენი ძმობილი...

ანდრიას გულიანად გაეცინა:

— შენს დედობილს რომ აკითხო, მთელი ქვეყნიერება ჩემი აშენებულია. არც აგრეა საქმე, დედაჩემო. ჩემისთანა ათასია აქ, ხელდაკრეფილი არავინ არ ზის.

ანდრიას სიცილმა პატარა დედას აგრძნობინა, რომ გადაამეტა შვილის შექებაში. როცა სხვების სახეზედაც დიმილი შენიშნა, დაირცხენა და სიტყვის გამოსწორება სცადა:

— მეც ხომ იმას ვამბობ, ჩემი თავი შემოგველოს, რომ ყველა მხარში ამოვიდგა. აქაურობის აუგს ვერავინ იტყვის, ხალხიც სხვა არის ახლა, უფრო უკეთესი გახდა.

ანდრია მიაშობდა, როგორ ეშაღებოდნენ რთველისთვის. წარსული შემოდგომიდან დიდი შრომა გაეწია სოფელს და ახლა უხვი მოსავლის მოლოდინში იყო. მეზობელ კოლმეურნეობის ზემო უბანში ადიდებულ მდინარეს მოზრდილი ნაკვეთი წაეხდინა, თორემ, ეს რომ არ მომხდარიყო, შინდოვანს იქნებ პირველი ადგილი დაეკავებინა რაიონში.

— მათივე ბრალია რომ წახდა — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

— ნამდვილად აგრეა, — დაუდასტურა ანდრიამ. — წყალს რა კვებავთ ფხვნილები, საითაც ზნას იშოვის, უკმედიანად პირს. რაც უნდა დიდი მოვარდნილიყო. ვერაფერს იზამდა, რომ ნაბირი გამაგრებული ჰქონოდათ. კიდევ კარგი, დროით გაგვაგებინეს და მთელი სოფელი გავედით დასახმარებლად, თორემ, შენი მტერია, წალეკავდა იქაურობას.

— უიმე, რა ლამე იყო, რა ცოდვის კითხვა იყო! — თითქმის შეიცხადა ამ მოგონებაზე ანომ.

— შარშანწინდელი შემთხვევა მაინც აღარ ახსოვდათ? იკითხა ალექსანდრემ. ანდრიამ ხელი ჩააქნია:

— კი ახსოვდათ, მაგრამ თავი ვეღარაფერს გაართვის. პატარა კოლმეურნეობა და ყველაფერს ვერ გასწვდა. თავმჯდომარეც, ცოტა არ იყოს, მეტიჩარა ჰყავთ. ერთხელ რაღაცაზე დახმარება შევთავაზეთ და იუკადრისა — ჩემი ხალხი თვითონ გაუძღვება თავის საქმესო, სხვისი სამადლო არაფერი გვეპირდებაო... კეთილი სურვილი ბევრი აქვს, ესაო და ფრინველების ფერმა მინდაო, სანერგე უნდა გავაშენოო. ათასნაირი გეგმა უტრიალებს თავში, მაგრამ რას გასწვდება, როცა მუშახელი არ ყოფნის?

— იმათ მხოლოდ თქვენთან შეერთება უშველის, — სთქვა ალექსანდრემ.

— ჩვენც მაგას ვურჩევთ! ამით წელში გაიმართებიან ისინი და ჩვენც უფრო ღონიერი ვიქნებით. აბა რა გამოდის ისე — ერთ სოფელში, ერთნაირ მიწაზე ჩვენ სანერგეც გვაქვს, ფერმაც, მანქანა დაგვყავს მინდორში, ისინი კი მხოლოდ შემოგვნატრიან. რატომ მერე? იმიტომ, რომ ათი კაცი ასის საქმეს ვერ მოერევა. ანუ არაა? ჰო და, თითონაც წვალობენ და ჩვენც გვაბრკოლებენ. ამპარტაუნობენ, კულაბზიკობენ, და ბოლოს მაინც საღრიტინოდ უხდებათ საქმე. აგერ ახლა დღესაც მოვიდა მათი თავმჯდომარე და სიტყვა ჩამოგვართვა, რომ ყურძნის გადასაწიდავად ხაქო-

ნელს ვათხოვებდით. ეგ კი არა, ხალხიც უნდა მივახმაროთ, რომ დროით ჩაატაროს კრეფა.

— პატარა კოლმეურნეობა ცალხელა გლეხს გავს, — თქვა ალექსანდრემ.

— ნამდვილად აგრეთა — დაემოწმა ანდრია. — მისთვისაც სჯობს და ჩვენთვისაც, რომ შევერთდებოდეთ, ორთავენი გავძლიერდებით. მერე და, რა ხალხია შინდოვანი! რა უნდა იყოს, რომ მისმა ხელმა არ გააკეთოს! ხმელი ტოტი აუყვავდებათ ხელში! — თავმოწონედ და სიცილით დაატანა ბოლოს.



შუალამე გადასული იყო, როცა წამოვიშალენით. პატარა დედა დიდხანა ყვინთავდა, — ის ხომ ალიონზე ადგომას იყო დაჩვეული. შმის მხარზე მინდობილი ნათელაც სთვლემდა დროდადრო და ხუჭავდა თვალებს. მისთვის მუდამ ღამე იყო, მაგრამ დაღლილი ქუთუთოები მაინც ითხოვდნენ მოსვენებას და ეკეცებოდნენ.

საყვარელ ადამიანებთან საუბრის შემდეგ და ღვინისაგან აგზნებულს ძილი დიდხანს არ მომეგარა. ნაცად ხერხსაც მივმართე — წიგნი გადავშალე და თვალი დაეღალე, მაგრამ ჩაეაქრე თუ არა ღამმა, უმალვე გამოვფხიზლდი.

თვალდაკეცილი ვიწეკი და ღია ფანჯარას გაყურებდი... სად შეიძლება ისე დაუსრულებლად ილაპარაკო სოფლის ღამის სიჩუმეზე. ცაზე გავრულ ღრუბლებზე, ან მთვარეზე, როგორც მოთხრობაში? საბრალო სიჩუმე, საბრალო ღრუბლებო, საბრალო

მთვარე! ვისთვის და რისთვის არ შეუღარებინართ იმისდამიხედვეთ, რა უნე ჰქონია და რა გუნებამე უყოფილა იმ წუთში ავტორი! საყვარელო სიჩუმე, საყვარელო ღრუბლებო, საყვარელო მთვარეო, — ამ ჯერად მე შეგიბრალებთ და არაფერს შეგადარებთ. ვიტყვი უბრალოდ და გასაგებად: არავითარი ხმა არ არღვევდა სიჩუმეს და ვინაიდან მთვარეს ღრუბელი ფარავდა, ბნელი ღამე იყო.

საღდაც კედელში კივინა შემძვარა და ესეც ძილს მიფრთხობს. ჩემს მდგომარეობაში მყოფი სხვა ვინმე, რა თქმა უნდა, წარსულის მოგონებებში გაეხვეოდა. ეს ხომ ბუნებრივი იქნებოდა ამ ვარემოში. მაგრამ რატომაა, რომ ახლა სრულიად არ შემიძლია წარსულზე ოცნება? ჩემი ფიქრები აბურღულია, თითქოს თავგზააბნეულნი დაბორიალებენ და უფრო ხშირად რატომღაც ისევ ვაშლოვანი წარმომიდგება თვალწინ, ხოლო ვაშლოვანში დოდონა, რომელსაც ამ წუთში, ალბათ, ტყბილად სძინავს და სიზმრადაც არ ელანდება, რომ საღდაც მეზობელი სოფლის ღამის სიჩუმეში ვიღაც ოცნებობს მასზე. დოდონა, დოდონა! მე უკვე შევეჩვიე ამ სახელს და აღარ მესამუშება მისი გავონება... უძილობისაგან მეწეის თვლები, დიდხანია ვცდილობ დაეხუტო და მოვასვენო, მაგრამ ისინი ჩემს ნებას არ ემორჩილებიან და, თითქოს მის სახეს ეძებდნენ, ისევ დაფოთარობენ ბნელში. მაგრამ ისე საამოა ფიქრი დოდონაზე, ისეთი სიტყბო შეაქვს გულში, რომ აზრადაც არ გამოილევებს ვთქვა საყვედური და მეც განვაგრძობ ოცნებას მხოლოდ მასზე, მხოლოდ მასზე...

(გაგრძელება იქნება)

## შყვი არ ნაჲა ვიჲგნაჲისკჲ

„ლოკერები უარს აცხადებენ იარაღით დატვირთული ამერიკული ხომალდების გადმოტვირთვაზე“.

გაზეთებიდან.



მას ამოძრავებს ერთი სურვილი —  
ნათელი აზრით განათვალადებს,  
შებოქოს ზელი აგრესორების,  
ისევე ომების ხანძარს რომ ანთებს,  
პირქვე დააფხოს ლმერთი ომების,  
ვაშინგტონით რომ მოჰყვა ხომალდებს.  
ტყვია არ წაჲა ვიეტნამისკენ,  
იქ, ზღვის ფსკერზეა საჲანე მისი:  
მან ვერ დაცხრილოს მართალი გული,  
მან ვერ დაღვაროს მართალი სისხლი!  
მკერდგანიერი, შავი ღოკერი  
იარალს შორს, ზღვის ფსკერისკენ ისერის...  
იგი მებრძოლთა სანგრებს მოძებნის  
და მრავალტანჯულ თვალებს ჩახედავს...  
რომ დაამშვიდოს თანამომჲენი,  
ეტყვის, — არ მოგა ტყვია აქედანს! —  
ვიეტნამელის სანგრებს მოძებნის  
და მრავალტანჯულ გულებს ჩახედავს.  
სადაც მასაა მილიონების,  
იქ ადვილია სიკვდილთან შებმა,  
იქ უძლურია ლმერთი ომების,  
უზადრუჲია მარშალის გეგმა.  
ლოკერი ომზე გამარჯვებული  
ნელის ღიღინით დატოვებს გემბანს.



## ნაზიჲი ვიჲჲეთს

გულს ვინ გართმევს სიმღერებით აესილს?  
ვინ შებილწა შენი წმინდა აზრი?  
სიცოცხლეზე მღერის შენი საზი...  
მას უსმენენ შორს, სტამბოლის იქეთ!

შენი სიტყვა — მტრის გულდასაზრზი,  
ოკეანის ქარიშხლების მსგავსი...  
გულს ვინ გიკლავს სიმღერებით აესილს?



არ გაჩუმდე, არ გაჩუმდე, ნაზიმ:  
შენ ვისმენენ შორს, ბოსფორის იქეთ!

წყალზე ნისლი და ბოსფორის წყალზე  
ჟამი მწუხრის, მზის თანდათან დასვლის...  
მზე არ გვინდა დამავალი, ნაზიმ,  
ამომავალს უხმობს შენი საზი,  
გავიგონეთ ისტამბულის იქეთ!

შენ ვერ ხედავ ტალღას მიმედ მომსრბოლს  
ნაპირებთან, ვით ივანებს მწუხარი...  
შენ ვერ უსმენ ოლეანდრის ფოთოლს.  
გაბრწყინებულს მთვარის მკრთალი შუქით...  
მთვარე მშვიდად დასდგომია ბოსფორს...  
მზეს, მზეს ეძებს ნაღვლიანი თურქი!

ვარდი უნდა გაჯავრებულ ბულბულს:  
გული, გული ამღერდება უკეთ!  
ლამე უნდა დაღონებულ ბულბულს...  
არა. იგი არც ღამეებს უმღერს!  
იგი ამცნებს დაღამებულ თურქეთს,  
მზე ამოდის, მზე მოსკოვის მხრიდან.

გულს ვინ გართმევს სიმღერებით ავსილს?  
ვინ შებილწოს შენი წმინდა აზრი?  
შენ დაწყევლე ღამეები, ნაზიმ,  
სფინქსებრ მღერის, სფინქსებრ შენი საზი:  
მზე ამოდის, მზე, მოსკოვის მხრიდან!

136470



## სამი ლექსი

★

### ნატალაძარის ხორბალი

თითქოს მზის გულზე გამხმარი  
ხორბალი ცვივა ტომრიდან,  
თითქოსდა ახალთახალი  
ხორბლის სურნელიც მოფრინდა.

როცა გავკეცე ლავაში —  
ნამტყეცი, ნაქალაქრული,  
წამოვიმართე და მაშინ  
ვთქვი საღღერძელო ქართული.

ამ პურის მადლით ვყოფილვართ  
და გვიცოცხლია ამ პურით,  
ზედ კოლმეურნის ოფლია,  
წმინდა ოფლია ნაპყერი.

ალალი გულით დავლოცე  
გლებჯაცის ნაამგარი.

ნამტყეცს გლეხურად ვაკოცე,  
დავლოცე ნაქალაქარი.

სად მახობელა კი არა,  
ხორბალი იცის დივისა.  
სადაც ყანები შრილა  
ცვარს ეწაფება ცისკრისას.

სად სუნთქვადამძიმებული,  
გამოკეპილი მკერდებით,  
ზეზეურჩაძინებული  
სპილოებს ჰგვანან ბელღები.

ნაქალაქრიდან ქარავენებს  
მოაქვთ ხორბალი ქალაქად,  
ნუმც დაგვლეოდეს ქართველებს  
ქართული ყანის ბარაქა.

### ზეზეადგომით დავლოცოთ

★

— რა მოკლავს, რაკი ეღირსა  
პაპაშენს შენი შინ მოსვლა,  
სად ხარ, ეშმაკის ფეხისავე,  
სად დაივარგე, შვილოსან?..

გამოიტანა ხალიჩა,  
ძირს გაუშალა გულქრელა,  
ბროწეულები დახლიჩა,  
გაწყვიტა თხილის ჩურჩხელა.

გატეხა პური შუაზე  
და დააყოლა ბოლოს ეს:

— ჰე, შვილო, მტერი სულ ასე  
გადატეხილი გვეყოლოდეს.

ბერიკაცს, აღმათ, ბევრი აქვს  
შემონახული სათქმელი.  
იჯდა, უსმენდა ბერიკაცს  
ჯეელი ნაქალაქრელი.

იჯდა, უსმენდა ჯეელი, —  
ცქერა საცქერმა მოსტაცა,  
ლომკაცთა შთამომავალი  
იჯდა ლომკაცი ლომკაცთან.

— რა მოკლავს, რაკი ეღირსა  
პაპაშენს შენი შინ მოსვლა?  
მითხარ ამბები ქვეყნისა,  
არ დაიზარო, შვილოსან.

— იქნებ გაიგე, პაპე, ეს,  
ან იქნებ ყური მოკარი.  
ბერიამ თქვა, რომ გამრავლდეს  
ქართლში ქართული ხორბალი.

აქ გაელიმა ბერიკაცს,  
წინ აეჯეჯლა ყანები.  
მეც ვუსმენდით ბერიას,  
მის სახელს ვეთაყვანები.

მეც მკითხე ქვეყნის ამბები,  
ყრუ არ გეგონო, შვილოსან,  
დავლოცოთ ფეხზე ადგომით  
ახალი ხორბლის შემოსვლა.

## ჯეჯილი

★

ყაყაჩოები ენთო ჯეჯილში,  
როგორც შექურა ზღვაში ათასი,  
ჯერ არ მიხილავს ჩემს სიცოცხლეში  
ჯეველს ჯეველი ასე ლამაზი.

მამ დამიჯერეთ სიტყვა მართალი  
და შეიყვარეთ, რაც შემეყვარდა.  
შე მათებდა მწვანე თავთავი,  
გლახიკაცივით თავს რომ მიკრავდა.

მამინ ვიწამე: ჩემი სიცოცხლე  
რა არის აბა, უამყანებოდ...  
რამდენ წინაპარს უთქვამს: იცოდეთ,  
მკვდარს ხელეური დამაყარეთო.

საქართველოში მოვლა ყანების  
თვით სიმღერაზე უწინ ისწავლეს,  
რადგან ოდითგან ვეთაყვანებით  
ბელტებრძიანი მიწის სიმწვანეს.

ჯერ არ მიხილავს ჩემს სიცოცხლეში  
ჯეველს ჯეველი ასე ლამაზი,  
ყაყაჩოები ენთო ჯეჯილში,  
როგორც შექურა ზღვაში ათასი.

გაბლანდულიყო ხეარტქლა ბილიკზე,  
გადავიქეცი ლამის ხარ-ირმად,  
ბარძა-ბალახიც ჰგავდა პირიმზეს,  
თავზე მოეგდო ცვარი ყვავილად.

მხრებზე მალვრიდა შხეფებს ჯეჯილი,  
მისი ნამცერევით ვილუმბებოდი.  
ამ აღელვებულ ზღვაში შეჭრილი  
ყაყაჩოების შუქს მივყვებოდი.

ასე მეგონა, ყანებს კი არა,  
ქარი არხევდა შავზღვას ღმუილით.  
აღმოსავლეთით ჩანდა ბლღვიალა  
ნაქალაქარი — ნავსადგურივით.

## მძროს ჩარღანი

რომანი \*

★

მგზავრები დაბინდებისას მივიდნენ სკანდნეში. მეფის ციხედარბაზის ტანწერწეტა მალალი კოშკები ბინდბუნდში გოლიათებივით აღანდულიყვენ. ბკეებთან მგზავრებს მეთოფურები შეეგებნენ, ცხენები ჩამოართვეს და ეზოში შეუძღვენენ. აქ ბესიკმა თვალი მოკკრა ციხის მალალ ზღუდეზე მიშენებულ ქვითკირით ნაგებ სამეფო პალატს. კარის ეკლესიას და რამდენიმე ძელურ შენობას, რომელნიც ბელღები აღმოჩნდნენ. მეფის მსახურნი და მეციხოვნენი კოშკების და ციხის კედლებში დატანებულ სენაკებში ცხოვრობდნენ.

პაპუნამ უბრძანა მსახურთ, მეფის დიდ პალატაში დაენთოთ ბუხარში ცეცხლი და ლოგინებიც იქვე გაეშალათ. მსახურები მაშინვე შეუდგნენ ბრძანების ასრულებას, სანთლები აანთეს და უზარმაზარ ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზეს. დარბაზში ბესიკმა გაოცებით მიმოიხედა. მთელი კედლები და ქერი მოხატული იყო.

— რაო, გაგიკვირდა? — ჰკითხა პაპუნამ.

— დიახ, მეგონა ტაძარში ხომ არ შეესულვართ მეთქი. ჩვენში პირველად ვხედავ საცხოვრებელ სადგომს, სადაც კედლები ასე იყოს მოხატული. რუსეთში ბევრი მინახავს. სპარსეთშიც. აქ კი პირველად ვხედავ.

— კიდევ ნახავ, — უპასუხა პაპუნამ. ბესიკმა ერთ შანდალს ხელი დაავლო

და კედლების თვალიერებას შეუდგა. აქ უმეტესად ჭარბობდა საერო ყოფაცხოვრების გამომხატველი სურათები: ყაბახი, მშვილდისრით ნადირობა, ნადიში, ცეკვა-თამაში ანუ როკვა, ჩოგნით ბურთაობა და მრავალი ამის მსგავსი. ერთ კედელზე ზოდიაქოს ნიშნები იყო გამოსახული, ზოლო ფანჯრების შორის იმერეთის მეფეები მიეხატათ.

ფეოდალთა ყვარულეაულ სურათებს ქვემოთ მხედრული წარწერები ჰქონდა.

კედლების შემოვლის შემდეგ ბესიკმა შანდალი ბუხრის თახჩაზე შემოდგა და ცეცხლს მიეფიცა.

— ამოდენა ბუხარიც არ მინახავს, — სთქვა ბესიკმა, — აქ აღბათ მთელი ხარო შეიწევა.

— აქ ხარიც ბევრი შემწვარა და ირემიც, — ღიმილით უთხრა პაპუნამ და მსახურთ უბრძანა ვახშამი დაეჩქარებიათ.

მგზავრებისაგან დაღლილ ბესიკს თბილმა ბუხარმა სწრაფად მორია ძილი. მაშინვე მიწვა ტახტზე და თუმცა ფარეშები ირწმუნებოდნენ, ვახშამი ახლავე იქნებოა, ძილს თავი ვერ გაართვა და გათენებამდე თვალი არ გაუხელია. დილას გაიღვიძა თუ არა, პირველი, რაც მოაგონდა, მღვიმის მონასტერში ნახული მონაზონი იყო. გულმა ისე ნაღვლიანად დაუწყო ტკივილი, რომ მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, რათა როგორმე კაემანი მოეშორებინა. ბუხარში ნაღვერდალი მოქექა და ცეცხლი გააჩაღა. ხმაურზე სახლთუხუცესმაც გაიღ-

ვიდა და ისიც ფეხზე წამოიჭრა. მან წინაღობით გაიგო, მეფე უკვე ქუთაისის მობრძანებულაო. და სურდა რომ გზას დროზე დადგომოდა. მართალია, დაავიანა ქუთაისის მისვლა, და ამაზე მეფე მას დიდად არ უსაყვედურებდა, მაგრამ პაპუნა მაინც ჩქარობდა, რათა მეფე ბესიკის მიყვანით გაეხარებინა. ამიტომ წამოლგა თუ არა, მაშინვე ბრძანა, რომ ცხენები შეეკაზმათ.

— ამინდი გაფუჭდა ბატონო — მოახსენა სადუნამ, — წყალთოულია, იქნება მოგვეცადა პატარა.

— შენ ის ვააკეთე რასაც ვიბრძანებენ, — შეუტია პაპუნამ მსახურს, — წყალთოულია! ასეთ ამინდში გარეთ გამოთევია ხოლმე დამე.

სადუნა გაეარდა გარეთ ბრძანების შესასრულებლად და ნახევარ საათის შემდეგ უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. ისაუბმეს თუ არა, მაშინვე შესხდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ.

სიცივე ძვალში ატანდა. სველი თოვლი თვალბში სცემდა მგზავრებს და გამოხედვის საშუალებას არ აძლევდა. ატალახებულ თიხნარზე ცხენებს ფეხები უცურდებოდათ. აქაიქ ლობებზე მოვარდნილი ნაგაზები ბრაზიანად ყუფდნენ, მაგრამ შარზე გადმოსვლას ვერ ბედავდნენ. ნაბაღში გახეყული ბესიკი სიცივისაგან ძაგძაგებდა და ნატრობდა რომ როგორმე ჩქარა მისულიყვნენ ქუთაისს. გზაც რაღაც დაუმთავრებლად გაგრძელდა. ამ პატარა გორაკზე აღარ ჰქონდა დასასრული აღმართ-დაღმართებს და პატარა მდინარეებს. ბოლოს, როგორც იქნა, გალიეს სალორის ტყე და გამოჩნდა ქუთაისი. სახლთუხუცესმა მათრახის ტარით ანიშნა ბესიკს, აი იქით რომ გორაკს ხედავ, რიონის გაღმა, დიდი ტაძრის ნანგრევები რომ მოჩანს, იქაა ქალაქი ქუთაისი, ხოლო გამოღმა რიონის მარცხენა მხარეს, დაბლობში რომ სასახლე მოჩანს, ისაა სოლომონ მეფის დიდებული ოქროს ჩარდახი.

ბესიკი ძალზე ცდილობდა დაენახა ქალაქი, მაგრამ სამი თუ ოთხი კვლისი გარდა ვერაფერი ვერ გააჩინა. მთელი მიდამო დაფარული იყო ჯავნარივით გაუვალი ტყით. თუმცა ამ ტყეს ფოთოლი გაცვნილი ჰქონდა მის ტოტებში მაინც არაფერი არ მოჩანდა, არც მთაზე, არც დაბლობებში რიონის პირად.

„ეს რა ქალაქია, ან სად არის ქალაქი?“ — გაუელვა გუნებაში ბესიკს. ვერც მეფის სასახლეს მოჰკრა თვალი, თუმცა ბევრს ეცადა დაენახა.

ბესიკს ზამთრის ბუნდოვანმა დღემ შეუშალა ხელი ქალაქი კარგად გაერჩია, თორემ ის არც ისე ასათვალწუნებელი იყო.

ქუთაისი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთს ერქვა დიდი ქუთაისი და ის რიონის მარჯვენა მხარეზე გორაკზე იყო გაშენებული. ამ ქალაქის უძველესი ნაწილი დუღაბით ნაგები კედლით იყო შემოზღუდული. ათი ადლის სიმაღლის მტკიცე გალავანს ოცდაათ ადღზე ატყარცნილი შვიდი კოშკი ამშვენებდა. ამ ციხეს ეყვროდა შემდეგში გაზრდილი და მეორე ზღუდით შემოსაღტული ქალაქი თავისი ვიწრო და ტალახიანი შეკებით, სავაჭრო დუქნებით და სახელოსნოებით.

ქალაქის მეორე ნაწილს, რომელიც რიონის მარცხენა მხარეს იყო გაშენებული და ძველ ქალაქს ჯაჭვის ხილით უერთდებოდა, ერქვა პატარა ქუთაისი, თუმცა სივრცით ის გაცილებით სკარბობდა ძველ ქალაქს. აქ იყო მეფის სასახლე. სამეფო სასტუმროები და ქარვასლები, კარის მსახურთა სადგომები ბელლები, საჯინბოები, ნახაბაზოები და სხვა მრავალი ნაგებობანი. მარტო ეს შენობები იყო საკმარისი, რომ ამ კუთხეს ქალაქი წოდებოდა. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრებოდა პატარა ქუთაისის მოსახლეობა. ჩრდილოეთ მხარეს, რიონის ნაპირას, მწვანეყვავილას ტაძრამდე სახლობდნენ კათოლიკე ქართველები, რომელნიც თავიანთ თავს

ფრანგებს უწოდებდნენ, და ებრაელები, რომელთა ქოხები წიწილებივით შემოსეოდნენ საბაზრო მოედანს. ამ მოედნის შუაგულში იდგა სამრეკლოს მაგვარი ქვის სვეტებიანი ფარდული, სადაც სახურავ ქვეშ საგანგებოდ გადებულ ძელზე ეკიდა უზარმაზარი სასწორი. პარასკეობით და კვირაობით მოედანი გაჭედილი იყო ახლო მახლო სოფლებიდან მოსული გლეხებით, რომელთაც მოქპონდათ მწვენილი, ყველი და კვერცხი, ხორბალი, სიმინდის ფქვილი, მოკყავდათ ქათმები, ცხვრები, ველური ტახის მაგვარი — მწვერებივით მაღალი ჯაგრიანი ღორები, დაბერებული და კისერგადატყაული ხარები ან საუღლე მოზერები და მეწველი ძროხები. ზედა ქალაქიდან ოსტატებს ჩამოქპონდათ თავიანთი ნახელოვნარი ბზის სავარცხლები, ლამაზად შეკერილი წულა-მესტები, მოქარგული ფაფანაკები, მოსირბული ჩაბალახები, გათლილი ყანწები, ვერცხლით შემოსალტული ხანჯლები და სამართებელივით ბასრი დანები, ებრაელები შლიდნენ თავიანთ ფუთებს და ვაჭრობდნენ თბილისიდან მოტანილ ლამაზად აქრელებულ ჩითებით, აბრეშუმის თავშლებით, საკაბე და საახალუხე დარაიით, ფერუმარილით. ჰინა და ბასმით და ათასი ამგვარი წერილმანებით.

ბაზარს ზედ ეკვროდა დიდი საჯირითო მოედანი, რომლის ერთ ნაპირას ჯაჭვის ხილის მხარეს ქვით ნაგებ მრგვალ კვარცხლბეკზე ამართულიყო ყვერით გადახურული რვა სვეტიანი თალარი. აქედან მეფის შალტები ანუ გზირები სხვადასხვა ბრძანებებს უცხადებდნენ საგანგებოდ მოდენილ მოქალაქეებს, ხოლო საზეიმო დღეებში ან როდესაც ლაშქარი მოიყრიდა თავს, მეფე და სარდლები აქედან აწყობდნენ ჯარებს რაზმებად და სადრომოებად.

რიონის პირას, თეთრად მოლაპლაკე ქარაფებზე დაშენებულ მაღალ თაღებზე იდგა სოლომონ მეფის დიდებული სასახლე „ოქროს ჩარდახი“. იგი ეკლარის

თეთრი ქვით იყო ნაგები, სიგრძით სამოცი ადგილი, ხოლო სიგანით ფეჭქვამტით. სასახლეს წინაპირზე ქამწკრივებული ჰქონდა ფერადი მინებით აქრელებული ოცდახუთკამარიანი ფანჯარა. ყოველ მათგანს შუაში ჩუქურთმებით შემკული დიდი ქვის სვეტი ჰქონდა დატანებული. რიონის მხარეს სასახლეს ამშვენებდა დიდი აივანი, რომელიც ძველ, რომაულ უჭერო დარბაზს წააგავდა, რადგან სამივე მხრით კედლებით იყო შემოზღუდული, ხოლო იმ მხარეს საიდანაც ლამაზი მოაჯირი რიონს გადაჰყურებდა, კამარებით შეკრული სვეტები ჰქონდა ჩამწყარივებული.

სასახლის კედლები და კერი მოხატული იყო ძვირფასი ფერადი სურათებით, ხოლო ჩუქურთმებით შემკული სატახტო დარბაზის თალიანი გუმბათი მთლიანად მოვარაყებული ოქროთი. ლამაზობით, როდესაც დიდ კანდელზე და კედლის შანდლებზე სანთლები აინთებოდა, მოქრული გუმბათი თვალისმოპყრელად ბრწყინავდა.

მაღლობზე გაშენებული დიდი ქუთაისის მსგავსად, დაბლობის პატარა ქუთაისიც შემოზღუდული იყო ჯერ ღრმა თხრილით და შემდეგ გაღავანიით, რომელსაც რამდენიმე ადგილას დატანებული ჰქონდა ძელქვის მაღალი ჯიხური. სასტუმროდ ქვეულ მეფის ქარვასლის კარიბჭეზე კი ამართული იყო ქვის მაღალი კოშკი, რომელზედაც ოთხი ზარბაზანი იდგა. ჯიხურებში და ქარვასლის კოშკში მუდამ იდგნენ მეთოფურები.

მგზავრები თავიქვე დაეშენენ, გაიარეს რიონის ბალახოვანი ნაპირი და მალე მიადგნენ ქალაქის ბუეებს, რომელსაც ორივე მხრიდან დარაგებივით ამოდგომოდნენ მსხვილი ძელებისაგან ნაგები სათოფურებიანი ჯიხურები.

სახლთუხუცესს მეთოფურები გამოეგებნენ, რკინის მოჭედილი ბუე გააღეს, ცხენებს სადავეში ხელი მოჰკიდეს და ყველანი მეფის სასახლის ჭიშკრამდე მი-

აცილეს. იქ მგზავრებს უკვე სასახლის მსახურნი შეეგებნენ.

სახლთუხუცესი აღმაცერად გასცქეროდა ბესიკს, სურდა მისი გამომეტყველებით შეეტყო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე მეფის სასახლის დანახვა. ვააკვირებდა თუ არა, მართლაც წარმტაცად ნაგები ეს შენობა, რომელსაც მთლად მოჩუქურთმებული ჰქონდა ქვედა პალატის სვეტები, კამარები, ლავგარდნები და ნაწიბურები, ხოლო წინა აივნები კი ნაქსოვი მაქმანივით მოჭარგული. შეიძლება, პეტერბურგისა და მოსკოვის სასახლეების შემდეგ ბესიკს მართლაც არ უნდა ვაკვირებოდა რაიმე, მაგრამ ასე ოსტატურად აგებულმა და ბეჭა ობიზარის ნაჭედი ხატივით ხვეული ჩუქურთმით შემკულმა შენობის დანახვამ მართლა გააოცა.

ისევე, როგორც პაპუნას სასახლეს, აქაც, „ოქროს ჩარდახს“ გარშემო ერთ-ერთ აუარებელი შენობები, იმ განსხვავებით, რომ აქ ყოველი სახლი, ბედელი ან თავლა გაცილებით დიდი იყო. სასახლის ეზოს ევლო მაღალი მესერი, რომელზედაც რამდენიმე ადგილას ჩამოეცვათ ცხენის თავის ქალა და ხარის ან ჯიხვის რქები, ერთ ადგილას კი დაცხობ მჭარე ბალის ქვეროს რომელსაც ტოტები დონჯებევით ჰქონდა გადაგრებილი. შუა ეზოში ამართულ დიდ ჭადარს, გარშემო თლილი ქვის ჩამოსაჯდომი ჰქონდა გაკეთებული.

აღარ თოვდა. ისეთი ნისლი იდგა, რომ მწელად გაარჩევდით, დღის რა დრო უნდა ყოფილიყო. შუადღეს ბევრად არ გადაცილებოდა, მაგრამ კაცი იფიქრებდა, ღამდებაო. ფარეშებმა დიდი ჭიშკარი გააღეს. შევიდნენ თუ არა ეზოში, ბესიკმა სასახლის აივანზე რამდენიმე მამაკაცი დაინახა. ისინი ჩუმად უცქეროდნენ ახლადმოსულებს. როდესაც ცხენებიდან ჩამოხტნენ, საღუნა მიუახლოვდა ბესიკს და ყურში წასჩურჩულა:

— მესამე, მარჯვნიდან, მეფეა.

— რომელი? — დაიბნა ბესიკი და აივნისაკენ ფარულად გაიხედა. უცბად ვეღარ მოისახრა მარჯვენად თავისი თუ აივანზე მდგომთა მხარი ნაეთვალა, და სანამ გაარჩევდა, რომელი იყო მეფე, პაპუნამ ანიშნა ბესიკს, მომყვიო, კიბე მკვირცხლად აირბინა, გზადგზა ნაბადი მოიხსნა, შეგებებულ ფარეშს გაუწოდა, შემდეგ ფეხები გადაიჯვარედინა, გულზე ხელები ასევე ჯვარედინად დიკრიფა და მეფეს თავდახრით მიესალმა.

— სადა ხარ, ყმაწვილო, აქამდე — მიმართა სოლომონმა პაპუნას, — გადაეწყდით ხალხი შენი ლოდინით. ეს ყმაწვილი ვინაა, საიდან მოვიყვანია?

ახლა უკვე ბესიკისათვის მწელი აღარ იყო გაერჩია, თუ რომელი იყო მეფე და შეეძლო გულდასმით დაეთვალიერებინა თავისი ახალი მფარველი და ბატონი. სოლომონი უფრო ახოვანად წარმოედგინა, მის წინ კი იდგა საშუალოზე ოდნავ მაღალი წვერგაბარსული მამაკაცი, სქელი, გადაგრებილი ულვაშებით და იმერულად თმაგაჩილი. სახის კუნთები ისე ჰქონდა დაკუნძულ-დაღარული, რომ ქვისაგან გამოკვეთილს მიუგავდა, ხოლო სქელი წარბების ქვეშიდან თვალთა ისეთი მტკიცე და განმგმირავი გამოხედვა მოჩანდა, რომ ბესიკს მაშინვე გაუელვა გუნებაში: სოლომონთან ორგულობა არ გაუვიდოდა და ლეონის დავალება სამუდამოდ უნდა დაევიწყნა.

— მართალია, მეფევე, დანაშაული მიმიძღვის, — მიმართა სახლთუხუცესმა სოლომონს, — მაგრამ, იმედია, არა თუ დამსჯი, კიდევაც დამაჯილდოენ. ნება მიბოძე მეფის ერეკლეს მიერ პატივყარილი და განდევნილი მგოსანი ბესარიონ გაბაშვილი გაახლო.

პაპუნა გვერდზე შებრუნდა და ბესიკი სოლომონს წარუდგინა.

— ეს შენ ხარ, ყმაწვილო, ცნობილი მგოსანი და მომღერალი? ჭეშმარიტად მოხარული ვარ, რომ ჩემს ჭერქვეშ გიხილე. შენზე ბევრი რამ კარგი გამოიგონია. სხვა? ბატონი ერეკლე როგორ

ბრძანდება? დარბაზში შევიდეთ, ბუხართან დავსხდეთ, დაისვენეთ, დაღლილი იქნებით.

— ნამეტანი დავილაღეთ, — უბახუხა პაპუნამ ბესიკის მაგივრად, მაგრამ სიცივემ და ცუდმა ამინდმა უფრო შეგვაწუხა.

ყველანი დარბაზში შევიდნენ. კარებთან, დიდებულები თავაზიანად უთმობდნენ ერთმანეთს ზვას. ბესიკი, როგორც სტუმარი, პირველი მიჰყვა მეფეს. დარბაზში დიღსა და განიერს ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა, იატაკი მთლიანად მოფენილი იყო ხალიჩებით და ნოხებით. კედლებზე შრავლად ეკიდა იარაღი, ხმლები, თოფები, დამბაჩები, ხანჯლები, მშვილდ-კაპარუკები. ხალიჩით დაფენილი ტახტი სავეს იყო ხავერდისა და სტაერის მუთაქა-ბალიშებით. ერთ კუთხეში იდგა დიდი კედლის საათი, ბუხრის ზედა თაროზე ეწყო სხვადასხვა ზომის წიგნები. დარბაზის დიდი ფანჯრები რიონს გადაჰყურებდნენ.

სოლომონმა ბესიკი ბუხართან მიიწვია და ხის საგარძელზე მიუთითა, თითონაც ასეთივე საგარძელზე დაჯდა, დანარჩენები, ზოგნი ტახტზე ჩამოსხდნენ, ზოგი სამფეხა უზურგო სკამებზე. ბესიკს მეფის პირდაპირ დაჯდომა ეუბნებოდა და ერთხანს ფეხზე იდგა, სანამ პაპუნამ თვალთ არ ანიშნა, დაეცქიო.

— შენზე ბევრი ქება გამოგია, ყმაწვილო, — უთხრა სოლომონმა ბესიკს. — ამბობენ, სახელოვანი მგოსანი იყო.

— აბა რასა ბრძანებ, თქვენო უმაღლესობავ, ჩემი ლექსები რა სახსენებელია.

— აგრეთვე დიდად განათლებული და შრავლის ენის მცოდნე არისო, მითხრეს, რომ ქერიმხანთან ყოფილხარ.

— გახლდით.

— რუსეთიც მოვივლია.

— იქაც გახლდით.

— მეტი ერთი იმერეთი დაგრჩენია და აბა, ესეც იხილე, — უთხრა დიმილთ სოლომონმა. — საოცარია, განა რა დანა-

შაული მიგიძღვოდა ისეთი, რომ ერეკლემ ექსორია ვიყო. ასეთ განაყოფებულ ყმაწვილკაცებს რომ ერეკლემ დაეხმოს ქვეყნიდან, ვისდა იტოვებს ახლოს? რისთვის დავსაჯა?

— ბევრი რამ ჩავიდინე ისეთი, თქვენო უმაღლესობავ, რაც თურმე დანაშაული იყო და ჩემი გულუბრყვილობით კი ჩვეულებრივ კაცთმოყვარეობად მიმანდა. უამიანობის დროს მთელი თბილისი რომ აიყარა, ყველა თავგზადაბნეული გარბოდა ქალაქიდან. საყრობილედანაც კი ილტვოდნენ ტუსაღნი. დმანისს მივდიოდი, გზად ალექსანდრე ამილახვარს წაეწყდი. თურმე, როგორც სამეფო კარის მსახურს და მდივანს, უნდა შემეპყრო იგი. მე კი ეს არ ვიცოდი და მას კოდამდე საკუთარი ცხენიც კი შევთავაზე. ამილახვარი, მახსოვს, მაშინვე მირჩევდა, თან გაეყოლოდი რუსეთს, მაფრთხილებდა, ერეკლე სამსახურს არ დავგივასებს და, სულერთია, შენც ჩემი ბედი მოგეღოსო.

— მარტო მაგ იყო, ყმაწვილო, შენი დანაშაული?

იმერულ გამოთქმებს შეუჩვეველ ბესიკს ეხამუშებოდა „ყმაწვილოს“ გაგონება, რადგან ქართლში ამ სიტყვას დამამცირებელი მნიშვნელობით ხმარობდნენ.

— სპარსეთს რომ გახლდით, შირაზს ალექსანდრე-ბაქარის ძე, ვახტანგის შვილისშვილი, ენახე. აბა იმ უცხო ქვეყანაში მოსისხლე მტერიც რომ ნახო ქართული, მაინც მოეხვევი და მე განა პირადი რა მქონდა მასთან სამტრო, პირველად ვხედავდი. მერე და ის ხომ ერეკლეს ბიძაშვილია, რას ვიფიქრებდი, რომ მასთან შეხვედრას დანაშაულად ჩამითვლიდნენ. ამას ცოტა რამ წვრილმანებიც დაერთო, თანაც ალბათ გაიგო ჩემი შრობლის თქვენთან ხლება და წამართვა ყოველივე, რაც კი მანამდე ჩემთვის ებოძა, თავადობის სიგელი, ჯამაგირი, მამული და...

— არაფერია, ყმაწვილო, დიდებულნი რუსთაველი ამბობს: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ყარიბად არ იხსენები“. შენ, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან გაყაფული გზა დაგიხვდება წინ. მართალია, თბილისში აღარა ხარ, მაგრამ ისევ საქართველოში ხარ, იმ საქართველოში, სადაც დიდებულმა დავით აღმაშენებელმა ჩვენს ქვეყანას საძირკველი დაუდო.

ბესიკს უყვინდა რომ სოლომონს ასე უბრალოდ ეპირა თავი და შინაურულად საუბრობდა მასთან. ჩაცმულობითაც სრულიად არ გამოიჩნეოდა თავის დიდებულთაგან და მათსავე უბრალო, რუხი, სრულიად სადა ჩოხა ეცვა. აღრევეც გაგონილი ჰქონდა, რომ სოლომონი იშვიათად იცვამდა ფარჩისა და სტაერის სამეფო ტანსაცმელს, თავის მეფობის მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე სულ ორჯერ თუ სამჯერ მორთულიყო ამ სამოსელში. მეფე თავის კეთილ საქმიანობით უნდა იმორჩილებდეს ქვეშევრდომებს, უნერგავდეს მათ მოყრჩალებას და ხალხიც მეფეს უნდა სცემდეს პატივს და არა მის ოჭროქსოვილ ტანსაცმელსო.

ეს სისადავე და თავდაბლობა, მართალია, სოლომონს ყველას მიმართ ერთნაირად ახასიათებდა, მაგრამ ასევე ერთნაირად უღმობელი იყო და მრისხანე ყოველგვარი ბოროტმოქმედებისა და მოღალატის მიმართ. მან საკუთარი ღედაც კი არ შეინდო და თავის ქვეყნიდან განდევნა, როდესაც გაიგო რომ ის უყმაყოფილო თავადებს დაახლოვებოდა და შეთქმულების მოწყობას ლაშობდა.

— ქეშმარიტად ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ ბედმა თქვენისთანა ღვაწლმოსილ მეფის მონა გამხადა. მატთანეს ფურცლებზე წარუშლელი ასოებით აღიბეჭდება ის დიდი საქმენი, რაც თქვენს უმაღლესობას ქვეყნისათვის გაუკეთებია.

— ეჰ, არაფერი არ გამიკეთებია, ყმაწვილო, ქვეყანა კი გადავიმტერე.

— თურქების განდევნა, ურჩ თავადთა დამორჩილება და ტყვეთა გაყიდვის აკრძალვა, განა ეს უღმრესი საქმე არ არის?

— ტყვეების გაყიდვის აკრძალვა მართალია, ეს კარგი საქმე გაეკეთე და თუ მართლა ღირსი ვარ, მთელმა იმერეთმა საუკუნეთა მანძილზე მართო ამისათვის არ უნდა დამიფიწყოს, — წყნარად, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა სოლომონმა და თან ჩანაცვრცხლებულ ბუხარს მიაცქერდა. — ყოველ წელიწადს სამოცი ულამაზესი ქალი უნდა გვეძლია თურქებისათვის და, გარდა ამისა, ასობით და ათასობით ქალ-ვაგი იყიდებოდა ტყვეებად. მერე ვინ ყიდდნენ, ჩვენივე თავადები და აზნაურები. დაჭირდებოდა რომელიმეს ცოლს აბრეშუმის თავშალი, სტაცებდა თავის გლეხს ხელს, გაყიდდა და იმ ფულით ყიდულობდა თავშალს. რამდენი მინახავს ჩემი ბავშვობის დროს ატირებული გოგობიჭები, ხელში თოჯინაბმული რომ მიჰყავდათ თათრებს, გული მიდუღდა. სულ იმაზე ვოცნებობდი, ნეტავი მეფე გავხდებოდე და მე ვიცი რასაც ვიზამ მეთქი. ტახტი კანონით ჩემს უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა და, რომ შევატყვე საღვთო წიგნებს ეტანებოდა, შეუუჩნდი, შენ კათალიკოსობა უფრო შეგფერის და რა შენი საქმეა საერო საქმეები მეთქი. ცხენზე ჯდომა შენ არ იცი, ხმლის ხმარება და თოფის სროლა, გამიშვი, მე ვიქნები მეფედ, შენ რა გენაღვლება-მეთქი. წარმოიდგინე, დამიჯერა, ბერად აღიკვეცა. თვრამეტი წლის ვიყავი, ტახტზე რომ ავედი. მაშინვე მოვიწვიე საეკლესიო კრება, ამ საქმეში ჩემი ძმა იოსები ძალიან დამეხმარა. დავადგინე ტყვის ყიდვის აკრძალვა, თუმცა ჰყონდიდელმაც და რაჭის ეპისკოპოსმაც იუარეს. თავადები ავიჯანყდებიანო, მართლაც ამიჯანყდნენ. სუყველა მტრად ვაღამეკიდა (ამით გარდა, ვისაც აქ ხედავ). რამდენი სიმწარე, რამდენი უბედურება გამოვიარე ვინ მოთელის, ხან მარჯვნიდან წამომეპარე-

ბოდნენ ზურგში დანის ჩასაცემად, ხან მარცხნიდან, მაგრამ ღვთის მადლით არ ვემდური არც ბედს და არც ჩემს მარჯვენას. სადაც კი მიეწვდი, ყველას მივუზღე თავისი.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სოლომონი კვლავ ჩაქებოდა ბუხარს. შემდეგ უცხად თავი აიღო და მიმოიხედა.

— მაშუკა მდივანო!

— აქ გახლავართ მეფე-ბატონო.

— დამზადე სიგელი, ბესარიონ გაბაშვილს ებოძოს ჩვენი სამეფო კარის მდივანმწიგნობრის სახელი, სამოსახლო ქალაქში გორაზე, ოცდახუთი ყმა გლეხი, მიეცეს ულუფა და თეთრი, წელიწადში თორმეტი თუმანი.

— ბევრი არაა, ბატონო? — რაღაც უცნაური ნაწყენი ხმით წასჩურჩულა მაშუკამ.

— შენ რასაც გიბრძანებენ, დაწერე, ბევრია თუ ცოტა, ის ჩემი საქმეა, — უთხრა წარბშეკვრით სოლომონმა, შემდეგ წამოდგა ზეზე, პაპუნა ვაიხზო და მასთან ერთად მეორე ოთახში გვიღო.

—:—

მეჰმანდარმა ბესიკი მეფის სასტუმრო პალატაში წაიყვანა, რომ იქ დაებინავებინა. სასტუმრო სპარსულ ქარვასლას წაგავდა, რომელსაც პატარა, ოთხკუთხი ეზო შიგნით ჰქონდა. ყვერით დახურულ ფარდულებს, რომლებიც პირდაპირ ზღუდებზე იყენენ მიშენებულნი, სახურავები ეზოშივე ჰქონდა ჩაქანებული, ამის გამო მთელი ეზო წუმბით იყო სავსე. ოთახებამდე მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ფარდულებს გადახურული აივნები არა ჰქონოდათ. აქაც საკმაო ტალახი იდგა და ფეხი სცურავდა, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო გავლა და საკუთარ ოთახამდე მიღწევა. არცერთ ოთახს ფანჯარა არა ჰქონდა და სინათლე მხოლოდ ქუ-

ჭუტანებიდან შედიოდა. საერთოდ საქმე იყო კარის მუდამ დაღ დატოვება, რადგან თუ ბუხარში ცეცხლი არ ენთო, ისე შეუძლებელი იყო რაიმეს მიკნება. ბუხარიც სულ რამდენიმე ოთახს ჰქონდა, დანარჩენებში შუაეცხლი ენთო. ხშირად თუ გაავდარებას ამარებდა, ბოლი სოხანეზე წვებოდა, მაშინ კარი აუცილებლად ღია უნდა ჰქონოდათ თორემ დაიღრჩობოდი.

— მარტო ინებებთ დადგომას, თუ ვინმესთან ერთად მოთავსდებით? — ჰკითხა მეჰმანდარმა ბესიკს.

— როგორ ვინმესთან? — გაუკვირდა ბესიკს.

— თქვენ როგორც გნებავთ, ბატონო. ვინმესთან თუ დადგებით, უფრო გაგემლებინებთ, თორემ მე, მაგალითად, მარტო რომ დამაწვინო ოთახში, მთელი დამე არ დამეძინება.

— არა უშავს რა, მე დამეძინება.

— წამობრძანდი, შენი ჰიროამე, შენთვის ბუხარიანი ოთახი მაქვს შემონახული.

მათ საუბარზე, ერთ-ერთი ოთახიდან ვიღაც წვერგაპარსულმა, უცხვირო მამაკაცმა გამოიხედა. მოსულებს დააკვირდა და მეჰმანდარი რომ იცნო, მზიარულად ჰკითხა:

— ეგ ახალი სტუმარი ვინ მოგყავს?

ბესიკმა მეჰმანდარს გადახედა და თვალებით ჰკითხა, ვინ არის ეგაო.

— ალექსანდრე ამილახვარი გახლავთ, შევიდეთ მასთან, ნამეტანი კარგი კაცია, ბუხართან გაეობებით. მაგასთან ლაპარაკი ერთ რამედ ღირს. — უთხრა მეჰმანდარმა ბესიკს და შემდეგ ალექსანდრეს გასაზახა: — თქვენებური კაცი მომყავს, ჩემო ბატონო, ვიცი გაგეხარდებათ.

— ჩვენებური? — გაოცდა ალექსანდრე და ზღურბლზე გადმოაბიჯა, — ერთი შეეხედო მაინცა.

— ბედმა კვლავ გვარგუნა ერთმანეთს შეეხვედროდით, თქვენო ბრწყინვალეებავ, — უთხრა ბესიკმა. მიუახლოვდა და გადაეხვია. — გახსოვთ, თბილისიდან ე-

მიანობის დროს ერთად რომ ვიმგზავ-  
რეთ...

— შენ? ზაქარია მოძღვრის შვილი?  
მართალი მითხარი, ერეკლეს დესპანი  
ხარ, თუ გამართლდა ჩემი წინასწარ-  
მეტყველება და ლტოლვილთა მარაქას  
შეუერთდი? აჟი გულებნობდი განშორდი  
მეთქი ერეკლეს..

— მახსოვს და ახლა ვნანობ, რომ მა-  
შინ არ დაგიჯერე, თქვენო ბრწყინვალე-  
ბავ..

— მოდი, ოთახში შევიდეთ, აქ ცივა.  
სამიჯენი ოთახში შევიდნენ და ბუ-  
ხარს მიაშურეს. ბესიკმა ნაბადი მოიხსნა,  
კუთხეში მიაყუდა და მიმოიხედა.

— რაო, არ მოგწონს აქაური სასტუმ-  
რო?—გაეცინა ალექსანდრეს.—პეტერ-  
ბურგისა და მოსკოვის ტრანტირების  
შემდეგ რაღა უნდა მოგწონოს.

— ეს როგორი შენობა აუგია სოლო-  
მონს,—სთქვა ბესიკმა, ბუხარის წინ პა-  
ტარა სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და  
ცეცხლს ხელები მიუშვია, —სატუსა-  
ლოს უფრო ჰგავს ვიდრე სასტუმრო  
ფუნდუსს.

— სოლომონის აშენებული არაა, შე-  
ნი ჰირიმე, ეს, — ჩაერია ლაპარაკში მეჰ-  
მენდარი. — ეს სახლი, ჩემო ბატონო,  
ეკლთვნოდა თათარ მუსტაფას. იმან  
ააშენა და აქ ტყვეებით ვაჭრობდა, სა-  
ნამ აქ თათრები იყვნენ და ქუთეისის  
ციხე ეკირათ.

— როგორ ტყვეებით? — გაოცდა ბე-  
სიკი.

— როგორ, შენი ჰირიმე და აქ იდგა  
ის მუსტაფა და ამ ოთახებში ზოგში სა-  
ქონელი ეწყო და ზოგი ისე ჰქონდა ცა-  
რილი. ჩვენებურ აზნაურებს ან თავა-  
დებს, როცა დაპირდებოდათ რამეს  
ყიდვა, თუ ფული არ ჰქონდათ, მოყვ-  
დათ თავისი ყმების გოგო-ბიჭები და  
ყიდდნენყე. მუსტაფა მერე იმ ნაყიდ  
ტყვეებს, სანამ ყველას ერთად დააგრო-  
ვებდა და სტამბოლში წიყვანდა, ამ  
ოთახებში ამწყვდევდა, გოგოებს ცალკე  
და ბიჭებს ცალკე. რო დოუსრიდა თავს

ერთ ორმოცდაათ ან ას გოგო-ბიჭს, გა-  
მეიყვანდა ყველას, გადააბამდა ერთმა-  
ნეთს ჯაჭვით, არ გამეკცენო, და გოგო-  
ნებდა ორპირისკენ. იქ ჩასხამდა ყველას  
კატარღებში, ნაეზია, ბატონო, დიდი ნა-  
ეზი, თქვენ განათლებულები ქე ბრძან-  
დებით, მარა შეიძლება არ გენახოთ,  
ჩასხამდა იმაში და გოგოყენებდა გზას.  
რაც მე ამ ეზოში ტირილი და წივილი-  
ვილი მინახავს, ღმერთმა ნულარ მომასწ-  
როს. მერე, შენი ჰირიმე, როცა ბატონმა  
ჩვენმა მეფემ ჩვენი ხალხის ტყვეებად  
გაყიდვა აკრძალა და თათრებს აქ ქუთეი-  
სიდან აუკრა გულანაბადი, მუსტაფაც  
თან მიაყოლა და ეს ქარეასლა, როცა  
ვარციხიდან აქ გადმოპრძანდა, სასტუმ-  
როდ აქცია. აქ ვიყენებთ ხოლმე, ვინც  
კი უცხო ქვეყნიდან მოდის ვინმე. რუსის  
ჯარი რომ მოვიდა ჩვენში, მათი თავი  
კაცები, სარღლები იყვნენ თუ მიმბაშე-  
ბი, სულ აქ გვეყენა ყველა.

— ასე რომ ეს ჩვენი სადგომი ჩვენი-  
ვე ქვეყნის შვილთა ცრემლებით ყოფი-  
ლა განზნანილი, — ჩაილაპარაკა ბესიკმა  
და შემდეგ ალექსანდრეს მიუბრუნდა: —  
თქვენი ჩამოსვლა მე წერეთელმა მაც-  
ნობა.

— მე და ზაქარია ერთად ჩამოვედი  
რუსეთიდან. დიდის ჰირეებით მოვალ-  
წიეთ აქამდე... — ალექსანდრე უცბად  
შედგა და მეჰმენდარს მიუბრუნდა; —  
ეს ახალი სტუმარი ჩემთან დასადგურე  
და ბარემ ახლავე შეუღლეი თადარიგს.  
ტახტი და ლოგინი მოატანინე. შემდეგ  
მზარეულს უბრძანე, სამხარი აქ მოგვარ-  
თონ. აი ეს რამდენიმე მარჩილი წაიღე  
და ქალაქში კაცი გაგზავნე, აქ რომ რა-  
ტულ ლეინოსა ჰყიდიან, ის გვეყიდოს.  
ერთი თქვენებური დოქი აავსებინოს.

მეჰმენდარი წავიდა და ალექსანდრე  
ისევ ბესიკს მიუბრუნდა.

— აბა, ახლა მიაბე შენი თავგადასა-  
ვალი. რით დაიმსახურე ერეკლესაგან  
განპატიეება.

— ეს გრძელი ამბავია, აგრე უცბად  
ვერ გიამბობთ.

— სოლომონმა როგორ მიგიღო?

— არც მოველოდი ისე დიდებულად. მდივანმწიგნობრად განმაწესა, ადგილ-მამული და ოცდახუთი ყმა გლეხი მიბოძა.

— არც შემცდარა. შენისთანა განსწავლული მდივანი მეორე არც ეყოლება. მდივანთუხუცესმა, შენმა უფროსმა გოგია აბაშიძემ წერა-კითხვა არც იცის.

— როგორ? — გაოცებით აღმოხდა ბესიკს. — ეგ რა მიბრძანე!

— ეგ რაა, რუსეთიდან ქვეყნიერების რუკა ჩამოვიტანე, ზედ დავახედე, თავბრუ დაეხვა და ვერაფერი ვერ გაიგო. ვუუბნები, ეს შავი ზღვაა, ეს თქვენი მდინარე რიონი, ეს კიდევ ქუთაისი-მეთქი, ნუ გადამრიე, შენი ჭირიმე, — იმერული კილოთი გასცინა ალექსანდრემ მდივანთუხუცესს, უცნაურად გადაიბრინჯა და ხელები სასაცილოდ გადააღარკა, — ნუ გადამრიე, შენი ჭირიმე, ეს რაფერაა შავი ზღვა და ეს დაქლაქნილი ხაზი რიონიო.

— არც ხუცურად იცის კითხვა.

— ხუცურადო? ერთი ასოს ამოკითხვა არ შეუძლია.

— მამ მდივანთუხუცესობა როგორ მიიღო?

— მემკვიდრეობით. მამის მამა ყოფილა დიდად განსწავლული და მწიგნობარი. მეფეს მისთვის ეს სახელო სამკვიდროდ დაუმტკიცებია, ეგონა ალბათ, როგორც მამა, ისეთი შევილიც იქნებო, მაგრამ მოტყუვდა. მაგან ტყეში სირბილის მეტი ვერა ისწავლარა. ახლა კი ობერ სერკეტარია მეფისა და მთელი სამეფო ქალაქები და მიმოწერა მაგას აბარია. მოდი და ნუ გაგეციენება კაცსა. მაგრამ ვანა მარტო მდივანთუხუცესი ჰყავს მეფეს უვიცი, სარდლებმა ოდნავაც არ იციან სამხედრო ხელოვნება, ჯარის ახლებურად გაწყობა, ხოლო არტილერია, ბორბლებზე დადგმული, მარტო რუსებთან ნახეს პირველად. დახე, რა უყვია თათრების მძლავრებას. ოდესღაც

უარესად განათებული, განსწავლული იმერლობა მთლად გაუველურებდა არც საკვირველია. ორი თუ სამი წესტყუენასულ ტყეში უხდებოდათ ცხოვრება, ან წნულ ფაცებში, ან მიუვალ კლდეებში გამოკვეთილ მღვიმეებში. ვანა გასაკვირია, რომ წერაც დაეწინოდათ და კითხვაც. ახლა ვზივარ და სოლომონ მეფეს ვუწერ წესებს სახელმწიფოს მმართველობისა, მინდა წიგნი ესე მიუქძენა მას და ზოგი რამ დაუნდობლად და მის ხელქვეითთა გასაგონად ვამხილო.

ალექსანდრემ ბუხრის თაროდან ხელნაწერი ქალაქები ჩამოიღო და ბესიკს გაუწოდა. მან ჩამოართვა ნაწერი ფურცლები, დიხარა და ბუხრის აღის სინათლეზე სათაური ამოკითხა:

„ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“.

— აქ ყოველივეს ვწერ, თუ როგორი უნდა იყოს მმართველობა მეფეთა, — განაგრძო ალექსანდრემ, — თავადთა და მთავართა, მხედართა და მთავართა მათათვის, სამღვდელთა წესთათვის, ვაჭართათვის, გლეხთათვის გინა მიწისმოქმედთა კაცთა, სამოქალაქო სჯულთა და დებისათვის, სწავლისათვის მეცნიერებისა და ხელოვნებისა... მაგრამ... — შეინელა სიტყვა ალექსანდრემ და ამოიხარა — გაიგებენ?

ოთახში იშპმენდარი დაბრუნდა, ფარეშებს რამდენიმე სქელი ფიცარი შემოატანინა, კარგა მოზრდილი ქვები მოაზიდვინა და ბესიკისათვის ტახტის გამართვას შეუდგა. მსახურებმა თავსა და ბოლოს ქვები ჩამაწყრივეს, ზედ ფიცრები გააწყეს, მერე საიდნლაც მთლად გაცვეთილი ნოზი მოიტანეს და ამ თავისებურ ტახტზე გადააფინეს.

ბესიკმა ნაწერები ბუხრის თაროზე დააწყო და ალექსანდრეს ღიმილით უთხრა:

— თუ მამანი ვერ გაიგებენ, იქნებ შეილთა მათთა მანც შეიგნონ.

— სამეგრელოში ვიყავ. დადიანს ვე-  
ახლე. აქ სოლომონმა ტყვეთა გაყიდვა  
აკრძალა, ის იმერთა მეფეს არ მორჩი-  
ლებს (ერეკლეს წაქეზებით და წყალო-  
ბით, ცხადია) და ტყვეებით კვლავინ-  
დებურად ვაჭრობს. ერთი საღვთოი არ-  
სად არა აქვს, დადის თავის სამფლობე-  
ლოში, ხან ერთ ახნაურს ან გლეხს მი-  
ადგება თავის ამალით, ხან მეორეს გაუ-  
ნადგურებს ყველაფერს, გაუწყვეტს სა-  
ქონელს, ხბოებს, ძროხებს, ცხვრებს თუ  
თხებს, შეშად დასწავს მათ ფაცხებს და  
როდესაც მთლად აიკლებს ამ უბე-  
დურთ კარმიდამოს, ახლა სხვა სოფელ-  
ში მიადგება მოსახლეებს. მე რომ მას-  
თან მივედი, ვხედავ ფარეშებს მოყავთ  
ერთი ძროხა თავისი ხბოთი და ამ ორ  
სულ საქონელს ბლავილით და თმების  
წეწვით მოსდევდა მთელი ოჯახი, ცოლ-  
ქმარი და მათი ბავშვები, მთლად შიშვ-  
ლები. გავოცდი, ვიკითხე, აგრე ძალად  
ამ უბედურთათვის რაიმეს წართმევა  
როგორ იქნება-მეთქი. მითხრეს, ტყუი-  
ლად ბლავიან, ბატონო, ქირას ვაძლევთ,  
განა მუქთად მიგვყავსო.

— მართლა მისცეს ქირა?

— დაკლეს ძროხაც და ხბოც და იმ  
უბედურებს ტყავი და თავ-ფეხი მიუყა-  
რეს, ესაა თქვენი ქირაო. ხორცი კი აი-  
კიდეს ზურგზე და ბატონს მიაართვეს. გა-  
ნა ქართლში შეიძლება ასეთი რამ მოხ-  
დეს? თუმცა ერეკლესაგან გასაკვირვიც  
არ იქნება ასეთი წესი შემოელო. ალბათ  
სულსა ხდის ქართლის გლეხებს და მე-  
ბატონეებს.

— მაგას ვერ ვიტყვი.

— მაშ რად გვითვლიდნენ ქართლი-  
დან მოსკოვს მებატონენი, მოდიო, გვიშ-  
ველეთ, ეს ვეშაბი მოგვაშორეთ, გაწამ-  
და ჩვენი სიცოცხლეო. ჩვენ ამილაზო-  
რები ზომ მოგვთხარა ძირფესვიანად,  
ერისთაეებმა რაღა დაუშავეს? ფაღლე-  
ნიშვილებმა? ან იქნებ თარხნისშვილებს  
მიუძღოდათ რაიმე ბრალი, მამაშენმა  
ზაქარიაშ რა დაუშავა, შენ რაღა დაუშა-  
ვე, მითხარი ერთი, ღვთის გულისათვის.

მაგრამ მაგის განკითხვის უამი უფრო-  
ახლოვდა.

— როგორ? — გოცებმა შექნესთა  
თვალეები ბესიკმა.

— შენ როგორ ფიქრობ, მოსკოვიდან  
აქ რისთვის მოვსულვარ? ერეკლე უნდა  
დაეამხო და დაეამხოზო კიდევაც. მაგას  
ნადირ-შაჰმა ასწავლა მომმეთა თვისთა  
ულმობელი სისხლის ღერა. აფთარმა აფ-  
თარი გაზარდა, მაგრამ ვეჰე ჩემი სისხ-  
ლი არ შერჩეს, ძალი შემწვედეს ქა-  
დილსა“.

—

მთელი ერთი თვის განმავლობაში  
სასახლის კარის მსახურთ დიდგვარიან  
თავადებს და უბრალო, დაბალი თანამ-  
დებობის მოხელეებს არ გამოლევიათ სა-  
ლაბარაკოდ სოლომონის მიერ ბესიკის  
ასეთი წყალობით მიღება. გოცებით  
ეკითხებოდნენ ერთმანეთს, რა მოხდა  
ვითომ, რა ნახა ამ კაცში მეფემ ისეთი,  
რომ დალაბარაკებაც არ აცალა, მამულე-  
ბი უწყალობა და დიდ თანამდებობაზე  
დანიშნაო. ზოგი აღშფოთებულიც იყო,  
ამდენი ხანია მეფეს ვემსახურებით,  
ბრძოლებშიდაც ვხლებივართ, მტრის  
ტყვიას არ გავქცივივართ, და ტყუილ-  
უბრალოდ მაღლობაც არ გვლირსებია,  
ეს კი რომელი წითელი კვერცხია, ამდე-  
ნი ბედნიერება ერთად რომ დაახევა  
თავზეო. ყველა გულდასმით უკირკი-  
ტებდა და რასაც ბესიკი გააკეთებდა ან  
იტყოდა, ყველაფერზე გულდაწყვეტით  
გამოსთქვამდნენ გოცებმას, არაფერს  
არაჩვეულებრივს არ აკეთებს და არც  
დიდშკვიანურ მოსაზრებებს გამოსთქ-  
ვამს, რომ მართლა ღირდეს ამდენ პატი-  
ვისცემადო.

თავის საქმეებით ვართულ ბესიკს,  
წერილ მოხელეთა ამ მითქმა-მოთქმისთ-  
ვის ყურადღება არ მიუქცევია. მისი პირ-  
ველი საზრუნავი ის იყო, რომ თავისი  
მშობლები გელათიდან ქუთაისს ჩამოეყ-  
ვანა საცხოვრებლად. თითონ, მართალია,

ბინა მეფის სასტუმრო შენობაში ჰქონდა ალექსანდრე ამილახვართან, მაგრამ იქ მუდმივად ვერ იცხოვრებდა და ვერც თავის შამის ოჯახს ჩაისახლებდა. ამიტომ საკუთარი სახლის აგებაზე უნდა ეზრუნა, ხოლო მანამდე სადმე ბინას ქირით თუ იშოვიდა. მალე მას სადღუნამ ქალაქში გორახე, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან აღმოუჩინა ერთი სახლი, რომელიც ხელთუფლიშვილის ქვრივს ეკუთვნოდა. სახლს ორი კარის გარდა არცერთი ფანჯარა არ გაჩნდა და პირდაპირ სოხანეზე იდგა. ბუხრის ნაცვლად კერია ჰქონდა გამართული. მთელი სახლის ავეჯს კედელს ჩაყოლებული ფიცრის ტახტი და ორი სამეფეხა სკამი შეადგენდა.

— თითონ სადღა იცხოვრებს? — გაკვირვებით იკითხა ბესიკმა როდესაც სახლი დაათვალიერა. — კიდევ აქვს სახლი?

— არა, ბატონო, — უბასუხა სადღუნას მაგივრად ქვრივმა, — ერთად უნდა ვიყოთ. მე აგერ აქანა დავიგებ ხოლმე სოხანეზე. ჭილოფი მაქვს. აქვე, ბატონო, ამ ტახტზე მოისვენებთ. რამდენი ხართ, ოცზე მეტი ხომ არ იქნებით ოჯახში? ამ ტახტზე ოცდაათზე მეტი ეტევა და თავბოლო შექცევით თუ გინდა ასიც ქე დაწვება. თქვენისთანა დიდკაცს კი არ ეკადრება ასე უბრალოდ მოსვენება, მაგრამ აქ მთელი ქალაქი ასე ცხოვრობს, შენი ჭირივე სულ პირველი თავადები რომ არიან, ამნაირი სახლები აქვენ და ქე არიან.

— ამას მართალს მოგახსენებთ, — უთხრა სადღუნამ ბესიკს, — იტაკზე დადგმული ოდა აქ მარტო მეფეს აქვს, სახლთუხუცესს და კიდევ მდივანებზე პაატა აბაშიძეს, დანარჩენებს სულ ამისთანა ძელური სახლები უდგათ, გინდა თავადი იყოს, გინდა გლეხი.

— წავიდეთ, იქნებ უკეთესი სადგომი ვიშოვოთ, — უთხრა ბესიკმა სადღუნას, — ნუთუ ამზე კარგი ბინა ვერ უნდა ვნახოთ?

ორთავემ დაიარეს ქალაქის ატლახებულო რამდენიმე ვიწრო ქუჩა. ისლითდახურული პატარა სახლები საბრალოდ ეკვროდნენ ერთმანეთს. სამშენებლოებს, სახელოსნოებს და დუქნებს ერთნაირი, მაღლა ასაწევი დარაბები ჰქონდათ, რომლებსთვისაც გოხები შეეყუდებინათ, რათა დუქანთან მიმდგარ მუშტარს დარში თუ ავღარში თავი შეეფარებინა. ბესიკს ეგონა, რომ თბილისისდარად ქუჩები აქაც რიგებად იქნებოდა დაჯგუფებული, ხარაზების რიგი ცალკე, თერძები ცალკე, მშენებლები ცალკე, სირაჯები და ყასბები ცალკე, მაგრამ აქ არათუ რიგებად, ზოგიერთი სახის დუქანი ან სახელოსნო სულაც არ მოიპოვებოდა. მთელ ქალაქს სულ ერთი საყასბო ჰქონდა, ისიც ქვემოთ ჯაჭვის ხილთან.

იძულებულნი გახდნენ ისევ ქვრივ დედაკაცს შორიგებოდნენ და მეორე დღეს ბესიკი სადღუნას თანხლებით დილითვე გაემგზავრა გელათს მშობლების ჩამოსაყვანად.

მარტის არეული ამინდი იდგა. ხან წყალთოულს წამოუშენდა, ხან კი უცბად დააცხუნებდა, ისე რომ მიწას ორთქლი აღიოდა. ქუთაისიდან გელათამდე ორნახევარი ეჯი თუ იქნებოდა, ასე რომ ერთი საათის შემდეგ მათ უკვე გადაიარეს ქვეითირის თალიანი ხიდი წყალწითელაზე, სწრაფად ავლეს აღმართი და მონასტრის გალავანის ბქეს მიადგნენ. აქ ორთავენი ცხენებიდან ჩამოხტნენ, რადგან გელათის ლავრის ეზოში მხოლოდ ქვეითი კაცის შესვლა იყო ნებადართული, და რკინის კარზე დაარახუნეს.

— ეს კარი ჩვენს დიდებულ მეფეს დავით აღმაშენებელს დარუბანდიდან ჩამოუტანია, — უთხრა ბესიკმა სადღუნას.

— რას მეუბნები? — გადაიქნია თავი სადღუნამ. მას წარმოადგენა არ ჰქონდა არც დარუბანდზე და არც დავით აღმაშენებელზე. — რითი ჩამოიტანა ნეტავი ამხელა კარი. რა ურემზე დაეტია იქ გააკეთებია, თუ რატომ დაჭირდა იქიდან ჩამოტანა.

სადუნას უცილობამ ბესიკს გული ატკინა. ის აღელვებული მოელოდა ამ რკინის ბუების გაღებას და გალაგნის კომპიკის გავლას, რადგან იცოდა, რომ აქ ამ კომპიკში, ეზოში შესასვლელი კარის ზღურბლთან დასაფლავებული იყო ქართველთა მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელი. მეფემ თითონ ისურვა, რომ სიკვდილს შემდეგ მონასტრის ზღურბლთან დაეფლათ და კარიც ისე ვიწროდ გაეკეთებინათ რომ მონასტრში სალოცავად მოსულ ყოველ მლოცველს გვერდი ვერ შეეველო და აუცილებლად მისთვის გულზე ფეხი დაედგა. მას შემდეგ აგერ შეიდას წელს გაველო, ათეული ათასობით მოდიოდნენ. აქ ქართველნი, მდაბიონი და მეფენი, აბიჯებდნენ ფეხს გულზე, ამ დიდებულ ტაძრის აღმაშენებელს, ოდესღაც უძლიერეს მეფეს, რომელსაც თითქოს უნდოდა ეთქვა ხალხისათვის, რომ არ იღვეოდა პირადი განდიდებისათვის და ამისათვის გაუგო მათ ფეხქვეშ სათელად ნეშტა თვისი.

თხელწვერა შორჩილმა რკინის კარი ხრავუნით გააღო და ბესიკმა, ბნელ გვირაბის მაგვარ თადიან სენაკში შეაბიჯა. მოპირდაპირე მხარეს მოჩანდა ეზოში შესასვლელი კამარიანი ვიწრო კარი. სანამ ეზოში გავიდოდნენ, ბესიკი უნებლიედ შეჩერდა და დავითის საფლავის ქვას დააცქერდა. უამრავი ფეხის ბიჯებისაგან ქვა ისე იყო გაცვეთილი, რომ შუაგულში ერთ მტკაველზე ჩადრმავებულიყო. თავის დროზე, ოსტატებს, ეტყობოდა ეს გეთვალისწინებიათ, და ლოდზე წარწერები ისე ღრმად ამოეჭრათ, რომ ასეთი უწყალო გაცვეთის მიუხედავად, იგი მაინც იკითხებოდა:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ ესე მთნავს, ამას დავემკვიდრო მე“.

ბესიკმა სწრაფად დაიჩოქა და საფლავის ქვას ემთხვია. სადუნამ გაკვირვებით შეხედა თავის თანამგზავს, ის

ბევრჯერ ყოფილა გელათში და აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ქვისათვის არათუ ეამბორა, ზედ ტყუილდებოლოდ დაეხედა. უნებურად დააპირა ბესიკისათვის მიებამა, კიდევაც გადაიწერა პირუჯვარი, მაგრამ როდესაც გაახსენდა, რამდენ ფეხშიშველ ქალსა და კაცს გადაეველო ამ ქვაზე, გადაიფიქრა.

მოხუცი ზაქარია კინაღამ გაგიედა, როდესაც თავისი დაკარგული შვილი გულში ჩაიკრა. მთელ ოჯახს სიხარულის დღე გაუთენდა და დიდი და პატარა ერთმანეთს ხელოდან გლეჯდნენ ბესიკს, რომ მოხვეოდნენ და კოცნით დაეხრჩოთ.

ზაქარია ტაძრის ეზოში ცხოვრობდა, კათალიკოსის სენაკების გვერდით, პატარა სახლში. მთელ ოჯახს საოცარი სიღარიბე დატყობოდა, ბესიკის უფროსი ძმა იოანე მართალია უკვე მღვდლად კურთხეულიყო, მაგრამ ჯერ არსად არ იყო განწესებული და არც არავითარი შემოსავალი ჰქონდა, რომ არათუ მამის ოჯახისათვის არამედ თავის ცოლ-შვილისათვის მოეველო. მეორე ძმა ოსე წინამძღვართან მსახურებდა გადამწერად, მაგრამ არავითარ ხელფასს არ ღებულობდა. მთელი ოჯახის შემნახველი კათალიკოსი იოსები იყო, რომელიც ყოველდღე უგზავნიდა ზაქარიას მრავალრიცხოვან ოჯახს საზრდოს, ლობიოს და სიმინდის ფქვილს.

გაოგნებული ბესიკი ხმაამოუღებლად ათვალიერებდა თავისიანებს.

— რა იყო, შვილო? — მოიწმინდა ცრემლები ზაქარიამ. — გიკვირს განა ჩვენი სიღარიბე, შვიერებსა და შიშველებს რომ გვიცქერ, გიკვირს ხომ? სამეფო კარის ზუცესს, სახელითა და დიდებით შემოსილ ზაქარიას ოჯახს ეს არ ეკადრება, მაგრამ რას იზამ. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. შენ რაღას გერჩოდა ის ვეშაბი ერეკლე... მაგრამ ბედს რას ვემდური, კიდევ კარგი, ცოცხალს რომ გხედავ.

— არა, მამა, მე თქვენი სიღარიბე არ მაკვირვებს, ამ ჩემს დებსა და ძმებს რომ ვუცქერ, თვალს ველარ ვუჯერებ. ნუთუ ეს ჩემი პაწაწინა და მელანია? — დახედა ბესიკმა ჩახვეულ დას, რომელსაც თვალები დასწითლებოდა ტირილით.

— პაწაწინა კი არა, შემომამბერდა შვილი ხელში, აგერ ოცი წლის ქალია და ვერ გამოითხოვებია. უმზითვოდ არავის მიჰყავს და...

— კარგია ერთი, — შეუტია მამამისს მელანომ, — ვერ გაგიბოვებია, თორემ... ძალიანაც არ მინდა შენი „გათხოვება“. დედაჩემმა რაც ხახა, ის ღმერთმა ნუ მაჩვენოს...

— გათავდა თქვენი სიმწარე, — უთხრა ღიმილით ბესიკმა თავის დას და შემდეგ დედას მიუბრუნდა, რომელსაც ცრემლები ისევ ჩამოუვარდა დამკვირვებელზე, — გათავდა, დედი, ღმერთი მოწყალეა. ახლა მთელი ოჯახი კვლავ ერთად ვიქნებით და დღესვე უნდა წაგიყვანოთ ყველანი ქუთაისს.

ამ ამბავმა სიხარულის ახალი აღიარებით გამოიწვია, მაშინვე შეუდგნენ წასასვლელად სამზადისს და ვინაიდან ბარგი ბევრი არაფერი გააჩნდათ, სანამ ბესიკი კათალიკოსს ეახლებოდა და ტაძრსაც დაათვალიერებდა, ყველანი უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად.

კათალიკოსი იოსები საკმაოდ მოზრდილ სენაკში ცხოვრობდა. ბესიკს გაგონილი ჰქონდა, თითქო მას შემდეგ, რაც სოლომონმა იოსების წინაშე ბარძიშუ დადებული ფიცი გატეხა და როსტომ რაქის ერისთავს თვალები დათხარა, იოსებს ვითომ საკუთარი ღირსება თითონვე აეხადოს და გამოქვაბულში დაყვებულყოფს. ერთხანს, მთელ თბილისის სალაპარაკოდ ჰქონდა იმერეთის კათალიკოსის ეს თავდადებული საქციელი და მის მიერ დადებული აღთქმა, — მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უბრად ყოფილიყო და ძეხორციელი-სათვის ხმა აღარ გაეცა.

ახლაც ბესიკს ეგონა, თავკველამხობილ ბერს ვიხილაო, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა, კათალიკოსი მეტად მხიარულ გუნებაზე დაუხვდა და საუბარში ისეთი ხუმრობა ჩაურია, რაც საერო კაცისთვისაც მეტად მწუთხედ ჩაითვლებოდა.

— ესაა, ხუცესო, შენი ნაქები ვაჟი? — მიუბრუნდა ზაქარიას იოსები, — ამას თვალეში ვატყობ, ქალების მუსუსი იქნება. წმინდა არს, წმინდა არს... როგორ მოგწონს ჩვენი გელაი, ამ მამაშენს გაფიცებ, ხომ ჯობია სექტიცხოველს...

— დიდებული ტაძარი ყოფილა, თქვენო უწმინდესობავ... მართალია, სექტიცხოველის და ალავერდის ტაძრის ოღენა ვერ არის, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი დიდი ღოდებით ნაგები შენობა მე არც საქართველოში მინახავს, არც რუსეთში და არც ირანში, ჰეშმართად, განსაკვიფრებელი რამ არის.

— შენ შიგნით თუ ნახე, საკურთხევის აბსიდა, სოფიის კენჭით შემკული.

— საროთი?

— დიახ, დიახ საროთი! გცოდნია.

— ფრანგი მას მოზაიკას უხმობენ.

— ლეკა მახარებლის დახატული ხატულის ღეთისმშობლის ხატი არ ვინახავს? თამარ მეფის ხელით მოქარგული შესამოსელი?

იოსები თითონ გაჰყვა ბესიკს, გააღებინა ძველებური მძიმე ბოჭლომებით დაკეტილი ტაძრის ორმაგი კარი და მონასტრის სამწყსოს თანხლებით შეუძღვა სტუმარს მღვმარე ტაძარში.

დიოდა სანთელ-საგველის სუნი.

მთლიანად მოხატულ კედლებიდან და მალა ატყორცნილ ოთხკუთხა ქვის სვეტებიდან, რომელთაც ტაძრის გუმბათი თითქოს ცაზე მიეზღინათ, იცქირებოდნენ წმინდანთა, მთავართა და მეფეთა მრისხანე სახეები.

მდიდრულად შემკულ კანკელზე ბრწყინავდნენ ძვირფასი თვლებით მოოკვილი ოქროსა და ვერცხლის ხატები.

მთლიანი ვაზისაგან საოცარი ხელოვნებით გამოჩუქურთმებულ აღსავლის კარის მარცხნივ, საგანგებოდ გამართულ მაღალი და ოდნავ ჩაბნელებულ ნიშიდან, რიერაჟზე აციმციმებულ ასპიროზივით ანათებდა ხახულის ხატის კვერცხის ოდენა აღმასი.

იოსებმა თავიდან ბოლომდე დაათვალიერებინა ტაძარი ბესიკს. გახსნა საიდუმლო საგანძური, სადაც ინახებოდა თამარ მეფის ხელით ნაკერი მოთვალმარგალიტებული ომფორნი და სტიხარნი, ნაქარგი ოქროქსოვილი საეკლესიო სამოსელი, საქართველოს მეფეთა და დედოფალთა მიერ შეწირული მარგალიტის ყელსაბმელები, საფირონისა და ზურმუხტის ჯიღები, ლალის და აღმასის ბეჭდები, კაკლის ნაბუჭივით ჩაზნექილი ბიზანტიური ოქროს ფულები, ვერცხლის ტანწერწეტა სურები და საწდენი, დიდი, ორი ადლის სიმაღლე ვარძიის ოქროს ჯვარი შემკული ლალითა და ზურმუხტებით, ბეჭა ობიზარის ნაქედი ოქროსა და ვერცხლის ყდიანი ოთხთავნი, დავითნი, მეტაფრასნი დაუჯლომელნი, გულანნი, სამოციქულონი და სხვა წმიდად საკითხავი წიგნები.

იოსებს სურდა მთელი საქართველოს წარსული სიდიადე უცბად გადაეშალა ბესიკის თვალწინ. ყოველი ნივთის ჩვენების დროს თვალებში უცქეროდა, აბარა შთაბეჭდილებას მოახდენს სამეფო კარზე აღზრდილ ქართლიდან გადმოხვეწილ ვაბუჯზე ეს იშვიათი ხელოვნებით და დიდი ოსტატობით ნაქედი ნივთებიო.

— საოცარია, როგორ გადაურჩა მტრის აძღენ შემოსევას ეს იშვიათი ტაძარი? აღმოხდა ბესიკს.

— ამ ტაძარს მტერიც ვალაღანი აქვს და ზღუდის ბქეს ჰყიდა დარუზანდიდან დავით აღმაშენებლის მოტანილი კარი, — უთხრა იოსებმა, — დავით ნარინის მეფობის ხანაში ეს საგანძური მტერთა შემოსევის დროს ხვამლის ქვაბში მიჰქონდათ და იქ მალავენენ თურმე.

ახლა იქ ამსვლელი აღარაინ არის, სამასი ადლის სიმაღლე კედელია აღმართული და მის შუაგულს კარის ქვაბი რომლის პირს აღმოშენებულია კედელი სარკმელით და კარით. ამბობენ, რომ ერთი გვარის ხალხი ყოფილა მექვენაში, რომლებიც აღიოდნენ თურმე იმ კლდეზე, მაგრამ შემდეგ გადაშენებულან. ახლა, მადლობა უფალს, ჩემი ძმის ღვაწლით, თურქნი სრულიად განედევნეთ ჩვენის ქვეყნიდან და ამ საგანძურს უსჯულონი ვერ განსძარცვავენ. ქართველთა მეფეთა საუკუნო სავანეს ბილწურუმი ფეხს ველარ დაადგამს. დავით აღმაშენებლის საფლავი ხომ ნახე კარიბჭის ზღურბლთან, წამოდი გიჩვენოთ თამარის მამის გიორგის, თამარის შვილების: ლაშას და რუსუდანის, დავით ნარინისა და სხვა ქართველ მეფეთა საფლავები.

— თამარიც ხომ აქ არის? — ჰკითხა ბესიკმა.

— თამარის საფლავს ვერ გაჩვენებ. ეს არს საიდუმლო ბაგრატიონთა გვარისა.

იოსებმა ტაძრის მთელ რიგ ქვებზე მიუთითა, რომელთა ნაწირები სრულიად წაშლილიყო და აღხსნა, თუ ვინ სად იყო დამარხული. შემდეგ ეზოში გაიყვანა და იქ უჩვენა მეთერთმეტე საუკუნის ობსერვატორიის კარგად დაცული ნაშთები, მზის საათი, კვადრატი ანუ მენაკი და დიდ ლოდზე ამოკვეთილი ზოდიაქოს ნიშნები.

ნაშუადღევს, აძღენი სანახაობით გაბრუნებული ბესიკი გამოეთხოვა კათალიკოსს და მთელი თავისი ოჯახით ქუთაისს გაემართა.



— ხეალ საჩხერეში მივდივარ, ბატონო, და ხომ არაფერს დამაბარებ? ბესიკმა გაოცებით ახედა სადუნას. ღამით აღდგომის წირვისა და გარდა-

მოსნის ჩატარების შემდეგ, ზოტბით უნდა მიემართა მეფისთვის და სამდივნო პალატაში სანთლის შუქზე წერდა მიმართვას. იცოდა, რომ შთაბეჭდილების მოსახდენად ისეთი სიტყვა უნდა დაეწერა, რომელსაც უმრავლესობა ვერ გაიგებდა. რაც უფრო ბუნდოვანი იქნებოდა მისი მიმართვა, აღსავსე გაუგებარი სიტყვითა და გამოთქმებით, მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა და გააკვირვებდა არა მარტო მდამბო ზალხს და წერილ მოხელეებს, არამედ თვით მეფეს და დიდებულებსაც. ამიტომ ის დაძაბული ყურადღებით დაცქეროდა ქაღალდს და როდესაც აიხედა, სადუნას კითხვა სანამ არ გაამეორებინა, ვერ გაიყო.

— რაო, რა სიტყვი?

— საჩხერეში მივდივარ ხვალ. მღვიმეებზე გავივლი და ხომ არაფერს დამაბარებთ.

ახლა მოაგონდა წარმტაცი მონოზანი და გული ტკბილად ატყვიდა.

სადუნას ეშმაკურად უღიმოდა სახე.

— იმას რომ შენი წერილი დაანახვა, დედა, რავე ამოხდება სული საბრალოს. ერთ პატარა ლექსს ვერ დამიწერა?

— სადუნავ, შენ რომ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი არ შეგიძლია, ეგ სახელი რად დეგარქვეს? სადუნი, ხომ იცი რას ნიშნავს?

— ვიცი, ბატონო, სადუნი მრავალ ენაზე მოლაპარაკე კაცს ნიშნავს. სახუცს ახლდა ჩვენში ერთი კაცი, ქვეყანა მოვლილი ჰქონდა და სადაც კი ყოფილა, ყველას ენა შეესწავლა. ჰო, და დედაჩემს ხშირად ესმოდა: სადუნი აქ იყო, სადუნს გვიტოხოთ, სადუნმა გვიჩაჩია, სადუნა გვიშველის... იმ უბედურს სახელი ეგონა თურმე და იფიქრა, მოდი ამ ჩემ შვილს ამისთანა სახელეიანი კაცის სახელს დეარქმევო. კიდევ კარგი, სხვა უხამსი რამე რომ არ დამარქვა. სადუნი თქვენ უნდა გერქვათ, ქვეყნის ენაზე გკოდნით წიგნიც და ლაპარაკიც. გამატან წერილს?

— რა ვიცი. ღირს განა? მალე სპარსეთს მივდივარ...

— ღმერთმა მშვიდობით მთავრონოს, შენი ჭირიმე, ნამეტანი შირაგზას ამბობენ.

— ძალიან შორსაა, ჩემო სადუნა. წელს ვეღარ მოვასწრებ ალბათ დაბრუნებას.

— ჰო, ჰო, ჰო, რამსიშორეს ყოფილა. იმას იქით არის კიდევ ქვეყანა?

— როგორ არა, იმას იქით ინდოეთია, კიდევ იქით ჩინეთი, მერე დიდი და თვალუწვდენელი ზღვა, ოკეანეს უხმობენ, მერე არს ქვეყანა ამერიკად წოდებული...

— დედა, დედა რამხელა ყოფილა ეს დედამიწა! კი მარა ბოლო აქვს ამ ჩვენ მიწას? რო იაროს და იაროს კაცმა, მთელ მის სიცოცხლეს, ქვეყნის ნაპირს არ მიადგება?

— მივა, იქ, საიდანაც წავიდა.

— ი?

— დედამიწა ბურთივით რგვალია.

— კაი ერთი, შენი ჭირიმე! — ჩაიციონა სადუნამ. — მართალია, უსწავლეო ქე ვარ, მარა მთლად კი ნუ გამასულელებ. შენთვის არაფერი მიწყინებია და რაზე მაკადრებ ახლა მაგისტანა შეურაცხყოფას. ნასწავლი რომ ბრძანდები, ახლა, შენ გგონია, მართლა ყველაფერს დაგიჯერებ?

— გუებნები რგვალია მეთქი და თანაც ბრუნავს.

— ფხხ... — წასკდა სიცილი სადუნას. — ეგ კი ნამეტანია, შენი ჭირიმე. ბატონ პაპუნას უნდა ვუთხრა ერთი. დედა რას იცინებს, ა? ბრუნავს, ჰა? საითკენ ბრუნავს, მარცხნიდან მარჯვნივ თუ ზევიდან ქვევით. დედა, ეს რა გავიგონე...

სადუნა კარგახანს ზითხითებდა, მუხლებზე ხელებს იცემდა და თვალბზე მომდგარ ცრემლებს იწმენდა. ისე გულწრფელად იცინოდა, რომ მისმა ასეთმა მზიარულებამ ბესიკსაც კი მოჰკვარა ღიმილი. ერთხანს მოისურვა აეხს-

ნა სადუნასათვის, თუ რას წარმოადგენდა დედამიწა და როგორ ბრუნავდა იგი მზის გარშემო, მაგრამ დარწმუნდა, რომ ამით უფრო გადარევედა თავისთან შელანდარებულ ამ უგუნურ მსახურს და ისევ თავის ქალაღს დაუბრუნდა.

სადუნამ კი „ვოიოჰ“-ის ამოძახილით მოითავა სიცილი და, ეს რა კარგი სალაპარაკო ვოშოვეო, მაშინვე გარეთ გაეარდა. ეზოში კუწუწა აბამიძეს წააწყდა და მაშინვე მიახალა:

— ეს რა მითხრა, კაცო, ჰა?

— ვინ? — კუწუწამ უღვაშები შეაცმატუნა.

— ბესარიონ მდივანმა.

— ხელთუფლიშვილმა?

— არა, გაბაშვილმა. დედამიწა ბრუნავსო.

— რეიო?

— ბრუნავსო. მრგვალია და ბრუნავსო.

— მაგისტვის მართლა ქე ბრუნავს. ბედი და იღბალი ფეხებში მოტრბის. გადმოეთრია ქართლიდან და ეს ჩვენი მეფე და სახლთუხუცესი თან ყვებიან. წიგნი და წერა იცისო. რა მოხდა მერე! მაგის მეტმა არავინ იცის წერაკითხვა? დეიბარა მეფემ, რაც პირველი თავადები არიან მთელ ამ იმერეთში, უნდა ვითათბიროთო, ჩვენ ეს პირველი აზნაურები, სასახლის კიბეს არ მიგვაკარეს, საიდუმლო არ გაგვიმხილეს. ათი დღე თათბირობდნენ და ეს ბესიკია თუ ვიღაცა კვინტრიშა, სულ შეფეს უჯდა თურმე გვერდით.

— ჩემო კუწუწა. მაგან შენი ჭირიმე, თათრულად, რუსულად, კიდეც რაცხაჟულად წყალივით იცის თურმე წერაკითხვა. დედამიწის ზურგზე ხელმწიფე არაა, მაგან რომ წერილი ვერ მიწეროს. აღარ განსოვს რუს ხელმწიფესთან რო წერილის მიწერა უნდოდათ და გადაყვენ იმისთანა კაცის ძებნას, ქართულად დაწერილი წერილი რო რუსულად გადაელო? მაგ კაცი, ჩემო ძმაო, მალე

ყეინთან მიდის თურმე, სულ მალე. აბა რაეა გგონია შენ.

— ყეინთან კი არა ის არაა.

— რო წაეა, არც მაშინ დაიჯერებ?

— ნურც მობრუნებულა მის დღეში. რა საქმეზეო ნეტაეი?

— მაგ რო ვიცოდე, რა მიჭირს.

კუწუწამ დამფრთხალი მეღიასავით მიმოიხედა, უღვაშები უფრო შეაცმატუნა და სადუნას ჩურჩულთ უთხრა:

— შენ თუ მაგას გამიგებ... რა განდა, მთხოვე.

— რაფერ? მე ვინ მეტყვის.

— კითხე. შენ ნამეტანი უყვარხარ. ჩემთან დალაპარაკებას არ კადრულობს, შენთან მმასავით არი. რა აქამე მისთანა, ჯადო გაქვს ალბათ. კითხე და გეტყვის. შენ რაზე დაგიფიცავს. თუ მაგას გამიგებ, შენ რომ ჩემს თათრულ ხანჯალზე თვალი გრჩებოდა..

— მართალს მეუბნები? არ გადათქვა მაგ სიტყვა. მაგას რაეა ვერ გავიგებ, — მიახალა სადუნამ, თან გუნებაში გაიფიქრა: „თუ ვერ გავიგებ, მოვიგონებ რამეს, თორემ მაშინვე არ მიმიხედვ, სწორს გეტყვი თუ ტყუილს“

ალბათ გამოიმეტყველებამ გასცა, რადგან კუწუწა მიუხედა.

— იცოდე, თუ სწორი არ გითქვამს, ხანჯალს გაჩუქებ კი არა, გვერდებში გაგიყრი.

— სწორს, რაეა, რასაც გავიგებ, იმას გეტყვი. შენ ახლავე მიტეხ პირს? არა, ძმაო, შენი არც ხანჯალი მინდა, არც ხმალი. თავი დამანებე. თუ რამეს გაგება ვინდა, შენ თითონ გაიგე.

სადუნა მაშინვე გამოორდა მოსაუბრეს და თან გუნებაში ცდილობდა გარკვეულიყო, რისთვის ან ვისთვის ცდილობდა ასე კუწუწა, გაეგო ბესიკის სპარსეთში წასვლის მიზეზი. ცხადია, სახლთუხუცესისთვის არა, რადგან მან ისედაც კარგად იცოდა ალბათ, რა საქმისათვის გზავნიდნენ ამ ახლადშეფარებულ მდივანს ყეინთან. მაშ ვისთვის? ცხადი იყო, რომ კუწუწა რომელიღაც მებატონეს

ერთგულობდა და მისი მსტოვარი იყო. სადუნამ საითთაოდ ჩამოთვალა თითებზე სოლომონ მეფის საიდუმლო შეკრების მონაწილენი და შეეცადა მოეგონებინა, თუ ვინ უნდა დასწრებოდა საერთოდ თავისი მდგომარეობის ან თანამდებობის მიხედვით ამ თათბირს და არ იყო მოწვეული.

ამ ფიქრებში გართული ისევ შებრუნდა სამდივნოში და ბესიკს გვერდით აეტრია.

— ნეტა გამაგებია, რას წერ ბატონო ამდენს. აღდგომის ღამეა, სადაცაა წირვა დაიწყება, დიდი და პატარა ეკლესიაში წასასვლელად ემზადება. ჰო, ჰო, რა სუფრა იშლება სასახლეში. თონეში რომ ჩაგახედა გაგიყდები, შამფურზე წამოგებულ დობრასული გოჭები და ბატკნები ერთმანეთზეა მიწყობილი, მარა, რათ, ნაშუალამევიამდე ხელს ვერ წააქარებ ზედ...

— ჰო და მეც იმისათვის არა ვჩქარობ, — უთხრა დიმილით ბესიკმა წერა დაამთავრა და ნაწერი გრაგნილად დაახვია.

— ერთი რამე მინდა გკითხო, ბატონო, თუ შეიძლება..

— რად მეკითხები? ჩემი, სულერთია, არ გჯერა!

— დავიჯერებ, ქვეყანა ბრუნავსო კი არა, რო მითხრა, იქცევაო, იმას დავიჯერებ, ოღონდ მითხარი, რა საქმეზე მიიღიხარ ყაენთან?

ბესიკმა გაკვირვებით შეხედა მოსაუბრეს და წარბები შეიკრა. სადუნა დაიბნა და მობოდიშებით წაიღუდუნა:

— სხვანაირად არ იფიქრო, მე მოგიკვდე, თუ ან ენის მიტანას ვაპირებდე ან რამეს, ისე მინდა ვიცოდე...

— ძალიან ვინდა იცოდე?

— არა, თუ შეიძლება, თვარა...

— კარგი, თუ აგრე ძალიან გსურს გაგება, სარდალ სახლთუხუცესს გამოეთხოვე შენს თავს და ჩემთან ვიახლებ, წამოხვალ სპარსეთში?..

— დმერთო, შენ მიშველე. — აღმოხდა სადუნას. პირველად გადამწერა და ბესიკს დაფეთებული ფურცლებითა და თაღს შეუბნებია!

— რაო, შეგეშინდა?

— შიში რა ბრძანებაა, ბატონო. მე ვინ მალირსებს სპარსეთის ნახვას.

— მგზავრობის არ გეშინია?

— თქვენთან, შენი ჭირიმე, სად უნდა წაბრძანდე, რომ ვერ შევძლო სიარული...

— აბა მამ გადაწყვეტილია, მხოლოდ იცოდე სიტყვა არავისთან დაგცდეს.

— ეს რა აღდგომა გამითენდა. მართლა ბრუნავს, მგონია, ეს ქვეყანა. დედა, რავე დამწარდა ამადამდელი პურმარილი. სიხარულით ლუკმას ვეღარ ჩავიკარებ პირში, აღარც სმა მინდა, აღარც ჭამა.

—

წირვის დაწყებამდე ქუთაისს მოულოდნელად ჩამოვიდა მეფის ძმა არჩილი თავის შეუღლით.

არჩილს ცოლად ერეკლე მეორის ქალიშვილი ელენე ჰყავდა და მუდმივად სოფელ ღვანკითში ცხოვრობდა. სასახლის კარზე ცოლიც და ქმარიც იშვიათად თუ გამოჩნდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოლომონმა ცოლად ქაჯიას ნაჭერივალი უბრალო აზნაურის ქალი შეირთო და გააღედოფლა. სამეფო გვარის შთამომავალს და დიდებული მეფის ქალიშვილს ელენეს არათუ ეთაკილებოდა, არამედ შეურაცხყოფად მიანდა ფაცხაში ნაგდებ და აზნაურის გვერდით ნაწოლი ქაჯიას ქალისთვის დედოფალი ეწოდებინა და მას გვერდით როგორც უბრალო სეფექალი მოდგომოდა. ამიტომ, არც ქორწილს დასწრებია და აგერ მას შემდეგ თითქმის ათწელიწადი იყო გასული, სოლომონის კარზე, არც ქუთაისში, არც ვარციხეში და არც სკანდელი ფეხი არ დაუღვამს. მან მხოლოდ მსტოვრები გაიჩინა და სა-

სასლემი მეფის კარზე თავგებიც რა დროს ფაჩუნებდნენ, ისიც კი იცოდა. განსაკუთრებით ქართლიდან გადმოსულ თავადებს ან აზნაურებს ადევნებდა თვალს და თავის მამას ერეკლეს ყოველივეს ატყობინებდა. რაც კი რამ წერილები მოდიოდა არჩილს, ან მეფის სოლომონისაგან, ან კათოლიკოს იოსებისაგან, ელენე მათ ასლებს ან თითონ დედნებს ერეკლეს უგზავნიდა. სოლომონმა ეს ყოველივე იცოდა და თუ კი ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედებას აპირებდა, ძალზე ფრთხილობდა. თავისი ძმა არჩილი დაფიცებული ჰყავდა, რომ ცოლთან არაფერი გაემხილა, მაგრამ უშედეგოდ, ელენე ყოველივეს გებულობდა. მართალია არჩილი ფიციკებოდა, ცოლთან არა მითქვამს რაო, მაგრამ ელენე ისეთ წერილმანებს გებულობდა, რომ სოლომონს არავითარი ფიცი არა სჯეროდა და ერთხანს ძმებს შორის დიდი უკმაყოფილებაც კი ჩამოვარდა. ბოლოს თუმცა შერიგდნენ, მაგრამ სოლომონი ძმას იშვიათად იბარებდა თავისთან. ახლა ეს თათბირიც ისე ჩაატარა, რომ არჩილი არა თუ დაიბარა ბჭობაზე, არამედ ყველას სასტიკად აუკრძალა თუნდაც ერთი სიტყვაც დაცდენოდათ მასთან.

არჩილმა, ცხადია, გაიგო, რომ სოლომონი საიდუმლოდ თათბირობდა თავის დიდებულებთან, მაგრამ რამდენიც არ ეცადა ცოლიც და ქმარიც შეეტყვოთ, რის შესახებ მსჯელობდნენ, არაფერი არ გამოუვიდათ. ელენე გუმანით ზედებოდა, რომ ეს აშკარა შეთქმულება უნდა ყოფილიყო ერეკლეს წინააღმდეგ, რადგან სოლომონთან თავი მოიყარეს ელიზბარ ერისთავმა, ალექსანდრე ამილახვარმა, ზაქარია და ბესიკ გაბაშვილებმა და ქართლიდან გადმოხვეწილმა ყველა დანარჩენმა თავადმა თუ აზნაურმა, რომელთაც ერეკლესთან მტრობა ჰქონდათ. აშკარა იყო, რომ თუკი იმერთა მეფე თავის ძმას ამ თათბირზე არ იწვევდა, არ სურდა მისთვის გაემხილა თათბირის მიზანი და თავისი განზრახვა.

აღდგომის შაბათს ელენემ მოულოდნელად გამოუცხადა ქმარს სურვილი, ზღუებოდა სოლომონის მეუღლეს: გულფანას და დიდებულ დღესასწაულს აღდგომას, მასთან ერთად შეგებებოდა. გაციებულნი არჩილი დათანხმდა, მაშინვე უბრძანა ცხენები შეეკაზმათ და ელენე დიდებულნი ამალით გარშემორტყმული თავის ქმართან ერთად ქუთაისს გაემგზავრა.

მათა მოულოდნელმა მოსვლამ ერთი ალიაქოთი გამოიწვია სასახლეში. სოლომონი სრულიად არ მოელოდა თავისი რძლის წვევას და ძალზე გაუკვირდა, როდესაც ელენე პირდაპირ გაემართა დედოფლის პალატაში, ეახლა გულფანას, ჯერ მხარზე, შემდეგ შუბლზე ეამბორა, მოკრძალებით მოიკითხა და ბოდიში მოიხადა, რომ აქამდე ვერ მოახერხა ზღუებოდა. ელენეს ეს საქციელი გულფანას დედოფლად აღიარებას ნიშნავდა. აქამდე დიდებულთა ცოლები, დიდგვარიანი თავადის ქალები თუ ტუნის იზუებდნენ და გულფანასთან ზღუებას თაკილობდნენ, ახლა ვერცერთი ვეღარ გაბედავდა კრინტი დაეძრა და უკმაყოფილება გამოეთქვა აზნაურის ქალთან ზღუება არ შეკადრებო. ამიტომ ელენეს მოსვლა, ცხადია, ყველაზე უფრო გულფანას გაეხარდა და ეს სიხარული მაშინვე გაუზიარა თავის მეუღლეს. სოლომონი მიხვდა, რით იყო გამოწვეული ელენეს ასეთი თავდაბლობა და მისი დამოკიდებულების უეცარი ცვლილება, მაგრამ რძლის მოსვლა მასაც ძალზე გაეხარდა და საბლთუხუცესს უბრძანა, ეს ბედნიერი აღდგომა განსაკუთრებულად ეზეიმოთ.

პაატუნამ ურჩია მეფეს სტავრის ტანსაცმელით შემოსილიყო და ისე დასწრებოდა წირვას. სასახლის კარიდან მთავარანგელოზის ეკლესიის კარამდე ფიანდაზი დააგეს და მინებიათი რკინის ფარნები ჩაამწკრივეს. მალე სადღესასწაულად მორთული სოლომონი და მისი მეუღლე ტაძრისაკენ გაემართნენ. ორთავეს სიასამურის სამეფო მანტია ჰქონდა

წამოსხმული, რომელთა ათრეული ბოლოები მოწიწებით მიჰქონდათ კარის ჰაბუტებს, თავზე გვირგვინები ედგათ. ხოლო სოლომონს ერთ ხელში სკიპტრა, ანუ როგორც ქართველნი უწოდებდნენ, ფაენი ეჭირა, ხოლო მეორეში სფერო. მეფე დედოფლის შემდეგ მიდიოდნენ არჩილი და მისი მეუღლე. სასახლის სეფექალები, დიდებულები და ბოლოს სამეფო მდივნები.

სწორავდა ზაქარია გაბაშვილი, რომელსაც თორმეტი მღვდელი ეხმარებოდა, მათ შორის მისი ორი შვილი იოანე და ნიკოლოზი. ქუთათელი შეუძლოდ იყო და ზემო ქალაქიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

მთელი ტაძარი გაჩირადნებული იყო აციმციმებული სანთლებით, რომლებიც მრავლად ენთო არა მარტო დაკიდულ კანდლებზე და საკურთხეველის წინ ჩამწკრივებულ ვერცხლის შანდლებზე, არამედ კედლებზე და ხატებზე. ყოველი მლოცველსაც ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. სადღესასწაულოდ მორთული და თვალმარგალიტით შემკული სეფექალები თვალისმოშვრელად ბრწყინავდნენ. ქალთა შორის სილამაზით ყველასგან გამოირჩეოდა დედოფალი გულფანა, რომელსაც მიუხედავად მისი მდაბიო წარმოშობისა, დიადი, ნამდიელი მეფური შესახედაობა ჰქონდა. მართალია ხნოვანებით უკვე ორმოც წელს უახლოვდებოდა, მაგრამ ეს მალალი და წარმოსადგეი ქალი საოცრად შენახულიყო, დაწვები ვარდისფრად ატკეცოდა, ხოლო გადახაზულ წარბებ ქვეშ ჩამინდული ნუშისმაგვარი თვალები მომხიბვლელად უციმციმებდა. მისი აღმასისთვლებიანი გვირგვინი და ძვირფასი სამკაული ისე ელვარებდა, რომ დედოფალი თავით ფეხებამდე წმიდანით ანათებდა. მის გვერდით კი არჩილის მეუღლე ელენე, მიუხედავად იმისა, რომ არანაკლებ მდიდრულად იყო მორთული და სამკაულებით ახირხლული, მაინც საბრალოდ გამოიყურებოდა და სამეფო წარმოშობის

მას არაფერი ეტყობოდა. დაბალი და ჯუჯა, შეგვრემანი, უცნაურად ჩატეხილი კისრით, ნიკაპზე ბაღნიანი ხალით, ის, არც მამამისს ერეკლეს ჰგავდა, არც დედას დარეგავს.

წირვით ყველანი კმაყოფილი დარჩნენ, რადგან ასეთი კაფიად გამოთქმული ღალადი არცერთს არ მოუხმენია. გარდამოხსნის აღსრულების შემდეგ, წირვა რომ დამთავრდა, დიდებულებმა დაიწყეს ხობების წარმოთქმა სოლომონ მეფის მიმართ. ჯერ სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა მიმართა მეფეს, შემდეგ მდივანბეგმა პაატა აბაშიძემ და ბოლოს ამბიონთან მივიდა ბესიკი.

ტაძარში ოდნავი შრიალით გადაირბინა ჩურჩულმა და ყველა დაძაბული ყურადღებით მიაჩერდა მგოსანს. ამდენი მოთქმამოთქმის შემდეგ, როდესაც ზღაპრული ამბები დადიოდა ქალაქში მისი განსწავლულობის შესახებ, ახლა იგი თითქო გამოცდას აბარებდა მთელი ამკრებულის წინაშე. ყველა თავისებური განწყობილებით შეეგება ბესიკის გამოჩენას, ქალები აღტაცებით უცქეროდნენ, დიდებულები ცნობისმოყვარეობით, ხოლო დაბალი მოხელე აბაშენაურნი შურით, რადგან ყოველ მათგანს თავი უფრო ღირსეულად მიაჩნდა და ვერ ურიგდებოდა გადმოხვეწილი კაცის ასე დაწინაურებას.

ბესიკმა გრავნილი, მართალია, გაშალა, მაგრამ მთელი ხობტა ისე წარმოსთქვა, რომ ნაწერზე ერთხელაც არ დაუხედნია.

— დღეს იხარებს დავით, სულიერსა ჩანჯა თანა მლაღადებელი მეფე, და იტყვის: „აჲ აღმსრულნა აღმოქმელმან კეთილობამან, ვითარმედ: ერთგვის ვეფუცეო წმიდასა ჩემსა დავითს!“ რომლისა შემდგომ, მზგავსად სიტყვისა მის, მიეცემოდა მეფობაი შენი!

ტაძარში სიჩუმე ჩამოვარდა, მარჯვნივ სამხრეთის კედელთან დედოფლის სეფექალთა შორის ბესიკის და მეღანო იდგა, რომელსაც აღელვებისაგან ცრემ-

ლები დაბალუბით სცივოდა. მას, თავის ძმებში, ბესიკი განსაკუთრებით უყვარდა და მუდამ მის მზეს ფიცულობდა. სულ პატარა იყო მელანო, როდესაც დამანი ერთმანეთს განშორდნენ. გოგონას მეხსიერებაში ბუნდოვნად იყო ჩარჩენილი ბესიკის სახე. შეიძლება სულაც დაიწყებოდა თბილისში მიტოვებული თავისი ძმა, მაგრამ იმდენს ლაპარაკობდნენ ოჯახში ბესიკის შესახებ, ისეთი სასოებით იგონებდნენ ზაქარია და მისი მეუღლე როდამი ანახანუმთან აღსაზრდელათ მიტოვებულ შვილს, რომ მელანოსაც თავდაიწყებამდე შეუყვარდა თავისი ძმა. ახლა კი, როდესაც ბესიკი მთელ ოჯახს მხსნელად მოველინა, ყველანი შემოსა, სამუშაო მიუჩინა, თითონ სასახლის კარზე ისე დაწინაურდა, რომ მამულეებიც მოიპოვა და საკუთარ სასახლის შენებასაც კი შეუდგა, მელანო თავისი ძმის ყოველ უბრალო ნაბიჯსაც კი რაღაც უჩვეულო სიმძაფრით განიცდიდა. ხოლო ასეთ საზეიმო გარემოცვაში, როდესაც ბესიკს თითქოს გამოცდა უნდა დაეჭირა მეფე-დედოფლისა და მთელი სამეფო კარის წინაშე, მელანო თავის ძმაზე უფრო დედავდა და კინაღამ გული შეუღონდა.

— ...და რამეთუ ძეთა მისი ბრძენი იგი, — განაგრძობდა ბესიკი, — სახელ-სახე სიბრძნისა და თანამძღვანელი, შენთვის დღეს ხელკყოფს შენისავე შესხმისა აფთრათისა წერად, კალამ მიმზებელი თუმბუთურისა თანად მელნისა...

მდივანთუხუცესი გოგია აბაშიძე გადაიხარა და სახლთუხუცესს პაპუნა წერეთელს წასჩურჩულა:

— შენ მიტირე, თუ ერთი სიტყვა მესმოდეს. რას ბეუტურებს ნეტა ეზუბედური?

პაპუნამ წარბშეკვრით გადახედა მდივანთუხუცესს და ამით აგრძნობინა, თუ რამდენად უადგილო იყო მისი ეს ხუმრობა. გოგია მიხვდა და ავადმყოფი მაპალივით აიბუზა.

— ორნი იგი მეფეთა პირნი, ორმალი-სა ხმათა შემწყობნი... უკანაგვრებობდა ბესიკი.

ახლა პაპუნა გადაიხარა გოგიასაკენ და წასჩურჩულა:

— ესე იგი სოლომონი და არჩილიო. გაიგე?

— ეგ მეც მივხვდი. შენ სხვა მითხარი, — წაიღუღუნა გოგიამ. — მაგ, გგონია გვატყუებს, კითხვა ვიციო. ქალაღს არც დაჩერებია ისე ლაპარაკობს.

პაპუნამ გაიღიმა, გოგიას აღარ უპასუხა, რადგან ახლომდგომებმა უნებურად მოიხედეს მათკენ, და ისევე ბესიკს მიატყერდა, რომელიც უკვე ამთავრებდა თავის ხოტბას.

— ...და ესრეთ ყოველი სახლი დაეთისი ხელაღტყველვილებრ განიშვებს, რამეთუ დაცემა იქნა ქედმაღალთა მთ უცხო თესლთა აგაროვანთა და აღგა პირი დავრომილი ჩვენ ქრისტიანეთა. ქრისტეს მიერ საბრზე შეიშუსრა და ჩვენ განვერებით. შეწყევა ჩვენი სახელითა უფლისათა, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანა! ქრისტე აღდგა და აღმადგინა მონებრივისაგან მტერისა.

«ათინელთ ენა, ქველშესაძენა, შესხმის მოცალედ გშვენს წამის წამად! პლატონ, უმიროს, პროკლეტურთ იროს, არისტოტელი ჰყვეს დასაწამად! ბრძენნი და მძენნი, ფრანგნი, ბერძენნი, ჩრდილო სამხრელნი ხმა შენადგამად. მოკრბობთ სეფისდა, ქებად მეფისდა სოლომონისდა ხილვად სალამად».

დაამთავრა თუ არა კითხვა, ბესიკმა ნაწერი დაახვია, მივიდა მეფე-დედოფლის წინ, დაიჩოქა და გრავნილი მთ ფეხებთან დადგა. ეჯიბმა ის იმწამსვე აიღო, ხოლო სოლომონმა რამდენიმე სიტყვით შეაქო მგოსანი და მაშინვე გაემართა ტაძრიდან.

ბესიკის ხოტბამ ეტყობოდა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებით ბოლოში წარმოთქმულმა იამბიკომ და ყველა აღტაცებას გამოსთქვამდა. მის გასაგონად, ხმაიად-

ლა აქებდნენ და ხუმრობით დასძენდნენ:

— გაბაშვილების ყოფილა ეს აღდგომა და ეს არის. წირვა მაგათი, ხობა და ლექსისთქმა მაგათი, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია ლხინის და ნადიმის მეტი.

დიდებულები მწყობრად ხელში ანთებული სანთლებით უფროს-უმცროსობის მიხედვით მიჰყენენ მეფეს. ქალები წინ მიდიოდნენ, ხოლო მათ შემდეგ მამაკაცები, რომელნიც ეკლესიის კართან თავაზიანად უთმობდნენ გზას ერთმანეთს და წამდაუწუმ ისმოდა:

— მიბრძანდით, შენი კირიმე...

— არა, თქვენ მიბრძანდით

— თქვენ, ბატონო, თქვენ...

— შენ არ მომიკვდე, გთხოვთ უმორჩილესად...

გავიდოდა ეს წყვილი და იმწამშივე დაიწყებდა ვაჭრობას მეორე წყვილი. ამიტომ მეფე უკვე თავის სასახლეში იყო მისული და თავის ოჯახის წევრებთან ერთად ელოდა ზაქარიას გამოსვლას. ყველანი ერთად უნდა წასულიყვნენ ზემოთ—დიდ ქუთაისში. მართალია, ბესიკი სამეფო სუფრაზე მიწვეული იყო, მაგრამ მისმა დამ მელანომ, ხობის წარმოთქმის შემდეგ, სიხარულისაგან ჯერ კოცნით კინალამ დაახრჩო და შემდეგ მკლავში ჩააფრინდა და უთხრა: არსად არ გაგიშვებ, ამაღამ მთელმა ოჯახმა ერთად უნდა მოვილხინოთო. მით უმეტეს, ზაქარიაც შინ იქნებოდა. ბართალია, მას სამეფო სუფრა უნდა ეკურთხებინა, მაგრამ თავს შეუძლოდ გრძნობდა და, თანაც, რადგან ქუთათელი მიტროპოლიტისათვის ქრისტეს აღდგომა სურდა მიელოცა, სერობის კურთხევა კარის ხუცესს დაავალა და თითონ თავის ოჯახის წევრებთან ერთად შინისაკენ აპირებდა წასვლას. საკურთხეველიდან რომ გამოვიდა ზაქარია, თვალცრემლიანი მოეხვია თავის შვილს.

— ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ, — გადაიწერა პირჯვარი

ზაქარიამ. — სიხარულის ცრემლები მდის ამ დიდებულ დღესასწაულს. წავიდეთ ახლა. როდამი რა იქნა?

მოიხედეს. მოხუცი ჩრდამი იცეკვ მატხოვრის ხატის წინ დამხობილიყო და პირჯვარის წერით ლოცვებს ბუტბუტებდა. შეიღებმა სიცილით წაწოყენეს მოხუცი ქალი და გაახსენეს, რომ შინ წასვლის დრო იყო.

გარეთ თბილოდა. საოცრად მსხვილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ხოლო ქვემოთ, თითქო ეს ცა ქაშანურივით ჩაღრმავებული ტბაში ჩალანდულიყო, მოჩანდა უამრავი მოლივლივე სანთლები. თბილი და საოცრად საამური ქარი ცელქი ბავშვივით ხან ერთი მხრიდან მოვარდებოდა ხან მეორე მხრიდან. შინისაკენ მიმავალთ სანთლებს აუფორიაქებდა, ააციმციმებდა, ზოგის აღს უცბათ დააქრობდა, ზოგის აღს კი ისე ჩააფრინდებოდა თითქო კისერი უნდა წაეწყვიტა. მერე ისევ მიიმალებოდა, რომ ახალი საფარიდან კვლავ მოულოდნელად გამოვარდნილიყო. ისმოდა მხიარული ყრიაშული, სიცილ-კისკისი და სიმღერა გალობა.

ხანგრძლივი წირვის მოსმენისა და იმ ღელვის შემდეგ, რაც ბესიკმა ხობის წარმოთქმამდე განიცადა, მას ოდნავ თავბრუ ეხვეოდა. ახლა გუნებაში კიდევაც ჯავრობდა თავისთავზე, რომ ასე ტყუილუმბრალოდ ღელავდა და უფრო უკეთესად ვერ წარმოსთქვა სახოტბო სიტყვა. ნატრობდა, ნეტავ ეს წირვა ხელახლა განმეორებულყო, რომ კვლავ მისულიყო ამბიონთან და ისევ განეცადა ხალხის დამაბული ყურადღება. მხოლოდ აქ კი არა, სიონში, სვეტიცხოველში ან გელათში... სულერთია, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდ ამ წირვას დასწრებოდა...

ვინ?

ბესიკის მესხიერებაში მოოლოდნელად გაიღვეს უკვე დაიწყების მორევში ჩაძირულმა სახეებმა.

უფროსმა ანამ... (თმებში ხელს ჩა-  
აგლებდა ბესიკს და გულმოსულივით  
თავისაყენ შიზიდავდა საყოცნად).

უმცროსმა ანამ, თვალეები რომ მუ-  
დამ სეველიანი ვნებით ჰქონდა დაბინ-  
დული...

...და მღვიმის მონასტერში ნახულმა  
თვალციმციმა მონოზანმა.

გული აუჩქროლდა. სული მძიმედ  
მოითქვა და მელანოს ჭუსსფუსით  
უთხრა:

— იცი რა, მე ცოტა საქმე მაქვს,  
თქვენ წადით შინ.

— არ გაგიშვებ, — ჯიუტად უთხრა  
მელანომ.

— ჩემო დაიკო, შენი ჰირიმე, ისე-  
თი საქმე მაქვს, რომ სიხარულით გა-  
გაყდები, როდესაც გაიგებ. განა სულ  
წაველ, ახლავე მოვალ. შეიძლება გზა-  
შეცად დაგეწიოთ.

სთქვა ეს და მაშინვე ოქროს ჩარდა-  
ხისაყენ გაბრუნდა.

სასახლის ალაყაფთან ბესიკს ეზოს  
მომღვარი დაუხვდა, აღდგომა მიულო-  
ცა, ჯვარედინად გადაკოცნა და შემ-  
დეგ საყვედურით მოახსენა:

— სად ბრძანდები? მეფემაც გი-  
კითხა. დედოფალმაც, არჩილის მეუღ-  
ლემ საგანგებოდ დამავალა, აუცილებ-  
ლად მომგვარეო.

— მართლა? არ ვიცოდი. ახლავე  
ვეახლები.

— მიბრძანდი, შენი ჰირიმე, მიბრ-  
ძანდი.

— შენ ეს მითხარი, სადუნა ხომ არ  
დაგინახავს?

— რომელი? პაპუნას პირისფარე-  
ში? რაოა არა. ის მელაყუდა ეგერაა,  
საფარეშოში.

დაპალსა და საოცრად გრძელ საფა-  
რეშოს, მხოლოდ ორი კარი ჰქონდა,  
თავსა და ბოლოს. თითოეულ კარის  
პირდაპირ, კერიებზე, ცეცხლი გუზგუ-  
ზებდა. სადუნას, როგორც სახლოთუხუ-  
ცისის პირად ფარეშს და ყველაზე  
უსაქმურ მსახურს, ხელში უზარმაზარი

ყანწი დაეკირა და აფუსფუსებულ  
მწდიველთ ეხვეწებოდა, თქვე უსინ-  
დისოებო, აღდგომაა, ეს ერთი ყანწი  
ამივსეთო. ბესიკის დაზანებაზე სადუ-  
ნა თაზარდაცემულივით ეცა უფროს  
მწდიველს, რომელიც კოცებიდან, ღო-  
ქებში უსხამდა ღვინოს მსახურთ:

— უჰ, ღმერთო მოკალი. ამივსე  
ჩქარა, ბატონი მდივან-მწიფნობარი  
მიბრძანდა, მივართვა, ჩქარა, არ გეს-  
მის?

ახლა კი გაოგონა მწდემ და ყანწი  
აუესო. სადუნამ ტანის უცნაური რბე-  
ვით და გადარაზული ნაბიჯით მია-  
შურა ბესიკისაყენ და ყანწი გაუწოდა.

— ღმერთმა მრავალ კარგ აღდგო-  
მას დაგასწროს, ჩემო ბატონო, ამისი  
მადლი ნუ მოგაკლოს.

— გამადლობ, ჩემო სადუნა, აქეთ  
მოდევ, შენთან ცოტა საქმე მაქვს, —  
უთხრა ბესიკმა და განზე გაიხმო, ყან-  
წი კი არ ჩამოართვა. — თუ გინდა,  
რომ მართლა წაგიყვანო სპარსეთში,  
ხვალ უჩემოდ არ წახვიდე საჩხერეს.  
ხომ იცი, რად?

— იმე! წელან აბა რაზე მოვედი  
შენთან. მე, ყველაფერი ვიცი. შენ  
ოლონდ დამიწერე, რაც გინდა.

— კითხვა ხომ ეცოდინება?

— ი! კითხვა ჩვენში კაცებმა არ  
იციან, თვარა ქალებმა, შენი ჰირიმე,  
მაგის მეტი რა იციან? მონოზანმა  
კითხვა არ იცოდეს, სად გაგონილა. —  
მერე ხმას დაუწია და წასჩურჩულა, —  
ეს კუწუწია ჩამცივებია, გამიგე რა  
საქმეზე მიდის ბესიკი ყეინთანო. რად  
უნდა, ნეტა, ამის გაგება?

— კუწუწია ვინ არის?

— კუწუწია, ბატონო, რავე არ იცი!  
სახლოთუხუცისის ბაზიერი. მიმინოების  
წრუტუნ-წრუტუნით ტუჩები რო აქ  
წაგრძელებული.

— ჰო, ვიცი, რაო, ეგეც ერევა სა-  
ხელმწიფო საქმეებში? — გაიციანა ბე-  
სიკმა და საფარეშოდან გავიდა.

სადუნამ კარებამდე მიაცილა. მერე

უცბად გაახსენდა, რომ ყანწი ბესიკისთვის უნდა მიეწოდებინა, ერთი კი წამოიძახა: „უპ, ბატონო, ამას არ მიიღებო?“. მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ უკვე გვიან იყო და ყანწი თითონ მოიყვლა.

სადუნა ორშაბათ დილას გაუდგა გზას. მას ცხენთაარს საქოვრებზე უნდა გაეგლო და მეჯოგეთუხუცესისათვის ბრძანება მიეტანა საქონელი სოფლებში გაერეკათ. ყოველ შემოდგომას მთელი მთიანი ზემო იმერეთი, დაწყებული კორბოულიდან და ლიჩიდან შორაპნამდე, თავის საქონელს ვაკის იმერეთისაკენ ერეკებოდა, სადაც მშვენიერი ზამთრის საქოვრები იყო. აქ თოვლიც რომ დაედო, საქონელი მაინც ახერხებდა საკვების მოვნას. იშვიათად მომხდარა, რომ თოვლის ან ყინვების გამო მას ერთ ან ორ დღეზე მეტი გაჭირვებოდეს, მწყემსებმა ზეპირად ეცოდნენ ისეთი ადგილები წყლისპირებში და შამბნარებში, სადაც ბალახი გამოუღვლეად იბოებოდა. მთის სოფლებში ზამთრობით მარტო ძროხებს სტოვებდნენ საზამთროდ, რომლის საყოფი ბზე და სიმინდის ჩალა მუდამ ჰქონდათ.

აბრილის მზიანი დღე იდგა. უკვე ყველაფერი ამწვანებული და აბიზინებული იყო. ჰვეავოდნენ გარეული ვარდები, მდინარის მწვანე ყვავილები, ია და კორჩიოტა. ჩრდილოეთით და სამხრეთით გადაგრაგნილ მთებზე კვლავ ბზინავდა თოვლი.

სადუნას მეჯოგეთუხუცესი ვარციხეში ეგულებოდა, ამიტომ მესხეთის გზით პირდაპირ მიაშურა მეფის სასახლისაკენ. რიონი აღიდებულოყო. სადუნა ცხენიდან ჩამოხტა, გაღმა მენავეს გასძახა, ნაეი გამოეყვანა, თითონ ცხენს უნაგირი მოხსნა და კარგა ხანს ეწვალა სანამ თავის ბედაურს მდინარეში შეაგ-

დებდა. ცხენი ჯიუტობდა, ცივ წყალში შესვლა ეზარებოდა და ხან მარჯვნივ გარბოდა ხან მარცხნივ. მალე მენავეც გამოვიდა და ორთავემ როგორც იქნა შედენეს გაჯიუტებული პირუტყვი მდინარეში.

ნაეი საკმაოდ მოზრდილი იყო და შიგ წყალი იდგა. სადუნა იძულებული გახდა თავისი უძიროები გაეხადა ღასე შესულყო ნავში. ფეხშიშველა და უშარვლო მენავემ, რომელსაც გრძელი ხალათი მუხლებამდე წვდებოდა, დიდი ჭოკი ნაპირს მიაბჯინა და ნაეი მდინარეში შეაცურა. მდინარის შუაგულს რომ მიადწიეს, სადუნამ დაინახა მისი ცხენი უკანვე გაბრუნებულიყო და მალე იმავე ნაპირს მიადგა საიდანაც წყალში შეაგდეს. ერთი კი იტყიკა შუბლში ხელი სადუნამ და მენავეს უბრძანა დაებრუნდეთო.

— ნუ წუხართ, ბატონო, — დაამშვიდა მენავემ, — გვეიდეთ ბარემ გაღმა. მე დაებრუნდები და გამოვრეკავ.

მართლაც გავიდნენ თუ არა მეორე მხარეს, მენავე კვლავ უკან გაბრუნდა და სანამ სადუნა თავის უძიროებს ჩაიცვამდა, მისი ცხენიც ერთის ფრუტუნით და ცხვირის ცემინებით გამოვიდა ნაპირზე. სველი ტანი რამდენჯერმე დაიბერტყა და მდინარის პირად სქლად წამოზრდილ ბალახს ხრამუნით დაუწყო მადიანად ძოვა. სადუნა მიუახლოვდა, დაიჭირა, გავაზე ხელი გადაუსვა და სველი ბალახი დაუწურა, ერთ ხანს ბალახი ამოვებინა და როდესაც ცხენი ოდნავ გამრა, ისევ დაადგა უნაგირი და ზედ მოეგლო. ვარციხის სასახლეში ეზოს მოძღვარმა პაპუჩა აბულაძემ სადუნა ცხენიდან ჩამოსვა და სუფრაზე მიიბატიეა. ეზოს მოძღვარს ქუთაისის სასახლის ამბები უნდოდა გამოეკითხა მისთვის და ალბათ საღამომდე არ გაუშვებდა, მაგრამ სადუნამ გადაკრა თუ არა ორიოდ ყანწი და ოდნე შენაყრდა, მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, რომ გზას დასდგომოდა. აბულაძემ კალთაში სტაცა ხელი:

— მოიცა, შე კაცო. მეჯოგეებში მისვლას მოასწრებ. აღდგომის კვირაა, რა გეჩქარება. ნუ გეშინია, უშენოდაც მოახერხებენ საქონლის გარეკვას.

— მადლობთ, ჩემო პაპუჩა, თქვენთან ყოფნას და ლხინს რა ჯობია, მაგრამ ჩემი ბატონი შენც დამეც ორივეს წავაცლის თავს, საქმეს თუ არ მივხედეთ.

— საით აპირებ წასვლას?

— ცხენთაროზე გავივლი, მერე როდინოულში; მეჯოგეებს გავირეკავ წინ. შორაპანში უნდა ავიდე ნათლიდელა მყავს იქ. — სადუნამ ეზოს მოძღვარს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა, — მერე დილიყოურში უნდა გავიარო...

— გზაზე ფრთხილად იყავი. ამბობენ ამ აჯამეთის ტყეში მოთარეშე მეკობრეები გამოჩენილანო...

— საიდან? — გაოცდა სადუნა — რამდენი ხანია ჩვენში მეკობრეებს არ გაუქუპანიათ.

— ახალციხიდან თუ გადმოვიდნენ.

— არ დაიჯერო. მთაზე ჯერ იმხელა თოვლია, რომ...

— მერე რა. ზამთარში გადადიან და ახლა რა დაუშლიდათ. თხილამურებიც არ დაჭირდებოდათ.

— ბევრი არიანო?

— სამი კაცი უნდა იყოს. ალბათ ტყვეებად უნდათ რომ მოიტაცონ ვინმე. ციხისთავმა გავზავნა მეთოფურები მათ დასაპერად, მაგრამ ამ ტყეში ეჭებე!..

— სამი კაცი! შე კაცო მე მეგონა ერთი ოცი ოცდაათი კაცი თუ იქნებოდა. თავი რაღად მინდა ცოცხალი, რომ სამმა კაცმა ტყვედ ჩამიგდოს ხელში.

სადუნა გამოეთხოვა ეზოს მოძღვარს, მოახტა თავის ცხენს და გზას გაუდგა.

ხანის წყლის ხიდან სადუნა უნებურად შედგა და საგონებელში ჩავარდა. ვერ გადაეწყვიტა ხილზე გასულიყო და პირდაპირ გადგომოდა შუაგულ ტყეზე მიმავალ გზას თუ შორიდან, ოზნაზე მოვლით, მისულიყო მეჯოგეთა ფაცხებში. მართალია სასახლეში ეზოს მოძღვართან ძალზე გულმაგრად იყო, მაგრამ

აქ ცოტა არ იყოს შეშინდა. გუნებაში გაუელვა: მართლა რომ დაჭეჭიყონ, სანამ ჩემს გატაცებას განიგებენ, სანამ დევარს მომაშველებენ, მანამდე სტამბოლის ბაზარზე ამომყოფინებენ თავსო. კარგახანს ტყეპნიდა ერთ აღვილს, ბოლოს ისევე გაიმაგრა გული და ტყის გზას გაუდგა. თოფსა და დამბაჩის საპირის-წამლეებზე დენთი დააყარა. დამბაჩა წელში გაიჩქო, თოფი კი თასმით ისე დაიკიდა მხარილღვე, რომ ერთ წუთში შეეძლო ნიშანში ამოეღო დამხდური.

ახლადამწვანებული ტყე ჯერ კიდევ არ იყო იმდენად დაბურული, რომ დღის სინათლე ჩაებნელებინა. სიფრიფანა ფოთლების გამკვივრვალე სიმწვანეს სიყვითლე გადაკრავდა. საურმე გზა ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და აქა-იქ წუშპეები ლივლივებდნენ.

შორიდან შოლტის ტაკუნე მოისმა. სადუნა ყურადღებით დაიძაბა და ცხენს დახედა, რომელმაც ყურები ცქციტა. ჯერ ხმაურის მიმართულებით ორივე ერთად მიმართა, მერე ცალი იმავე მდგომარეობაში გააჩერა, ხოლო მეორე სხვადასხვა მიმართულებით შეატრიალ-შემოატრიალა, და როდესაც დარწმუნდა, საეჭვო არაფერიო, წაიფრუტუნა და არხეინად გზა განაგრძო. მართლაც მოსახვევში გამოჩნდნენ უღელში გაბმული ყვეარი ხარები, რომელნიც სასაწინახლე მორს მოათრევდნენ. ხარებს წინ მოუძლოდა ფეხშიშველი, შარვალ-ამოკაბიწებული გლეხი, რომელსაც წვერები და თმა ისე ერთ ზომაზე ჰქონდა შემოზრდილი გარშემო, თითქო საგანგებოთ მოქსოვილ მატყლის ბორბალში გამოეყო სახე.

— გამარჯობა შენი! — მიესალმა სადუნა გლეხს და ცხენი შეაჩერა.

— ღმერთმა გავიმარჯოს! — უპასუხა გლეხმა და ხარებს გასძახა: — შაა.. მოჰ!

ხარები გაჩერდნენ. ისინი ისე იყვნენ დაღლილნი, რომ მძიმედ სუნთქავდნენ და ლაშებზე ლორწო ეკიდათ.

— კარგი ხე წამოგიღია, მაგისი საწინახელი მართლა სანაქებო იქნება მთელს იმერეთში, თუ შენია, — უთხრა სადუნამ გლეხს. — მაგრამ ამ აღდგომის ორშაბათს რა გეჩქარებოდა.

— ბატონო, გლეხი კაცისათვის კვირის გარდა სულ სამუშაო დღეა. მერე სანამდი მიწა სოველია, მინდოდა მომესწრო, თორემ მშრალზე ამას რა დაძრავს.

— ასე მითხრეს აქეთკენ მეკობრეები გაჩენილან, ხალხს იტაცებენო.

— დოუტყერიათ, ბატონო, უკვე.

— შენ რა იცი?

— მე ვნახე ჩემი თვალით. ქუთაისში მიყავდათ-ყე სამივე. სამი ყოფილა, ბატონო.

— სად დაუტყერიათ თუ იცი.

— სად, შენი ჭირიმე, და საწალიცეზე დაწევიან. ფოთიდან ყოფილან სამივე. იქ გოუგიათ თურმე, მღვიმევის მონასტერში ქვეყანაზე რო არ ნახულა, იმისთანა მზეთუნახავი მონოზანიოა და იქაურ თათრის ვაჭრებს უთქვამთ, ვინც ამ ქალს მოგვიყვანს, ერთ ტომარა ოქროს მიეცემთო...

— ის ქალი მოუტაცენიათ? — ჰკითხა ელდა ნაყრავმა სადუნამ.

— აგერ ვითხრა, ბატონო. პო და მაგ სამ კაცს მოულაბარაქნია ერთმანეთში, ახლა გავეკეთდით თუ გავეკეთდითო და გოუწირავთ თავი. ჩამოსულან და ერთი კვირა გამოქვაბულიდან დაჩაჯობდნენ თურმე. გვეიხედე ერთხელ, გეილო მონასტრის კარები და ამ გოგომ გამოორეკა თურმე ცხვრები საბალახოდ. დასტაცეს ამ ქალს ხელი, მოიგდეს ცხენზე და გოუყენეს რაქისაყენ. რაჭა-ლეჩხუმზე მოვლით უნდოდათ სადადიანოში ჩასვლა, თორემ, აჰ, იცოდენ, რომ სოლომონ მეფის საბრძანებელში ხეირს არ დააყრიდნენ... მარა. მონოზნებმა ასტეხეს წივილი-კივილი, მღევარიო დეიძახეს თურმე. გაყენთენ ჩვენი ბიჭები და ქე გაბაწრეს სამივე...

— ის ქალი?

— ის ქალი ქე მოუყვანიათ ისეე მონასტერში. შენ წარმოიდგინე, ისე არაფერი, ნამუსიანად შეუნახავთ.

— მაღლობა ღმერთს! — თავისუფლად ამოისუნთქა სადუნამ და პირუჯვარი გამოისახა. — ნამდვილია, რაც მითხარნი?

— კი, ბატონო. ათისთავმა გვიამბო თითონ. ღვანკითში ვიყავი გუშინ და იქ ვნახე. იმათთვის იქვე უნდა მეექვრათ სამივესთვის თავები, ასეა სოლომონ მეფის ბრძანება, მაგრამ უთქვამთ, მეფესთან მიგვიყვანე და იმისთანა ამბავს შევატყობინებთ, იქნება სიცოცხლე გვაჩუქოს და თქვენც დაგასაჩუქრებსო.

— არ გაეჭკეთ.

— აჰ, რკინის ბორკილები დაედოთ სამივესთვის. ტყუილია, სოლომონი მათ არ აბატებებს და სამივეს თავებს დააყრევინებს. ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს ჩვენი მეფე, რაც მაგ გამეფდა, პატარა მოეშენდით, შენი ჭირიმე, თვარა, ახლა მთელი იმერეთი სულ სათათრეთში იქნებოდა გაყიდული. მეც გაყიდული ვიყავი, მარა გამოვიქეცი. რაც მე გაჭირვება გადაამხდომია...

— აზატი ხარ?

— კი, ბატონო. ტყვეობიდან დაბრუნებული თუ თავის ნებით არ ეყმო ვინმეს, ისე ხელს ვერაინ ახლებს, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— რა გვარი ხარ?

— სირბილაძე. ასე ჩამიწერეს, რაღვი თათარს გამოექეცი ტყვეობიდან, კარგი სირბილი გეკონიაო და გვარიც ეგ გქონდესო... — გლეხს კიდევ უნდოდა ლაბარაკი, მაგრამ სადუნამ ცხენს მათრახი მოუქნია.

— მშვიდობით იყავი, — უთხრა სადუნამ გლეხს. — ეგ კარგი ამბები მითხარი.

— ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს, ჩემო ბატონო. — ფუსფუსით უთხრა გლეხმა, თითონაც ხარებს სახრე მოუქნია და მიმავალ სადუნას თვალი გააყოლა.

„თავადიშვილია ეტყობა. — გაიფიქრა გლენმა — ჰო, რა აცვია და რა ახურავს!“

სადუნამ მონასტრის ბეჭეზე მაგრად დაარახუნა. კარგა ხნის მოლოდინის შემდეგ კარს ურღული გაუგდეს, მუხის ფესვებივით ძარღვიანმა მოხუცმა ღრიკოში თავი გამოჰყო და სადუნას ახედდა.

— რომელი ხარ, ბოშო, შენ?

— სადუნა ვარ. გააღე მაგ კარი, რას ჩაეკტილხართ?

— რომელი სადუნა? ფილიმონასი? უი, შენ კი გენაცვალე. მობრძანდი. მას აქეთ, რაც ის გოგო იმ ურჯულეობაში მოგეტაცეს, აქ ჩამოიყვანა წინამძღვარმა და ყარაულად დამაყენა. გამარჯობა შენი. რას შვები, რავე ხარ?

— გაგიმარჯოს, ჩემო ბიჭია.

— უიშე, მიცანი! — გაეხარდა მოხუცს — შენ კი გენაცვალე შენ. რავე გადიდაცებულხარ. აზნაურშიველი ვერც კი გამოგარჩევს კაცი. საწყენად არ მიიღი, კარი რომ ასე მალე არ გაგიღე. გვეშინია, შენი ჭირიმე, გვეშინია. ის უღმერთოები ფოთიდან აქ ჩამოსულან ქალის მოსატაცებლად. გაგიგონია ამისთანა აშბავი? მოტაცებით, შესართავად რომ მოეტაცა ვინმე ჩვენ კაცს, მაგაზე არც ქე დაგვეწყდებოდა გული, მარა თათარში გასაყიდად მიყავდათ თურმე — უცბათ წააწერილა მოხუცმა ხმა, თითქო მოძახილს ამბობდა, — თათარებში გასაყიდად, აბა! მარა იცოცხლე, მამფხანეს გული ბიჭებმა, გამოუდგნენ და..

— სად არის. აქაა? — შეაწყვეტინა ენაწყლიან მოხუცს სადუნამ.

— კი, გენაცვალე. აქაა. მოწიე ყური აქეთ, რა ვითხრა, ჩემო ბიჭია, მოხუცი მიუახლოვდა სადუნას. მიმოიხედა და ხმადებლა წასურჩა. — გაათხოვეთ, ბიჭია, ის გოგო, გაათხოვეთ. მონასტერში ვინ დააყენებს მაგისთანა ქალს. ხომ

ხედავ, საიდან სად ჩამოსულა ხალხი მაგის მოსატაცებლად.

— მაგის თქმა ადვილია, ჩემო ბიჭია. ბუშს ვინ წაიყვანს ცოლად?

— მაგიც მართალია, მარა, ახლა რომ თქვას კაცმა, ვითამ მაგითი რად უნდა დაიწუნონ. ლეთისაგან ჩენილი არა ვართ ყველა? დედამაგისს, რავე, კახობით კი არ გაუჩენია ქვეყანაზე მაგ უბედური. დაუძახეს. ბატონიშვილს ფეხი დააბანინეო, იმან სტაცა ხელი და.. იმ! — მოხუცმა თავი გაიქნია, ბეჭს ურღული გაუგდო და ეტყობოდა კიდევ აპირებდა ქაქანს, მაგრამ ამ დროს სენაკიდან მონოზნები გამოეფინენ და დაინახა თუ არა ისინი, განზრახვა გადაიფიქრა. სადუნას ცხენს სადავეში ხელი ჩაჭიდა და თავლისავე წაიყვანა.

მონოზნები კი ერთის წამოძახილებით და ვიწვევით შემოესივნენ სადუნას. მიესალმენ, დალოცეს და სეტყვასავით დააყარეს კითხვები: საიდან მოდიოდა, სად იყო, რა ამბები იცოდა. სადუნას გამოჩენა მათთვის ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენდა. ყველანი იქვე ჩამოსხდნენ ქვებზე სადუნას გარშემო და მუსაიფი გააპეს.

— რაგარი გლახა საქმე მოგვივიდა, ჩემო სადუნა, რაგარი! — სტქვა ერთმა სათნო სახის მონოზანმა, რომელსაც ნატალია ერქვა სახელად და საქმოდ ხნიერს სახე ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაღარული ნაოქებით — ი გოგო კინაღამ არ გაგვიყიდეს სათათრეში იმ უღმერთოებმა!

— ვარციხეში გავიგე მაგ აშბავი და შემომეყარა გულზე. სად არის ახლა? სწორედ იმის სანახავად მოვედი.

— ტაძარშია, მოვა ახლავე, — უბასუხა ერთად რამდენიმე მონოზანმა.

— მე ვთქვი საიშედო ადგილას მყავს, ჩემო ნატალია, ჩემი დისწული და გული საგულეს მქონდა, მარა.. — სადუნამ ცოტა მედიდურად გადახედა მონოზნებს, მერე ფეხი წინ წადგა და წითელი მოგვის ყელეები მალდა აიქანა, რათა და-

ენახეებინა მათთვის, როგორი ფეხსაცმელი მაცვიაო. — მარა, ტყუილად მქონია თქვენი იმედი...

— რა გქნათ, ჩემო სადუნა, ჩვენ რა შეგვიძლია. სამონასტრო გლეხები ვინც არიან ჩვენი, ყველა სახნავ-სათესად იყო წასული, ყარაული არავენ გაგვანდა, სახუცის იასაულები სად დადიან, კაცმა არ იცის, და რო თქვას ადამიანმა, იმათი უფროც გვემინია. კი არ დაგვზოგავენ, თუ რამეს მოლანდეს სხვანაირად თვალი, ახალგაზრდა ქალი კი არა, მგონია მოხუცებიც მოიტაცონ და თუ არავენ გაუგო არც შერცხვებათ. ისე გაყიდიან სათათრეთში.

— მაგას ვინ გაბედავს, ჩვენი დიდებული მეფე ხახვივით წააცლის ყველას თავს, თუ გაუგო მაგისთანა საქმე.

— თუ გაუგო კი, მაგრამ თითონ არ იტყვიან, ჩვენ მაგათი შიშით ხმას ვერ გავიღებთ და ვართ ასე ორ ცეცხლშუა.

— ჩვენ კი არა, იასაულები ერთმანეთს არ ზოგავენ, ერთმანეთს! — ჩივრია ლაბარაკში ერთი პატარა ტანის მონოხანი, რომელიც ჩიტვივით დასკუბებულყო ქვაზე და თავშლითაც ისე აეკრა პირი, რომ მოკაცული ცხვირი ნისკარტივით წაეშვირა. — აგერ წინაზე ოცი იასაული წაუყვანია ბოქაულს, ფრონეზე კაცი უნდა დაეჭირათ. მისულან, სამი დაწინაურებულა და სცემია ამ კაცს დასაქერად. წაუქცევიათ, იარაღი აუცლიათ და სანამ ხელფეხს შეუკრავენენ, სამი კიდევ ამ სამს მივარდნია, ნადავლი იარაღის წართმევა მოუნდომებიათ, ამათ კიდევ სხვები სცემიან. შენ თუ იმას წაართვი იარაღი, მე შენ წაგართმევო, და დარევიან მგლებივით ერთმანეთს, შექმნილა ერთი ძიძგინი, ჩხუბი, ამასობაში ეს გასაქცევი კაცი ქე გაპარვიათ, ამათ კი ვისაც წოუგლეჯია რამე თავის ამხანაგებისათვის და მოუსწრია, გაქცეულა, ვისაც ვერა, დარევიან ხანჯლით ერთმანეთს, ერთისთვის ხელი მოუჭირიათ, მეორესთვის თავი გაუბიათ...

— მაგენი თუ ჰილდაძეები არ იქნებოდნენ, კისერი მომჭერით, — გაიცინა სადუნამ. — ბოქაული რომელი ჩყო ნეტავი?

— აბღუშელიშვილი ყოფილა.

— რომელი? ხოსიტა? ვაი მის ტყავს. ვერ გადურჩება სახუცს, ვერც ის და ვერც მისი იასაულები.

— ეპ, ასე უნდა იყოს გაველურებული ეს ჩვენი საქრისტიანო საქართველო? — ამოიოხრა ნატალია მონოხანმა. — ქართლის ცხოვრებას რომ ვკითხულობ, გული მიკვდება, რა დიდებული ქვეყანა ყოფილა ეს ჩვენი ქვეყანა, რა სწავლა, რა განათლება... ეს თათრები კი გადარეკა ღვთის შეწევნით ამ ჩვენმა მეფემ, მაგრამ თავისი ხელქვეითები რო ყავს მოსარეჯლებელი, როდის უნდა დამსხვავსოს ქვეყანა ქვეყანას? ღმერთო შენ გეიშველე!

ლაბარაკში გართულმა სადუნამ ვერ შენიშნა მისკენ გამოქანებული დისწული, რომელიც აღტაცებული მოეხვია თავის ბიძას და მოწყვეტით ჩაჯდა მის ფეხებთან. სირბილისგან შეხურებულს ლოყები ატყეკოდა და სავსე მკერდი აუდიოდ-ჩაუდიოდა. სადუნამ სიყვარულით დახედა ახალგაზრდა ქალს, თუმცა შეეცადა მრისხანე სახე მიეღო და წარბები შეიკრა. „ამ უბედურს მართლა არავენ დააყენებს მონასტერში. — გაიფიქრა სადუნამ, — იქნება მართლა შეიწყნაროს უფალმა და ბედნიერი გაბადოს“.

— მართლა მოგიტაცეს, გოგო?

— რა გქნა. ჩემი რა ბრალია, — საბრალოდ ამოიგმინა ქალმა. ის მოელოდა ამ კითხვას და წინასწარ ამზადებდა უღარდელად გაეცა წასუხი, მაგრამ თავისებურად გული ამოუჯდა და ისეთი ზღუქუნე დაიწყო, რომ მონოხანებმა ტუქსეა დაუწყეს.

— გაჩუმდი, სირცხვილია, ბიძა გაგიჯავრდება...

— ამხელა ქალის ტირილი სად გაგონილა?..

— გეყოფა, გაჩერდი, — დაამშვიდა სადუნამ. უბეში ხელი ჩაიყო და კრელი ხელსახოცის განასკეული ყური გახსნა, ძეწკვზე დაკიდული პატარა ვერცხლის ჯვარი ამოიღო და გაუწოდა. — შეხედე, რა მოგიტანე.

— ვაი, შენ კი გენაცვალე, ჩემო ბიძია, — მოიწმინდა ახალგაზრდა ქალმა ცრემლები, მაშინვე გაიღიმა. ძეწკვიანი ჯვარი ჩამოართვა და ალტაცებით დაუწყო თვალიერება. მისთვის ეს უმშვენიერესი სამკაული იყო.

მონოზნებთან კარგახნის მუსაიდის შემდეგ, სადუნამ როგორც იქნა დაიმართხელა თავისი დისწული და ყურში წაჩურჩულა, მგონია, საქმე კარგად წავიყვანო, და ბედს გაწიო, კარგად გაგათხოვო და ჩემი დის ანდერძი შევასრულო.

— რაო? — ნუშის თვალები აახამხამა ქალმა. და ლოყები აუფერადდა. — მონოზნის გათხოვება სად გაგიგონია, ქე არ ჩამქოლავენ!

— მაგის ნუ გეშინია, — ანუგემა სადუნამ, — ისე მოვატაციებ შენ თავს, რომ ალიკვალს ვერ გაიგებენ. მერე, რომ იცოდე ვის უნდინხარ?

— ვის? — თავისდაუნებურად მოუთმენლად აღმოხდა ქალს.

— აქ რომ ვიყავით... თვალებით რომ კინალამ შევპაე, შენ გგონია ვერ დავინახებ...

— მართალს ამბობ, სადუნა, მაგას? — მოულოდნელად სრულიად დაუჩივებლად და ხმამაღლა შეტყვირა დისწულმა ბიძას, დაბარბაცდა და მოწყვეტით დაასკდა მიწას. შეშინებულმა სადუნამ დახედა დისწულს, იფიქრა, გული გაუსკდაო, თავში ხელი წაიშინა და იყვირა, მიშველეთო. მონოზნები მოცვივდნენ, გულშეწუხებულ ქალს ჯერ წყალი აკურეს, მერე ძმარი აყნოსეს, საფეთქლები დაუზილეს და ძლივს მოაბრუნეს. ფრთხილად ააყენეს, თავის სენაკში წაიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს. სადუნაც იქვე პატარა სამფეხა სკამზე დასვეს,

რადგან საბრალო ქალი მოვიდა თუ არა გრძობდაზე, თავის ბიძას ხელი ჩაავლო და არსად არ გაუშვა. იქვე მოვლდაბელილი ლოგინში, კერს შეცქეროდა და კრინტი არ დაუძრავს. მონოზნები კარგი ხნის ვიშვიშისა და ლოცვა-ვედრების შემდეგ სენაკიდან გაიკრიფნენ.

— შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, სადუნა, შენ, — წამოიძახა ქალმა და თითქო ციება შეტყროდეს, ძაგძაგი დაიწყო. — შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რას მერჩოდი მე უბედურს...

— ღმერთო მომკალი. ასე რომ მცოდნოდა, რავა გეტყოდი რამეს. კაი ახლა, მოიბრუნე გული...

— არ მითხრა, მოგატყუეო, თორემ ახლავე ამომძვრება სული, ვ ვ... რა მემართება ეს. შემცივდა... სა... საბანი დამაფარე... ახლა მითხარი, ყველაფერი მითხარი, იქნება, სანამ ყველაფერს მეტყოდე, მანამდე კიდევაც მიიბაროს ჩემი სული ღმერთმა, ხომ ხედავ საზიარებელი გავხდი. ამოიღე ხმა, რას გაჩუმებულხარ...

— რალა გითხრა, რაც სათქმელი მქონდა გითხარი. რატომ კანკალებ ასე? გაგაცივა ალბათ.

— მითხარი... — თავგანწირვით ამოვიგინა ქალმა.

— რა უნდა გითხრა, წერილიც ქე მოგწერა...

— წერილი?

— ჰო. აქა მაქვს. რას გწერს რა ვიცი. ისე კი, რაც მითხრა, იმას ქე გეტყვი.

— წერილი! მომეცი.

— ახლავე, დაწყნარდი, კი ნუ გაღირევი, შე ქალო.

— რა იცის იმან, ვინა ვარ, რანაირად გაჩენილი ვარ ქვეყანაზე, ცოდვით გაჩენილი, რა იცის, თორემ, რავა გაივლებდა გულში რამეს... მომეცი წერილი, წერილის მინც... წერილის მინც დაგხედავ... ესეც ბევრია ჩემთვის.

— ვუთხარი ყველაფერი. არ დამიფიცავს. რა მითხრა იცი, ადამიანი ყველა ღვთის გაჩენილია და მე მაგას სულაც

არ ვაქცევ ყურადღებასო. აგერ ჩვენმა მეფემ აზნაურის ქვრივი გაადედოფლა და მე, აზნაურმა, რომ გლეხის ქალი მოვიყვანო, თუნდაც ნაბიჭვარი იყოს, არ მეძრახვისო... შენ ნუ მომიკვდები, ასე მითხრა, ახლა დაწყნარდი. მე საჩხერეში ვალ, იქ საქმეები მაქვს. მერე დაებრუნდები და ჩვენს საქმეს რანაირად მოეუაროთ, ყველაფერზე დაწვრილებით მოვილაპარაკოთ, სადუნა არ ვიყო, თუ ეს საქმე კეთილად არ დაეპოლოვო და ჩემი დის ანდერძი არ შევასრულო.

— მიდიხარ? — ქალი უფრო აძაგძაგდა და ისე მოიკრუნჩხა, რომ პატარა გუნდასავით ეგდო ლოგინში. — ნუ წახვალ, სადუნა...

— რა გიჭირს, შე ქალო.

— ნუ წახვალ, თორემ მე აღარ მოვრჩები... ნუ წახვალ, ჩემო ბიძია, შენ გენაცვალე, ნუ მიმატოვებ, თორემ დარდს ველარ გავუძლებ...

— იმე, მე რად გინდივარ, გოგო. ჩემზე უკეთ მონოზნები მოგივლიან. ნატაღიას ვეტყვი, მაგაზე ღეთისნიერი ადამიანი ქვეყანაზე თუ არის სადმე, არც მეგულება...

— ნუ წახვალ...

— შე ქალო, საქმე მაქვს, ბატონი მყავს, აგერ ჩემს ნებაზე ვინ მარონიებს. კარგი, დაწყნარდი ახლა და მალე მოვალ...

— სადუნა.

— პო...

— სადუნა. რო ნახო, არ უთხრა ასე მოუვიდათქო... ასე უთხარი, რომ... ასე უთხარი, რომ როგორც ვარსკვლავი მოწყდება ცას, ისე მოწყდა ცას ის უბედური და ჩაქვრათქო...

— ჩაქვრათქო, პა! — შეუწყრა სადუნა დისწულს თან დატუქსა და თანაც გაამხნევა. — შე სულელო. პატარა სიხარულს თუ ვერ გაუძელი ამ ბავშვობის დროს, მერე რას აბირებ, როცა...

— როცა... როცა... მე რას ვაბირებ, რა უნდა დაეპირო, რო მოკვდები, ნატურთ მიწაში არც დამასაფლავებენ...

— სს... აღარ ვაამხილო მაგინათნა სისულელე. — მრისხანედ შესძახა სადუნამ დისწულს, — ღმერთს კი ნუ ვარისხებ. შენ ჯვარი ვწერია და როდის იყო ადამიანს უკურობ მიწაში მარხამდნენ...

— ჰე, მაგას მალე ნახავ და... რო ნახო... ის რო ნახო, თუ ჩემი ბიძა ხარ, ჩემზე, გლახა არაფერი უთხრა, შენი ჭირიმე გევედრები...

— კარგი, გოგო, მთლად კი ნუ გამოსულელდი.

სადუნამ მონოზნებს თხოვა მზრუნველობა არ მოეკლოთ სევდით აყანკალეზულ და ელდა ნაცემ დისწულსათვის, ერთი ბლუჯა თათრული ფარა დაურიგა მათ და საჩხერისაკენ გაემგზავრა.

საქმეების მოთავეების შემდეგ სადუნა ფიქრობდა კიდევ ენახა თავისი დისწული, მაგრამ ქუთაისში გამგზავრება კორბოულის, ვერტყვილის-ქალის და ხარაგოულის გზით მოუხდა და ამიტომ მღვიმის მონასტერში მეორედ მისვლა ველარ მოახერხა.

• •

არჩილ ბატონიშვილის წვევა საადგომოდ არ იყო უბრალო სტუმრობა მძასთან და ყველანი გაფაციცებით მოელოდნენ იმ დღეს, როდესაც საქმიანი საუბარი უნდა გამბულიყო მათ შორის. დიდებულთათვის ცხადი იყო, რომ არჩილი და მისი მეუღლე გადაჭრით მოთხოვნიდნენ მეფეს, ჯერ ერთი გაემხილა მათთვის საიდუმლო თათბირის შინაარსი და, გარდა ამისა, ქუთაისიდან განედევნა ერეკლეს მოწინააღმდეგე ქართლის თავადები.

არჩილმა და ელენემ თითქმის ორი კვირა დაჰყვეს ქუთაისში და ამ ხნის განმავლობაში გარეგნულად თითქოს მარტო ლხინითა და გართობით იყვნენ გატაცებულნი, ნამდვილად დაძაბულ ყურადღებით უთვალთვალდნენ ყვე-

ლას, რათა რაიმე გაეგოთ ან ყური საეკ-  
ვო ამბებისათვის მოეკრათ. ქართლიდან  
გადმოხვეწილმა თავადებმა, ცხადია, გა-  
იგეს თუ არა ელენეს ჩამოსვლა, მაშინ-  
ვე თავი გაარიდეს და არც ერთი მითგანი  
სასახლეს არ გააკარებია. თვით ელიზ-  
ბარ ერისთავიც კი, სოლომონის და არ-  
ჩილის სიძე და სამეფო ოჯახის მკვიდრი  
ნათესავი სოფელში გაემგზავრა და არ  
ისურვა აღდგომის კვირა ოქროს ჩარ-  
ღახში გაეტარებინა.

მარტო გაბამევილების ოჯახი ეახლა  
ელენეს, რომელიც ეზოში გამოეგება  
ზაქარიას და მის ჯალაბს.

გულაჩუყებულმა ხუცესმა კახთბატო-  
ნის ასულს ხელზე ცრემლები დააფრქ-  
ვია და ერთის ვიშვივით წაიღულ-  
ულდა:

— შეილო, მე მოგნათლე, გავზარდე,  
შენ კი არა, მამაშენიც ჩემი გაზრდილია.  
ცხრაჯერ რომ გამკრივოს, დამწვას,  
ციცხლში მაწამოს, მაინც შეეყვარებით,  
შენც, მამაშენიც (აქ ცოტა ცბიერობდა  
მოხუცი) და შენი ძმებიც. წირვაზე  
ბრძანდებოდი, ვიფიქრე, ვაითუ მამასა-  
ვით გვირისხდებოდა და დაივიწყა ყოველი  
ჩემი სიკეთე-მეთქი...

ელენე სათითაოდ მიესალმა ყველას,  
როდამს მის წინ დაჩოქება არ აკადრა,  
მოეხვია და გადაკოცნა, მოიკითხა ყვე-  
ლანი, მოიგონა თავისი ბავშვობა და  
მათთან გატარებული დრო, ის სანეტა-  
რო დრო, როდესაც სეფეწულნი სასა-  
ხლეში სწავლას თავს არიდებდნენ და  
უფრო მეტ ხანს ტოლებთან ზუმრობაში  
და მელექსეობაში ატარებდნენ. გაიხსენ-  
ა, როგორ ჯობნიდა ბესიკი ყველას მე-  
ლექსეობაში, სეტყვასავით აყრიდა ზმე-  
მსა და შაირებს, მოპაექრებებს და ან-  
ბანთქებას ზომ ყველაზე უკეთ იტყოდა  
ხოლმე. გაიხსენა აგრეთვე ის დიდი დამ-  
სახურება, რომელიც ზაქარიას მიუძღო-  
და თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ,  
დატუქსა თავის მამის საქციელი გაბამე-  
ვილთა ოჯახის უდანამაულოდ დასჯი-  
4. „მნობი“ № 5.

სათვის. განსაკუთრებით ბუნავს გამოე-  
სარჩლა, რომელიც პატარბიდანვე სა-  
მეფო კარზე იყო გაზრდილი და ბატონი  
შვილებს იგი მმასავით უყვარდათ. ბო-  
ლოს ზაქარიას ერთი ქისა თეთრი უწყა-  
ლობა, ხოლო როდამსა და მელანოს  
ფარჩა-ხავერდის საკაბენი, თანაც რო-  
დამს წასურჩულა, შენი ქალიშვილის  
გამზითვება ჩემს კისერზე იყოსო.

ელენე ფიქრობდა, თავისი ერთგული  
გახდა ეს დიდი და სახელოვანი ოჯახი  
და ამით არეუ-დარევა შეეტანა ქართლი-  
დან გადმოხვეწილ თავად-აზნაურთა შო-  
რის, კახთბატონის ასულის მიერ ზაქარია  
მოძღვრის ასეთი მიღების შემდეგ, სა-  
ეკვო იყო, რომ ისინი არათუ ზაქარიას,  
არამედ ერთმანეთს ნდობით მოპყრობო-  
დნენ.

არჩილმა და ელენემ ბოლოს, როგორც  
იქნა, იხელთეს დრო და როდესაც სო-  
ლომონი ყველაზე კარგ გუნებაზე იყო,  
ლაბარაკი ჩამოუგდეს ერეკლესთან და-  
მოკიდებულებაზე. არჩილმა უსაყვედუ-  
რა მას ერეკლესთან ხელშეკრულების  
დარღვევა და ქართლ-კახეთიდან ლტო-  
ლვილი თავადების შეფარება, ხოლო  
ელენემ გადაჭრით მოთხოვა აღექსან-  
დრე ამილახვრის შეპყრობა და თბი-  
ლისში გაგზავნა.

სოლომონს სხვა დროს, შეიძლება ნაყ-  
ლები ანგარიში გაეწია არჩილისა და  
ელენესათვის, მაგრამ ახლა იმდენად  
იყო გახარებული ორივეს მიერ გულფა-  
ნას დედოფალად აღიარებით, რომ თავის  
მართლება დაიწყო. ამილახვარი ჩემთან  
რუსეთიდან მოვიდა, ის უკვე კარგა ხანია  
ერეკლეს ქვეშევრდომად არ ითვლება და  
ამიტომ მე ხელშეკრულება არ დამირ-  
ღვევიაო.

სოლომონი რძალს შეპირდა, რადგან  
აღექსანდრე ამილახვარის ჩემთან სტუმ-  
რობა გწყენია, გაგდებით ვერ გვაგაგდებ,  
მაგრამ ვთხოვ, რომ გამეცალოს და ისევ  
რუსეთს წავიდესო. აღტაცებულმა ელე-  
ნემ ეს თავის გამარჯვებათ ჩათვალა.

მაგრამ იმავე საღამოს, სრულიად შემთხვევით, ყური მოჰკრა მეფის ცოლისძმის მდივანბეგ ბერი წულუკიძისა და მიშკარბაში იოანე აგიაშვილის საუბარს. ისინი აივნის ქვეშ იდგნენ. ელენე სამოახლოში აპირებდა ჩასვლას, სადაც ქალები მისთვის აბრეშუმის პერანგებს ჰკერავდნენ, აივანზე გამოვიდა და ის იყო კიბის პირველ საფეხურზე ჩააბიჯა, რომ ამ დროს მოესმა თითქო ამილახვარი ახსენეს. მაშინვე ჭოჩორა დედალიკით გაინაბა და ყური დაუგდო;

— ამილახვარიო? — იკითხა წულუკიძემ.

— ჰო, რუსეთში ეგზავნიო და შენ უნდა წაყვეო, — უპასუხა აგიაშვილმა.

— როდის გითხრა?

— გუშინ რა ვქნა, თავი მოვიკლა? რუსეთში რომ მგზავნის, რომელი მოტრუსულე მე მნახა. დამკარგა და ეს არის.

— შე კაცო, ალექსანდრესთან რა გიპირს. იმან ზომ წყალივით იცის რუსული.

— ის, იქ დარჩება ერთ ხანს, მე უკან უნდა დაებრუნდე და პასუხი ჩამოვიტანო. მაგენი სანამ სპარსეთიდან...

— სს... ჰა? ჰო, იმას გეუბნებოდი... კაცო ის მიმინოები... რავაა იმათი საქმე? — შეცვალა უცბად საუბარი წულუკიძემ.

ელენე მიხვდა, რომ თვალი მოჰკრეს, ვითომ არაფერიც არ გაეგონოს, სწრაფად ჩამოიბრინა კიბე და სამოახლოსკენ გაემართა. გული სულ ბაგაბუგით უცემდა. ამ საუბარმა ბევრ რამეს მიახვედრა. ერეკლე მეფის ქალიშვილისათვის არ იყო ძნელი ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყურმოკრულ საუბრის შინაარსი მთელი სისრულით გაეხსნა და ყოველივე ნათლად წარმოედგინა. მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ალექსანდრე ამილახვარი საგანგებოდ ჩამოსულიყო რუსეთიდან სოლომონთან მოსალაპარაკებლად, რათა ქართლის ტახტიდან ერეკლე გადაეყენებინათ. ამისთვის საჭირო იყო სპარსეთი-

დას ალექსანდრე ბაქარისძის ჩამოყვანა და ქართლში ამბოხების მოწყობა. ელენე იმ საღამოსვე აფთარიკით დატრიალდა და მოახლეს უბრძანა, სასწრაფოდ კუწუწა აბაშიძე მოეყვანა მასთან. მოახლემ მაშინვე შეასრულა ბრძანება და რამდენიმე წუთის შემდეგ კუწუწა უკვე ელენეს წინ იდგა ფეხებგადაჯვარედინებული და თავდაბრილი.

— სადაა შენი პირობა, მიმინოებს დაგიგეშავო? — ღიმილით მიმართა ელენემ კუწუწას და როდესაც მოახლოთახიდან გავიდა, მაშინვე ჩურჩულით უთხრა: — არ მეგონა, თუ ასე ორგულად მემსახურებოდი.

— რა ვქნა, ბატონო, რაც შემეძლო..

— თურმე აქ მამიჩემის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ...

— აჰ, აჰ, არ დაიჯეროთ მაგ, — გაასაესავე ხელები კუწუწამ და დამფრთხალი მეღასავით მიმოიხედა, — ტყუილი, ბატონო ტყუილი. მაგ, ჩემი ყურით რომ გამეგონა, მაინც არ დავიჯერებდი.

ელენემ მწარედ ჩაიციხა და თავი გააქნ-გამოაქნია.

— კარგია, შენ ბევრი იცი. მაშ რაზე თათბირობდნენ.

— მაგ რომ გამეგო, აქამდე ცხრაჯერ მოგახსენებდი.

— აბა ის მაინც გამიგე, სპარსეთში ვის გზავნიან.

— მაგას ახლავე მოგახსენებთ. ეგ, იღბლად, შემთხვევით გავიგე.

— ვის გზავნიან? ჩქარა მითხარი!

— ვისა ბატონო და თქვენებურ კაცს. თავი სოლომონ ბრძენი რომ გონია და ნიეარაძის პატარძალივით დაიწმინება სასახლეში.

— აღარ იტყვი, ვისა? ნუ გამიწყალე გული!

— გაბაშვილს, ახლა რომ მდივან-მწიგნობრობა უწყალობა მეფემ.

— ბესიკს?

— ჰო, ბესუკაა თუ ბესიკია, ვეღარ გავიგე მაგის სახელი, რა ჰქვია.

— განა არ უთქვამს, რისთვის გზავნიან?

— აჰ, მაგ როგორ გამეგო, რა მივირდა. გადავყვე თან, რა ხრიკი არ ვიხმარე, არ დაიჯერებ, ბატონო, და პირდაპირ გველის ქერქში გავძვერი, მარა ვერაფრით ვერ გავიგე, რა საქმეზე მიდის. თითონ არაფერს ამბობს, სხვამ არავინ არაფერი იცის. ჩემს ბატონს სახუცს ვკითხე და თავი კინალამ წაეგე. შენ მაგ მიმინოებს მოუარე გირჩევნია, თორემ მაგ კისერს წაგაწყვეტო. რაველა გავიღებდი ხმას.

— სხვას ვერა ჰკითხე?

— წავალ, ქალბატონო, შენი რისხვა ნუ მომეცემა და კიდევე ვეცდები, იქნება გავახერხო რამე. მაგას რავე ვერ გავიგებ.

— აბა შენ იცი, ჩემო კუწუწავ, თუ ვინდა ერთი კარგი მზითვიანი ქალი გაგირიგო.

— ცდას არ დავაკლებ, თქვენი ჰირი შეეყაროს კუწუწას და, თუ რამეს გავხზი, მაშინვე მოგახსენებ.

— აბა შენ იცი. ახლა წადი.

კუწუწამ მდაბლად დაუკრა თავი ელენეს და უკუღმა ბიჯებით გავიდა კოთახიდან. ელენემ კი მაშინვე იხმო ბესიკი და თუმცა სული მიდიოდა ეკითხნა, რისთვის გზავნიან სპარსეთსო, მაგრამ თავის სურვილს მოერიდა და შორიდან დაუწყო საუბარი.

ბესიკი, ცხადია, მიხვდა, რისი გავებაც სურდა ერეკლე მეფის ასულს და თავი ფრთხილად ეჭირა, რომ არა დასცდენოდა რა. ელენეს კითხვებზე გაურკვეველ პასუხს იძლეოდა და ცდილობდა თითონ მისთვის დაეყარა უამრავი კითხვები, რომ ამით მოეგერიებინა ეს სახიფათო თავდასხმა.

— როგორ შეეგუე იმერეთს? — ჰკითხა ელენემ ბოლოს.

— ეგ თქვენთვის უნდა მეკითხა, თქვენო ბრწყინვალეებო. მე აქ სულ თვენახევარიც არ არის რაც ჩამოველ,

თქვენ კი უკვე გაიმერელებული ბრძანდებით.

— იჰ, კარგია, მაგტამ მუქაინცა ჩვენი თბილისი მირჩევნია. ჯერ მარტო ჩვენი აბანოები რადა ღირს. ცხელი წყალი, პირდაპირ მიწის გულიდან რომ ამოიბის...

— აქაც, ამბობენ, არისო...

— აქა? ქუთაისში? არა აქ არ არის. აი ზონისკენ რომ წახვალ, იქ, ერთ ადგილას ამოქუხს ტუბო წყალი, მისთვისაც იმ ადგილს წყალ-ტუბოს უხმობენ. ამბობენ, ნიკრისის ქარებს ხუთვას და კიდევე ბევრ ავადმყოფობას უხდებო. დავრდომილები განუკურნავსო. მე არა ვყოფილვარ. მართლა, გავიგე — სპარსეთს მიდისო, მართალია?

— ვინ გითხრათ, თქვენო ბრწყინვალეებო? — ღიმილით ჰკითხა ბესიკმა, — ჯერ იმერეთს არც მოვსულვარ და სპარსეთს რა მინდა.

— არა, ალბათ გზავნიან, თორემ თითონ რად უნდა წახვიდე. შენ მითხარი, მართლა მიდიხარ თუ არა?

— აბა რა ვიცი. მეფემ მკითხა, გავიგე სპარსეთი მოგივლია, როგორი გზაა, მითხარი, ყაენთან კაცი მინდა გავგზავნო და რა გზით უნდა წავიდესო.

— მაშ შენ არ მიდიხარ?

— არ ვიცი, იქნებ მეც მიბრძანოს წასვლა. ჯერ არა უბრძანებიათ რა.

ელენემ გამომცდელი თვალით დაეინებით დაუწყო ცქერა თავის მოსაუბრეს. ბესიკმა გაუძლო მის ცქერას და გულუბრყვილოდ გაუღიმა. ამ გაღიმებად რატომღაც დაამშვიდა კახბატონის ქალიშვილი და მან ახლა ისე უდარდელად ჰკითხა თავის მოსაუბრეს, ნეტავ რა საქმე აქვს სოლომონს ყაენთანო, თითქოს აღარც კი სურდა პასუხის მოსმენა. ეგონა, რომ ბესიკმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

— მე მგონია, რუსებისაგან გაწბილებული ახლა ყაენის დახმარებით ცდილობს ზონთქართან მორიგებას, —

უთხრა ბესიკმა ელენეს. — სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს ყაენთან სოლომონს.

— ვთ. შეიძლება — აბნეულად უბასუხა ფიჭვბუჩქის ქვეშა ელენემ და ცოტახნის შემდეგ დასძინა — ალექსანდრე ამილახვარს რუსეთს აგზავნის, სპარსეთს კიდევ შენ, ან სხვა ვინმეს. მე ეკვი მაქვს, რომ მაჰმადის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ. თუ რამე იცი, ბესიკ, ჩვენი სიყრმის მეგობრობას გაფიცებ, ჩემს ძმას ლევანს გაფიცებ, მართალი მითხარი.

— დამშვიდდი, თქვენო ბრწყინვალეზე, — გაიღინა ბესიკმა, — მე რაც მოგახსენე, იმის მეტი არა უნდა იყოს რა. ლომები თუ ღრენენ, განა ყოველთვის ესხმიან თავს ერთმანეთს. ერეკლე ბატონს სამი უდიდესი მპყრობელი ვერას აკლებს და იმერთა მეფემ კიდევაც რომ განიზრახოს, რა უნდა დააკლოს.

— არ ვიცი, გული საგულეს კი აღარ მაქვს და... — ვითომ დამშვიდდა ელენე, მაგრამ ბესიკი გაისტუმრა თუ არა, მაშინვე თავის ქმარს ეცა და საყვედურებით აიკლო. ერეკლე ბატონის სიძე ხარ, და არ გინდა დაინახო, რომ სასახლეში შენი სიმამრის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენო. შენი ძმა უსირცხვილოდ თვალს გვიხვევს, პირში გვეფლიდება, ნამდვილად კი სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარისძეს იბარებს და ქართლის თავად-აზნაურთა ამბოხებას ამზადებსო.

— რა იცი, რომ მაგრეა? — ჰკითხა ცოლს გაკვირვებულმა არჩილმა.

— როგორ თუ რა ვიცი. ყური მოეკარ ბერი წულუკიძის და იოანე აგიაშვილის საიდუმლო ჩურჩულს. ალექსანდრე ამილახვარს დავითხოვო და თურმე რუსეთს თითონა გზავნის...

— როგორ გზავნის? ჩვენ გვითხრა, დავითხოვო... — გააგრძელა სიტყვა არჩილმა და მერე სწრაფად დასძინა, — სოლომონი მეტ ტყვილს ვერ გამიბედავდა.

— მამ მე გატყუებ?...

— იქნებ ცდებით, ბატონო ჩემო... — არჩილი უფრო თავის თავს იმშვიდებდა, რადგან საოცარი გაბრაზება მოუტოვებდა და უნდოდა აცდენოდა მამასთან სამტკე შეჯახებას. — იქნებ ცდებით და ცუდად მოგესმით...

— სპარსეთს რაღად აგზავნის კაცს? რად არ ვაგვიზილა, რაზე თათბირობდა საიდუმლოდ დიდებულებთან. რადა ხარ ასე გულუბრყვილო. კარგი, შენ თუ არა გსურს მასთან ვადაპრით ლაპარაკი მე ვიკისრებ და ვნახოთ...

ამ სიტყვებმა საბოლოოდ ააფეთქა არჩილი. მაშინვე მიიჭრა ძმასთან, ცალკე ოთახში გაიხშო, კარები ჩააკეტა და სიბრაზისაგან აცახცახებულმა კბილების ხრქილით უთხრა:

— მართალია მეფე ხარ, მაგრამ ეს შეკადრებოდა შენგან?

— რა მოხდა, რა მოგვიდა? — ჰკითხა წარბშეკვრით სოლომონმა.

— ძმა ვარ შენი თუ არა?

— ძმა ხარ.

— ამ დანჯღრეულ და მოყანყალეზულ ტახტზე რომ დაბრძანდი, მე რომ არ გყოლოდი გვერდით, აქამდე ან შენ იქნებოდი ან შენი ტახტი? პირდაპირ მითხარი.

— არ ვიქნებოდი, — უთხრა სოლომონმა და გაიღიმა.

— მაშინ რა გაქვს შენ ჩემთან დასაფარავი მითხარი ერთი, რა გაქვს?

— არაფერი... — სოლომონმა კიდევ დააპირა რაღაცის თქმა, ცოტა ხანს შეჩერდა და მერე დასძინა — შენთან დასაფარავი, რაც მე და შენ შეგვეხება, არაფერი არა მაქვს. ისე, შე კაცო, შენც ბევრი რამე არ გითქვამს ჩემთვის, მაგრამ მაგაზე არ წაგჩხუბებივარ.

— მე დამიფარავს?

— შენმა ძმამ (და ჩემმა ძმამ) იოსებმა რომ წერილი მოგწერა, თუ ჩვენი ძმობა ვწამს და არ გინდა, რომ იმერეთის სამეფო მტრის კერძი გახდეს, ერე-

კლეს დესპანები სადადიანოში არ გაუმავალა, გახსოვს?

არჩილი შეცქეროდა ძმას და ხმას არ იღებდა.

— გახსოვს ხომ? — გაუმოვრა კითხვა სოლომონმა, — როგორ მოხდა, რომ ეს ბარათი ერეკლეს ჩაუვარდა ხელში? რას მიპირებდა შენი სიმამრი ხომ იცი? ისიც კარგად იცი ახლა, რასაც მიპირებს, მაგრამ არაფერს არ მეუბნები. თუ კი მე არ უნდა მქონდეს შენთან რაიმე დასაფიცავი, შენ რატომღა მიფიცავ? „ვეგრე მტრისა არ მეშინის, ის ამკარად მაწყინარობს. მოყვარესა მტერსა ვუფროთხი, მეფლიდება მოლიზარობს“.

— მე არაფერს არ ვიფიცავ. — უთხრა მცირე ხნის დუმების შემდეგ არჩილმა, — ამდენი ხანია ტახტზე ზიხარ და მუდამ ერთგულად გემსახურები. მე ვერ კიდევ პატარა ბავშვი ვიყავი და მაშინ გეუბნებოდი, რომ თუ იმერეთის ბედნიერება და ძლიერება გასურს, ქართლ-კახეთის მეფესთან მუდამ თანხმობა და ძმობა უნდა გქონდეს-მეთქი. ამ დაქველდ დროს, ეს ჩვენი საქართველო ოცდაათ ნაწილად იყო დაქუცმაცებული. ყოველი წინტილიანი თავადი თავს მეფედ აცხადებდა, მაგრამ რაკი იმერს, როგორც იქნა შენ მოუყარე თავი, ამერს კიდევ ერეკლემ, იმდენი მაინც უნდა ვიღონოთ, თუ საქართველოს მთლად ვერ გავეერთიანებთ, შეთანხმობით მაინც ვიყოთ-მეთქი. ამას გეუბნებოდი მუდამ, გეტყვი ახლაც და ყოველთვის, ვიდრე ცოცხალი ვიქნები. ამ მიზნით დავუმოყვრდი კიდევაც ერეკლეს და შევიერთე იმის ქალი, რომელიც როგორც მოგეხსენება, დიდი თვალტანადი არ არის, მაგრამ მე ვიფიქრე, ამით საბოლოოდ დავაკავშირებ ამ ორ დიდებულ ოჯახს და ამ ჩვენ წამებულ ქვეყანასაც საბოლოოდ რაიმე უმეღება-მეთქი. მას შემდეგ ვარ გაკრული თბილისისა და ქუთაისის შუა საზიარო ძალიდით, იქით ერეკლეს კარ-

ზე უნდა ვუყუფო შენს მტრებს, აქით შენს კარზე იმის მტრებს, კალაქში მდებარეა მეტი. კარგი ბატონო, — ხელსევე გავმგზავრები თბილისს და შევეცდები დაეარწმუნო ჩემი სიმამრი, თუ მართლა რამე განუზრახავს შენს წინააღმდეგ, ხელი აიღოს, მაგრამ შენც უნდა მომცე პირობა, რომ მის საწინააღმდეგოთ ერთ ნაბიჯს არ გადადგამ.

— ბატონი ბრძანდები.

— არც ალექსანდრე ბაქარისძეს მოიხმობ სპარსეთიდან?

— არ მოვიხმობ. — სოლომონმა შეატყო არჩილს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ აცალა და თითონ განაგრძო. — შენ სიმამრს უთხარი, არაფერი შენთან საცილო და სამტრო არა მაქვს და მეგობრობის მეტი მე არაფერი არა მსურს, კვანტებს ნუ მიღებ, თორემ იმისთანა მოგვერდს გავიკეთებ, რომ სანანებლად გავიხდიქო.

ამ საუბრის შემდეგ არჩილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა თავის მეუღლესთან ერთად თბილისს და, ვინაიდან ქართლ-კახეთში მოგზაურობის დროს მოსალოდნელი იყო მოთარეშე ლეკთა თავდასხმა, თან სამაჟის კაცი საგან შემღვარი ამაღა იახლა.



არჩილ ბატონიშვილს მოუხდა თბილისიდან დაბრუნება, რადგან მოულოდნელად გარდაიცვალა იმერთა კათალიკოსი იოსები და სოლომონმა მაშინვე აცნობა ძმას ეს ამბავი. არჩილთან ერთად ქუთაისს ჩამოვიდნენ ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი ბატონიშვილი, სარდალ-სახლთუხუცესი და ვით ორბელიანი და ქართლ-კახეთის სამღვდლოების წარმომადგენელი თბილელი ეპისკოპოსის მიხეილის მეთაურობით. მათ ექვსასი კაცი ახლდათ ამაღად და როდესაც ისინი ქალაქში შემოვიდნენ, მთელი ქუთაისი გამოეფინა კახთბატონის ჯარის სანახავად. სოლომონი მთელი თავისი დიდებულებით გელათ-

ში იყო და ჩამოსულ სტუმრებს მხოლოდ ეზოს მოძღვარი შეეგება. მან არჩილს მიუსამიძრა უფროსი ძმის გარდაცვალება და ურჩია დაუყოვნებლივ წაბრძანებულიყო გელათს. არჩილი მაშინვე გაემგზავრა თავის სტუმრებთან ერთად და ამაღაც იახლა.

გელათში ტევა არ იყო. იქ იყვნენ მოსულნი ეპისკოპოსნი ცხუმფხაზეთისა, გურიისა, ჰყონდიდისა, მღვდელმთავრები არგვეთისა, ცაგერისა, ნიკორწმინდისა, ბედიისა და ქუთათელი ეპისკოპოსი მაქსიმე, რომლის შესახებ მღვდლები უკვე ჩურჩულებდნენ, რომ იმერეთის კათალიკოსად. სოლომონ მეფის დასტურით ეგ იქნება ნაყურთხიო.

უამრავი სამღვდლოებისა და დიდგვარიანი თავადების გარდა გელათს, კათალიკოსის დაკრძალვის დღეს, ახლომახლო სოფლებიდან ზღვა ხალხი მოაწყდა სერის საყურებლად, სალოცავად და უმთავრესად აღაშშინებდა. გალაგნის გარეთ გრძელი ფანჩატურები იყო გამართული, სადაც მეფის მზარეულთუხუცესი და მისი მეტაბლენი ლობიით, მჭადით და ერთი ჯამი ღვინით უმსპინძლდებოდნენ ყველას, ვინც კი არ უნდა მისულიყო სუფრასთან. თვადთა და ახნაურთათვის ტაძრის ეზოში ცალკე ფანჩატური იყო გამართული, სადაც ლობიისა და მჭადის გარდა თევზეული და სეფისკვერი მოჰქონდათ სუფრაზე.

ნაშუადღევს ხალხში უცბად გაეარდა ხმა, თბილისიდან უფლისწულები მობრძანდებიან დიდის ამალითო და ყველა ფერდობზე გამოეფინა. წყალწითელას ნაპირზე მართლაც მალე გამოჩნდნენ უამრავი ცხენოსნები.

— ერეკლეს ჯარი, ერეკლეს ჯარი, — გაისმა ხალხში ჩურჩული და ყველამ გადაციცებით დაუწყო ცქერა მოსულ ლაშქარს.

ყველაზე მეტად ხალხი გააოცა იმან, რომ რუსის ჯარით ყველას ერთნაირი ტანსაცმელი ეცვა: შავი ჩოხა-ახა-

ლუხიც, წულა-მესტებიც. მხედრებში ერთი კაციც არ იყო ისეთი, რომელსაც მეორესაგან განსხვავებულად მოეჩვენებოდა. არამედ თოფი ან ხმალი ჰქონოდა. თითქოს ერთ ყალობაში იყო მოჭრილი ყოველი მათგანის იარაღიც და საჭურველიც. ცხენებიც ფერის მიხედვით იყვნენ დაჯგუფებულნი რაზმებად და ყოველივე ეს თვალს საამოდ იტაცებდა.

— ა, კაცო, ჯარი ამას ქვია, — იხიზოდნენ იმერლები. — რაღა ერთი დღე-მამის შეილივით არიან სუყველა.

— აგრე რო ჩამაცვა და მაგისთანა ჯარში გამიშვა, ხო დევიკარგე და ვინლა მამძებნის მერე? — გაიხუმრა ვილაცამ.

ლაშქარი წყალწითელას ნაპირზე ჩამოქვეითდა, დიდებულები კი ტაძრის რკინის ბუქებამდე მივიდნენ ცხენებით. აქ მათ თვით მეფე შეეგება. მისულებმა მიუსამიძრეს სოლომონს ძმის გარდაცვალება და ყველანი ტაძარში შევიდნენ. საერთო მისალმების დროს დავით ორბელიანმა თვალი მოჰკრა ბესიკს, სურდა დალაპარაკებოდა, მაგრამ ამ ორომტრიალში ვერ მოახერხა და ახლა მოთმინება არა ჰყოფნიდა, უნდოდა მალე შეხვედროდა, ქართლიდან განდევნილ თავის მეგობარს. ორივეს ბევრი რამ ჰქონდა ერთმანეთისათვის საამბობი.

მზე უკვე დასავლეთისაკენ იყო დახრილი და დამდნარივით ლივლივებდა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა და სოლომონი თავის სტუმრებთანად ქუთაისს გაემგზავრა. გელათში მარტო სამღვდლონი დარჩნენ.

სოლომონი მიხვდა, რომ არჩილს ქართლ-კახეთის ტახტისმემკვიდრე და სარდალსახლთუხუცესი მარტო სამძიმრისთვის არ გამოჰყოლოდნენ თბილისიდან. მართლაც, მეორე დღეს, მათ მოახსენეს იმერთა მეფეს, რომ ერეკლეს მიერ მოლაპარაკება ჰქონდათ დავალებული და ვინაიდან დრო არ ითმენდა.

თხოვეს — დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ თათბირს.

სოლომონი დათანხმდა.

თათბირი სატახტო დარბაზში მიმდინარეობდა. სოლომონის დიდებულთაგან არჩილის გარდა თათბირს ესწრებოდნენ მხოლოდ ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი. გიორგი უფლისწულმა გულახდილად მოახსენა სოლომონს, თუ რა ცუდი ამბები მიდიოდა ერეკლე მეფეს იმერთა მეფის მოქმედებაზე. მოაგონა, რომ მათ დადებული ჰქონდათ ურთიერთ შორის ხელშეკრულება, დამტკიცებული რუსეთის იმპერატორის მიერ, მუდმივი მეგობრობისა და დახმარების შესახებ; მოაგონა კიდევ, რომ არასოდეს ისე არ დაჭირებოდა ამიერ და იმიერ საქართველოს მჭიდრო მეგობრული კავშირი, როგორც ახლა.

— ჩვენ ხომ ერთი ქვეყანა ვართ, უკუღმართი ბედით ორად გაყოფილი. განა არ გვმართებს, რომ მოზღვავებულ მტერთა წინააღმდეგ ერთობლივად ვიყოთ? ბატონ მამაჩემს კი ცნობა მოუტანეს, სოლომონი ქართლში სათარეშოდ აქეზებს ლეკებსა და ახალციხის ფაშასა.

— მე კი ამბავი მომიტანეს, ერეკლე ბატონი ჩემს წინააღმდეგ ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს და კაცია დადიანს ამხედრებსო. როგორ მოვიქცე ახლა? მიბრძანეთ!

— ისე მოიქეცი, როგორც ბატონი მამაჩემი მოიქცა. ჭორებს ნუ დაუჯერებთ. ქელეშ-ბეგ შარვაშიძისა და კაცია დადიანის მორჩილება ჩვენ მოგვანდეთ. ერთიც და მეორეც მზად არის ერთგულება კვლავ შემოგფიცონ, ოღონდ, ბატონის თხოვნა არის, თქვენმა უმადლესობამაც განუთაროს ყოველივე ეჭვი და რაოდენიმე მისი თხოვნანი შესრულოთ. მოგესხენებათ, რომ ჩვენს კარზე აგერ რამდენი ხანია თავშეფარებულია თქვენი ბიძის-ძე დავით უფლისწული თავისი მეუღლით, დე-

ლით და დითურთ. დიდებულ იმერთა მეფეს არ ეკადრებოდა დასახლის ნათესავი ლტოლვილნი მწყაედეს, თქვენ კი ფიქრობთ, რომ ბატონი ერეკლე მას ტახტის მოცილედ გიმზადებთ. განსაფანტავად ყოველივე ეჭვისა, ბატონი ერეკლე გთხოვთ, თქვენს სამფლობელოში მიუბოძოთ თქვენს ბიძის-ძეს მცირე მამული და ამით ბოლო მოეღება ყოველივე ეჭვებს.

სოლომონს ეს ამბავი ძალზე გაეხარდა და პაპუნა წერეთელს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა ეს კარგი საქმეა, მაგრამ სად დავასახლო.

— ჩემთან ახლო დაასახლე, ბატონო, — მიეშველა პაპუნა წერეთელი მეფეს, — წირქვალში, სამოსახლო ხომ საარაკოა, ის მამულები მაინც ბიძა თქვენს ეკუთვნოდა ძველად და ახლაც მისი იქნება. მერე მეც ახლო ვიქნები და თქვენის ბრძანებით ვემსახურები.

სოლომონმა და პაპუნამ ერთმანეთს გაუღიმეს, რადგან პაპუნას „სამსახური“ იმას გულისხმობდა, რომ დავით უფლისწული თავის ზედამხედველობის ქვეშ ეყოლებოდა და მისი ფეხის ყოველი ნაბიჯიც კი არ გამოეპარებოდა.

უკვე აშკარა იყო, რომ თუ კი აქამდე ერეკლე დავით უფლისწულს სოლომონის მეტოქედ ამზადებდა, ახლა უკვე ასეთ განზრახვაზე ხელი აედო და მართლა მეგობრობა სურდა იმერთა მეფესთან. ამიტომ სოლომონმა განუცხადა ერეკლეს წარმომადგენლებს, მიბრძანეთ და ყოველივე თქვენი მოთხოვნის აღმასრულებელი ვარ, რაც კი ჩემს ძალღონეს არ აღემატებაო. მდივან მწიგნობარი ბესიკ ვაბაშვილი იხმო და მაშინვე დააწერინა წყალობის სიგელი, რომლითაც დავით გიორგის-ძეს უწყალობა სოფელი წირქვალის ბაღვენახებით, ყმით და მამულით, საწალიკის მთა საშემედ და სანადიროდ, წონას საბალახო მინდვრები და ათასი სული მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი ამ შეთანხმებამ საერთო სიხარული

გამოიწვია. მგლოვიარება უფლებას არ აძლევდა, თორემ ალბათ ზემოთ და ჩირალდნით აღნიშნავდა სოლომონი გიორგი უფლისწულის სტუმრობას და ერეკლესთან დადებულ ხელშეკრულების განმტკიცებას.

სალამოს მაინც აპირებდა სტუმრებს რიგიანად გამასპინძლებოდა, მაგრამ მოულოდნელად ისეთმა ბნელად მოუარა, რომ აღარც კი ეგონათ, თუ გადაიტანდა.

მთელი საათი ეგდო უგრძობლად და როდესაც გონს მოვიდა, კარგახანს ვერ შეძლო აღგომა.

კარისკაცნი და დიდებულნი პირმოკეპული უხმოდ დაბორილობდნენ ოთახებში, უმწეოდ შლიდნენ ხელებს და ხანდახან ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

— დიდი დღე არც მაგას უწერია, ღმერთო, შენ უშველე და შეიწყალე.

— ერთი ექიმი მაინც გვყავდეს, რომ მიხედოს და თან ახლდეს.

— შევთვალეთ, ცალკე რომის პაპს შევეუთვალეთ, ცალკე რუსეთის იმპერატრიცას, ერთი ექიმი გამოგვიგზავნეთ, რომ განუფრელად ახლდეს მეფესთქო. არ დაადგა საშველი. რეინეგსი იყო ექიმი და არ გაჩერდა. სხვა არავინ არი.

— ეჰ, ექიმი რას უშველის ავზნიანს.

სტუმრებს ისევე არჩილ ბატონიშვილი, პაპუნა წერეთელი, და ბერი წულუკიძე მოეპატრონენ. არჩილმა ბოდიში მოიხადა, მეფე შეუძლოდ ბრძანდება და ამ საღამოს ვერ გინახულებოთ.

დავით ორბელიანმა, როგორც იქნა, იხელთა დრო ბესიკთან სასაუბროდ და ორივენი სამღივნო დარბაზში წავიდნენ. დავითის ნახვით გახარებული ბესიკი მოუთმენლად მოელოდა მასთან საუბარს.

— როგორა ხარ, ბიჭო, — ღიმილით მოუთათუნა ბეჭებზე ხელი დავითმა. — ველარც კი გიცან, მთლად იმერელად ქცეულხარ. თმა ავიჩეჩია, მხარზე ფა-

ფანაკი მოგიგდია, ჩვენში დაბრუნებას აღარ აპირებ?

— განა ბატონი ერეკლე შეშინდობს? — ხმის კანკალით ჰკითხა ბესიკმა და მის გულში იმედის ნაპერწყალმა იელვა.

— ეეჰ, აღარ შეგინდობს, — უთხრა წარბშეკვრით დავითმა. — არათუ შენ, იქნებ დაგებრუნდე და მე შენზე უარესი დღე დამადგეს.

— როგორ?

— ჩემზე რატომღაც გული აიყარა. ვილაყას შეეფუსმენივარ, ბატონიშვილ ლეონს აქეზებს, დროა ტახტი შენ გეპყრასო. სისულელეა, მაგრამ მაგას ბოლოსდაბოლოს ისეთი ზნე დასჩემდა, აღარ იცის რაზე მოუვა გული და ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა გყავდეს.

— ჩემი გაქცევა რომ შეიტყო, ხომ არავინ დაუსჯია.

— არავინ. მე მგონია, იცოდა, რომ ეს საქმე ლეონმა მოაწყო და არა უთქვამს რა.

— სხვა, თბილისს რა ამბავია? მიამბე ყოველივე, როგორ ბრძანდება თქვენი მეუღლე და ჩემი მფარველი თამარი? როგორ ბრძანდება ლეონი? კიდევ სხვის ცოლებს ეკურკურება? ოჰ, როგორ გამეხარა, რომ დავით ვითარცისძე და ჩვენი პატარა ანიკო იმერეთს მოდიან და აქ დაესახლებიან. ანიკოს მალე, ალბათ, შვილი შეეძინება?

— იქნებ იმერეთის დედოფლობაც ელირსოს, — დაბალი ხმით წასჩურჩულა დავითმა. — სოლომონის შვილი ალექსანდრე უფლისწული ავადმყოფია და მამამისივით ბნელიანი. ვეკუობ, რომ ტახტზე ასეღა ელირსოს. მამამისთანაც უბრად ყოფილა. სოლომონის უმცროსი ძმა ბაგრატ გიყია და დაბმული ჰყავთ...

— ანიკოს ქმარზედაც ამბობენ, გიყიაო, მაგრამ არა ეტყობა რა თუმცა ბაგრატზე, მითხრეს რამდენჯერაც ახსნეს და გარედ გამოუშვეს თურმე მანვე გაიქცა საღდაც, სკორე მონახა

და ყველას ემუქრებოდა, უნდა გესროლოთო...

— აბა გიყვირებოდა, მოხუცებოდა — გაიცინა და ვიცი. — ეჰ, თურმე როგორ დასჯის ზოლმე ღმერთი ადამიანს.

— ახლა გადაუწყვეტიათ, ცოლი შეერთოთ დაჰყვიანდებოდა. ალბათ, კიდევაც შერთავენ. მას შემდეგ, რაც სოლომონმა ბერი წულუკიძე დაიბალოდა და მისი ქვრივი და, ქაჯაიას ნაცოლარი, შეირთო, დიდი უკმაყოფილება ჩამოვარდნილა იმერ თავადთა შორის. მეფემ წულუკიძეს თავადობა უწყალობა და ისე დაიბალოდა, რომ იმის დაუკითხვად, მგონი, არც იძინებს. გაგიყვირებოდა და ამბობს, მეფე მე კი არა ბერი წულუკიძეაო. იგი მართლა ჰქვიანოდა კაცია დიდებულთა შორის, წერაყითხვა ცუდად იცის და არავითარი განათლება არა აქვს, მაგრამ ვიცი, რომ ისეთი გამკრიახი მეორე მოიძებნებოდა იმერეთში. კარგად განათლებული აქ პაპუნა წერეთელია, რომელსაც მართლა და დიდი გავლენა აქვს სამეფო კარზე. ამბობენ, რომ წინათ სასახლეში დაწინაურებულნი ყოფილან სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, სარდალი თამაზა მესხი, მერამ ნიკარაძე და კიდევ რამდენიმე დიდგვაროვანი თავადი, მაგრამ ახლა არც ერთი აღარ ეკარება მეფეს, მას შემდეგ, რაც სოლომონი დაემოყვარდა წულუკიძეს და პირველ კაცად გახადა, მათ, სასახლეში, ფეხი აღარ დაუდგამთ. ამბობენ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი აბაშიძის წაქეზებით შემოიწყრა მამამისს, აზნაურის ქვრივი რად მომგვარე დედინაცვლადო. და ისეა გულმოსული, რომ კათალიკოსის დაკრძალვანდაც არ მოსულა. მართალია, კაცი კი გამოუგზავნია და შემოეთვალა შეუძლოთა ვარო. მაგრამ ტყუილია, განგებ არ მოვიდა. ახლა მეფემ, დავით გიორგისძეს მამულები რომ უწყალობა წირქვალს, ეგ მამულები ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა ჩამოერთვას.

— თითონ სად სახლობს ბატონიშვილი?

— კარგად არ ვიცი, იმ მხარეს არა ვყოფილვარ, ჩხერის ციხეს ამბობენ, იქ უნდა იყოს, შორაპნის ციხის იქითაა, ძირულის ხეობის გაგრძელებაზე, ქართლის საზღვართან.

— კარგი, ახლა ყური ახლო მოსწი. აქ ზომ არავინ გვისმენს? — მიმოიხედა დავითმა და ჩურჩულით განაგრძო, — ბატონ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ლეონი... — დავითმა სიტყვა აღარ დაამთავრა ჯერ აღმოსავლეთისაკენ გაიხედა და ცალი თვალი ეშმაკურად მოხუტა, მერე მეორე თვალით ადგილზე ანიშნა, ისიც ისევე მოხუტა და თავის ამ თავისებური მოძრაობით უთხრა, რომ ერეკლე აპირებს ლეონი იმერეთში გაამეფოსო.

— ვიცი — უპასუხა ბესიკმა და თვითონაც თვალების მოძრაობით ანიშნა, საექვოა, რომ ამ განზრახვიდან რამე გამოვიდესო.

დავითის სახეზე კითხვა გამოისახა, რატომო.

— ჯერ საამისო დარს ვერ ვგრძნობ და არც იმედი მაქვს, რომ ოდესმე დადგეს. — უპასუხა ბესიკმა. — მართალია, აქ წყალი აიბღვრა, ცაც მოიღრუბლა და ქარიშხლის სუნიც ტრიალებს, მაგრამ, სანამ სოლომონი ცოცხალია, ქვიტკირის კედელს ქარი ვერას დააკლებს. ჩემი თქმა რად გპირდება, ეს შენც კარგად იცი, სარდარო, იმერთა მეფეს ჩემზე უკეთ იცნობ და გინახავს საქმენი მისი. ზონთქრის იმედით არა გამოვა რა. აქამდე ვერა დააკლო რა და ახლა რას უზამს. დადიანი და შერვაშიძე კი ფინიქიებით არიან. დახურულ კარიდან ჰყეფენ და გარეთ გამოსვლას ვერ ბედავენ.

გიორგი ბატონიშვილისა და სოლომონის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. იმერთა მეფემ ერეკლეს წარ-

მომადგენლობას წყალობის სიგელები გაატანა დავით უფლისწულთან, ხოლო თვით ქართლ-კახეთის დიდებულ მეფეს შეუთვალა სამარადისო ერთგულება და აღუთქვა ალექსანდრე ამილახვრის განდევნა იმერეთიდან.

ქართლელთა წასვლის შემდეგ სოლომონი ჯერ ვარციხეს გაემგზავრა და შემდეგ სკანდეს, რადგან საოცარი სიცხეები დიჭირა და ეშინოდა ბნელის მოვლა არ გაბშირებოდა. ალექსანდრე ამილახვარი ივლის-აგვისტოს აპირებდა რუსეთს გამგზავრებას, როდესაც შესამლებელი იყო კავკასიონის უღელტეხილზე გადასვლა და ამიტომ სოლომონმა იგი თან იახლა, მეფეს სურდა რუსეთთან ურთიერთობა კვლავ აღედგინა და გადაწყვიტა ამილახვრისთვის გაეტანებია იმპერატორისთან და ნიკიტა პანინთან გასაგზავნი წერილები.

ბესიკის სპარსეთს გამგზავრება გადაიდო. სოლომონმა მას სამეფო სამდივნოს მოწესრიგება დაავალა. მწიგნობართ უხუცესს, გოგია აბაშიძეს ამ საქმისა არა გაეგებოდა რა და მთელი საბუთები, მიმოწერანი, სიგელები, პატრუცაგები, დავთრები, ისე იყო აწეწილ-დაწეწილი, რომ ხშირად რაიმე საჭირო ქალაქის მოძებნას მთელი თვე უნდებოდნენ.

ამ საბუთების დალაგებას დიდი დრო ჰკირდებოდა, ამიტომ ბესიკი მეფეს არ გაყოლია და ქუთაისში დარჩა. გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და დილიდან-საღამომდე სამდივნოში ატარებდა, ქალაქებს ახარისხებდა და მერე ყოველ მათგანს დავთრებში ნუსხავდა. მართალია თანამეგობარ სამი მდივანი ჰყავდა (მხიარული და მუდამ ლაქლაქა ლევონტი ნიქარაძე, ქალების მოყვარული და დათვივით მოუხეშავი ივანე ამირანაშვილი, სიცილში და ლაპარაკში ერთნაირად ყროყინა დავით ლაშხისშვილი). მაგრამ ხელაწერების გარჩევა სამივეს უჭირდა და ამიტომ მთელი ქალაქების წაკითხვა ბესიკს უხდებოდა.

სასახლის ქვედა პალატაში იყო სამდივნო, სადაც მიუხედავად უხეშულის სიციხისა, მუდამ გრილოდა. ამიტომ მუშაობაც არ იყო ძნელი. სამდივნოს ავეჯს ერთი განიერი ტახტი და სალტით მოჭედული რამდენიმე ზანდუკი შეადგენდა. მდივნები თურქულად ტახტზე ფეხმოკეცილნი წერდნენ. მარცხენა ფეხი დაწვენილი ჰქონდათ, ხოლო მარჯვენა შემართულად მოკეცილი ისე, რომ მუხლს შეესრულებინა მაგიდის მოვალეობა. სამთავნი ისე იყვნენ შეჩვეულნი ამგვარად წერას, რომ როდესაც დურგლებს მაგიდები გააკეთებინა და სამდივნოში დადგა, მდივნებმა ვერც კი მოახერხეს მაგიდაზე დაყრდნობილიყვნენ და ისე ეწერათ. ისევე ძველებურად ირჩევდნენ ფეხმორთხმას, მაგრამ ბესიკმა აიძულა ისინი შეჩვეოდნენ მაგიდასთან მუშაობას. რამდენიმე დღის შემდეგ მდივნები, მართლაც შეეგუენ ამ ახალ წესს და ახლა უკვე ხალისით სხდებოდნენ ხოლმე მაგიდასთან.

მართალია თვენახევარზე მეტი მოუწია ბესიკი სამდივნო დავთრების მოწესრიგებას, მაგრამ ამავე დროს მას საშუალება მიეცა გაცნობოდა მთელ იმერეთის ყოფაცხოვრებას, დიდებულთა ურთიერთ-დამოკიდებულებას და ამ ქვეყნის წარსულს. რა არ აღმოაჩინა ბესიკმა პირამდე საესე ზანდუკებში. ძველისძველი წერილები, თვით დავით ნარინის დროინდელი სიგელები, რომელთა წაკითხვა ბესიკმა ძლივს შეიძლო და ბევრი სიტყვა სრულიად ვერ გააჩნია, სხვადასხვა ენაზე ნაწერი პატრუცაგები იმერთა მეფეებისა, რომის პაპებისა, სულთნებისა და ფაშებისა, დრამატები რუსეთის მეფეებისა. მიმოწერა ტოტლებნთან და სუხოტინთან, მოურავოვის, იაზიკოვისა და ლვოვის პატაკები და მოხსენებები, კერძო წერილები და თავადთა, აზნაურთა და მღვდელმთავართა მიერ ერთმანეთის დაბეზღებანი მეფის წინაშე, ლექსები, ზმები, მუნასიბები, წარმოთქმული მგოსანთა მიერ და

პრავალი ამგვარი რამ. წიგნებიც ნახეს ქართული და უცხოური. ერთი თათრულად ნაწერი წიგნი დასურათებული იყო. ივანე ამირანაშვილი კინალამ გაგიჟდა სიხარულით. ჩაავლო წიგნს ხელი და ისე გამშაგებით დაუწყო თვალიერება, რომ ახლოს არავინ გაიკარა.

— თქვენი ჰირომე, რა ვნახე ეს, — დუღღუნებდა ივანე, — ამის დამხატავს არ უნდა დაუყოვნო ხელები! ეს რა ვნახე! სტამბოლის ხელობაა, ეტყობა. რა ნახატია. ცოცხლებივით არ არიან ეს ქალები შიგ ჩახატული! თქვენ გენაცვალეთ. აწი აღარაფერი მიჭირს. ესენი, ბიჭო, ანგელოზები არიან, სამოთხის ანგელოზები, იმიტომ დაუხატავთ ასე გულმოღეღილები.

— რაია, ბიჭო, მაი? — წერილი უღვაშების გრეხით ეუბნებოდა თმახუჭუჭა ლევონტი ნიჟარაძე და თან ცდილობდა წიგნში ჩაეხედა, რადგან ივანე მას იდაყვის გაკვრით იგერიებდა, — ნახატს რა თავში ვიხლი, შენ ცოცხალი ქალი დამანახვე აგრე, ცოცხალი...

— ჰე, ჰე, ჰე, — ყროყინებდა დავით ლამხისშვილი და მხრებს ისე უცნაურად სწევდა მაღლა, თითქოს ფრინველივით გაზმორებდას აბირებდა. — მართო დანახვას რა ჰქუა აქვს, შე სულელი. დანახვით — გინდა დახატული გინახავს, გინდა ცოცხალი, ერთი არაა?

სამდივნო საქმეების დამთავრებამ ბესიკს საშუალება მისცა ოჯახის საქმეებისათვისაც მიეხედა. ზაქარიამ ურჩია შვილებს საკუთარი სახლის მშენებლობა წამოეწყათ. ჰე და კირი ქუთაისში ბევრი იშოვებოდა, ხეტყის მასალაც აუარება იყო და საქმეს კიდევაც შეუდგნენ. მით უმეტეს ზაქარიამაც მიიღო მრევლი ქუთაისში და შემოსავალი გაუჩნდა. იოსების გარდაცვალების შემდეგ კათალიკოსად მაქსიმე ქუთათელი იქნა არჩეული, ქუთათელად კი მიტროპოლიტი დოსითეოზი და ამ ადგილების გადანაცვლებამ ზაქარიასაც გამოუჩინა თავისი ადგილი. მას არქიმანდრიტობა

მიეზოდა და ახლა უკვე იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რომ შეეძლო შევლთან ერთად საკუთარი სახლის შენებას შედგომოდა; ყმა გლეხებს ბეგარად ჰქვის მასალა და ქვიშა მოაზიდვინეს, ხოლო დაქირავებულმა კალატოზებმა კედლები სწრაფად ამოიყვანეს. თვენახევრის შემდეგ, როდესაც ბესიკი თავის სამდივნო საქმეებს მორჩა, ხურობმა უკვე სახურავის სათავე ამართეს და ვადასაკიდების ჩამწყრივებას შეუდგნენ.

ზაქარია აბრეშუმის თხელი ანაფორით და ხელში კრიალოსნით, თუ ეკლესიაში არა სწირავდა, თავზე ადგა მუშებს და ბევრი ლაპარაკით უფრო აცდენდა მათ, ვიდრე საქმეს აკეთებინებდა. მოხუცს საოცრად უხაროდა საკუთარი სახლის აგება და დღეში ერთი ათეერ მაინც უნდა შემოეგლო შენობის გარშემო, მოესინჯა კედლები, სათითაოდ შეემოწმებინა კოჭებად გათლილი მორები, დაეთვალა დაბერხილი ფიცრები და როდესაც ყოველივე ამით გულს მოიჯერებდა, გააბამდა ოსტატებთან გაუთავებულ სჯაბაასს, უკითხავდა სახუმარო ლექსებს, და ზმებით ეშვირებოდა რაჭველ ხურობს. ერთხელ მათ ლექსად დაწერილი და საოცრად გაკვიანურებული საკუთარი თხზულება „თაგვებისა და კატის ომი“-ც კი წაუკითხა.

შენობა საქმაოდ დიდი წამოიწყეს. ქვედა სართულის პალატი ორი ნახევრისაგან შედგებოდა. ერთი ზამთრის სადგომი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე საეკლესიო. ზედა სართულში კი ხუთი ოთახი იქნებოდა, დიდი და ფართო აგენით. ზაქარიას სურდა მთელი ოჯახი ერთად და განუყრელად ყოფილიყო, ოთახები წინასწარ გაანაწილა და ყველას თავისი პატრონის სახელი შეარქვა.

საღამოობით, როდესაც მთელი დღის მუშაობით დაღლილი ბესიკი შინ ბრუნდებოდა, აუცილებლად უნდა გაეგლო თავის ახალ ეზო-გარემოში. უკვე შორიდან დაინახავდა ხოლმე თელის ძირას, სამფეხა სკამზე ჩამომჯდარ მო-

ზუც მამას, რომელიც კრილოსანს ათამამებდა და თვალყურს ადევნებდა ხუროების მუშაობას. ზაქარია მოკრავდა თუ არა თვალს თავის საყვარელ შვილს, მაშინვე წამოიჭრებოდა ფეხზე და შეეგებებოდა.

— დაილაღე, შვილო? — ეუბნებოდა იგი ბესიკს. — დღეს მაინც ძალიან ცხელა. გუშინდელზე უფრო. მთავრდება, მთავრდება ჩვენი სასახლე. შემოდგომამდე საყუთარ ჭერ ქვეშ ვიქნებით. ახლა შენი საცოლეს შერჩევა გახდა ჩვენი საზრუნავი. ახალ სახლში უნდა ვიქორწილოთ. დედამენი სულ მაშვლებში ზის დღე და ღამ...

ბესიკი ღიმილით უსმენდა მამამისს და შენობას ათვალიერებდა. ყოველდღე ის მოუთმენლად მოელოდა თავის სამსახურის დღის დამთავრებას და მოისწრაფოდა, რომ მშენებლობა ენახა. შენობა მის თვალწინ დღითიდღე იზრდებოდა, მთავრდებოდა და ბესიკი ყოველთვის, როდესაც კი საღამოობით შემოუვლიდა სახლს, რაიმე ახალს წამოწყებულს ან დამთავრებულს აუცილებლად ნახავდა. კიდევაც რომ ვერ შეეჩინა, მამამისი მაინც უჩვენებდა, რაც გააკეთებინათ ოსტატებს დღის განმავლობაში და შემდეგ ორთავენი ერთად მიდიოდნენ თავიანთ ნაქირავებ ბინისაკენ სასამხროდ.

გზადაზნა ზაქარია აუცილებლად ჩამოუვდებდა სიტყვას შვილს ცოლის შერთვაზე და ემუდარებოდა. ღროზე მოკიდებოდა ოჯახს. ბესიკი ჩემად უსმენდა და თუმცა მამამისი ათას ისეთ ქალს უსახლებდა, რომელნიც ცნობილი იყვნენ ოჯახისშვილობით, მზითევით და სილამაზით, არასოდეს არ გამოუჩენია სურვილი, თუნდაც ერთხელ მაინც ენახა რომელიმე მათგანი ან ვინაობა გაეგო. მას მუდამ მღვიმის მონოზანი უდგა თვალწინ და ისე იყო მოჯადოებული ამ ქალის მშვენიერებით, რომ არავის სახელის გაგონება არ სურდა. როდესაც სოლომონმა დავით გიორგის-ძეს წირქვალის მამულები უწყალობა და ბესი-

კმა გაიგო, რომ საოცნებო არსებია, მომხიბლავი ანიკო, იმერეთში, უნდა გოდ-მოსახლებულიყო, მართალია, გვეხატდა, მაგრამ ისევ თავისი მონოზანი მოაგონდა. სოფელი წირქვალი იქვე მღვიმის გვერდით იყო და ბესიკს გუნებაში პირველად იმის სასიხარულო გრძნობამ გაუელეა, რომ საშუალება ეძლეოდა ანიკოს ნახვის საბაბით მონოზანი ენახა. სადუნამ ხომ სანუგეშო ამბავი ჩამოუტანა და ახლა ბესიკი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც საშუალება მიეცემოდა კიდევ ერთხელ ენახა ის. ვისთვისაც გული ასე ტბილად ეკუმშებოდა. მართალია, დიდი და თითქმის გარდაუვალი დაბრკოლება აღმართულიყო მის წინაშე. სამეფო კარის მდივან მწიგნობარისათვის ნაბიჭვარის შერთვა დიდი თავგანწირვა იყო. ახლა ბესიკის ერთადერთ ნუგეშს სოლომონი წარმოადგენდა, რომელიც აზნაურის ქვრივის შერთვით თვითონ იძლეოდა სულგრძელობის მაგალითს და შეუძლებელს შესაძლებლად ხდიდა. მაგრამ იყო მეორე, უფრო ძნელი დაბრკოლება. დევისათვის შეწირული არსების გათხოვება არ შეიძლებოდა და ამას ეკლესია მით უფრო არ აბატებდა ზაქარია მოძღვრის შვილს. მართალია, სადუნა ჩასჩურჩულებდა, რა გინდა, ბატონო, შენ ოღონ მიბრძანე და იმ ქალს ისე მოგგვრი ქუთაისში ძე სულიერი ვერას გაიგებსო. მაგრამ ბესიკისათვის ეს არ იყო საკმარისი. ზაქარია და მისი მეუღლე აუცილებლად გამოიკვლევდნენ ამ ქალის ვინაობას და ელდა ეცემოდათ. უმჯობესი იყო ბესიკს წინასწარ გაეჩხილა მშობლებისათვის ყოველივე, მაგრამ ვერც ამას ბედავდა. იცოდა თავის მამის ჯიუტი ხასიათი და თუ კი ის ერთხელ იუარებდა, მერე საქმე დაღუპულად უნდა ჩაეთვალა. აღარაფრის გულისათვის მოხუცი თავის სიტყვას არ გადათქვამდა.

ივლისის მიწურულს ქუთაისში დავით გიორგის-ძის მოურავი ჩამოვი-

და. მას სოლომონის სიგელით ნაწყალობები ყმა და მამულები უნდა ჩაებარებინა, უფლისწულისთვის სადგომი ბინა მოეწყოს და ბატონიშვილის მთელი ოჯახი შემოდგომამდე გადმოებარებებინა ქართლიდან. მოურავმა ბესიკს დავითის მეუღლის ანიკოს ბარათი მოართვა.

„ჩემს სანატრელ მგოსანს ბესარიონ გაბაშვილს მისი გულდამწვარი ანა, იმერთა ბატონიშვილის მეუღლე მრავალ მოკითხვას მოგახსენებ. მერე შენი ამბავი ვიუწყეთ, რომ სოლომონ მეფის კარზე ასეთის პატივით და დიდებით მიღებული ყოფილხარ. ახლა ამას გვედრებო, აქ სხვის კარზე სამოწყალოდ ცხოვრებამ თავი გამაბეზრა და ვისწრაფი, რათა საკუთარ მამულში დავბინავდე. სოლომონ მეფეს და სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს შემავედრე ამ ჩემს მოურავს იასაულები აახლოს და ყმა და მამული ჩააბაროს. რაც მალე მორჩება საქმე, ის მიჯობს. ამას გთხოვ, ბეჯითად იყავ და რაც სიგელში წერია ყოველივე უკლებლივ ჩავვაბარონ. ეს საქმე თქვენთვის დაგვივალდება და დიად დიად დავიშალებთ“.

ბესიკი მაშინვე გაემგზავრა სკანდეს და თან გაიყოლა ანას მოურავი. იქ იმედი ჰქონდა, რომ სოლომონი ანიკოს თხოვნის თანახმად მამულების ჩაბარებას მას დააველებდა, სადუნასაც ნახავდა, რომელსაც თან გაიყოლებდა. ბესიკს უნდოდა კიდევ ერთხელ ენახა მომხიბლავი მონოზანი, განეცადა სანეტარო აღტაცება, რომელიც ავიწყებდა ადამიანს უდიდეს დაბრკოლებას. თუ მართლა ხედავს ეს სანეტარო ასული მისთვის განკუთვნივინა, ბესიკს უნდოდა სოლომონ მეფისათვის ეთხოვნა წებართვა ამ ქალის შერთვისა.



არასოდეს არ განუცდია ბესიკს ასეთი აღლევება.

როდესაც მოსახვევიდან მღვიმევის მონასტერი გამოჩნდა გულმა ბაგაბუგი დაუწყაო, თითქო ბუდიდამ ამბავს დასწავლა.

წყნარი დღე იყო. მზე უკვე დასავლეთისაკენ იხრებოდა და თბილ ჰაერში ჩაწოლილი ლივლივებდა.

ცაში დინჯად ცურავდნენ შევარდნები.

ლურჯად მოკაშკაშე ყვირილა ხმაურით გადარბოდა ქვებზე. წყლის ნაბირზე მსუბუქად დახტოდნენ ბოლოქანქალები.

მალა ატყორცნილ ფრილო კლდეებზე ალაგალაგ თრიმლის ბუჩქები წამოზრდილიყვნენ, ხოლო ლავგარდანებზე მწვანე ნაბლის ძონძებივით დავიდულიყო კატბარდისა და მაყვლის დახლართული ბარდები.

ბესიკმა კვლავ ახედა მონასტერს, რომელიც უკაცრიელს გავდა.

მგზავრებმა ცხენები აღმართს შეუყენეს. წირქვალისაკენ მიმავლებს გზად მაინც მონასტრის გვერდით უნდა გაევილოთ, იქედან ზეგანზე ასულიყვნენ და ბუჩქნართი დაფარულ სერებს ვაყოლოდნენ.

სადუნამ ბესიკს წინ გადაუსწრო. ცხენს მათრახი გადაჰკრა და კლდეზე მიკლავნილ ბილიკზე სწრაფად დაწინაურდა. მას უნდოდა მონასტერში შეევილო, წინამძღვარი გაეფრთხილებინა, რომ მეფის კაცები მობრძანდებოდნენ. ის კი აუცილებლად ალაყაფთან გამოეგებებოდა მეფის დიდ მოხელეებს.

ბესიკი თვალს არ აშორებდა სადუნას, რომელიც დავიდულ ბილიკზე თითქოს წაღმალეულმა ატარებდა ცხენს. მალე იგი თვალთაგან მიეფარა და, როდესაც დანარჩენმა მხედრებმა აივაკეს, მონასტრის ბჭეებთან მათ მართლაც დაინახეს მოხუცი წინამძღვარი და მონოზანთა მთელი გუნდი.

მხედრები ჩამოქვეითდნენ. ბესიკს ვილაკამ ჩამოართვა ცხენის სადაფე. არც კი შეუმჩნევია ვინ. მთელი მისი ყურად-

ღება ახლა მონოზანთა გუნდისაკენ იყო მიპყრობილი, რომ თვალი მოეკრა იმ წარმტაცი ასულისთვის, რომლისთვისაც ასე გამალებით უცემდა გული. გულდასმით შეათვალიერა ყველა, მაგრამ ის ქალი მონოზანთა შორის არ იყო.

არც სადუნა ჩანდა და ბესიკს გუნებაში გაუღელვა, რომ შეიძლება იმ მონასტერში სწორედ იმ ქალთან საუბრობდა...

...ან არწმუნებდა, რომ გამოსულიყო და დანახვებოდა ბესიკს.

...და უცებ წარმოიდგინა: ჩაუვლია ხელი სადუნას ლოყებატყვილ მონოზანისათვის და ეუბნება სიცილით: — „გამოდი, გოგო, ნუ ხარ სულელი“. „უი, მე! — ეუბნება ქალი. — მომკალი და ნუ გამომიყვან“. „გამოდი, გოგო, შენი ნახვის გულისათვის თავს იკლავს ის კაცი“, „მომკალი და ნუ გამომიყვან“...

წინამძღვარმა ყველანი ტაძარში მიიწვია პარაკლისის გადასახდელად. ბესიკი წინ მიდიოდა როგორც საპატიო სტუმარი და მეფის მოხელე პირი.

ეზოში მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერს დაინახა. პარაკლისის დროსაც რამდენჯერმე მოიხედა უკან, ვერც იქ დაინახა სანატრელი ასული. სადუნაც სადლაც გაჰქრა და პარაკლისი ისე დამთავრდა, რომ არ გამოჩენილა.

როდესაც მონასტრიდან გამოვიდნენ და ცხენებზე სხდებოდნენ, ბესიკმა ძალაუღნებურად იკითხა, სადუნა სად არისო.

— ზევითაა ბატონო, გზაში დავახველებათ. — უთხრა ბესიკს ერთ-ერთმა მონოზანმა.

მხედრები შესხდნენ ცხენებზე და აღმართს შეუყვანენ. ანიკოს მოურავი გვერდით მიყვა ბესიკს და რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ, მას, ფიქრებში წასულს, არაფერი არ ესმოდა. ვერ გაეგო მიზეზი, თუ რატომ არ გამოუჩნდა ის ქალწული მონოზანი, ან სად გაჰქრა სადუნა და რისთვის გავიდა ადრე მონასტრიდან.

...იქნებ სადუნამ განგებ გაიყვანა ქალი მონასტრიდან, რომ ბესიკისთვის შეეხვედრებინა და გაეცნო. მონასტერში ეს ხომ შეუძლებელი იყო. მონასტრის გარეთ, მოშორებით ვითომ შემთხვევით შეხვდებოდნენ ერთმანეთს, დაელაპარაკებოდნენ...

...იქნებ ისე ოსტატურად მოაწყო საქმე სადუნამ, რომ მარტო ბესიკი შეახვედროს მასთან. თანამგზავრებს ეტყვის თქვენ წინ წადითო და ბესიკს წაჩურჩულებს, ის ქალი, ბატონო, იმ კლდეს ამოფარებული გიცდისო...

რა არ გაიფიქრა ბესიკმა იმ ხნის განმავლობაში, სანამ აღმართს აივაკებდნენ და ცხენებს კლდეში ამოჭრილ საფეხურებით მალლა აიყვანდნენ... მარცხნივ მონასტრის სასაფლაო გამოჩნდა, ხოლო მარჯვნივ, პატარა ბორცვზე სრულიად განცალკევებით მოჩანდა ახალი საფლავი, რომლის ახლოს იდგა მკლავებმოსხლელი და თავდახრილი სადუნა.

(გაგრძელება იქნება)

## ლექსები



პოეტის აკვანი

ვ. შაიკოვსკის

ჩვენ ყველას გვიყვარს აკვანი,  
როცა გავხდებით დიდები,  
მას შეხებია სათუთად  
დედის უტყბესი თითები,  
ჩვენ ყველა აკვნის შვილი ვართ,  
ნანინით გამოზრდილები.

ახლა კი ჩვენი აკვანი  
თავანზე დგას და ისვენებს,  
შევხედდავ იმ ჭრელ კაკილას  
და მის ბაღღობას ვიხსენებ.

ხალხი ზღვასავით ნიადავ  
ამ სახლში მოედინება,  
აქ არის მისი ბავშვობა,  
აქ არის მისი დიდება.

მას ისევე ესმის ხანისწყლის  
ღუღუნე გულგასახარი,  
კვლავ შრიალებენ ტოტები  
მაისში ამონაყარი,  
რაკი აკვანი აქა დგას,  
თვითონ პოეტიც აქ არი.



## ვაჟა-ფშაველა იმერეთში

გხვდავთ, რომ შამრეგებისარ,  
მით შენთან საღამ ვხვდეთ.  
ვაჟა-ფშაველა

მგოსანო, შენი ვარსკვლავი  
ყოველდღე ცაზე თვალს ახელს,  
მისი ნათელი ფშავეთში  
მალალ მთა-გორებს ალაღებს,  
ვერცხლის სირმებად ეხვევა  
იმ შენს საყვარელ ბალახებს.

თითქოს იყავი ხატობას,  
სხვა ეშხი გამოგყოლია,  
შენი ჩონგურის სიმები  
გულის ძაფები მგონია,  
შენით გავიგე, სიმღერას  
რა ქარიშხალი ჰქონია!

შენით ამაყობს, მგოსანო,  
ბარი, ფშავეთი, მთა-ხევი,  
სადაც კი მიველ, წინ დამხვდა  
შენი სიმღერის ნახმევი,  
ცაზე ღრუბელი ჰკიდიდა,  
ვით შენი ჩოხის ნახევი.

რა საამუჟრად მეხვევა  
მთიდან აშლილი ქარები,  
თითქოს იმ შენი ლურჯათი  
ბარისკენ მიეჩქარები,  
მობრძანდი, შენთვის ღიაა  
საიმერეთოს კარები.



★

## გაზაფხული

ლობის ძირებში ნარჩენი თოვლიც  
გაიპარა და გადნა მალულად —  
უკვე ბიბინებს ეზოში მოლი,  
ბაღებში ია შემოპარულა.

კოლმეურნენი ხნავენ ყამირებს,  
ფუძე ეყრება გმირის დიდებას.  
ნოხივით გაშლილ იმერულ მინდვრებს  
ყაყაჩოს ცეცხლი წაეკიდება.

★

## ზემო რაჭაში

რაჭაში ბევრი მთა არის,  
ბევრი ლამაზი გრეხილი,  
მალლიდან ლოდი მოწყდება,  
ხევს ჩაიხუფლებს მეხივით.

შრომობს რაჭველი გლეხკაცი,  
პურის ღერიც არ უხშება.  
თუ გინდა მთასაც მოარღვევს,  
მძიმე შრომას არ უფრთხება.  
ყივილით გადაუქროლეს  
თავზე ნაცნობმა შურთხებმა.

ოჯახში სარჩო დახვავდა,  
რაც დარჩა, გასასყიდა.  
ზოგან ბორანი, ზოგან კი  
ახლადნაშენი ზილია,

ბილიკით გზას იმოკლებენ,  
ონის ბაზარზე მიდიან.

პური მოსულა, რა პური,  
ნაშრომით გაიხარენით!  
კალოზე კვერი ტრიალებს,  
იღება ბედლის კარები,  
აქეთ მანქანა გუგუნებს,  
იქით ბრდღვინავენ ხარები.

ზემო რაჭაში იმ ლამეს  
ავსებდა ხორბლის სურნელი.  
ოქროს მარცვლით აავსეს  
ფარდებიანი ურემი.  
ნიკორა ხარებს, ურჩ ხარებს  
დააწყდათ ავეურები.

## ორი მოთხრობა



### ზევის ნაპირი

პერპინიან-მარსელის მატარებელი თანდათან უმატებდა სიჩქარეს. უკვე მიხაროდა ჩემი მართოდ ყოფნა, როდესაც კუბეში შემოვიდა კარგად ჩაცმული მამაკაცი, თავაზიანად მომესალმა, თაროზე დადო ნიანგის ტყავის სქელი პორტფელი და ჩემს პირდაპირ დაჯდა.

უკანასკნელად შევხედე ნისლით მობურულ პირინეის მთებს, რომლებიც თანდათან გვეშორდებოდნენ. იქ თავდებოდა საფრანგეთი და იწყებოდა ესპანეთი. აი ამ მთებიდან დღესაც ჩამოდიან მამაცი ესპანელი პარტიზანები და უმტკიცებენ დიქტატორ ფრანკოს, რომ უდრეკია ხალხის მისწრაფება თავისუფლებისაკენ.

მატარებელმა მარჯვნივ შეუხვია, და ახლა მიდიოდა პლიაქის გასწვრივ, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ხმელთაშუა ზღვის ლურჯი ტალღები ეხეთქებოდნენ მას და ნაპირებს ავლებდნენ ქაფის თეთრ ქობას. ნაპირზე უეცრად დავინახე გრძელი ფიცრული ბარაკები, იქ იდგნენ თმასუქუქა გოლიათები, მათს ნახშირივით შავსა და პრიალა სახეზე ელვარებდნენ თეთრი კბილები. ესენი იყვნენ სენეგალელი მსროლელები, ბავშვებივით მხიარულები, ესოდენ კარგები და გულწრფელები და ესოდენ საშინელი და დაუნდობელი ჩაფრები, როდესაც ასრულებდნენ თეთრ ოფიცერთა განკარგულებებს! დავინახე ბანაკის უფროსი, დიდი ორსართულიანი სახლი, აივნით, ლუღხანით და ბილიარ-

დით; უმცროსი ოფიცრების პატარა ბინები და, ბოლოს, თვით კონცენტრაციული ბანაკი, „ბარკარესი“ — ეკლიანი მავთულით დახლართული ხის ბოძების ორმაგი რიგი, ქვიშის კვადრატული კილომეტრები და ამ ქვიშაზე რესპუბლიკური ესპანეთის ათასობით მებრძოლნი, რომლებმაც თავშესაფარი სთხოვეს საფრანგეთს და „მიიღეს“...

დავხუჭე თვალები და მომაგონდა, თუ როგორ ვთხრიდით ხელებით ღრმა ორმოებს და ორ-ორი, სამ-სამი კაცი ერთმანეთს მკვიდროდ ჩახუტებულნი, ვწვებოდით შიგ, რათა ქარწყიმისა და თოვლისაგან როგორმე თავი დაგვეფარა. და როგორ შურდა ხოლმე ზოგიერთ ჩვენგანს იმათი ბედი, ვინც ჩამოშლილი კეიშით მოშთობილი, გათენებისას უკვე ვერ დგებოდა, რომ გაემართა გათოშილი სხეული. და ზაფხულში... უთვალავი რწყილების კბენისაგან გასივებულნი, დასისხლიანებული წყლულებით, რა მგზნებარე სურვილით შეცქეროდით ეკლიან მავთულის გადაღმა მიჩქვარე ზღვას, იქ დასცურავდნენ გემები, მილიონერების თოვლივით თეთრი იახტები და მთელი დღეების განმავლობაში იდგნენ მეთევზეთა პატარა ნაეები.

— არაა საჭირო ეს მოგონებანი, წინ კიდევ ბევრი ახალი რამ მოგველის! — თავს ვიშშვიდებდი მე.

ჩემმა თანამგზავრმა რამდენჯერმე ჩახველა, ეტყობოდა, საუბრის დაწყება სურდა. მაგრამ მან, ალბათ, შენიშნა,

თუ რა გაღიზიანებით გავშალე პერპინიანში ნაყიდი გაზეთი და საუბრის დაწყება ვერ გაბედა.

წაეკითხე პა-დე-კალეს მემალაროელთა, მარსელისა და ალფირის დოკტორთა გაფიცვებზე და ისიც, თუ რა მხეცურად აქრობდნენ ამ გაფიცვებს დაქირავებული კაცისმკვლელები, რომელნიც ატარებდნენ „რესპუბლიკური უშიშროების რაზმეულების“ ზვიად სახელს. და ხმამაღლა წამოვიძახე:

— არამზადები!

— საშინელებაა, ნამდვილი საშინელება! — გაუხარდა მოწყენილ თანამგზავრს, რომ ჩემმა წამოძახილმა საუბრის დაწყების საშუალება მისცა.

— წარმოგიდგენიათ, — განაგრძო მან. — თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ — კომერსანტები?! ამ გაფიცული არამზადების გულისათვის არასოდეს არა გვაქვს იმის გარანტია, რომ ჩვენი საქონელი დროზე დატვირთულ ან განტვირთულ იქნება და გაფუჭდება თუ არა იგი ვაგონებში! ...არა, ცხოვრება პირდაპირ აუტანელი ვახდა პატიოსანი კაცისათვის!

— ჰმ! — საყმაოდ ხმამაღლა აღმომხდა მე.

ჩემი თანამოსაუბრე დადუმდა. სიჩუმე დაარღვია ვაგონ-რესტორანის მსახურის ზარის რეკამ. ის აუწყებდა მგზავრებს სადილობის დროს. ლაპარაკის მოყვარული თანამგზავრი გავიდა.

იგი ვაგონ-რესტორანიდან წამოწითლებული, უფრო გაბედული და ყბედი, დაბრუნდა, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ამეცდინა მასთან საუბარი.

— თქვენ რით ვაპრობთ, ბატონო? — კვლავ დაიწყო მან.

— არაფრით!

— მსახურობთ?

— არა! — „ახლა ხომ თავს გამანებებს-მეთქი“, გავიფიქრე, მაგრამ ასე როდი მოხდა.

— ამა... აქციები, მდიდარი მშობლები, გასაგებია, გასაგებია!.. ნება მომეცით თავი გაგაცნოთ: დიურბეკ მამა და შვილი, არ გაგიგონიათ?.. ზეითუნის ზეთი, მთავარი ადმინისტრაციის პარიზში, კანტორები მარსელში და ნარსელონაში, საიდანაც მე ახლა მოვდივარ! — და იგი ენერგიულად ანჯღრევდა ჩემს ხელს. სხვა გზა არ იყო, მეც ვუპასუხე, რომ მოხარული ვარ-მეთქი.

— დიურბეკ-შვილი, რა თქმა უნდა. მე ვარ, მამა დიდი ხანია გარდაიცვალა... აი ესპანეთში თქვენ ვერ შეხვდებით ამის მსგავს ამბებს! — და მან გაზეთზე მიმითითა. — იქ მუშები კრინტსაც კი ვერ დასმრავენ... მუშა ხელიც იაფია, ასე რომ არ იყოს, ჩემთვის რა სახეირო იქნებოდა ესპანეთში ზეთის ყიდვა?!

— მე პოლიტიკა არ მაინტერესებს — მშრალად მოვუქერი სიტყვა.

— გასაგებია, გასაგებია, ჩვენ საყმაოდ ფულს ვაძლევთ იმათ, ვინც ჩვენთვის პოლიტიკას ეწევიან... ჩვენ, ფრანგებმა მაგალითი ესპანეთიდან უნდა ავიღოთ, სახელმწიფო ძლიერია მაშინ, როდესაც ეკლესიაა ძლიერი!.. მაინც რა უცნაური ხალხია ეს ესპანელები, დაღვრემილნი, ჯიუტნი... სულ იმის ცდაში არიან, ნაკლები იმუშაონ... რა თქმა უნდა, მე ესპანელ მუშებზე ვლაპარაკობ.

— რომელთაც თქვენ ძალიან ნაკლებად იცნობთ! — ვერ მოვითმინე მე.

— მუშები ყველგან ზარმაცები და ქურდები, და თუ შეუძლიათ როგორმე ზედმეტი დურო<sup>1</sup> გამოგატყონ, გამოგატყობენ! დამერწმუნეთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მე თქვენზე ბევრად ხნიერი ვარ და შემძლია მოვითხროთ...

— სჯობია მომიტხროთ იმ წრეზე, რომელშიც თქვენ ტრიალებთ! — და-

<sup>1</sup> დ უ რ ი — ერთი შიური.

ცინვით ვუბასუხე მე და დიდი სურვილი დამებადა, მიმეხრჩო იგი.

— აი, მაგალითად, საინტერესო შემთხვევა! — თითქოს ამასლა ელოდა „დიურბეკი მამა და შვილი — ზეთუნის ზეთის“ დინასტიის უმცროსი წარმომადგენელი. რა უნდა ეთქვა ჩემთვის ესპანეთის შესახებ ამ თვითმყოფილებით აღსავსე ბურჯუას? ცნობისმოყვარეობამ ამიტაცა, გადაეწყვიტე ყური და მეგლო მისთვის და სახეზე სანდომიანი ღიმილი მივიყერე.

— მე ხშირად მიხდება ხოლმე ესპანეთში ჩასვლა, — დაიწყო მან. — სახელდობრ ბარსელონაში; იქ ვბინადრობ ჩემს საქონლის მომწოდებელ — ალფონსო დელ კაბრასთან. რომლის მშვენიერი სახლი „პასეო დელ გრაციაზე“ განთქმულია გაწვრთნილი შინამოსამსახურებით. უკანასკნელ დრომდე ოჯახი შესდგებოდა სამი სულისაგან: თვითონ ალფონსო, მისი და — მარია-ტერეზა და მოხუცი დეიდა — დონა ასუნსიონ სოლერ როკა, რომელიც შემთრულ მუმიას ჰგავდა, მაგრამ ამბობდნენ, ოდესღაც სილამაზით განთქმული იყო. თქვენ, ალბათ, გასმენიათ ძველებურ ესპანურ ზრდილობაზე, აი ასეთი ზრდილობით ეპყრობოდა ერთმანეთს და-ძმა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მათ ერთმანეთი სძულდათ. საერთოდ ვაპრობაში ძნელია კომპანიონთა შორის სიამტკბილობა, მით უფრო მაშინ, როცა ისინი და-ძმანი არიან... და ორივემ კარგაბანია, რაც საცოლისა და საქმროს ძებნის ასაკს გადააცილა. ვგონებ, ისინი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ ოჯახის შექმნის საქმეში და ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მათ არ სურდათ ქონების გაყოფა. სავაჭრო საქმეებს ძმა განაგებდა, მარია-ტერეზა ყოველთვიურად სინჯავდა ძმის მიერ წარმოებულ ანჯარიშებს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ახერხებდა საგრძნობი თანხების მითვისებას. ორივენი განსაკუთრებული თავაზიანობით მეპყრობოდ-

ნენ, სხვანაირად არც შეიძლებოდა, ჩვენ საკმაოდ დიდ საქმეებს ეჭაწრმუხებდით. იმ თავითვე ერთი რამ მაკვირვებდა — და-ძმის უაღრესი სიყვარული ბებერ დეიდა დონა ასუნსიონის მიმართ. ორივე ყოველ ხერხს მიმართავდა, რომ მისთვის ესიამოვნებინა. ალფონსო ყოველთვის უთმობდა მანქანას დეიდას, როცა იგი ეკლესიაში წასვლას დააპირებდა და თვითონ კი ფეხით მიდიოდა კანტორაში. მარია-ტერეზა პარაკლისებს აწყობდა ბინაზე, როცა მოხუცი შეუძლოდ იყო, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ მას ეს საქველმოქმედო საქმე შესძულდა იმის შემდეგ, რაც სუფრას ვერცხლეულობა დააკლდა. მღვდელმსახურთა ერთ-ერთი ვაშშობის დროს, და და-ძმა, თითქოს ერთმანეთს შეჯიბრებულნი, მრავალ ამგვარ წერილმანებით ცდილობდნენ თავიანთი მიზეზიანი დეიდის გულის მოგებას. დონა ასუნსიონ თავის მხრივ უპირატესობას ხან ერთს და ხან მეორეს აძლევდა. მაშინ ვამჩნევდი, თუ როგორი სიძულვილით უყურებდა დროებით შერისხული თავის იღბლიან მოქიშპეს. მათდა საბედნიეროდ ბებერ ქალს ხშირად მოაკითხავდა ხოლმე ერთ-ერთი გავლენიანი მღვდელთაგანი, მეზობელი ეკლესიის წინამძღვარი პადრე მამა ანტონიო, ლოცულობდა მასთან და ამის შემდეგ განწმენდილი ყოველგვარი მიდგომილობისაგან დონა ასუნსიონ თანასწორი მოწყალებით ეპყრობოდა ორივე დისწულს.

ერთხელ, სადილობის დროს, როცა და-ძმა ეჯიბრებოდა ერთმანეთს მოხუც დეიდის მოწყალების მოპოებაში, ამ უკანასკნელმა, რომელიდაც კერძით უცმაყოფილომ, დასტოვა სუფრა. მე შევამჩნიე მეტრდოტელის სახეზე ირონიული ღიმილი. საღამოს მას ვაჩუქე რამდენიმე პეზეტი და გავიგე რაშიც იყო საქმე: უკვე თორმეტი წელიწადია, რაც და და ძმა ინახავდა დეიდას. მოხუცს ჰქონდა ოქრო, მის ოთახში იდგა ძველებური ცეცხლგამძლე საღარო და

პთელი მისი ქონება, გადაქცეული ოქროს პეზეტებად, შიგ ინახებოდა. მეტროტელმა იცოდა კიდეც, თუ რამდენი იყო — 40.000 ოქროს პეზეტი, — გაყიდულ მამულების საფასური. მისგანვე კიდეც ერთი რამ გავიგე: თურმე მოხუც ქალს გადაჭრით განუცხადებია, ფული არაფერად შემთხვევაში გაყოფილი არ იქნება და ვისაც ერგება — მთლიანად ერგებაო. ამ მომენტიდან დასა და ძმას შორის გამართულმა ბრძოლამ ჩემთვის სპორტის ხასიათი მიიღო. დიდი ინტერესით ვაღვწევდი თვალყურს მათ, როგორც დოღზე ორ გაქვებულ ცხენს. პირველობის იმედი ხან ერთისა და ხან მეორის მხარეზე იყო. საბოლოოდ კი გაიმარჯვებდა ის, ვინც მეტ გამძლეობას გამოიჩენდა. ბრძოლის ფინალიც ახლოვდებოდა, — მოხუცი დეიდა უკვე ლოგინად იყო ჩაყარდნილი. მაგრამ მე არ ველოდი, რომ უკანასკნელი ჩემი ჩასვლა დაემთხვევოდა „ცხენების“ საბოლოო გაქვებას. დეიდა კვდებოდა. შინამოსამსახურენი ფეხაკრფით დადიოდნენ, ხოლო ალფონზო და მარია-ტერეზა ფეხმოუცვლელად იჯდნენ მომავედავის სასთუმალთან. თვითველ მათგანს ეშინოდა მოქიშვე, მარტოდ დავტოვებინა მომავედავთან, და იქამდეც კი მივიდნენ, რომ ერთად გადიოდნენ, როცა ამას მოითხოვდა მწვევე აუცილებლობა. და აი მოხუცი მოკვდა. ცეცხლგამძლე სალარო დალუქულ იქნა და და-ძმა ორივენი შავებში ჩაქმულნი, უბედურებისაგან დამუხარებულნი ხელს ართმევდნენ თანაგრძნობის სათქმელად მოსულ ნაცნობ-ნათესავებს, და მათი სახე მწუხარებასთან ერთად დიდ დაღლილობასაც გამოხატავდა, რაშიც არც ერთ ჩვენთაგანს ეჭვი არ ეპარებოდა.

იმავ საღამოს, ორი შორეული ნათესავის, მამა ანტონიოს და ჩემი თანადასწრებით, ნოტარიუსმა ვანუცხადა თანაგრძნობა ორივე და-ძმას, რომელთა სახეს სიფითრე გადაჰქარავდა, და გააღო სალარო.

სალაროში სპილოს ძვლით მოჭედილი, დიდი შავიხის კოლტყენი მსხვერპლი კოლოფზე ერთნაირად დასაწყობი კონვერტი იდო. ეს იყო დეიდას ანდერძი. ჩამოვარდნილ სიწუმეში ნოტარიუსმა აიღო, გახსნა იგი და დაიწყო კითხვა. მიცვალებული თანასწორად ანაწილებდა ძმასა და დას შორის სხვადასხვა წერილმან ნივთებს, რომელთაც არავითარი ფასი არ ჰქონდათ ვარდა იმისა, რომ დეიდას სახსოვარს წარმოადგენდნენ. ასე რომ იქამდე, სანამ საკითხი არ შეეხებოდა ოქროს, არც ერთ ჩვენთაგანს არ შეეძლო ეთქვა — ვინ იქნებოდა ის ბედნიერი შემკვიდრე, რომელსაც ერგებოდა დიდი შავიხის კოლოფში მოთავსებული სიმდიდრე. მე გადავხედე და-ძმას და მათმა თავშეკავებამ გამაოცა. ნოტარიუსი მოსაწყენი ხმით განაგრძობდა კითხვას, შემდეგ რქის ჩარჩოიან სათვალეებს ზემოდან შეხედა შემკვიდრეებს და მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ განაგრძო.

— ..უანდერძებ შავი ხის კოლოფს ჩემს დისწულს მარია-ტერეზას...

— მოიცადეთ, მოიცადეთ!.. ვთხოვთ მიაქციოთ ყურადღება იმ ვარემოებას, რომ აქ მოხსენებულია მხოლოდ კოლოფი და არა ის, რაც შიგა დევს! — შეაწყვეტინა ალფონზო დელ კაბრამ, და გამომწვევი დაცინებით შეხედა თავის დას. მარია-ტერეზა ამაყად იცქირებოდა სივრცეში. ნოტარიუსმა ხელის აწევით მოითხოვა სიწუმე და უფრო ხმამაღლა განაგრძო კითხვა:

— ... კოლოფში მდებარე ნივთს ეუანდერძებ ჩემს დისწულს. ალფონზო დელ კაბრას! — სრულ სიწუმეში გაისმა ნოტარიუსის სიტყვები. ვულდაჯერებული, ირონიული ღიმილი ვამოიხატა ალფონზოს სახეზე. დამ ისე შეხედა ძმას, რომ მისი მზერა კარვს არაფერს მოასწავებდა.

ნოტარიუსმა თავისკენ გამოსწია შავიხის მძიმე კოლოფი და სახურავი ახადა. კოლოფი ცარიელი იყო. უკეთ რომ

ეთქვით, შიგ მხოლოდამხოლოდ იღო დაგრაგნელი, პაპირუსივით ყვითელი ქაღალდი. ნოტარიუსმა გაშალა იგი და კითხვა დაიწყო:

— ბარსელონის მართლმადიდებელი კათოლიკური ეკლესიის, მისი მეუღლების წინამძღვრის მამა ანტონიოს მიერ, მიყიდულ იქნა დონა სუნსიონ სოლერ როკაზე (40.000 ოქროს პეზეტად) სამუდამო სარგებლობაში და შემკვიდრებისათვის გადაცემის უფლებით — ზეცის ნაჭერი, რომელიც განისაზღვრება ერთი მხრით — კირჩხიბისა და გველ-ვეშაპის თანავარსკვლავედით, და მეორე მხრით — ხარისა და ორიონის თანავარსკვლავედით...

— მამა ანტონიო! — დაისისინა ალფონზო დელ კაბრამ, რომელიც ძლივს იკავებდა თავს.

ნოტარიუსი განაგრძობდა კითხვას:

— ...რათა სულსა ჰქმნარიტ კათოლიკე-ქალისა ჰქონდეს საკუთარი ადგილი და განისვენებდეს შვილობასა შინა. ნაყიდობის სიგელი ხელმოწერილია ერთი მხრით: დონა ასუნსიონ სოლერ როკას მიერ, სრული ცნობიერებისა, საღ აზრზე ყოფნისას და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მეორე მხრით: მისი მეუღლების მამა ანტონიოს...

ნოტარიუსის ხმა საერთო ღრიანცელში შთაინთქა.

ნოტარიუსი ცდილობდა იქ მყოფთა ხმების დაფარვას:

— ...ბარსელონა, 1947 წლის დეკემბერი. ძლივს დაამთავრა მან. ჩვენ ყველანი მღვდელს შევეცქეროდით. მამა ანტონიოს სახემ მიიღო იერი რომის ასპარეზზე მყოფ პირველი ქრისტიანი მოწამისა და მშვიდი ხმით წარმოსთქვა:

— ასეთია ნება უფლისა! — პირჯვარი გადაწერა კუბოში მწოლიარეს და ამჟყად გაეშართა გასასვლელისაკენ.

მეც ჩემ ოთახს მივაშურე.

მობუცი ქალი ძალიან ღარიბულად დაასაფლავეს. მე და რამდენიმე კაცი

მივდედით ორ ჯაგლაგა ცხენს, რომელნიც მაინც ახერხებდნენ დანჯირული კათაფალკის თრევას. დიქსუღლები არ დასწრებიან დასაფლავებას. მარიატერეზა თავს შეუძლოდ გრძნობდა, ხოლო ალფონზო ქალაქიდან იყო გასული.

ჩემი თანამგზავრი დადუმდა, ის შეკითხვებს ელოდა. მე კი ხმას არ ვიღებდი.

— თქვენ, ალბათ, არ გჯერათ, რომ იქ ზეცას ყიდიან?! გარწმუნებთ, რომ ეგ ჰქმნარიტი ამბავია!

— ვიცი! — ეუპასუხე მე. — ესპანეთში ყოფნისას მსმენია!

— დიდად მოხარული ვარ... თორემ ბევრნი არც დამიჯერებდნენ!.. არა, ზაინც რა უცნაურია ესპანელი ხალხი!.. ხომ მართალია?

— ვიზღაც თქვენ მეუბნებით, ესპანელი ხალხი არ გახლავთ! — გულზე-მოწოლილი ბოლმა ამოვანთხიე მე. — ესპანელი ხალხი ისინი არიან, ვინც საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოსვლის შემდეგ, თავისი სიცოცხლე შესწირეს საფრანგეთის გათავისუფლების საქმეს. ესპანელი ხალხი, ის პარტიზანები არიან, რომელნიც იბრძვიან ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ. ესპანელი ხალხი სწორედ ის თქვენს მიერ დასახლებული, დაღვრემილი მეუშები არიან. დაღვრემილი. — რადგანაც თავს იკავებენ, რომ არ მიადგურთონ იმათ, ვისი ამბავიც თქვენ მომიყვებით!

ჩემი თანამგზავრის სახეზე ჯერ გაცბუნება და შიში გამოიხატა. მერე შედაღური და მიუკარებელი იერი მიიღო და ისეთივე დარჩა მგზავრობის დასასრულამდე, კინტიც აღარ დაუძრავს. დაბნელდა. შევეყურებდი ვარსკვლავებით მოქედულ ცას და ბორბლების ხმაურში თითქო მესმოდა ერთი და იგივე სიტყვები:

— ასე არ დარჩება!.. ასე არ დარჩება!..

## გამომგონებელი



★

გამომგონებელი უფრო მოხერხებულად დაჯდა და აარიდა სახე ჩვენსკენ მომავალ ორ შავოსან ქალბატონს. ელნათურების შუქზე ელვარებდნენ მათი ბრილიანტები, რომელთა ფასი მთელ ქონებას უდრიდა.

— დიასახლისი და მისი მეგობარი ბარონესა ვილიე-დე-ლიუზი, სხვათა შორის, ძლიერ აბეზრები არიან! — სიტყვების გაცრით, ირონიულად სთქვა განთქმულმა გამომგონებელმა და სიამოვნებით გააბოლა სიგარა.

— ჩემი ინტერესს მიზანია — გავიგო თქვენი პირველი მარცხის ამბავი, შეიძლება თქვენ ეგ უცნაურობად გჩვენოთ, მაგრამ ახლანდელი მკითხველი...

მედიდურად თავაწეულმა ქალბატონებმა გვერდით ჩაგვიარეს.

— რა უცნაური ხალხი ხართ — ეურნალისტების! ესე იგი თქვენ გაინტერესებთ მხოლოდ ჩემი პირველი მარცხი?!

— დიას, მე ძლიერ მსურს... — დავიწყე მე.

— მაშ ყური დამიგდეთ: ეს იყო დაახლოებით ათი წლის წინათ. მაშინ მე ერთი დიდი დამზღვევი საზოგადოების პატარა მოხელე ვიყავი. ქალაქის განაპირას მქონდა პატარა სახლი. ჩემი მეუღლე მზა ტანისამოსის ფაბრიკისთვის კერავდა და მეხმარებოდა ჩვენი თხოთმეტი წლის გოგონას — შარლოტას გაზრდაში. შარლოტა იყო ჩვენი პატარა კერის მთელი იმედი და მომავალი. სხვა რომელიმეს, ალბათ, ყველაფერი ეს დააკმაყოფილებდა კიდევაც, მაგრამ მე სულ სხვა გაქანების კაცი ვიყავი. მაშინ უკვე გამომგონებლობის დემონი მოსვენებას არ მაძლევდა. დაებრუნდებოდი თუ არა სამსახურიდან, ჩავიკეტებოდი ეზოში მდგარ პატარა ფარდულში და გვიან ღამემდე პრინტსების, ველოსიპე-

დებისა და პატარა ელექტრომოტორების შეკეთებითა და გაუმჯობესებით ვიყავი გართული, ამისთანებით ცოტაოდენ ფულსაც კი ვშოულობდი.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ შარლოტამ მუსიკის სწავლა მოასურვა. ჩვენი შემოსავალი კი საშუალებას არ გვაძლევდა, რომ მისთვის მასწავლებელი აგვეყვანა. ეს რომ მისი დროებითი ახირება ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ მეზობლები და ნათესავები ერთხმად მარწმუნებდნენ: შარლოტას აბსოლუტური სმენა აქვსო. და აი სწორედ მაშინ მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომლის შედეგსაც თქვენ ხედავთ... — განთქმულმა გამომგონებელმა კვლავ გააბოლა სიგარა, შემდეგ ათვალწუნებით, თითქოს სიგარა ლაპარაკს უშლიდა, მიასრისა იგი საფერფლეს და განაგრძო.

— მე უკვე დიდი ხანია თავში მიტრიალებდა ერთი აზრი: გამეკეთებინა ერთი კარგი გამომგონება, ამელო მისი პატენტი და შემდეგ, რა თქმა უნდა, დიდ ფულად გამეყიდა. მაშინ შარლოტა შესძლებდა მუსიკის სწავლას, ხოლო ჩემი მეუღლე, რომელსაც თვალეზი სტკიოდა, მიატოვებდა კერვას. მაგრამ გამომგონებლობა ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანისათვისაც კი ძნელი საქმეა. განვლო ერთმა წელმა დაძაბულ მუშაობისა, სანამ მე ჩემს გამომგონებას დაეამთავრებდი. შემდეგ დადგა ხანა გამოგონების ოფიციალურად გაფორმებისა.

— ბოდიში! — შევაწყვეტინე მე. — როგორი იყო თქვენი გამომგონება, რას ეხებოდა იგი?

— სინამდვილეში, რა თქმა უნდა, უბრალო რამე! — მიასახუბა მან. — საქმე იმაში იყო, რომ პირველს მიმეგნო.

— სახელობრ რა? — გავუბედე კითხვის განმეორება.

— თქვენ ცეკვავთ? — მოულოდნელად მკითხა მან.

— მაინცდამაინც არ მეხერხება! — გულწრფელად გამოვუტყდი მე.

— ჰო და ასე!.. მე კი სრულებით არ ვცეკვავ, მხოლოდ მიყვარს ცეკრა, როცა სხვები ცეკვავენ. ჩემს ცოლსმისთან დღეობაზე ვიყავი დაპატიჟებული, უკრავდა პატეფონი, ახალგაზრდობა ცეკვავდა და ხშირად იძულებული ხდებოდა შეეწყვიტა ცეკვა, რომ გადაებრუნებინა ფირფიტა და კვლავ დაექოკა პატეფონი... აი სწორედ მაშინ გამიელვა აზრმა — მომესპოა ეს არასაპიროვანი გარეობა, რასაც საესეებით მივალწვი. ჩემი კონსტრუქციის პატეფონს თვითონ შეეძლო ფირფიტის გადაბრუნება და მისი გაძლიერებული ზამბარა ჰყოფნიდა ათ ფოქსტროტს და ტანგოს.

— ჩემის აზრით ეს ძალიან გონებამახვილი რამ არის — სიტყვა ჩაფურთხე მე.

— დიახ, ძალიან!.. ყური დამიგდეთ, მეორე დღეს სამსახური გავაცდინე და გულის ფანტკალით შევდიოდი — „გამომგონებათა ცხოვრებაში დანერგვისა და პატენტების გაცემის ანონიმური საზოგადოების“ დირექტორის მდიდრულად მორთულ კაბინეტში. უნდა გითხრათ, რომ ძალიან დიდ ხანს მომიხდა ლოდინი მისაღებ ოთახში და ლამაზი მდივანი რამდენჯერმე გამოვიდა ჩემთან ბოდიშს მოსახდელად და შემდეგი სიტყვებით მომმართა:

— დიდი ბოდიში, რომ გაცდევინეთ, მაგრამ დირექტორი გადაწყვეა ერთ გამომგონებელსა და ფაბრიკანტს შორის ხელშეკრულების დადებას. იმ გამომგონებაში, რომელიც არანაკლები ერთი მილიონი ღირს, ფაბრიკანტი მხოლოდ რუას ათასს აძლევს.

როცა კაბინეტში შევედი, დირექტორმა, რომლის სათუთად მოე-

ლილ სახეს დაღლილობა ეტყობოდა, ცოტა არ იყოს ცივად მიმხროს: — მაგრამ როგორც კი გადასინჯე ჩემი ინახაზე, მაშინვე გამოიცვალა, მეზობელ ოთახიდან მოუხმო მთავარ ინჟინერს, და ორივენი დიდხანს დაბეჯითებით სწავლობდნენ ჩემს გამოგონებას. დროდადრო მთავარ ინჟინერს წამოსცდებოდა ხოლმე: „გენიალურია, საესებით გენიალურია“. დირექტორი უფრო თავშეკავებული იყო, მაგრამ მე შევატყე, რომ ჩემი გამოგონება მასაც იტაცებდა. მე, რა თქმა უნდა, აღტაცებული ვიყავი.

— ეს გამოგონება მთელ განძს უდრის! — მეუბნებოდა დირექტორი, როცა ჩვენ მარტონი დავრჩით. — მხოლოდ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აიღოთ პატენტი.. და თქვენ იქნებით მდიდარი ადამიანი!

საქმე იმაში იყო, რომ ფული მე არ მქონდა, მაგრამ გამოგონების ციხე-ციხელებით შეპყრობილი კაცი განაფიქრობს ამაზე?

— რამდენი ელირება პატენტი? — თავი ვერ შევიკავე და ვკითხე.

— ეს არაფერია შედარებით იმასთან, რასაც თქვენ მიიღებთ ამ გამოგონებაში!

— განა არ შეიძლება, ჯერ მივიყილო ჩემი გამოგონება რომელიმე ფაბრიკანტს და მერე მიღებული ფულით შევიძინო პატენტი?

დირექტორმა გულშემატკივრობით გამიღიმა.

— აბა, რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ!.. თქვენ ხომ გაგქურდავენ! რამდენ გამომგონებელს ვიცნობ, შიშვით რომ იხოცება, მაშინ როცა ფაბრიკანტებმა მათი მეშვეობით მილიონები მოხვეტეს! ეს ხდება იმიტომ, რომ გამომგონებელმა არ შეიძინა პატენტი.

— დიახ, ასეთი შემთხვევები ხშირია! — დავეთანხმე დირექტორის სიტყვებს.

— ჰო და, როდესაც თქვენ გვეწებობთ პატენტი, მაშინ ხელიდან გამოგვლეკენ თქვენს გამოგონებას. და თქვენ შეგეძლებათ ევაჭროთ კიდევაც და მიყიდოთ იმას, ვინც შეტეს მოგცემთ. აქ საკითხი ეხება რამდენიმე ასი ათასს ფრანკს! — და მან გამომიწოდა კოლოფი ჰავანური სიგარეტებით.

— კეთილი!.. მაგრამ რა ელირება პატენტი? — ვკითხე მე და ფულში უკვე გადაწყვეტილი მქონდა მისი შეცენა.

— ფრანგული 12 ათასი, და საერთაშორისო კი — 40 ათასი ფრანკი.

— და ეგ ფრანგული, როგორმე უფრო იაფ ფასებში... არ შეიძლება? — დირექტორმა ამოიღო დოკუმენტების მთელი დასტა და დამიმტკიცა, რომ ეს არის ოფიციალური ფასები.

— ფრანგულ პატენტის აღებას მე არ გირჩევთ, საზღვარგარეთ მაშინვე მიჰხაძავენ თქვენ გამოგონებას, მიიღებენ საერთაშორისო პატენტს, რომელიც თქვენ არ გვეწებობთ და აავსებენ მსოფლიო ბაზრებს თქვენი პატენტებით. წარმოგიდგენიათ, რა დანაკარგი იქნება ეს თქვენთვის?! — მე იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი დირექტორს. იგი მართალი იყო.

— ყველა ფორმალობას ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავზე, მათი ხარჯები შედის იმ 40 ათასში, რომელსაც თქვენ შემოიტანთ.

მე მივისწრაფოდი შინისკენ და მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რაც უნდა დამჯდომოდა, მეშინა 40 ათასი ფრანკი საერთაშორისო პატენტის შესაძენად. ამ საქმის გაჩარხვა უფრო ძნელი აღმოჩნდა ვიდრე თვით გამოგონება. მაგრამ ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ გამოჩერებდა და ფული ვიშოვე. ვაყვიდე სახლი, ავეჯი, რამაც შეადგინა — 30 ათასი. გამოვიტანე შემნახველ საღაროდან თხუთმეტი წლის მომპირნობით მოგროვილი 5 ათასი და ვახშად ავიღე დანარჩენი — 5 ათასი.

წავიღე ეს ფული გამოგონებათა ცხოვრებაში დანერგვის რეალურ მატერიალის გაციემის ანონიმურმა საზღვარგარეთში, და ორი კვირის შემდეგ ჯიბეში მედგა საერთაშორისო პატენტი. ჩემი მეუღლითა და ბავშვით დროებით გადავედით ავეჯით გაწყობილ იაფფასიან ოთახში, რომლის ერთადერთი სარკმელი სახურავს გადასცქეროდა. მომავალი ცხოვრების პერსპექტივებით აღფრთოვანებული ჩემი მეუღლე უღრვეად შეხედა ამ ცვლილებას.

განთქმული გამოგონებელი გაჩუმდა და ღიმილით მიმხერდა.

— შემდეგ? — ამ ამბავის დასასრულის ცოდნას მოწყურებულმა ვკითხე მე.

— შემდეგ, მოხდა ის, რაზედაც თქვენ შეკითხებოდით — ჩემი პირველი მარცხი. ჩემი გამოგონება არავის არ უნდოდა, დამცინოდნენ და კარებზე მიმიითებდნენ. ჩემი გამოგონება თურმე ახალი არ ყოფილიყო. ისეთივე, ოღონდ ელექტროენერგიით მომუშავე პატენტები დიდი ხანია, რაც იყიდებოდა მაღაზიებში.

— და თქვენ არ მისულხართ იმ პატენტების დირექტორთან, თუ რა ჰქვია მას?

— რისთვის?.. სულელებისთვის წესები არ დაწერილა!..

— ბოდიში! — მომმართა მან და მიტრიალდა ჩვენთან მოახლოებულ დიასახლისისკენ, ქალბატონმა მისთვის ჩვეული მედიდურობით დამიქნია თავი და გამოგონებელს მიმართა.

— ყური შეგდეთ, გამოგონებელო, თუ თქვენ კიდევ ერთხელ გამოტოვებთ აბაზანას და ქუჩაში აკრეფილ სიგარების ნაშვავების გადაფრთხებას არ მიატოვებთ, აქ აღარ შემოგვშვებთ. მაშინ, თუ გნებავთ, იძინეთ ხიდ ქვეშ.

— მე ხომ ყოველი აბაზანის მიღების შემდეგ ვცივდები! — საცოდაოდ ბოდიშს იხდიდა გამოგონებელი. მე

ქრონიკული ბრონქიტი მკირს, იქ კი ძალიან ცივა!

— ვიცი თქვენი ბრონქიტების ამბავი. ნაკლებს რომ სვამდეთ, ის აჯობებს, თქვენ კი, რასაც ჩვრების შეგროვებით შოულობთ, ღვინოში ხარჯავთ, და ერთ ფრანკსაც კი არ იტოვებთ, რომ გადაიხადოთ ღამის გათევის საფასური... თქვენზე უკვე ოთხი ფრანკი ირიცხება!..

დიდი ოთახის შუა გულში, ახალგაზრდა მოზდენილი მღვდელი, პატარა აბრეშუმის ბალიშზე მუხლმოყრილი იწყებდა პარაკლისს, მისი ანაფორა უდაოდ საუკეთესო მკერავთან იყო შეკერილი. მის ირგვლივ, უფერულ, დაფხრეწილ და ქუჭყიან ტანისამოსში, მათხოვრები, მემონქენი და უსახლკარონი უგულოდ იყრიდნენ მუხლს. ზოგიერთნი ავაჯით იმეორებდნენ ლოცვას. ეს იყო მათი ვალდებულება, სხვაგვარად ისინი არ მიიღებდნენ არც საღამოს სალაფავს და არც ღამის გათევის უფლებას.

— მუხლო მოიყარეთ! — გვიბრძანა მე და გამომგონებელს ქველმოქმედმა ქალბატონმა. ლოცვის ექსტაზში მკერდის წინ ხელები შეაერთა და თვალები შალლა პლაყრო. ორი დიდი ბრილიანტი ელვარებდა მის ნატიფად მოვლილ ღამაზე თითებზე.

გასასვლელისკენ გავეშურე.

— მომიცადეთ!.. თქვენთვის არ მიჩვენებია პატენტი! — შემომესმა გამომგონებლის ხმა. ის ჩემს გვერდით მობაჯბაჯებდა, ჯიბიდან ამოქონდა გაქონილი ქალღლები და უკვე კარებში გამიწოდა კვადრატული ფორმის სქელი ქალღლის ნაჭერი, რომელზედაც დაბეჭდილი იყო დიდი ასოებით „საერთაშორისო პატენტი“.

— წავიდეთ ყავახანაში! — მივიპატივე მე.

ყავახანაში მივესხედით ბნელ კუთხეში მდგარ მაგიდას. ხარბად, თითქოს

მას მთელი შიგნეულობა ეწოდა, გამომგონებელი კიქას კიქაზე სცილიდა, და არც მიჰკარებია სახლდინს, რომელიც მისთვის შეეუკვეთე, რადგანაც ვიცოდი, რომ ის ველარ მიიღებდა სალაფავს ღამის სათევში.

— შემდეგ მოყვები სმას, სამსახურიდან გამომაგდეს, ჩემი ცოლი და ბავშვი ცოლიძმას მიეკედლნენ იმის შემდეგ, რაც მათი ხელფანებიც ღვინოში დაეხარჯე. ჩემმა შარლოტამ ვერ შესძლო სწავლის გაგრძელება და იძულებული იყო მკერავად დამდგარიყო ტომრის სამკერვალოში. ბინის ქირის გადაუხდელობის გამო დიასახლისმა კარში გამაგლო, და აჰა მეც!..

მე გავუწოდე 50 ფრანკიანი ბილეთი. გამომგონებელმა უცნაურად შემომხედა და ფული არ გამომართვა.

— აიღეთ, ამხანაურად! — ვაძალებდი მე, ოდნავ დაბნეული მისი უარით.

— არა, თქვენგან არ ავიღებ! — და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ცარიელ ბოთლს. — აი თუ კიდევ ერთს შეგუკვეთავთ?! — მე შეგუკვეთე. განთქმული გამომგონებელი სავსებით მთვრალი იყო. როდესაც ოფიციალტმა ფული მიიღო და მარმარილოს მაგიდაზე ხურდა დამიწყო, მე შევნიშნე, თუ როგორი ნდომით შეჰყურებდა გამომგონებელი სპილენძის ფულს.

— იქნება მაინც აიღოთ?! — და ხელმეორედ გავუწოდე მას 50-ფრანკიანი ბილეთი.

— არა!.. მხოლოდ ოთხი ფრანკი! — მისი ავანკალებული, ქუჭყიანი ხელი დასწვდა წვრილ ფულს და აიღო ოთხი ფრანკი.

— ეს იმიტომ, რომ არ შემართოს ვალი იმ ბრილიანტიანი არამზადისა..

— ვისი? — ყური ვერ მოვკარი მე.

— ქველმოქმედი ქალისა.. ის მეუღლეა იმ ღირეკტორისა, რომელმაც მომიცა „საერთაშორისო პატენტი“.

## თავისუფლების გზა

რომანი \*

★

• •

ერთი კვირის შემდეგ ჯეფმა და ელენმა იქორწინეს. ჯეფმა სამოსახლოდ მიწის პატარა ნაკვეთი აირჩია სკოლის მახლობლად. ეს ნაკვეთი მთელი თემის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. მათ მიწის ერთი ნაწილი თავიდანვე გამოჰყვეს სკოლისა და სასაფლაოსათვის. სახლის საშენ მასალას გიდიონმა მოუყარა თავი. კარუელის მკვიდრთ უკვე მშენებლობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. ხეტყე მათი საკუთარი იყო: უზარმაზარი ძელები, სურნელოვანი ფიჭვის ყავარი, დუმიის სამი მეთხედის სისქის ფიცრები იატაკისათვის, შიგნიდან მოსაპირკეთებლად კოტიანი მუხის ფიცრები. ჰანიბალ უაშინგტონმა ბუხარი და ღუმელი ამოაშენა, იგი ამ საქმის კარგი ოსტატი იყო. ჯეფი მთელი საათობით გეგმებს ხაზავდა: ავადმყოფების მისაღები ოთახი ნათელი უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ადგილი ორი საწოლის დასადგამად და გარდა ამისა დიდი ოთახი, რომელიც ოდესმე საოპერაციოდ დასჭირდებოდა ჯეფს. დაბოლოს მან გიდიონს უთხრა: „კარუელში ყველაზე დიდი სახლი ეს გამოდის“.

„ასეც უნდა იყოს“, დაემოწმა გიდიონი.

„ფული საიდან უნდა ვიშოვოთ?“

„მე მგონია, საამისო ფული მეც მექნება“, გაიღიმა გიდიონმა.

„შენ მეტს ველარ გამოგართმევ. მთელი ეს წლები შენ მაძლევდი“.

„შენს ადგილას ამაზე არ შეეწუხდებოდი, ჯეფ. შენ ხელსაწყო იარაღები გჭირდება. ხომ ასეა? ავეჯი, საწოლები, და სხვა ნივთები“.

„მველაფერ ამას ბევრი ფული დასჭირდება“.

„როგორმე მოვახერხებთ. ზოგ რამეს ალბათ კოლამბიაშიც იშოვის კაცი, მაგრამ ჩემის ფიქრით ჩარლსტონში უფრო სარფიანად ვიყიდით. მალე უნდა წავიდეთ“. სხვა მიზეზებიც იყვნენ, რომ გიდიონს ჩარლსტონს უნდოდა წასვლა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ორივეს — მისი და ჯეფის — ერთად წასვლა აჯობებდა. ჯეფი და ელენი ჯერ-ჯერობით გიდიონთან ცხოვრობდნენ; ელენსა და რეიჩელს შორის იმთავითვე ღრმა ურთიერთობა და ურთიერთგაგება დამყარდა, რაშიაც გიდიონი არ ერეოდა. უკანასკნელი ათიოდე წლის განმავლობაში გიდიონმა ახლა პირველად გადასდო წიგნები გვერდზე; არ უნდოდა არც კითხვა, არც სწავლა, არც ფიქრი რამეზე. თავისი სამუშაო ოთახი მან ჯეფს დაუთმო ავადმყოფების მისაღებად. რომელთა რიცხვი თანდათან მატულობდა, და თავათ მთელ დღეებს მუშაობაში ატარებდა მარკუსთან ერთად.

გიდიონსა და მარკუსს კარგად ესმოდათ ერთმანეთის, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავება იყო. მარკუსს აკლდა ის თავგანწირული ლტოლვა წინ, რაც გიდიონსა და ჯეფს ახასიათებდა; მათთვის მთელი სამყარო უსასრულო შემეცნების საგანი იყო, მარკუსის ხამყარო კი — ვიწრო და გასაგები, ერთის მნიშვნელობით უფრო დასრულებული. მარკუსი ცოდვილი იყო. მამა პიტერი სევდიანად აღიარებდა ამ ფაქტს, მაგრამ ესმოდა კი იგი. მარკუსს უყვარდა ქალი სურათოდ, დედაკაცის ტანი, თქვიები, უყვარდა მოურიდებლად, სირცხვილის გარეშე, მაგრამ ამ სიყვარულში არ იყო ავხორცობა. მარკუსში სჩქეფდა ცხოველური ჯანი და შინაგანი თავისუფლება, იგი სიცოცხლის ნექტარით სავსე თასი იყო. ტანმორჩილი და ხმელი უფრო გამძლე იყო მუშაობაში, ვიდრე გიდიონი; იგი თეთრებთან ერთად სეამდა, მათებურად, ლესლი კარსონის ვაჟს ჯოს არ ჩამოუყვარდებოდა სმამი და ნახევარგალონიან ღოჭ არაყს ბოლომდე დასცილიდა. მას უყვარდა ცეკვა. მისი აკორდეონი ძველ მუსიკას ახლებურად აღღრებდა; მარკუსი უკრავდა ჰობის ყველა ძველ დუხჭირის მკენესარე ჰანგებს, მაგრამ მის თითებში ისინი როგორღაც ახლებურად ჟღერდნენ; იგი მათ ახალ რიტმს, ახალ სიცოცხლეს აძლევდა.

მარკუსი აღმერთებდა გიდიონს. მან იცოდა ბამბის საქმე, მაგრამ გიდიონმა უკეთესად იცოდა იგი; მან იცოდა მიწის აკვარაგი, მაგრამ აქაც გიდიონის წინაშე ჰხრდა თავს. მამა და შვილი სამკედლო ჭურასთან მუშაობდნენ ურმის თვალზე ახალ ფერსოს აგებდნენ. წელამდე შიშველი გიდიონი მკედლის ოსტატობით სცემდა უროს. ორმოცდახუთ წელს ღონე ვერ წაერთმია მისი მკლავებისთვის ჯერ და უროს ყოველი დარტყმა გუგუნით ავსებდა გარემოს. „დაჰკარ“, მღეროდა ბიჭი და გრდემლზე რკინას აბრუნებდა. „დაჰკარ, დაჰ-

კარ, დაჰკარ!“ და გიდიონიც მთელი ძალღონით სცემდა, სახეზე რაღაც წურწურით ჩამოსდიოდა. მათ დარჩენილი ბზე და თივა ახალ ხაროში გადაიტანეს, ერთად, შეხმატებულულად მუშაობდნენ ფიწლებით, ერთად მღეროდნენ: „ზურგი მტკივა, მოვხუცი და დავილაღე“. ორღესული ცელების ქნევა მათ ხელებში მარდად ცეღავდა შამბს და შამბნარი სათეს მიწად იქცა. ბოლოს ისინი გემრიელი სიცილით შინისკენ მილასლასებდნენ ჭუჭყიანი, მაგრამ შეტად კმაყოფილი თავიანთი თავით.

გიდიონმა და მარკუსმა სანადიროდ წასვლა გადასწყვიტეს ერთი დღით. გიდიონმა შამბნა გაამზადა იმ იმედით, რომ ირემს წააწყდებოდა საღმე; მარკუსმა კი ფილთა — ჟურღღელებითაც კმაყოფილი ვიქნებოდა. ორ ფორეჯა პონტერს დაუსტვინეს, ჯიბეები პურიტ დაიტენეს და ცინცხალი დილის სუსხში ველებს გაუყენენ.

შედამებული იყო, როცა ისინი შინ დაბრუნდნენ. გიდიონს ირემისთვის თვალიც არ მოუკრავს, სამაგიეროდ მარკუსის ჩანთაში ორი მსუქანი ჟურღღელი იყო. მან ისინი ბოსლისკენ წაიღო, რომ გაეტყავებინა, გამოეშვიგნა და რამე სასანსღავით ძალღებიც დაეჯიღღოებინა. გიდიონი სახლისკენ გაემართა, კართან მას ჯეფი უცდიდა. ვაჟს ისე გაჰქავებოდა სახე, თითქოს გრანიტისაგანაა გამოკვეთილი, თვალეში ისეთი მომწუსხველი მზერა იყო, რომელიც გიდიონს არასოდეს ენახა აქამდე. ჯეფი მამამისს სასტუმრო ოთახში შეუძღვა. იქ ებნერ ლეიტი იჯდა, დიდი წითელი ხელები მუხლებზე შემოეკვლო.

„რა ამბავია?“ იკითხა გიდიონმა. ებნერ ლეიტმა რაღაც უცნაურად შეხედა გიდიონს.

„ღუთის გულისათვის, რა მოხდა?“  
კვლავ იკითხა გიდიონმა. ჯექმა მას ხელით საწოლ ოთახისკენ ანიშნა; იქ რეიჩელი იჯდა, გაშტერებული, უზრო გამომეტყველებით. საწოლზე ვილაცა სუსტად კენესოდა და ოდნავ იკრუნჩხებოდა; მთელი სხეული ბანდებით ჰქონდა შეხვეული. „მაკიუ“ წაიხურჩულა გიდიონმა. „ჰო, ისაა“, სთქვა ჯექმა.

გიდიონი საწოლთან მივიდა და მწოლიარეს ჩასძახა: „ფრედ, ჰელლო, ფრედ!“. მაკიუ კი ისევ ისე იწვა, სუსტად კენესოდა და ოდნავ იკრუნჩხებოდა. გიდიონმა მისი ხელი ხელში აიღო. „ფრედ, გიდიონი ვარ“.

როდესაც გიდიონი და ჯექმა სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, მარკუსიც შემოვიდა „სეიმეს“? იკითხა გიდიონმა.

„თუ ამას ცემა ჰქვია მხოლოდ!“

„ცოლი?“

„მოკვდა“, წყნარად სთქვა ებნერ ლეიტმა. „იმ მამაძალღებმა მოკლეს. იმ მურღალმა ნაბიჭვრებმა ლოგინიდან გადმოათრიეს და მოკლეს“.

„ვინ?“ კბილებში გამოცრა გიდიონმა.

ჯექმა მას ყველაფერი უამბო, რისი გაგებაც კი მათ შესძლეს ნაწამებ, ნახევრად შეშლილ მაკიუს სიტყვებიდან. წინადავით ექვსი თეთრადშებურვილი კლენელი მისულა მასთან სახლში. მაკიუ და მისი ცოლი საწოლიდან გადმოუთრევიათ, ყური არ უთხოვიათ მაკიუს ვედრებისათვის, რომ მისი ცოლი ავად იყო და ამას ვერ გადაიტანდა. მათ ცოლქმარი ბოსელში შეუთრევიათ, მაგებით ნივინებზე ჩამოუკიდებიათ და მათრახით უცემიათ.

„არა მგონია, რომ მაკიუს ცოლს დიდი ტანჯვა განეცადოს“, — სთქვა ჯექმა. — ალბათ უმაღლეს ჭრანობა დაჰკარგა. ქრილობა გაეხსნებოდა და ამით მოკვდებოდა. ფრედი კი ეკიდა და თითქმის დღის სამ საათამდე უყუ-

რებდა ამ საშინელებას, სანამ ჩვენ არ მოვინახეთ ორივე“.

„გადარჩება?“ — კითხვა გიდიონმა ჯექს.

ჯექმა მწარედ გაიღიმა და მიუგო: „ეს აკადემიური შემთხვევაა. იგი თავის ჭკუაზე არაა და აღარც ხელები უვარგა. მუშაობას ვერასოდეს ვეღარ შესძლებს“.

„მე რაც მინდა, რომ ექნა, შენ კარგად იცი, გიდიონ, — სთქვა ებნერ ლეიტმა, — მაგრამ მაინტერესებს, შენ რას აპირებ“.

„ახლა ხომ დროა, რომ ხალხს ყველაფერი უთხრა?“ — სთქვა ჯექმა.

„მე მეგონა, რომ ზედმეტი იყო“.

„ჩემის ფიქრით ახლა დროა, რომ ყველაფერი უთხრა მათ“, — სთქვა ჯექმა.

„კარგი. ხვალ“, — თავი დააქნია გიდიონმა. „ხვალ შევიყრიბოთ“.



სკოლის შენობა შავი და თეთრი მამაკაცებით გაივსო. მათ სამუშაო ტანი-სამოსი ეცვათ: ლურჯი შარვლები, ლურჯი კომბინეზონები, ტყავის მძიმე ფეხსაცმელები, ყავისფერი ან წითელი პერანგები. მასწავლებელ უონტროპისა და თვრამეტ-ცხრამეტი წლის ყმაწვილების ჩათვლით ოთახში ორმოცდაათ კაცზე მეტი იქნებოდა. მათ შორის ერთი ექიმი იყო, ერთი ქადავი, ერთი მასწავლებელი ერთიც კონგრესმენი, დანარჩენების მთავარ საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენდა. უმთავრესად მათ ბამბა მოჰყავდათ, თამბაქოც, ცოტა ბრინჯი და სიმინდი; მსხვილფეხა საქონელიც ჰყავდათ, აგრეთვე ღორები და ცხენები. ისინი შეადგენდნენ თემს, რომელსაც კარუელი ჰქვიადა, და ეს ისეთი რამ იყო, რაც ათი წლის წინათ არსად არ არსებობდა

და არც ახლა მოიქმნებოდა სადმე მისი მსგავსი სამხრეთის ფარგლებს გარეთ.

მონობამ, ომმა, სიკვდილმა და ნგრევამ შეაჯავშირეს ისინი. მათ არაფრისაგან — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — შეჰქმნეს ყველაფერი ეს: სკოლაც, სახლებიც, წისქვილიც, სახერხი ქარხანაც, იდეებიც კი, რადგან მანამდე არაფერი ეს არ არსებობდა. საუკუნეების დიდი მანძილი ფეოდალიზმისა და დემოკრატიის შორის მათ ერთი გრძელი ნაბიჯით გადალახეს.

ამაზე ფიქრობდა ახლა ვიღონ ჯეკსონი, როცა მათ წინაშე იდგა, უყურებდა მათ, სწონიდა თითოეულს, იგონებდა სახეებს, იგონებდა ცხოვრების სხვადასხვანაირ ვიზებს, თითოეულ მათგანს, რომ გაეეღო. აი, ჯეფი მშენებლობის სურვილს შეუპყრია — და ვიღიონმა უეცრად სასოწარკვეთილებით წარმოიდგინა, თუ რამდენი რამის აშენება შეეძლო კიდევ აღამიანს! მან ხალხს მიმართა:

„თქვენ ყველა მიცნობთ. უწინაც ხშირად მილაპარაკნია თქვენთან. იცით, რა მოუვიდა ფრედ მაკბუსს. ამ დილით მისი ცოლი დაემარხეთ, ჩვენს პატარა სასაფლაოზე, აქვე გარეთ, ოთხი ადამიანი წევს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, რომლებიც გასული რვა წლის განმავლობაში კარუელში იქნენ მოკლულნი. ეს საშინელებაა. საშინელებაა სიცოცხლე მოუსპო ადამიანს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს გამოწვეული, მაგრამ ისინი, ვინც თავისუფალი ადამიანების დასაშინებლად მათ მკვლევლობას მიმართავენ, მხეცები ხდებიან. თქვენ იცით, რისთვის სცემეს მაკბუსს, რისთვის მოჰკლეს წამებით მისი ცოლი. ერთი მიზნით მხოლოდ — იმისათვის, რომ აქაური, კარუელელი თეთრები გააფრთხილონ, ამიერიდან ნება არ გაქვთ შავებთან ერთად იცხოვროთ ან მათთან ერთად იმუშაოთო.“

„რად სჭირდებათ ეს ამბავი ჩვენს მტრებს? რატომაა აუცილებელი, რომ

აქ თეთრმა ზანგი შეიძლოს, სიხრით უყურებდეს მას, დაამცროს იგი, და რომ სამაგიეროდ ზანგს თეთრის უშინოდეს, გაუბოდეს, არ ენდოს მას? ნუთუ იმიტომ, რომ თეთრი და ზანგი მართლაც შეუთავსებელი არიან, რომ მათ არც მუშაობა და არც ცხოვრება არ შეუძლიათ ერთად? მაგრამ კარუელმა — და სამხრეთში ათასი კარუელია — სულ საწინააღმდეგო დაამტკიცა. ნუთუ იმიტომ, რომ ზანგები თეთრებს შებიწყავენ და სისხლის აღრევა მოხდება, როგორც ამას კლენი მთელს სამხრეთში ვაპყვირის? მაგრამ ჩვენ აქ თითქმის ათი წელიწადია ვცხოვრობთ და ასეთი არაფერი მომხდარა. სკოლაში ჩვენი ბავშვები ერთად სხედან და ასეთი არაფერი მომხდარა. მამა რა მიზეზია? რაა ეს დიდი ცოდვა, რომელიც ჩვენ აქ კარუელში ჩავიდინეთ, რომელიც შავებმა და თეთრებმა ყველგან მთელს სამხრეთში ჩაიდინეს, როცა მათ მარჯვენა ერთმანეთს გაუწოდეს? „

„მეგობრებო, მე თქვენი შეშინება არ მინდა. ღმერთია მოწმე, უამინგტონში საკმაო მიზეზი მქონდა, რომ შეშინებოდა, მაგრამ, როცა კარუელს დაებრუნდი, ყველაფერს სხვანაირად შევხედე. რწმენა დამიბრუნდა. ეს ჩემი საბლია, ეს ხალხი ჩემი მეგობრებია — მეთქი. მთელი ის ბოროტება, რაც ასე მაშინებდა, აქ შეუძლებელია, სადაც ჩვენ ასეთი რამ აგვიშენებია — მეთქი. ასე ვუთხარი ჩემს თავს. და ცოტა ხანს ბრიყვივით ედემში მეგონა თავი.“

„ყველაფერი ეს გათავდა, მეგობრებო, მე მინდა ახლა სიმართლე გითხრაო. მინდა, რომ თქვენ გაიგოთ, თუ რატომ წევს სასწრება მოვარდნილი, სამუდამოდ გაფუჭებული მკლავებით და ჭკუადაკარგული მაკბიუ ჩემს სახლში და რატომაა მისი ცოლი მკვდარი. მინდა გითხრაო, რატომ იყო, რომ, როცა მე და ჩემი ვაჟი უამინგტონიდან მოვდიოდით, იძულებული ვიყავით განსაკუთრებულ ვაგონში გვემგზავრა,“

რომელსაც სიტყვა „ზანგებისათვის“ ეწერა. მინდა გითხრა, რატომაა, რომ მთელს სამხრეთში ტექსასიდან ვიჯინამდე ტანჯვის გოდება გაისმის და, რაც მთავარია, მინდა, თქვენ იცოდეთ, თუ რატომ იქნება, რომ თეთრი კაცი ამიერიდან ისე დაუწყებს ღრენას შავს, როგორც მგელი ცხვრებს; რატომ გადაიქცევა სიზმრად — თუ ჩვენმა მტრებმა გაიმარჯვეს — ის ამბავი, რომ კარუელისთანა ადგილი ოდესღაც არსებობდა.

„როგორ მოხდა, რომ კარუელელებიდან არაფერ არაა კლენის წვერი? როგორ მოხდა, რომ მთელს სამხრეთში პატიოსანი, მშრომელი ფერმერები თავიანთ მიწას ამუშავებენ და კლენში არ შედიან? თუ კლენი მართლაც აღმფოთებული, ტანჯული და მიწასთან გასწორებული სამხრეთის მართალი პროტესტის გამოხატულებაა, როგორც ამას ჩვენი გაზეთები გაიძახიან, ვინ შედის მასში? საიდან წარმოიშვა იგი? ვინ დააარსა? თუ მას მართლა სურს ველურ ზანგებისაგან იხსნას სამხრეთი, რატომაა, რომ მის მსხვერპლთა შორის თითოეულ ზანგზე ორი თეთრი მოდის? რატომაა, რომ აქ, კარუელში მოვიდა და ფრედ მაკპიუს ავადმყოფი ცოლი მოჰკლა? "

„დიდხანს მოგუნდი იმის მიხედვრას, თუ რას წარმოადგენს კლენი, როგორ მოქმედებს იგი, რატომ იქნა იგი დაარსებული. ახლა კი ვიცი, და ასევე იცით თქვენც. კლენს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — დემოკრატიის განადგურება სამხრეთში, თავისუფალი ფერმერის მოსპობა და ამ გზით განხეთქილების ჩამოგდება შავსა და თეთრს შორის. შავი — უმიწაყლო მოჯამაგირედ იქცევა და მისი მდგომარეობა დიდად არ იქნება განსხვავებული მონის მდგომარეობისაგან, რომელსაც იგი ომამდე წარმოადგენდა და სწორედ იმიტომ, რომ ზანგი ასეთ მდგომარეობაში ჩაგარდება — სინამდვილეში მონა იქნე-

ბა, თუმცა გარეგნულად მონა არ ერქმევა, — თეთრსაც მასთან ერთვის დანიშნულებენ. თეთრებიდან არამდენიმე გამდიდრდება და გაძლიერდება. როგორც ომამდე იყო. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე. დანარჩენების ხვედრი კი სიღატაკე, შიმშილი და სიძულვილი იქნება, ისეთი სიძულვილი, რომელიც მთელს ერს სენივით მოედება.

„აი რა შესცოდა მაკპიუმ კარუელში. იგი იმისთვის აწამეს, რომ ებნერ ლეიტმა, ჯეიკ სატერმა, ფრენკ კარსონმა, ლესლი კარსონმა, უილ ბუნმა — ყველა აქაურმა თეთრმა ეს ამბავი კარგად ჩაიბეჭდოს ჰუაში და, როცა ანგარიშის გასწორების დღე დადგება, წესიერად მოიქცნენ. ახლა თქვენ თვითონ გადასწყვიტეთ. გამოსავალი არის და არც არის. შედით კლენში, დაეხმარეთ მას, წინააღმდეგობას ნუ გაუწყვეთ — ეს საკუთარი თავის დაღუპვა იქნება. თქვენ კარგად იცნობთ მათ — მურდალ, გახრწნილ, გადაგვარებულ არამზადებს, რომლებიც მონებით ვაჭრობდნენ, ზედამხედველებად მსახურობდნენ, მათრახის ისტატები იყვნენ, მუქთახორები, თავზებელაღებულნი, გაძევრები, თვალთმაქცები, შერიფებად რომ მუშაობდნენ, — ადამიანებს, რომლებსაც დიდი გული მიეცათ, რაკი ხელში თოფი დაიჭირეს, მაგრამ გულადობა მაინც არ ეყოთ, რომ ფრონტზე გამოჩენილიყვნენ და ისე გაეწირათ თავი, როგორც ათასობით სამხრეთელმა გასწირეს სამშობლოს სიყვარულის გამო. მათი დაწვრილებით დახასიათება ზედმეტია; როცა მათ სალი მაკპიუ ლოგინიდან გადმოათრიეს, ხელებით ძელზე ჩამოჰკიდეს და ცემით სული ამოხადეს, მათ ამით საკმაოდ დაახასიათეს თავიანთი თავი. ისინი ჩვენი ქვეყნის ნაძირალებს, ჰუტუს წარმოადგენენ. თითოეულ მათგანზე ჩვენს სამხრეთში ასი პატიოსანი და კეთილი ადამიანი მოდის; მაგრამ ეს ნაძირალები შეკავში-

რებულნი არიან, პატრიოსანი და კეთილი ადამიანები კი არა, მათ ფული აქვთ; მათ საქმეს უაშინგტონში დაქირავებული აგენტები იცავენ; სათავეში ხელმძღვანელებად მდიდარი პლანტატორები უდგანან. ჩვენ არაფერი ეს არ გაგვაჩნია და ამის გამო ჩემდათავათ ღმერთს მადლობას ვწირავ.

„როგორ მოვიქცეთ? ვიცი, მაგალითად, რა სწავლია ჩემს მეგობარს ებნერ ლეიტს — მას უნდა თოფი აიღოს ხელში და ჯგისონ პიუგარი მოკლას. მაგრამ ეს გზა ჩვენ არ გამოგვადგება. ჰუა დაეკარგოთ და ჩვენც მკვლელობას მივყოთ ხელი, როგორც ისინი სჩადიან? — არა, ასეთი გზა არ გამოგვადგება“.

„მამ სხვა რა გზა დაგვჩენია, გიდიონ? — დაიყვირა ებნერ ლეიტმა. „რატომ არ გვეუბნები, რა მოხდა უაშინგტონში“.

„გეტყვი. უაშინგტონში ჩვენ გაგვიყიდა. ჩვენ გაგვიყიდა რესპუბლიკურმა პარტიამ, პარტიამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, ეიბ ლინკოლნის პარტიამ; გაგვიყიდა პრეზიდენტობის ფასად. ეს ფასი პლანტატორებმა გადაიხადეს. სამაგიეროდ, როცა ჰეიზი პრეზიდენტობას შეუდგება, კოლამბიიდან, ჩარლსტონიდან — მთელ სამხრეთიდან ჯარებს გაიყვანენ. კანონ-სამართალი კლენი იქნება“.

„მამ შენ ამას აღიარებ?“

„ვალღირებ. მე ვითხარით, რომ სიმაართლეს გაგიმეკლავებდით. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ? ჰუა დაეკარგოთ? მკვლელობას მივყოთ ხელი, ჩვენი რიგები ჩვენვე დავანგრეოთ? მათი საქმე გვაჯეყოთ, სანამ ისინი მომზადდებოდნენ ამის გასაკეთებლად? გიდიონი შეჩერდა და ხალხს თვალი მოავლო. „გინდათ ასე მოვიქცეთ?“ კვლავ იკითხა მან. „თუ ასე გინდათ“, მაშინ მე აქ შედმეტი ვარ. გაგზორდებით“.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, ბოლოს

ფრენკ კარსონმა სთქვა: „განაგრძე, გიდიონ, გვიტხარი რას ფიქრობ?“

„კარგი. გახსოვდეთ, ღმერთი ჩვენს ჰერ კიდევ ძლიერნი ვართ. აგერ, ამ ოთახში ორმოცდაათი ვიმყოფებით; იარაღი გვაქვს, ტყვია-წამალი გვაქვს, სამხედრო წრთენა ერთად მიგვიღია, ერთად ვმუშაობდით. მე მგონია თავდაცვას შევძლებთ, თუ ჰკვიანურად მოვიქცევით. მეორე მხრით, მარტოოდენ თავდაცვა ვერ გვიშველის; დიდებით მოსილნი რომ დავიღუპოთ — ეს ხსნა არ იქნება. ჩვენ სხვებიც უნდა დავიკავშიროთ; ჩვენისთანები ათასობითაა მთელს სამხრეთში. მე უკვე შეთანხმებული ვარ, რომ ჩარლსტონს წავიდე და ფრენსის კარლოზოსა და ზანგების სხვა მეთაურებს შევხვდე. თეთრების მეთაურები ენდერსონ კლეი და არნოლდ მარფიც იქ იქნებიან. იქნებ კლენის გასაფრთხილებლად რაიმე საშუალება გამოვნახოთ ერთად. ვერაფერს ვერ დაგპირდებით; თავათ არ მაქვს იმედი. არ ვიცი, მაგრამ ნება მომეცით ვცადო. სხვა ამბები მერედაც მოესწრება. ნება მომეცით ვცადო. ჯგისონ პიუგარს ხელს ნუ ვახლებთ; მისი მოკვლა ვერ შესცვლის მდგომარეობას. თუ მომცემთ საშუალებას“.

კაცები ჩუმად ისხდნენ; მერმე რამდენიმემ თავი დააქნია. „კარგი“. წყნარად სთქვა ებნერ ლეიტმა, „სიკადე“.



„მე არ უარეყოფ, რომ თქვენი დასკვნები არსებითად ჭეშმარიტებას შეიცავენ; მე წინააღმდეგი ვარ მხოლოდ იმ დრამატიული ფორმისა, რომელშიაც თქვენ მათ ასურათებთ“. უთხრა კარლოზომ გიდიონს.

„მე მაინტერესებს არა აბსტრაქციები არამედ გამოვლინების ფორმა, რადგან სწორედ მის პირობებში მიხლება ცხოვრება“.

„ამაში მე გიდიონს ვეთანხმები“, შენისა ენდერსონ კლემი.

კარლოზოსთან სასტუმრო ოთახში რვანი ისხდნენ; ხუთი ზანგი და სამი თეთრი, ოთხი მათგანი სამხრეთ-კერო-ლიანელი იყო, ერთი ჯორჯიელი, ორი ლუიზიანიდან და ერთიც ფლორიდე-ლი. უკვე სამი საათი გაეტარებინათ ლაპარაკში, მაგრამ რაიმე გადაწყვეტი-ლებამდე მინცვერ მისულიყვნენ. ზო-გიერთ მათგანს საბრძოლო განწყობი-ლება ჰქონდა, დანარჩენები შეშინებუ-ლი იყვნენ. მათ შორის ოთხი მინც იყო ისეთი, რომელიც ამ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ ლაპარაკით გული ეჯერებინა. მათი სიტყვები თით-ქოს წრებაზე ტრიალებდნენ — ისე და ისე თვითონ მიღწევებზე ლაპარაკობდნენ, რა მოივსეს, რა გააკეთეს, სანამ გიდიონმა შეკახედ არ ესროლა:

„ეს აბები, მე გეუბნებით, დამთავრ-და, წარსულს ჩაბარდა, მორჩა. სადღე-ისოდ მათ არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვთ“.

„უკაცრავად. მაგრამ ეს ციფრები? — ათეული ზანგები და ღარიბი თეთ-რები პალატაში, სენატში, შტატების მთავრობებში, გუბერნატორებადაც კი“.

„გეუბნებით, ეს ამბავი დასრულდა მეტეი“, გაიმეორა გიდიონმა.

„ვითომ რა მიზეზით?“ შშვიდად იკით-ხა კარლოზომ. „გიდიონ, არავინ, — და თქვენ ეს კარგად იცით, — არავინ ისე-თი პატივისცემით არ გიყურებთ თქვენ, როგორც მე; მაგრამ განა თქვენი დასკ-ვნები ემპირიულნი არ არიან. სხვა რომ არაფერი ეთქვათ მათ შესახებ?“.

„ნუთუ შეუძლებელია შედეგების გა-თვალისწინება, როცა ერთს ლინჩს უწყობენ, მეორეს აწამებენ, მესამეს ემუ-ჭრებიან, როცა სენატორი პოლმსი უკ-ვე ყველაფერში გამოიჩინა? ამის თქმა გინდათ? უსაფუძვლოდ განგაშს ვცემ, არა?“.

„ნაწილობრივ, დიახ!“

„თუნდაც თქვენ, ფრენსის; ერთი

წლის წინათ სახელმწიფო ხაზინადარი იყავით; დღეს აღარ ხარფორტულამ იმოქმედო? როცა ვამბობს ამჩნებოდნ პალატაში ჯდომის უფლება აღარ მექ-ნება-მეტეი, ნუთუ ესეც შემოწმებას საკუროებს? ნუთუ სავსებით ბეცი ვარ? ეს რომ ასე იყოს, ფრენსის, დღე-საც მონა ექნებოდე და ოთხი მილიონი შავი კაციც მონები იქნებოდნენ“.

კაპრა, პატარა ტანის ხანში შესული ზანგი, რომელიც ერთ დროს ფლორი-დის წარმომადგენელი იყო კონგრესში, საუბარში ჩაერთა: „გიდიონ, თქვენს პირად ღირსებებს არავინ უარყოფს“.

„ჩემი პირადი ღირსებები ფეხებზე მკიდია!“.

„კი მაგრამ, გიდიონ, შენ გვეუბნები, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ არჩე-ნებში გამარჯვებაზე გასცვალა რეკონ-სტრუქციის მთელა საქმე; პარტიას ხომ ჩვენ შევადგენთ! შენ ამბობ, ათ დღეში სამხრეთიდან ჯარებს გაიყვან-ნენო, — საბუთი კი არ გაქვს. ამბობ, ისეთი ტერორი დადგება, რომ რაც აგ-ვიგია, ყველაფერი განადგურდებაო. საბუთი სად გაქვს?“

„უკვე ნადგურდება“, დაქანცული ხმით სთქვა გიდიონმა. „მიმოიხედეთ ირგვლივ. ამ მატარებელში ზანგი ვერ იმგზავრებს, ამ სკამზე ზანგი ვერ დაჯ-დება, მხოლოდ თეთრი და თეთრი; ამ სკოლაში ზანგს არ ღებულობენ — სკო-ლა ჩვენი აშენებულა, ახლა კი ზანგს შიგ არ უშვებენ; ამ სასამართლოში ზანგი ვერ იქნება მსაჯულთა შორის პროტესტს აცხადებს დამცველი იურის-ტი. შარშან მოსამართლედ ზანგი იყო, ღარიბი თეთრი იყო, დღეს პლანტატო-რია, ან მისი ლაქია და იგიც აკმაყოფილებს დამცველის პროტესტს. ზანგს ასამართლებენ, მსაჯულთა შორის კი ერთი ზანგი არაა“.

„უნდა ითქვას, რომ ეს მართლაც ასეა“, დაქანია თავი კარლოზომ. „არ-სებითად ჩვენ იმულებული შევიქნით კომპრომისზე წავსულიყავით“.

„კომპრომისია ეს?“ გაიღიმა ენდერსონ კლიემ. „შეგაძლიათ თქვენ, ფრენსის, დასთმეთ ჰაერი, რომელსაც სუნთქავთ, საკვები, რომელიც გასაზრდობთ? შეუძლებელია კომპრომისი იმ მამაძაღლთან, რომელსაც შენი სისხლი სწყურია!“

„თქვენი მსჯელობა თეთრი კაცის მსჯელობაა. აბა ზანგს ჰკითხეთ“.

„ღმერთმა დასწყევლოს, ამის მოსმენა უკვე აღარ შემიძლია! რაც ჩვენ გვაბადია, მხოლოდ იმიტომ, რომ შავები და თეთრები ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. გიდიონი მართალია; თქვენებურად, რომ ვიფიქროთ, სათითაოდ დავიღუპებით ყველანი, ეშმაკის კერძი გავხდებით“.

ეიბლსი, რომელიც სამი წლის წინათ სახელმწიფო მდივანი იყო, გიდიონს შეეკითხა: „კი მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, რატომ უნდა გავეყიდეთ პარტიას ჩვენ, როგორც თქვენ ამბობთ? რა მიზნით?!

„იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი დანიშნულება უკვე შევასრულეთ, პლანტატორები წელში გავტეხეთ. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა სამრეწველო ქვეყნად იქცა; მსოფლიოში ყველაზე დიდი მრეწველობა დღეს ჩვენ გვაქვს. დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ჩრდილოეთის ხელშია აქ, სამხრეთშია კი იხსნება ქარხნები. დე, პლანტატორებმა თავიანთი ყმები უკანვე დაიბრუნონ, — ამით ჩრდილოეთს არაფერი დაუშავდება“.

„სახალხო პარტია?“

„დღეს არავითარი სახალხო პარტია აღარ არსებობს“, წაიღუღუნა კლიემ.

„იმის გაკეთება, რასაც თქვენ მოითხოვთ: გიდიონ, მაინც შეუძლებელია“, გაისმა კარდიზოს უილაჯო პასუხი. „ზანგებისა და ლატაკი თეთრების მილიცია აღვადგინოთ მას შემდეგ, რაც იგი უკვე გაუქმებულია? როგორ? აშკარად კანონის საწინააღმდეგოდ?“

„ხალხი თვითონაა კანონი“.

„გიდიონ, ასეთ პრიმეტიულ მოსაზრებებს მე თქვენგან არ მოგველოდებოდა. ხალხის ნება მხოლოდ სათანადო პროცესის საშუალებით იქცევა კანონად“.

„სწორედ ამ პროცესის შედეგადაა კონსტიტუციაში ჩაწერილი ხალხის უფლება იარაღი ატაროს და მილიცია იყოლოს!“

„შეიძლებოდა საკითხი უზენაესი სასამართლოს წინაშე დაგვესვა. ამას თქვენი დასპირდება. თქვენი წინადადება კონვენტი მოვიწვიოთ იმისათვის, რომ სამხრეთის ყველა პრორეკონსტრუქციული ძალები გაერთიანდნენ, — სწორედ ეს გამოიწვევს შფოთსა და ძალადობას, გიდიონ“.

„აჰა! მამასადამე, რაკი ჩვენ თავდასაცავად ხმას ვიმაღლებთ, ამით შფოთსა და ძალადობას ვუწყობთ ზელს!“

„ღიახ“.

„და თუ მიუხედავად ამისა“, სთქვა გიდიონმა, — „შფოთი და ძალადობა მაინც იქნა, როგორც ეს მართლაც არის სინამდვილეში?“.

ეიბლსმა თავი გადააქნია: „რა აზრი აქვს, ჯეკსონ ასეთ ლაპარაკს? სულ ერთსა და იგივეს ვიმეორებთ და ვიმეორებთ!“

„ყველა ამ აზრისა ხართ?“ — იკითხა გიდიონმა. მას არაქათი აღარ ჰქონდა უკვე; ბოლოსდაბოლოს ყველაფერს დასასრული აქვს და აქ დასასრული ეს იყო. „მამ ეს დასასრულია, ბატონებო? იცით, ერთია, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველა გაზეთი სიცრუეს გაპყვირის, თითქოს ჩვენ ოქროს საფურთხებლებს ვხმარობდეთ, მილიონებს ვფლანგავდეთ ჩვენი საკანონმდებლო დარბაზის კედლების სარკეებითა და ოქროს ვარაყით შესამკობად, თითქოს ჩვენ ათასებს ვცინცლავედეთ უმწურო ქვეყანას ქრთამების სახით, თითქოს სამხრეთის კაბუტებსა და ქალიშვილებს ვრყყინდეთ და კარბიტ-ბეგერების, ფულზე

გაგვივებული ბოროტი იანკების ტიკინები ვიყოთ, — ეს ერთი ამბავია, ბატონებო; მაგრამ სხვაა, როცა აქ ვზივარ და თქვენ მეუბნებით, თავდასაცავად ხმას ნუ ამოვიღებთო. ნუ შევეცდებით, რომ ამ ჩვენს ორგზის წყაუტს სამხრეთში ერთობას მივადწიოთო. მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ბატონებო, მიყვარს იმიტომ, რომ ის ჩემი საკუთრებაა, იმიტომ, რომ იგი კეთილია ჩემს მიმართ. იმიტომ, რომ მან მე ღირსების გრძნობა, გამბედაობა და იმედი შთაძინებოდა. ნუთუ, ბატონებო, აქაც მარტო-კა ვარ?”

ყველანი ჩუმად ისხდნენ; ზოგი იატაკს დასჩერებოდა, ზოგი გიდიონს უყურებდა ყოყმანით. ენდერსონ კლვი ოდნავ იღიმებოდა.

„მაშ ყველა მისტერ ეიბლსს ეთანხმებით?”

ისევ დუმილი.

„და ყველაზე უფრო საინტერესო ამაში ისაა“, წყნარად განაგრძო გიდიონმა, „რომ რასაც თქვენ ებლაუქებით ახლა, მალე დავიწყებებს მიეცემა. დავიწყებებს მიეცემიან ზანგები, რომლებიც პალატაში და სენატში ისხდნენ. ის შეაგებიც, ვინც სკოლებსა და სამართალს ჰქმნიდნენ, — ყველაფერი, მეგობრებო, ჩვენ აღამიანებად აღარ ჩაგვთვლიან; ისე გაგვასწორებენ მიწასთან, რომ აღამიანობას დაკარგავთ. თეთრს ისევე შევიძლელებთ, როგორც მას ვეძლელებთ. ჩვენსავით გაწამებული, დაბეჩავებული ხალხი დღემიწაზე მეორე არ იქნება. და რამდენ ხანს ვიქნებით ასე, მეგობრებო, სანამ კვლავ ვიხილავდეთ მცირეოდენ მზის სინათლეს? რამდენ ხანს? თქვენს თავს შეეკითხეთ“.

•  
•

იმ დღეს, რა დღესაც გიდიონი შინ დაბრუნდა, მასთან ძმა პიტერი მივიდა; მან შორიდანვე შენიშნა აიენის კიდეზე

ჩამომჯდარი გიდიონი, რომელსაც თავი ხელებზე დაეყრდნო, იდაყვები კი მუხლებზე ჰქონდა დაბჯენილი. მთელი საათობით ასეა, დაღვრემილი, უთხრა ძმა პიტერს მარკუსმა.

„დაიღალე, გიდიონ?“ ჰკითხა ძმა პიტერმა.

„აჰა“,

ძმა პიტერმა კაბის კალთები აიკეცა და გიდიონის გვერდით ჩამოჯდა. მერე ფეხები გაკიმა, ამოიხვნეშა და სთქვა: „შორი ვხაა თქვენამდის. ძველებურად ველარ მიჭრის მუხლი“.

„მართალია“.

„ვერა, ველარ მიჭრის, გიდიონ“.

გიდიონმა არა უპასუხა რა. აიგანზე რეიჩელი გამოვიდა, ძმა პიტერი წამოიღვა. „იჯექით, ნუ სწუხდებით. თქვენი ნახვა ძალიან სასიხარულოა“.

„გმადლობ, ჩემო დაო“.

„ვხვდებით დარჩებით?“

„დავრჩები, რა გაეწყობა. დიდი მადლობა“, სთქვა ძმა პიტერმა. რეიჩელმა გიდიონს შეხედა, რომელიც მის გამოჩენაზე არც კი მობრუნებულა; ძმა პიტერმა თავი გადააქნია. რეიჩელმა აიგანზე ერთი წუთი დააყოვნა და მერე სახლში შევიდა. ძმა პიტერი კვლავ აიენის კიდეზე ჩამოჯდა. „როცა უაშინგტონში ხარ, გიდიონ, ძალიან მაკლიხარ თვალში“.

„ჰო“.

ცოტა ხნის შემდეგ ძმა პიტერმა განაგრძო: „ხმა ამოიღე, გიდიონ, მოგიხდება; გულის გადაშლა ყველას უმსუბუქებს ვარამს. დამოჯერე, ლაპარაკი ნაღველს გაგიქარებებს. ასე ცუდად წავიდა საქმე ჩარლსტონში, ასე ცუდად?“

„თითქმის“.

„მერე რა? კეთილი ღმერთი გვაძლევს და კეთილი ღმერთი გვართმევს, ყველას თავისას მიუზღავს. შენ რწმენა არ გაქვს, გიდიონ“.

გიდიონმა ოდნავ გაიღიმა და სთქვა: „ნეტავ საქმე რწმენაში იყოს“.

„მამ როგორ? კაცი ამ ქვეყნად შიმშველი მოდის, პატარა ბაღი, და შიმშველი სტოვებს მას. ქვეყანა განიხილება, გამოცდაა, გიდიონ. მე ღმერთზე არ ვლაპარაკობ — დიდი ხანია ხელი ავიღე, რომ შენ პორწმუნედ გიგულავო. შენში დიდი ძალაა დაგროვილი. გიდიონ, მაგრამ ალბათ უფრო მეტიც იქნებოდა, რწმენა, რომ გქონოდა. კარგი, მაშინ ადამიანებზე გელაპარაკები. ღმერთს დავეხსნათ, გიდიონ, იგი ამას არ გეფიქნის, მას თავი დავანებოთ და ადამიანებზე ვილაპარაკოთ. ადამიანები ხომ გწამს, გიდიონ?“

„ადამიანები?“

„ჰო, ადამიანები, გიდიონ.“

გიდიონმა დაფიქრებით შეჰხედა მოხუცს.

„მე მგონია მწამს,“ იყო გიდიონის პასუხი. „არ ვიცი“.

„როგორ თუ არ იცი? შეიძლება ადამიანს ცოდვების მძიმე ტვირთი აწევს მხრებზე, მაგრამ როგორღაა, რომ ხანგი ერთ დღეს მონა იყო და მეორე დღეს თავისუფალი გახდა?“

„და მერე ისევ მონა“. შენიშნა გიდიონმა.

„ასე გგონია? ვთქვათ ყველა დაფიქრებულად, გიდიონ, ყველა, ვინც აქ ვართ. როგორ ფიქრობ, არაფერი არ დარჩება. ჩვენს შემდეგ ცოტათი უფრო მეტი, ვიდრე ჩვენამდის იყო? შენ გგონია ჰალილუიას სიმღერები ვერასოდეს მშობლად დაიგუგუნებენ?“

გიდიონი სდუმდა. საღამო ნელა ებარებოდა ქვეყანას; დასავლეთით მზე ჩაიბირა. მინდვრიდან მარკუსი ამოვიდა, აივანზე მსხლომარეთ გადახედა და სახლში შევიდა. ბოლოს გიდიონმა სთქვა: „ვახშამი მალე მზად იქნება, ძმავ პიტერ.“

„ძალიან კარგი. იცი რა ვითხრა, ჩემი ხნის მოხუცის პირობაზე კარგი მადა შექვს. სიარული შერება ამას. შედი, ძმავ, და მეც მალე გვახლები“.

გიდიონი წამოდგა და სახლში შევიდა.

„მმა პიტერი იქნებოდა, მაგრამ გიდიონ,“ სთქვა რეინელმა.

„ვიცი“.

რეინელი გიდიონისკენ მიტრიალდა, ერთ წუთს უსიტყვოდ მისჩერებოდა და მერე მიუახლოვდა.

„გიდიონ!“

„რა იყო“

რეინელი ახლოს მივიდა, ხელით მის პერანგს შეეხო და მერე მკლავზე ჩამოუსვა. „ყველაფრის ბანა შემიძლია, გიდიონ“. წყნარად სთქვა ქალმა, „მაგრამ შენი ვაგლახობის ყურებას ვერ ვუძლებ. მე რისიღა მაქნისი ვარ, მაგრამ შენი ვაგლახობის ყურებას ვერ ვუძლებ.“

გიდიონმა მას ხელები მოჰხედა და ისე ჩაიკრა გულში, რომ რეინელს სული შეუგუბდა. დათურად და თან რაღაც განწირულების გრძნობით ეჭირა მას რეინელი თავის მკლავებში; ქალის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაისმა: „ვერ ვუძლებ, გიდიონ, ვერა“.

„რეინელ, რეინელ, გენაცვალე!“

„გაილიმე, გიდიონ, გაილიმე!“

მან გაუღიმა ცოლს და რეინელი ქმრის მკერდზე მოეშვა, თითებით კი მის პერანგს ებლაუკებოდა.



მეორე დღეს დილით გიდიონი, ჯეფთან და ელენთან ერთად იდგა და ჰანიბალ უამინგტონს უყურებდა, რომელსაც აგურებით ახალი სახლის საყვამლე მილი ამოჰყავდა. ქალაქიდან მომავალმა ებნერ ლეიტმა ოთხთვალა შეაყენა, სადავეები დაყარა, ძირს ჩამოვიდა და გიდიონთან მივიდა.

„სად ისწავლე ეს ხელობა?“ ჰკითხა მან ჰანიბალ უამინგტონს.

„მამაჩემისგან ვისწავლე. აგერ იმ დიდ სახლში შეიდივე მილი მისი ამოყვანილია“.

„რას მეუბნები!“

„ნამდვილად“, მიუფო ჰანიბალ უაშინ-გტონმა. დიდი ხანი კი ვაეიდა მას შემდეგ.“

„როდის ააშენეს ის სახლი?“

„ტყუილი რომ არ ვთქვა, ორმოცდაათი წელი მაინც იქნება მას შემდეგ გასული.“

„კაცს ეგონება, თითქოს ყოველთვის ასე იდგაო იქ, — სთქვა ებნერმა და გიდიონს სახელოზე მოჰქაჩა. გიდიონი მას ოთხთვალას უკან გაჰყვა. აქ კი თეთრმა სთქვა: „ქალაქიდან მოვდივარ, გიდიონ. ისე ჰგავს, შენ მართალი იყავი. პრეზიდენტი იმ მამაძალდ, იმ წყევულ უვიდ ჰემპტონს მორიგებია. კოლამბიაში ჯარმა წასასვლელი ბრძანება მიიღო; ათ აბრილს მატარებელს დაასხდებიან და ჩრდილოეთისკენ გაუტყვენ.“

„ვინა სთქვა?“

„ვინა და აგერ ამ ვაზეთს დახედე.“ უპასუხა ებნერმა; მან ოთხთვალაში ხელი მოაფათურა, ვაზეთი ამოაძრო და გიდიონს შემდეგ სათაურზე მიუთითა: „სამხრეთ კეროლიანა მეორეჯერ თავისუფლდება!“ „აი აქ სწერია მთელი ამბავი. ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა. ჯესონ ჰიუგარი სამხედრო ფორმაში დაიბლინებდა, კოლამბიაში გამარჯვების პარადზე აპირებს გამოსვლას. შენ მითხარი, აყალ-მყალი არ ასტეხოო; მეც წყნარად ვიყავი ჩემთვის და იმ მამაძალდ ჰიუგარს ვუყურებდი. ნეტავ სად იპროდა ერთი? ვინ მოსთვლის რამდენ ბრძოლაში მე ვყოფილვარ იმ ტიალ ომში, მაგრამ ჰიუგარის გვარის კაცი თვალთ არ მინახავს.“

გიდიონი ვაზეთს კითხულობდა; გაშალეებით, ნერვიულად ავლებდა თვალს სტრიკონებს: „ჩვენს გუბერნატორთა მეგობრული შეთანხმების შედეგად პრეზიდენტმა ჰეიზმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც სამხრეთში საბოლოოდ ამყარებს დემოკრატიას და თვითმართველობას. ფედერალური ჯარის უკა-

ნასკნელი ნაწილები ათ აბრილს იქნებიან გაყვანილნი.“

„აბა სერიო მაშინ ნახე ქალაქი ებნერ ლეიტმა.“

„რაო?“ ჰანიბალ უაშინგტონი და ჯეფი მათ მისჩერებოდნენ.

„რას აპირებ, გიდიონ?“

„დღეს ექვსი რიცხვია, არა? ოთხი დღე დაგვრჩენია. კოლამბიას უნდა წავიდე. იქ რას ვიზამ, არ ვიცი. რამეს ვეცდები მაინც“.

•  
•

კოლამბიაში სამტერის ქუჩაზე „უესტერნ იუნიონის“ განყოფილებაში გიდიონმა დეპეშის დაწერა გაათავა და მოხელეს მოაჯირზე გადაუწოდა იგი. მოხელე ცხრამეტი წლის ბიჭი იყო ძიძიბებიანი სახისა. „ხამაძლა წაიკითხეთ, თუ შეიძლება.“ — სთხოვა მას გიდიონმა. ბიჭმა ზანგს აპხედა და არაფერი უპასუხა.

„წაიკითხე-მეთქი, გთხოვთ“.

ბიჭმა წაიკითხა:

„რუთერფორდ ბ. ჰეიზს.

თეთრი სახლი

უაშინგტონი კ. ო.

მატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ ვადასლოთ კოლამბიიდან ჯარის გაყვანა-წრტ ზანგებისა და ლარიბი თეთრების მილიციის გაუქმების გამო რეკონსტრუქციის მომხრენი ფედერალურ დაცვაზე არიან დამოკიდებულინი წრტ არსებობს არეულობის და ტერორის სამიწროება წრტ აქ ლიბალურ რესპუბლიკელებისათვის გაუგებარია კავშირის ყველა მომხრეთა უყურადღებოდ მიტოვება სამხრეთში გთხოვთ თანაგრძნობას და შველას გიდიონ ჯექსონი.

„სამხრელ კეროლიანის წარმომადგენელი“.

„რამდენი უნდა? — შეეკითხა ბიქს გიდიონი.

ბიჭი შეყოყმანდა, მერმე უბასუხა: „ათი დოლარი“.

გიდიონი ერთი წუთით მას დააქვე-რდა. მერე ფული გადაიხადა და გარეთ გავიდა. ბიჭი ტელეგრაფისტთან მივი-და და კვენხით სთქვა, „ერთი ზანგი არ მინახავს, რომ დებეშის ფასი იცო-დეს“.

„ღმერთმა დაგწყევლოს, ნახავ თუ ამისათვის შენი თავი აქედან არ გავაგ-დებინო! რამდენი მოგცა?“

„ათი“.

„ნახევარი ჩემია, ღმერთმა დაგლაგე-როს. მომეცი დებეშა“. ბიჭმა გადასცა; ტელეგრაფისტმა თვალი გადაავლო, დაისტვინა და ახლა მეტი ყურადღებით დაუწყო კითხვა. „ვინ მოგცა ეს დე-ბეშა?“

„ვილაც ვეებერთელა ზანგი იყო“.

„იცი რა, მოსამართლე კლეიტონს წაუღე; უთხარი, არ ვიცი, გავაგზავნო თუ არა-თქო. კრინტი არსად დასძრია!“.

ოც წუთში ბიჭი უკანვე მოვიდა. „მო-სამართლემ დებეშა დაიტოვა, მე კი ერთი დოლარი მაჩუქა.“

„ნახევარი ჩემია!“

„მოსამართლემ სთქვა, ენას კბილი მაგრად დააჭირეთ, თორემ მე თქვენ გაჩვენებთ სეირსო“.

ტელეგრაფიდან გიდიონი ფედერალუ-რი ჯარის უფროსის პოლკოვნიკ ჯ. ლ. უილიამსის სანახავად გაემართა. პოლ-კოვნიკს ამ დღეს მოცლა არ ჰქონდა და გიდიონს საათნახევარი მოუხდა ცდა, სანამ მასთან შეუშვებდნენ. „წარმო-მადგენელო, ბოდიშს ვიხდი. მთელ სამ-ხრეთს დღეს მოუხდა ჩემთან ლაპარა-კი“, სთქვა პოლკოვნიკმა.

„ვიცი“, თავი დააქნია გიდიონმა. „ალ-ბათ ჩემი საქმეც იგივეა. აქაა პირი დებეშისა, რომელიც მე პრეზიდენტს გავუგზავნე. შესაძლოა პასუხი ერთ დღეში მოვიდეს, ან ათი დღე დაგვიან-დეს; ძალიან გთხოვთ პასუხის მოსე-ლამდე ჯარს მთლიანად ნუ გააგზავ-ნიოთ“.

პოლკოვნიკმა დებეშა წაიკითხა და თავი გადააქნია. „ბრძანება მივიღე“.

„ვიცი, რომ ბრძანება მიიღეთ, პოლ-კოვნიკო“, გააწყვეტინა სიტყვა გიდი-ონმა. „მე პირადად ჩემთვის არა გთხოვთ ამ წყალობას. ეს ამბავი მრავალი და მრავალი ადამიანის სიკვდილ-სიცოცხ-ლის საქმეა“.

„ძალიან ვწუხვარ“, სთქვა პოლკოვ-ნიკმა, „მაგრამ არ შემიძლია“.

„იციოთ, რა მოჰყვება თქვენი ჯარების აქედან გაყვანას?“

„რა შედეგსაც არ უნდა მოველო-დე“, სთქვა პოლკოვნიკმა, „ბრძანებას მაინც უნდა დავემორჩილო. თუ ოლქის უფროსს გენერალ ჰემპტონს მიმარ-თავთ“.

„ამაო იქნებოდა“, სთქვა გიდიონმა. „არ იზამს. ვიცი, თუ რას ნიშნავს ბრძა-ნება. მეც ვიყავი არმიამში, პოლკოვ-ნიკო“.

„ამაოა“.

„ხომ იციოთ, რომ პრეზიდენტი უყუ-რადღებოდ ვერ დასტოვებს ჩემს დე-ბეშას?“

„სამხედრო სამართალში მიმცემენ“. „უამინგტონში მე ცოტა გავლენაც მაქვს“.

„არ შემიძლია ამის გაკეთება! ხმას აუწია პოლკოვნიკმა. „მერწმუნეთ, ბა-ტონო ჩემო, რომ როგორადაც არ უნდა მინდოდეს, მაინც ვერ ვიზამ. ხომ არ გგონიათ, რომ ბრმა ვიყო? მაგრამ მე სამხედრო კაცი ვარ და არა პოლიტი-კოსი!“

ერთ წუთს გიდიონი მდუმარედ იდ-გა, დაძაბული, გულშემოყრილი. შემე-რწმუნებული, მერე მან პოლკოვნიკს თა-ვი დაუტრა და სთქვა: „ბოდიშს ვიხდი“.

„მეც ბოდიშს ვიხდი“, იყო პოლკოვ-ნიკის პასუხი.

და გიდიონი ოთახიდან გავიდა. კოლამბიაში იგი ათ რიცხვამდე და-რა და ხშირ-ხშირად აკითხავდა ტელეგ-რაფს. ცხრაში მან მეორე დებეშა გააგ-

ზანა. ათში იგი მატარებლისკენ მიმავალ რაზმებს უყურებდა, მერე კი კარულს დაბრუნდა.



თხუთმეტ აპრილს ნაშუადღევს კარულელებმა ქალის კვილი გაიგონეს. ამაზრზენი, გულისგამგირავი შეცხადება მთელ კარულს ედებოდა. ხალხი ყოველმხრიდან ამ ხმის მიმართულებით გაეშურა. ტყეში მათ დაფეთებულნი, თავზარდაცემული ბიჭი შემოხვდათ, რომელიც სლუკუნით ამბობდა: „ცხენი დაბრუნდა. ის დაბრუნდა“. ხალხი ამ ბიჭს — ჯუდი ჰეილს — მამამისის ფერმისკენ გაჰყვა. მამამისი, ზიკ ჰეილი, ერთი უსიტყვო ზანგი იყო, წყნარი მეოჯახე, კარგი მეურნე და კარულელთა შორის ბამბიდან ყველაზე მეტ შემოსავალს ის იღებდა. ფერმაში კარულელებს ფრენი ჰეილი ზიკის ცოლი, დაუხვდათ; იგი, თითქმის ჰეილ-დაკარგული, ხმამაღლა ჰეილი. იქვე ოთხთვალა იდგა ცხენებშემული და, როცა მოსულებმა შიგ ჩაიხედეს, ენაჩავარდნილი შემოტრიალდნენ.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად მთელი ამბავი გამოირკვა. ზიკ ჰეილი ქალაქში წასულიყო ფეხსაცმელების შესაძენად მისი ბიჭისთვის, რომელიც ამ დღეს ათწლის გახდა, საჩუქარის საყიდლად. როგორც ჩანს, უკან გზაზე მას თავისი ოთხთვალა ნელა მოჰყავდა; გაზაფხულის მშვენიერი შუადღით სტუმბობდა. ასე იყო თუ ისე, ყოველთვის, თუ კი დრო ამის შესაძლებლობას აძლევდა, ზიკს ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა ხოლმე, განსაკუთრებით, როცა ჰაერში სიცხე იგრძნობოდა.

სადაც, ქალაქიდან მომავალ გზაზე, ნელა მოძრავ ოთხთვალას ვიღაც მიუახლოვდა და ორლულიანი სანადირო თოფი ზიკს თავში დაახალა. თოფის ხმაზე დაფეთებული ცხენი ერთბაშად გაქენდა და ზიკი ოთხთვალას უკანა ნაწილში გადავიდა. მთელი გზა ფერმამდის ცხენს ჰენებით გაეწეო.

ზიკ ჰეილი დამარხეს და ამის შემდეგ კარულეში მცხოვრები მამაკაცები უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში პირველად წავიდნენ სამუშაოზე მხარზე თოფგადაკიდებულნი.

## თავი მათე

როზორ იბრძოდა გიდიონ ჯემსონი კითხილი საქმისათვის.

1877 წლის თერამეტი აპრილის დღეა იყო.

საუზმეზე გიდიონი მარკუსს ეუბნებოდა:

„შენს ადგილზე ერთ აკრს თამბაქოს მივუმატებდი და არა ბამბას“. და მამაშვილმა საუბარი განაგრძო, ვითომ აქ არაფერიო, კარის წყრთილზე კი ორი შაშხანა იყო მიყუდებული მათი წასვლის მოლოდინში.

„ნაშუადღევს საყიდლებზე მინდა წავიდე,“ სთქვა ჯენიმ.

„ქალაქში?“

„აჰა“.

მარკუსმა თავი გააქნია.

„რატომ?“

„ამ კვირის ბოლოს ზოგი სხვაც აირებს წასვლას. მაშინ წადი“, უთხრა ქალს გიდიონმა.

„დღეს კარგი ამინდია“...

„შინ დაეტიე“, სთქვა მარკუსმა.

„შენს ბრძანებაზე არ დავდივარ, შინ რატომ უნდა დავრჩე, შენ რომ მეუბნები, იმიტომ?“

„შინ დაეტიე!“

ჯენიმ ტირილი დაიწყო. მის გვერდით მჯდომარე ელენმა მას მოფერებით ხელი ხელზე დაუსვა. ჯერ გიდიონი წამოდგა. მერე მარკუსი. ოთახიდან გასვლისას გიდიონმა შაშხანებს გადახედა.

წუთით შეყოყმანდა. მერე ერთ მათგანს ხელი წაავლო, მხარზე გაიღო და გარეთ გავიდა.

ნია, სჯობს, ებნერ ლეიტანს გადახვიდოდე და ეტყოდე, გიდიონთან შერიფი ასულა-თქო“.

საქონის  
გადახვიდოდე

ათ საათზე ჯეფი მერიონს ჯეფერსონთან იყო. მერიონის ცოლს, ლუიზს, ხელები დამუწყუებოდა; სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ ტყვილი და ქაველი დამით ძილს უფრთხოებდა. ჯეფმა ქალს დასაამებელი მალამოს შეზავება აუხსნა და მერე აივანზე საუბარი გამართა მერიონთან. ასე იღგნენ ისინი სხვადასხვა ამბებზე საუბრით გართულნი, როდესაც მუშობლად მდებარე ფერმიდან ტრუპერი მოვარდა სირბილით. იგი შედგა აქოშინებულმა ერთი ღრმად ამოისუნთქა და შესძახა,

„ჯეფ, აი ეს არის დაეინახე, რომ ჯესონ ჰიუგარი და შერიფი ბენტლი მამათქვენი ფერმისკენ გაემართნენ. მალეობზე ვიდექი და შერიფის ორთვალა რას გამოიმეპარებოდა! მეორე კი ჯესონ ჰიუგარი იყო, თუნდაც ხატზე დავიფიცებ“.

„მერე რა. ასაღლევებელი აქ არაფერია“. დამშვიდა იგი ჯეფმა.

„ვინ იცის, იქნებ არ იყოს ასაღლევებელი და იქნებ იყოს“. სთქვა მერიონმა. შოდი, თქვენი ეტლით ჩვენც იქ წავიდეთ“. ის სახლში შევარდა თოფის გამოსატანად. შეშინებულმა ცოლმა ჰკითხა: „რა მოხდა? რას ჩაიხიართ?“

„არაფერიც არ მომხდარა“, გაიღიმა მერიონმა. „შერიფი წასულა გიდიონისკენ. ჩვენც იქ მივდივართ ყოველ შემთხვევისათვის“.

„აყალმაყალს ნუ მოახდენთ, მერიონ. ისედაც ბევრი უბედურება დაგვატყდა თავს“.

„მართალია, დაგვატყდა“, წყნარად მიუგო მერიონმა ცოლს. „აქ არავითარი აყალმაყალი არ იქნება. მაინც, მე მგო-

საუხმის შემდეგ გიდიონი და მარკუსი ერთი მაღალი ფიჭვის ქრაში იყვნენ გართული. ახლა ფიჭვი უკვე მზად იყო წასაქცევად, მისი მაღალი ტანი აქეთ-იქით შექანდა, და ამ დროს მარკუსმა თვალი მოჰკრა შერიფის ორთვალას, რომელიც ქაობიდან გამოვიდა და აღმართს შეუდგა. მარკუსმა ნაჯახი დააგდო და გიდიონს ხელით ორთვალაზე ანიშნა.

„შერიფია?“ იკითხა გიდიონმა.  
„ღიახ, მის ორთვალას ჰგავს. წაველ და ვნახავ“.

გიდიონმა თავი დაუქნია; მათ თოფები აიღეს და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ სახლისაკენ. როდესაც გზა გორაკის თხემს მოეღარა, ისინი სირბილზე გადავიდნენ და აქოშინებულებმა სწორედ დროზე მიაღწიეს სახლს, ორთვალა ერთი-ორი წუთის მისული თუ იქნებოდა. ჯესონ ჰიუგარი და შერიფი ერთად ისხდნენ მკლავებდაკაპიწებულნი; ორივეს ტყავის უსახელოებო კურტაკები ეცვა. ორივეს მუხლებზე ორლულიანი თოფები ედო. აივანზე მდევარე, შემფოთებული რეიჩელი იღგა; მარკუსის დანავაზე მან შვებით ამოისუნთქა.

„ღილა მშვიდობისა, შერიფო“, სთქვა გიდიონმა. აივანზე ჯენი და ელენი გამოვიდნენ და რეიჩელს უკან ამოუდგნენ. ჯეკსონების ფორეჯა პოინტურმა ფრაკუსმა მარკუსს დაუწყო თამაში, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ მისთვის არავის სცალოდა, არავინ აქცევდა ყურადღებას, დაწვა და იქ მყოფთ ყურდაცქვეტიტ დაუწყო ცქერა. მარკუსი იღგა ილიაში ამოღებული თოფით, ოდნავ მოხრილი, და მხოლოდ რეიჩელმა იცოდა, რომ იგი ახლა თოფის ხელშეუხებლობის შემთხვევაში უვნებელს, მაგრამ ყოველ

წუთს ასაფეთქებლად გამზადებულ თოფის წამალს მიიგავდა. შერიფმა გიდიონს შესხანაზე მიუთითა და ჰკითხა:

„სანადიროდ ხომ არ ყოფილხარ, გიდიონ?“

„ეს ჩვენი საქმეა“. მოუკრა სიტყვა მარჯვენა. „ხოლო, როდესაც მამანემს ელაპარაკებით, კეთილი ინებეთ, მიმართოთ მას — მისტერ-თქო, გესმით?“

„მისტერ“, გაგრძელებით წარმოსთქვა ჯესონ ჰიუგარმა, „მისტერ!..“

„აი, ასე“.

„კარგი, მისტერ“, გადიოდა ჰიუგარმა.

„რითი შემძლია გემსახუროთ, შერიფო?“ წყნარად იკითხა გიდიონმა.

„აი, ეს შესმის“, თავი დააქნია შერიფმა. „ჩემი ანგარიშით, შენ ჰქვიანი კაცი ხარ გიდიონ, და ღმერთმანი თუ არც ესაა დიდი ღირსება ჩვენს დროში, მაშინ აღარ ვიცი, რას ჰქვია საერთოდ ღირსება. რა საჭიროა აღელვება?! აქ საქმე მაქვს და სწორედ ამ საქმისათვის ამოვედი თქვენთან. თქვენ კი თოფებით ემუქრებით კანონის წარმომადგენელს. ღმერთმანი, გიდიონ, ეს ვერაფერი საქმეა ზანგისათვის. ეს კარგს არაფერს მოიტანს“...

„ხმა ჩაიწყვიტე!“ შესძახა მას მარჯვენა.

„ყური მიგდე, ბიჭო“, სთქვა ჰიუგარმა, „ყური მიგდე, შე მურტალო ზანგო!“ ჰიუგარმა თითი თოფის ორივე ჩახმახს გამოსდო. „აბა ერთი გაგინძრევია ეგ შენი დანჯღრეული დამბაჩა და იქვე ნაწლავებს დაგაყრევიანებ!“

რეიჩელმა ძლივს გასაგონად წამოიკივლა. გიდიონმა მარჯვენს ისე მაგრად ჩაავლო მხარში ხელი, რომ ბიჭს მისი თითები რკინის კლანჭებად მოეჩვენა.

„დამშვიდდით, მისტერ ჰიუგარ“, სთქვა გიდიონმა. „არავის რა აქვს აზრად გესროლოს თქვენ, შერიფმა ბენტლიმ ეს კარგად იცის. მან იცის, რომ ჩვენ ყოვლად მშვიდობიანი ხალხი ვართ და არასოდეს კანონი არ დაგვირღვევია. თუ ჩვენ ახლა თოფებს ვატარებთ, იმიტომ,

კი არა, რომ კანონს ვეწინააღმდეგებოდეთ, არამედ იმიტომ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი ჩვენი მოკვლევი მოჰკლეს“.

„იცი რა ვითხრა, გიდიონ“, სთქვა ბენტლიმ. „როცა ზანგი ყოყოჩობას იწყებს, ამას შფოთი მოჰყვება და ეს კი ცუდად დამთავრდება. თქვენი სიტყვით, ისე გამოდის, რომ თითქოს ის ზანგი რომელიც მოჰკლეს, თავისთვის მიდიოდა გზაზე და არავის არაფერს უშავებდა, არავის ერჩოდა და მიუხედავად ამისა, ეილაც მიუახლოვდა მას და ასე ყოვლად უმიზეზოდ მოჰკლა იგი. ეს ზღაპარია, გიდიონ, უაზრო ზღაპარია. ამას ვინ დაიჯერებს? ცხადია, რომ მან თვითონვე ცუდი რამ ჩაიდინა, არ ვიცი კი რა, მაგრამ ალბათ რაიმე დააშავა. ღორის ტილს ფეხზე დაისვამ და თავზე აგაცოცდებო“.

„ამიტომაც, რომ მოვედით“, დაეთანხმა შერიფს ჰიუგარი.

„რატომ მოხვედით?“ იკითხა გიდიონმა.

„არა, შეკითხვით, ჩვენ შეგეკითხებით, შენ კი გვიპასუხე!“

„დამშვიდდი, ჯესონ“, დინჯად სთქვა შერიფმა. „გიდიონს შეკითხვის უფლება აქვს; ჩვენ მის მიწაზე ვიმყოფებით, კანონით ასეა. მაგრამ შეკითხვის უფლება ჩვენცა გვაქვს. ჩვენი სურვილია წყნარად და დამშვიდებით მოვავგართო საქმე. გუშინ ნაშუადღევს, გიდიონ, სამი ზანგი მიადგა კლარკ ჰასტონის სახლს უკანა კარზე. კლარკი დუქანში იყო; სალი და პატარა გოგონა შინ იყვნენ. ერთ-ერთი ზანგი ეუბნება: მის სალი, გეთაყვა, მშვირები ვართ, იქნებ ცოტა რამ გამოიმეტოთო და გვაქამოთო. ჰოდა, ხომ იცი, კლარკს ზანგი არასოდეს არ გაუსტუმრებია ხელცარიელი; სალიც გულუბრყვილოდ მიდის, რომ რამე მონახოს ზანგებისათვის, კლარკის ცხრა წლის გოგონა კი იქვე დგას და მათ შესცქერის“...

სწორედ იმ წუთში ჯდები, ტრუპერი და მერიონ ჯეფერსონი მოვიდნენ ეტლით, გიდიონი მათს დანახვაზე გამხნვედა. მერიონი და ჯეფი ეტლიდან გადმოხტნენ: ტრუპერი კი შიგვე დარჩა: მას ხელში თავისი სპენსერის შაშხანა ჰქონდა შემართული, სწორედ ის, რომელსაც იგი ომში ხმარობდა, და აუჩქარებელი, მაგრამ ბოხი ხმით წარმოსთქვა: „მოაშორე თითი მაგ შენ თოფის ჩახმახს, ჰიუგარ“.

ჰიუგარს სახე კარხალივით აუწითლდა; შუბლზე ცხვირის ძვლის ზემოთ, ჩალიჩივით სქელი ძარღვი გაებერა; მისი ჩახსმული ტანი ისე აიწურა, თითქოს გადანახტომად ემზადებოდა.

„ჩქარა მოაშორე თითი“. გაიმეორა ტრუპერმა.

ბენტლიმ ჰიუგარს წასჩურჩულა: „ნუ ბრაცვობ, შეასრულე, რასაც გეუბნება“. მხარზე თოფგადაკიდებულმა ებნერ ლეიტმა, როგორცა სჩანდა, გუთნიდან გამოხსნილი უბელო ცხენი მოაჭუნა. „შეასრულე, რასაც გიბრძანებს“, გაუმეორა ბენტლიმ ჰიუგარს.

ჰიუგარმა თითები გაშალა.

„თოფი ძირს დადე, ფეხებთან“, სთქვა ტრუპერმა, „თქვენც, შერიფო!“

„როგორ მიბედავი“

„ფეხებთან-მეთქი“, განმეორებთი შესძახა ტრუპერმა.

შერიფმა და ჰიუგარმა თოფები ძირს დააწყვეს. ებნერ ლეიტი ორთვალას გარშემო მდგომთ შეუერთდა. ზნის მოსახვევში ფრენკ კარსონის ოთხთვალა გამოჩნდა. ჰიუგარმა თქვა:

„ზოგიერთი ამბავი უნდა გავიხსენოთ, ლეიტ“.

„მე კარგად მახსოვს“.

„შერიფი გვეუბნებოდა“, სთქვა გიდიონმა, „თუ რატომ მოვიდა აქ“. გიდიონმა შერიფის ნათქვამი გაიმეორა. „განაგრძეთ, ბატონო“, მიუბრუნდა იგი შერიფს. „ჩვენ გვინდა ამბავი ბოლომდე მოვისმინოთ“.

მათ ახლა ფრენკ კარსონი შემოუერთდა. ბენტლიმ, რომელიც ირგვლივ შემოკრებილთ თვალს არც დაჟინებდა, განაგრძო: „პატარა გოგონას ჰქვია მადგა და ზანგებს უცქეროდა. უცებ ერთმა ზანგმა მას ხელი სტაცა, კაბა შემოახია. გოგონამ კივილი მორთო. ამის გაგონებაზე სალი მოვარდა. მეორე ზანგმა სალის დაარტყა. ქალი მიცოცდა მაგიდასთან, სადაც კლარკი თავის რევოლვერს ინახავდა, მაშინ კი ზანგებმა იკადრეს მოკურცხლვა“.

„ჩვენ რაღა შუაში ვართ?“ იკითხა გიდიონმა.

„სალიმ იცნო ზანგები, სამივე აქაური, კარუელელი“.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ებნერ ლეიტის საცილი გაისმა.

„რა ბოდეაა“, დაიწყო ჯეფმა.

„გაჩუმდი“, გააწყვეტინა მას სიტყვა გიდიონმა. „პასუხს მე ვაეცემ“ სთქვა მან და ბენტლის მიუბრუნდა: „რა გინდათ, რომ ჰქნათ?“

„მე მინდა ის ზანგები დაეპატიმრო, გიდიონ“.

„რა ბრალდებით?“

„ძალადობისათვის და გაუპატიურების ცდისათვის“.

„ეინ არიან ისინი, ბრალს რომ სდებთ?“ შეეკითხა შერიფს გიდიონი.

„ჰანიბალ უაშინგტონი, ენდრიუ შერმანი და კიდევ ერთი ზანგი, რომელიც სალის დუქანში უნახავს კარუელელ ზანგებთან ერთად, მაგრამ სახელი არ ახსოვს“.

„კარგი“, სთქვა გიდიონმა. „თქვენს ნაამბობს თავი დავანებოთ, იგი ჩვენ არ გვეხება, მაგრამ ერთი კვირაა არც ჰანიბალ უაშინგტონი და არც ენდრიუ შერმანი ქალაქში არ ყოფილან. მთელი გუშინდელი დღე ჰანიბალ უაშინგტონი სკოლის შენობაზე მუშაობდა, ავურის კედელს აშენებდა. ენდრიუ შერმანი ხნავედ მინდვრად, ის იქ ოცმა კაცმა ნახა, მთელი ეს ხალხი დაადასტურებს ჩემს ნათქვამს. ასე, რომ თქვენი ბრალ-

დებები უსაფუძვლოა, შერიფო, კარუელიდან გუშინ ქალაქში ერთი კაციც არ ყოფილა“.

„ზანგი არამზადების მოწმეობა ჩვენ არ გვჭირდება“, სთქვა ჰიუგარმა.

გიდიონმა ტუჩები მოკუსა. ებნერ ლეიტი ორთვალასთან მივიდა: „მე ზანგი არა ვარ, ჰიუგარ, კარგად შემომხედე და ცოტა ფრთხილად ილაპარაკე!“

„არც შენი მოწმეობა გვჭირდება“.

„სამწუხაროა, რომ მე შენ ამდენ ხანს ვერ მოვიღებ ბოლო, შე ძაღლის ნაშობო, შენა!“ ცივად წარმოსთქვა ებნერმა.

„აბა, აბა“, ჩაერია ლაპარაკში ბენტლი, „ასეთი ლაპარაკით შორს ვერ წავალთ. ჩვენ შფოთი არ გვინდა, გიდიონ“.

„არც ჩვენ გვინდა“.

„მაგრამ ესენი უნდა დაეპატიმრო და ქალაქს წავასხა. რისი უნდა ეშინოდეთ? მოწმეებიცა და სასამართლოც მიუღდგომელი და ალაღმართალი იქნება“.

„ალაღმართალი მოწმეები აქაც მოიპოვება“, სთქვა გიდიონმა.

„ღამნაშავენი უნდა დაეპატიმრო და თქვენ კი ხელს მიშლით. განა ასე არ უნდა გავიფო ეს თქვენი მოქმედება?“

„როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ“. უპასუხა გიდიონმა.

„ღიახ სწორედ ასე მესმის. ჩვენ აქ წყნარად, მშვიდობიანად მოვედით, რათა კანონით დაკისრებული საქმე შეგვესრულებინა. თქვენ კი გარს შემოგვერტყით და შეიარაღებულ წინააღმდეგობას გჟოფეთ. ეს ძალიან სერიოზული საქმეა, გიდიონ“.

„თქვენ უკან ხელცარიელი უნდა დაბრუნდეთ“, სთქვა გიდიონმა. „თუ გნებავთ, პირდაპირ გეტყვით, შერიფო: მე ვაცხადებ, რომ თქვენ სტყუით. მე ვაცხადებ, რომ არც ერთი უკუთმყოფელი ადამიანი ამ თქვენს სულელურ ზღაპარს, რაც თქვენ აქ მოჩმახეთ, არ

დაიჯერებს. მე ამას საჯაროდ ვაცხადებ“.

„მესმის“, თავი დაუქნია შერიფმა. „თავხელი ზანგის ხმა ხუთ მინუტში მესმის, ყნოსვითაც ვგრძნობ მას. ამ დამნაშავეებს, გიდიონ, მინც ხელში ჩავიგდებ, თუნდაც, რომ იძულებული გავხდე ფეხზე დავაყენო მთელი ოლქი“.

„თუ მთელი შტატი?“ გააწყვეტინა სიტყვა გიდიონმა. „ყველა ის პირუტყვი და არამზადა, რომელთაც ჰიუგარი მოვიგრეთ? ჯერჯერობით კი კარუელიდან გავვეცალეთ, ბენტლი. ეს ჩვენი მიწაა. შორს დაგვეკარგეთ აქედან“.

მამაკაცები მჭიდრო გროვად იდგნენ და გასცქეროდნენ ორთვალას, რომელიც უკან მიმავალ გზას დაადგა. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ებნერ ლეიტმა დაბალი ხმით, მაგრამ გააფთრებითა და არაჩვეულებრივი სიმკვეთრით იწყო ლანძღვა-გინება. ჯექსმა სთქვა: „ჩემის აზრით, საჭირო არ იყო, მათთან ასეთი ლაპარაკი“.

ფრენკ კარსონმა მხრები აიჩეჩა. „ემ, სულერთია, ეს უკვე დიდი ხანია მზადდებოდა და როგორც არ უნდა ელაპარაკო მათ, ამით არაფერი შეიცვლება“.

„ღიახ“, სთქვა გიდიონმა „მთელი ამ კვირის განმავლობაში ყოველდღე ამას მოველოდი. ყოველ დილას, ვიდრე იძებდი თუ არა, ამაზე ვფიქრობდი. ახ ასე ფიქრობ ყოველდღე, ელი ყოველდღე, რომ ეს ასე მოხდება და აი მოხდა კიდეც“.



ბავშვები წყნარად, მორჩილად იდგნენ, ვერ გავგოთ, თუ რატომ დაითხოვეს ისინი, როცა სასწავლო დღის ნახევარიც არ იყო გასული; ისინი უცქერდნენ, როგორ შედიოდნენ მამაკაცები სკოლის შენობაში. რამდენიმე მოზრდილი ბიჭიც შიგ შეშვრა მათთან ერთად;

ისინი არავის შეუჩერებია. მერხებზე დამსხდარ მამაკაცთა ნახევარს მაინც რაიმე იარაღი ჰქონდა თან. ყველა ნელა მოძრაობდა, სწორედ იმგვარად, როცა აღამიანს უკირს ერთმანეთს შეუთავსოს აზრი, მოქმედება და იმედები. დარბაზის განაპირას ბენჯამინ უინთროპი იღვია და თვალს ადევნებდა ამ მამაკაცებს. იგი შეშფოთებულად იყო და შეშინებულად. იგი ახალგაზრდა იყო; უილიამსის კოლეჯი მან 1873 წელს დაამთავრა. წარმოშობით იგი ეკუთვნოდა ახალი ინგლისის საშულო რელიგიურ ოჯახს, რომელიც წინაპრად რაცხდა ძველ გუბერნატორს, თუმცა ეს უკანასკნელი ცოტა სხვანაირად სწერდა თავის გვარს, და სიყვარული, რომელსაც იგი ასეთი კარჩაყეტილი ოჯახიდან გამოსული კაცობრიობის მიმართ გრძნობდა, უფრო განყენებული იყო, ვიდრე ქმედითი. ნებისყოფის დიდი დაძაბვა, თავისთავთან განუწყვეტელი ბრძოლა უჭლებოდა მას იმისათვის, რომ აქ დარჩენილიყო; ამ მისთვის უცხო, წყნარ და მაინც თავნება ხალხში ახლა იგი თვალს ადევნებდა მათ და მათსავეთ გრძნობდა, რომ ყველაფერი გათავებული იყო. მისი მუშაობა დამთავრდა; იგი დღესვე წავიდოდა სადგურზე, თუ შესაძლებელი იყო, და მატარებელს გაჰყვებოდა.

ძმა პიტერმა კრება შემდეგი სიტყვებით გახსნა: „ძმანო, ჩვენ დღეს აქ შევიკრიბენით შიშითა და რისხვით მოცულნი. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, რომ სწორი გზა აგვარჩევინოს, და თუ სწორ გზას დავადგებთ, ღმერთმა ძალა მოგვანიჭოს, რომ მოთმინებით გავყვეთ ამ გზას ბოლომდე. ვიდიონ, ილაპარაკებ?“

ვიდიონი უკანა რიგებში იჯდა; იგი წამოდგა და ძმა პიტერს უპასუხა: „ეს საქმე მართა ჩემი გადასაწყვეტი არაა, სხვაზე უკეთესს მე ვერაფერს ვიტყვი. ჩემს მეზობელზე მეტი მე არა ვიცი რა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქ-

ცეთ, დე, ხალხმა თვითონ ილაპარაკოს“.

ყველამ ვიდიონისკენ მიჰბრუნა თავი. იგი უფრო ხნიერად გამოდგენილი იყო, ვიდრე ოდესმე. ჰანიბალ უამინგტონმა წამოიწყო: „იქნებ სჯობდეს, რომ შენ ილაპარაკო, ვიდიონ, მთელი ჩვენი ხალხის სახელით, ცოდვები შენცა გაქვს ეს ცხადია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თავდაბალი ხარ და სადა მიდი, ილაპარაკე“.

„სალაპარაკო ბევრი არაფერია“, სთქვა ვიდიონმა. „თქვენ ყველამ იცით, რაც მოხდა. ისიც იცით, რატომ, იცით, რომ, თუ ისინი სამ ჩვენთაგანს წაიყვანენ და ჩამოახრჩობენ, ეს დასაწყისი იქნება მხოლოდ“.

ენდრიუ შერმანმა დაღლილი ხმით განაცხადა:

„მე არ მინდა, რომ ყველას დეატეხო თავს უბედურება, ვიდიონ. განა ისე კი ცოტა უბედურება გვექირს? იქნებ არც კი ჩამომახრჩონ. ვთქვათ, ქალაქს წავედო, შემხედდავენ და იტყვიან: არა, ეს ის ზანგი არააო. ანკი როგორ უნდა სთქვან, რომ მე ის ზანგი ვარ, რომელსაც იქ რაღაც ჩაუდენია? მე ხომ მთელი კვირაა ქალაქში არ ვყოფილვარ, ჩემს ეზოს არ ვაგვიღებია?“

„ჩამოგახრჩობენ“, სთქვა ებნერ ლეიტმა. „ექვი არაა, რომ ჩამოგახრჩობენ“.

„ჩამოგახრჩობენ“, დადასტურა ვიდიონმა. „ამიერიდან მე არავეთარ გადაწყვეტილებას არ მივიღებ, თქვენ თვითონ უნდა გადასწყვიტოთ. ხოლო თუ შემდეგ თქვენ მოისურვებთ გინელმძღვანელოთ, ყაბულსა ვარ. მაგრამ გადაწყვეტით კი თქვენ გადასწყვიტეთ. ამ ამბავის შესახებ კი... აბა რა მეთქმის... რამე ხომ უნდა მოეჩმებათ, რამე ისეთი ხერხი ხომ უნდა ეხმარათ, რომ მათს მოქმედებას, კანონიერების სახე მაინც ჰქონოდა. ბოლოსდაბოლოს სულ ხომ რვა დღეა, რაც ისინი ძალაუფლებას დაეპატრონენ. რვა დღის ვენმეალობა-

„ში შეუძლებელია ყველაფრის გაცამტვერება, რაც ჩვენ რვა წელიწადს ვაშენეთ“.

„რა გქნათ, გიდიონ?“ იკითხა ფრენკ კარსონმა.

„ეს თქვენ უნდა გადასწყვიტოთ. მე მგონია, ისინი ამაღამ მოგვადგებიან, ამაღამ თუ არა — ხვალ მაინც, მაგრამ ორი კაცი კი არ მოვა არამედ ბევრად უფრო მეტი. მაშინ ისინი ჩვენი განადგურების საქმეს შეუდგებიან, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კანონიერებაზე აღარც კი იზრუნებენ, რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ, ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს: შეგიძლიათ შინ დარჩეთ, მაშინ ორ-ორს, სამ-სამს მოუღებენ ბოლოს; შესაძლოა ყველანი ვერ დახოცონ, ზოგიერთი თქვენთაგანი, შესაძლოა კიდევაც გადაარჩეს. შეგიძლიათ გაიქცეთ და სადმე პლანტაციის იმუშაოთ დაქირავების წესით ლუკმა პურის, ერთი ნაჭერი ლორისა და დასაძინებელი ადგილისათვის და თუ ენას კბილს დაჰკეროთ და მშვიდად იქნებით, შესაძლოა, ცოცხალიც დარჩეთ. საქმე ცოტა უფრო სხვაა იმისა. მათ შეუძლიათ ჯგერონ ჰიუგარს შეუერთდნენ... თუმცა, არა მგონია, რომ მან ისინი მიიღოს. არა, ბევრად უკეთესი არც თეთრების მდგომარეობაა. არის კიდევ ერთი გამოსავალი: დარჩეთ აქ, მზარი მისცეთ ერთმანეთს და იბრძოლოთ!“

„მაგრამ ეს ხომ ამერიკის შეერთებული შტატებია!“ წამოიძახა ჯგერმა.

„ჯერ ხომ კიდევ არსებობს ჩვენში კანონი და ჯერ ხომ კიდევ გვაქვს სასამართლო! ნუთუ არ არის სხვა გამოსავალი, რომ არ გავსწიროთ თავი გასანადგურებლად?“

„გამოსავალი რამდენიმეა“, უპასუხა გიდიონმა. „მე აი ეს იყო ახლა ჩამოვითვალეთ ისინი. ამოირჩიეთ, კანონი? აი უკვე რვა თვეა, რაც გარდა ძალმომრეობის კანონისა, სხვა კანონი აღარ არსებობს. სასამართლო? სასამართლო

ჩვენს ხელში აღარაა. და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატებია, ვერ გვეხელის ჩვენს,“ — რომ მივალწიოთ სიმართლეს: განადგურებმა? არ ვიცი. როდესაც მოხუცმა ოსავატომელმა ბრაუნმა ცხრაშეტი კაციტ ჰარპერს ფერი დაიკავა. მას ნაკლები ძალა გააჩნდა და ნაკლები იმედი ჰქონდა, ვიდრე ჩვენ მოგვეპოვება ახლა, მაგრამ მან მთელი ჩვენი ქვეყანა შეაჩუცა, გამოაღვიძა ხალხი, თვალები აუხილა მას. მე ბრძოლას იმითმ კი არ ვირჩევთ, რომ დავიხოცოთ; მე მინდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ. მე მინდა ვიბრძოლო ისე, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რაც აქ ხდება“.

„სხვა გამოსავალიც უნდა არსებობდეს“, სთქვა ჯგერმა.

„რა გამოსავალი?“

„აი, მაგალითად, წახვიდე უაშინგტონში“.

„მე იქ უკვე ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.“

„კვლავ სცადე.“

„კვლავაც არაფერი გამოვა. გარდა ამისა, ეს მეტად დაგვიანებული იქნება. ხვალ უკვე მეტად დაგვიანებული იქნება“.

უილ ბუნმა ზანტად ჩაილაპარაკა: „ვთქვით, ბრძოლა გადავწყვიტეთ, გიდიონ. მე ეს მომწონს, ჩემიანებისთვის თავს არ დავხოვავ, მაგრამ როგორ? ჩვენ ხომ არმიას არ წარმოვადგენთ? ადგილი კი სამიათას ხუთასი აკრზე მეტია. აბა დათვალეთ ყველა ფერმა — რამდენი პუნქტი უნდა დავიცვათ? ცოტა არ იყოს, გაფანტული ვიქნებით, ძალიან გაშლილი“.

„ამაზე მეც ვიფიქრე“, დაეთანხმა გიდიონი. „ღმერთთა მოწმე, რომ ეს უკონასკნელი დღეები სხვა არაფერზე მიფიქრნია. თუ ჩვენ გადავწყვეტთ ვიბრძოლოთ, მაშინ ქალები და ბავშვები ისეთ ადგილას უნდა მოვათავსოთ, სადაც უშოშრად იქნებიან და სადაც შეეძლებათ დარჩნენ რამდენიმე დღეს, სა-

ნამ ყველაფერი არ მოწესრიგდება და ასეთი ადგილი კიდევაც არის, სულ ანლოს; ყველანი მოთავსდებიან და დასაცავადაც ადვილია — ეს არის კარუელის ძველი სახლი. იგი გორაკზე დგას, ეს ხელსაყრელი პოზიციაა... მე უკვე ყველაფერი ვთქვი“, დაამთავრა გიდიონმა. „ახლა თვითონ გადასწყვეტეთ“.



ერთი საათის შემდეგ გადაწყვიტეს კიდევ, როცა აყალმაყალი დასცხრა, ებნერ ლეიტი გიდიონს მიუბრუნდა: „ვიბრძოლებო, გიდიონ, გაგვიძღვები?“

„გვირდებით?“

„გვევირდები“.

გიდიონმა დარბაზს თვალი მოაღწია და მერე თავი დააქნია. იგი მძიმე ნაბიჯით დაიძრა ადგილიდან და ხალხის წინაშე წარსდგა. ძმა პიტერი მას მისჩერებოდა; მოხუცის თვალებში განუზომელი ტკივილი გამოკრთოდა. გიდიონმა საათს დახედა და სთქვა:

„ახლა უკვე თითქმის სამი საათია, ყველაფერი, რაც საჭიროა, დაღამებამდე უნდა გაეკეთოს. შესაძლოა ისინი დღესვე გამოცხადდნენ, მაგრამ შესაძლოა, რომ დენიშე დღევ დაიგვიანონ, — ამის გამოცნობა ძნელია. ჩემი წინადადებაა: დღესვე გადავიყვანოთ ცოლ-შვილი დიდ სახლში და მივზიდოთ იქ საკვებიცა და საბნებიც. დღისით სამუშაოდ ვივლით ჩვენ ჩვენს უბნებზე, ზოლო მათთან მცველები დავტოვოთ. ყოველ შემთხვევაში ის მაინც მეცოდინება, რომ ისინი უშიშრად არიან. სასკოლო ზარი განგავის ნიშნად გამოვიყენოთ, მაგრამ სკოლის შენობა, ალბათ, არ დაგვევირდება...“

იგი ბენჯამინ უინტროპს მიუბრუნდა: „არ ვიცი, როგორ უყურებთ თქვენ ყოველივე ამას, მისტერ უინტროპ. ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში, თქვენ არ

გეზებათ. ჯერჯერობით იმდენივე ვიქნებით მეცადინეობა შევწყვიტოთ“...

უინტროპმა უხერხულად დახრიალ ხელების ფშვინტა იწყო და შემფოთებით უპასუხა: „მე ძალადობის მომხრე არა ვარ, მისტერ გეკსონ, თქვენს განზრახვას ვერ მოვიწონებ, თუმცა ეს ჩემი საქმე არაა. მაგრამ დაუშვებელია, რომ ბავშვები მთელი დღეობით უმეთვალყურეოდ დარჩნენ. ისიც მაშინ, როცა ყველანი ერთ ადგილას იქნებიან თავმოყრილი“...

„რა ვქნათ? სხვა გამოსავალი არ არის“.

უინტროპმა მორჩილად განაცხადა: „კარგი, ცოტა ხანს კიდევ დარჩები თქვენთან, სანამ მდგომარეობა მოწესრიგდებოდეს. დასაწყისში ყოველთვის განსაკუთრებით იგრძნობა სიძნელე“...

„თუ დარჩებით დიდად დავაგვალებო, დიდი მადლობელი ვიქნებით“. გიდიონი კვლავ ხალხს მიუბრუნდა. „რაც ტყვიანობაა წამალი გაქვთ, იმ სახლში აიტანეთ. სურსათ-სანოვაგიდან წამოიღეთ ფქვილი, შაშხი და ის, რაც ადვილი გადასაზნდავია...“

სკოლის შენობიდან გამოსვლისას ტრუბერმა გიდიონი შეაჩერა და უთხრა:

„ჩემს სახლკარს ვერ მივატოვებ“.

„რატომ?“

უზარმაზარი ტანის შავმა კაცმა, რომელიც გიდიონზე მაღალიც და განიერმხარბუკიანიც, ვეებერთელა და ლოდინით მძიმე იყო, თავი უარყოფითად გააქნია.

„ვერ მივატოვებ, გიდიონ“. გაიმეორა მან.

„შენი საქმეა“, მიუგო გიდიონმა.

ტრუბერმა ნელინელ ამოლაგა სიტყვები: „მე შენსავით როდი ვარ, გიდიონ. როცა მონა ვიყავი, მათრახს ყველაზე მაგრად მე მირტყამდნენ. შე აყლაყუდავ, მეუბნებოდნენ, შავო ლენჩო, შე უგრძობობო პირუტყვო. სულ ასე მუყარობოდნენ. მისტერ დადლი კარუ-

ელმა ორღეანში მე საჯარო ვაჭრობაზე მიყვდა. ძლიერ ძვირად მიყვდა. ყველაზე მეტი ფასი ჩემში გადაიხადა. ყველაზე მეტრადაც მე მამუშავებდა. დილა, შუადღეა — დამეა სულ ერთია, იმუშავე, არც ძილი იყო ჩემთვის, არც შესვენება. ხოლო თუ ვინმეს ცემდნენ, ზედამხედველი მაშინვე იმას ამბობდა: ამასაც უთავაზეთ მაგალითისათვის, ასეთ აზმასს ამით არაფერი დაუშავედებოა“.

ტრუპერმა პერანგი გაიხადა: „შეხედე ამ ზურგს, გიდიონ“. ძმა პიტერი და კიდევ რამდენიმე სხვაც შედგნენ, რომ საუბრისთვის ყური დაეგდოთ; მათაც შეხედეს ტრუპერის ზურგს, რომელიც მათრახით აჭრელეხულ-დაღარული იყო და რელიეფურ რუქას წააგავდა.

„ჩემ სახლკარს ვერ მივატოვებ გიდიონ. მე და ჩემმა ცოლმა სიცოცხლე შევწირეთ ამ მიწას. ჩემი მიწა, აბა წარმოიდგინე, ჩემი საკუთარი მიწა! არც ბატონი მყავს, არც ზედამხედველი. ხანდახან მინდა დავინოქო და ვემთხვიო ამ მიწას. საკუთარი სახლი, წარმოიდგინე, საკუთარი სახლი! ვზივარ საკუთარ სახლში და ცოლს საკმელიც მოაქვს ჩემთვის. მონის ქოზი კი არაა, დილეგი კი არაა — ჩემი საკუთარი სახლია! მე ჩემს სახლში დავრჩები გიდიონ, მას ვერაფერს დამატოვებინებს“.

„შენი ბავშვები?“ შეეკითხა ძმა პიტერი.

„ისინიც ჩემთან დარჩებიან. არაფერი დაუშავედებათ“.

რვა წლის წინათ გიდიონი ვაცხარდებოდა. ხევწნას დაუწყებდა, ახლა კი მან უთხრა: „კარგი, ტრუპერ, თუ არ გინდა. კარგი, საჭირო არ არის, ეს შენი საქმეა“.



18 აპრილს, გაზაფხულის მთელი ამ ხანგრძლივი დღის განმავლობაში, კარულელები თავიანთი ფერმებიდან

დიდ სახლში გადადიოდნენ. ქალები ოთხთვალეებს ლოგინებით, ჭება-ქოთნებითა და სურსათით ავსებდნენ; თან მიჰქონდათ აგრეთვე განძად მიჩნეული ზოგიერთი პატარა ნივთები — კალენდარი, წიგნი ან ბიბლია, საკერავი კალათი, თაბაშირის სტატუეტი, ფერადი ლიტოგრაფია. ახლა უკვე ბევრს აღარ ლაპარაკობდნენ ამ ამბებზე. რაც კვირების განმავლობაში ბჭობის საგანი იყო. ნერვები ყველას დაძაბული ჰქონდა. მამაკაცები მოთმინებას ჰკარგავდნენ უმნიშვნელო წერილმანების გამო. იმის გამო, რომ ვიღაცამ სხვა ადგილას დასდო ხერხი ან ჩაქუჩი, იმის გამო, რომ ბავშვი, ფეხებში, ებლანდებოდა მათ; ქალები უმინუზოდ შფოთავდნენ და კაპასობდნენ; მაგრამ დიდ და ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტს ყველანი უსიტყვოდ, უცრემლოდ იღებდნენ. ოთხთვალეები ნელნელა იყრიდნენ თავს დიდ სახლთან.

გიდიონმა თან წამოიღო რამდენიმე წიგნი, ხოლო ჯეფმა თავისი ქირურგიული ხელსაწყოები და ჩარლსტონში ნაყიდი წამლების ნაწილი. თივის დიდ ფურგონში ლოგინი გაშალეს და საბრალო ფრედ მაკპიუ მოასვენეს. თან წაიღეს მთელი იარაღი, რაც კი შინ მოეპოვებოდათ: გიდიონის ძველი სპენსერი, მარკუსის საკავალერიო კარაბინი, ორი სანადირო თოფი და ერთი ცოლტის სისტემის გრძელლულიანი რევოლვერი რომელიც ერთი წლის წინათ იყიდა უაშინგტონში გიდიონმა. თან წაიღეს საუკეთესო სამზარეულო ჭურჭელი და თითქმის მთელი თეთრეული ლოგინისა, რეიჩელს უნდოდა დაეტოვებინა იგი, რადგან მისი თრევა ენანებოდა, მაგრამ ჯეფმა ყოველგვარი განმარტების გარეშე უთხრა მას: „ყველა წამოიღე!“

ძმა პიტერი და ალენბის ნაშვილევი ბიჭები პირველნი მოვიდნენ დიდ სახლში. სახლის გარეგნობა დიდად არ გამოცვლილიყო; აქა-იქ ბათქაში დაბზარუ-

ლიყო, აქა-იქ საღებავი ამქერალიყო, მაგრამ შორიდან ის მაინც ისევე ლამაზად და დიდებულად გამოიყურებოდა, როგორც წინით. მთელი ავეჯეულობა საჯარო ვაჭრობით იყო გაყიდული, მაგრამ ოთახების სიცალიერების ძველ დიდებულებას მაინც აქრობდა. დიდი ცენტრალური კიბე წითელი ხის მოაჯირებითა და მუხის საფეხურებით კიდევ უფრო დიად შთაბეჭდილებას ახდენდა ამ სიცალიერეში. წლობით დაგროვილ ქუქყსა, გამხმარ ფოთლებსა და ნაგავს შორის, რაც ცალიერ ოთახებში მოთამაშე ბავშვებს შემოეჩანათ. ძვირფასი პარკეტი მოსჩანდა.

ძმა პიტერის ქონება რამდენიმე ნივთით განისაზღვრებოდა და ამიტომ მისი გადაბარება სწრაფად მოხდა. მას თან მოჰყვა სამი ბიჭი, რომლებიც მისტერ ალენის სიყვდილის შემდეგ მასთან ცხოვრობდნენ. მათ მოსვლისთანავე ცოცხებს დასტაცეს ხელი და სახლის დასუფთავებას შეუდგნენ. ბიჭებს მალე სხვებიც მოეშველნენ. ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი ნაგვის გარეთ გატანა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ, როცა ოჯახების უმრავლესობამ დიდ სახლს მიაღწია, იგი ცოტად თუ ბევრად უკვე დასუფთავებულ-მილაგებული იყო. მოსულებს გიდიონი აბინავენდა. თუმცა სახლში ოც ოთახზე მეტი იყო, მაგრამ ყველა ცალკეცალკე მაინც ვერ მოთავსდებოდა და, მაშასადამე, ერთად ცხოვრება უხდებოდათ. გიდიონმა გადაწყვიტა დიდ სამეჯლისო დარბაზში მამაკაცთა საერთო დასაძინებელი მოეწყო. ქალები და პატარა ბავშვები მან საწოლ ოთახებში გაანაწილა ისე, რომ ოჯახები, რამდენადაც შესაძლებელი იყო, არ გათიშულიყვნენ. მამაკაცების ნაწილი, მოზრდილ ბიჭუნებთან ერთად, სასადილო ოთახში დაძინებდა; დღისით ეს ოთახი სასკოლო მეცადინეობისათვის უნდა გამოეყენებინათ. სურსათი სამზარეულოსთან არსებულ საკუქნაოში შეინახეს და გიდიონმა გამოკ-

ყო რამდენიმე ქალი, რომელთაც პროდუქტების გაცემა და საქმლის დამზადების მეთვალყურეობა დეველი ქალების მეორე ჯგუფს სახლის დალაგება-დასუფთავება დაეკისრა. მამაკაცები ჩამტვრულ ფანჯრებზე ქალაღებს აკრავდნენ, ხოლო პანიბალ უაშინგტონი და კიდევ ორი სხვა ადამიანი, ცისტერნში ჩაძვრნენ, რათა გამოერკვიათ, შეიძლება თუ არა მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანა. რაკი ცისტერნი ორ ფლიგელს შუა, სამზარეულოს კართან იყო მოთავსებული, გიდიონს აზრად მოუვიდა მისი გამოყენება კასრების ნაცვლად საჭირო წყლის შესანახავად. მზის ჩასვლისას ცისტერნი უკვე სუფთა იყო და უფროსი ბიჭები პანიბალ უაშინგტონის მეთაურობით უკვე ვედროებით ეზიდებოდნენ წყალს კიდან და ავსებდნენ ცისტერნს. ამასობაში გიდიონმა ხუთი თუ ექვსი ოთხთვალა გაგზავნა შეშის მოსაზიდად.

ზოგიერთმა, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავდა, ძროხაც მოიყვანა და თივაც მოზიდა. კარუელის ძველი ბოსლები და თავლები დიდი ხნის წინათ დამწვარიყვნენ; ამიტომ გიდიონმა განკარგულება გასცა ძროხები შენობის ორ ფლიგელს შუა მოთავსებინათ და გამოსასვლელი ოთხთვალეებით გადაელობნათ.

საოცარი იყო, რამდენი რამ გაკეთდა დაბინდებამდე. ასეთმა წარმატებამ ყველანი უზომოდ გაახალისა და გაამხნევა. უინთროპის გარდა მათ შორის უცხო არაყინ იყო. ერთმანეთს ყველანი იცნობდნენ ან დაბადებიდან, ანდა მრავალი წლის ახლო ურთიერთობით. ახალი ვითარება—ის, რომ ისინი ერთად იყვნენ, ერთმანეთს კირ-ვარამს იზიარებდნენ და შეეძლოთ ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს, შუალამემდე ესაუბრნათ, მხნეობასა და ხალისს მატებდა მათ. გიდიონმა ბრძანება გასცა 24 სანთელი დაენთოთ თვითიულ მთავარ ქალში; მათი შლიერი შუქი ათასნაირად ციმცი-

მებდა ბროლის საკიდრებში და მხიარულებას ჰყენდა ირგვლივ.

გიდიონმა მამაკაცები რაზმებად დაყო. სახლის სადარაჯოდ საკმარისი იყო ათი კაცი; თუ ყველანი მოზრდილი ბიჭების ჩათვლით, შენაცვლებით იმორიგეებდნენ, თვით სულ მათგანს კვირაში ერთ დღეს მოუწევდა დარაჯობა. მეორე რაზმს გიდიონმა ცხენების მოვლა დაავალა. მესამემ მიიღო განსაკუთრებული დანიშნულება — დავისა და ჩხუბის გარჩევა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთად ცხოვრება უძველესად დავისა და გაუგებრობას გამოიწვევდა და საჭირო გახდებოდა მათი მოწესრიგება.

ყუთებისა და ფიცრებისაგან გიდიონმა რალაც მაგიდის მსგავსი რამ მოაწყო. ბევრს თან სკამებიც წამოეღო, რაც მეტად საჭირო აღმოჩნდა ერთგვარი კომფორტისათვის. როდესაც პირველი ვაზმის ერთად მომზადებითა და ერთად ჰამით გამოწვეული ჩოჩქოლი მიწყარდა, გიდიონი მაგიდას მიუჯდა და დებულების წერას შეუდგა. ერთი მან „ნიუ-იორკ ჰერალდის“ რედაქტორის მისამართით გაგზავნა; ბენეტი თავის რეპორტიორებს თუნდაც ჯოჯოხეთში გაგზავნის ისეთი ამბების შესატყობად, რომლებიც იმის ნახევარ ღირებულება-საც კი არ წარმოადგენენ, რაც ახლა, შესაძლოა, კარუელში დატრიალებულიყო. მეორე დებუშა პრეზიდენტს გაუგზავნა, მესამე — სახელმწიფო მდივანს, მეოთხე — ფრედერიკ დუგლასს, ზანგების მოძრაობის ძველ, პატივცემულ მოღვაწესა და ლიდერს. ერთი დებუშაც გიდიონმა კარლოზს სახელზე გაგზავნა; იგი ამ დებუშაში აღწერდა საჯანგამო მღვდმარეობას და უკანასკნელად მოუწოდებდა სამხრეთის ყველა პატროსან ადამიანს გაერთიანებულიყვენ და ერთსულოვნად ემოქმედნათ. იგი სწერდა: „ნუ დავიციწყებთ, ფრენისს, რომ ჩვენ მარტო არა ვართ, რომ ჩვენს უარს დავემორჩილოთ ძალმომრეობასა

და ტერორს და ვალიაოთ ტირონი აუცილებლად შეუძლია ადაფრთოვანოს და გააერთიანოს სამხრეთის მრავალი ათასი პატროსანი მცხოვრები“. გიდიონმა გადასწყვიტა დებუშა გაუგზავნოს აგრეთვე რალფ უალდო ემერსონსაც და სთხოვოს მოხუცს ერთხელ კიდევ აღიმაღლოს ხმა სამართლიანობის დასაცავად. დაწერის შემდეგ ყოველ დებუშას გიდიონი მის გარშემო თავმოყრილ მამაკაცებს აძლევდა წასაკითხავად და შენიშვნების გასაკეთებლად. დაამთავრა დებუშების წერა, გიდიონმა მარკუსი განზე გაიხმო და უთხრა:

„მე მინდა, რომ ეს დებუშები შენ წაიღო. ეს მეტად, მნიშვნელოვანი საქმეა“.

მარკუსმა თავი დაუქნია.

„პირდაპირ კოლამბიაში წადი. თუ ეხლავე წახვალ, სწორედ დილით იქნები იქ, დებუშათა კანტორის გაღების დროს. ცხენით წადი. ებნერი თავის უნაგირს გათხოვებს. რაც არ უნდა მოხდეს, მარკუს, ჩემო ბიჭუნავ, გახსოვდეს, რომ დებუშები მაინც უნდა გაიგზავნოს. მერე აქვე დაბრუნდი“.

„დაებრუნდები“, მიუგო მარკუსმა.

გიდიონმა თვითონ გააცილა იგი. ისინი ერთად გავიდნენ სახლიდან. მარკუსს მაღალყელიანი წაღები ეცვა; ტყავის კურტაკში კოლტის დიდი რევოლვერი და დებუშები ეღო. იგი დარდიმანდულად გამოეთხოვა ყველას. ამკარად დარწმუნებული იმამი, რომ დავალებას პირნათლად შეასრულებდა. მას მოთმინება აღარ ყოფნიდა და წასვლას იჩქაროდა. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო, მშვენიერი ღამე ცხენით გასამგზავრებლად. პატარა ფაშატი ქარივით გაქროლდება, ვერაფერი შეაჩერებს მას, ვერაფერი დაეწევა, და რამდენსამე საათში მთელი ქვეყანა გაიგებს, თუ რა ხდება კარუელში. გიდიონი უცქერდა მარკუსს და გული სიამაყით ევსებოდა. ეს ხომ მისი ვაჟი იყო, ტანადი, უშიშარი, სიცოცხლით საესე და გოროზი კაბუჯი.

„ხომ არ გეშინია?“ ჰკითხა მან მარკუსს; ჰბაუკმა გაიღიმა მხოლოდ. როცა იგი ცხენზე ჯდებოდა, სახლიდან ჯგფი გამოვიდა. „გზა შშვიდობისა!“ უთხრა მას ჯგფმა, ხელი მუხლზე მოუჭირა და გაუღიმა.

„გმაღლობთ, ექიმო“, გაიკრიჭა მარკუსმა და მის ხმაში, როგორც ყოველთვის, როცა იგი ჯგფს ელაპარაკებოდა, გამაღიზიანებელი, — ნაწილობრივ ირონიისა და ნაწილობრივ პატივისცემის გამოხატველი—კილო გაისმა. „ერთ კოლოფ აბებს ჩამოგიტან“. მერე მარკუსმა ცხენი დასძრა და ნაბიჯით ჩაუყვა ფერდობს, დამალ ნანგრევთა გვერდით, რომლებიც ერთ დროს მონების ქონხანებს წარმოადგენდნენ.



ტრუპერის ცოლი, კეტი, სიტყვას ვერ შეუბრუნებდა თავის ქმარს. ქალს უყვარდა ქმარი, მაგრამ ეშინოდა კიდეც მისი. ტრუპერი ყველაზე დიდი ტანისა და ყველაზე ღონიერი იყო კარუელელ ვაჟკაცთა შორის, მაგრამ მას ქალივით რბილი ხასიათი ჰქონდა. გულის აჩუყება მისთვის იოლი იყო, როგორც თავშეკავებული რისხვის გამოწვევა მასში. კეტი შეჩვეული იყო ყოველივე ამას და ქმართან ცხოვრებით კმაყოფილი იყო. იგი პატარა ტანისა და სილამაზეს მოკლებული იყო, მაგრამ ტრუპერი მას მაინც კარგად ეპყრობოდა; იგი არასოდეს არ მრუშობდა სხვა ქალებთან, განუწყვეტლივ მუშაობდა, ოჯახს კარგად ინახავდა და არც ცოლისა და არც ბავშვებისთვის ხელი არასოდეს არ შეუხია. ტრუპერს ნაკლიც ჰქონდა — ავიღოთ ოთხნაღვი მისი ჯიუტობა; როცა რამეს აზოიჩემებდა, ვერაფრით ვერ გადაფიქრებინებდნენ. მაგალითად, რაკი სთქვა, გვარს არ დავირქმევო, რასაც 7. „მნათობი“ № 5.

ყველანი შერებოდნენ, შორჩა და გათავდა, უნდა დათანხმებულიყავ, ამაზე ლაპარაკის განგრძობა. მასთან მხოლოდ წყლის ნაყვა იყო. და ახლაც, როცა განაცხადა ჩემს სახლკარში უნდა დავჩეო, კეტის არც კი უსინჯავს მისი შეკამათება და მან თავის ორ პატარა გოგონას უთხრა: „ჩვენ აქ ვრჩებით“. დიდი სახლისაყენ მიმავალ ოჯახებს რომ უყურებდა, გული დარდით ეკუმშებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა?

კეტის თვალებს რული არ მიჰკარებია ამ ღამით. იგი სმენად გადაქცეული იყო ტრუპერის გვერდით და ყურს უვადებდა ყოველგვარ ხმაურს. იგი იწვა და ფიქრობდა იმ საშინელებაზე, რომელიც საცა იყო თავს უნდა დასტყულოდა მათ. წუთები და საათები ერთმანეთს მისდევდნენ, და უცებ მას რაღაც მოესმა.

კეტიმ ტრუპერი გააღვიძა: „გესმის?!“ „რა იყო?“

ტრუპერმა ყური მიუგდო და ფლოკეტების ჩქარი და თანაბარი თქარა-თქური გაიგონა. იგი ადგა ლოგინიდან, შარვალი ჩაიცვა, ოთახში შემოჭრილ მთვარის შუქზე თავისი სპენსერი მოძებნა და ფეხშიშველი წავიდა კარისაკენ.

„სად მიდიხარ?“ ჩურჩულით ჰკითხა კეტიმ.

„გარეთ გავალ. შენ აქ დარჩი!“

იგი გარეთ გავიდა და ხელში ჩაბლუჯული შაშხანით თავისი პატარა სახლის წინ დადგა, მერმე გაახსენდა, რომ ვაზნები არ წაუღია, უკან დაბრუნდა და ჯიბე ვაზნებით აივსო. ლოგინში ბავშვები შეიშმუშნენ; ტრუპერი დაიხარა. ხელი მოუთათუნა მათ და დაამშვიდა ისინი. შემდეგ კვლავ გარეთ გავიდა და სმენად გადაიქცა. იგი მთვარის შუქზე იდგა. წელზემოთ შიშველი შავი ვალიათი და ყოველ მცირე მოძრაობაზე

ძძღაერი დაბურცული კუნთები ტალღებივით დაგორავდნენ მის ტანზე.

თქარა-თქური შეწყდა, შემდეგ კვლავ მოისმა — იმ მიმართულებით, სადაც გიდიონის ფერმა იყო, და თანდათან მიწნელდა, რადგან გზა ფიქვენარზე გადიოდა შემდეგ გზა მთვარის შუქით გაჩირალდნებულ სერს მიჰყვებოდა, და ტრუპერმა ამ გზაზე დაინახა მხედართა რაზმი, რომელშიაც ოცდაათი კაცი მაინც იქნებოდა; ისინი ჯგუფად მიდიოდნენ თეთრი წამოსასხამებითა და თავზე კლენის წოწოლა ჩაჩებით. ტრუპერმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ჩუმად შეიგინა, მაგრამ არ განძრეულა. შემდეგ გზა კვლავ ეფარებოდა თვალს და ცხენების თქარა-თქურიც შესწყდა. ისინი, ალბათ, ჰანიბალ უამინგტონის სახლთან შეჩერდნენ. ისინი უკვე იმდენად ახლოს იყვნენ, რომ მათი ლაპარაკის ბუნდოვანი ხმა ტრუპერის სმენამდე აღწევდა. თქარა-თქური ისევ განახლდა. გზაზე შემდეგი უკვე ტრუპერის სახლი იყო.

ერთი წუთის შემდეგ ტრუპერმა ისინი ხის ჩრდილებში მოკიატე მთვარის შუქით დაინახა. მისმა მშვენიერმა სეტერმა ყეფა დაიწყო და ცხენების გუნდს გაბელებით და უხარო თავგანწირვით შეუტია. მხედრებს ფრთხილი, ნელი ნაბიჯით მოჰყავდათ ცხენები; შემდეგ ტრუპერის დანახვისთანავე ისინი სულ შეჩერდნენ. იგი უძრავად იდგა მათ წინაშე როგორც მთვარის სხივებით გაშუქებული უხარმაზარი შავად ბზინავი ბოძი, რომელიც ნაკლებად ჰგავდა ადამიანს. მათ შეამჩნიეს მის ხელში მკერდის გასწვრივ აწეული შემართული თოფი. ისინი კარგა ხანს იდგნენ და მერე კიდევ უფრო ნელი ნაბიჯით, კიდევ უფრო ფრთხილად გასწიეს წინ.

„რა გინდათ?“ ჰკითხა ტრუპერმა. სიტუაციითა და რისხვით აღსავსე მისი დაბალი ხმა ყრუდ გაისმა, როგორც შორეული ქექა-ქუხილი. კარის ზღურბლზე კეტი გამოჩნდა; ჩაჩიანი მხედრების

დანახვაზე მას ჰისტერიული კეითინი აუვარდა.

მოწინავე მხედარმა განცხადებით გვინდა ჰანიბალ უამინგტონი, ენდრიუ შერმანი და შენ.“

„აი, მე აქა ვარ“, მიუგო ტრუპერმა. „თოფი ძირს დასდე!“

„აი, მე აქა ვარ“, გამეორა ტრუპერმა და მისმა ხმამ ახლა კიდევ უფრო მეტი სიძულვილით დაიგუგუნა, თითქოს უხარმაზარ დაფს შემოჰკრესო. „ჩემს მიწაზე დგახართ! გაეთრიეთ აქედან, თქვე ძაღლის ნამოზნი!“

პატრონის ხმით წაქეზებულმა სეტერმა უფრო მეტი გაბელებით დაიწყო ყეფა და ერთ-ერთ ცხენს ეძგერა. ცხენი ყალუზე შედგა. ვილაცამ დაიძახა: „ჩაჩუმეთ ეგ სამგლე!“ უმაღვე რევოლვერმა დაიჭახუნა. ძალი ჰაერში გადატრიალდა, მიწაზე დაეცა და კრუნჩხვა დაიწყო. ტრუპერს რისხვისაგან სახე მოედრია; მან ხელი სტაცა თოფს და გაისროლა. ერთი ჩაჩიანი მხედარი უნაგირზე ჩაიყვია, შეტორტმანდა და ცალი ფეხით უხანგზე ჩამოკიდული გვერდზე გადაყირავდა. ცხენები შემოფოთდნენ და ფლოქების ცემა იწყეს. რამდენიმე თოფი გაეარდა ერთბაშად. ტყვიები ჩაქრჩებოვით მოხვდა ტრუპერის ტანს, მაგრამ მან მაინც წინ გადადგა ნაბიჯი. იგი პირდაპირ მხედრებისაგან მიიწევდა განიერ მკერდზე სისხლის ნაკადულებმა გამოჩქეფა. ზღურბლზე მდგომი კეტი შესლილივით ჰკივოდა. ვილაცამ დაიღრიალა: „ჩაბაღლეეთ ეგ პირუტყვი, ეგა!“

კვლავ გაეარდა თოფი, და ტრუპერი შეტორტმანდა. მის გარშემო ცხენები ტრიალებდნენ. ტრუპერმა თოფი მოიჭინა; თავდასაცავად აწეულმა კლენელის ხელმა ხელი ტოტივით, დაიტკაცუნა. ტრუპერმა კვლავ მოიჭინა და კონდახი მხედრის ლავიწზე ნაფოტებად იქცა, ხოლო გატეხილი ძვლის ნამსხვრევები მის მკერდში ღრმად ჩაერქო. მხედრები ახლა ველარ ესროდნენ ტრუპერს, რად-

გან საშიში იყო, თავისიანები არ დაეშავებინათ. ტრუპერმა ყალყზე შემდგარი ცხენიდან კიდეც ერთი ჩამოათრია და ისე შეანჯღრია შიშისაგან აჰყვილებული არამზადა, თითქოს ძალი ვირთხას აბურთაეებსო. ვიღაც ცხენიდან ჩამოხტა, თოფის ლულა ტრუპერის ზურგს მიამჯინა და გაისროლა. ვეებერთელა სხეული ჯერ შეინძრა, გახედა და მერე ცარიელი ტომარით ჩაიკეცა, კაცი, რომელიც მან ცხენიდან ჩამოათრია, მიწაზე ეგდო და კენესოდა, ხელმოტეხილმა ლავიწდამსხერეულმა მხედარმა ანაზდად არაადამიანური, მხეცური ღრიალი შორთო. დანარჩენები ტრუპერის უსიცოცხლო სხეულს ისევ და ისევ ახლიდნენ ტყვიებს. სახლიდან კეტი გამოვარდა და ცდილობდა ქმართან მისულიყო, მაგრამ მას ხელი სტაცეს თხელი ღამის პერანგი შემოახიეს და მიწაზე დასცეს. კეტი როგორღაც ხელიდან დაუსხლტა მათ, და მაშინ ერთმა ჩაჩიანმა მგზნებარებით რომ ფშლუკუნებდა, ქალს თავში თოფის კონდახი ჩაარტყა. თავის ქალა გასკდა, მკვდარი კეტი მიწაზე გაიშხლართა უაზროდ გაშლილი ხელ-ფეხით.

კლენელები ლავიწდამსხერეულს თავზე დაადგნენ, იგი კვდებოდა; ის კი, რომელსაც ტრუპერმა თოფი ესროლა, უკვე მკვდარი იყო. ირგვლივ უცნაური სიწყინარე იყო. ერთი მათგანი ბოსლისკენ გაემართა, ფიწლით თივა მოიტანა და სახლის ღია კარში შეჰყარა. მეორემ ასანთი ვაჰკრა. მათ კიდეც რამდენჯერმე შეუუკეთეს ცეცხლს თივა, სანამ სახლის წინა მხარე ალმა არ დაჰფარა.

მაშინ სახლიდან ბავშვების წივილი მოისმა. შიშმა, რომელმაც ისინი შებოჭა და აქამდე ენა ჩაეგდო, ახლა შემშარავი კივილის მსგავსად გადმოხეთქა. კლენელები შეშფოთებული იდგნენ ერთ ადგილას და სდუმდნენ.

„სახლში ბავშვები არიან“. სთქვა ვიღაცამ.

„ჯანაბამლისაც გზა ჰქონიათ, ისედაც

ბევრი არიან წყეული ზანგის კონტლები“, ჩაილაპარაკა მეორემ.

„სად ჯანაბაში გადაიქარგნენ ესენი ბირტყეები?“

„სად და მე ვეტყვიო, — ზემოთ, კარულების ძველ სახლში. სხვაგან სად უნდა იყვნენ?“

ბირველმა მოლაპარაკემ ბრძანა: „ჰარი, ქალაქში დაბრუნდი და ბენტლის ჰყითხე — კალპუნის ოლქის რაზმი სად ეშმაკებში არის-თქო? ბენტლი აქ ორასი კაცის გამოგზავნას დაგვირდა ამდამდე, სად ჯანაბაში არიან აქამდე?“ შემდეგ, თითქოს სხვათა შორის, დასძინა: „უთხარი, მეტი კლარკი და ჰეპ ლონისონი მოკლეს-თქო“.

და მერე კვლავ აღმოდებული სახლისკენ მიბრუნდა და ცქერა დაუწყო.



თოფის სროლის ხმამ ყველა გააღვიძა დიდ დარბაზში. მამაკაცები ფანჯრებთან შეჯგუფდნენ და მთვარის შუქით გაკაშკაშებულ ფერდობს დააშტერდნენ, საიდანაც თითქოს ჯერ კიდეც მოისმოდა სროლის ხმა. მერე თოფით ხელში განიერ აივანზე გაცვივდნენ. ისინი მოაჯირებთან დადგნენ და დამაბული თვალით დააშტერდნენ მთვარიანი ღამის ნისლის საბურს. ზემო სართულიდან ქალების ხმა მოისმა: „რა ამბავია? რა ამბავია?..“ ბავშვებმაც გაიღვიძეს და შეშფოთებით ახმაურდნენ.

რამდენიმე კაცმა სახლს შემოუარა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა.

გიდიონმა უშალეე მარკუსზე გაიფიქრა. მაგრამ ახლა უკვე დილის სამი საათი იყო და მან იცოდა, რომ მარკუსი უკვე შორს იქნებოდა კარუელიდან. აივანზე მდგომი გიდიონი ებნერ ლეიტს მიუბრუნდა: „როგორ გგონია, საიდან მოისმა სროლის ხმა?“

„თითქოს იმ მხრიდან, მოშორებით, სადაც ტრუპერის კარმიდამოა“.

ახლა ყველას ტრუპერი მოაგონდა და მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. „იესო მაცხოვარო“, წყნარად ჩაილაპარაკა ფრენკ კარსონმა. „აგერ, იქ შეხედეთ, იქ შეხედეთ!“ უცებ წამოიძახა ჰანიბალ უაშინგტონმა.

სადაც ბნელში წითლად ინათა; სიწითლე თანდათან მატულობდა. ჯერ ეგონათ თავლა ან ბოსელი იწვისო, მაგრამ მერე ცეცხლის ენები კიდევ მეტად აბრიალდნენ და ისინიც მიხვდნენ, რომ რაღაც გაცილებით უფრო დიდი იწვოდა, ვიდრე თავლა. დაფიონი ცას სწვდებოდა; დაბოლოს ვილაცამ გასაგონად წარმოსთქვა ის, რაც უკვე ფიქრად ჰქონდა ყველას.

„ეს ტრუპერის სახლია“.

„ბავშვები!.. იქ მისი ორი ბავშვია“

ყველანი სწრაფად დაეშვნენ აივნიდან, მაგრამ ისინი გილიონის ხმამ შეამერა: „შესდექით! გონს მოღიბეთ! ვერაფერ ვერ დაიმერის აქედან. ჰანიბალ, შეგიძლია შეუმჩნეველად მიიპარო იქ და გაიგო, რა მოხდა?“

ჰანიბალ უაშინგტონმა თავი დაუქნია და მყისვე აღვიწეს მოსწყდა. მისმა პატარა მარდმა სხეულმა აჩრდილივით გაიფლავა მთვარიან ღამეში და გაუჩინარდა. ჰანიბალის წასვლის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა; ზოგი აღმაცერად შესცქეროდა გილიონს.

„ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ და ერთად ვმოქმედებდეთ“, სთქვა გილიონმა. „მეტყვენე და მამყენეთ უფროსად. მამასადამე, დაემორჩილეთ ჩემს ბრძანებას, ანდა სხვა ვინმე აირჩიეთ მეთაურად“.

„კარგი, გილიონ“, წყნარად სთქვა ებნერ ლიტმა.

„ჯემს, ენდრიუ, ეზრა! წადით და სამი მხრიდან უდარაჯეთ სახლს; ოცდაათი იარღის მოშორებით დადექით სახლიდან ცალცალკე და, თუ რამეს მოკრათ ყური ან რაიმე შენიშნოთ, მაშინვე დაგვიძახეთ“.

ხალხს სამი კაცი გამოეყო და წავიდა. აივანზე რამდენიმე ქალი ჩამოვიდა ზე-

მოდან და ჩურჩული დაუწყეს მამაკაცებს. გილიონმა ქალები უკანვე გაგზავნა და უბრძანა მათ, ბავშვები დაეძინებინათ. მაგრამ ამ ღამით ყველას დაუფრთხა ძილი კარულში. დრო გადიოდა; ყველაფერი წყნარად იყო. მამაკაცები ჯგუფჯგუფად დანაწილდნენ და შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობდნენ ჩურჩულით. ზოგიერთი კიბის ფართო საფეხურებზე ჩამოვდა, ზოგი დორიულ სვეტებს მიეყრდნო, რომლებიც ამ ბნელ ღამეში მთელი სიდიადით გამწკრივებულიყვნენ. ყველა იმ ფერდობს მისჩერებოდა, სადაც ერთი საათის წინათ ჰანიბალ უაშინგტონი გაუჩინარდა; ბოლოს მათ შენიშნეს, რომ ფერდობზე ვილაც მოცოცავდა.

„ჰანიბალ?“

იგი აქოშინებული მოვიდა, მათთან, თავით-ფეხამდე სველი ცერისაგან. ცოტა ხანს სანამ სულს ამოთქვამდა, მან ლაპარაკი ვერ შესძლო. შემდეგ ყველაფერი უამბო მათ, რაც ნახა.

„ბავშვები სად არიან?“

მან თავი გაიქნია. „აღბათ დაიწვენენ“, სთქვა მან და დასძინა: „რამდენადაც შემეძლო, ახლოს მივცოცდი; მოკლულები ძალიან კარგად დაეინახე. იმათი ლაპარაკიც გაგიგონე“.

„რა გაიგონე?“ ყრულ ჰკითხა გილიონმა.

„ორასამდე კაცს უცდიან კალჰონის ოლქიდან. კლენის მეორე განყოფილება დაჰპირებია კიდევ ხალხის გამოგზავნას სამხრეთიდან, მათ სთქვეს — სამხრეთიდანო. აღბათ ჯორჯილიდან, მათ იციან, რომ ჩვენ აქა ვართ, ამ სახლში“.

აივანზე მდგომ ერთ ჩვიდმეტი წლის ბიჭს უცებ გული აერია; იგი აივანის მოაჯირზე გადაეყუდა პირისღებინების მწვევე კონვულსიებით შეპყრობილი. დაფიონი უკვე ჰქრებოდა მაგრამ ერთმა მათგანმა ახლა მეორე მიმართულეობით გაიხედა და მყისვე ყველამ იქითკენ მიაპყრო თვალი. იქ, ბნელი ხეების ზე-

მით, წითელი ფერის ახალი წერტილი გამოჩნდა; ამ წერტილის ზრდასთან ერთად მამაკაცები ზედიზედ მობრუნდნენ და ებნერ ლეიტს დაუწყვეს ცქერა. იგი კიბეზე იდგა, დიდი წითელი მუშტები მოეკუმშა და ქვედა ტუჩისათვის კბილები ისე დაეკირებინა, რომ ნიკაზე სისხლი კამკამით ჩამოსდიოდა. უცებ მან ტირილი დაიწყო, თუმცა მის გრძელ, მზისაგან გარუჯულ სახეზე ერთი კუნთიც არ შერხებულა; ცრემლები კი ლაპაღუპით მოგორავდნენ გამხდარ ლაწვებზე. მან ჩურჩულით წარმოსთქვა:

„არამზადები—ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ყველაფერი, რაზედაც ვოცნებობდი... ღმერთმა შეაჩვენოს ის არამზადები, ღმერთმა შეაჩვენოს ისინი!.. ადამიანი მუშაობს, აშენებს. მომავალზე ფიქრობს, ოცნებობს... ღმერთმა შეაჩვენოს ისინი“...

„გიდიონ, რატომ არ უნდა შევაჩეროთ ისინი? რას უნდა ველოდოთ? ყველაფერი რომ გადააბუგონ?“ იკითხა ჰანიბალ უაშინგტონმა.

„სწორედ ამიტომ გვიწვავენ სახლებს, თავის ჩაქნევით უბასუხა გიდიონმა. „მათ უნდათ აქედან გარეთ გამოგვიტყუონ“.

„წავალ იქ“, სთქვა ებნერ ლეიტმა.

„არა, ვერსადაც ვერ წახვალ. ჩვენ ნება მივეციტ ტრუბერს დარჩენილიყო, და ახლა მკვდარი წევს იქა და ცოლიც გვერდით უწევს“.

„წავალ, გიდიონ“.

„არა, ვერ წახვალ!“ გიდიონის ხმა მტკიცე და უდრეკი იყო.

და ამ დროს რაღაც მოხდა. ეზრა გოლდენის ყვირილი გაისმა. მათ სმენას უკვე სწვდებოდა ფლოქვების ყრუ თქარათქური. ცხენები ბლომად უნდა ყოფილიყვნენ და ალბათ ნაბიჯით მოდიოდნენ; მალე მთვარის შუქით განათებულ ნისლის საბურველში ჩაჩიანი აჩრდილები გამოჩნდნენ. ასე ასორმოცდაათი იარღის მანძილზე თეთრმოსასხამიანი ცხენოსნების რაზმი შეჩერდა. ახლა ისინი

ოცზე მეტი იყვნენ, გაცილებით უფრო მეტი.

„პეი, თქვენ!“

„რა გნებავთ?“ გასძახა გიდიონმა. „ვინა ხართ?“

„რას მიქპარავ, ჯეკსონ! ძალიან კარგადაც იცი, ვინცა ვართ. ჩვენ ის სამი ზანგი გვინდა“.

„პასუხის გაცემა ზედმეტია“, სთქვა გიდიონმა. „ამაია“.

„მათ წასაყვანად მოვედით, ჯეკსონ უნდა ჩაგვებაროთ, თორემ ერთ ქოხსაც არ დაეტოვებთ დაუწვავს!“

გიდიონმა მკვეთრი ზრქანება გასცა: „გაიშაღენით სახლის ირგვლივ ჩაწეკით ბალახებში! არ ისროლოთ, სანამ ორმოცდაათი იარღის მანძილზე არ მოვლენს“ მამაკაცთა უმეტესობამ აივნიდან ძირს ჩაირბინა, ისინი მყისვე გაიფანტნენ და ბუჩქნარსა და შარშანდელ გამხმარ ბალახებში მიიმალნენ. აივანზე დარჩენილნი იატაკზე გაწვენენ. გიდიონი, ებნერი და ძმა პიტერი ერთ-ერთ სვეტს ამოეთარნენ. გიდიონმა ებნერს გადაბედა; ებნერი სასროლად იმარჯვებდა თავის გრძელ შაშხანას — ძველ, მაგრამ შარპის კაპსულიან ადვილსამიზნო თოფს. იგი უძრავად იდგა გაქვავებული; ცრემლები კი ისევ მოგორავდნენ მის ლაწვებზე. „ღმერთო მოგვიტევე“, წაიჩურჩულა ძმა პიტერმა, „ღმერთო მოგვიტევე!“ გიდიონმა თავის სპენსერი შემართა და დაუმოხნა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი აღამიანს იღებდა ნიშანში? ქვეყნად მკვლელობაზე უფრო უგუნური და სულელური არაფერი მოიბოგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხოლოდ მას შეეძლო გადაეწვიტნა, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. თეთრი მწკრივი წინ წამოვიდა, ჯერ ჩქარი ჩორთით, შემდეგ კი უფრო ნელი ნაბიჯით ასი იარღის მანძილზე ებნერ ლეიტის გრძელმა შაშხანამ იელვა და ერთმა მხედარმა ცხენიდან ძირს ზღართანი მოადინა, თეთრმოსასხამიანებმა სროლა ასტეხეს. სამოცდაათხუთმეტი იარღის მან-

ძილზე. მიუხედავად გიდიონის მიერ მიცემული გაფრთხილებისა, აქა იქ სახლის გარშემო საპასუხო სროლის ხმა გაისმა. ცხენიდან კიდევ ერთი ჩამოვარდა, მეორემ სიმწარით დაიწვილა. თეთრი მწყრივი შეჩერდა, შეიჩხა, ცხენები მიაბრუნა, გააქენა და მთვარის შუქის ბინდბუნდში გაუჩინარდა.

მამაკაცები აივნიდან ნელა ჩამოვიდნენ. ორი თეთრიანი ბალახში იწევა; ორმა კარუელელმა ჩანები გადახადა მათ. ორივე მკედარი იყო. ორივე უცხო, — კარუელელებიდან თვალითაც არავის ენახა ისინი აქამდე.

ამ პირველ შეტაკებაში არც ერთი კარუელელი არ დაშავებულა, მაგრამ ის მცირე ხალისიც კი, რომელიც მათ ამის გამო იგრძნეს, მყისვე გაჰქრა, როცა ცაში ხანძრის ახალი დაფიონები აპრიალდა. სახლები და ბედლები ზედიზედ მოგიზგიზე კოცონებად გადაიქცნენ. მზე ამოვიდა, სახლები კი ისევ იწვოდა და ნაცრისფერი კვამლის გრძელი ზოლები ცაში იგრჩებოდა.

ქალებმა საუზმე მოამზადეს; ხალხმა კიდევაც სჭამა, მაგრამ სუფრაზე ყველანი ჩუმად ისხდნენ, არც სიცილი და არც ლაპარაკი ისმოდა. გიდიონს მხოლოდ ის აზრი ანუგეშებდა, რომ მარკუსს ახლა უკვე გაგზავნილი ექნებოდა დეპეშები.



მარკუსმა ცხენი ნაბიჯით ჩაიყვანა ფერდობზე და მერე მოკლე გზას დაადგა, რომელიც კარუელის საძოვრებზე გადიოდა, სადაც ძველად საუკეთესო ჯიშის საჯირითო ცხენებს აბალახებდნენ. ამგვარად მარკუსმა სრულიად აუარა გვერდი ახალ გზასაც და ჭაობზე გაყვანილ ჯებირსაც, და პირდაპირ გზატკეცილზე გავიდა. პატარა ფაშატი მწყობრი და თანაბარი ჩორთით ჰყეცავდა მანძილს, კარუელიდან დაახლოებით რვა მილის მანძილზე, როცა მარკუსმა სადა-

ვს მოსწია, რომ ცხენს ცოტა შეესვენებინა, მან გაიგონა მრავალი ცხენის ანკრებული ფეხის ხმა. მარკუსი ჩამოქვეითდა, ფაშატი გზიდან მომცრო ფიჭვნარში გადაიყვანა. თანაც ალერსიანად ეჩურჩულებოდა პირუტყვს და ფაფუკდრუნჩზე ხელს უსვამდა. იქ ღგომისას მან შენიშნა გზაზე დაახლოებით ოცი მხედრისაგან შემდგარი რაზმი, კლენის თეთრი ჩანებით თავმორთული რაზმი, რომელიც ცხენებს მოაქენებდა. მარკუსი დაელოდა, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ და მათი ფეხის ხმაც არ მისწყუდა; შემდეგ იგი კვლავ ცხენს მოახტა და გზა განაგრძო.

ამ მხედართა გამოჩენამ პირველად ძალზე შეაშფოთა მარკუსი. ისინი, ცხადი იყო, კარუელისაკენ მიდიოდნენ. მარკუსმა გაიფიქრა: იქნებ საჭიროა უკან დაებრუნდე, ცხენი დაუზოგავად ვაქენო და ჩვენები გავაფრთხილო. მაგრამ ის მიხვდა, რომ ოცი კაცი დიდ სახლს ვერაფერს დააკლებდა, რომ მამამისი ფხოზლად იქნებოდა და უკვე მიიღებდა საჭირო ზომებს. ხოლო თერთონ უკან დაბრუნებისას, ადვილი შესაძლებელი იყო, კლენელებს ჩავარდნოდა ხელში და მოეკლათ. ასეთი ფიქრებით გართულმა მან ცხენს დეზიჰკრა და გააქანა.

გარიერაზე, როცა ღამის ცას ნაცრისფერი წამოეპარა, მარკუსმა სადავეს მოსწია და ცხენი ნაბიჯზე გადაიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ გზიდან პატარა მღელღელზე გადაუხვია. ფაშატი მძიმედ წმინავდა; დასვენება ორივეს ესაჭიროებოდა. მარკუსიც ძლიერ დაიღალა. მან სადავე მაჯაზე დაიხვია და წამოწვა ერთი წუთით, მხოლოდ სული რომ მოეთქვა. მან თითქმის ერთი წამით თვალები დახუჭა, მაგრამ ცხენმა მალე სადავე დაქომა და მას გამოეღვიძა. თაკარა მზე უკვე კარგა მაღლა ასულიყო. მარკუსმა საათს დახედა; უკვე მეცხრე იყო დაწყებული, მამასაღამე მთელი ერთი საათი სძინებდა იგი ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა.

თითქმის ათი საათი იყო, როცა მარკუსი კოლამბიაში შევიდა.

იგი პირდაპირ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას მიადგა, ცხენი ლობეზე გამოაბა ქუჩაში და თვითონ შიგ შევიდა. მცირე ძილს იგი მაინცდამაინც ვერ გამოეცოცხლებინა; მარკუსი ძლიერ დაღლილი იყო; მას უნდოდა მალე მოეთავებინა საქმე, ქალაქიდან გასულიყო. ფიქვის ტევრში ჩრდილი მოეჭებნა და ძილისთვის მიეცა თავი. ძიძიბებიანი ბიჭი იქ არ იყო; მაგიდასთან იჯდა მხოლოდ მოღუშული, შავგვრემანი, ორმოცი წლის ასაკის ტელეგრაფისტი. იგი ერთი წუთით უსიტყვოდ შეამტერდა მარკუსს, მერე ადგა და მოაჯირის მოადგა.

„რა გინდა, ბიჭო?“

მარკუსმა დეპეშები ამოალაგა.

„აი, გაგზავნეთ, გეთაყვათ“.

ტელეგრაფისტმა თვალი გადაავლო ქაღალდებს და სთქვა: „ამას ბევრი ფული დასჭირდება“.

მარკუსმა ხუთი ათდოლარიანი ქაღალდის ფული ამოიღო და დახლზე დასდო.

„რაღაც ძლიერ ბლომადა გაქვს ფული, საიდან უნდა ჰქონდეს ზანგს ამდენი ფული“.

მარკუსს მოაგონდა გიდიონის სიტყვები: „დეპეშები უნდა გაგზავნო. შენი იმედი მაქვსო“ და მარკუსმა, რაც შეიძლებოდა, შემპარავი და მლიქვნელური კილოთი უთხრა: „ეს დეპუტატ ჯექსონის დავალება გახლავთ. ფულიც მან მომცა“.

„მართლა?“

„პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მისტერ. გეუბნებით, რომ მან მომცა“, სთქვა მარკუსმა.

ტელეგრაფისტი დეპეშების კითხვას შეუდგა. მერე თვალმახვილად დააკვირდა მარკუსს, მის დამტვერიანებულ, ტალახის შხეფებით დასერილ ტანსაცმელს და შემდეგ ფანჯარაში გადაიხედა და ლობეზე გამობმულ ცხენს დააქებრდა. მარკუსმა ხელი კურტაკის ჯიბეში ჩაი-

ყო და თითები კოლტის ტანს შემოაკლდო. ტელეგრაფისტმა წაიკითხა კიდევ ერთი-ორი დეპეშა. მერე ყველა ერთად შეაქუჩა და სთქვა:

„კარგი გავგზავნი“ და ხელი წაავლო ფულს.

„ახლავე გადაეცით, სანამ მე აქ ვარ“. უთხრა მას მარკუსმა. ტელეგრაფისტის წმაში სიბრაზე გამოკრთოდა:

„შენ, ეი, ამდენი დეპეშის გადაცემას დრო უნდა, ძალიან დიდი დრო. ზანგისაგან ჰკუის სწავლება არ მჭირდება, ჩემი საქმე მე თვითონ ვიცი. აქედან მოუსვო, დეპეშების გაგზავნასთან შენ არაფერი გესაქმება“.

„მე ფული გადავიხადე. ახლავე გადაეცით“, უთხრა მარკუსმა.

„აქედან გაეთრიე!“

მარკუსმა კოლტი იძრო და დახლზე დააყრდნო; ლულა პირდაპირ ტელეგრაფისტის მუცელს დაუმიზნა; თავისი სხეულით იგი ისე ჩამოეფარა ტევეოლვერს, რომ მისი დანახვა ეზოდან ან კარებიდან არავის შეეძლო; თითი ჩანჩახზე ჰქონდა მოდებული. „ახლავე გადაეცით“, „დაჯექით აპარატთან და დაიწყეთ გადაცემა“.

ტელეგრაფისტი გაფითრდა, ქვედა ტუჩი აუცახცახდა. მან ბორძიკით დაიწყა: „დასწყევლოს ღმერთმა...“

„დაიწყეთ გადაცემა“, გააწყვეტინა მარკუსმა. „გირჩევნიათ დავიდარაბა არ ატეხოთ. რასაც გადასცემთ, მე შეცოდიწება“.

ტელეგრაფისტი მაგიდასთან მივიდა და სკამზე დაჯდა ისე, რომ მარკუსისათვის თვალი არ მოუშორებია. მან დეპეშები გაშალა და ხელი შეახო აპარატს. მერე აპარატმა ტაკა-ტუკი დაიწყო: „ყურადღება ცენტრალური ყურადღება ცენტრალური ლაპარაკობს კოლამბიის სადგური სამტერსტრიტი გაუწყებთ ზანგების თავდასხმას სადგურზე ტელეგრაფით აცნობეთ ვაგზალს შეატყობინეთ პოლიციას ყურადღება...“

ტელეგრაფისტი სიგნალს განუწყვეტ-  
ლივ იმეორებდა. მან ისეთი სახე მიიღო,  
თითქოს პირველი დეპეშის გადაცემა  
დაამთავრა, ქალაღი დაჰმუქნა და კა-  
ლათში ჩააგდო; მერე ვითომ მეორე დე-  
პეშის გადაცემას შეუდგა. ოთახში ძიძი-  
ბებიანი ბიჭი შემოვიდა. მარკუსმა შეხე-  
და მას და რევოლვერით ანიშნა: „აი იქ,  
კედელთან დადექ“. ბიჭი კედელთან  
დადგა პირდაღებული, შიშისაგან ენა ჩა-  
ვარდნილი. აპარატს ისევ ტაკ-ტუკი გა-  
ჰქონდა: „ყურადღება ცენტრალური  
იძულებული ვარ განვაგრძო გადაცე-  
მა“... მან მესამე დეპეშაც დაამთავრა,  
დაჰმუქნა და კალათში გადაისროლა.  
სადგურში კომერსანტის გარეგნობის  
ხანშიშესული კაცი შემოვიდა. მარკუსმა  
მასაც რევოლვერით ანიშნა და ისიც  
კედელთან დადგა ბიჭის გვერდით. ტე-  
ლეგრაფისტმა მეოთხე დეპეშაც ჩააგდო  
კალათაში. აპარატი კვლავ ტიკტიკებდა.  
მალე მესუთე და მეექვსე დეპეშაც კა-  
ლათაში აღმოჩნდა.

„გავათავე“, ხრინწიანად წაიბუტბუტა  
ტელეგრაფისტმა.

„ადგილიდან არ დაიძრაო!“ უთხრა  
მათ მარკუსმა და უკან-უკან წავიდა გა-  
სასვლელისაკენ. „ფეხი არ მოიცვალოთ.  
არ გაინძრეთ!“ იგი ზურგით გავიდა  
კარში, ქუჩაში რევოლვერი ისევ ხელში  
ეჭირა. იგრილა თოფმა და მარკუსმა  
მარცხენა მკლავში საშინელი ტკივილი  
იგრძნო. თითქოს გავარჯიერებული ჩაქუ-  
ჩი დაჰკრესო. დამსხვრეული მკლავი უმ-  
წეოდ ჩამოეკიდა. ამ ტკივილის მაგვარი  
მარკუსს არაფერი განეცადა აქამდე.  
როგორც იყო იგი ფეხზე დარჩა, რევოლ-  
ვერი კი ხელიდან გაუვარდა. იგი ბარ-  
ბაციტ მივიდა თავის ფაშატთან, ახსნა  
იგი და შეეცადა უნაგირზე აფორთხებუ-  
ლიყო. ქუჩაში თოფებით შეიარაღებუ-  
ლი ორი კაცი მობოდა. ერთი მათგანი  
შესდგა და თოფი მარკუსს დაუმიზნა.  
ვახურებული შანთი ახლა ბარბაცეში გაე-  
ჭედა მარკუსს. მოპირდაპირე შესახვევი-  
დან კიდევ ოთხი შეიარაღებული კაცი

გამოვარდა. ხალხი უკვე ყოველი მხრი-  
დან მობოდა.

მარკუსი უნაგირს ჩააფორთხა, რო-  
გორც იყო ერთი ფეხი ცხენის გავაზე  
აიტანა და შესძახა: „მოჰკურცხლე, ვი-  
რიმე, მოჰკურცხლე“. ცხენი მოსწყდა  
ადგილს და გაჰკურცხლა თავისი სწორი  
მწყობრი და მოსხლეტილი ჩორთით.  
მარკუსი ირიბად იყო გაწოლილი უნა-  
გირზე. შაშხანებით შეიარაღებული ადამი-  
ანიები შეჩერდნენ. მიზანში ამოიღეს  
იგი და გულდასმით დაუწყეს სროლა,  
თითქოს საგარჯიშო სასროლო მოედან-  
ზე ყოფილიყვნენ. თოფები ზედიზედ  
სვექდნენ და მარკუსის ტანს ტკივილები  
ფლეთდნენ. ერთი ტყვია ფაშატს მოხე-  
და; ცხენმა წაიფორხილა და დაეცა; მარ-  
კუსი მიწაზე დაგორდა. ცხენმა გამწარე-  
ბით დაიბიხვინა, წამოხტა და წინ გაქან-  
და. შაშხანებით შეიარაღებული ადამი-  
ანიები ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ  
მარკუსს; ისინი ორი-სამი ნაბიჯის გა-  
დადგმისთანავე ჩერდებოდნენ, თო-  
ფებს სტენიდნენ და კვლავ ისროდნენ.  
ბოლოს მიხედნენ, რომ ზანგი უკვე  
მკვდარი იყო. მაშინ ისინი ახლოს მი-  
ვიდნენ მასთან და ერთმა მათგანმა ფე-  
ხით გადმოაბრუნა ბიჭის გეამი.

•  
•

დიდ სახლში პირველი საუზმის შემ-  
დეგ გიდიონმა განზე გაიხმო ბენჯამინ  
უინტროპი და უთხრა: „გინდათ კიდევ  
დარჩეთ? თქვენ იქნებ, გაგიშვან“.

„მთელი ღამე ვფიქრობდი ამაზე“,  
უპასუხა უინტროპმა. იგი გაუპარსავი  
იყო და უსიცოცხლოდ გამოიყურებო-  
და. „დავრჩები თუ გნებავთ. მე მგონია,  
შემიძლია რითიმე მეც დაგეხმაროთ“.

„გმაღლობთ. ღმერთმა ჰქნას, სანანებ-  
ლად არ დაგრჩეთ“.

„მე ეს გულდასმით აფრონ-დაფრონ“.  
სთქვა უინტროპმა. „ვეცილობ არასო-“

დენ არაფერი გაეკეთო ისეთი, რომ მე-  
რე სანანებლად დამჩხეს“.

„ქარგი იქნებოდა, ზემო სართულში  
რომ აიყვანდეთ ბავშვებს და რამე გაკ-  
ვეთილებს მოაწყობდეთ“, სთქვა გილი-  
ონმა. „შმა პიტერი დაგეხმარებათ. ხომ  
იცით, რა ძნელია მათთვის მთელი დღე  
ამ გამოკეტულ კარებში ჯდომა. ასეთი  
ამბავი საშინელებაა ბავშვებისათვის.  
მათ ხომ არ ესმით, რაშია საქმე. ხომ არ  
შეგეძლოთ სრულიად მარტივად აგეხს-  
ნათ როგორმე მათთვის, თუ რატომ ვიშ-  
ყოფებით ჩვენ აქ და რას ვაკეთებთ.  
ეს ძალიან კარგი იქნებოდა..“

„ვეცდები“. მიუგო უინტროპმა.

„მხოლოდ ნუ შეაშინებთ მათ, პირი-  
ქით ეცადეთ იმედი ჩაუნერგოთ გულში.  
მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უიმედობის სა-  
ფუძველი არა გვაქვს“.

უინტროპმა თავი დაუქნია და შმა პი-  
ტერთან მოსალაპარაკებლად წავიდა. ამ  
დროს ქალებს თითქმის ყველას სასადი-  
ლო ოთახში მოეყარათ თავი. გილიონმა  
სიტყვით მიმართა მათ. სრულიად მარ-  
ტივი სიტყვებით დაუფარავად და გულ-  
ახლილად აუხსნა მათ შექმნილი მდგო-  
მარეობა.

„მოხდა მხოლოდ ის, რის თავიდან  
აცილებაც შეუძლებელი იყო“. სთქვა  
მან. „ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდ-  
გეთ. ტრუპერმა საკუთარი გზა აირჩია  
და თქვენ იცით, რა შედეგი მოჰყვა ამას.  
ჩვენ ერთად-ერთი იმედი ისაა, რომ ეს  
ამბავი ერთად გადავიტანოთ. ერთად  
აეაშენოთ ხელახლა ყველაფერი, ხე-  
ლახლა შევექმნათ ისეთი მტკიცე და კარ-  
გი რამ, რაც ღირსი იქნება იმ საფასუ-  
რისა, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხდით. მე  
მტკიცე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამას მო-  
ვახერხებთ. ეს სახლი ხელსაყრელი პო-  
ზიციაა. ამის დაცვა ადვილია. სურსათ-  
სანოვაგის მარაგი ბლომად გვაქვს და  
წყალიც უხვად მოგვეპოვება, არ გვაკ-  
ლია არც მედიკამენტები და არც ექიმი.  
მისტერი უინტროპი თანახმაა ჩვენთან  
დარჩეს და ბავშვებს ასწავლოს. ჩემის

აზრით ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.  
მე ვფიქრობ, რომ სასკოლო მუცადინეო-  
ბის გაგრძელება შესაძლებელია იგი  
კიდევაც გაგრძელდება, რაც არ უნდა  
მოხდეს. ჩვენ აქ, არსებითად, მთელი  
თემი ვართ, და მთავარი საკითხი ამჟამად  
ესაა — შევძლებთ თუ არა ჩვენ, ამდენი  
ცალკე-ცალკე ოჯახი, ერთად ცხოვრე-  
ბას, რამდენ ხანსაც არ უნდა გასტანოს  
ამ ამბავმა, და შეგვწევს, თუ არა ჩვენ  
უნარი ერთსულოვნად გაეინაწილოთ სა-  
ჭირო ხნის განმავლობაში მთელი შრომა  
და ზრუნვა? მე მგონია, რომ შეგვწევს  
ამის უნარი და ყველაფერი შეგვიძლია.  
წარსულში ჩვენ ამაზე უფრო მეტი სიძ-  
ნელე შეგვხვედრია, მაგრამ ჩვენ ყველა-  
ფერი დაეძლიეთ, რადგან ერთად ვმოქ-  
მედებდით. აქ, ამ სახლში, ჩვენ ზანგე-  
ბიცა გვყავს და თეთრებიც. ზანგები  
თეთრებს თითქმის ერთი-ორად სჭარბო-  
ბენ. ჩემის აზრით, ამან ხელი არ უნდა  
შეგვიშალოს. ჩვენ უყვე ვისწავლეთ  
ერთად ცხოვრება და ერთად მუშაობა,  
ვისწავლეთ ერთმანეთის პატივისცემა.  
ჩვენი მტრები ამ ფაქტს უარყოფენ. მათ  
ჩვენ სახლები დაგვიწევს იმის დასამტკი-  
ცებლად, რომ უფლებას და სამართალს  
ისინი ანსახიერებენ. ჩვენ ჩვენი სიმართ-  
ლის დასამტკიცებლად სხვა საშუალებე-  
ბი მოგვეპოვება. ჩვენ არ გვწამს ტერო-  
რი, მკვლელობა, ნგრევა. ჩვენ იარაღს  
მოვიკიდეთ ხელი, მხოლოდ იმისათვის,  
რომ დავიცვათ საკუთარი სიცოცხლე.  
საკუთარი მიწა-წყალი და ჩვენ დაფუძ-  
ვნილებთ მთელს ამერიკას, რომ ჩვენ  
კანონის მორჩილი, დისციპლინიანი და  
თავისუფლების მოყვარე ხალხი ვართ.

გუშინ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყო-  
ველი ჩვენგანი წინანდებურად იმუშა-  
ვებდა თავის ნაკვეთზე, მაგრამ ჯერჯე-  
რობით ეს შეუძლებელია. სახლიდან  
გასვლა არაის არა შეუძლია განსაკუთ-  
რებული ნებართვის გარეშე. მამაკაცებს  
თავისი საქმე ექნებათ. სახლის გამგეზ-  
ლობა კი თქვენ, ქალებს გეკისრებათ.  
სამშენი თქვენ უნდა გაანაწილოთ და

ამაში პასუხიც თქვენ მოგეთხოვებოდა. ავადმყოფებსა და დაპირილებს უნდა მოუხაროთ, თუ დაპირილები გვეყოლა. თქვენვე უნდა გააყეთოთ ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს სახლის მეურნეობასთან.

დასასრულ, ძალიან გთხოვთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით. თქვენ იქნებ ფიქრობთ, რომ ჩვენ აქ მარტონი ვართ. ჩვენ მარტონი არ ვართ. ჩვენ აქ წარმოვადგენთ ამერიკის ნაწილს, იმ ხალხის, იმ მრავალზე მრავალი კეთილი და პატიოსანი ადამიანების ნაწილს, რომლებიც ერთად ჩვენს ერს შეადგენენ. ისინი ჩვენ არ მიგვატოვებენ“.



მთელი დღის განმავლობაში გიდიონი და სხვები თვალყურს ადევნებდნენ მინდვრის შორეულ კიდურში მოფუსფუსე ადამიანთა პატარა ფიგურებს, რომლებიც ხან ტყეში იმალებოდნენ, ხან კვლავ ტყის პირას ჩნდებოდნენ. ისინი თითქოს ყოველგვარი მიზნისა და წესრიგის გარეშე მოძრაობდნენ და სახლს კი სათოფეზედაც არ ეკარებოდნენ. რამდენიმეს ისევ თეთრი ხალათი ეცვა და თავზე ჩაჩი ეხურა, მაგრამ უმრავლესობას ეს სამოსელი უკვე გაეხადნა. წინა ღამის ნახულითა და იმის მიხედვით, რასაც ახლა კარუელელები ხედავდნენ, მათ გამოიანგარიშეს, რომ კარუელის კარმიდამოზე ასორმოცდაათი კლენელი მაინც იქნებოდა. დღეს, დღის თერთმეტ საათზე მათ კიდევ მოემატათ დაახლოებით ორმოცდაათი კაცი. ისინი სამხრეთიდან მოვიდნენ ცხენებით და ტყეში მყოფთ შეუერთდნენ. ახალმოსულებიდან ბევრი გარს უვლიდნენ გორაკს და ცნობისმოყვარეობით უთვალთვლებდნენ მის წვერზე აღმართულ სახლს. კარუელელი მამაკაცები და მოზრდილი ბიჭები გიდიონმა ექვს რაზმად დაკყო. თვითუღმში რვა კაცი შედიოდა.

ყოველ რაზმს თავისი უფროსი ჰყავდათ თითოეული რაზმი ოთხ საათს უნდა მდგარიყო საგუშაგოზე. ოთხი კაცი სახლის ყოველ მხარეზე. ყველა რაზმს ერთად გიდიონი მეთაურობდა. თანაშემწეებად კი მას ებნერ ლეიტი და ჰანიბალ უაშინგტონი ჰყავდა. რაზმების უფროსები ყველანი ყოფილი ჯარისკაცები იყვნენ. ლესლი კარსონს, რომელიც ომში მებრუნე იყო და რომელსაც შენახული ჰქონდა თავისი ძველი და დაუყლებელი სამხედრო ბუკი, მოკლე საგანგამო ნიშნის დაკვრა მიანდევს. სახლის უკანა მხარეს, ფლიგელებს შუა, ბარიკადა ააგეს დაყირავებული ოთხთვალეზისაგან.

შუადღე იქნებოდა, როცა აივანზე მდგომმა გიდიონმა და ებნერ ლეიტმა შენიშნეს, რომ გორაკის ფერდობზე ვიღაც კაცი ამოდიოდა. იგი ქვეითად იყო და ჯოზე წამოცმული თეთრი ბალიშისპირის ნახევი მოჰქონდა, იგი სახლიდან დაახლოებით ას იარღზე შესდგა და დაიძახა:

„ჰეი, ვინა ხართ მან! ჯექსონ, შეიძლება ამოვიდე?“

„ეს ბენტლია“, სთქვა ებნერ ლეიტმა. გიდიონმა გადასძახა: „ამოდიო!“

ბენტლი კიბეზე ამოვიდა და დაჯდა. მის გამბედაობაში ვერაფერს დაეჭვებოდა: მის წინ ის ხალხი იდგა, ვისაც მან სახლები გადაუბუგა, ვისი მეზობლებიც მან მოჰკლა, მაგრამ იგი მაინც არ შეშინდა და აქ მარტონდმარტო და უიარაღოდ მოვიდა. ბენტლიმ გიდიონს მიმართა:

„მოდი, დალაგებით, პირდაპირ და გასაგებად ვილაპარაკოთ. რის გულისათვის უნდა გავაჩალოთ მთელი ომი. გიდიონ? აქ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ სამი ზანგი დამეპატიმრებინა და აბა ერთი შეხედვით, რა ამბავი დატლიაღა.“

„ვიცო, რაც დატრიალდა“, სთქვა გიდიონმა.

„კარგი. მოდი და ჩამაბარე ის სამი ზანგი“.

„მერე?“ შეეკითხა გიდიონი.

„მერე თავს დაგანებებთ“, მიუგო ბენტლიმ.

„და მერე ჩვენ სახლებში წავალთ? თუ ნადირივით ტყეში ვიცხოვრებთ? თუ გვიბრძანებთ, სულ ავიბარგოთ, კარულიდან?“

„იცი რა, გიდიონ“, მოურიდებლად სთქვა ბენტლიმ. „თავი უბიწო ბატყანად ნუ მოგაქვს თქვენ წუხელის ორი კაცი მოგვიკალით. მე შემეძლო თქვენ ყველანი დამეპატიმრებინეთ, მაგრამ უაბულსა ვარ, ამ ამბავს უბედური შემთხვევა ვუწოდოთ, ჩამაბარე ის სამი კაცი და მე წავალ, თავს დაგანებებთ“.

„და მათ დაპატიმრებისათვის თქვენ სამასი კაცი დაგვირდათ, არა?“

ბენტლიმ, ხელები გაშალა უმწეოდ. „ეს უკვე მე არ შეკითხება, გიდიონ, ეს კლენის საქმეა. მე კლენელი არა ვარ, ეს შენ კარგად იცი. ჯესონ ჰიუგარს კი თავისი საქმეები აქვს. ხომ გესმის, ასეთი შემთხვევა, ქალაქში მღელვარებაა, და ხომ იცით, ბიჭებს ადგილზე ვერ გააჩერებ, პოდა, შესაძლოა, ცოტა კიდევაც გადააქარბეს. რაღა შეგვიძლია ახლა, რაც მოხდა, მოხდა“.

„ტრუპერის ორი ბავშვი ცოცხლად დასწევს“, პირქუშად თქვა გიდიონმა.

„ეს შემთხვევით მოხდა... ხომ გეტუბნები: ვადააქარბეს“.

უილ ბუნმა, რომელიც აივნის ბოლოში იდგა, ხამალლა და გარკვევით დაიძახა: „ტყუილად რას ელაპარაკები, გიდიონ? ერთი ტყვია მაგ მამაძალს, მორჩა და გათავდა“.

ბენტლიმ ბუნს შეხედა. „დავიმახსოვრებ ამას, უილ“, სთქვა მან და თავი მშვიდად დაუქნია.

„გეტყვით, რასაც ვფიქრობ“, სთქვა გიდიონმა, „მე ვფიქრობ, ბენტლი, თქვენ ამ წუთში ცოცხალი იმიტომ ხართ, რომ ჩვენ ცივილიზებული და კანონის მორჩილი ხალხი ვართ. ჩემის აზრით, როცა

თქვენ აქ მოდიოდით, ეს კარგად იცოდით. თქვენი ტიპის აღმზრდელმა უბრალოდ პრიმიტიული, გამარტივებული გაგება იმისა, თუ რა არის ცივილიზაცია. გასაგებია თქვენთვის ჩემი აზრი?“

„გასაგებია“, სთქვა ბენტლიმ და ნაძალადევად ჩაიციხა.

„მე მინდა, რომ თქვენ ჩემი სიტყვები გაიგოთ. იცით თუ არა, ბენტლი, ჩვენი შტატისა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები? მე ძალიან კარგად ვიცი; ჩვენი შტატის კონსტიტუციის გამოუმუშავებაში მეც ვიღებდი მონაწილეობას. ამ სახლში თქვენ ვერავის ვერ დააპატიმრებთ. პირიქით, თქვენ პასუხსაც აგებთ ყველაფრისათვის, რაც თქვენა და თქვენი ბანდის ყოველმა მონაწილემ ჩაიდინეთ. პასუხს აგებთ ტრუპერისა და მისი ცოლის მოკვლისათვის და ამ უკანასკნელი ჯერ არგაგონილი სიმხეცისათვის — ორი პატარა ბავშვის ცოცხლად დაწვისათვის, რამაც დიდად გადააქარბა თქვენი კლენის მიერ აქამდე ჩადენილ ყველა სიმხეცეს. პასუხს აგებთ მთელი დაბის უაზრო, ვერაგული ვადაბუგვისათვის. ფრედ მაკპიუს წამებოსათვის, ზიკ ჰეილის მოკვლისათვის, ენი ფიშერის მოკვლისათვის — ყველა იმ ცემის, წამებისა და მკვლელობისათვის, რაც თქვენ კარუელში ჩაიდინეთ. ყველა ამ ამბებისათვის, ბენტლი, პასუხს აგებებინებთ თქვენა და თქვენს ბანდას. ჩვენ ბევრი ვითმინეთ, ჩვენ დიდ და მნიშვნელოვან საქმეს ვაყვებოდით და თქვენ კი ამოდ ცდილობდით აგეცდინეთ ამ გზას. ჩვენ ამ საქმეს ვლავ ვავაგრძელებთ, მაგრამ თქვენ კი ბოლოს მოგიღებთ. და ბოლოს მოგიღებთ არამარტო თქვენა და თქვენს მეგობრებს, არამედ ყველაფერს, რამაც თქვენ წარმოგშვათ. აი რისი თქმა მინდოდა, თქვენთვის. ამას მე ჩემი ხალხის სახელით ელაპარაკობ. დაბრუნდით და ეს სიტყვები თქვენს მეგობრებს გადაეცით. უთხარით მათ, რომ ჩვენ არავის არ დაფინ-

დობთ, ვინც კი სათოფეზე მოუახლოვდება ამ სახლს. უთხარით მათ ყველაფერს, რაც ჩვენგან გაივონეთ“.

„ესაა სულ, ჯეკსონ, რისი თქმაც გინდოდა?“ შეეკითხა ბენტლი.

„დიახ, ესაა“.

„ძალიან კარგი“. შერიფი წამოდგა, შარავლიდან მტვერი დაიბერტყა, აივანზე მოგროვილ ხალხს თვალი გადაავლო და თეთრ სახეებს უფრო ხანგრძლივად მიაჩერდა, შემდეგ მივიდა და ფერდობს ჩაუყვა.

საღამოხანს კლენელებმა პირველი ნამდვილი იერიში მოიტანეს. ორასამდე კაცი, რომლებსაც უკვე თეთრი ხალათები აღარ ეცვათ, გორაკის დასავლეთ ფერდობს ცოცვით შეუდგა. იერიში ალბათ კარგად იყო მოფიქრებული: მათ ისეთი დრო შეარჩიეს, როცა პორიზონტზე დაისის ვეებერთელა, თვალისმომჭრელი მზე ეკიდა. სახლი გაკამშებული იყო და მის დამცველებს მზის სხივების გამო თვალის გახელა უჭირდათ. გიდიონმა სახლის ამ დასავლეთ მხარის დასაცავად სამი რაზმი გამოჰყო. ფლიგელებიც ამავე მხარეს იყო. დამცველები ოთხთვალეებისა და ფანჯრების უკან ჩასაფრდნენ. დანარჩენი თერამეტი კაცი სახლის სხვა სამ მხარეს იცავდა. კარუელებმა თოფები მოიმარჯვეს და, რაც შესაძლებელი იყო, თვალს იჩრდილავდნენ. მეორე სართულზე მყოფ ქალებსა და ბავშვებს ნაბრძანები ჰქონდათ — იატაკზე გაწოლილიყვნენ. კლენელები ნელ-ნელა მოცოცავდნენ და ცდილობდნენ არ გამოემყდარებინა თავი, რისთვისაც ბალახის ყოველ ბუჩქსა და ყოველ კოლობხს იყენებდნენ.

როცა ისინი სამასი იარდის მანძილზე მოახლოვდნენ, ჰანბალ უაშინგტონმა თავის სპენსერს გასკვრიტა, სამიხნე გაუქმინდა და გაისროლა. ეს იყო საცდელი

ლი გასროლა, მანძილი ჯერ კიდევ მეტად დიდი იყო. „დავაციოლე“, სთქვა მან და თავი გაიქნია. კლენელებმა სროლა ასტეხეს, მაგრამ მათი ტყვიები მიწას ფხაჭნიდნენ ან ოთხთვალეებზე და სახლის კედლებზე ხედებოდნენ. თითქმის ძალადაკარგულნი. მერიონ ჯეფერსონმა, რომელიც უძრავად იწვა, თავისი გრძელი სანადირო თოფი მიხანს გაუსწორა. გაისროლა და ვილაცას მოარტყა. დაბლიდან დაჭრილი კაცის ყვირილი მოისმა. დანარჩენი კარუელებმაც დინჯად, დიდი სიფრთხილით მიხანში ზუსტად ამოლებით ისროდნენ. ას იარღზე კლენელები წამოიშალნენ და პირდაპირ იერიშზე გადავიდნენ. მზე ახლა უკვე სულ დაბლა იყო, ძალიან დაბლა, მიმქრალ სხივებს ძალა უკვე აღარა ჰქონდათ და ხელს ვეღარ უშლიდა კარუელებს, შეტევაზე კიყინით გადმოსულთა სილუეტები კი გარკვევით ისახებოდნენ ვარდისფერ ფონზე. სახლის მთელი უკანა მხარე ორ ფლიგელს შუა მოქცეული, თოფის ცეცხლით აელვარდა. ოცი იარდიც არ გაველოთ, რომ კლენელების იერიში მარცხით დამთავრდა. ათეულზე მეტი კაცი იქვე დაეცა. დანარჩენები ფერდობზე უკანვე დაეშვნენ ზოგი კოჭლობით, ზოგიც ხოხვით ბრუნდებოდა.

„შესწყვიტეთ ცეცხლი“ დაიყვირა გიდიონმა. „კმარა“.

ბარიკადასთან ვილაცამ მწარედ დაიკვნესა, ვილაც მეორემ ჯეფს მოუხშო. ფლიგელებს შუა ჩრდილი ჩამოწვა. ერთი დაჭრილი თითებს უჭერდა თავის ხელს, საიდანაც სისხლი მოსჩქეფდა. მეორეს, სახელად ლეისი დუგლასს, რომელიც კენსოდა, ლავიწი ჰქონდა დამსხვრეული. „ხელი არ ახლოთ, იწვის“, ბრძანა ჯეფმა და პირველ დაჭრილს მკლავზე არტახი დაადო.

მერიონ ჯეფერსონი თავის ადგილზე იწვა უძრავად, თავის თოფზე ხელჩაქდული. როცა უილ ბუნმა მას მხარზე ხელი მოკიდა, მერიონის ხელები გაეშალა და თავი უკან გადაეკიდა. ტყვიას

მუბლი გავხვრიტა მისთვის. ირგვლივ რამდენიმე კაცი მოგროვდა. ისინი იღვინენ და მღუმარედ დასცქეროდნენ მოკლულს.

ბინდბუნდში ფერდობიდან ვილაცის გულამომჯდარი კენესა მოისმა. ჯეფმა, რომელიც მხარმოტეხილთან დანოქილიყო, თავი ასწია და იკითხა: „რას გაჩერებულხართ? იქ დაჭრილი კაცია. წადით და ამოიყვანეთ“. არავინ განძრეულა. მერე უილ ბუნმა კურტაცი გაიხადა და მერიონ ჯეფერსონს სახეზე გადააფარა. გიდიონმა ჰანიბალ უაშინგტონს ხელი ჩააელო სახელში და უთხრა: „ვინმე მოიშველეთ და ის დაჭრილი აქ მოიყვანეთ“.

ჰანიბალმა ერთი ნაბიჯი გადასდგა და ყოყმანით შეჩერდა „ჯანაბამდისაც ვზა ჰქონია, საცაა-იქ იწვეს“, სოქვა ებნერ ლეიტმა.

„წადი და მოიყვანე“, მტკიცედ უბრძანა გიდიონმა.

ჯეფს ერთი ოთახი წინასწარ ჰქონდა მომზადებული საავადმყოფოსათვის, რაც საუკეთესო ლამპები იყო, სულ იქ შეიტანა, ხოლო ევა კარსონი და ჰანა უაშინგტონი მომვლელებად დანიშნა. ახლა მათ ლამპები ხელში ეჭირათ და ჯეფი კლენელის ფეხში ტყვიას ეძებდა. კლენელი ორ ადგილას იყო დაჭრილი: ფეხში და მუცელში. ჯეფმა ტყვიას მიაგნო ამოიღო. კლენელს პატარა წითური სახე და ღია წყლისფერი თვალები ჰქონდა. იგი ლამობდა რაღაც ეთქვა ჯეფისათვის, მაგრამ მისი სიტყვებიდან აზრს ვერ გამოიტანდა კაცი.

„სადაური ხართ?“ ჰკითხა მას ჯეფმა. „თქვენი გვარი?“

„სკრივენი“, ამოილულულა დაჭრილმა. „სკრივენი. სკრივენი“, მაგრამ ჯეფმა ვერ გაიგო, ამ სიტყვაში დაჭრილი თავის გვარს გულისხმობდა, თუ ჯორჯის ერთ-ერთ ოლქს.

ლუისი დუგლასი ტყვილელებისაგან იტანჯებოდა, მაგრამ ჯეფს <sup>სწრაფობდა</sup> არ შეეძლო მისი შველა. <sup>მოტეხილობა</sup> რთული იყო; სისხლის მოწმალვა რომ თავიდან აეშორებინა, იგი სამი-ოთხი კვირის განმავლობაში მაინც გაუნძრევლად უნდა წოლილიყო გულადმა, მეორე მხოლოდ ხელის რბილ ადგილში იყო დაჭრილი და, სისხლის დაკარგვის გარდა, სერიოზული არაფერი ემტკირებოდა.

ჯეფი დაჭრილებს თავს დასტრიალებდა, ხოლო გულში შფოთი და მღელვარება თანდათან მატულობდა. აი, გიდიონის მიერ არჩეული ვზა, მაგრამ ეს ვზა ხომ სიგიჟე იყო! კარგს რას უნდა მოველოდეთ ომისაგან, რას, თუ არა ნგრევას, სიკვდილსა და დაღუპვას?

მერიონ ჯეფერსონი სახლის უკანა ნაწილის ერთ-ერთ პატარა ოთახში დაასვენეს. აქ მისი ცოლი, და, მოხუცი დედა და ბავშვები მოგროვდნენ; ისინი მოთქვამდნენ. მიცვალებულს დასტიროდნენ. მათი ტირილი მთელ სახლში ისმოდა. მშა პიტერიც მივიდა მათთან ნუგეშის საცემად და დასახმარებლად და ძველი ბრძნული სიტყვები უთხრა ქირისუფლებს: „უფალმა მოგვცა, უფალმა წაგვართვა. კურთხეულ იყოს მისი სახელი“.

მაგრამ მშა პიტერი ვერ გიპასუხებდათ, თუ რატომ ინება უფალმა ასე. მისი მრევლი არ ჰგავდა სხვა მოქალაქეთა მრევლს. მის თვალწინ განვლო ამ ხალხის მთელმა ცხოვრებამ: დაბადებამ, ბავშვობამ, ყრმობამ, სიკაბუჯემ და მოწიფულობამ; ახლა კი იგი მათ სიკვდილსაც მოესწრო, არა ისეთ სიკვდილს, როგორც ჩვეულებრივად მოდის ხოლმე — მშვიდი, იოლი, ბუნებრივი, როცა მომავლადეი წყნარად, უკანასკნელად ამოისუნთქავს, სულს განუტეებს და საუკუნო განსვენებას მიეცემა, არამედ, ნაძალადევს, მრისხანესა და საშინელ სიკვდილს. ეს მშა პიტერისათვის გაუგებარი იყო.

გიდიონი, ჰანიბალ უაშინგტონი და ებნერ ლეიტი აივანზე იდგნენ, დაბლა, ზეებს იქით, კლენელების მიერ გაჩაღებული კოცონები მოსჩანდა, კოცონები სახლს რკალივით შემორტყმოდა, მაგრამ მათ შორის დიდი ბნელი შუალედებიც იყო. მთელი საღამო გიდიონი მარჯუსზე ფიქრობდა. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მარჯუსი დასაძინებლად არსად შეჩერდა, იგი მალე უნდა დაბრუნებულიყო. მას არ გაუჭირდებოდა კლენელთა კოცონებს შუა გამოძრომა. მარჯუსს ტყეში თავი ისე მიაჩნდა, როგორც საკუთარ სახლში. ცხენის დატოვებაც რომ მოუხდეს, შინ მაინც იოლად მოაღწევს, მაგრამ, მისი ხასიათის მიხედვით, უფრო საფიქრებელი იყო, რომ იგი ჯიქურ გაარღვევდა კლენელთა რკალს და ცხენს გაქაჩებული ხტომა-ჭენებით ამოაფრენდა ფერდობზე. გუშაგები გაფრთხილებული ჰყავდა გიდიონს, მარტოოდენ იმის ფიქრით, რომ შესაძლებელი იყო მარჯუსს რამე მოსვლოდა, გიდიონი გულში რაღაცნაირ სიმძიმეს, სიცივესა და სიციარიელეს გრძნობდა. ვერავის, რეიჩელსაც კი ვერასოდეს ვერ აუხსნიდა იგი თავის განსაკუთრებულ გრძნობას მარჯუსის მიმართ; ისინი ერთი სისხლი და ზორცი იყვნენ. ყველაზე დიდ ბედნიერებას გიდიონი მაშინ განიცდიდა, როცა იგი მარჯუსთან იყო, მასთან ერთად ნადირობდა, მასთან ერთად მუშაობდა ან კიდევ იჯდა და მისი ჰარმონიკის კრიმანჭულს უსმენდა. ჯეფი სხვა იყო. გიდიონმა კარგად იცოდა, რამდენად სხვანაირი იყო ის გრძნობა, რომელიც მას ჯეფთან აკავშირებდა.

ახლა ებნერ ლეიტი მოჰყვა ლაპარაკს: „ჩვენ ერთი მოგვიკლეს, გიდიონ; ეს არც ისე საშინელია, რადგან მათ თოთხმეტი დაჰკარგეს!“

„ეს ერთი ოჯახის პატრონი იყო“, მიუგო გიდიონმა.

„როგორცა ჩანს, მეტსადარ შემოგვეტივენ“.

„სულელები არიან“, შენიშნა ჰანიბალ უაშინგტონმა, „მაგრამ გახსოვდეს ჩემი სიტყვა, რომ ჰკუას ისწავლიან. ისინი ახლა შეშინებული არიან, ეს მართალია. იერიშით აღარ მოვლენ, მაგრამ ისინი მეტ ხალხს მოუყრიან თავს. ექვსას, შეიდას კაცს დააგროვებენ და მოიფიქრებენ რამეს“.

„ზოგ რამეში შეეცდით“, სთქვა გიდიონმა. „უკეთესი იქნება, მამაკაცები რომ ზემო სართულში ავიდნენ და იქიდან დაუშინონ ტყვია, მაშინ ისინი კოლბოხებს ვეღარ ამოეფარებიან. ქვემო სართულში კი ქალები უფრო უშიშრად იქნებიან“.

„ვაზნები უნდა დავზოგოთ“, სთქვა ჰანიბალმა.

„დიახ“.

მარჯუსის შესახებ ყველანი სდუმდნენ. და მხოლოდ ებნერ ლეიტმა სთქვა: „მოდით, მე ვცდი კოლაშიაში გაძრომას, გიდიონ“.

„მოვიცადოთ“.

„მე ვეტყვი ჩვენებს ვაზნების შესახებ“, ჩაღაპარა ებნერმა, „რომ მხოლოდ მაშინ ისროლონ, როდესაც მიზანს ხედავენ, თორემ ესენი ისვრიან სრულიად უსაფუძვლოდ, ისე, თითქოს ბავშვები შეკრებილან და ოთხი ივლისის დღესასწაულს<sup>1</sup> შეიმობდნენ“.

„დღესვე უნდა დავასაფლოთ მოკლულები“, სთქვა გიდიონმა.

„მერიონი?“

„არა, სხვები, არ მინდა, რომ ისინი დილით ბავშვებმა ნახონ“. და ცოტა ხნის შემდეგ გიდიონმა იკითხა:

„რამდენი ვაზნა გვაქვს სულ?“

„სანადიროც რომ მივითვალოთ?“

<sup>1</sup> ოთხ ივლისს, ა. შ. შტატებში დღესასწაულობენ 1776 წელს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დღეს.

„არა. შამხანისა მხოლოდ“.

„ორი ათასამდე იქნება“.

„მარკუსი დღეს დაბრუნდება“, სთქვა გიდიონმა, „ვიცი, რომ დაბრუნდება“.

• •

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გიდიონი მარტო დარჩა, აივანზე რეიჩელი გამოვიდა და წაიჩურჩულა: „გიდიონი!“

„რა იყო?“

რეიჩელი გიდიონთან მივიდა და გვერდზე მიეკრო მას. „შენთან დავრჩები, გიდიონ, შეიძლება?“ გიდიონმა ხელი მოჰხვია მას.

„მარკუსი მალე დაბრუნდება“, სთქვა მან.

„რატომ გააგზავნე იგი, გიდიონ?“

„იმიტომ, რომ მას საკუთარი თავივით ვენდობი“.

ისინი ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ; მერე რეიჩელმა ჰკითხა: „რომელი გზით უნდა მოვიდეს, თუ დაბრუნდა, გიდიონი?“

„არ ვიცი, რომელიც უფრო აჯობებს“.

„შენ გგონია, რომ მოვა, გიდიონი?“

„გგონია, რომ მოვა“. უპასუხა მან.

„მაშასადამე, მოვა, რასაც შენ იტყვი, ყველაფერი მართალია, მუდამ“.

გიდიონმა ქალი თავისკენ მოაბრუნა და უთხრა: „რეიჩელ, გენაცვალე, მე შენ მიყვარხარ“.

ისინი კიდევ კარგა ხანს ისხდნენ კიბის საფეხურზე. მერე რეიჩელს გიდიონის გულ-მეკრდთან ჩაეძინა. გიდიონმაც ჩასთელიმა, მაგრამ ჰანიბალ უაშინგტონმა გამოადვიდა იგი და უთხრა:

„თენდება, გიდიონ“.

მაშინ თითქოს ცივმა მახვილმა გულის გაკვეთათ, იგი მიხვდა, რომ მარკუსი აღარ დაბრუნდებოდა.

• •

ამ დღეს, ე. ი. ალყის შემორტყმის მეორე დღეს, კლენელებმა რკალი ახ-

ლოს მოსწიეს. ახლა მათ ხუთასეუქმასი კაცი მაინც ჰყავდათ და უფრო უფრო ზეზებულად მოქმედებდნენ; ისინი თოფის სასროლ მანძილზე მოცოცდნენ, მიწაში ორმოები ამოთხარეს, შიგ ჩაწვენენ და განუწყვეტლევ სნაიპერულად ისროდნენ. გადაღობილში ოთხთვალეების უკან, ორი ჯორი და ერთი ძროხა დაიჭრა და საჭირო გახდა მათი დაკვლა; გარდა ამისა, სხვა ზარალი არა იყო რა. ქალები და ბავშვები დაბლა, დიდ დარბაზში ჩამოიყვანეს, კედლები დოშაკებითა და ფიცრებით გაამაგრეს. გიდიონმა ბრძანება გასცა, რომ კლენელებისთვის თოფის სროლაზე არავის ეპასუხა, საუკეთესო მსროლელების — უილ ბუნისა და ჰანიბალ უაშინგტონის გარდა. ისინი სახურავზე აძვრნენ და ერთმანეთს გვერდით გაწვენენ; მათ გასწმინდეს სამიზნეები და იწყეს კლენელების მიზანში ამოღება; ისინი დიდხანს წშირად ხუთ-ხუთ წუთს უნდებოდნენ ამ საქმეს და მერე არაჩვეულებრივი მოთმინებითა და სიფრთხილით სწევდნენ ჩახმასს. უილ ბუნი სულ თავისი პაპის მამაზე ლაპარაკობდა, რომელიც ას იარღზე ციყვს არ აცილებდა და ამასა თუ იმას აკეთებდა. სანამ ბოლოსდაბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ჰანიბალ უაშინგტონმა მკვახედ არ ჰკითხა მას;

„ვინ ოხერი იყო ეს შენი პაპის მამა?“

„უპ, შე სულელო ზანგო, მართლაც, რომ ნამდვილი უვიცი ხარ. ვინ უნდა ყოფილიყო, როგორ ფიქრობ? იცი თუ არა ჩემი გვარი? აბა, კარგად მოიფიქრე“.

მაგრამ მათმა მარჯვე სროლამ კლენელების ყურადღება მიიპყრო. ორასმა თუ სამასმა თოფმა ერთად დაუშინა ტყვია სახლის სახურავს. ლავგარდანზე ტყვიების კორიანტელი ადგა და ბუნსა და უაშინგტონს სახეში ნაფოტები ზედებოდა; ათი წუთის შემდეგ ჰანიბალ უაშინგტონმა ერთი სუსტად ამოიკენესა და თავისი მოდუნებული თავი მისივე სპენსერის კონდაზზე დაემხო. უილ

ბუნმა იდაყვი გაჰკრა, შემდეგ ხმადაბალი გააფთრებული ლანძღვა-გინებით ზედიზედ იწყო სროლა, ისე, რომ გახურებული შაშხანა თითებს სწვავდა. მაგრამ მალე ისიც დადუმდა.

კარუელელებმა მოკლულები ფლიგელებს შუა დამარხეს, ბარიკადის უკან, სადაც ძროხები, ცხენები და ჯორები ებათ. არაეის არ უტირნია. ხალხი ჩუმად იდგა. გამშრალი თვალებით და პირქუშში, უცნაურად მობერებული სახეებით; ბავშვებიც კი მობერებულებად გამოიყურებოდნენ.



სროლამ მთელ ღამეს გასტანა, მაგრამ განთიადზე იგი უეცრად შეწყდა. არაჩვეულებრივი სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ სიჩუმეში მინდორზე ბენტლი გამოვიდა თეთრი დროშით და დაიძახა: „შეიძლება ამოვიდე?“

პასუხი არავინ გასცა. იგი ნელი ნაბიჯით აჰყვა აღმართს, სახლიდან დაახლოებით ორმოცდაათი იარღის მანძილზე იგი შეჩერდა და ყვირილით ამცნო კარუელეებს თავისი სათქმელი: კარუელეებს ექიმი ჰყავთ, ჯექსონი. მოხუცი ექიმი ლიდი ერთი კვირაა ვალეშილია. კლენელებს დაჭრილები ჰყავთ. ერთს მოტეხილი ფეხი გაუსივდა. ფეხი უნდა მოიკვეთოს. თორემ კაცი მოკვდება. იქნებ ჯექსონი ჩამოვიდეს და დახმარება აღმოუჩინოს მათს დაჭრილებს? ისინი სიტყვას იძლევიან, რომ ექიმს უკანვე გაუშვებენ.

ებნერ ლეიტ ვიდიონს მიაჩერდა: გიდიონმა მწარედ გაიღიმა და სთქვა: „ხომ ხელავ, მათ ჩვენ ბუნება ესმით. ისინი ჩვენ უკეთ გვიცნობენ, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ მათ“.

ბენტლი გაბრუნდა. აივანზე ჯექსონი გამოვიდა. „გვიგონე?“ ჰკითხა მას გიდიონმა. ჯექსონი თავი დაუქნია. ებნერ ლეიტმა სთქვა: „ჯანაბამდისაც გზა ჰქონიათ, დეე დაიხოცნა“.

„თუ ის მამაძალი კიდევ ამოვიდა, ღმერთმანი, ტყვიით ჩაეგდებინებენას“, სთქვა ფრენკ კარსონმა.

„მე წავალ მათთან“, სთქვა ჯექსონმა.

გიდიონმა მას მკლავში ხელი ჩაავლო და ისე დაანჯღრია, რომ ჯექსონი ციბრუტივით შემოტრიალდა. „შე ბრიაყო, შენა!“ დაიყვირა მან. „ნუთუ შენ ჩემი შვილი ხარ! რა მოგივიდა, ნუთუ სრულიად აღარაფერი გესმის? ნუთუ აქამდე ვერ გაიგე, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ცივილიზებულ ადამიანებთან, არა ისეთ მტერთან, როგორიც შენ წარმოგიდგენია, არამედ ისეთებთან, რომლებსაც ჩვენი მოსპობა უნდათ! მათი სიტყვა არაფერს არ ნიშნავს, მათთვის კეთილი და ბოროტი არ არსებობს! მათთან გონიერული ლაპარაკი შეუძლებელია, მათი გონება გაბრწყინდა! აი, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ისინი ჯეროვნად ვერ შევაფასეთ და ისეთი ბრიაყები ვიყავით, რომ გვეგონა, თითქოს ისინი იმავე წესსა და კანონს ემორჩილებიან, რომელსაც ყველა ადამიანი და რომ ჩვენ მათ როგორც ვერცხლის სინით ისე ვაწვდიდით სინდისს, კანონიერებასა და სამართლიანობას, სწორედ ამიტომ ვზივართ ჩვენ აქ! ამიტომაა, რომ მათ გაიმარჯვეს! ამიტომაა, რომ სამხრეთში ყველა პატროსანი ადამიანი დამორებული, დევნილ-წამებული და გზა-კვალაბნეული!“

„მე წავალ იქ“, გაიმეორა ჯექსონმა. „მე ექიმი ვარ და ფიცი მაქვს დადებული, რომ ავადმყოფს ვუმკურნალო და ადვადგინო ის, რასაც ადამიანები ანგრევენ“.

„არა“, სთქვა გიდიონმა. „ერთი უკვი დაგკარგე, მაგრამ მას ესმოდა მინეც, რას ვაკეთებდით, იცოდა, ვის ვებრძოდით“.

„თუ მომკლავთ, თორემ სხვანაირად ვერ დამაკავებთ“, წყნარად ჩაილაპარაკა ჯექსონმა.

„მაშ, ღმერთო, შენ განმსაჯე... დაიწყო გიდიონმა, მაგრამ მას ებნერმა სიტყვა გააწყვეტინა: „გაუშვი, დეე წავიდეს, გიდიონ“.

ჯეფმა ფეხის მოკვეთა დაამთავრა; ნახევრად ცნობადაკარგული დაჭრილი ოდნავ გმინავდა; იგი წაიყვანეს, როცა ხელებს იშვრალებდა, ჯეფმა მის ირგვლივ შეგროვილ კლენელებს, რომლებიც ცნობისმოყვარეობით აღევნებდნენ თვალყურს ოპერაციას, უთხრა:

„ახლა მას მხოლოდ სიმშვიდე და მოსვენება ესაჭიროება. ბუნება თვითონ გააკეთებს თავის საქმეს. როდესაც მკედარი ქსოვილი მოშორდება, ნაკერები ადვილი მოსახსნელი იქნება. ძაფის გამოძრობა პირველად უნდა ცადოთ სიფრთხილით, მეტისმეტი სიფრთხილით, რადგან ეს ძლიერ მტკივნეულია. თუ ძაფი ადვილად გამოდის, ეს იმას ნიშნავს რომ შეხორცების პროცესი ძირითადად დამთავრებულია. ახლა მისი მკურნალობა ყოველ ექიმს შეუძლია. საჭიროა მხოლოდ არ მოხდეს სისხლის მოწამლვა. მთავარ საშიშროებას ახლა ეს წარმოადგენს“.

ჯეფი დაიღალა, თავი მზის ქვეშ მინდორში დადებული ფიცარი ოპერაციისათვის არც ისე შესაფერი აღვილია. ჯეფმა კი სულ ცოტა ათ დაჭრილს გაუკეთა ოპერაცია. იგი დაიღალა „მაშ, ახლა წავალ“, სთქვა მან.

„ბატონო!“

ჯეფი დახრილი იყო და თავის ჩემოდანს ჰკეტავდა. მან თვალი შეავლო იმას, ვინც ეს სიტყვა სთქვა. მხარბუჭვანიერ, მზისაგან დამწვარ კლენელს ხელი რევოლვერის ტარზე ედო.

„მე ვთქვი, წავალ-მეთქი ახლა“.

„ბატონო!“

ჯესონ ჰიუგარმა, რომელიც შერიფ ბენტლის გვერდით იდგა, სთქვა: „შენ ექიმი ხარ, ჯექსონ. მოხდა ისეთი შეცდომა, რომ შენ ნება მოგცეს ექიმი გამხდ. „მნათობი“ № 5.

დარიყავ. ხოლო როცა ზანგი ექიმი ხდება, მაშინ აი ასეთ ბოროტებას აქვს ადგილი, როგორც ახლა“.

ჯეფი ერთის წამით დააცქერდა მას. მერე თავისი ჩემოდანი დაკეტა, ხელში აიღო და დაიძრა ადგილიდან. მხარბუჭვანიმა მას გზა გადაუღობა.

„ბატონო!“ სთქვა მან.

„რა გნებავთ?“ ჰკითხა ჯეფმა.

„რა მნებავს და ის, რომსიე მოიქცე, როგორც შენ შეგეფერება, შავო პირუტყვი! უნდა სთქვა „ბატონო“, როცა შენზე მალა მდგომს ელაპარაკები!“

ჯეფმა მას გაკვირვებისა და ცნობისმოყვარეობის გრძნობის გამომატველი თვალეზი მიაპყრო. მან შიშოც და ზიზელიც იგრძნო, მაგრამ მათზე უფრო ძლიერი ცივი ცნობისმოყვარეობა იყო, რომელიც მისდა უნებურად მოქმედებდა. ეს იყო სურვილი გაეგო მის წინ მდგომი კაცის რაობა. გაეგო კავშირი მის მოქმედებასა და იმას შორის, რასაც ვიდიონი ამბობდა, მასა და მთელ იმ საშინელ უგუნურებას შორის, რაც კარუელში ხდებოდა.

„თქვენ გინდათ, რომ „ბატონო“ გითხრათ, არა?“

„ღიბ“.

ჯეფმა თავი დაუქნია. „ბატონო“, უთხრა მან და შემდეგ დაუმატა: „ახლა თუ ნებას მომცემთ, წავალ, ბატონო!“

ბენტლიმ გადაიხიზითა. „ვერსადაც ვერ წახვალ, ჯექსონ“, სთქვა ჯესონ ჰიუგარმა.

„როგორ თუ, ვერ წავალ?“

„როგორ და ისე. ვერ წახვალ — მორჩა და გათავდა“.

„ხვალ შენ იქ მაინც არავითარი საქმე აღარ გექნება, ჯექსონ“, დასძინა ბენტლიმ. „სჯობს აქვე დარჩე“.

ჯეფი შესცქეროდა მათ; აღძრული ცნობისმოყვარეობა ჯერ კიდევ შიშის გრძნობაზე ძლიერი იყო. მეცნიერული აზროვნებისათვის უაზრო მოვლენები არ არსებობს. ყველაფერს თავისი მიზე-

ში და თავისი ლოგიკა აქვს. „მე აქ იმიტომ მოვედი“. სთქვა ჯეფმა, „რომ ჩემს მუშაობაში მიმაჩნდა დახმარება გამეწია დაპირებებისა და ავადმყოფებისათვის. გესმით თქვენ ეს ამბავი? მე აქ მოვედი იმიტომ, რომ თქვენ მთხოვეთ მოვსულიყავ? მე, როგორც ექიმს, არ შემეძლო უარი მეთქვა თქვენთვის. მამ როგორ შეგიძლიათ თქვენ მომთხოვოთ, რომ აქ დავრჩე?“.

„ბატონო“. შესძახა მხარბუქიანმა, „ბატონო, შე მამაძაღლო, შევკანიაანო პირუტყვო!“.

ჯეფმა თავი გააქნია. „მივდივარ“, სთქვა მან. შემდეგ ხელისკვრით მოიშორა გზიდან მხარბუქიანი, გადასდგა ნაბიჯი-და უკანასკნელი, რაც მისწვდა მის ცნობიერებას, რომელიც იმ წამსვე შესწყდა, საშინელი, დამაყრუებელ-დამარეტიანებელი გრიალი იყო. ჯეფი მიწაზე გაიშხლართა და ჩემოდანიც ქვეშ მოიყოლა. ხოლო მხარბუქიანმა შეხედა მას და სთქვა:

„უპ, შევკანიაანო პირუტყვო“.



იმ დამეს ებნერ ლეიტმა გიდიონს უთხრა: „იცი, ალბათ მარკუსს რაიმე ხიფათი შეეშთხვია.“

„ღიახ“.

„შეიძლება დეპეშებიც ვერ გაგზავნა“.

„შეიძლება“, სთქვა გიდიონმა. ტანჯვასაც საზღვარი აქვს; მის შემდეგ ტივილი უკვე აღარ იგრძნობა.

„მათი გაგზავნა კი საჭიროა“, წყნარად სთქვა ებნერმა. „სხვანაირად როგორ უნდა ვაიგოს იქ ხალხმა, რომ ჩვენ აქ ვართ? ვერც ერთი ადამიანი მთელს ამ წყევულ მიწაზე ვერ გაიგებს იმას, რაც აქ ხდება. ჩვენ ვიცით, რა ხდება სხვაგან? მათ აქ ისე ჩაგვამწყვდიეს, როგორც ბოთლში, ისე გამოგვეტეს, რო

გორც ჯოჯოხეთში. იქნებ სამხრეთში ყველაფერი ასევეა ჩაკეტილი, შესაძლოა, არაფერი არაფერი არაფერი“.

„შესაძლოა“, სთქვა გიდიონმა.

„ხელახლა დასწერე დეპეშები, მე წავიღებ მათ კოლამბიაში და გაეგზავნი“.

„რომ არ გადასცენ?“

„მაშინ მე პირდაპირ უაშინგტონში წავალ და წავიღებ.“

„კარგი“, სთქვა გიდიონმა. „თუ შენ ასე ფიქრობ, კარგი, წადი“.

ებნერი საუკეთესო წაბლისფერ ცხენზე შეჯდა—შევენიერ, ვეება ულაცხუ, რომელიც ადრე ჰინიბალ უაშინგტონს ეკუთვნოდა. არაფერი იმედი არ იყო, რომ იგი ქვეითად შესძლებდა გაძრომას. ერთადერთი სავარაუდო გზა ცხენით რკალის გარღვევა იყო; ებნერი დააწყნებულ იყო, რომ იგი ამას მოახერხებდა.

ეს მოხერხდებოდა, მაგრამ სახლიდან ნახევარი მილის მანძილზე მას ცხენი მოუკლეს, რომლის დაცემის დროს მხედარს ცხენს ქვეშ ფეხი მოეტანა და მოსტყდა. კლენელებმა იგი გამოათრიეს და ფეხზე დაყენებული გაჩერეს, რომ მას ჯესონ ჰიუგარის განაჩენი მოესმინა:

„ზანგების მოტრფივალე თეთრებისათვის ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული საჩუქარი, სწორედ ის, რითაც ფრედ მაკპიუს გაუქმასპინძლით“.

„აქედან დაიკარგე“, უთხრა მას ებნერ ლეიტმა.

ებნერ ლეიტს მეტი აღარაფერი უთქვამს. იგი ხელებით ჩამოკიდეს და მთელი ღამე მათრახებით სცემდნენ. ჯესონ ჰიუგარმა საკუთარი ხელით მიიღო მონაწილეობა ეკუთვნიდა. „მე ამოვადგამე ვინებ ენას ამ მამაძაღლს“, დაიტრახა მან. მაგრამ ებნერ ლეიტს ტუჩები მოკუმული ჰქონდა. იგი მთელ დღეს ჩამოკიდებული იყო, მაგრამ ცნობიერება უკვე აღარ შერჩენია.

მეორე დღეს გიდიონმა დაინახა, რომ კლენელებმა ჰაუბიცა მოათრიეს და სახლიდან ექვსასი იარღის მოშორებით დადგეს; პირველად გიდიონი ვერც კი მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ უკვე მარტო იმ ფაქტმა, რომ ისინი თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში აღარ ისროდნენ, რაღაც არაჩვეულებრივი ამბის მოლოდინში ჩააგდო გიდიონი.

„ახლათ რომელიმე არსენალიდან გამოიტანეს“, სთქვა ფრენკ კარსონმა.

„ღიაბ, აი რა დიდმნიშვნელოვანი პერსონები გახლავართ“, მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა გიდიონმა. „მორჩა და გათავდა“, გაიფიქრა მან. ამით ყველაფერი მთავრდება. „ახლა უკვე ყველაფერი გათავებულია“, უცნაური სიმშვიდით მიმართა ბენჯამინ უინტროპს და უთხრა: „ბავშვები, ყველანი უკლებლივ სარდაფში ჩაიყვანეთ“. ჯერ ადამიანი ცდილობს დასასრული გადასდოს, ბრძოლას აგრძელებს; იმედს არ იჭრობს გულში.

„ნუ სწუხართ. ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება“, სთქვა ბენჯამინ უინტროპმა. „ჩვენ ვიმღერებთ, გავართობ მათ, ყველანი მზიარულად მეყოლებიან“.

„გმადლობთ“. სთქვა გიდიონმა.

იგი აივანზე იდგა ფრენკ კარსონთან, ლესლი კარსონთან და ფერდინანდ ლინკოლნთან ერთად, და ყველანი თვალყურს ადევნებდნენ იმას, თუ როგორ ცდილობდნენ კლენელები დაეყენებინათ ჰაუბიცა ნიშანზე.

„უბადრუკი არტილერიისტები“, ზიზლით სთქვა ლესლი კარსონმა.

პირველი ყუმბარა სახლის უკან ასი იარღის მოშორებით და ისიც განზე გასკდა. შემდეგი ოთხი ყუმბარა ცოტა უფრო ახლოს დაეცა. გიდიონმა ბრძანება

გასცა ყველანი სახლში შესულიყვნენ. დომაკებისა და ფიცრების უკან ჩაცლუქულმა კარტელელებმა სროლა დაუწყეს მუხარბაზნეებს. მანძილი ძლიერ დიდი იყო სამიზნო ცეცხლისათვის და მათ იმედი აღარ ჰქონდათ, რომ თოფით მისწვდებოდნენ, მაგრამ მაინც ისროდნენ; ახლა ტყვია-წამალს უკვე აღარ ზოგავდნენ და ისროდნენ იმიტომ, რომ პასუხი მაინც გაეცათ, წინააღმდეგობა გაეწიათ როგორმე. პირველი ყუმბარა, რომელიც სახლს მოხვდა, ზემო სართულის ოთახებში გასკდა; ჰერიდან ბათქაში ჩამოვივდა.

„თეთრი დროშა გამოჰკიდეთ“. დაიყვირა გიდიონმა, „თეთრი დროშა! შევეცადოთ, როგორმე გავიყვანოთ აქედან ქალები და ბავშვები!“.

ჯეიკ სატერი თეთრი ზეწრით აივანზე გავიდა. იგი იდგა და თეთრ ზეწარს აფრიალებდა, მაგრამ კლენელებმა მის დანახვაზე ჰაუბიცის სამიზნო კუთხე ოღნავ შესცვალეს. შემდეგი ყუმბარა აივანზე გასკდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯეიკ სატერი იდგა.

ძმა პიტერი თავის მრეელში იდგა, ქალებსა, ქალიშვილებსა და ბავშვებს შორის, და მშვიდად ეუბნებოდა მათ: „უფალი ღმერთი სალი კლდე და ხსნა ჩემი, მამ ვისილა უნდა მეშინოდეს?“

ზევით პირველი ყუმბარა გასკდა. მისტერ უინტროპმა ცალი ხელი შავ ბიქს მოჰხვია, მეორე — პატარა გოგონას, რომელსაც თმები სიმინდის ფუჩიჩს მიუგავდა.

„მამ ვისილა უნდა მეშინოდეს“? იკითხა ძმა პიტერმა.

„ამინი“ უპასუხა ხალხმა.

„უფალი ღმერთი ძალაა ჩემი სიცოცხლისა...“

გიდიონის უკანასკნელი ფიქრი დასაწყისის მოგონება იყო, მოგონება იმისა, თუ როგორ იყო დამონებული მთელი ხალხი, როგორ პირუტყვებით ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ შავკანიან ადამიანებს, და როგორ გაბრუნა ამან სხვები, რომელთა კანიც შავი არ იყო, მაგრამ რომლებიც აგრეთვე შრომაში ატარებდნენ მთელ თავის სიცოცხლეს; თუ რა მცირე იყო იმედი და, მიუხედავად ამისა, როგორი იმედით ცხოვრობდა ხალხი.

გიდიონის უკანასკნელი ფიქრი იმ წუთში, როცა ყუმბარა დაეცა, როცა ყუმბარა გასკდა და საუკუნოდ გააქრო, მთელი მისი ფიქრები ამ შავი და თეთრი ადამიანების ძალაზე იყო, იმ ძალაზე, რომელმაც მათ ხანგრძლივი ომი გადაატანინა და მის ნანგრევებზე მომავლის — კაცობრიობის ყველა წინანდელ ოცნებაზე უფრო მშვენიერი მომავლის პირველი ყლორტი აღმოაცენებინა. ამ ძალის ერთ ნაწილს, მის იღუმალ და თანაც მარტივ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებსაც გიდიონი იცნობდა: მისი ვაჟი მარკუსი, მისი ვაჟი ყეფი, მისი ცოლი

რეიჩელი, მისი ასული ჯენი, მოხუცი, რომელსაც ძმა პიტერს ეძახდნენ, მალელი, ომაწითელი თეთრი კატა-მეხერულე იტი, ჩია და ხმელი შავი კაცი ჰანიბალ უაშინგტონი და კიდევ ბევრი სხვადასხვაფერკანიანი ადამიანი. მათ შორის იყვნენ ლონიერებიცა და სუსტებიც, მკვიანებიცა და სულელებიც, მაგრამ ყველანი ერთად ისინი შეადგენდნენ იმას, რაც გიდიონ ჯექსონის უკანასკნელი ფიქრი იყო, იმ დიად საგანს, რომლის სიტყვით განსაზღვრაც ძნელია და რის მოსპობაც შეუძლებელია.

ადამიანები, რომლებმაც ალყაშემოარტყეს ბორცვებს, ადამიანები, რომლებიც თეთრი ჩანებით იფარავდნენ სახეს, მზისაგან, მოშორებით იდგნენ და შესცქეროდნენ, თუ როგორ იწვოდა ძველი შენობა. ფიცარი ხმელი იყო და, რაკი ხანძარი გაჩნდა, ქვეყანაზე არავითარ ძალას არ შეეძლო მისი ჩაქრობა. სახლი მთელი დღის განმავლობაში იწვოდა და დაბინდებისას მისგან აღარაფერი დარჩა, გარდა შვიდი მაღალი საკვამლე მილისა, რომლებიც ჰანიბალ უაშინგტონის მამას აუშენებინა ოდესღაც.

თარგმანი ინგლისურიდან **გივი შანიანი**

(დასასრული)

## გაზაფხული იმერეთში



ზამთრის სიცივეს შეუჩვევლები  
 მზის შუქით კვირტებგადღევებულნი,  
 ეზოში დგანან თეთრი ტყემლები,  
 პატარალებივით გაღიმებულნი.  
 ამწვანებულა პატარა ჭალა,  
 ზეებს ფრთამალი სიო ევლებათ,  
 და ყვავილები ტოტებზე სჩანან,  
 ახლად დაფრენილ თეთრ-თეთრ პეპლებად.  
 აღიდებულა პატარა ღელე,  
 ჩანს გაზაფხულის ფერი უღვევი.  
 მკერდგადაშლილნი, შავი ზღვისხელა,  
 მიხდურები წვანან გადახნულები.  
 მდინარეები — ვერცხლის ღარები,  
 ფართო გზები და ვიწრო შუკები,  
 ქები, ქები და ოწინარები,  
 აპრილის დარით განაშუქები.  
 ლამაზი ეზო ერთი ფიორი,  
 ჭირის და ლხინის თანაზიარი,  
 ხალხი გულსავსე, როგორც რიონი,  
 ხალხი მშრომელი, თავაზიანი.  
 შარაზე სწრაფად მიჰქრის მანქანა.  
 მიჰქრიალებენ გზებზე ურმები.  
 ლობეს ლობავენ, ჭიგოს მართავენ,  
 სიმინდს თესავენ კოლმეურნენი.  
 სკოლიდან სახლში მოდის ბიჭიკო,  
 კარებთან ზედება დედა მზრუნველი.  
 მერცხალი სახლის ბანზე ჭიკჭიკობს,  
 და მიწას ჭადის უდის სურნელი.  
 აჲ მზე სხივებად გადმოღვარულა,  
 ფრთას სიხარული არასდროს კეცავს.  
 აყვავებულა ჩვენი მამული,  
 ფაფანაკივით გვაზურავს ზეცა!  
 ჭიშკართან დგანან თეთრი ტყემლები,  
 თეთრი ღიმილით ნათელს გიჩენენ.  
 მერე ყვავილთა სათუთ ხელებით  
 მასპინძლებივით დაგპატიებენ!

## ამერიკელები

წიგნიდან „სამსოფნო მუშაკთა გაერთიანება“ \*



ლიუბიმოვის პარტიზანულმა რაზმმა ფრონტის მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. წინა დამეს მან მტრის ზურგში დიდი საბრძოლო ოპერაცია ჩაატარა, მერე უეცრად მოსწყდა თავდასხმის ადგილს და გაუჩინარდა.

შემოდგომის ცივი დამე იყო. ბნელოდა, მაგრამ დროდადრო, ღრუბლებს შორის მთვარე გამოცურდებოდა და გარემოს ანათებდა. ტყის მღუშარებას არღვევდა გამხმარ-გაყვითლებული ფოთლების ცვენა.

ბრძოლით დაღლილი პარტიზანები ძილს მისცემოდნენ. არ ეძინათ მხოლოდ დავალებზე მყოფ ცალკეულ ჯგუფებს, აგრეთვე მორიგე-დღიურებს, მოთვალთვალეებსა და საიდუმლოდ ჩასაფრებულებს.

რაზმის უფროსმა ივანე ლიუბიმოვმა და მისმა მოადგილემ ვასო ნანაძემ ჩატარებული ოპერაციის შედეგები პარტიზანულ შტაბს აცნობეს, შეიმუშავეს მომავალი სამოქმედო გეგმა და გვიან, დამით, მათაც დაიძინეს. ისე ღრმად ჩაეძინათ, როგორც ეს ბრძოლაში დაღლილთ სჩვევიათ.

დამე ნელა და მღუშარედ ილეოდა. მთვარე ისევ ღრუბლებში მიიმალა და უკვე სრული სიბნელე ჩამოწვა.

მრისხანე იყო განთიადის მოახლოება. ყრულ მოისმა შორეული გუგუნის.

ცა ფრონტის წინა ხაზზე ისე გამოქვდა, თითქოს რიერაჟის სინათლე გადაეფრქვაო.

მოთვალთვალეებს სახე გაუბრწყინდათ. მათ კარგად ესმოდათ ამ სინათლის ძალა. ეს იმას მოწმობდა, რომ საბჭოთა ჯარები მორიგ შეტევაზე გადადიოდნენ.

განთიადი ჯერ კიდევ შორს იყო, როდესაც მოთვალთვალეებს ნელი ზუზუნი მოესმათ.

ყური დაუგდეს, დაძაბეს სმენა: ზუზუნი თანდათან გაძლიერდა.

— თვითმფრინავებია! — ხმადალა წარმოსთქვა ერთმა. ისედაც მოლუშულს შუბლი უფრო შეეკრა.

— მტრისაა! — შეშფოთებული დაუმატა მეორემ.

პარტიზანები ხმაზე იცნობდნენ მტრის თვითმფრინავებს, მათს შუაგაყოფილ საზარელ ზუზუნს. უსიამოვნო ნიშანი იყო იგი. რადგან ეს ყოველთვის მტრის ბომბდამშენთა მოახლოებას მოასწავებდა.

მოთვალთვალეებმა მაშინვე მორიგეს აცნობეს. მაგრამ ეს ზუზუნი მასაც გავიგონა და ის უკვე დაეინებით შესცქეროდა ცას. ნაცრისფერ, სივრცეში, დიდ სიმაღლეზე, შეენიშნა მოძრავი შავი წერტილები.

მორიგე, მიწურში შევიდა და ნანაძე გააღვიძა. ნანაძეს არ დაუყოვნებია. ის სწრაფად წაჰოდა და ხმაამოულებლად მიწურიდან ამოვიდა.

\* ვებუდავთ ერთ ეპიზოდს სამხედრო ომის მონაწილე საბჭოთა არმიის ოფიცერ ს. მექვაბინაშვილის წიგნიდან. ნაწყვეტი ეხება ამერიკელთა დესანტის ჩამოსხმას მტრის ზურგში.

თვითმფრინავები უკვე მოახლოებულ-  
ლიყვნენ. აშკარად ჩანდა, პარტიზანთა  
რაზმის ადგილსამყოფელს დასტრია-  
ლებდნენ თავს. ერთი თვითმფრინავი,  
რომელიც დანარჩენებთან შედარებით  
ბევრად დაბლა იმყოფებოდა, ისე მოს-  
ჩანდა, თითქოს დასაბომბავად ემზადე-  
ბო. მას ფრენა შეენელებინა.

ამ დროს რაზმის დაბანაკების ადგილს  
ორმა „მესერმა“ ჩამოუქროლა, მათ ასი-  
ოდე მეტრის სიმაღლეზე გაიშრიალეს და  
ისევ, ზემოთ, ღრუბლებში შესცურ-  
დნენ.

ნანაძემ საშა ნოვაკი გააღვიძა. უბრ-  
ძანა მზად ყოფილიყო თავისი ჯგუფ-  
ფით. ლიუბიმიოვის გაღვიძება კი ზედ-  
მეტად ჩასთვალა. დალილი მეთაურის  
შეწუხება არ უნდოდა.

ორიოდე წუთის შემდეგ იმ თვითმ-  
ფრინავმა, რომელმაც ფრენა შეანელა,  
მოტორი გამოთიშა და უხმო სრიალით  
წრე შემოხაზა. შემდეგ დასავლეთისაკენ  
პირი იბრუნა და ტყის მახლობელ მიწ-  
დორს გაუსწორდა.

ნანაძე მიხვდა, რაშიც იყო საქმე.  
„დესანტის ჩამოსახმელად ემზადე-  
ბა“, — გაიფიქრა მან და განკარგულე-  
ბა გასცა — ჩამოსახმის ადგილისათვის  
ალყა შემოერთყათა; ერთი გარემოება  
აყვირებდა მხოლოდ. სადესანტო  
თვითმფრინავები მტრის მარჯისა იყ-  
ვნენ.

„ფაშისტთა სარდლობას თავის ტე-  
რიტორიაზე დესანტის ჩამოსხმა და  
ისიც ღამით რად უნდა დასჭირდეს?“ —  
მოსვენებას არ აძლევდა ეს კითხვა.  
მტრის თვითმფრინავების გამოყენება  
დესანტისათვის ჩვენს სარდლობას ან  
მოკავშირეებს, რა თქმა უნდა, შეეძ-  
ლოთ, მაგრამ ეს მტრის ზურგში მოქ-  
მედ პარტიზანთა რაზმების ზღვამდევ-  
ნელობას უნდა სცოდნოდა, რომ ამო  
მსხვერპლი თავიდან აეცილებინა. მით  
უმეტეს, რაზმის ადგილსამყოფელი  
ჩვენი ნაწილების სარდლობამ ზუსტად  
იცოდა.

— დესანტი ჩვენი არ არის — დაას-  
კენა ნანაძემ, მაგრამ მყისვე დაეკვდა  
და თავის-თავს შეეკედნა. — ეს  
მოკავშირეთა დესანტია, იმათაც ხომ  
იციან, რომ ამ მიდამოებში საბჭოთა  
პარტიზანები მოქმედებენ? მაშ, რაშია  
საქმე?...

ნანაძე გასცქერის სივრცეს. ის უკ-  
ვე ნათლად წედავს, როგორ სცილდე-  
ბიან პარაშუტისტები სადესანტო თვით-  
მფრინავს და როგორ ეშვებიან სათი-  
თაოდ მიწაზე.

— ერთი, ორი, სამი! — ითვლიდა  
ნანაძე. ის თვალს არ აცილებდა მათ.  
როდესაც უკანასკნელი — მეორმოცე  
პარაშუტისტი ჩამოეშვა, თვითმფრინა-  
ვები უკანვე გაბრუნდნენ.

პარაშუტისტების დაშვების დროს  
პარტიზანებმა მოასწრეს და ალყა შე-  
მოარტყეს სადესანტო ადგილს. გარდა  
ამისა, რამდენიმე პარაშუტისტი შემთხ-  
ვევით პარტიზანთა ჩასაფრების მახ-  
ლობლად დაეშვა. მათ არა თუ იარაღის  
ხმაზე, პარაშუტის ხლართების თავი-  
დან მოცილებაც კი ვერ მოასწრეს; ისი-  
ნი უცბად განაიარაღეს პარტიზანებმა.

დესანტის მთავარი ნაწილი, ოცდა-  
ცამეტი კაცი მყისვე მიწაზე გაწვა და  
საბრძოლო მდგომარეობა მიიღო. მათ  
შეამჩნიეს რომ არასასიამოვნო ადგილ-  
ზე მოხდნენ და პარტიზანებს სროლა  
აუტეხეს.

რაზმელებმა არ უწასუხეს. მათ ამის  
განკარგულება არ ჰქონდათ.

—

რიერაჟი დაიწყო.

ლიუბიმიოვისა და ნანაძის წინ შვიდი  
პარაშუტისტი იდგა. რაზმის მეთაური  
სახელდახელო დაკითხვას აწარმოებდა.  
გამოირკვა, რომ დესანტი ჩვენს მოკავ-  
შირეებს — ამერიკელთა სარდლობას  
ეკუთვნოდა და პარაშუტისტებიც  
ამერიკელები იყვნენ. სწორედ ეს იყო  
იმის მიზეზი, რომ ლიუბიმიოვმა პარტი-

ზანებს საპასუხო სროლის უფლება არ მისცა.

„შესაძლებელია დესანტის შემადგენლობამ არ იცის, თუ ვის წინააღმდეგ ასტეხა სროლა“, — გაიფიქრა ლიუბიშოვმა და გადასწყვიტა გაერკვია იგი საქმის ვითარებაში.

— აქ ჯრუსი პარტიზანები არიან. შესწყვიტეთ სროლა! ჩვენ არაფერს გერჩით — რამდენჯერმე გადასძახეს რაზმიდან ზამაღიდის საშუალებით.

ამერიკელები თავისას არ იშლიდნენ. ისინი მაინც განაგრძობდნენ სროლას.

ამის შემდეგ დაუძახეს ერთერთ ამერიკელ პარაშუტისტს და მისი საშუალებით სადესანტო ჯგუფს გადასცეს:

— საქმე მოკავშირე რუსეთის პარტიზანებთან გაქვთ, შესწყვიტეთ სროლა!

მაგრამ ამერიკელებმა ამ მიმართულებაც უფრო გაძლიერებული სროლით უპასუხეს.

ბოლოს პარტიზანთა, ხელმძღვანელობამ გადასწყვიტა მიეგზავნათ მათთვის ერთერთი პარაშუტისტი საქმის ვითარების ასახსნელად. აგრეც მოიქცა: ერთ ამერიკელ პარაშუტისტს ჯოხზე თეთრი ნაქერი წამოაცმევინა და თავის თანამემამულეებთან გაგზავნა. ამ ზერხმაც ვერ გასჭრა. სროლა უფრო გაძლიერდა. ამერიკელებმა: „ჯაკალის გარღვევისა და გაქცევის მიზნით, რაზმელების ერთ ჯგუფთან ზოხვით მიახლოებად კი სცადეს, „პარლამენტორი“ უკან არ დააბრუნეს, ეს კი უკვე საბრძოლო მოლაპარაკების ყოველივე წესის დარღვევას ნიშნავდა.

გათენდა. ამერიკელები უნაყოფო სროლას მაინც არ სწყვეტდნენ. მაშინ გულმოსულმა ლიუბიშოვმა და ნანაქემ ერთხელ კიდევ გააფართოილეს ისინი, თქვენი მოკავშირეების, რუსი პარტიზანების წინააღმდეგ სროლა ახლავე შესწყვიტეთ, თორემ ჩვენც გიპასუხებთ და რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო, მაგრამ როდესაც საბო-

ლოდ დარწმუნდნენ, რომ ისინი თავისას არ იშლიდნენ, განაგრძობდნენ გაცა — სროლითვე უპასუხებდა.

— პასუხია საჭირო?! გვაიძულებენ?!.. ეს ჩვენ გვეითხონ, ჩვენზე იყო! — დასძახეს რაზმელებმა და ისეთი ძლიერი სროლა აუტეხეს, რომ იფიქრებდით ქვა-ქვაზე დადულდებო. ასეთი სროლა რამდენსამე წუთს რომ გაგრძელებულიყო, მოპირდაპირე მხარეზე ცოცხალი არავინ გადარჩებოდა.

მაგრამ რაზმელებს მოპირდაპირე მხრიდან იმავე წუთს უცნაური ყვირილი შემოესმათ. ამას მოჰყვა ჰაერში თეთრი ბაირაღების ფრიალი... ლიუბიშოვმა განაგრძობდა გაცა — სროლა შესწყვიტეთო.

შესწყდა თუ არა სროლა, ამერიკელთა სადესანტო ჯგუფს ორი კაცი გამოეყო და პარტიზანებისაკენ წამოვიდა. მათ ხელში თეთრი ბაირაღები ეჭირათ. მოსულეებმა განაცხადეს:

— არ ვიცოდით, თუ ჩვენი მოკავშირე რუსი პარტიზანები იყავით, თორემ თქვენს წინააღმდეგ სროლას როგორ დაგიწყებდითო? ახლა დაერწმუნდით და გვინდა კიდევ მოვიდეთ, მოგლაპარაკეთო.

— კიდევ კარგი, რომ ახლა მაინც დარწმუნებულხართ! — დაცინვით მიუგო ლიუბიშოვმა. — სთხოვეთ, მობრძანდნენ, ჩვენ მზად ვართ სტუმრები მივიღოთ და მოველაპარაკოთ.

— ივანე პავლეს-ძევ, ჩემის აზრით, მათ უფრო იგრძნეს ჩვენი ვინაობა, ვიდრე გაიგეს! — ლიბილით უთხრა ვასომ მეთაურს.

— ეს ცხადია, ჩემო ვასო, მაგრამ ისინი ახლა დაგვიანებულსა და უადგილო „დიპლომატობას“ იჩენენ. რა გაეწყობა, უნდა მოვეუსმინოთ.

— ძალა აღმართსა ნნავს! — მხიარულად ჩაილაპარაკა ერთმა რაზმელმა.

— სწორედ ეს ძალაა, რომ გათავ-  
ხედებულებს თეთრი ბაირაღები ააწე-  
ვინა და მოციქულებიც გამოაგზავნი-  
ნა! — დასძინა მეორე რაზმელმა.

— ჩემად, ბიჭებო, მოკავშირეებია,  
უხერხულია! — გააფრთხილა მოსაუბ-  
რენი ერთმა რაზმელთაგანმა.

— მოკავშირეები... თორემ თავიდან-  
ვე ჩვენი თან ერთად მხარი-მხარ იბრძ-  
ვიან! ჩვენი ჯარები გერმანიის ტერი-  
ტორიაზე რომ შეიჭრნენ და ბერლინს  
მიუახლოვდნენ, იმიტომ წამოყვეს  
თავი, რუსებმა ბერლინის აღება არ  
დაგვესწრონო! — უკმაყოფილოდ უპა-  
სუხა მას ერთმა ახალგაზრდა რაზ-  
მელმა...

ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან ამე-  
რიკელები გამოჩნდნენ.

ლიუბიმოვმა და ნანაძემ, ადრე და-  
კავებული პარაშუტისტების საშუალე-  
ბით გამოარკვიეს, რომ დესანტი შედ-  
გებოდა სპეციალურად შერჩეული  
ოფიცრების ჯგუფისაგან, რომელთაც  
ამერიკელი პოლკოვნიკი მეთაურობდა  
და ეს ჯგუფი ერთ სპეციალურ სა-  
კოთხთან დაკავშირებით იყო მტრის  
ზურგში ჩამოსხმული.

ეს მოკლე, დაუზუსტებელი ცნობე-  
ბი პარაშუტისტებმა მხოლოდ მაშინ  
მოაწოდეს რაზმის ხელმძღვანელობას,  
როდესაც ამერიკელთა ჯგუფმა სროლა  
შესწყვიტა და მოციქულები გამოგზავნა.

ამერიკელთა ჯგუფში, გარდა ორი  
მოკლულისა, ორი მძიმედ და სამი  
მსუბუქად დაჭრილი აღმოჩნდა. ლიუ-  
ბიმოვმა განკარგულება გასცა დაჭრი-  
ლებისათვის სასწრაფო დახმარება აღ-  
მოეჩინათ.

რამდენიმე კაცი პარტიზანებსაც და-  
უჭრეს.

ლიუბიმოვმა სადესანტო ჯგუფის შე-  
მადგენლობა თავის მიწურში მოსალა-  
პარაკებლად შეიპატიჟა.

მიწურში ორი ამერიკელი პარაშუ-  
ტისტი შევიდა. ერთი მათგანი დაახ-

ლოებით ორმოცდაათი წლისა იქ-  
ნებოდა, მეორეც — ორმოცსეუდი-  
ლებული. რაზმის მხრიდან, ლიუბიმო-  
ვისა და ნანაძის გარდა, მოლაპარაკე-  
ბას ესწრებოდა მთარგმნელი კომკავ-  
შირელი ქალი.

—:—

დაწყდა მოლაპარაკება:

— ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლი-  
ნა, საჭიროა ერთმანეთს გავცნოთ, —  
ზრდილობიანად მიმართა მოკავშირეთა  
წარმომადგენლებს ლიუბიმოვმა, — მე  
გახლავართ საბჭოთა რუსეთის ერთ-  
ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური  
პოდპოლკოვნიკი ლიუბიმოვი, ეს ამხა-  
ნავი კი, — მიუთითა ნანაძეზე. — ჩე-  
მი მოადგილეა, კაპიტანი ნანაძე. ეს  
ქალიშვილი ჩვენი რაზმის თარჯიმანი  
გახლავთ. გერმანული ენა ჩვენც ვი-  
ციტ, მაგრამ შესაძლებელია ინგლი-  
სურ ენაზე მოგვიხდეს თქვენთან ლაპ-  
არაკი და თარჯიმანის ყოლა იმიტომ  
ვცანიტ საჭიროდ. გთხოვთ თქვენც გვა-  
ცნობოთ, რომელი ბრძანდება თქვენში  
უფროსი. „ბატონი პოლკოვნიკი“, და  
საერთოდ გავგაცნოთ თქვენი ვინაობა!  
სიტყვა „პოლკოვნიკის“ ხსენებაზე  
ამერიკელები დაიბნენ; როგორც სჩან-  
და, ისინი არ მოელოდნენ ამას, მაგრამ  
გარეგნულად არ შეიმჩნიეს. ერთმა  
მათგანმა, უფრო ხნიერმა, თავშეკავე-  
ბით უპასუხა:

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე  
გახლავართ ამ ჯგუფის უფროსი, წო-  
დებით მართლაც პოლკოვნიკი. ეს კი  
ჩემი მოადგილეა — მაიორი. სიმაართ-  
ლე უნდა მოგახსენოთ, ცოტა მაჭკვებს  
და მაკვირვებს კიდევ, ბატონო პოდ-  
პოლკოვნიკო, საიდან იცოდით ჩემი  
სამხედრო წოდება, ჩვენ ზომ მუნდირ-  
ში არა ვართ?

— ჩვენ, ბატონო პოლკოვნიკო, სა-  
ერთოდ ცოტა რამ ვიცით თქვენი სად-  
ესანტო ჯგუფის სპეციალური დანიშნუ-  
ლების შესახებ — განვებ ჩაუკ-  
რა სიტყვა ლიუბიმოვმა, რითაც აგრ-

ძნობინა რომ სადესანტო ჯგუფის ნამდვილი მიზანი და დანიშნულება მისთვის ცნობილი იყო, ნამდვილად კი ამის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა და მხოლოდ ახლა აპირებდა გაგებას.

ჯგუფის სპეციალური დანიშნულების შინაარსის ცოდნას პარტიზანთა ხელმძღვანელობის მიერ ამერიკის სარდლობის წარმომადგენლები სრულიად არ მოელოდნენ. ამ საკითხმა ისინი შეაკრთო, დაანბნა და შეაწუხა კიდევ დაბნეულობა დაკვირვებულ ლიუბიმოვს არ გამოჰპარებია და რომ მათი მოლაპარაკება უფრო გულახდილი და პირდაპირი ყოფილიყო, ასე განაგრძო:

— ზოგი რამ, თქვენი ბრძანებისა არ იყოს, პატივცემულო პოლკოვნიკო, ჩვენც გვაკვირებს. მაგალითისათვის ავიღოთ, თუნდაც ასეთი საკითხი: რატომ ავვიტებთ სროლა თქვენს მოკავშირე პარტიზანებს, ჩვენ ხომ ამის საბაბი არ მოგვიცია? ჩვენ ერთიც არ გვისროლნია თქვენთვის, სანამ მოთმინებიდან არ გამოგვიყვანეთ.

— ჩვენ მტრის ტერიტორიაზე ვიყავით, ბატონო პოდპოლკოვნიკო, და სროლაც ამან გამოიწვია — მიუგო ამერიკელმა პოლკოვნიკმა.

— განა არ შეიძლება მტრის ტერიტორიაზე მოყვარესაც წააწყდეთ? მით უმეტეს, ჩვენ რამდენჯერმე მოგვცით ამის ნიშანი არაერთხელ გაცნობეთ, რომ ჩვენ მტრები არა ვართ!

— მტრის ტერიტორიაზე ვინც არ უნდა იმყოფებოდეს, ბატონო პოდპოლკოვნიკო, თუ ის ამერიკელი არ არის, ჩვენთვის მტერია და მას ჩვენ, მით უფრო მტრის ზურგში მყოფნი, ვესვრით, — უტიფრად უპასუხა ამერიკელმა.

— თქვენი პასუხი ჩვენ ისე უნდა გავიგოთ, როგორც პირადად თქვენი აზრი, თუ ეს ჩვენი მოკავშირე ამერიკის სარდლობის აზრსაც ემთხვევა და მისგან გამომდინარეობს?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ყოველთვის ვმოქმედებთ ჩვენი მთავარი სარდლობის მითითებების საფუძველზე და ყოველი ჩვენი ნიშნავა ჩვენივე სარდლობის აზრისა და შეხედულების გამომხატველია.

— გამოდის, რომ თქვენ მიგილიათ დავალება: — შეხვედრის შემთხვევაში ესროლოთ საბჭოთა პარტიზანებს, იმ პარტიზანებს, რომლებიც ფაშისმის განადგურებისათვის მტრის ზურგში იბრძვიან და თავი სასიკვდილოდ აქვთ გადადებულები..

პოლკოვნიკი ჩაუფიქრდა თავის ლაპარაკს. მან გაიგო გულში: „არ შევცდებ და არ გადმოვუღაგო პარტიზანთა მეთაურებს ჩემი სარდლობის ზოგიერთი მოსაზრებანი“, და გადაჭრით უარყო.

— არა. სპეციალურად ასეთი დავალება ჩვენთვის არავის მოუცია, ბატონო პოდპოლკოვნიკო, მაგრამ... აბა რა ვიცოდით, თქვენ ვინ იყავით?

— ჩვენ ხომ ბევრჯერ განიშნეთ, გიძახეთ, თქვენივე კაციც გამოგიზავნეთ?! — მიუგო ლიუბიმოვმა უხერხულობით დაბნეულ მოსაუბრეს.

— მაინც უფრო ზუსტად გვინდოდა დავრწმუნებულიყავით. ხომ მოგახსენებთ, მტრის ზურგში ვართ, სიფრთხილეა საჭირო, — იცრუა პოლკოვნიკმა.

— აბა, გასაგებია, ყველაფერი გასაგებია. თუმცა სამწუხაროა, რომ მოკავშირე ჯარების უფროს ოფიცრებს ასეთ თემაზე გვიხდება ლაპარაკი. ახლაც გვიბრძანეთ, ბატონო პოლკოვნიკო, რა დანიშნულება აქვს თქვენს დესანტს?

ასეთ პირდაპირ შეკითხვას პოლკოვნიკი არ მოელოდა და ლიუბიმოვს ნაწყენი კილოთი უპასუხა:

— ეს დაკითხვას უფრო წააგავს, ბატონო პოდპოლკოვნიკო, ვიდრე მოლაპარაკებას. მაკვირებს ეს თქვენი შეკითხვა. რატომ მე არ შეგეკითხეთ, თუ რა დანიშნულება გაქვთ, ან რას აქვთ თქვენ?

— თუ მოიგონებთ, ეს მე თვითონ მოგახსენეთ თავიდანვე, რომ ჩვენ ფაშის ვებრძვით, მისი განადგურება გვინდა. როგორც ხედავთ, ჩვენ პირდაპირ და გულახდილად ვუდგებით საკითხს, თქვენგანაც ასეთ გულახდილობას მოვითხოვთ.

— ჩვენც ფაშის განადგურება გვინდა, ეს დანიშნულება გვაქვს და ამაზე ვფიქრობთ.

— ამისათვის, თქვენი ფრონტის წინა ხაზიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაცილებით დესანტის ჩამოსხმა არ დაგვირდებოდათ, შით უმეტეს, აღმოსავლეთის ფრონტის უშუალო სიახლოვეს. თუ ბრძანებთ, მტრის ზურგში გვინდა ვიმოქმედოთ, ესეც არ იქნება სწორი. ჩვენი პარტიზანთა რაზმებიც მოქმედებენ მტრის ზურგში, მაგრამ ჰამბურგში, ბონში, ან კიდევ ნურნბერგში დესანტები არ ჩამოგვისხამს. ჩვენ, როგორც ხედავთ, ვმოქმედებთ ჩვენივე აღმოსავლეთის ფრონტის ზურგში; როგორც მოგახსენეთ, ჩვენ უკვე ვიცით ზოგი რამ თქვენი დესანტის სპეციალური დანიშნულების შესახებ და მოვითხოვთ, არ დაგვიშალოთ მოკავშირე არმიის წარმომადგენლებს მისი ნამდვილი შინაარსი, გამოიჩინოთ უფრო მეტი გულახდილობა.

ამ კითხვის დაყენებით განმეორებამ პოლკოვნიკი და მისი მოადგილე ძალზე შეაწუხა. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ რამე ეთქვათ სპეციალური დავალების შესახებ, მაგრამ, რადგან პარტიზანებმა აგრძნობინეს, რომ მისი შინაარსი თითქმის იცოდნენ ამერიკელები იძულებული შეიქნენ ცოტა რამ მაინც ეთქვათ აბეზარი მასპინძლების დასაწყნარებლად.

— რაკი აგრე მეგობრულად დამიყენეთ საკითხი, ბატონო პოდპოლკოვნიკო, კეთილი და პატიოსანი, ჩვენც გულწრფელად მოგახსენებთ, თუ რა შიამსაქმე, — ეშმაკურად დაიწყა პოლკოვნიკმა. თითქოს მართლაც გულწრ-

ფელობა სურდა გამოეჩინა. — ჩვენ ამ უბანში ფაშისტების მიერ გაკეთებულ ერთ დიდ გვირახს ვეძებდით, მტრის შეხედულებით, სადღაც აქვე უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, თქვენ, როგორც აქაური ადგილმდებარეობის კარგი მცოდნე, დამეხმარებით იმ გვირახის მოძებნაში.

ლიუბიმოვი და ნანაძე მაშინვე მიხედნენ, რომელ გვირახზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ახლა გაჩუმება ამჯობინეს და მხოლოდ ესლა ჰკითხეს:

— რომელ გვირახზე ლაპარაკობთ, ხომ არ გახსოვთ, რომელ რაიონში მდებარეობს?

— როგორ არა! — უბასუხა პოლკოვნიკმა. — ის გვირახი მდებარეობს ძალიან ახლოს პოლონურ სოფელ ვიშ... ვის... ვიშნი... ოპ, დასწყევლოს ეშმაკმა ზეპირად ვეღარ მოვიგონე. კარგად ვიცი, რომ იმ გვირახში ჰიტლერს რკინიგზაც ჰქონდა შეყვანილი, — სთქვა პოლკოვნიკმა და სავლელ წიგნაკს დაუწყა თვალღერება, რომ დივიზიულური სოფლის სახელწოდება ამოეკითხა.

— ნუ ეძებთ, ბატონო პოლკოვნიკო, მე მოგახსენებთ, — უთხრა აქამდის გაჩუმებულმა ვასომ; — იმ სოფელს ვისწევა ჰქვიან. დაბა ფრიშტაკის აღმოსავლეთით მდებარეობს. გვირახი კი თვით ვისნევასთან არის ახლოს.

— ოპ, დიდად გმადლობთ, ბატონო კაპიტანო, მოგონებინათვის, სწორედ სოფელ ვისნევასა და ფრიშტაკის შუა მდებარეობს ის გვირახი, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს.

— ფრიშტაკიდან ექვსი კილომეტრით არის დაცილებული, ხოლო ვისნევასთან, როგორც ჩემმა მოადგილემ მოგახსენათ, სულ ახლოს არის, სოფლის ბოლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით, — შეუსწორა პოლკოვნიკს ლიუბიმოვი და თანაც შეეკითხა, — არ შეიძლება ბრძანოთ, რად დაგვირდათ ის გვირახი, აგრე გადაციცებით რომ ეძებთ მთელი ექსპედიციით?

— ის რომ არ ვნახოთ, ყოვლად შეუძლებელია, ჩვენთვის ეს სტრატეგიულ და ტაქტიკურ აუცილებლობას წარმოადგენს.

— დაავიანეთ, ბატონო პოლკოვნიკო, ძალზე დაავიანეთ, ისე როგორც თქვენმა სარდლობამ მეორე ფრონტის გახსნა. სოფელი ვისნევა, კოზლუვეკი, ფრიშტაკი და მათი უბნები დიდი ხანია საბჭოთა ჯარმა დაიკავა. ფრონტის წინა ხაზი ახლა ამ სოფლების დასავლეთით, კროსნო-იასლის მიმართულებით მდებარეობს. ასე რომ, დიდი გვირაბი, რომელიც თქვენ განიტერესებთ, ჩვენს ჯარს უკან აქვს მოტოვებული და აქედან ორმოცი-ორმოცდაათი კილომეტრით არის დაშორებული, — შოუგო ლიუბიმოვმა ამერიკელ მაძიებელს.

ეს მოულოდნელი ცნობა ლახვარით მოხედა გულში ამერიკელ პოლკოვნიკს, თითქოს დამბლა დაეცო, ცახცახი დააწყებინა და ენის ამოღებაც ძლივს მოახერხა:

— რას ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო, ეს შეუძლებელია! ჩვენი გამონაგარიშებით საბჭოთა ჯარები იმ ადგილებზე ჯერ მოახლოვებულაც არ უნდა იყვნენ. თქვენ ბრძანებთ, აქედან ორმოცი კილომეტრი იქნება. ჩემის აზრით, არც ეს უნდა იყოს სწორი. ჩვენი დესანტი ზუსტი გამონაგარიშებით არის ჩამოსხმული გვირაბის ახლო უბანში. ის უთუოდ აქ ახლოს უნდა იყოს.

— ანგარიშში შემცდარხართ, პატივცემულო პოლკოვნიკო, მე ეს შემიმძლია რუკაზე დაგმოტყვიცოთ. — ლიუბიმოვმა რუკა გაშალა: — აი, სოფელი ვისნევა, მისი ჩრდილო-დასავლეთი; აქ მდებარეობს თქვენთვის საინტერესო გვირაბი. ჩვენ კი აი, აქ ვიმყოფებით, ბოხნიას მახლობლად, ტყეში. ასე, რომ საეჭვო აქ არაფერია. სიბნელეში ალბათ შეგშლიათ და სწორად ვერ ჩამოგისხამთ დესანტი, საჭირო იყო ცოტათი წინ აღმოსავლეთით წა-

წევა და ჩვენი ჯარების მიერ დაკეზბულ ტერიტორიაზე მტეხედგმოდით. იქნებ აგრეც ფიქრობდით: მერსამში ცუდს არაფერს ვხედავ, თუ ძალიან განიტერესებთ ის გვირაბი, მისი ნახვა ახლაც არ არის მოუხერხებელი, შეგიძლიათ მოელაპარაკოთ ჩვენს სარდლობას და, როდესაც გნებავთ, გაჩვენებთ. ის ჩვენთვის არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. პირიქით, ძალიან კარგიც იქნება, თუ ინახულებთ. ზოგ სამწუხარო რამეს ფაქტური მასალებით გაეცნობით ფაშისტების მხეცობისა და ჯალათობის დასადასტურებლად.

— ეჰ. რაღა გაეწყობა. — მწარედ ამოიხრა. პოლკოვნიკმა, — დაეღუპულვართ ხალხი, დიდი ზარალი მოგესვლია და ის არის! რაღა გამოასწორებს ამ საქმეს? ჩვენ რაც გვიანტერესებდა და ვეძებდით, იმას მაინც ვეღარ ვნახავთ!

ლიუბიმოვმა იფიქრა, მოკავშირე ჯარების ოფიცერი თანაგრძნობას უცხადებდა მას მტრის მიერ ჩადენილი მხეცობის გამო და შეეცადა უფრო დაწვრილებით გაეცნო მისთვის იქ მომხდარი შემაძრწუნებელი ამბავი:

— ზარალი ზარალიდან განირჩევა. მე ფსადაუდებელ ზარალს შესახებ მოგახსენებთ.

— ხსენებული გვირაბის აგება საბჭოთა ხალხს რამდენიმე ათასი კაცის სიცოცხლედ დაუჯდა. როგორც უკვე გამოჩვეულია, 1941 წლის ბოლოს პიტლერს ბრძანება გაუცია ამ დიდი გვირაბის საიდუმლოდ აგების შესახებ, იმ მიზნით, რომ შიგ რკინიგზა შეეყვანათ და ფაშისტთა ჯარების მთავარსარდლობის ეშელონი მოეთაყსებინათ. გაცემული ბრძანების თანახმად, გვირაბი უნდა აეშენებინათ საბჭოთა არმიის ტყვეებსა და უკრაინა-ბელორუსიის ოკუპირებულთა ჩაიონებიდან შალად ეტაპირებულ ხალხს. ჩვენი ხალხის სასტიკი ექსპლოატაციისა და

წამების შედეგად მართლაც ჩქარა და-  
ამთავრეს ამ უზარმაზარი ხელოვნური  
გვირაბის მშენებლობა, რომლის სიგრ-  
ძე ნახევარ კილომეტრზე მეტს უდრის  
და სიმაღლე თხუთმეტ-ოც მეტრს.  
რკინაბეტონით აშენებული გვირაბის  
ზედაბირის სისქე ისეთია, რომ სამტო-  
ნიანი ყუმბარებით დაბომბვას გაუძ-  
ლებს. ეს საიდუმლო მშენებლობა რამ-  
დენიმე კვადრატული კილომეტრის  
მანძილზე იყო შემოღობილი ეკლიანი  
შავთულის ხლართებით. ვისაც მშენებ-  
ლობის ფარგლებში სამუშაოდ შეიყ-  
ვანდნენ, მათ ცოცხლად გარეთ გამოსუ-  
ლა აღარ ეწეოდა, იქვე ხოცავდნენ. სწო-  
რედ ასე აწამეს რამდენიმე ათასი საბ-  
ჭოთა მოქალაქე და ბევრი მათგანი  
ცოცხლადც დამარხეს.

— ჩვენ ეს საკითხი როდი გვაინტე-  
რესებს. — თავხედური უდარდლობით  
შეაწყვეტინა სიტყვა ლიუბიმოვის პოლ-  
კოვნიკმა, — სხვა ზარალზე გვეჭონდა  
ლაპარაკი, მაგრამ ახლა რაღა გაეწყო-  
ბა, გვიან არის. გვირაბი უკვე თქვენს  
ჯარს დაუკავებია!..

— მაშ, რაშია საქმე, პოლკოვნიკო,  
გავგაცანით, რად გაინტერესებთ ის  
გვირაბი, აგრე მწარედ, რომ იმ საკითხს  
ადამიანთა სიცოცხლეზე მაღლა აყე-  
ნებთ? — წყენით უთხრა ლიუბიმოვმა.

— ჩვენ ოქროს ვეძებდით, ეს  
საკითხი გვაწუხებს. ჩვენი ცნობების  
თანახმად იმ გვირაბში ფაშისტებს ოქ-  
როს მარაგი ჰქონდათ შენახული, —  
სთქვა პოლკოვნიკმა. შეიძლება იმიტო-  
მაც სთქვა, რომ საქმეს მაინც გაფუჭე-  
ბულად სთვლიდა და სინამდვილის და-  
ფარვა ველარაფერს უშველიდა.

— აჰა, გასაგებია, „ბატონო“ პოლ-  
კოვნიკო; ჩვენ ფაშისტების მხეცურ  
საქციელსა და უდანაშაულო ადამიანთა  
მსხვერპლზე გელაპარაკებით, თქვენ კი  
თურმე ოქროს ეძებთ და ამ ოქროს  
ადამიანთა სიცოცხლეზე მაღლა აყე-  
ნებთ! ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო

ბრძოლას ვაწარმოებთ და ყოველ ლო-  
ნეს ვხმარობთ ფაშისტების წინააღმდეგ-  
რებლად, თქვენ კი, გამდიდრებისათვის  
იბრძვით! სამწუხაროა, ძლიერ სამწუ-  
ხარო, რომ ამერიკელ მოკავშირეთა  
ჯარების სარდლობა, მოუხედავად  
ფრონტის აგრე დაგვიანებით გახსნასა,  
ასეთ „ოპერაციებზე“ იყენებს თავის  
სამხედრო ძალასა და ტექნიკას. მე  
მაინც მოგახსენებთ, რომ თქვენს საო-  
ცნებო გვირაბში, ან მის ახლოს, არა-  
ვითარი ოქროს მარაგი არც ყოფილა  
და არც არის!

— ამის თქმა ძნელია. შესაძლებელია  
იყო და ახლა აღარ არის, — ჩვეული  
უტიფრობით უპასუხა ლიუბიმოვის  
პოლკოვნიკმა.

— ჩემი პასუხის ფაქტიური დადას-  
ტურება, პოლკოვნიკო, არც ისე ძნე-  
ლია. არსებობს დოკუმენტი, რომელსაც  
ვერავენ გაემქცევა. არსებობს გვირაბი-  
სა და მისი მიდამოების დეტა-  
ლური განჩრეკა-დათვალიერების აქ-  
ტი შედგენილი საბჭოთა და პო-  
ლონეთის ადგილობრივ მცხოვრებთა  
წარმომადგენლებთან ერთად, რომე-  
ლიც აშკარად ადასტურებს, რომ იქ  
ოქრო კი არა, არამედ ფაშისტთა ურდო-  
ების მხეცური ძალადობის ნაშთები  
იყო. ეს გვირაბი, პოლკოვნიკო, მეორე  
ოსვენციშია, იმ განსხვავებით, რომ ოს-  
ვენციში ცოცხლად სწვავდნენ უდანა-  
შაულო საბჭოთა ადამიანებს, აქ კი  
ცოცხლად მარხავდნენ მათ. რაც შეე-  
ხება ოქროს მარაგს, მას ფაშისტური  
გერმანია, ძლევაშოსილი საბჭოთა ჯა-  
რების შიშით, ბერლინიდან თუ სადმე  
გააქანებდა, მხოლოდ დასაგლეითისაკენ.  
თქვენ მიერ დასახელებული გვირაბი,  
კი როგორც მოგვხსენებათ, ბერლინი-  
დან აღმოსავლეთით მდებარეობს.

— ეჰ, რა გაეწყობა, ბატონო პოლ-  
კოვნიკო, რაც მოხდა, მოხდა! სამ-  
წუხაროა, რომ ხელცარიელები დაერ-  
ჩით. მხოლოდ ერთი გვიბრძანეთ: რას

გვიჩვენე როგორც მოკავშირე რუსეთის სამხედრო წარმომადგენელი, როგორ მოვიქცეთ? ცუდ ადგილას მოვხვდით, მტრის ზურგში, აღმოსავლეთის ფრონტის უშუალო სიახლოვეს. ამ ადგილებში, როგორც ჩანს, დღეს თუ არა, ხვალ, მაინც თქვენი ჯარები შემოვლენ. ცოტა არ იყოს უხერხულობას ვგრძნობთ. გვიჩვენე რაშე?

— მაპატიეთ, ბატონო პოლკოვნიკო, კადნიერებისათვის, მაგრამ ამ საკითხზე თავიდან უნდა გეფიქრნათ. ოქროს მარაგის საეჭვო საკითხი წინასწარ უნდა შეგესწავლათ და დაგეზუსტებინათ. ეს სულ ადვილად მოგვარდებოდა ჩვენს სარდლობასთან ოფიციალური მოლაპარაკებით. ამჟამად დარწმუნდებოდით, რომ თქვენთვის საინტერესო გვირაბის მიდამოებში ოქროს მარაგი კი არა ნაწამები საბჭოთა ადამიანების ძეგლების მგტი არაფერია. თქვენ ხომ ფაშისტები

არა ხართ, რომ უდანამაულოდ და მხეცურად დახოცილი ხალხს ეძებდით ალარ დაყენოთ საფლავში? — ჩემთვის ბევრ სხვა საკითხში აგვიანებდით და აგვიანებთ, ახლაც მოგვიანებით თხოულობთ უადგილო რჩევას. აბა, რა უნდა გირჩიოთ? ჩემის აზრით, სჯობს გამოითხოვოთ თვითმფრინველი, გაბრუნდეთ თქვენი ფრონტის განლაგებაში და მოახსენოთ პირადი გამდიდრებისათვის ოქროსმადიებელ სარდლობას მათი მისწრაფების არარაობის შესახებ, — ნიშნის მოგებით მიუგო ლიუბიმოვმა.

შეთაურის ამ თავდაპერილმა, მაგრამ პირდაპირმა პასუხმა ეასოსა და თარჯიმან გოგონას ღიმილი მოჰგვარა.

ამერიკელი ოფიცრები კი სასოწარკვეთილი იდგნენ და ისმენდნენ ლიუბიმოვის პასუხს, როგორც მძიმე და წარუშლელ ბრალდებას!

## ბერლინის დასაბამი და საბჭოთა კავშირის გამარჯვება ღილ საბაგულო ომში

„წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი პატრიოტული მოვალეობა და მტრისაგან გაათავისუფლა ჩვენი საშობლო. ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან“.

მ. ბ. სტალინი.

★

1945 წლის 2 მაისს საბჭოთა არმიის ძლევამოსილი დარტყმების შედეგად დაეცა ბერლინი. გერმანიამ სრული და უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა. ფაშისტური გერმანია, რომელმაც თავს მოახვია მთელ მსოფლიოს სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი, თვითონვე დაემხო.

გერმანიაზე გამარჯვებაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულმა ძალებმა. საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა არმიამ თავიანთ ზურგზე გადითანეს ფაშისტ აგრესორთა ბრძოლის მთელი სიმძიმე. მათ ბრწყინვალედ შეასრულეს ამოცანა, რომელიც დასახა უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა სტალინმა: „მოკლეთ ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და აღემართოთ ბერლინის თავზე გამარჯვების დროშა“.

ისტორიას არ ახსოვს მტრის ძალების იმაზე უფრო სრული განადგურება, ვიდრე ის, რომელიც მოხდა ბერლინის ოპერაციის შემდეგ. ამ ოპერაციაში განადგურებულ იქნა არამარტო არმია, არამედ მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობაც, განადგურებულ იქნა გერმანიის სახელმწიფო აპარატიცა და მისი ეკონომიური ძლიერებაც. გერ-

მანიის ფაშისტურ, საერთაშორისო იმპერიალიზმის ამ მთავარ ძალას, სასიკვდილო დარტყმა ვაგემეთ.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, ფაშისტურ გერმანიაზე თავისი დიადი გამარჯვებით, არამარტო დაიცივეს საშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ გადაარჩინეს კიდევ ევროპის ხალხები ფაშისტური მონობისაგან. ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი დახმარების შედეგად, მოიცილეს რა ფაშისტური მონობის უღელი და განთავისუფლდნენ რა შინაგანი რეაქციის მონური ბორკილებისაგან, დაამყარეს თავიანთ ქვეყნებში სანალბო-დემოკრატიული წყობილება და დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას. საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ უზრუნველყო სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალთა შემდგომი გაძლიერება. რასაც სათავეში უდგას ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი.

იმპერიალისტური რეაქცია ვარაუდობდა გერმანიის ფაშისტურ დახმარებით მოკლავდა, ან შეესუსტებინა მაინც გამარჯვებული სოციალიზმის მთავარი

და წამყვანი ძალა — საბჭოთა კავშირი და ამით განემტყიცებინა იმპერიალიზმის შერყეული ნიადაგი. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფოს, უძლეველი ბოლშევიკური პარტიის ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ, საბჭოთა ხალხის მტყიცე ნებისყოფამ და საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამორულმა ბრძოლამ ნიადაგი გამოაცალეს საერთაშორისო რეაქციის ყველა გეგმას.

ბერლინის ოპერაცია, როგორც საბჭოთა არმიის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ოპერაცია, განსაკუთრებით საინტერესოა. მასში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა

ხალხის უკვდავ გამირობას, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სიმბნესა და სიმამაცეს, ჩვენი სახელმწიფო და სოციალიზმის ზოგადოებრივი წესწყობილების კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო და სოციალიზმის ზოგადოებრივი წესწყობილებაზე უპირატესობას, სტალინური სამხედრო მეცნიერებისა და საბჭოთა სამხედრო ხელოვნების გერმანელთა დეფექტიან სტრატეგიასა და შაბლონურ ტაქტიკაზე უპირატესობას. ჩვენ ვხედავთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელ, მარგანიზებელ და წარმართველ ძალას.

### გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე არსებული ვითარება 1945 წლის დამდეგს

იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა 1945 წლის დამდეგისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე, ახასიათებდა უწინარეს ყოვლისა ის გამარჯვებები, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ჯარმა 1944 წელს ათი სტალინური დარტყმის წარმატებით განხორციელების შედეგად.

1944 წლის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მტრის 136 დივიზიაზე მეტი. ამ წლის დამდეგს საბჭოთა ჯარების ფრონტის ხაზი ტილზიტზე (სოვეტსკი), სავალიზე, ვარშავაზე, დემბლინზე, სანდომირზე და კრასნოზე გადაიდა და შემდეგ კი სამხრეთისაკენ მიიმართებოდა.

1944 წელს წარმოებული ოპერაციების შედეგად ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ იქნა საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორია, გარდა ამისა, საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მთელი ბულგარეთი, უნგრეთის ნაწილი და ამასთანავე ალყა შემოარტყეს ბუდაპეშტს. ომიდან გამოყვანილ იქნენ გერმანიის სატელიტები — ფინეთი და

რუმინეთი. საბჭოთა ჯარი შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში.

1944 წელს საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად პიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების, მისი ოკუპაციისა და საფრანგეთის განთავისუფლების საქმე, ინგლის-ამერიკის ჯარების ჩაურევლად, წინასწარ გადაწყდა. როგორც ცნობილია, სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, იმ დრომდე მეორე ფრონტის გახსნის მოწინააღმდეგე, 1944 წლის ივნისში დასავლეთ ევროპაში შეჭრილიყო.

საბჭოთა სამხედრო ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ უზრუნველყო ჩვენი შეიარაღებული ძალები თანამედროვე საომარი ტექნიკით, საომარი მასალით, სურსათითა და ტანსაცმლით, ამან შექმნა საჭირო მატერიალური პირობები ახალი ძლევამოსილი შეტევებისათვის.

წარმატებითი შეტევების მიმდინარეობაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა გამდიდრდა ფართო მასშტაბის შეტევითი ოპერაციების საბრძოლო გამოცდილებით. საბჭოთა შეიარაღებული ძალები

და მთელი საბჭოთა ხალხი გამსკვალუ-  
ლი იყვნენ იმ მისწრაფებით, რომელიც  
დაგვისახა დიდმა სტალინმა 1944 წლის  
7 ნოემბერს თავის ბრძანებაში. პიტ-  
ლერული გერმანია უმოკ-  
ლეს დროში განადგურდა  
სწრაფი შეტევით.

მთელმა რიგმა დამარცხებებმა, რომ-  
ლებიც განიცადეს გერმანიის ჯარებმა  
საბჭოთა არმიისაგან, განსაკუთრებით  
1944 წელს და რომელთა შედეგადაც  
გერმანიამ დაკარგა თავისი მოკავში-  
რეები, ომის გადატანამ უშუალოდ  
მტრის ტერიტორიაზე და იმ მატერია-  
ლური ბაზის შეკეთრება შემიცირებამ,  
რომელსაც ფაშისტთა არმია ემყარებო-  
და, ყველაფერმა ამან პიტ-  
ლერული გერმანია განსა-  
კუთრებით მძიმე მდგომარ-  
ეობაში ჩააყენა და ყვე-  
ლა წინაპირობა შეუქმნა  
მისი სამხედრო მანქანის  
სრულ განადგურებას.

მიუხედავად ამისა, პიტლერული  
გერმანიის ხელმძღვანელი ბანდა ამ პი-  
რობებშიაც კი არ ფიქრობდა დამარც-  
ხებულად ეცნო თავი და კამბიტულაცია-  
ზე წასულიყო, მით უმეტეს, რომ  
1944 წლის დამლევს გერმანელები გა-  
ნაგრძობდნენ ევროპის ზოგიერთი  
ქვეყნის ოკუპაციასა და ექსპლოა-  
ტიციას. განაგრძობდნენ რა თავდაცვას,  
გერმანელებს შეეძლოთ დაყრდნობოდ-  
ნენ ისეთ ძლიერ ზღუდევებს, რომელ-  
ნიც ვისლასა და ოდერზე ჰქონდათ.  
მათ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ დასავ-  
ლეთ კარპატების მთიან პოზიციებს,  
ე. წ. „ზიგფრიდის ხაზს“ დასავლეთ  
ევროპაში და დასავლეთ აპენინების  
მთიან პოზიციებს- იტალიაში.

გერმანიის სამხედრო და პოლიტი-  
კურ ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა,  
რომ საქმის ვითარება მათ სასარგებ-  
ლოდ შეიცვლებოდა, მათი იმედი იმ  
პოზიციას ემყარებოდა, რომელიც მა-

შინ ინგლისისა და ამერიკის რეაქციულ  
პოლიტიკურ წრეებს ეკავათ. პიტლ-  
რელები ფიქრობდნენ, რომ გაერთიან-  
ებულ ერთა ბანაკში კონფლიქტი აუ-  
ცილებლივ იჩენდა თავს და რაც  
უფრო მოაზლოვდებოდა ომის დასას-  
რული, მით უფრო მკვეთრად გაიზრ-  
დებოდა წინააღმდეგობა, ერთის მხრით,  
საბჭოთა კავშირსა და, მეორე მხრით,  
ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ  
შტატებს შორის.

პიტლერული გერმანია თავის ძირი-  
თად მტრად საბჭოთა კავშირს სთელი-  
და და ამიტომ თავისი მთავარი ძალებ-  
ში ფაშისტურ სარდლობას, როგორც  
ცნობილია, საბჭოთა კავშირის ფრონტ-  
ზე წყაგდა, ხოლო დასავლეთ და იტა-  
ლიის ფრონტებზე თავის ძალებს იგი  
თანდათან ამცირებდა.

ამ ძალთა თანაფარდობის შედეგად  
დასავლეთ-ევროპის ფრონტზე ინგლის-  
ამერიკის ჯარებისათვის კეთილსასურ-  
ველი მდგომარეობა იქმნებოდა. მიუხე-  
დავად ამისა, ინგლის-ამერიკის არმიათა  
სარდლობა არ ისწრაფოდა გამოეყენე-  
ბინა ეს გარემოება იმისათვის, რომ  
სწრაფი და გადამწყვეტი შეტევების  
საშუალებით დაეჩქარებინა მტრის ვა-  
ნადგურება და რეალური დახმარება  
გაეწია საბჭოთა არმიისათვის.

ინგლისისა და ა. შ. შტატების რეაქ-  
ციულ-იმპერიალისტური წრეები ომის  
სწრაფი დამთავრების ნაცვლად მის ვა-  
ჭიანურებასა და საბჭოთა კავშირის  
დასუსტებას ცდილობდნენ. ამ წრეების  
ზეგაგლენით ინგლის-ამერიკის არმიები  
ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთ  
ადგილს სტყებინდნენ.

ამ პასიურობამ ხელი შეუწყო პიტ-  
ლერულ სარდლობას აქტიურად გამოე-  
ყენებინა შექმნილი ვითარება, ხელში  
ჩაეგდო ინიციატივა და მძლავრი დაჯ-  
გუფების ფარულად შექმნით სათანადო  
დარტყმა ეგემებინა ინგლის-ამერიკის  
არმიებისათვის.

ასეთი მძლავრი და მოულოდნელი დარტყმის წარმატებას, პიტლერელ ხელმძღვანელთა აზრით, შეეძლო არა თუ მნიშვნელოვნად შეეცვალა სტრატეგიული პირობები დასავლეთით, არამედ პოლიტიკური შედეგებიც გამოეწვია.

1944 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გერმანიის სარდლობამ თავი მოუყარა არდენში დიდ მოძრაე დაჯგუფებას, რომელიც ორი სატანკო არმიისაგან შენდებოდა. ინგლის-ამერიკის სარდლობის მტკიცებით, გერმანელები აპირებდნენ დაერთყათ ლიეჟისათვის, გაენადგურებინათ ამერიკის პირველი არმია, ბრიტანეთის მეორე არმია და კანადის პირველი არმია, მოეწყოთ მოკავშირეებისათვის „მეორე ლიუნერკი“ და ამით ინგლისი ომიდან გამოეყვანათ.

როგორც ცნობილია, გერმანიის ჯარების შეტევის შედეგად, რომელიც 1944 წლის 16 დეკემბერს დაიწყო და რაც სრულიად მოულოდნელი იყო ინგლის-ამერიკის სარდლობისათვის, ამერიკის პირველი არმიის თავდაცვა გარღვეულ იქნა 40 კილომეტრის მანძილზე. 23 დეკემბრისათვის გარღვეული ფრონტი გაფართოვდა 100 კილომეტრამდე, ხოლო გერმანიის არმიების წინსვლის სიღრმე 100 კილომეტრს აღემატებოდა. გერმანელთა მეექვსე სატანკო არმიის ნაწილებმა მდინარე მაასი გადალახეს დინანის სამხრეთით და ამ მდინარისავე გაიჭრნენ აგრეთვე ლიეჟის ჩრდილოეთითაც. შეიქმნა გარღვევის შემდგომი განვითარების მოსალოდნელობა.

ინგლის-ამერიკის ჯარებისათვის არდენში მძიმე მდგომარეობის შექმნის გამო, ინგლისის ყოფილი პრემიერი ჩერჩილი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სარდლობისათვის დახმარებოდა ინგლის-ამერიკის ჯარებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე ფართო მასშტაბის აქტიურ მოქმედების გაშლით.

„მე მადლობელი ვიქნები, — სწერდა უ. ჩერჩილი თავის მიმართვლაში ამხანაგ სტალინისადმი 1944 წლის დეკემბერს, — თუ თქვენ შესძლებთ შემატყობინოთ მე, შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, ვისლას ფრონტზე რუსეთის ჯარების მძლავრ შეტევაზე, ან რომელიმე სხვა ადგილას იანერის განმავლობაში? მე საქმეს სასწრაფოდ ვთვლი“ („ისტორიის ფაქტობრივობები“. პოლიტგამომცემლობა, 1948 წ., გვ. 76,77).

საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა 1944 წლის კამპანიის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1945 წლის კამპანიის მომზადებას შეუდგა. საბჭოთა ჯარების დიდი შეტევითი ოპერაციები უნდა დაწყებულიყო კარგი დარების დაწყების შემდეგ, რაც საშუალებას მოგვცემდა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა არტილერია და ავიაცია. მაგრამ საბჭოთა კავშირი თავის ვალდებულებებს მთელი ომის განმავლობაში თანმიმდევრულად და პატიოსნად ასრულებდა. იგი ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა თავის სამხედრო მოკავშირეებს. არც ახლა შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდნენ ინგლის-ამერიკის არმიები.

ამ თხოვნის საპასუხოდ 1945 წლის 12 იანვარს, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, დაიწყო საბჭოთა ჯარების შეტევა დასავლეთ ფრონტზე.

იანერის შეტევის საერთო გეგმა ითვალისწინებდა დაგვერტყა მტრისათვის ფართო ფრონტზე ბალტიკიდან კარპატებამდე. ძირითად ამოცანას წარმოადგენდა გერმანელთა ჯარების დაჯგუფებათა განადგურება აღმოსავლეთ პრუსიასა და პოლონეთში, გასვლა არა მარტო ბერლინის მისადგომებთან, არამედ ცენტრალური და სამხრეთ გერმანიის მნიშვნელოვან და სასიცოცხლო რაიონებშიაც. რათა საბოლოოდ და

მთლიანად გაგვენადგურებინა მისი სამხედრო მანქანა.

საბჭოთა არმიების დარტყმები განვითარდა 1200 კილომეტრიან ფრონტზე. ეს დარტყმები თავზარდამცემი იყო გერმანიის ჯარებისათვის, რომლებიც თავს იცავდნენ აღმოსავლეთ პრუსიაში, ვისლაზე და კარპატებში, მძლავრმა შემტევმა დაჯგუფებებმა მთელ რიგ უბნებში სწრაფად გაარღვიეს მტრის თავდაცვა და განავითარეს შეტევა მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში.

26 იანვრისათვის ჩვენი ჯარები, რომელნიც აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, კენიგსბერგს (კალინინგრადს) მიაღწიეს და მათ ფრთხილად უყრესაც მიაღწიეს. წარმატებითი მანევრის შედეგად დაახლოებით მტრის ოცდაათი დივიზია მოსწყდა გერმანიის არმიის მთავარ ძალებს, ისინი შევიწროებულ და მირეკილ იქნენ ზღვასთან ზემოანდის ნახევარკუნძულზე და კენიგსბერგის რაიონში.

იმ ჯარებმა, რომელნიც პოზნან-კიუსტრინის მიმართულებით უტევდნენ, დაამარცხეს გერმანიის ჯარები პოლონეთში, გაარღვიეს თავდაცვის ზღუდეების მთელი სისტემა ვისლასა და ოდერს შორის, იღდეს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა, თითქმის ექვსასი კილომეტრით წაიწიეს წინ დასავლეთისკენ და 1 თებერვალს გადავიდნენ მდინარე ოდერზე, შეუჩერებლივ გადალახეს იგი კატუბრინის რაიონში და ხელთ იღდეს პლაცდარმი მდინარის დასავლეთ ნაპირზე.

იმ ჯარებმა, რომელნიც შეტევას სანდომირ-საილეზიის მიმართულებით ანვითარებდნენ გაარღვიეს თავდაცვის ზღუდეები ვისლასა და ოდერს შორის და გავიდნენ მდინარე ოდერსა და ნეისზე.

ასეთივე წარმატებით ვითარდებოდა ოპერაციები გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტის სამხრეთ ფრთაზედაც.

დაძლეულ იქნა მტრის წინააღმდეგობა უნგრეთში, და საბჭოთა არმიის ჯარებმა, გაანადგურეს რა ბუდაპეშტის დაჯგუფება, გზა გაიკაფეს ვენისაკენ.

1945 წლის იანვრის შეტევის შედეგად საბჭოთა ჯარები მიუახლოვდნენ ფამისტური გერმანიის დედაქალაქ ბერლინს 60—100 კილომეტრის მანძილზე. შეიქმნა ბერლინის ოპერაციის წარმატებით ჩატარების წინაპირობები.

გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ იქნა მთელი ჩრდილოეთ პოლონეთი და მისი დედაქალაქი ვარშავა. ოპერაციის მსვლელობაში განადგურებულ იქნა მტრის 35 დივიზია.

ჩვენი შეტევითი ოპერაციების შედეგად შესწყდა გერმანიის არმიის ზამთრის შეტევა ინგლის-ამერიკის წინააღმდეგ არდენში.

საბჭოთა ჯარების შეტევამ გადაწყვეტი ცვლილება მოახდინა დასავლეთ-ევროპის ფრონტზე. გადავიდნენ თუ არა შეტევაზე საბჭოთა ჯარები, გერმანიის უმალღესი სარდლობა იძულებული გახდა გაეცა ბრძანება შეეწყვიტნათ შეტევა არდენში და სასწრაფოდ გამოეყვანათ ბრძოლიდან მეხუთე და მეექვსე სატანკო არმიები, რომელთაგანაც მეექვსე სატანკო არმია დაუყოვნებლივ გადამოსროლილი იქნა გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე ბალატონის ტბის რაიონში.

გერმანიის ცენტრალური რაიონებისა და ბერლინის მისადგომებთან თავდაცვა დავალებული ჰქონდა არმიის ჯგუფ „ვისლას“, რომელსაც ჯერ ჰიმლერი მეთაურობდა, მერე გენერალი ჰეინრიცი. ამ ჯგუფში მესამე სატანკო არმია და მეცხრე არმია შედიოდნენ.

სამხრეთით თავდაცვაში იღდა „მიტელს“ (ცენტრი) არმიის ჯგუფი, გენ-

რალ-ფელდმარშალ შერნერის მეთაურობით.

ელოდა რა საბჭოთა არმიის გადამწყვეტ შეტევას ბერლინის მიმართულებით, ჰიტლერულმა სარდლობამ აქ თავი მოუყარა დიდ ძალებს, რადგან ნათელი იყო, რომ ბერლინისათვის ბრძოლაში გადაწყდებოდა აღმოსავლეთის ფრონტის ბედი, ფამისტური გერმანიის ბედი.

ჰიტლერულმა სარდლობამ ბერლინის თავდაცვის ძირითადი ხაზი შექმნა მდინარე ოდერზე, ბუნებრივად ქარაფოვან ნაპირზე, რომელიც ხელსაყრელი იყო შეუპოვარი თავდაცვისათვის.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა შემდეგში პირდაპირ განაცხადა:

„გენერალური შტაბისათვის ნათელი იყო, რომ ბერლინისათვის ბრძოლა ოდერზე უნდა გადაწყვეტილიყო. ამიტომ მეცხრე არმიის ჯარების ძირითადი მასა გამოყვანილი იყო წინა მხარეზე, მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირზე“.

გერმანელთა ცდები, რომ კონტრდარტყმები ეწარმოებინათ პომერანიასა და ბალატონის ტბის რაიონში, საბჭოთა ჯარების მიერ წარმატებით ლიკვიდირებულ იქნა.

გერმანიის სარდლობამ ყოველგვარი ზომები მიიღო ჩვენი შეტევის მაქსიმალურად გაძნელებისათვის საჭირო მიუდგომელი ზოლის შესაქმნელად ოდერსა და ბერლინს შორის. მდინარეების, ოდერისა და ნეისეს დასავლეთ ნაპირების ადგილმდებარეობა ხელს უწყობდა თავდაცვის ორგანიზაციას. აქ იყო მრავალი მდინარე, კიბი და არხი, რომლებიც გაზაფხულის წყალდიდობის პირობებში ძნელად გადასალახვ წინააღმდეგობებს ქმნიდნენ როგორც ქვეითი ჯარისათვის, ისე ტანკებისთვისაც. ასევე ძნელი გადასალახვი იყო დიდი ტყეები ოდერსა და ბერლინს შორის. ქალაქის ტიპის მრავალი დასახლებული პუნქტი, რომელნიც ქვით ნაგები იყ-

ნენ, ადვილად შეიძლებოდა თავდაცვის კენძად გადაქცეულიყო. გარდა ამისა, გერმანელებმა ოდერსა და მდინარეებს შორის შექმნეს თავდაცვის მძლავრი სისტემა, რომელიც შესდგებოდა სამი მთლიანი ზღუდისაგან. თეთიული ამ ზღუდეთაგანი სიღრმეში განვითარებულ თავდაცვას წარმოადგენდა. ამ ზღუდეებში წინასწარ ჩამდგარი იყვნენ ჯარები, მათი მისადგომები კი დაფარული იყო სხვადასხვა სახის საწინააღმდეგო საშუალებებით.

თავდაცვის სამი ზღუდის გარდა, მოწყობილი ჰქონდათ კიდევ სამი რგოლისებური სარტყელი (გარეთა, შინაგანი და საქალაქო), რაც გარს ევლებოდა ბერლინს, მის გარეუბნებსა და ცენტრალურ კვარტალებს.

თვით ბერლინი დაყოფილი იყო თავდაცვის ცხრა სექტორად. თეთიული სექტორის დაცვისათვის გამოყოფილი იყვნენ პოლიციისა და ესესელების რჩეული ნაწილები. ყველა ქუჩაზე აღმართული იყო ბარიკადები. მოედნები და ქუჩის შესაყარები კი დანაღმული იყო. მეტრო და შენობათა სარდაფები გადაქცეული იყო თავდაცვის ადგილებად.

ქალაქი თავდაცვისათვის ჯერ კიდევ იანვრიდან ემზადებოდა. მუშაობდა ქალაქისა და მისი გარეუბნების მთელი მოსახლეობა. ქალაქვეშ თავმოყრილი იყო უზარმაზარი არმია, ზუთასი ათასი კაცის რაოდენობით. ჰიტლერელებმა ფრონტზე გაიწვიეს ბერლინის მოსახლე ყველა მამაკაცი. სამხედრო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩამოყალიბებული იყო დამრტყმელი ბატალიონები. ფლოტილიების მეზღვაურები გემებიდან გამოიწვიეს და ისინიც ფრონტზე გაგზავნეს.

ჩვენი ჯარების ბრძოლა კიდევ იმით გამწვავდა, რომ, ბერლინის ზედაქალაქს გარდა, არსებობდა მიწისქვეშა ნაგებობათა მთელი სისტემა ათი მეტრის სიღრმეში. შექმნილი იყო მრავალი მიწის-

ქვეშა დერეფანი, საწყობი და ყაზარმა მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტებისათვის. ამავე მიზნით გამოყენებული იყო მეტროს გვირაბები, კოლექტორები და სარდაფები. მთელი მიწისქვეშა მეურნეობის გეგმა სასტიკ საიდუმლოდ იყო შენახული.

გერმანიის ჯარებმა შეჰქმნეს მძლავრი საცეცხლე სისტემა. თავდაცვის ზღუდეების დასაცავად გამოყენებული იყო საჰაერო თავდაცვის ბერლინის ზონა.

ცდილობდნენ რა განემტკიცებინათ ჯარებისა და მოსახლეობის მორალური განწყობილება, ჰიტლერული ხელმძღვანელობა და სარდლობა თავიანთ ბრძანებებსა და მოწოდებებში მიუთითებდნენ წითელი არმიის მიერ წარმატებით დაცულ დიდ ქალაქებზე (მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადისა და სხვათა თავდაცვაზე).

ჰიტლერელები აცხადებდნენ, რომ ახლა, 1945 წელს, რუსეთის არმია მოხვდა ისეთსავე მძიმე დეგომარეობაში, როგორშიაც იყო გერმანიის არმია მოსკოვთან, როდესაც მან გასკიმა თავისი კომუნიკაციები, გაფანტა თავისი ძალები ფართო ფრონტზე და ვერ შესძლო შეტევა განევითარებინა მოსკოვზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ მიაღწიეს სტრატეგიულ უპირატესობას, რადგან შეამცირეს ფრონტი, გაამაგრეს იგი და ახლა შეუძლიათ იმოქმედონ შინაგანი საოპერაციო ხაზებით.

ვრცელდებოდა ისეთი ჭორებიც,

რომლებიც ირწმუნებოდნენ, თითქოს საბჭოთა ჯარები ოსმალეთში გადასხდნენ, რის გამოც ინგლისსა და ამერიკის ელჩებმა სსრ კავშირი დასტოვეს და უახლოეს დროში ინგლისი და ამერიკა ომს შესწყვეტნენ.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა გენერლებისა და ოფიცრებისაგან მოითხოვდა უსასტიკეს ზომებს პანიკორებისა და მგლეჯელების წინააღმდეგ. გამოცემული იყო ბრძანება, გაუფრთხილებლად დაეშინათ არტილერიის ცეცხლი იმ ნაწილებისა და ქვეგანაყოფებისათვის, რომელნიც თავიანთ პოზიციებს სტოვებდნენ.

სულიერი განწყობილების ასამაღლებლად ავრცელებდნენ ხმებს, რომ თითქოს ჰიტლერს ბერლინის თავდაცვის მიზნით დასავლეთი ფრონტიდან რამდენიმე დღეშია გადმოჰყავს და რომ მზად არის ახალი საიდუმლო საბრძოლო იარაღი, რომელიც მთლად ამოსწყვეტს ბერლინზე მომდგარ საბჭოთა ჯარებს.

როგორც ვხედავთ, მოწინააღმდეგე ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უკუეგლო საბჭოთა ჯარების შეტევა ბერლინზე და ომი გაეკვიანურებინა.

ბერლინის ოპერაციის ჩატარება ძალღონეს მოითხოვდა.

ამ დროისათვის დასავლეთის ფრონტზე ინგლის-ამერიკის არმიები, რომელთაც საფრანგეთის განთავისუფლება დაამთავრეს, გერმანიის საზღურებს მოადგნენ.

### ბერლინის ოპერაციის მომზადება

საბჭოთა არმიის ბერლინის ოპერაცია ეს სტრატეგიული მასშტაბის ღრმად მოფიქრებული და ორი ფრონტის ძალებით — უმაღლესი მთავარსარდლობისა და პირადად ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ბრწყინ-

ვალედ განხორციელებული თანამედროვე სამაგალითო ოპერაცია იყო.

საბჭოთა არმიის შეტევითი ოპერაციების ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენდა გარკვეული მიზანდასახულობა და სტრატეგიული მიზნის გადამწყვეტი ხასიათი; ამავე დროს ოპე-

რაციის ჩანაფიქრი ყოველთვის შექმნილი გარემოების რეალურ შეფასებას ემყარებოდა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამაში მდგომარეობდა ჩვენი სტრატეგიისა და ოპერატიულობის ხელოვნების ფაშისტური გერმანიის სტრატეგიასა და ოპერატიულ ხელოვნებაზე უპირატესობა.

გერმანიის სტრატეგიის ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა თავისი ძალების ყოველთვის ზედმეტი გადაფასება და მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობა. გარდა ამისა, ისინი ცდილობდნენ სტრატეგიული მიზნებისათვის მიეღწიათ მაშინ, როდესაც საამისოდ საჭირო ძალა და საშუალებანი არ მოეპოვებოდათ.

ეს თვალათლივ დაგვანახა ჯერ კიდევ 1914—18 წლების პირველმა მსოფლიო ომმა.

გერმანიის სტრატეგიის ეს თვისებები, რაც გერმანიის იმპერიალიზმის მანკიერებიდან გამომდინარეობდა, ნათლად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

სამამულო ომის პირველ ეტაპზე გერმანიის არმიის შეტევითი ოპერაციები ხორციელდებოდა წინასწარ აღებულ ჩანაფიქრთა საფუძველზე, ობიექტურ გარემოებათა და ძალთა თანაფარდობის გაუთვალისწინებლად. ტაქტიკური წარმატებებით წახალისებულებს არა ჰქონდათ რეალურად უზრუნველყოფილი სტრატეგიული გეგმები, რამაც გერმანიის არმია მიიყვანა კატასტროფიდან კატასტროფამდე, მოსკოვთან, განადგურებიდან სტალინგრადის კახამდე. კურსკის რეალთან დამარცხებამდე, სადაც გერმანიის შეტევითი სტრატეგია საბოლოოდ ჩაიფუშა და ბერლინისათვის ბრძოლაში მთლად გამოიფიტა.

საბჭოთა არმიის შეტევითი ოპერაციების მეტად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ის, რომ ისინი ტარდებოდნენ ზუსტად გამომუშავებული

ლა რეალურად უზრუნველყოფილი გეგმებით, რომლებიც მოფიქრებული იყვნენ ომის მთელი პერიოდისა და საბოლოო სტრატეგიულ მიზნის მიღწევისათვის. ამ მხრივ ბერლინის ოპერაცია წარმოადგენს საბჭოთა სტალინური სამხედრო მეცნიერებისა და ოპერატიული ხელოვნების ტრიუმფს. რადგან მან, არა თუ ათთვისა ყველაფერი საუკეთესო და მოწინავე იმისაგან, რაც მოგვცა საბჭოთა არმიის ისეთმა ბრწყინვალე ოპერაციებმა, როგორც იყო მოსკოვის, სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლები, 1944 წლის ათი დარტყმა, გერმანელთა განადგურება ბალკანეთში და 1945 წლის იანვრის ბრძოლები, არამედ მათ კიდევაც გადააჭარბა. წმინდა ფრონტული შეტევა სასურველ შედეგებს არ მოგვეცემა; ასეთი შეტევა შეიძლებოდა გახანგრძლივებულიყო დამას დიდი ზარალიც მოყოლოდა.

ბერლინის დაჯგუფების განადგურებისა და ბერლინის ალების ამოცანა დაკისრებული ჰქონდა ორ ფრონტს — უკრაინის პირველსა და ბელორუსიის პირველ ფრონტებს, რომელთა დარტყმებიც ხორციელდებოდა ბერლინის ერთდროულად შემოვლით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან და ფრონტული დარტყმით გერმანელთა ჯარების იმ ძირითად დაჯგუფებაზე, რომელიც ბერლინისა და მის მისადგომებს იცავდა.

ოპერაციის მიზანი იყო გაეთიშნა ბერლინის დაჯგუფება, ალყაშემოერთება მისთვის და გაენადგურებინა იგი. საკუთარ ბუნებაში მოესპო ფაშისტური მხეცი და გამარჯვების დროშა აღმართა ბერლინის თავზე.

ამ ოპერაციაში ოსტატურად იქნა გამოყენებული მოწინააღმდეგის ფრონტის დანაწილება, მისი მთავარი ძალების ორად გაყოფა, ამ დაჯგუფებათა ალყის შემორტყმა ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით და შიგ კალაქში.

ასეთი მოხერხებული მანევრით ერთდროულად ხორციელდებოდა სამი

მნიშვნელოვანი ოპერატიული ამოცანა, რაც საერთო სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარეობდა.

ალყა ერთყმოდა გერმანელთა ორ დიდ დაჯგუფებას.

იქმნებოდა მეტად ხელსაყრელი პირობები ბერლინის რაიონში იზოლირებული ძირითადი დაჯგუფების განადგურებლად და ბერლინის ასაღებად.

მტრის თავდაცვის მთელ სიღრმეში მტრის მოსპობის საშუალებით ხორციელდებოდა ჩვენი ჯარების შეხვედრა ინგლის-ამერიკის ჯარებთან ელბაზე.

უკანასკნელი შესანიშნავი ეტაპის შესანებ შვენიერად მოგვეთხოვს ერთ ერთი საუკეთესო საბჭოთა ფილმი „შეხვედრა ელბაზე“.

შეტევის ფართო ფრონტის გაშლამ (275 კილ.) მტრის საშუალება მოუსპო საწინააღმდეგო მანევრირება დაეწყო თავისი ძირითადი ძალებით, რომლებიც თავმოყრილი ჰყავდა ბერლინის მიმართულებით, რადგან ისინი შებოჭილი აღმოჩნდნენ.

მართალია, ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგემ ბერლინთან თორმეტ-

ზე მეტი დივიზია გადმოაყენა, მაგრამ ისინი ყველანი მოსპობილ იქნენ.

ბერლინის ოპერაციის დასრულების დროს ჩვენი სარდლობა იმ გასწავლებას ითვალისწინებდა, რომ საბჭოთა არმია დიდსა და მძლავრ წინააღმდეგობას შეხვედებოდა, რამდენადაც გერმანიის სარდლობა ყველაფერს მოიმუქმებდა იმისათვის, რომ საბჭოთა ჯარებს არ გაერღვიათ გზა ბერლინისაკენ.

ამიტომ ჩვენმა სარდლობამ, უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იმდენ ძალასა და შესაძლებლობებს მოუყარა თავი ბერლინის მიმართულებით, რაც მთლიანად უზრუნველყოფდა დასახული მიზნის განხორციელებას.

ოპერაცია ყოველმხრივ გულდასმით მომზადებული იყო. ჩვენი ჯარების მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა ბრძოლის დაწყების წინ განსაკუთრებით მაღალი იყო. მებრძოლებსა და მეთაურებს სწამდათ თავისი იარაღის სიძლიერე, სწამდათ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება, აფრთოვანებდათ თავისი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის სტრატეგიული გენია.

## ბერლინის ოპერაციის ძირითადი ეტაპები

ბერლინის ოპერაციის საბრძოლო მოქმედებათა მთელი მსვლელობა განიყოფება სამ ძირითად ეტაპად:

მოწინააღმდეგის თავდაცვის განადგურება მდინარეებზე — ოდერსა და ნეისზე 1945 წლის 16-19 აპრილს.

სწრაფი მანევრის განხორციელება, რომლის შედეგადაც ალყამორტყმულ იქნა მტრის დაჯგუფებანი და ძალების ნაწილი გაიჭრა მდინარე ელბაზე 20-25 აპრილს.

ალყამორტყმული მტრის დაჯგუფებათა ლოკიდაცია, ბერლინის აღება და ფართო ფრონტით გასვლა მდინარე-

ელბაზე 1945 წლის 25 აპრილიდან 2 მაისამდე.

მთავარი ძალების შეტევა დაიწყო 16 აპრილს, ღამით. გარიერაზე გაისმა 22 ათასი ქვემეხისა და ნაღმსატყორცის ზალპი. ოცი წუთის შემდეგ კი უსტრინის სამხრეთ-დასავლეთით აელვარდა წარმოუდგენელი სიძლიერის სინათლე. ას მილიარდ სანთელზე მეტი სიძლიერის სინათლემ გააშუქა ბრძოლის ველი.

გერმანელთა დივიზიის მეთაურმა რადიოთი აცნობა ბერლინში: „დაგვიშინეს ჯოჯოხეთური ცეცხლი, პოლკებთან კავშირი შეწყვეტილია. ერთ ადგილას

რალაც სინათლეა — მილიარდ სანთლობით. რა არის ვერ ვარკვევთ. შეიძლება ახალი სახის იარაღია, იქნებ ქიმია?“. ამ რაიონში საბჭოთა სარდლობამ მრავალი მძლავრი პროექტორი მიიტანა. ეს პროექტორები ერთსა და იმავე დროს აკიაფდნენ და გერმანელებს მხედველობის უნარი წაართვეს.

მძლავრი საარტილერიო მოზადების შემდეგ ბრძოლაში ჩაება 4.000 თანამედროვე ტანკი. მას მოჰყვა საბჭოთა ქვეითი ჯარი, რომელსაც ვხას უკაფავდა ოცდაორი ათასი ქვემეხისა და ნაღმსატყორცის ცეცხლი. გერმანელებს ჰაერიდან თავს დაატყდა ოთხი-ხუთი ათასი ბომბდამშენი, მოიერიშე და განადგურებელი, რომელთაც დღედაღამის განმავლობაში მოაწყეს ჩვიდმეტე ათასი თვითმფრინავგაფრენა მხოლოდ ერთი ფრონტის უბანზე.

საბჭოთა არტილერიისა და ავიაციის დარტყმის ძალა განსაკუთრებით ძლიერი იყო. მოწინააღმდეგისათვის იერიში მოულოდნელი იყო. ამ დღეს შეპყრობილი გერმანელი ტყვეები ფსიქიურად შერყეული იყვნენ.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგრეთწოდებულ „ზელოვის სიმაღლეებს“. ეს იყო გასაღები თავდაცვის მეორე ზოლისაკენ. 17 აპრილს ეს სიმაღლეები, დასახლებულ პუნქტ ზელოვთან ერთად, აღებულ იქნა.

16 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, პიტლერმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა. ის არწმუნებდა მათ, რომ ბერლინთან რუსებისათვის მოწყობილია „სისხლის აბანო“, რომ აქ გერმანელთა არმია თვითონ გადავა შეტევაზე. პიტლერი მოუწოდებდა მტკიცედ მდგარიყვნენ, რადგან სულ მალე დახმარებას აღმოუჩენდნენ.

მაგრამ საბჭოთა ჯარები წარმატებით განაგრძობდნენ პიტლერული ურდოების განადგურებას. მტრის ყველა ცდა — შეეჩერებინათ ჩვენი წინსვლა თავდაცვის მეორე ზოლზე — უნაყოფო

აღმოჩნდა. 17 აპრილს, საღამოთი, ეს ზოლიც გარღვეულ იქნა.

18 აპრილს ფაშისტურმა სარდლობამ ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს მუხრძანა: „მოვითხოვთ მტკიცედ იდგეთ 48 საათს, 48 საათის შემდეგ გარდატეხა მოხდება და ჩვენ კონტრშეტევაზე გადავალთ“.

მაგრამ საბჭოთა ჯარები კვლავ წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას. 19 აპრილს გარღვეულ იქნა აგრეთვე თავდაცვის მესამე ზოლიც. ეს ფაქტურად იმას ნიშნავდა, რომ გაირღვა ოდერის გამაგრებული ზღუდე, რომელზედაც პიტლერული სარდლობა მთელ თავის იმედებს ამყარებდა. 18 აპრილს მარჯვენა ფრთაზე მოქმედმა შენაერთებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და მდინარე ნეისეზე გაარღვიეს თავდაცვა მთელ ტაქტიკურ სიღრმეზე.

ველარაფერი ვერ უშველიდა განწირულ ფაშისტებს. გერმანელთა დივიზიები დაიბნენ და გაიფანტნენ საბჭოთა გვარდიელების დარტყმათა მეოხებით. ზედიზედ ისპობოდნენ გერმანელთა გამაგრებული ზღუდეები.

აპრივად 19 აპრილს დამთავრდა ბერლინის ბრძოლების პირველი ეტაპი — გერმანელთა თავდაცვის გარღვევა. ოდერისა და ნეისესათვის ბრძოლებში გერმანელთა სარდლობამ რეზერვების ჩათვლით თითქმის მთელი თავისი ძალები გამოიყენა.

მდინარე ოდერზე 24 აპრილს, მტრის თავდაცვის გარღვევის შემდეგ, საბჭოთა არმიის შენაერთებმა მოათავეს ბერლინის გარემოცვა ჩრდილოეთიდან და ისინი ბრძოლით შევიდნენ ნაუნის რაიონში, სხვა შენაერთებმა 20 აპრილს ცხარე ბრძოლებით გაარღვიეს ბერლინის რაკოლისებური გარე-სარტყელი და ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს ქალაქის გარეუბნებში.

25 აპრილს დამთავრდა ოპერაციის მეორე ეტაპი: მტრის ძირითად დაჯგუფების შუაზე გაჭრა, თვითველი მათ-

განის ცალკალკე ალყის შემორტყმა და მდინარე ელბაზე პირველი უკრაინული ფრონტის ჯარების ინგლის-ამერიკის ჯარებთან შეხვედრა.

ამრიგად გერმანიის ფრონტი შუაზე ვაპოა.

25 აპრილიდან 2 მაისამდე მიმდინარეობდა ბერლინის ოპერაციის მესამე და დამამთავრებელი ეტაპი—ორი დიდი დაჯგუფების ლიკვიდაცია და ბერლინის აღება.

ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ალყაშემორტყმული მტრის დაჯგუფება ორჯერ შეეცადა გაერღვია ალყა, რათა შემდეგ ბერლინის დამცველებს დახმარებოდა, მაგრამ ყველა მათი ცდა უკუგდებულ იქნა ჩვენი ჯარების მიერ. კონტრდარტყმების უკუგდებისა და ალყაშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციასთან ერთად ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა ბერლინის ასაღებად.

ბერლინის ალყაშემორტყმის დამთავრების შემდეგ დაიწყო კონცენტრირებული შეტევა ქალაქზე ყოველი მხრიდან. ამ დროისათვის ბერლინის გარნიზონი ორასიათას კაცს აღემატებოდა. ბერლინის თავდაცვას არტილერიის გენერალი ბაიდლინგი მეთაურობდა. ამას გარდა, საკომანდო პუნქტზე, მიწის დიდ სიღრმეში ჰიტლერი და გეზელსი იმყოფებოდნენ. ბაიდლინგი თავის ბრძანებებში აცხადებდა, რომ მან იკისრა მეთაურობა და მიიღო ჰიტლერის პირადი მითითება: „დაიცვას ბერლინი უკანასკნელ ჯარისკაცამდე“.

21 აპრილიდან ბერლინის დაჯგუფების კაპიტულაციამდე ქალაქის ქუჩებში შეუწყვეტელი ბრძოლები მიმდინარეობდა. წინაღულებში ბერლინი დაბობმა ჩვენმა ავიაციამ. ბერლინისაკენ წინსვლის დროს ქალაქს ცეცხლს უშენდნენ ჩვენი არტილერია და მძიმე ნაღმსატყორცნები. მთელი ბერლინი ცეცხლში იყო გახვეული. ქალაქს კვამლისა და მტერის სქელი ნისლი ჰბუფავდა. ცა ყვითლად იყო შეღებილი. მაგრამ

გერმანელები მაინც განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას.

30 აპრილს კაპიტან ნეუსტროვეის ქვეგანაყოფის სერჟანტებმა ქანთარამ და ეგოროვმა გამარჯვების დროშა აღმართეს რაიხსტაგის თავზე.

2 მაისს ბერლინი დაეცა. მისმა გარნიზონმა იარაღი დაჰყარა. ბერლინის რაიონში სამასი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ დანებდა ჩვენს სარდლობას.

ქალაქი სადაც მსოფლიოს ნგრევისა და დაპყრობის გეგმებს აწყობდნენ, თვითონ ნანგრევებად იქცა, მან თვითონ აღმართა თეთრი ბაირაღი. ბერლინის პირქუში ნანგრევები კი თითქოს ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური რეჟიმის სამარცხვინო დაღუპვას გამოხატავდა.

ბერლინის კაპიტულაციამ საბოლოოდ გადასწყვიტა გერმანიის ყველა ფრონტის ბედი.

ასე დამთავრდა ბერლინის ოპერაციის მესამე და უკანასკნელი ეტაპი.

ფაშისტურმა გერმანიამ დაიჩოქა, თავისი თავი დამარცხებულად სცნო და უსიტყვო, სრული კაპიტულაცია გამოაცხადა. 8 მაისს გერმანიის სარდლობის წარმომადგენლებმა ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომელიც ძალაში შევიდა 1945 წლის 8 მაისს, ღამის 24 საათზე.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი აწარმოებდა გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ, ძლევაში იწვინდა დამთავრდა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება გამოჰხატავდა არა მარტო იმპერიალისტურ გერმანიაზე გამარჯვებას, არამედ იგი გამოხატავდა აგრეთვე ლენინ-სტალინის დიად განმათავისუფლებელ იცეათა გამარჯვებას ჯოჯოხეთის მოციქულებზე, ფაშისტი კაცკამიების რასულ თეორიაზე.

ფაშისტური გერმანიის დამარცხებით საბჭოთა კავშირმა ევროპის ცივილი-

ზაცია და ევროპის ხალხები გაანთავისუფლა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მონობისაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. „ამიერიდან ევროპაზე იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის დიადი დროშა“ (სტალინი).

საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულ სახელმწიფოებში შეიქმნენ ახალი დემოკრატიული მთავრობები და დამყარდა ახალი დემოკრატიული წყობილება.

საბჭოთა არმიისა და საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის უძლეველი ძალა მდგომარეობს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებაში, მის ძლიერებაში. ამ ძალამ პირობა შეუქმნა საბჭოთა პატრიოტიზმს, საბჭოთა მეომრების მაღალ მორალურ თვისებებს, ჩვენი ჯარების საბრძოლო გამობრძმედილობასა და ბრძოლის მაღალუნარიანობას. საბჭოთა არმია წარმოადგენს ნამდვილად სახალხო არმიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველ არმიას.

დიდ სამამულო ომში ყველა გამარჯვება დაკავშირებულია ჩვენი ებოქის დიდი მხედართმთავრის—გენერალისიმუს

სტალინის სახელით, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხს, მის შეიარაღებულ ძალებს და მტკიცედ მძაყყა და ისინი მტერთან გადამწყვეტ ბრძოლაში ვრანდიოზული გამარჯვებისაკენ.

ამხანაგ სტალინის სახელს თვითუფლი საბჭოთა მეომარი გულით ატარებდა მრისხანე ბრძოლებში, მისი სახელით მიდიოდნენ ისინი უდიდეს გმირობაზე და კიდევაც იმარჯვებდნენ.

შესანიშნავად გამოხატა ამხანაგმა მოლოტოვმა საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის აზრი და გრძნობა ამხანაგ სტალინისადმი:

„ეს ჩვენი ბედნიერებაა. ომის მიძიმე წლებში წითელი არმია და საბჭოთა ხალხი წინ მიჰყავდა საბჭოთა კავშირის გამოცდილსა და ბრძენ ბელადს, დიდ სტალინს. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორიაში შევა საბჭოთა არმიის სახელოვანი გამარჯვებები.“

დიდი ბელადისა და ორგანიზატორის სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ შევუდექით ახლა მშვიდობიან მშენებლობას, რომ მივალწიოთ სოციალისტური საზოგადოების ძალთა ნამდვილ აყვავებას და გავამართლოთ საუკეთესო იმედები ჩვენი მეგობრებისა მთელ მსოფლიოში“.

## საქართველო ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში



ვლ. მაიაკოვსკის გარდაცვალების ორი წლისთავეზე მოსკოვიდან სოფელ ბაღდათში ჩავიდა პოეტის უფროსი და, ლუდმილა ვლადიმერის ასული. უკვე ოცდახუთ წელზე მეტ ხანს გაეწელო, რაც ის იმ არე-შარეში აღარ ყოფილა, იმ მომხიბლავ სოფელში, სადაც მასა და მის სახელოვან ძმას გატარებული ჰქონდათ ბავშვობის დაუვიწყარი წლები.

პირველი ნაცნობი, რომელიც ლუდმილამ ინახულა ბაღდათში, ეს იყო იქაური გლეხის ქალი, ქრისტიანე შარაშიძე, მაიაკოვსკის ბავშვობის მეგობარი. მან ძლივს და იცნო დიდი ხნის უნახავი სტუმარი.

— ლუდია, შენ?! — შეეკითხა იგი მოსულს განცვიფრებით.

— შე ვარ, — ქართულად უპასუხა ლუდმილა ვლადიმერის ასულმა.

ქალები ერთმანეთს გადაეხევივნენ. როცა ლუდმილამ აცნობა, ვალოდია გარდაიცვალაო, — ორივემ ტირილი დაიწყო. ეს იყო ნამდვილი მოთქმა.

ორი მანდილოსანი, ერთი რუსი და მეორე ქართველი, მწარედ დასტიროდა დიდებული და საამაყო კაცის დაკარგვას. და ეს სურათი მგლოვიარე ქალების უზომო მწუხარებისა იმ წუთში აღსავსე იყო ღრმა აზრითა და მნიშვნელობით: ამ ღროს ისინი საოცარის თვალნათლიეობით წარმოსახავდნენ ორი მომეც ერის გრძნობათა თანახმობას.

ვ. მაიაკოვსკი თავისი ბიოგრაფიითა და შემოქმედების გარკვეული ნაწილით

მკიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, მის ადამიანებთან. მის საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებასთან.

იმერეთის ულამაზეს კუთხეში, ზეკარის უღელტეხილის ძირას, ახლაც დგას ხის ძველი ოდა, სადაც დაიბადა რევოლუციის უდიდესი პოეტი. ამ სახლში დღესაც სასოებით ინახება ქართული აკვანტი, რომელშიდაც იწვა პოეტი ჩვილი ყრმობისას. ეზოში ძველებურად შრიალებენ ლეღვის, მსხლისა და ვაშლის დაკორძებული ხეები, რომლებიც უჩრდილებდნენ პატარა ვალოდიას. ეზოს მაზლობლად ხმაურით მიაქანებს თავის ცისფერ ტალღებს მდინარე ხანის-წყალი. ზაფხულობით, აქ ცურაობასა, თევზაობასა და ქვებზე ხტომაში მთელ დღეებს ატარებდა მომავალი პოეტი. ბაღდათში ახლაც ცხოვრობენ პოეტის ბავშვობის დროინდელი მეგობარი გლეხები, რომლებთანაც მას საუბარი და შაირობა უყვარდა.

ქართული სოფლის წიაღში, გლეხურ გარემოცვაში გატარებულ დღეებს და შემდეგ, ქუთაისში, პირველი რევოლუციის მქუხარე წლებში ცხოვრებას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მაიაკოვსკის სულიერ ფორმირებაზე, მის გონებრივ განვითარებაზე, ვიტყოდით მეტსაც. — იმ მტკიცე ფსიქოლოგიური ნიადაგის ჩამოყალიბებაზე, რომელზედაც მომწიფების პასაჟში ააგო პოეტმა თავისი სოციალური და პოლიტი-

კური შეხედულებანი, თავისი იდეური და მხატვრული პრინციპები.

მაიაკოვსკი, როგორც ჩანს, სრულიად მართებულად, თვითონაც მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი ცხოვრების ამ დასაწყისს ეტაპს, გატარებულს საქართველოში. თავის ავტობიოგრაფიაში და აგრეთვე ლექსებში, იგი არა ერთხელ იგონებს ამ წლებს და სრულიად სერიოზულად ხაზს უსვამს თავის ქართულ ნიადაგზე წარმოშობას, თავისი სულიერი ცხოვრების გამოკვეთას ქართულ საზოგადოებრივ ატმოსფეროში.

ბაღდადის სოფლის გარემო და შობლების ოჯახის დემოკრატიული ტრადიციები ზელს უწყობდნენ პატარა მაიაკოვსკის, რომ იგი ახლოს მისულიყო სოფლის მშრომელ მასებთან, გაეცნო მათი პირვარამი. ეს მით უფრო ადვილი იყო მისთვის, რომ მაიაკოვსკი ბავშვობიდანვე თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. ასევე დაუფლებულნი იყვნენ ქართულ ენას მისი ოჯახის უფროსი წევრებიც. მამა პოეტისა, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე, ბაღდადელი მეტყვევ, მართალია სახელმწიფო მოხელე იყო, მაგრამ სრულიადაც არ წაგავდა მეფის მოხელეთა იმ კასტას, რომელიც წერბლებად აჯდა მშრომელი ხალხის ცხოვრებას. პირიქით, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძეს გულითადი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ბაღდადელ გლეხობასთან. მეგობრობდა მათ, ბევრ მათგანს შვილებს უნათლავდა, და როგორც ნათელ-მარონი, ხშირად დაიარებოდა მათ ოჯახში წვეულება-დღეობებში და თვითონაც გულუხვად უმასპინძლებოდა ზოლმე სტუმრად მოსულ მეზობლებს.

პატარა მაიაკოვსკი ხშირად დაჰყვებოდა მამას ქუეში მოგზაურობის დროს. უყვარდა მას ტყისმცველებთან საუბარი, მათი თავგადასავლის, აგრეთვე ხალხური ლექსების, შაირებისა და

ზღაპრების მოსმენა. არამც თუ გლეხებთან, არამედ ხშირად ოჯახშიაც ქართულად ლაპარაკობდა თურქმენულად. მაიაკოვსკი, უფრო თავისი ცხოვრების ლუდმილა ვლადიმერის ასულის სიტყვით, პატარა ვალოდამ ერთხელ კონსპირატიული ენაც კი გამოიგონა თურქმენულად სალაპარაკოდ, რათა შობლებისაგან დაეფარა თავისი ნაშეგებარი. ეს საიდუმლო ენა წარმოადგენდა ქართული და რუსული სიტყვის მარცვლების ისეთ ოსტატურ შეხამებას, რომლის გაგება მხოლოდ საიდუმლოში განდობილ მოსაუბრეს თუ შეეძლო.

ბაღდადის სოფლის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული მაიაკოვსკის ბევრი საუკეთესო მოგონება. პოეტის ავტობიოგრაფიაში მთელი რიგი ადგილები სწორედ ამ მოგონებებისადმი მიძღვნილი. გაეხსენოთ თუნდაც პირველი სახლის აღწერილობა, რომელიც დაამახსოვრდა მაიაკოვსკის. ის სახლი ბაღდადის უძველეს ციხის ნანგრევებს შორის იყო აგებული, ტყით დაბურული მალალი მთების კალთაზე. სახლის ქვედა სართულში მარანი იყო გამართული. შემოდგომაზე ურმებით ყურბენს ზიდავდნენ, საწნახელში წურავდნენ, ტბილი წვენი რაყარკით ჩადიოდა ქვევრში. ბაღდადიდან პატარა მაიაკოვსკი შობლებს შორეულ ექსკურსიებზედაც დაჰყვდათ. მან ამ დროს იხატულა ზეკარის უღელტეხილის ზვიადი პანორამა. გელათის ძველი მონასტერი, შაკე ზღვის სანაპიროები. ამგვარად, ქართულმა ისტორიამ, საქართველოს ბუნებამ და თანადროული ცხოვრების სურათებმა ერთიანი შთაბეჭდილების სახით ჰპოვეს საზღვარგარეთ ბინა ყმაწვილის ცნობიერებაში.

რვა წლის მაიაკოვსკი შობლებს მიჰყავთ ქუთაისში, გიმნაზიაში მისაბარებლად. და მისი პირველი ინციდენტი თავის რუს მასწავლებლებთან დაკავშირებულია ისევ ქართულ ენას-

თან და ქართულად შეთვისებულ მცნებებთან. საეკლესიო-სლავური ენის გამოცდაზე ხუცესი ეკითხება ბავშვს:

— ჩტო ტაკოე ოკო?

— ტრი ფუნტა, — უპასუხებს მაიაკოვსკი სრულიად გულწრფელად, რადგან ჰგონია, რომ აქ საქმე შეეხება სიტყვა ოყას, რაც იმერულად მართლა სამ გირვანქას ნიშნავს. „თავაზიანმა ეგზამენატორებმა განმიმარტესო, — წერს პოეტი თავის მოგონებაში, — რომ „ოკო“ თვალთა ძველებურად-საეკლესიო-სლავურად. ამის გამო კინალამ ჩაეიჭერი. ამიტომ ერთბაშად შემძულდა ყველაფერი ძველებური, ყველაფერი საეკლესიო, ყველაფერი სლავურიო“.

მაიაკოვსკის სწავლის პერიოდი ემთხვევა რევოლუციური მოძრაობის სწრაფი განვითარების მღელვარე ეპოქას. ამ დროს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები მედგარ ბრძოლას აწარმოებენ ცარიზმის დასამხოზად. ამხანაგ სტალინის ინიციატივით ქუთაისში არსდება იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტი, რომლებიც ხელმძღვანელობს დასავლეთ-საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს.

ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა დიდ გამოხმაურებას ჰპოვებდა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობაში. რევოლუციური განწყობილება სუფევდა აგრეთვე მაიაკოვსკების ოჯახშიაც.

პოეტი, იგონებს რა თავისი ცხოვრების ამ პერიოდს, წერს: „გაჩნდა სიტყვა „პროკლამაცია“. პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ. ქართველებს კახაყებ ჰკიდებდნენ. ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ. მე შემძაგდნენ კახაყები“.

ამ ხანებში 12 წლის მოსწავლე მაიაკოვსკი უკვე აქტიურად ებმება დიდ

სახალხო მოძრაობაში. მისი პირველი ნაბიჯები უფრო ინსტიტუტურ-მეცნიერ-კარნახევი. მაგრამ იგი ჯერმოსსსსკრამ ხდება რალაც დიდი. მნიშვნელოვანი სამართლიანი. ის თანდათანობით ერკვევა ბურჟუიდან. აი როგორ იგონებს პოეტი 1905 წლის ამბებს: „სწავლისთვის ვის ეცალა. გამრავლა ორიანები, მეოთხეში გადავედი მხოლოდ ამის წყალობით, რომ ქვით თავი გამიტეხეს (როონზე ვიჩხუბე) — განმეორებითს გამოცდაზე შემბარალეს. ჩემთვის რეკლუცია ასე დაიწყო: ჩემი ამხანაგი, ვლდლის მზარეული ისიდორე სიხარულით ფეხშიშველი ქურაზე შეტა — მოკლეს გენერალი ალიხანოვიო, საქართველოს დამსჯელი. დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი, მომეწონა... სიტყვები, გაზეთები. ყველაფრიდან — უცნობი ცნებები და სიტყვები. მოვთხოვე ჩემს თავს განმარტება. ფანჯრებში თეთრი წიგნაკებია. „ქაირიშალა“. იმავე ამბებზეა. ვყიდულობ ყველაფერს. ვდგებოდი დილის ექვს საათზე. ვკითხულობდი გატაკებით. პირველი: „ძირს სოციალ-დემოკრატები“. მეორე: „ეკონომიური საუბრები“. ძალზე გამოცა სოციალისტების მიერ ფაქტების გარკვევის, ქვეყნიერების სისტემატიზების უნარმა... გადავიკითხე ყველაფერი, რაც მირჩიეს. ბევრი რამ არ მესმის. ვეკითხები სხვებს. მარქსისტულ წრეში შემეყვანეს... თავი სოციალ-დემოკრატად ჩავთვალე: გავაძარე მამის ბერდანა სოციალ-დემოკრატულ კომიტეტში“.

იმ მღელვარე დღეებში მოსკოვიდან ჩამოდის მაიაკოვსკის უფროსი და ლუდმილა, მოსკოვის სამხატვრო სკოლის მსმენელი. მას თან ჩამოაქვს საიდუმლოდ მთელი დასტა პროკლამაციებისა. იქ დაბეჭდილია ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ლექსები. „ეს რევოლუცია იყო ლექსებით გამოხატული. — წერს

პოეტი, — ლექსი და რევოლუცია როგორღაც გაერთიანდა ჩემს თავში“.

მაიაკოვსკი, როგორც თავისი კლასის დელეგატი, აქტიურ მონაწილეობას იღებს მოსწავლეთა ფარულ კრებებზე. მოწაფეები გიმნაზიის ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებას, ქართული ენის, როგორც სავალდებულო საგნის, შემოღებას, რეაქციონერი მასწავლებლების განდევნას. მესამე კლასის მოსწავლე მაიაკოვსკი ერთი მთავარ მონაწილეთაგანია გიმნაზიაში მოწყობილ გაფიცვებისა და დემონსტრაციების.

ბავშვი-მაიაკოვსკის ნაადრევ მომწიფებას მოწმობს მისი ბარათი, რომელიც მას 1905 წლის დღეებში გაუგზავნია მოსკოვს, თავისი დისათვის. რევოლუციური ბრძოლის გმირული რომანტიკით გატაცებული ყმაწვილი თავის წერილში დიდის პათოსით აღწერს ქუთაისის ამბებს: „გიმნაზია და რეალური სასწავლებელი გაიფიცნენ. ამის საბაბიც ჰქონდათ: გიმნაზიის ზარბაზნები მიუღირეს. რეალურში კი უფრო მეტიც ჰქნეს: ზარბაზნები ზედ ეზოში დადგეს და გამოაცხადეს, საკმარისია კრინტი დასძრათ, რომ ქვეს ქვეზე აღარ დავტოვებთ...“ წერილის დასასრულს პატარა რევოლუციონერი აღტაცებით წერს მეფის დამსჯელი რაზმების დამარცხების შესახებ: „პირველი გამარჯვება მეფის ბაშბიბუჯებზე მოპოვებული იქნა გურიაში, სადაც ორასამდე ეს ძალი დახოცეს. ქუთაისიც იარაღდება ქუჩებში სულ ერთთავად მარცელიოზას ჰანგები გაისმის“.

1905 წლის რევოლუციურმა ამბებმა წარუშლელი დადი დააჩინეს მაიაკოვსკის სულიერ ცხოვრებას. ქუთაისის ამ დღეების მოგონებად მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა მეხსიერებაში ირ. ვედოშვილის ლექსის

მგზნებარე სტრიქონები, რომელთაც პოეტი შემდეგში არაერთხელ უწერ-მოსთქვამდა ხოლმე ქართულად:

მეგობრებო, წინ წინ, გასწით,  
ნუ შედრკება თქვენი გული,  
ღე, მყარდს სისხლის დალი აჩნდეს  
და შუბლს ოფლის ნაყადული!

როგორც ჩანს ამ დროიდანვე დამახსოვრდა მაიაკოვსკის ცნობილი სიმღერა არსენა ჯორჯიაშვილზე, რომელსაც იგი აგრეთვე არა ერთხელ იგონებდა ხოლმე დიდი ხნის შემდეგ, თბილისში ჩამოსვლის დროს. ქართველ მეგობარ პოეტთა წრეში:

შე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,  
მე მოვამორე ქვეყანას ჰარი.  
ვესროლე ბოშა, მოვკალი მხეცი,  
მაგრამ მტარვალბს ვერ გავწყვი.

ამ ქართულ რევოლუციურ სიმღერებს შეუძლებელია თავისი ღრმა კვალი არ დაეჩნიათ მომავალი პოეტის შთაგონებაზე, სათანადო მნიშვნელობა არ ჰქონოდათ მისი შემოქმედების იდეურ-თემატიკურ სამყაროს გარკვეული ვეზით წარმართვაზე. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერ კიდევ თავისი პოეტური შემოქმედების დასაწყისს ეტაპებზე, როდესაც მაიაკოვსკი მეთაურობდა რუსულ ფუტურისტულ მოძრაობას, იგი მკვეთრად გამოიჩინოდა თავისი ამხანაგებისაგან იდეური პროგრესულობით, დემოკრატიული მსოფლმხედველობით, არსებული კაპიტალისტური წყობისადმი დაპირისპირებით.

მაიაკოვსკის მიერ ბავშვობაში გაგონილი ქართული რევოლუციური სიმღერების შორეული ეხო ჩაქსოვილია მის საუკეთესო ლექსებსა და პოემებში, რომელიც მან მიუძღვნა ოქტომბრის რევოლუციას, სოციალიზმის დიდი მშენებლობის დღეებს.

1906 წელს, მამის მოულოდნელი ვარდიცვალების შემდეგ, მაიაკოვსკი, დედასთან და დებთან ერთად მიემგზავრება მოსკოვს. ოჯახი, რომელმაც თითქმის ჩვიდმეტი წელი გაატარა საქართველოში, შორდება შეჩვეულ, მშობლიურ არემარეს, — ბაღდადს, ქუთაისს, რიონის ნაპირებს. ქართულ მიწაში სამუდამოდ რჩება ოჯახის ორი დაუვიწყარი ადამიანის ნეშტი: ბაღდადში, ძველი ეკლესიის ეზოში, ცაცხვის ძირას დამარხულია მაიაკოვსკის უფროსი ძმა, ექვსი წლის ბავშვი. ქუთაისში კი, ოლასკურას სასაფლაოზე განისვენებს მამა მაიაკოვსკისა, ბაღდათელი მეტყვევი ვლადიმერ კონსტანტინესძე.

მაგრამ მოსკოვს გადასვლით მიინც არ წყდება მაიაკოვსკების კავშირი საქართველოსთან. მაიაკოვსკის ბინაზე ცხოვრობენ ქართველი სტუდენტები. ჩქარა მათი მეშვეობით ჰაბუკი მაიაკოვსკი ხდება მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი და აქტიურად ებმება არალეგალურ მუშაობაში.

საქართველოში დარჩენილ მეგობრებთან ოჯახს ხშირი მიმორწერა აქვს. „ერთხელ, — ივანებს ლუდმილა მაიაკოვსკია, — მოსკოვში საქართველოდან ამანათი მივიღეთ. გაეხსენით და შიგ, სხვათა შორის, იმერული მჭადი ვნახეთ. ვალოდია მჭადის დანახვაზე ატირდა“.

ჩვენთვის სასებით ვასაგებია, რას ნიშნავდა ჰაბუკი მაიაკოვსკის მოჭარბებული მგრძობიარობა იმ წუთში. მჭადი მას აგონებდა ბაღდადს, ხანისწყალს, ბავშვობის მომხიბლავ დღეებს იმერულ სოფელში.

★

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მაიაკოვსკი ოთხჯერ ესტუმრა საქართველოს.

პირველად იგი 1914 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა ჩვენს დედაქალაქში.

მისი პოეტური სტაჟი ამ დროს სულ ორი წლით განისაზღვრებოდა. ეს იყო პირველი, ბუნტარულ პერიოდი მისი პოეტური შემოქმედებისა. იგი იმ ხანად რუსული ფუტურისტული პოეზიის ერთი ლიდერთაგანი იყო. თბილისში მას ჩამოჰყვენ მამის პოეტი და მხატვარი დავით ბურლუკი და ქართული საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი პოეტი ვასილი კამენსკი.

მაიაკოვსკიმ წაიკითხა მოხსენება ახალ ხელოვნებაზე, ის კითხულობდა აგრეთვე ლექსებს, თავისას და მეგობარი პოეტებისას.

საზოგადოება მისული იყო თეატრში, რომ ენახა სერიი ახალგაზრდა პოეტების ექსცენტრიული გამოსვლისა, რომელსაც ვარაუდით სკანდალი უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ სინამდვილეში მოხდა სრულიად საწინააღმდეგობრამ. მაიაკოვსკიმ თავისი ორატორული და დეკლამატორული ნიჭით თავიდანვე მოხიბლა აუდიტორია. იმ საღამოს დამსწერ, პოეტი სერგეი სპასსკი წერს თავის მოგონებაში მაიაკოვსკის შესახებ: „სცენაზე მას ყოველგვარი პოზის გარეშე ეჭირა თავი, სრულიად თავისუფლად. იგი სიტყვებს არ ეძებდა და არ ფორხილობდა ფრაზებზე“. იმ დღეს თბილისმა პირველად გაიგო, თუ რა დიდი და შთამბეჭდველი ძალა ჰქონდა მაიაკოვსკის მიერ წარმოთქმულ სიტყვასა და ლექსს. პირველი დებიუტი მშობლიური საქართველოს წინაშე პოეტის გამარჯვებით დამთავრდა.

თბილისს ახსოვს მაიაკოვსკის შემდეგი ჩამოსვლა — ეს იყო 1924 წლის შემოდგომაზე. იგი ამ დროს უკვე ასული იყო თავისი დიდი პოეტური შემოქმედების მწვერვალზე, როგორც მგზნებარე ტრიბუნი და მომღერალი ოქტომბრის რევოლუციისა, როგორც უნიჭიერესი პოეტი, რომელმაც მსოფლიო რევოლუციის მისცა რუსულ რევოლუციურ პოეტურ სიტყვას. ამ ჩამოსვლის დროს მაიაკოვსკი გაეცნო და

დაუახლოვდა ქართველ პოეტებს, რომლებთანაც მეგობრობა და ურთიერთობა მას სიკვდილამდე აღარ შეუწყვეტია.

საქართველოს მან უძღვნა ამ დროს თავისი შესანიშნავი ლექსი „ვლადიკავკაზი — თბილისი“.

ორი წლის შემდეგ მიაიკოვსკი ხელახლა ესტუმრა საქართველოს. იგი ახალი დაბრუნებული იყო ამერიკიდან. თბილისში პოეტმა ფართო აუდიტორიის წინაშე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ჩემს მიერ ამერიკის აღმოჩენა“. თავის მსმენელებს იგი უკითხავდა აგრეთვე ლექსებს ამერიკული ციკლიდან. იმ დღეებში იგი შეხვდა აგრეთვე ახალგაზრდა ქართველ პოეტებს მწერალთა კავშირში. მიაიკოვსკის მათ თავიანთი ლექსები წაუკითხეს.

1927 წელს მიაიკოვსკი კიდევ ერთხელ და ამჯერად უკანასკნელად ესტუმრა თბილისს. მოსკოვიდან გზად გამოიარა ბაქოზე, სადაც, სხვათაშორის, ქართულმა დრამატიულმა დასმა მას ბანკეტი მოუწყო.

ამ ჩამოსვლაზე მიაიკოვსკის თბილისში რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა საზოგადოებასთან. ის კითხულობდა თავის ახალ პოემას „კარგია“, ლექსებს „მარცხენა მარში“, „არაჩვეულებრივი ამბავი“, „წერილი მაქსიმ გორკის“ და სხვა. მიაიკოვსკიმ იმ დღეებში წაიკითხა ორი მოხსენება თემებზე: „თანამედროვე ყოფა“ და „ლექსი და პოეტის ამოცანები“. პოეტს ჰქონდა შეხვედრები აგრეთვე სტუდენტებთან და მუშათა აუდიტორიასთან.

ყველგან ხალხი უდიდესი ინტერესით ხედებოდა პოეტს. ახალგაზრდობა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით უგდებდა ყურს მიაიკოვსკის. მისი ყოველი სიტყვა, აზრი, პოეტური სახე ღრმად სწვდებოდა მსმენელის გულს, ხიბლავდა, აჯადოებდა მის არსებას. და ეს არც გასაკვირია: მიაიკოვსკის პირით

მეტყველებდა გიგანტი პოეტური აზროვნებისა, სოციალისტური ეპოქის მხატვრული კულტურის უდიდესი წარმომადგენელი, ფუძემდებელი სამკოთა პოეზიისა, რომელიც თავის უკვდავ სტრიქონებში გამოხატავდა სამშობლოს ფიქრსა და გრძნობებს, საბჭოთა ხალხის სულისკვეთებასა და იდეურ მიზანსწრაფვას. ამიტომ იყო, რომ ხალხიც თავის მხრივ სიყვარულით მოსაყვამდა მის სახელს.

•  
•

მიაიკოვსკის ლექსებში არაერთხელ გვხვდება ქართული თემებისადმი მიძღვნილი სტრიქონები. პოემაში „მიყვარს“ და აგრეთვე ლექსებში: „ჩვენს ახალგაზრდობას“ და „ვლადიკავკაზი — თბილისი“, ჩვენ ვაპოვობთ ავტობიოგრაფიული ხასიათის სტრიქონებს. პოეტი არა ერთხელ, და როგორც ჩანს, სიამაყითაც იმეორებს თავის ნაწერებში: „მე დაბადდებით ქართველი ვარ“, „მე გამახსენდა, რომ ქართველი ვარ“, და სხვა. თავის ავტობიოგრაფიაში ის წერს: „ჩემი სამშობლო — სოფელი ბაღდათია, საქართველო“. პოემაში „მიყვარს“ მთელი პასაჟია მიძღვნილი ბავშვობის მოგონებებისადმი, როდესაც პატარა მიაიკოვსკი, ქუთაისში ცხოვრების დროს, ზაფხულში იქნა: სახლიდან გაპარული, ამხანაგებთან ერთად მთელ დღეებს ატარებდა რიონის ნაპირებზე.

მთლიანად საქართველოსადმი მიძღვნილი მიაიკოვსკის ლექსი: „ვლადიკავკაზი — თბილისი“. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ავტორი საკმარისად იცნობდა საქართველოს წარსულს, მის აღამიანებს, მის დღევანდელ ცხოვრებას. ლექსი დაწერილია მიაიკოვსკისათვის ჩვეული ენამახვილობით, ალაგ-ალაგ ავტორი მიმართავს ირონიას ძველი, ფეოდალური საქართველოს დასახსნა-სიათებლად, მაგრამ მთლიანად კი ნა-

წარმოები გამსჭვალულია უღრმესი პატივისცემით ქართველი ხალხისადმი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა „მრავალსაუკუნოვანი ოფლით“ მოაწყოა შობლიური ქვეყნის მიწა და რიალიდან მოკიდებული ბათუმამდე სამწუხაროდ, — ამბობს მაიაკოვსკი, — ქართველ შრომელთა ამ დამსახურებას უმადური და ცრუდ-მეტყველი ისტორია ხშირად ივიწყებს და ქებადიდებას ასხამს მხოლოდ მეფეებსა და თავადებს. პოეტს აგონდება ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლა 1905 წელში, არსენა ჯორჯიამილის ყუმბარის ქუხილი, ალიხანოვის ყაზახთა მთარახების ზუზუნი. ბოლოს იგი იგონებს მენშევიკური საქართველოს მმართველებს, რომლებიც იმპერიალისტ-გადამთიელების წინაშე ქედმოხრილნი, ურცხვად ვაჭრობდნენ სამშობლოს ინტერესებით.

პოეტი გულწრფელი სიხარულით შესცქერის განახლებულ საქართველოს, მის თავისუფალ ცხოვრებას მოძემ ხალხთა ოჯახში. ის წერს საქართველოს სახელით:

Двадцать, а может, больше веков  
Волок угнетателей узы я,  
Чтоб только под знаменем большевиков  
Воскресла свободная Грузия.  
Да, я грузин, но не старенькой вщи.  
Забитой в ущелье в это.  
Я—равный товарищ одной Федерации  
Грядущего мира Советов.

პოეტი აღტაცებულია საქართველოს ბუნებით, იგი მას „სიხარულის ქვეყანას“ უწოდებს:

Я знаю: глупость—здесь и рай!  
Но если пелось про это.  
Должно быть, Грузию, радостный край,  
Подразумевали поэты.

ლექსის ბოლო ტაეებში მიძღვნილია ახალი საქართველოს სოციალისტური 10. „მნათობი“ 26 5.

ინდუსტრიის აყვავებისადმი. მე ველი იმ დღეს, — ამბობს პეტრე მუჭრადესაც თვითმფრინაეებმა დასწრეს სსრკ საქართველოს ლავარდს და ამ თვითმფრინაეების ბოლოებზე აღბეჭდილი იქნება თბილისის ქარხნის დაღი; მე ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ძველი თბილისის პაერს, ზურნის პანგების ნაცვლად, ფაბრიკების საყვირის ხმები შეარხევენ. „მე პატრესა ვეცემ ქართველი პოეტების ნიქს“, — წერს პოეტი, — მაგრამ ყოველგვარ სიმღერაზე უფრო მეტად ჩემს გულს ესაღბუნება ქართული ქარხნის მანქანებისა და კრანების შაირი. მაშ იშრომეთ და ნუ დაზოგავთ ენერჯიას ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის. ნუ დაგეანებათ დამსხვრივით ის, რაც ძველია და დამაბრკოლებელი — მოსთხარეთ თვით ყაზხევიც, — ხუმრობით დასძენს პოეტი, — თუ კი იგი ხელისშემშლელი იქნება თქვენი დიადი საქმისათვისო.

საინტერესოა, რომ მაიაკოვსკის ეს ლექსი თავიდან ბოლომდე გაქლენილია ქართული კოლორიტით. ავტორი ცდილობს ამით უფრო მეტი სითბო, ინტიმოზა და ამასთან დამაჯერებელი ძალა მისცეს თავის იდეურად გამიზნებულ სტრიქონებს. ლექსში პოეტი უხვად იყენებს ქართულ ისტორიულ და გეოგრაფიულ სახელებს, იგი შესულია ქართველი ადამიანისათვის ნაცნობ ნივთობრივ სამყაროში. ლექსში, სხვათა შორის, რუსული ტრანსკრიპციით მოტანილია ორი ქართული სტრიქონი ცნობილი რომანსიდან:

მხოლოდ შენ ერის, რაც რომ ჩემთვის  
მოუცია მალდიან ღმერთს...

ეს სიმღერა, როგორც ჩანს, მაიაკოვსკის გაგონილი აქვს ქუთაისში, მოწაფეობის დროს. ცხრაასიან წლებში იგი ძალიან პოპულარული ყოფილა ჩვენს ახალგაზრდობაში. მისი ტექსტი რო-

გორც ცნობილია, ეკუთვნის მსცოვან დრამატურგს შალვა დადიანს. რადგან სიტყვამ მოიტანა, ინტერესს არ იქნება მოკლებული მოკლედ გადმოვცეთ ამ პოპულარული რომანსის შექმნის ისტორია. „ამ საუკუნის დასაწყისში, — გვიამბობს პატივცემული შალვა, — ქუთაისის თეატრში, ახალგაზრდა მსახიობ ნუცა ჩხეიძის საბენეფისოდ ვამზადებდით პიესას „საბედისწერო ნაბიჯი“. პიესა რუსულიდან იყო თარგმნილი. რუსულ ტექსტში ჩართული იყო სიმღერა, რომელიც მე ლექსად გადმოვაქართულე, ხოლო ახალგაზრდა მსახიობმა ნ. საჩხველაძემ მას ჰანგი შეუწყო. ჩვენ არ ვფიქრობდით, თუ ეს სიმღერა პოპულარობას მოიპოვებდა. მაგრამ პირველივე სპექტაკლის შემდეგ სიმღერა ხალხში გავრცელდა და მას ყველგან მღეროდნენ“.

მოსწავლე მაიაკოვსკის აღბათ ხშირად გაუგონია ეს სიმღერა ქუთაისის ბულვარში, გიმნაზიის ეზოში, თეატრში. მას სამუდამოდ დაამახსოვრდა მისი ჰანგი და ოცი წლის შემდეგ კიდევ შეიტანა მისი სტრიქონები ზემოხსენებულ ლექსში.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ მაიაკოვსკი ამ სიმღერას ზოგჯერ თურმე თითონაც ჩინებულად ასრულებდა. ასე, მაგალითად, 1927 წელს, ბაქოში, ქართულ მსახიობთა მიერ გამართულ ნადიმზე, ვალერიან გუნიას სადღევრძელოს პასუხად როგორც ამას გადმოგვცემს თვით ვ. გუნია, მაიაკოვსკის ქართულად უმღერია ეს რომანსი. პოეტზე, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია ცნობილ ქართველ მსახიობს. მას გუნიასთვის სახუმარო ექსპრომტიცი კი მიუძღვნია. ეს მუნასიბი იწყება მიმართვით, სადაც წრფელი გრძობებია გამოთქმული:

Вы толумбаш,—  
Вы тамაда,

Вы—наш!  
Вы мастер слова.  
Как жаль  
Что никогда  
Вас снова  
я не увижу  
Ни здесь—  
в огненном  
Баку  
и ни в Тифлисе,  
и ни в родном  
нам  
Кутансе...

საქართველო  
საზოგადოებრივი

მაიაკოვსკის ექსპრომტის ბოლო ტაქტებში ჩართულია არა ერთი და ორი ქართული სტრიქონი:

Да, я русский,  
русси გაზღავარ...  
Я великорос,  
хоть в Грузии рос,  
но в России  
вырос  
во песь рост.  
Поэтому силен  
и прост.  
Я Маяковский,  
не Макашвили...  
...И теперь  
Вдали  
от Вас  
ვისურვებდი  
ყოფილიყავ  
თქვენთან ერთად  
Как с братом  
брат.  
Хотелось вновь  
и в глаз  
и в бровь  
делить  
и ласку и любовь  
и посмеяться  
и побалагурить  
კელავ მოგველხინა  
ღვინით და პურიით  
მღლარი გვეცვა  
ყაწწით და ჭურიით.  
Спасибо  
всем  
За хлеб  
за соль,  
За радость встречи,



слова  
и речи!  
Грузин  
я знал  
Чуть не с пеленок,  
ღებინა ველაზე,  
как теленок,  
ველარ დამათობთ,  
იპედი ნუ გაქვთ!  
აბა, დავლით  
ეხლა  
ბრუდერ შავთ!

★

სიყვარული და პატივისცემა ქართველი ხალხისადმი, მოწინავე საბჭოთა ქართველი ინტელიგენციისადმი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ პოეტი თავის თავს საქართველოში შინაურად, ქართველად სთვლიდა, მიაიკოვსკის ნებას აძლევდა თვითკრიტიკის წესით მოურიდებლად ემზილა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ასე, მაგალითად, პოეტს არ მოსწონდა, როდესაც თბილისში ჩამოსვლის დროს, რუსთაველის პროსპექტზე ხედავდა ჩვენი ახალგაზრდობის მართალია, მცირე მაგრამ მაინც შესამჩნევ ნაწილს, დღენიადაც უქმად მოხეტიალეს. ამაზე წერდა პოეტი თავის ლექსში: „ჩვენს ახალგაზრდობას“.

მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდებოდა მარტო ყოფა-ცხოვრების ნაკლოვან მხარეთა კრიტიკით. ის უფრო ღრმად იყურებოდა საქმეში. ის ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირის მომხრე ხალხთა კეთილდღეობა, მათი მომავალი, მათი კულტურის, მწერლობის და მეცნიერების შემდგომი წარმატება, დამოკიდებული იყო სოციალიზმის ქვეყნის სიმდიერზე, ხალხთა სტალინური ძმობის სიმტკიცეზე. მიაიკოვსკი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დიდი რუსი ხალხი სხვა მომხრე ხალხთა შორის წამყვან ძალას წარმოადგენდა ოქტომბრის რევოლუციაში:

Когда  
Октябрь оружийных труб  
По улицам кровью лился  
Я знаю,  
в Москве решали судьбу  
И Киевов  
и Тифлисов.

ამიტომ პოეტი თვლიდა, რომ დიდი რუსი ხალხის პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება, რუსული კულტურა, რუსული ენა, შემაკავშირებელ ხილად უნდა გამოსდგომოდეთ სოციალიზმის ქვეყნის მომხრე ხალხებს მათი დაახლოებისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების გზაზე.

მიაიკოვსკი ილაშქრებდა უცხოეთის წინაშე უღირსი ქედმოხრილობის წინააღმდეგ. მას უცნაურად მოიჩნდა, რომ

С грузинской  
татарская академия  
переписывается по-французски.

ასეთსავე ნაყვედურს გამოსთქვამდა იგი უკრაინელებისადმიც, ეჭვი რომ არ დაეწამებინათ მისთვის დიდმპყრობელურ შოვინიზმში, მიაიკოვსკი აცხადებდა:

Москва  
не как русскому мне дорога,  
я как огневое знамя!

მიაიკოვსკი ხაზს უსვამდა თავის სრულს მიუყვარებლობას:

Я знаю  
ледом казак,  
другим—сечевик,  
а по рождению—  
грузин.

Три наших наций в себе совмещая,  
беру я  
право вот это—  
покрыть  
всесоюзных совмещая  
и ваших  
и русапетов.

მაიაკოვსკის ნაწერები საქართველო-ზე, როგორც ვნახეთ, გამსჭვალულია მხურვალე გრძნობით და გულწრფელი პატივისცემით ჩვენი ხალხისადმი. როგორც ეტყობა, პოეტი აზირობდა მიეძღვნა ჩვენი საშობლოსათვის, რომელსაც იგი აგრეთვე თავის საშობლოდ სთვლიდა, საგანგებო პოეტური ნაწარმოებები. აკი მიმართავს კიდევ იგი დანაწევრებით თავის ერთ ლექსში შობილურ სოფელ ბაღდადის ცას:

Я  
в долгу...  
перед нами,  
багдадские небеса...

...перед всем,  
про что  
не успел написать!



ქართული  
ლიტერატურა

და მართლაც, მაიაკოვსკიმ ვეღარ მოასწრო თავისი განზრახულის შესრულება, თავისი ვალის მოხდა შობილური საქართველოს წინაშე. მოულოდნელმა სიკვდილმა არ მისცა პოეტს ამის შესაძლებლობა. მაგრამ ისიც, რაც მან დასწერა, საკმარისია პოეტისადმი სიყვარულისა და მადლობის გრძნობისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი არასოდეს დაივიწყებს სტალინის ეპოქის საუკეთესო და უნიჭიერეს მომღერალს.

## ქართული სახეკაო ხელოვნების განვითარებისათვის



საბჭოთა ხელისუფლების დროს შე-  
სანიშნავ ტრადიციად იქცა მხატვრული  
თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლი-  
მპიადების ჩატარება ყოველწლიურად.  
ამ ოლიმპიადებზე ქართულ ხალხურ ხე-  
ლოვნებას თავისი მდიდარი და მრავალ-  
მხრივი შემოქმედების დემონსტრაციის  
სრული შესაძლებლობა ეძლევა. შარ-  
შან ჩატარებულმა მხატვრული თვით-  
მოქმედების რესპუბლიკურმა ოლიმპია-  
დამ ხალხური საცეკვაო ხელოვნების  
უმდიდრესი საგანძური გამოამჟღავნა.  
შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე  
ცეკვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილე-  
ბა დასტოვა: მაგალითად, სევანური  
ფერხული „თამარ-დედოფალა“, ამ  
ფერხულში მოცემულია „იერიში“, რო-  
მელიც ტექნოლოგიურად აგებულია  
„ცერულის“ მოძრაობაზე. „იერიში“  
თავდება იმით, რომ მოცეკვავენი ხანჯ-  
ლების ტრიალით გადიან სცენიდან.  
სავსეა დინამიკით, უსიტყვოდ შეტყვე-  
ლი ცეკვა „ხორუმი“, რომელიც აჭარის  
ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა შეას-  
რულა.

„ხორუმი“ ჩვენი ხალხი უძველესი  
დროიდან ცეკვავს. იგი რომ ძველის-  
ძველი ცეკვაა, ამას არჭეოლოგ ნ. პან-  
ტიუხოვის მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს  
მოცეკვავე ფიგურები ადასტურებენ  
(მე-2 საუკ. ჩვენს ერამდე). პროფ. შ.  
ამირანაშვილის აზრით, „თუ დავაკვირ-  
დებით ყველა ფიგურას, განსაკუთრებით  
ფეხებისა და ხელების მდგომარეობას,  
მეტადრე ორი ხელიხელჩაკიდებული  
მამაკაცის ფიგურას, სავსებით ნათელი  
გახდება, რომ ჩვენ უნდა გვჭონდეს

ფერხულში მონაწილეთა გამოსახულე-  
ბა“. (ქართული ხელოვნების ისტო-  
რია“ გვ. 72). მაგრამ, ეს ფიგურები უფ-  
რო „ხორუმის“ ერთერთ მომენტს გა-  
მოსახავენ, ვიდრე ფერხულისას. ფიგუ-  
რების პირველი წყვილის პოზა წარ-  
მოადგენს ცეკვის გაშლის მომენტს ნა-  
ხევრადმჯღღმარე მდგომარეობაში. ეს  
არის თანამედროვე „ხორუმის“ ყველა-  
ზე დამახასიათებელი მოძრაობა. უთვა-  
ლავი მტრების წინააღმდეგ დაუსრულე-  
ბელი ოძების წარმოებამ საქართველო-  
ში უხსოვარი დროიდან შეამზადა ნია-  
დაგი ისეთი ცეკვის შექმნისათვის, რო-  
მელშიც ომის მრავალმა სცენამ თავი-  
სი გამოსახულება ჰპოვა. გ. პლუხანოვი  
წერდა: „როგორ გგონიათ, რა უფრო  
იდრე იყო: ჯერ ომი და შემდეგ ცეკვა,  
თუ ჯერ ცეკვა და შემდეგ ომი? მე  
ვეიქრობ, რომ ჯერ იყო ომი, და შემ-  
დეგ შექმნეს ცეკვები, რომელნიც სხვა-  
დასხვა საომარ სცენებს გამოხატავენ.  
ჯერ იყო შთაბეჭდილება, რომელიც  
ომში დაჭრილმა ამხანაგმა მოახდინა  
მასზე, და შემდეგ ჩიასახა სურვილი ამ  
შთაბეჭდილების ასახვისა ცეკვის სა-  
შუალებით“ (გ. პლუხანოვი „უმისამარ-  
თო წერილები“, გვ. 58). „ხორუმი“  
ბრძოლისა და გამარჯვების ცეკვაა.

საინტერესოა, თუ როდის შესრულდა  
„ხორუმი“ პირველად სცენაზე. ჩვენ  
აღმოვაჩინეთ 1882 წლის გაზ. „დროე-  
ბის“ ერთი შენიშვნა, სადაც ნათქვამია:  
„დასასრულ გურულებმა იცეკვეს შესა-  
ნიშნავი „ხორუმი“ (იხ. აღნიშნულ გა-  
ზეთის 64 №-ში „ქუთათური ამბები“).

მაგრამ, შეიძლება მოიძებნოს უფრო ადრინდელი ცნობაც.

ასეთივე საომარი ცეკვა „ლაზურიც“, რომელსაც უფრო ჩქარი ტემპი ახასიათებს. მოცეკვავენი ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მკიდრო წრეში დგანან. ეს წრე მხოლოდ სცენაზე გამოსვლისა და სცენიდან გასვლის დროს გაიშლება. სწრაფი მოძრაობა, ფეხის ხშირი ტაქტი, სხეულის მთელი კორპუსის უცარი გადახრეკა, წინამძღოლის ხანგამოშვებითი შეყვირება—ყველაფერი ეს დაუთვნიყარ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

არანაკლებ სცენიურია ოსური ცეკვა „სიმდი“. ახლა ამ ცეკვას წყვილწყვილად დაყოფილ ქალ-ვაჟთა ჯგუფი ასრულებს. წინათ კი „სიმდი“ ცნობილი იყო, როგორც მამაკაცების ფერხული. „ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, „სიმდი“ აღმოცენდა, როგორც მამაკაცების ცეკვა. ნართების თქმულება იხსენიებს ნართის ცოლს სოზრიყოს, რომელიც ჩაება მამაკაცების „სიმდის“ ცეკვაში. ნართებმა ეს ამბავი დაუშვებლად სცნეს“ (იხ. ბალაევი. „მთიელთა ხალხური ცეკვენი“. ჟურნალი „ნაროდნოე ტვორჩესტვო“, № 10 — 11, 1938 წ.).

უფრო ადრინდელი ცნობებიდან ჩვენ ვგებულობთ შემდეგს: მამაკაცები წრეში დგებიან, ხელიხელჩაყიდებულნი ერთდანიმავე ადგილას ტრიალებენ და თან მღერაან. ზოგჯერ მეტად ცინიკური შინაარსის სიმღერებსაც მღერაან, თუმცა „სიმდში“ ქალებიც მონაწილეობდნენ. ასეთი სიმღერის გავონებისას ქალები მხოლოდ თავს დახრიდნენ ხოლმე“ (იხ. კანუკოვი. „ოსეთის აულში“. ცნობათა კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ, 1875, გამოც. მე-3, გვ. 22).

ჩვენს დროში „სიმდს“ ტერფის სამი მეოთხედის განსაკუთრებული სრიალით ასრულებენ ისე, რომ ქუსლი არ ეხებოდეს იატაკს. ეს სრიალი და ტანსაცმლის

ფართო სახელოების ფრიალი მომთხაღობებელ სანახაობას ქმნის.

იმავე ოლიმპიადაზე აქარულმა მოცეკვავეებმა ოსტატურად შეასრულეს ცეკვა „მხარული“, რომელიც აგებულია მხრების მოძრაობის რიტმზე.

მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის შრომითი პროცესების ასახვა საცეკვაო ხელოვნებაში. მაგალითად, შესრულებულ იქნა „რთველი“ (ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონი), „თამბაქოს შეტეხვა“, „ჩაის კრეფა“ (აჭარა). დიდი ინტერესი გამოიწვია ცეკვა-თამაშმა — „ლახტობამ“ და „ჭიდაობამ“ (გორის რაიონი), აგრეთვე „ჩაგუნამ“ (ცხაკაიას რაიონი).

მაგრამ, ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების მწვერვალს სრულიად სამართლიანად წარმოადგენს ცეკვა „ქართული“. ამ ცეკვას, რომელსაც უძველესი დროიდან ასრულებდნენ ქართლსა და კახეთში, მოძრაობის არაჩვეულებრივი სინარჩარე და სხეულის კორპუსის ფრესკული სტატიურობა ახასიათებს. ყურადღებას იქცევს ამ რომანტიკული ცეკვის სამი მომენტი: არაჩვეულებრივი უბრალოება და კეთილშობილება; ვაჟის რაინდული დამოკიდებულება ქალისადმი და შეუმჩნეველი პაექრობა მათ შორის. პლასტიკის კეთილშობილებითა და სიწმინდით „ქართული“ ერთერთ პირველ ადგილს იკავებს ყველა ხალხთა ეროვნულ ცეკვებს შორის. ამ ცეკვის შესრულების დროს ვაჟს არ შეუძლია შეეხოს ქალს. მას უფლება აქვს მხოლოდ შორიდან შესტრფოდეს და ეთაყვანებოდეს ქალს. „ქართულში“ ვაჟი ქალის ერთგული რაინდია; ცეკვის მთელ მსვლელობაში ეს რაინდული დამოკიდებულება უცვლელი რჩება. ამავე დროს, ქალი სულიერი სისპეტაკისა და ამაყი მოკრძალების განსახიერებაა (იხ. „ქართულის“ შესანიშნავი აღწერა ილ. ზურაბიშვილის წიგნში „ხალხის შემოქმედის გენია“). ხალხის მიერ შექმნილი, მაგ-

რამ ფეოდალურ-თავადაზნაურულ წრეში რაფინირებული ცეკვა „ქართული“ ხელახლა დაუბრუნდა ხალხს და დღეს საბჭოთა საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდობა შესანიშნავად ასრულებს მას. ოლიმპიადის დროს მრავალი წყვილი ცეკვავდა „ქართულს“, მაგრამ მისი შესრულება იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ძნელი იყო უპირატესობის მინიჭება რომელიმე მათგანისათვის.

ცხადია, ქართული საცეკვაო ხელოვნება არ იყო წარმოდგენილი ოლიმპიადაზე მთელი თავისი სიმდიდრით. არსებობს მრავალი ძველებური ცეკვა და საცეკვაო ელემენტების შემცველი თამაში, რომელიც უფროს თაობას ჯერ არ დავიწყებია. ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და კოლექტივების მორიგ ამოცანას წარმოადგენს ამ ძველებური ცეკვებისა და ხალხური დინამიკური თამაშის შესწავლა, ათვისება და გადამუშავება.

ქართულ ცეკვას, რომელსაც ძველად „როკვა“ ეწოდებოდა, პირველად ფერხელის ფორმა ჰქონდა. იგი აგებული იყო წრის პრინციპის მიხედვით, რაც ჩვენი წინაპრების გულუბრყვილო-რეალისტურ წარმოდგენაში სიმბოლოურად მზისა და მთვარის მიმოქცევას ასახავდა. მრავალი უძველესი ეროვნების ცეკვასაც აგრეთვე ფერხელის ფორმა ჰქონდა. გავიხსენოთ ძველ-ბერძნული დითირამბი დიონისოს საკურთხევლის წინ, აგრეთვე მრავალი რუსული ფერხელი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ფერხელი ნიშნავს „მრგვლად წყობას“, წარმართობის დროს ფერხულს საქართველოში რიტუალური ხასიათი ჰქონდა. თრიალეთის ცნობილი თასი, რომელიც ბ. ჯუფტინმა აღმოაჩინა, სავსებით ნათლად მიგვითითებს თავისი მოხატულობით რიტუალური ხასიათის პირველყოფილი ქართული ცეკვების ფერხულისებურ ფორმაზე.

ფერხელის ერთერთ ადრინდელ სახეს, აკადემიკოს ნ. მარის აზრით, წარმოადგენს „შეშარი“, მთავარი საძიებო მიძღვნილი საფერხულო ცეკვა, „შეშანიშნავს მთვარეს, „პარი“ კი — ფერხულს (იხ. ნ. მარი „სენანთში მოგზაურობიდან“. „ქრისტიანული აღმოსავლეთი“. ტომი მე-2, გამოც 1-ლი გვ. 26 — 27). ცნობილია, რომ წარმართობის ეპოქაში ქართველების მთავარ ღმერთებად ითვლებოდა მზე, მთვარე და ხუთი ცთომილი; მათგან მზე ქალად ჰყავდათ წარმოდგენილი, მთვარე კი — ვაჟად.

თავისი შინაარსით ფერხულს მრავალი ვარიანტი ჰქონდა: რიტუალური, საომარი, ყოფაცხოვრებითი. ხშირად ხალხი ფერხულში გამოხატავდა ბრძოლას გარეშე და შინაურ მტერთა წინააღმდეგ. ფერხულს პატრიოტული ხასიათი ეძლეოდა რაც შემდგომ საუკუნეებში უფრო მეტად ვითარდება. მაგალითად, გასულ საუკუნეში ფერხელის შესრულების დროს ხალხი მღეროდა არსენა ოძელაშვილისა და უტუტ მიქაეაზე შექმნილ სიმღერებს. დიდი და საინტერესო მასალა აქვს შეგროვილი ფერხელის შესახებ დ. ჯანელიძეს თავის წიგნში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ (1948 წ.).

ფერხელის ერთერთ საინტერესო სახეობას წარმოადგენს „ძაბრა“, რომელიც პოეტურად და მხატვრულად აღწერილი აქვს მწერალ დუტუტ მეგრელს (იხ. „საყოლადანი“ გაზ. „ივერია“ № 91. 1888 წ.); „ახალგაზრდებმა ჩაჰკიდეს ერთი მეორეს ხელი. ანაირად გაიშალა დიდი უშველებელი წრე და შეიქმნა ორპირი ერთიანი სიმღერა. წრის მოპირდაპირე მხარეზე ერთი მეორეს სიმღერით ეკამათებოდა; ერთნი „მოსათვალა“-ს ამბობდნენ და მეორენი კი ყოველის ლექსის გათავებაზე ხმა-მალა გაიძახოდნენ „პოოიძაბრას“. ჯერ სიმღერასაც ნელა ამბობდნენ და აყოლებდნენ რა სიმღერას ფეხს, წრეც ნელა

ტრიალებდა. მაგრამ, აი მოუჩქარეს სიმღერას, სიმღერასთან ფეხიც აჩქარეს და ქალიშვილები იძულებულნი გახდნენ დაენებებინათ წრისთვის თავი. ახალგაზრდა ბიჭებიც თითქოს ამას უცდიდნენ, ერთი შესდგნენ და უეცრად დაიწყეს ჩქარი „ფერხისა“. მშვენიერი სანახავი შეიქმნა ეხლა ეს მინდორი, სადაც გროვა ახალგაზრდა ბიჭებისა ხმა მაღალის სიმღერით და სწრაფის სხედასხვა გვირის ფეხის თამაშით უვლიდა გარშემო. აი, თვალის დახამხამებამდ დაეცა მთელი წრე ცალს მუხლზე და სიმღერა შეუწყვეტლად მოხდენის დროზედ ყველანი ერთ-მეორის ბრაჟებს უკეთებენ. აგერ, თვალის დახამხამებამდ წამოხტნენ ყველანი, თითქოს ერთი კაციაო და რიგ-შეუშლულად მოჰყვენენ ისევ გარშემო ზტომასა და თამაშობას“...

დ. ჯანელიძის აღწერის მიხედვით („ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, გვ. 165—167), ძაბრა-ფერხულის დროს მოცეკვავეებს ხელში ჯოხი უჭირავთ და ქუდის ირგვლივ მოძრაობენ. ქუდი სიმბოლურად გამოხატავს შემამულე-ფეოდალს. მოცეკვავენი მღერიან, თან მკაფიოდ და მეტყველად გამოხატავენ სხედასხვა გრძნობებს: შიშს, გაბედულებას, მტრისადმი ზიზღს, სიამაყეს. ფინალში მტერზე გამარჯვებაა, ქუდი ნაგლეჯებად იქცევა და ყველა მზიარულად ცეკვავს. ძაბრას აღწერა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს არის ძველი საომარი ცეკვების გადმონაშთი; ქუდი სიმბოლურად შეიძლება გამოხატავდეს არა მარტო მებატონე-შემამულეს ე. ი. შინაურ მტერს, არამედ გარეშე მტერსაც. რომელიც ასე ხშირად არბევდა ხოლმე საქართველოს.

ფორმათა დიდი სიმდიდრე ახასიათებს ძველ ხალხურ ცეკვას — ფერხულს. ამ შესანიშნავ ცეკვას შეუძლია მრავალი საცეკვაო ნომრის შექმნისათვის შთაგონოს ქორეოგრაფი. სამხედრო

შინაარსის ფერხული აგებული იყო სართულების პრინციპზე. ასეთი სართულიანი ან სამსართულიანი ფერხული ცნობილია „ზემყრელონ“ სახელწოდებით. ნ. რეხვიაშვილის მოწმობით, გუდამაყარში ორსართულიანი ფერხული ცნობილია „ზემყნელის“ სახელწოდებით; „ფერხესას დაგამადით სიმრგვლით, ახლა იმათ ზედ შედგებოდა კაცი-კაცზე, იტყოდნენ სიმღერას: „ზემყნელი და ზემყნელი ქვევით ჩამოსამყნელი“. ფერხული-ზემყრელო ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ძველი ქართული სპორტის, აგრეთვე პოპულარული სანახაობის — „მუშაითობის“ ერთერთ სახეს. როგორც მარამ დედოფლის ნუსხიდან სჩანს, არც ერთი ღზინი არ ჩატარებულა ხოლმე საქართველოში ისე, რომ სტუმრებისათვის „მუშაითობა“ არ ეჩვენებინათ. იქვე ნახსენებია, რომ დავით მეფის კარზე ყოველი ღზინისა და ნადიმის დასასრულს ეწყობოდა აკრობატული წარმოდგენა: „იყო ზმა მგოსანთა და მოშავითთა“. შოთა რუსთაველის უკვედავ „ვეფხისტყაოსნიდან“ ვგებულობთ, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის საქართველოში არსებობდა ფიზიკური აღზრდის განსაკუთრებული სისტემა. მუშაითობა აუცილებელ საშუალებად ითვლებოდა ჯაყების ფიზიკური აღზრდა-განვითარებისათვის. ქაჯეთის ციხის აღების წინ ფრიდონის ნამბობიდან ვგებულობთ შემდეგს:

„ზემსა სიმცროსა გამხდლენი  
სამუშაითოდ მზრდილიან,  
მასწავლეს მათნი საქმენი,  
მახატუნებდიან, მწერითლიან.  
ასრე გავედი სახელსა,  
რომ თუაღნი ვერ მომიკლიან,  
ეინცა მჭურეტლიან ყმაწვილინი,  
იგია მე მნატრილიან“.

„მუშაითობისათვის“ არ იყო საკმაოდ მხოლოდ სიმარჯვე და ფიზიკური

ძალა. საკირო იყო აგრეთვე დიდი შრომის დახარჯვა. ქართული ცეკვის ტექნოლოგიას არ ეუცხოება გიმნასტიკური და აკრომატული მოძრაობანი, ორსართულიანი ან სამსართულიანი ფერხელი — ზემყრელო. „ჩაყრისა“ და „გასმის“ დროს ფეხის ვირტუოზული მოძრაობანი, ყოველგვარი ხტომა, ფეხის წვერზე დგომა, მუხლებზე დაცემა და სხეულის მრავალნაირი ტრიალი, — ყველაფერი ეს გენეტიკურად დაკავშირებული იყო „მუსიკითობასთან“.

ინტერესს მოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ ზემყრელო ჯერ კიდევ 1902 წელს იყო შესრულებული სცენაზე, რის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1902 წ. № 1766) გვაუწყებს: „ქართული თეატრი. შაბათს, 30 მარტს, 1902 წ. თბილისის სათავადაზნაურო თეატრში გამართული იქნება კონცერტი, რომელშიაც იმღერებს გურულ ტანისამოსში გამოწყობილი ხორო გურულს, ქართულს, იმერულს, მეგრულსა და კახურ სიმღერებს. მათ შორის აღსარულებს ორსართულიან ფერხულსა და მეგრულ ნადურს თოხნით, როგორც ნამდვილ ყანაში — ბ. ფ. ქორიძის ლოტბარობით“.

აფხაზეთსა და სამეგრელოში იციან თამაშობა „ხინტიკირია“, რომლის თეატრალიზაცია ადვილი მოსახერხებელია. იგი წარმოადგენს ძველი თამაშობადუელის გადმონაშთს. ასეთი თამაშობადუელია ვ. სავინოვის მიერ აღწერილი აფხაზური „ჯირითობა“ (ვ. სავინოვი. „უტყუარი მოთხრობები აფხაზეთის შესახებ“, 1850): „ასეთი სახის ცეკვა აფხაზეთის მოხეტიალე ფალანგების მიერ არის შეთხზული. ცხადია, მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — შეექმნა უბრალო თამაშობა და მოცეკვავის სიმარჯვე გამოეჩინა. მთიელებმა კი, რომელთათვის ყოველი თამაშობა უბრალო თამაშობა როდია, გადააქციეს ჯირითობა საჯარო ორთაბრძოლად, ამიტომ მას მეგობრები კი არ ცეკვავენ,

არამედ მტრები, და ხშირად ძველი მოსიხლე მტრები“.

თვითონ ცეკვა, რომელსაც ქვემოთსავინოვი ჯირითობას უწოდებს, წარმოადგენს ორი მეტოქის დუელს, რომელიც ჯერ იწყება უსიტყვო მიმიკური მუქარით, რომელსაც ფეხს აყოლებენ და თან ხანჯლებს აატრიალებენ. ეს იყო ცეკვის პირველი ნაწილი. შემდეგ მოხაზავდნენ წრეს, რომელშიაც შეიყვანდნენ თვალახვეულ, თოფით შეიარაღებულ მეტოქე-მოცეკვავებს, თვითონ კი რიტმული სიმღერით ქვებს იქით იმალებოდნენ. მეტოქეები სიმღერის რიტმს ფეხს აყოლებდნენ, რაც თვალახვეულებს ორიენტირების საშუალებას აძლევდა. ზოგჯერ დებუახებოდნენ კიდევაც ერთმანეთს, რაც მაყურებლის მხიარულ სიცილს იწვევდა. თვითული მეტოქე ცდილობდა თავი დაეღწია თოფის ლულისათვის. მაგრამ იშვიათი როდი ყოფილა ტრაგიკული შემთხვევა. ეს აფხაზური ცეკვა ნახსენებია პოეტ ბესიკის ლექსში „ბასტის“ სახელწოდებით.

„ვაი-ვარირას მომღერალთა აფხაზთ შექმნეს ცეკვა-ბასტი“.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს ამ სიტყვას: „ბასტი“ — როკვა, ფეხის ცემით ცეკვაა“.

ჩვენის აზრით, სწორედ ამ „ბასტს“ აღწერს ვ. სავინოვი, აგრეთვე დუბროვინი („ისტორია რუსების ომისა და ბატონობისა კავკასიაში“, ტ. 1-ლი. წიგნი მე-2. 1871, გვ. 20). ამ ჩვეულების გადმონაშთს წარმოადგენს ჩვენს დროის უწყინარი მეგრულ-აფხაზური თამაში „ხინტიკირია“. კარგად აქვს აღწერილი ეს თამაშობა მწერალ კ. გამსახურდიას „მთეარის მოტაცებაში“.

„ხინტიკირია“ ოღამურ-აფხაზური დუელის უძველესი ნაშთია. ამჟამად უკვე თამაშად ქცეული.

გაღმა-გამოღმა დამსხდარი ქალ-ვაიის წრეში გამოდის ორი სატყვიანი ვაეი,

მეტწილად რომელიმე თვალყუეუნას გამო ხელშეწყობით მოქმედებდა. ორივეს ჩაბალახით თვალებს აუხვევს მესამე სატევრიანი ვაჟი. ერთ მათგანს სატევარი ქარქაშში აქვს ჩაგებული. მას ხელში მისცემენ ესპანური ჯიშის მსგავსად მორიყრივე შუაში გახლეჩილ ჩოხის მასრებს, მეორეს გაშიშვლებული სატევარი უჭირავს.

მასრებიანი წრეში დაბორილობს, მასრებს არიყრიებს და იძახის „ხინტირია“. ირგვლივ დამსხდარი ქალჯანიც აყვებებიან და ყველანი ერთად იძახიან: „ხინტირია, ხინტირია“. ამასობაში მასრებიანი ადგილს იცვლის. სატევარი-ამოღებული უმწეოდ დააბოტებს და მასრებიანს ეძებს. ცდილობს მოპირდაპირის ხმა გამოიცნოს. გაიგონებს თუ არა მის ხმას, მისკენ გაეშურება. ეს უკანასკნელი ისევ გაინაბება, ხელიდან გაუძვრება მოპირდაპირეს, ისევ დაიძახებს „ხინტირიას“ და ისევ შეიცვლის ადგილს.

აჰა, მოიშვედია კუთხეში მოპირდაპირე მასრებიანი სატევრიანი, სატევარი პირდაპირ მიუღირა, მაშინ იგიც იძრობს სატევარს და გაიმართება კენწლარობა მათ შორის. მოვა მესამე, მოწესე. თავის სატევრით აწესრიგებს მოპირდაპირეთა ფარკაობას. უკეთუ რომელიმე გაიყარა, ან თუ სატევარი გაუვარდა ხელიდან, მას გახლეჩილ მასრებს მისცემენ ხელში და ახლა მან უნდა ირბინოს და დამარცხებულმა „ხინტირია“ იძახოს“ (რომანის პირველი კარი, გვ. 90 1936 წ.).

„ხინტირიას“ ამ აღწერიდან უკვე სჩანს, რომ ამ თამაშობაში ჩასახული ყველა ელემენტი ბრწყინვალე და ამოღებელი თეატრალიზებული სანახაობის შექმნისათვის.

საიკვავო ხელოვნება ხევისურეთში შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. გასული საუკუნის ლიტერატურული წყაროების თანახმად, ამ

მეომარ ხალხში უფრო ფართოდ იყო განვითარებული, ვიდრე ცეკვა. (იხ. „მავალითად, ა. ზისერმანის „სწავლი კავკასიაში“ 1854). ფარკაობის სურები პატარაობიდან ვარჯიშობენ, ჯერ ხის დაშენებითა და ფარებით, შემდეგ კი ნამდვილ ხმლებსა და ფარებზე გადადიან. არსებობს ფარკაობის, ასე ვთქვათ, უფრო მსუბუქი ფორმაც „კეპნაობა“. ს. მაკალათიას მოწმობით: „კეპნაობა ან შულლობა ხდება მიცვლებულის რიგებში, ქორწილში, ხატობაში და სხვ. მიზეზი ამისა მრავალია: პირადი შეურაცხყოფა, შერი, სიმთვრალე, დედისა და მამის შეგინება და სხვა. კეპნაობა ვაჟკაცობად ითვლება და ქალებში კარგი მოკეპნავე დიდ მოწონებაშია... ზოგჯერ მოკეპნავეთა შორის ქალი მანდილს შეაგდებს და იტყვის: „ესეთა გეხვეწებით“, მაშინ უნდა გამოიღწეოს“ (ს. მაკალათია. „ხევისურეთი“, 1935 წ. გვ. 92 — 94). ჩვენის აზრით ფარკაობისა და კეპნაობის ქორეოგრაფიული თეატრალიზაცია აგრეთვე გამართლებული და შესაძლებელია.

ქართულ ცეკვებში ერთერთი ყველაზე უძველესი ცეკვაა „სამაია“. როგორც შ. ამირანაშვილის გამოკვლევებიდან სჩანს, მცხეთის სეპტიცხოვლის ტაძრის სამხრეთის კედელზე გამოხატულია საზეიმო კომპოზიცია, სადაც, სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს ქალის სამი ფიგურა, რომელიც სამაიას ცეკვავს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაია როდი იყო მხოლოდ ქალების ცეკვა, რომელიც სამების პრინციპის მიხედვით სრულდებოდა. ლიტერატურული მასალებიდან ირკვევა, რომ პირშოს დაბადება (ძეობა) აღინიშნებოდა ხოლმე ფერხულისებური ცეკვით — სამაიათი, რომელსაც ასრულებდნენ ქალები და კაცები „მზე შინა და მზე გარეთას“ სიმღერით (იხ. ვ. ცვეტკოვი „ლამისთევა“, 1851 წ. ვახ. „კავკაზი“ № 11; თეიმურაზ მეორე.

თხზულებათა სრული კრებული „სარკე თქმულთა“. 1939 წ., გვ. 73).

ძველად სამაია განსაზღვრული სუ-  
ჟეტის მქონე ერთი რომელიმე განსაზღ-  
ვრული ცეკვა როდი იყო. „სამაია“  
ისე, როგორც „როკვა“ და „ფერხული“,  
საცეკვაო მოქმედებას ნიშნავდა. ამის  
დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვა-  
ნოთ იმერხვეელების გამოთქმა: „სამე-  
ბა — ისამე, ადევ ისამე“. იმერხვეელე-  
ბისათვის სამაია — ცეკვაა: „ვიცხა რომ  
ძველია, იტყვიან იფერხულეთ, ისამეთ,  
ის თქმა არის“. აქ სიტყვა „იფერხუ-  
ლეთ“, „ისამეთ“ საცეკვაო მოქმედებას  
აღნიშნავს (იხ. გიორგი მერჩული. გრი-  
გოლ ხანძთელის ცხოვრება. ნ. მარის  
რუს. გამოც. 1911 წ., გვ. 37, 82).  
„სიბრძნე-სიცრუის“ გამოცემის რედაქ-  
ტორი ს. იორდანიშვილი ლექსიკონში  
ასე განმარტავს სიტყვა „სამაიას“:  
„ერთგვარი ცეკვაა სიმღერით, ფერხუ-  
ლი, ხელიხელჩაკიდებული ქალ-ვაენი  
ხან წრეში უვლიან, ხან მწკრივად იშ-  
ლებიან“ (გვ. 187). სამაია ცნობილი  
იყო, როგორც ინდივიდუალური ცეკვა  
(„სოლო“). ნ. მარი აღწერს თავის წიგნ-  
ში „შავშეთსა და კლარჯეთს გამგზავ-  
რება“ (გვ. 47). იმერხვეელების ცეკვას:  
„ცალკე სამა“, რომელსაც ერთი კაცი  
ასრულებდა. როგორც აღწერიდან  
სჩანს ეს იგივე ცეკვაა — „მზიარული“,  
რომელსაც ოლიმპიადაზე აქარელი მო-  
ცეკვავენი ასრულებდნენ. დ. არაყიშვი-  
ლის მოწმობით, სამაია ხალხური ცეკ-  
ვაა, რომელსაც ახლაც ასრულებენ ფშა-  
ველები.

დიდ ინტერესს უნდა წარმოადგენ-  
დეს ჩვენს დროში ამ ძველისძველი  
ცეკვის აღდგენა-აღორძინება.  
კარგი იქნებოდა აგრეთვე ისეთი უძ-  
ველესი თამაშობის ქორეოგრაფიული  
დამუშავება, როგორცაა ყაბახობა,  
ჩოგანბურთი, ისინდი. დელისის მინ-  
დორზე ჩატარებულმა სასპორტო შე-  
ჯიბრებამ ამ სანახაობათა სილამაზე  
და გაქანება გვიჩვენა.

თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულ-  
თა“ ყაბახობის მშვენიერ აღწერას იძ-  
ლევა (იხ. გვ. 73).

ქართული საცეკვაო ხელოვნების მო-  
რიგ ამოცანად პირველ რიგში დასა-  
ხულ უნდა იქნას ჩვენი სტალინური  
ეპოქის გმირული შრომის პროცესების  
ქორეოგრაფიული ასახვა. საბჭოთა კავ-  
შირს თითქმის ყველა ეროვნება დაად-  
გა უკვე ამ გზას — ქორეოგრაფიული  
ხელოვნებამ საშუალებით ჩვენი სო-  
ციალისტური სინამდვილის ასახვის  
გზას. ამ გზას დაადგა აგრეთვე ქართუ-  
ლი ქორეოგრაფიაც. საჭიროა აღდგე-  
ნილ იქნას ყველა ის შესანიშნავი ცეკვა-  
თამაშა, რომელიც მივიწყებული  
გვაქვს; საჭიროა აგრეთვე არსებული  
ცეკვების პლასტიკურად მეტი გართუ-  
ლება სუექტურობის შეტანის გზით.  
თანამედროვე ქართული ქორეოგრა-  
ფიის მოვალეობაა გამოიყენოს ხალხუ-  
რი საცეკვაო შემოქმედება, განავითა-  
როს იგი და თავისი წვლილი შეიტანოს  
მის მდიდარ საუნჯეში.

# თანამედროვე ინგლისური პოეზია



თანამედროვე ინგლისური პოეზია ბერკუ-  
ზიული კულტურის ლაპის კვამარტ საბუთს  
წარმოადგენს. მისი სულიერი სამყარო იმდენად  
გამოფიქვლი და იმდენად პათოლოგიურია,  
რომ საბჭოთა მეთხველს სამართლიანად  
ებადება ეჭვი — შეიძლება თუ არა მას საერ-  
თოდ პოეზია ეწოდოს. გამოფიქვლობა და  
პათოლოგიაში მართო ცალკეული პოეტების  
წარმოებებს როდი ახასიათებს; ეს თვისებები  
ორჯანულადაა შესისხლბორცებული ყოველი  
პოეტის შემოქმედებასთან. ეს პოეზია მიზნად  
არ ისახავს აღმზრდელითოს შემოქმედებას  
მეთხველზე, არ ამბობებს, არ აკეთილშობი-  
ლებს მის მისწრაფებებს, არ შლის მის წინაშე  
მომავლის დიდ პერსპექტივებს. პირიქით, იგი  
ჩემქმნას უკარავს ადამიანს საკეთარი თვის-  
სა და საკეთარი ძალებისადმი.

თანამედროვე ინგლისური პოეზიის ანთო-  
ლოგია (ლონდონის გამოცემა), რომელიც დახ-  
ლოებით ასი პოეტის წარმოებებს შეიცავს,  
უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებს მეთხველ-  
ზე. თვით ანთოლოგიის ერთერთი რედაქტორი  
ლ. სტრონგი წინასიტყვაობაშივე აღარებს,  
რომ თანამედროვე ინგლისური პოეზია თით-  
ქოს საძირკველგამოცილია, მოკლებულია  
შტაკვე, საიმედო დასაყრდენს და მას კლასი-  
კური პოეზიის ტრადიციების ნატამალიც კი  
არ გაჩნია.

მიუხედავად ამისა, როგორც წიგნის ორივე  
რედაქტორმა განაცხადა (მორე რედაქტორი  
პოეტი დეი-ლისია), ისინი შეეცადნენ სა-  
ბუღდავულად შეერჩიათ ამ პოეზიის საუკე-  
თესი ნიმუშები. ქვევით დავინახებთ, რომ ეს  
„სავუღდავულო შერჩევა“ არც თუ მთლიანად  
ობიექტურია, რადგან ორვე პოეტმა, რო-  
გორც დეკადენტური პოეზიის ქვემარტმა  
წარმომადგენლებმა, აღნიშნული ნიმუშები სა-  
კეთარი „გემოვნების“ მიხედვით შეარჩია და,  
ბუნებრივია, რომ ამ „გემოვნებამ“ ძირითადად  
განსაზღვრა მათი შინაარსობრივი რაობა და  
შატერული ღირსება.

შემოსენებულ წინასიტყვაობაში ლიტერა-  
ტურის დანიშნულების შესახებ, გასაუბრების  
სახით, მოცემულია დეი-ლისისა და სტრონ-  
გის შეხედულებანი, რომელთა არსიც შემდეგ-  
ში, მდგომარეობს: „პოეზია არ არის მისებთან

კავშირის საშუალება. ამიტომ მას უცილობელ  
პირობად ვერ დავესახებთ, რომ იგი ყველ-  
სათვის გასაგებია და ხელმისაწვდომი გახდეს;  
მეთხველი მხოლოდ მასერის მსმენელი უნდა  
იყოს“. მათი აზრით, გამოდის, რომ მეთხველ-  
ში უნდა კეთილინებოს, „თავი შეიწუხოს“ და  
მიხედეს, თუ რის თქმა უნდოდა, მგალოთად,  
ამ პოეტს, რომელმაც ამ ქვეყნად არსებული  
ყოველი უსამართლობის მიზეზად... საათი გა-  
მოაცხადა! და ან რომლის სულაც მისივე ბო-  
დვით წარმოშობილმა ლეკმარდებმა დაჯიჯგ-  
ხეს! კიდევ მეტაც: მეთხველმა შემოსენებუ-  
ლი ქვემარტებად უნდა მიიჩნიოს ყოველგვარი  
კრიტიკისა და ანალიზის გარეშე.

განიხილვენ რა ამ მიხედულებებს, ორივე  
რედაქტორს გამოაქვს შემდეგი „ლოგოკური“  
დასკვნა: „პოეზიის მხოლოდ სამი რამ მოეთ-  
ხოვება:

1. მუსიკალობა; 2. სახეთა მხატვრული სი-  
უსტეცე და 3. ემოცია“. მიუხედავად ამ მოთ-  
ხოვნილებისა, დეი-ლისიყა და სტრონგი  
იძულებული არიან აღიარონ, რომ შერჩეული  
ნიმუშების უმეტესი ნაწილი შინაარსობრივად  
ბუნდოვანია, უმიზნოა და რაღაც „ნარჩენე-  
ბის“ შთაბეჭდილებას სტოვებს მეთხველზე.

ძირითად ტენდენცია, რომელიც თანამედ-  
როვე ინგლისური პოეზიის წიგნში წოდოდ  
მიწყება, შემდეგში მდგომარეობს: „ადამიანი  
უძლურია თავი გაართვას არსებულ წინააღ-  
მდეგობათა დაბშულ წრეს; ბრძოლა ამოა; ამი-  
ტომ უმჯობესია იგი ან გაეჭყეს, განერიდოს  
ამ სინამდვილეს, ამ შეეგუოს მის. ეს მთ  
უფრო ადვილი ასატანია, რომ ყოველივე, რაც  
რეალურად არსებობს, წარმავალია; მარადიუ-  
ლი მხოლოდ სიყვდილია“.

თანამედროვე ინგლისელი პოეტები, კამიტა-  
ლისტურ სისტემაში არსებულ კრიზისს მსოფ-  
ლით კრიზისად, მთელი სამყაროს დაღუპვად  
აუბადებენ და, ცხოველური შიშით შეყარო-  
ბილნი, ცდილობენ რეალური ცხოვრების სი-  
დუხშიერეს რაც შეიძლება შორს გაეჭყენ.

„სინამდვილის თავის დაღწევა“ ამთოთ პო-  
ეტის შემოქმედებაში სხვადასხვანაირად ვლინ-  
დება: ზოგი ფსიქოანალიზს აცხადებს კულტად,  
იწყებს თავის გამოფიქვლ სულდერ სამყარო-  
ში ქვეყნს და მეთხველს უზიარებს დაავადე-  
ბული გონების კომარტულ ნაყოფს; ზოგი პარ-

ნასულ განწყობილებებს აცხადებს კელტულ და ცდილობს მთელი ცხოვრება სიამოვნებათა უწყვეტ ჯაჭვად წარმოიდგინოს; ზოგი ამ ქვეყნიურ ბოროტების წინააღმდეგ „არისტოკრატიული გულგრილობისა და პასიური ჰერეტის თეორიას“ აყენებს; ზოგი „საიქიოს“ მიმართავს, როგორც უკანასკნელ თანამედროვეს და, ბოლოს, ზოგიც, შუაგულ განცდათა მამოებელი, ახალი იმის სპირობებს ქადაგებს. მაგრამ, მიუხედავად ამ გამოვლენების სხვადასხვა ვარიაციისა, თემა უცვლელი რჩება: „ადამიანი არ ძალუძს გარდაქმნას სინამდვილე; ამიტომ მივიღოთ ცხოვრება იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობს; ჩვენ მხოლოდ შორიდან ვუჭვრიტოთ მის ორიენტაციას“. ვ. ბ. ამ წინადადებაში ჩასოვილი აზრი რომ განვმარტოთ, მივიღებთ შემდეგს: „სამუდამოდ შეგვეთო კრიზისებს, შეგვეთო ეკონომიურსა და პოლიტიკურ მონობას და ხოტბა შევასხით უოლსტრეიტის მაგნატების ბატონობას“. მართლაც, რაოდენც ქვემოთ დავინახავთ, ეს რევერანსები და ზოდნებები, „ცხოვრების უყუთურობის“ გამო, და „სინამდვილის თვის დაღწევას“ ტრენდენციას მხოლოდ და მხოლოდ დამლომატიური ხერხია თვით კაპიტალისტური გარემოს უხამსობის გამართლებისა და განმტკიცებისათვის.

ანთოლოგიის გარჩევას ეწყობებ თიშას ელიოტიმ, რომელიც ოქსფორდის დეკადენტური სკოლის მესვეურად ითვლება. თავის შემოქმედებაში იგი „ბრწყინვალედ“ ანსაზიერებს თანამედროვე დეკადენტური ბოუზიის მთავარ მოტივებს: ბიოლოგიზმს, ფსიქოანალიზის კელტს, ბრძოლის ამოვებს და სხვ.

ელიოტის ადამიანი გამოშრალი და გამოფიტულია, მან დიდი ხანია დაკარგა შეგრძნების უნარი, დაკარგა მხედველობა, ყნოსვა, სმენა“ („პერონტონი“); შეტყუებული შეტყუარებს იგი სიკვდილის ან რდილს, შეტყუარებს და იტანჯება („გამოფიტული ადამიანი“); მას მოსვენებას არ აძლევენ ავადმყოფური კომპარები: ვაფთხებელი ლეონარდები უჯიჯკინან გულდიქლს, უქამენ ტენის, სწოვენ სისხლს. რაღა რჩება პოეტს? — მხოლოდ უსიციოცხლო ძალები, ნაწლავები და თვალის ძარღვები, რომელთაც მხეციე კი არ ეკარება; პოეტის ერთადერთი საზუყარი და სალოცავი თეთრად მოსილი ქალია — ირაციონალური სიმბოლო მარადიული სიზუვისა („Ash-Wednesday“).<sup>1</sup>

პოეტის მრწამსი შემდეგში მღვრმარეობს: „ქვეყანაზე ყოველივე წარმავალია, ამიტომ ცხოვრებაში არ არსებობს არავითარი იდეალი, არავითარი მიზანი. ბრძოლა ამის რადგან დრო მედამ დროდ დარჩენა და ადვილი აღებალი; რაც ამჟამად ჰემშარიტებად გვეჩვენება, მხოლოდ დროებითად არის ნამდვილი“ („Ash — Wednesday“). პოეტი ასკენის: „მივიღოთ ცხოვრება ისე, როგორც ვხედავთ მას და ჩვენი ბედნიერებაც მხოლოდ არსებულზე აყავით. ნუ გამოვეცილებით არსებულს, თუნდაც ეს უკანასკნელი... უყუთსიე იყოს“. ჰემშარიტად ხელსაყრელი პოეტრამა ინგლისური იმპერიალისტებისათვის, რომელთაც უკვე კარგა ხანია თვით ველარ დაულწევიით, ვერც ეკონომიურად და ვერც პოლიტიკურად, უოლსტრეიტის მონოპოლისტების კლანჭებისაგან, თიშის ელიოტს სულღრად ენათესაება ოქსფორდის სკოლის მეორე წარმომადგენელი — ვ. ბ. ოდენი. იმ მისი შემოქმედების ლეიტმოტივც: „სინამდვილე წარმავალია, რადგან დროის აქორილა ტალღაზე ყოველივე არსებული მიქტის და უგოუტელოდ ჰქრება... ადამიანებს მართებთ იგლოვის, იტროს საუყუროდ დაკარგული სიყვარული და შუკის თვალით უმზარონ ბედნიერ ჩიტუნას, რომელიც უდარდელად დანავარდობს ცის უსაზღვრო ლავარდში. ადამიანის მთელი ცხოვრება — ტანჯვა! იმ სისულელის გამო, რომელიც ოდენსაც მას ჩაუდენია („თემა მშვიდ ტბებში“). ადამიანის როლი, მისი ღირებულება ცხოვრების დიდ ფერხულში საოცრად უმნიშვნელოა. იგი უძღვრია ჩასწვდეს აწმყოს, განვერტოს მომავალი... ადამიანის სისხლში მკვედრობის პლიანთია. რა წუთს გამოვლინდება იგი — არავინ აცის... რა საჭირია ცოდნა, როდესაც ყოველივე ამათ, რადგან ბოროტების თესლი თვით ადამიანში მარხია“ („ტოტებს ქვეშ“).

მტრედა, რა გამოსავალს პოელომს პოეტი ამ ტანჯვისა და უბედურობის დახშულე წრიდან?

გამოსავალი ჰემშარიტად „ღირსეულია“: „ჩვენ არ ვიცით, რას გვიშადებს ხელონდელი დღე; შესაძლოა უფრო მეტ ტანჯვას, მეტ ნაღულს... ამიტომ ადამიანი არც კი უნდა შეეცადოს თავი დააღწიოს ამ ჰორიარამს; პირიქით, მას მართებს მშვიდად, მორჩილად ელოდდეს იმ დროს, როდესაც თვით ეს ჰირეარამი მოულებს მას ბოლოს“ („ტოტებს ქვეშ“, „პროლოგი“).

უოლტერ დე ლა მარს პოეტურ მისწრაფებათა სიმბოლოდ გამოყვანილი ჰყავს დაფარაშენილი რისიფერი რაში, რომელსაც სტენისის თვალები აქვს. იქნებ ამ ბედუარბა თავს იღოს ბრძოლა უყუთის მომავლისათვის? არა, პოეტს

<sup>1</sup> Ash-Wednesday — დიდმარხვის პირველი დღე, როდესაც კათოლიკური ეკლესიის წესების მიხედვით, მლოცველები ნაცარს იყრიდნენ თავზე.

ასეთი რამ აზრადაც არ მოსდის. მართალია, მისი რაში სწრაფად მიჭრის... მაგრამ მიჭრის ფანტასტიკური ქვეყნისაგან, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ფერიათა დედოფალი, ერთადერთი არსება, რომელსაც ამ რაშის დამონება ძალუძს. პოეტს მხოლოდ პასიურად შეეყურებს მისი რაშის სრბოლას („ToM. K“). ეს „პასიური ჰერტა“ უოლტერ დე ლა მარსისათვის შემოტყვევითი არ არის. იგი მთელი თანამედროვე დეკადენტური პოეზიის დამახასიათებელი მოტივია.

ლექსში „ტყევი“ პოეტი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ სტანჯავენ მას საშინელი აზრდილები: „ცოფვალ სინდისის ტენჯენა“ და „აბჯარისხმული სასოწარკვეთა“. ამიტომ მას აღარაფერი ახარებს: არც სიყვარული, არც იშვილი, არც მეგობრობა. მის ღვაწლად სულს მხოლოდ მუდღერობა სწყურია, თუნდაც დროებითი მუდღერობა, რადგან მან იცის: ღამის წყვლიადში კვლავ გაჩნდება იგი უწყალო აზრდილები.

როგორც ვხედავთ, დაავადებული გონების ფსიქოანალიზი თანამედროვე ინტელისტური პოეზიის ერთერთ თემას შეადგენს.

ჯორჯ ბარკერს ადამიანის მთელი ცხოვრება წარმოუდგენია როგორც მეტამორფოზა ჩრდილიდან ჩრდილამდე. „ესპლანადის მზიარული მფაღლემენი, ბრწყინვალე არლუკინები — ყოველივე ეს მოჩვენებაა მხოლოდ, — ამბობს პოეტი (ნაწევრები პოემიდან „კლამიტორი“), — ნეტავ რა დანაშაული მიუძღვით ადამიანებს, რომ მათ ძალა თანდათანობით ეღვეათ, სუსტდებიან. ტუსაღებოვით შეეყურებენ ისინი თავის ერთადერთ მოკავშირეს — შვებს და შეეღასაც მისგან მოკლიან. მხემ უნდა გაუთხროს მათ გაცივებული გული და მიწაში ჩამარხოს მტრის ყინულოვანი ციხე-სიმაგრენი“ (სოდა“).

ამ ავულტურაციობას“ შემდეგი სარჩული უდევს: „ბრძოლა უაზროა და ცხოვრების გაუ-მართლებსა ზვეს თავვე კი არ უნდა ვიდოდ, არამედ ბუნების ძალებს მივაღწიოთ — იქნებ მათ გადმოგვხედონ წყალობის თვლით“.

დეი-ლუისის პოეზიის თემას შეადგენს ორი მთავარი მოტივი: სიცოცხლის წარმავლობა და სიკვდილის ამოლოვია.

ნაწევრში პოემიდან „ბუმბულიდან რკინამდე“ პოეტი მწუხარედ მოსთქვამს, რომ ადამიანის სიცოცხლის გაზაფხული მეტად ხანმოკლეა და ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც კი პარიზონტზე საფლავის საზარელი აჩრდილი რიკავს. პოემაში „სიკვდილის უფერტიურა“ ავტორი ხობტას ასხაშს სიკვდილს, რომლის მსახვრელი ზელიც ყოველივეს მტვრად აქცევს. პოეტი ევედრება ამ ყოველისშემძლე ძალას, რომ მან

აუხსნას უძლურ ადამიანს სიცოცხლის დანაშნულება, რომ აუქანასენელმა არ შეარცხვიროს კეთილშობილი თიხის არსებობა

ლექსის აბელკრიმბის აბრათ... ადამიანს მხოლოდ მაშინ აღწევს სრულყოფას, როდესაც იგი მოკვდება და არარაობად იქცევა. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეიძლება იგი იმას, რის გაგებაც თვით სიბრძნემ ვერ შესძლო მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იგემებს იგი სანატარო თავისუფლებას („ეპიტაფია“). ლექსში მკვეთრად მოისმის სიკვდილის ამოლოვების ნაცნობი ხანგი.

ედით სიტუელსაც არავითარი დისონანსი არ შეაქვს დეკადენტური პოეზიის საგლოვიარო სიმფონიაში. ქვეყანა მისთვის უწყალოა, გამოყინავი. იგი უქანასენელ სანუგეაას ართმევს ადამიანს; ამიტომ ერთადერთი მსხნელი ისევე სიკვდილია... „დაღუპახავი ტვლები, სამარისებური სიჩუმით გამსკვალუნნი, ელოდებიან სიკვდილს, რომ შეიციონ ის, რის დანახვაც ახლა არ ძალუძს“ („სიამოვნების ბაღები“).

ამავე პანგებს ეხმარება სენდერის — ამავე მად უოლსტრიტის ბანაკის აშკარა თაყვანისმცემელი. ლექსში „მას შემდეგ, რაც მოქანდნენ ჭალაქთა ბრწყინვალეებისაგან“ პოეტს მოყვანილი ჰუავს შშრომელთა შასები, რომელნიც საშუაოს ძებნით მოქანდულნი დამრწიან აშუჩებში, სადაც ტანჯვის უწყალო შუჭი ყოველი კუთხიდან ანათებს... საჯალალო ის არის, რომ კდევეც რომ შშრომელებმა საშუაო იშოვონ, შევებას მაინც ვერ იგროზიონ — სამააქრი ბორკილებით შეპოჭავს მათ. გამოსავალი მხოლოდ ერთია: სიკვდილი“ (იწყება სიკვდილის ქებათაქება).

როგორც ვხედავთ, ეს ლექსი სენდერის პროვრამელი ნაწარმოებია. პოეტის დევიზია: „ბრძოლა უაზროა, ადამიანის საბოლოო ხვედრი — საიქია“.

ლექსში „მე მუდამ ვფიჭობ მიათხე, ვინც ჰუმარიტად დადი იყენენ“ პოეტი მისტიკის წარსულის საბელოვან ადამიანებს, რომელთაც „ძალა შეწყვედათ ბრძოლისათვის, რომელნიც მისივე მისწრაფოდნენ და რომელთა დიდებასაც ამეამად მხოლოდ შობიბინე ბალახი და თეთარ ღრუბელთა კონები ზეიმობენ“.

ლექსში „განზორება“ მკვეთრად მოისმის პესიმიტიური ხანგები. პოეტი ჩივის: „ჩვენი ბედნიერების მხებებს ყვაელინი სცივით და ხეაინდელი, თითქმის დიდად სანატრელი დღე გაორკეცებული ნალდელით ჩრდილავს გუშინდელ დღეს“.

სენდერსაც ისევე, როგორც თანამედროვე დეკადენტური პოეზიის სხვა წარმომადგენლებს, დაიფუეება თავისი თანამემამულის, ინგლისელი კლასიკოსი მწერლის შელის შესანიშნავი სიტყვები:

„თუ ზამთარი მოდის, განა შეიძლება, რომ გაზაფხული შორს იყოს?“ („ოდა დასავლეთის ქარისადმი“).

შელისათვის მომავალი — გაზაფხულია; სენდერისა და მისდაგვარებისათვის კი მომავალი — მარადიული ზამთარია.

ამემაღ ერთმანეთს უპირისპირდება ერთი-ერთი მოწინააღმდეგე ორი სამყარო: 1. სოციალისტური, დემოკრატიული და 2. იმპერიალისტური, ანტიდემოკრატიული. ამ ორი სამყაროს პრიზმაში განხილული ერთი და იგივე მოვლენა სულ სხვადასხვა სურათს გვაძლევს.

საბჭოთა პოეტს ახარებს და შთაბრუნებელ ძალას მატებს ჩვენი დიადი მშენებლობის გრანდოზული მასშტაბი სოფლად და ქალაქად.

იმპერიალისტური ბანაკის პოეტისათვის ქალაქი ბოროტი საწყისია, რომელიც ბუნების მშვენიერებასა და პარმონიას არღვევს. ქალაქს იგი უპირისპირებს სოფელს, რომლის მომხიბლელი პეიზაჟებიც დროებითაა მარცხ მუდგროვებას პეტრის ადამიანს. პოეტში შეტრფუნებას იწვევს ის გარემოება, რომ „მინდორ-ველებს ასფალტს ასახმენ, ბაღების ნაცვლად ქვაკირსა და აგურს ნერგავენ“ (ლუკასი — „ქალაქები“).

პოეტი ზღილი შეუსურებს ტელეგრაფის ბოძებს, რომელნიც უხეშად არღვევენ სოფლის პეიზაჟის რომანტიკას, თითქოს დასცილიან კიდევ ბუნებას. ბოძები სჭრაან, აქუცმაცებენ საშრობლოს მწვანე მყერდს... ისინი კაცობრიობას მომავლის მოციქულებად ევლინებიან; ისინი მთელ მსოფლიოს უცეცხვენენ „აქ შენდება ქალაქი“ (სენდერი — „ბოძები“). ეს პერსპექტივა პოეტს შიშის ზარსა სცემს.

პოეტის „სიძულვილისა ქალაქებისადმი, ტექნიკისადმი“ ზნორად გვხვდება სხვა პოეტების შემოქმედებაშიც. მაგალითად: სტენლი სნეთისის არხით, „ტყიან ფერდობებს ტელეგრაფის ბოძები ამახინჯებს... მათი რკინის კონსტრუქციები უხეშ დაღს ასვას ბუნების ლამაზ კონტურებს. მაგრამ რა გაეწყობა, გამოსავალი არ არის, რადგან სწორედ ეს ბოძები არიან მომავლის მოციქულები, მისი შეგებდითი ავანპოსტები“ („ბოძები“).

საბჭოთა პოეტი მხურვალე მისალმებით ეგებება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, რომელნიც ადამიანს სამყაროს შემცენებისა და გარდაქმნის ახალ გზებს, ახალ პერსპექტივებს უხსნიან. იმპერიალისტური ბანაკის პოეტს ცოდნის გაღრმავება მხოლოდ შიშის ზარსა სცემს. მისთვის ვრანება სამყაროს შემცენების შესანიშნავი იარაღი კი არ არის, არამედ ტანჯვისა და ვაების წყაროა. იგი ქორია, რომელიც მწვერავი თვლით შესყურებს ღვინით გაღვრილ პოეტს და თვდაფიწების საშუალებას არ აძლევს მას. „გონება საშინელი არსებაა: ცივი,

ვიღ დანაშაული, და გულგრილი, დაუნდრაველი ყოველი სულდგმულისადმი. იგი ბასრ დაწყნარებით ყელსა სჭრის სიყვარულს, მიგებრობის, ძაბას, კიდევ მეტოც: იგი მთელი კონსტრუქციისა სამყაროს ტრაგედიას წარმოადგენს“ (ფ. ვ. ბრედფორდი „ქორი“).

„ცოდნა კი არ გვემარება, არამედ გვიშლის სამყაროს და ადამიანის ვაგებას, — აცხადებს პოეტი სტრაჯე მური, — ამიტომ, უმჯობესია მიატოვო ეს უცეთური მიწა და ღრუბლებს შეაჯდე. ჩვენი შეზღუდული აზროვნების ბნელი და უშნო დერეფნები, ცის დიდ სიერცესთან შედარებით, არააბოაბა. მთელი ჩვენი ცხოვრება, დიდი პლანეტებისა და ვარსკვლავების პოჭარობასთან შედარებით, საოცრად მცირე და უმნიშვნელოა“. („სიძულვილი“; „ფასი და სიძულვილი“).

საბჭოთა პოეტისათვის ბუნება წარმოადგენს არა მარტო ესთეტიკური სიამოვნების წყაროს, არამედ დიდ ძალას, რომელსაც საბჭოთა ადამიანი იმორჩილებს, გარდაქმნის, აუჯობებსებს ხალხის საკეთილდღეოდ. იგი გატაცებით უმღერის ბუნებასთან ადამიანის ბრძოლას, რომლის შედეგადაც გამარჯვებული მუდამ ადამიანი რჩება.

იმპერიალისტური ბანაკის პოეტისათვის ბუნება უცვლელი კატეგორიაა, რომლის გარდაქმნაც და, მით უმეტეს, გაუმჯობესებაც, მისი აზრით, ყოვლად შეუძლებელია. მისთვის ბუნება მხოლოდ პასიური წერტილის საგანი და მხოლოდ ლამაზად შეფერადებული სურათებია, რომელიც მის სულიერად დაუმეულ და გამოფიტულ გონებაში წმინდა ფიზიკურ სიამოვნებას იწვევენ. „მწვანე ბაღები, ღობის ძირში ვაფურჩქნელი ვარდები, ოქროსათავთავიანი ზობიბინე ყანები, ცის ლეკვარდში მინავარდნიკები“ — ყოველივე ეს მხოლოდ დემოკრატიული მორთულობაა, რომელიც პოეტის თვალის გასაბარებლად არსებობს (სილვიო უორნერი — „სახლისაყენ შორი გზით მთიარე“).

გულაწყვებული პოეტი მისალმება გაზაფხულის გამოცოცხლებულ ბუნებას: „წითლად შეფერილ ყვავილებს, ვარსკვლავებით მოჭედულ ცას და სხვ. ამიტომ, რომ მხოლოდ წელიწადის ამ დროს თანასწორია ყველა: ადამიანიცა და პირუტყვიც. ამ დროს ყოველი მათგანისათვის არსებობს ერთადერთი ძლიერი კანონი — „სიცოცხლის გამაგრებლებელი კანონი — კანონი სიყვარულისა“ — (ფიტორია სეველი-ფესტი — ნაწყვეტი პოემიდან „მიწა“).

როგორც ვხედავთ, ავტორი სრულიად შლის ზღვარს ადამიანსა და პირუტყვის შორის. ის ვინც უხევეს გვერდს „სოციალურ კანონს“, რადგან იგი პოეტის მიერ წამოყენებულ „ადამიანისა და პირუტყვის თანასწორობის თეო-

ოიას" უფროდ საგრძობ ზიანს მიაყენებდა. ბუნება ამ ლექსში მხოლოდ ლამაზი ჩარჩოა მოყვარი ფიზიოლოგიური კანონის განსაზღვრელებლად.

რანდალ სუინდლერი აცხადებს, რომ ბუნება „ლამაზი და მშვიდი სამოსია ჩვენი ფეჭრებისათვის, რომელნიც ცხოვრების მთავარ ბირთვის წარმოადგენენ“. პოეტს ფეჭრადაც არ მოსდის, რომ აღმაინს შეუძლიან კიდევ უფრო გაამშვენიეროს, უფრო სრულყოფილი გახადოს ბუნება.

ზოგი პოეტისათვის ბუნების წარმტაცი სურათები: მზიანი ხეობები, მოღიმარი ველები, ამბინებელი მინდვრები — მომხამულია, რადგან ტუფის შეიცავს; ბუნების მაცდურ დიმიტში მუდამ ცბიერი თამაში იგრძნობა (ვდმუნდ ბლანდინი „მზით გაბრწყინებული ხეობა“).

სიკედლის არდილი მუდამ თავს დასტრიალებს პოეტს. იგი გრძნობს ამ სახარელი არსების ცივ სუნთქვას, გრძნობს მის ყინულოვან პოეტებს (ვილფრედ ჯიბსონი „ყველა სული“).

საბჭოთა პოეტის შემოქმედების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ახალი აღმართი, კომუნისტების მშენებელი, რომელიც, შრომის ფერხელში ჩამული, დღითიდღე ახალ გამარჯვებებს ზეიმობს და საკუთარი მკლავით სჭედს ბედნიერ მომავალს. ეს აღმაინი ზედმიწევნით კეთილშობილია, მორალურად მტკიცე, ჯანსაღი. მისთვის მეგობრობა და სიყვარული წარმოადგენს აღმაფრენის წყაროს, რომელიც მის შემოქმედებითი მუშობისათვის აფროფენებს.

იმპერიალისტური ბანაკის პოეტის აზრით, მეგობრობა აღმაინათა შორის შეუძლებელია, რადგან, რაც იგი უფრო ახლოს ეცნობა მათ, მით უფრო ნაკლებად უყვარს ისინი. „აღმაინები მძარცველები არიან; კრახანებივით ეგვიან პოეტს და უჯანსყელ ლექმას პირიდან აცილიან... საყვარელი არსების კოცნაც კი ანგარიშაინობის კუთხით არის შეზღუდული“ (ე. ჯ. დევისი „მძარცველები“).

ამიტომ, განა უყვითესი არ იქნება, რომ აღმაინი სრულიად გაუჩინარდეს, უცნოდ ყარობად იქცეს და კოველივ არსებული მგზავრის გულგრილი თვლით განჭვრიტოს. მან თავი უნდა მიანებოს ზუთი გრძნობის მონაცემთა განსჯა-განხილვას, დასთმოს სიყვარული, რწმენა, ფიც, მოვალეობა და გახდეს თავისუფალი. როდესაც მას ჰკითხავენ ვინაობას რომელიმე სასტუმროში, მან უნდა უპასუხოს: „მხოლოდ მე გახლავართ აღმაინი, რომელმაც ყოველივე დასთმო: შეილი, ოჯახი, საყვარელი არსება“ (რინარდ ჩარჩი — „საიდუმლო სამსახური“).

პოეტის მსჯელობის უხადრტობა ანგარიშის აზრით, გამოდის, რომ აღმაინი თავისუფალი რომ გახდეს, ამისათვის უნდა იქცეს.

პოეტი ზიგფრიდ სასუნი ფიქრებს, რომ აღმაინი შეერთებულია წარსული, აწმყო მომავალი. ამიტომ მის გულში მუდამ ცოცხლობს პირველყოფილი არსება, გამოქვაბულის აღმაინი, რომლის უნებში ვნებანიც ახრობენ აწმყო ღრობის სიბრძნეს. „წარსულის ვეღვნი მომავლის ვარდს აჭნობს, — პათეტურად აცხადებს პოეტი, — შეხვდეთ ჩემს მყერს, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საშინელი ელემენტი წარსულის, აწმყო და მომავლის; შეხვდეთ და ძრწოლით“ (ჩემში ერთდბა წარსული, აწმყო და მომავალი“).

იმპერიალისტური ბანაკის პოეტისათვის სიყვარული არ წარმოადგენს შესანიშნავ ძალას, რომელიც აყვითლებს, ამაღლებს აღმაინს. მისთვის სიყვარული მხოლოდ მიშველი ენება, ზორციელი ღრობეა. პოეტს დამოკიდებულება სატრფოსადმი არა ჯანსაღია, პათოლოგიურია.

საუნდერი შემდგენიარდ აგვიწერს სიყვარულის გრძნობას: პოეტს ფიზიკური სურვილის ცეცხლი სწავს. იგი ნებისყოფას ართმევს მას, სისხლს უშლერებს. ერთიკელთა გრძნობების მორევიმ გახვეულ პოეტს ელანდება სატრფო, რომელიც „ენებათა ოქროს ტალღებში დასცურავს“. მათი სხეულები ერთმანეთისაყენ მიღტვინ, მაგრამ ამოდ — ღამის წყევლიდი უდარაჯებს მათ და არ უშვებს ერთმანეთთან („განშორება“).

უილიამ პლომერისათვის საყვარელი არსება საწოლი და ბალიშია, რომელიც მას დასვენებასა და მყუდროებას ჰგერის, სატრფოს სხეულის მარღვევს იგი აღარებს ხეივნებას და გამოქვაბულებს, რომელთა სანახავადც სწორად დადის პოეტი („გამოქვაბულების სანახავად“).

ზოგიერთი იმპერიალისტური ბანაკის პოეტი ცდილობს კაპიტალისტური სინამდვილის „გაკრიტიკებას“, მაგრამ ამ „კრიტიკის“ შედეგი და დასკვნა ყოველთვის უხადრტია, რადგან პოეტის „საბრძოლო“ აბჯარს მხოლოდ „მასიური პერეტა“ და „სინამდვილის თავის დაღწევა“ შეადგენს.

მაგალითად, პოეტ ოლივერ გოგარტის აზრით, ღრობის აღრიცხვამ აღმაინი მანქანად იქცია; „ღმერთის მიერ გაჩენილი თავისუფალი სულები ახლა იძულებული არიან მანქანის მუშობას აწურონ ფეხი, — აცხადებს პოეტი. „ამიტომ აღმაინებმა უნდა უყვადონ ღრობის აღრიცხვა, რომელიც მათ ჭონდრის კაცებად იქცევს, თორემ თვით ვარსკვლავებაც კი დასცილებდნენ მათ; ბედნიერებმა ამა რა იცანა,

თუ რა მძიმეა დროის ბორკილები... კაპიტალისტური გარემო ინდივიდუალობას უქარავს ადამიანს, მაგრამ ამაში დამნაშავეა არა წესწყობილების არსებული სისტემა, არამედ... საათები! მხოლოდ საათებია დამნაშავე იმავში, რომ ზარბაზნები ადამიანის საფლავში გზავნიან, რომ ქალაქები საომარო მანქანებით ივსება" (დრო, ბატონებო, დრო!).

როგორც ვხედავთ, პოეტის „საბრძოლო მოწოდება“ მდგომარეობს შემდეგში: „დაეინებოთ დროის აღრიცხვას თავი, დაეუბრუნდეთ მამაპაპურ ცხოვრებას და მაშინ ყველას გვეშველება“.

გ. ლისსისათვის დედამიწა საზარელი პლანეტაა, სადაც ადამიანები ოფლსა ღვრიან და სტირიან, სადაც ქალები ქონებში დაღიან და მამაკაცები ციხეში ლებიაან. მაგრამ პოეტი გულხელდაკრფილი შესცქერის მათ ტანჯვას. იგი საქვეყნოდ აცხადებს: „მე მაქვს თვალები იმისათვის, რომ საგნები დაინახო, მაგრამ მე არ გამჩნია ცრემლი, რომ ვინმე შეებრალო... მე მხოლოდ შორიდან ვჭვრეტ უოველივებს; ასე ვთქვათ, უფოროდ ვხედავ და დაუნახველად ვფიქრობ" („მოხუცის შორსმჭვრეტელობა“).

თუ ამ ლექსში ჩაქსოვილ შინაარსს ჩავეკვირდებით, ნაცნობ აზრებს ამოვიკითხავთ: „დედამიწა უკეთურია; ამიტომ ნუ ავღვდობით, უბრძოლველად შევეკოვით ყველფერს“.

ფრანკ კენდონიც „სინამდვილესთან შეგუების“ აუცილებლობას ქადაგებს. იგი აცხადებს: „რა საჭიროა კამათი, ბრძოლა, ტირილი... ოჰ, უჩუბოებისა წყნარად ვიცხოვროთ, ვიდრე თავი შევეკლათ იმ საიდუმლო კენჭის ვახსნას, რომლის გამოც ბეერმა ადამიანმა შფოთით დალა სიცოცხლის დღენი“ (რა საჭიროა კამათი“).

ა. ს. ტესიმონდი ამბობს, რომ ფული ყოველივე არსებულის ბატონ-ბატონია; მისი შხაში ადამიანს ძეღარბილში აქვს გამკლდარი. ფული ელასტიკური ქაპარია, რომლის მოცილებაც ადამიანს არ ძალუძს; ფული ქალაღლია, რომელზედაც ადამიანის ცხოვრების მატრინაა აღბეკილი“ („ფული“).

დ. ჰ. ლოურენსი ფულის მფლობელსა და ბრტყუას ადარებს უიან სოკოს, რომელიც ვარედან პრიაღაა, ხოლო შიგნიდან გამოფიტუ-

ლი. საემარისა ხელით შეებო მისი რამ იგი იმ წამსვე ვასკდება და შიგნიდან მისი ცარიელი გული გამოჩნდება („რა საჭიხტრიაა ბურცვა“). მაგრამ, პოეტის აზრით, საფლავო სწოლდ ის არის, რომ შეუძლებელია ამ ბრტყუემის თავიდან მოშორება—ძალაუღლების ტახტიდან გადმოკლება.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ინგლისური გაბატონებული პოეზის წარმომადგენელი აშკარად ქადაგებენ ცხოვრების ბოროტებასთან შეგუების აუცილებლობას. მათ გამოთვრტულ სულში, სადაც აღარც სიყვარულია, არც მტკობრობა და არც მომავლის იმედი, იღვიძებს მწვავე განცდთა ძიების სურვილი—ზორალური დაცემულობის უკიდფრესი სახე. სულიერი გაშეშების თავის დასაღწევად მათ ესაჭიროებათ ბანგისმავარი სუშალება, თუნდაც ომი, რომელიც მშლაგრად შეანჯღრევს მათ შერყეულ სისტემას, საღისტურ სიამოვნების მოჭვერის მათს დაავადებულ გონებას და დროებით მაინც დაავიწყებს რეალური ცხოვრების „უშიამოვნო“ ფაქტებს.

თანამედროვე ინგლისელი პოეტი პერბერტი რიდი მოუთრებლად აცხადებს: „წლების განმავლობაში ზარბაზნების გრვეინვა მუსიკასავით ხედებოდა ჩემს ყურებს; ყუშმარბები წინწილებითა წყრიალებდნენ და ტყეები ჩანკებით ქღურდნენ ჩემს გარშემო“. ომი დამთავრდა და... პოეტი უცაყოფიღოა. მას გული სწყედება, რომ გარშემო „საზარელი სიჩუმე სუფეს“ („ომი დამთავრდა“).

გვეს გარეშვა, რომ პერბერტი რიდი და მის დაგვარები უოლსტრატის ომის მეხოტბეთა როლში გამოადგებიან.

ამრიგად, თანამედროვე ინგლისურმა ოფიციაღური პოეზია საბოლოოდ დაქარგა ინდივიდუალური სახე და იგი ამერიკული ლიტერატურის რეაქციულ ბანაკს შეუერთდა. მაგრამ ინგლისსა და ამერიკაში დღით-დღე იზრდება და ძლიერდება ახალი, დემოკრატიული ლიტერატურა, რომლის წარმომადგენელინი არიან პოუგარდ ფასტი, ოლრიჯი და სხვ. ისინი დაუნდობლად ამხელენ კაბიტალისტური სისტემის სრულ ვახრწნილობას და მედგრად იბრძვიან შრომელთა მასების უფლებებისათვის, მათი მომავალი ბედნიერებისა და შვეულობისათვის.

## ქუთაისის თეატრის უკანასკნელი დღეები



ქუთაისის უყვარს თავისი თეატრი. მყუდრებული აქ მოდის საწარმოებიდან, სკოლებიდან, პედინსტიტუტიდან, პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებიდან. ეს ახალი მყუდრებელია, ახალი მხატვრული-დედური მოთხოვნისგან. აქ მართო გარეგნული სანახაობით როდია ვატიცხული. მის წინაშე ბევრი ახალი საკითხი დგას, მას სწორად ვებარება სრულიად ახალი აზრი და ახალი გრძნობა, მის სულში ახალი მორალური თვისებები იწრება.

ბუნებრივია, რომ ეს ახალი მყუდრებელი თეატრისაგან მოითხოვს აქტიურ ჩარევას ამ პროცესში. მას სურს თეატრი იყოს მისი აზრების, გრძნობებისა და ემოციების ორგანიზატორი. მას სურს თეატრმა ვასცეს პასუხი ისეთ კითხვებზედაც კი, რომლებიც მისთვის ჯერ არც თუ ისე ნათელია.

აი ამ მყუდრების სიყვარული ფსადაუდებული ჯილდოა თეატრისათვის. და როგორც ჩანს, ეს ჯილდო დაუმსახურებია ქუთაისის თეატრს, რადგან თეატრსაც უყვარს თავისი მყუდრებელი, თავისი ქუთაისი.

ქუთაისის თეატრის საკმაოდ ძლიერ შემოქმედებით კოლექტივს სათავეში უდგას ცნობილი რეჟისორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დოდო ანთაძე.

ყურადღებამ იპყრობს თეატრის დადგმების მხატვრული მთლიანობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, ამ სპექტაკლებში ვერ ვიპოვებ ვერც ერთ რეჟისორულ განაჯარს, ვერც ერთ კომპოზიციურ დეტალს და ვერც ერთ სცენიურ ხერხს, რომელიც მხოლოდ წმინდა თეატრალური ფუნქციით განისაზღვრებოდა. რეჟისორისა და თეატრის მთელი კოლექტივის მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ თეატრის გამომსახველობითი საშუალებანი დაუქვემდებაროს და შეურყუოს სპექტაკლის იდეურ შინაარსს. სწორედ ამით ილწვეს თეატრი თავისი დადგმების მხატვრულ ზოლიანობას. თეატრალური შემოქმედების ყველა კომპონენტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გამოხატული, აქტიური და ქმედითი, როდესაც მას გააჩნია ის ღრმა იდეური შინაარსი, რის ორგანიზაცია და გამოსახვა შეადგენს თეატრის დანიშნულებას.

ამ მხრივ ქუთაისის თეატრი უქვეყლად სწორ რეალისტურ გზას ადგია.

ქუთაისის თეატრის ერთი საუკეთესო სპექტაკლთაგანია ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქეები“, რომლის დადგმა ვეუთენის რესპუბლიკის სახალხო არტისტს — დ. ანთაძეს.

ეს ბიესა, როგორც ცნობილია, ასახავს იმ ქართველი ტომების შთამომავალთა დღევანდელ ცხოვრებასა და განწყობილებას, რომლებიც ბედუეულმართ ისტორიულ წარსულში ქართულ მიწა-წყალთან ერთად დაიპყრეს თურქმა მტაცებლებმა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბარბაროსულმა სისტემამ, რასაც საუკუნეების განმავლობაში ანორციელებდნ თურქი დამპყრობნი, ცხადია, ისტორიის საკმაოდ სქელი ფერფლი წააყრა დაიპყრობილ ტომთა ეროვნულ გრძნობებს. მაგრამ ხალხის უყუადვი მესსიერება ინახავს მდიდარ ისტორიულ გადმოცემებს, ხალხის უყუადვი სული ინარჩუნებს ეროვნული ხასიათის ამა თუ იმ ნიშნებს... და ისტორიის სქელი ფერფლის ქვეშ მაინც ღვივის ნაბერწყალი, ბუნებრივია, რომ ამ ნაბერწყალს შეუძლია კოცონად აღიგნოს იმ ქვეყნის არსებობის ფაქტიოც კი, სადაც მოსპობილია ყოველგვარი ეროვნული და სოციალური ჩაგვრა. მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა არის ღვიძლი დედა-სამშობლო უცხო დამპყრობთა კლანებში მოქცეულ ადამიანებსა. ამ ადამიანთათვის ასეთი ისტორიული დედა-სამშობლო არის საბჭოთა საქართველო... და საბჭოთა ქვეყანას, რომლის იდეოლოგიას შეადგენს ყველა და ყოველგვარი უსამართლობის მოსპობა, არ შეუძლია არ მოითხოვოს ყველა ისტორიული უსამართლობათა გამოსწორება. „ჩაძირული ქეები“ სწორედ ამ იდეოლოგიურ ნიდაღზეა აღმოცენებული.

ქუთაისის თეატრმა სწორად და ღრმად გაიგო ბიესის იდეური კონცეპცია და შექმნა საინტერესო სპექტაკლი, გამსჭვალული მაღალი პარტიოტული სულსიკეთებით და დიდი ისტორიული სამართლიანობის შეგნებით.

თანამედროვე თურქეთის მმართველი წრეების ტიპიური წარმომადგენელის — ამერიკის იმპერიალიზმის ყურმოქრილი მსახურის — ეილაიეთის უფროსის აბდულ სადიყის დანაშაულოვანებას სხვის ჰქმნის მსახიობი გრ. ნაყლი-შეილი. თქვენს წინაშე დგას შერალი, ადამიანურ ვრძნობებისაგან განაძრცილი, გაიძვერა, ვერაგი და ბილწი ენებათაღუეული შეპყრობი-

ლი ადამიანი. მსახიობის თამაშში მაცურებელი ყოველთვის გრძნობს ამ ხასიათის ნიშანდობ-  
ლივ თვისებებს არა როგორც განკერძოებული  
ადამიანისა, არამედ როგორც ტიპურს. რამ-  
დენიმედ პრობლემატურია ნაცელიშვილის სა-  
დღის კილო. პიესის პერსონაჟთა შორის იგი  
ერთადერთია, რომელიც თურქულად უქცევს  
კილოს. მართალია, მსახიობს ეს კილო იმდენ-  
ად დამაჯერებლად აქვს მოცემული, რომ უბე-  
გულად ხელს უწყობს ამ სახის მხატვრულად  
დამთავრებას, მაგრამ მყურებელს მაინც ება-  
ღდება კითხვა: რატომ მხოლოდ ეს პერსონაჟი  
უქცევს კილოს თურქულად?

მთლიანი და კეთილშობილი ხასიათი რეს-  
პუბლიკის დამსახურებული არტისტის ვ. ჩხი-  
კვაძის ბეგინადა. მას ენდობით და გუჯერათ,  
რომ სწორედ ასეთ ხასიათში შეეძლო შეენა-  
ხა თავი ქართული ეროვნული გრძნობების მო-  
ციილად ნაპერწკალს, სწორედ მას შეეძლო დე-  
ცვა ძეორფასი ისტორიული ვადმოცემები და  
ყოფილიყო იმ დიდი სულიერი კულტურის ქო-  
მედი, რომლის ნაცვალეფს ინახავენ ძველი ქარ-  
თული ძეგლები.

კარგია შ. პირველის ჯემალ თურმან ოღლუ.  
ამ მსახიობს სწორად აქვს გააზრებული სული-  
ერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდა  
გურჯის როლი. ჯემალი პიესის ვეელაზე  
უფრო ტრაგიკული პერსონაჟია. მისი ალლი  
გული და უშნავკრო ბუნება ეჯახება იმ ვერა-  
გულ ოინებს, რასაც გურჯი მოსახლეობის  
წინააღმდეგ მიმართავენ თურქეთის გაბატონე-  
ბული წრეები მათი ამერიკელი მრჩვევლების  
შთაგონებით. მსახიობი საკმაო დამაჯერებლო-  
ბით გადმოსცემს ამ ტრაგეიას. კარგი იქნება,  
თუ მომავალში მსახიობი შეეცდებოდა ქარბი თეა-  
ტრალობის დაძლევის.

მსახიობ მგვრელიშვილის შუქრი ჯაფარ  
ოღლუ შთაგონებული პროტესტანტი იმ ერთე-  
ნული და სოციალური ჩავერის წინააღმდეგ,  
რომელიც სუფევს თანამედროვე თურქეთში.  
მგვრელიშვილი მზარდი ძალა, მაგრამ მას უნ-  
და ახსოვდეს, რომ უძვირფასესი არტისტული  
თვისებაე კი თავის წინააღმდეგობაში გადავა,  
თუ იგი გადასცდა ხელოვანისათვის აუცილე-  
ბელ ზომიერებას.

სადიყის მდინის — მირზას დამაჯერებელ  
სახეს იძლევა რესპუბლიკის დამსახურებული  
არტისტი ე. აბესაძე. ასევე დამაჯერებელია  
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის —  
შ. ხინელის ხოჯა სულეიმანი.

ვ. პატარაიას კომედიის „უჩა უჩარდიას“  
დამდგმელი რესპუბლიკის დამსახურებული  
არტისტი თ. ლორთქიფანიძე და შემსრულე-  
ბელი მთელი კოლმეურნე უქცევდა ენერგი-  
ულად შეცდილან მკაფიოდ და რელიეფურად

ენჯენებით დადებითი მხარე, რაც კი ვაჩ-  
ხია ამ პიესას მხატვრულად და რელიეფურად; მიე-  
სა ეხება მეტად აქტუალურ სოციალურ სწო-  
რი ხელმძღვანელობის წინაშეწელობას კოლ-  
მეურნეობაში. მაგრამ ვე დიდი თემა არასაე-  
მოდ არის გახსნილი სცენური სახით მთლიან  
სისტემაში. პიესას თითქმის არ გააჩნია ერთი  
მთლიანი მხატვრული-იდეური კონცეპცია. პიე-  
სის პერსონაჟები უფრო მსუბუქი მოსწრებუ-  
ლი სიტყვებისა და ნაყვესებისავე გაკეთებუ-  
ლი პლაკატების შთაბეჭდილებას სტოვებენ,  
ვიდრე ცხოვრების სიმართლით გამოკვეთილი  
ხასიათებისა. მყურებელის პიესის სიტყვიერი  
მასალაშიაც და სუვეტურ სიტუაციებშიაც  
ძნელად თუ იპოვის რაიმე ამალეებულ და ამ-  
ლელეებულ აზრს. პერსონაჟთა აზროვნების დო-  
ნე საკმაოდ დაქვეითებულია.

საბჭოთა დრამატურგიისათვის საკმაო არ  
არის ცხოვრების ზედაპირის დაკვირვებისა და  
წუთიერი ვეფექტისათვის ზელსაყრელ ხეშრო-  
ბათა თავმოყრის უნარი.

პიესაში არ იგრძნობა სოციალისტური შრო-  
მის ნამდვილი პათოსი.

უჩა უჩარდია, რომელიც ავტორის განზრახ-  
ვით კოლმეურნეობის კარგი ხელმძღვანელის  
ტიპია, შრომის დისციპლინის განმტკიცებას  
იწყებს მით, რომ იცხადებს: — „არავითარი სიმ-  
ღერა, არავითარი გართობა“. უჩარდია თითქოს  
მართალია: რაკი კოლმეურნეობა სამარცხვი-  
ნოდ ჩამორჩება, მის გართობისა და სიმღერის-  
ათვის არ უნდა ეცალოს. მაგრამ ეს მხოლოდ  
ზერელე შეხედვით. ნამდვილად კი საკოლ-  
მეურნეო სოფლის სინამდვილე არ იძლევა სა-  
ფუძველს შრომისა და სიმღერის ასეთი დაპი-  
რისპირებისათვის. პირიქით, ხალხი და სიმ-  
ღერა სოციალისტური შრომის განუყრელი  
თანამეზავრებია.

უჩა უჩარდია თანამდებობიდან ხსნის კოლ-  
მეურნეობის თაღლით მოანგარიშეს და ბრიგა-  
დაში გზავნის სამუშაოდ. ასევე ექცევა იგი  
საკოლმეურნეო კლუბის გამგესა და რეჟისორს,  
რეჟისორი ნაკელის მოსატანად იგზავნება. პიე-  
საში საკოლმეურნეო შრომა დასჯის ერთ-  
გვარ ფორმად არის ქეეული. ეს დაპირისპი-  
რებაე ყალბი და ზედპაორულია. საკოლმეურ-  
ნეო შრომა დღეს ჩვენში მეტად საპატიო  
შრომაა. იგი დიდების, ღირსების და მამაცო-  
ბის საქმეა. საკოლმეურნეო შრომის ფორმტზე  
იწრთობა სოციალისტური შრომის ვიარების  
სახელოვანი ლაშქარია. რისთვის არის საქირო  
რეჟისორის ვაგზავნა ნაკელის მოსატანად; ან  
სად ნახა ავტორმა ეს? შრომის ერთი სახის  
მეორე სახესთან ასეთი დაპირისპირებით ავტო-  
რი დიდად სკოდების ცხოვრების ღრმა სიმართ-  
ლის წინაშე. კომიკური ვითარების შესაქმნე-

ლად არ არის საგაღდებულო სიმატლის და მხინჯეობა.

პიესის ამ არსებით ნაკლოვანებათა მიუხედავად, ქუთაისის თეატრმა მანაც შესწავლია ხაზი გაესვა პიესის ჯანსაღი მხარეებისათვის და შეექმნა საკმაოდ მზიარული სპექტაკლი. მაყურებელი გულწრფელად დასცინის უაყოფიანი თვისებების მატარებელ აღამიანებს — ლოთებს, თაღლითებს, შრომის დევნებულებს; იგი მხარს უჭერს ამ პერსონაჟებს, რომლებიც კოლმეურნეობაში ამყარებენ წესრიგს და ამტკიცებენ შრომის დისციპლინას.

მიუხედავად პერსონაჟთა ნაწილობრივი პლაკატურობისა, მსახიობებმა შესწავლეს შესატყვისი ხასიათების ცოცხალი შტრიხების წარმოსახვა. ასეთებია: უნა უნარდის როლის შემსრულებელი ა. კალანდარიშვილი, სოლომონ ფულარასი — ბ. კოკელაძე, გვატი ტრონიკაი — ან. მაისურაძე, ბაბისა — თ. პაკოვსკია და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომანოზ ხიხამიას როლის შემსრულებელი — ახალგაზრდა მსახიობი გრ. კოკელაძე. მისი პლასტიკურად გამომეტყველი თამაში მოწმობს, რომ მას გააჩნია ცხოვრების, აღამიანთა ურთიერთობისა და აღამიანთა საქციელის ნიშან-თვისებების შესწავლა-ათვისების მადლიანი ნიჭი.

კარგია კლუბის გამგისა და რეჟისორის — ზიტუ ბეგისა როლის შემსრულებელი ი. ბეზინია, მაგრამ ზოგიერთ სცენებში იგი თითქმის მიუყრებელთა ანაზღვეული განწყობილების სტიქიას მიჰყვება და აჭარბებს. ეს კი სახიფათო გზა არის მსახიობისათვის.

თეატრის რეპერტუარში საგრძნობი ადგილი უჭირავს კლასიკურ პიესებს. კლასიკური პიესების განხორციელებისას საბჭოთა თეატრი მხოლოდ იმას კი არ უნდა ისახავდეს მიზნად, რომ მაყურებელი ვადაუყვანოს პიესის დროისა, მოქმედებისა და ხასიათების საშუაროში, არამედ ეს საშუარო დაუყენოს თანამედროვე მაყურებლის იდეურ-მხატვრული სამსჯავროს წინაშე. მხოლოდ ამ გზით შესაძლებს საბჭოთა თეატრი თავისი აქტიური მხატვრული-იდეური ფუნქციის შესრულებას.

ქუთაისის თეატრს შეიძლება ვეღვათ კლასიკური პიესების გაგების ზოგიერთ მოწმებებში, მაგრამ მისი დადგმები საერთოდ მოწმებენ სწორ და მოყიდებულებას კლასიკური შემკვიდრობისადმი.

უყურებთ ა. ოსტროვსკის პიესას „ქვემო-ხელს“ და თქვენს წინაშე ის „ხელის სამეფო“. რომლის დანგრევაზე ოცნებობდნენ რუსეთის საუკეთესო აღამიანები. ამ „ხელ სამეფოში“ გაისმის პროტესტის ხმა, მაგრამ იგი არასაკმაოდ მიგაჩნიათ და თქვენს შეგნებაში აძლეურებთ მას. სპექტაკლი უმეველად მოიგებს, თუ პიესის ძირითადი კონფლიქტი შეტად გასცილდება ოჯახურ ჩარჩოებს და ღრმა სოციალურ კონფლიქტად გახსნაურდება.

შემსრულებელთა კოლექტივი იცავს სპექტაკლის გარკვეულ მხატვრულ დონეს. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. გვენცაძის დიოტი, ა. ქელბაქიანის ბორის ვრიგორევიჩი, თ. ლოთთქიფანიძის ტიხონი, თ. პაკოვსკიას კატერინა და ნ. წინამძღვარის კაბანია.

„ურიელ აკოსტას“ ქუთაისის თეატრი ანხორციელებს კოტე მარჯანიშვილისეული დადგმით. სპექტაკლის მხატვრული დახვეწილობა მოწმობს, რომ იღმდგენელს — რესპუბლიკის სახალხო არტისტს დ. ანთაქეს ვაუწყვია ნამდვილი შემოქმედებითი შრომა და დიდი სიყვარული და მაღალი გემოვნება გამოუხატავს. შემსრულებელთაგან უნდა აღინიშნოს — ვ. მუგრელიშვილი ურიელ აკოსტას როლში, ვ. ჩხაკეაძე დე-სილვას როლში, ა. კალანდარიშვილი დე-სანტოს როლში და თ. პაკოვსკია ივლითის როლში.

ქუთაისის თეატრი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ქართული საბჭოთა თეატრია. მისი შემოქმედებითი კოლექტივი მზარდი და საგრძნობი პოტენციალური შესაძლებლობისაა.

თეატრის რეპერტუარს უმეველად აკლია პიესები თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე. ამავე დროს მას უმეველად შეუძლია გარკვეული როლი ითამაშოს საბჭოთა დრამატურგიული შემოქმედების ორგანიზაციაში.

# ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა უ ი ა

★

## ჩახული პიესები.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ქართველი საბჭოთა დრამატურგების პიესების კრებული, რომელშიც მოთავსებულია ათი პიესა: შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, ს. შანშიაშვილის „არსენა“, ვ. ღარსაძის „კიკვიძე“, გ. შატერიაშვილის „არჩინის პერანგი“, ა. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, მ. ჯაფარიძის „ეპიზოდურის ასული“, ი. ვაკელის „გოთრგი სააკაძე“, თ. დონეაშვილის „ახალი ქართლი“, ლ. ჭუბაბერიას „ჩვენი ფრთები“, დიმიტრე ანთაძისა და მ. დუმბაძის უბრალო ადამიანები“.

კრებულის რედაქტორები არიან შ. დადიანი, ბ. ჯღერტი და ი. ვაკელი. კრებულს დართული აქვს ბ. ჯღერტის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც მიმოხილულია ქართველი საბჭოთა დრამატურგების შემოქმედება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და შემდეგ.

ქართველი მყურებლისათვის უკვე საკმაოდ ცნობილია შ. დადიანის ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწყლიდან“. ეს ერთერთი პირველი ნაწარმოებია, სადაც ავტორმა მთელი თავისი შემოქმედებითი აღმადრწინით დაჯიხება კაცობრიობის უდიდესი ადამიანების, მსოფლიოს მშრომელ ხალხთა საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის დიდი სახეები. შ. დადიანი ამ პიესით პირველი გამოეხატა ამხანაგ ლაერენტე ბერიას მოხსენებებს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ისტორიის საკითხებზე და სტალინის რევოლუციური წარსულით შთაგონებულმა დიდი საყვარელითა და სითხოთი მხატვრულად გამოატარა დიდი ბელადის ნათელი სახე. ავტორმა შესწავლა ისტორიად გამოესახა ის პოლიტიკურ-სოციალური ვითარება, რომელიც არსებობდა რევოლუციის განთავსებზე საქართველოში და, კერძოდ, ამიერკავკასიის ერთერთ სამრეწველო ცენტრში — ბათუმში. აქ რევოლუციური ბრძოლისათვის ნადავლი უკვე მზად იყო, როგორც პიესის ერთერთი მოქმედი პირი — ზეგარის ლაპარაკობს, მუშები ისე იყვნენ, თითქმის ხელთ ეპყრათ ქარქაშიდან ამოღებული ხმლები, მხოლოდ არ იცოდნენ ვისთვის მოექნათ, რა გზით წარემართათ თავიანთი ბრძოლა. მდგომარეობა

მოითხოვდა ხელმძღვანელს, ადამიანს, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ჩატრულ მშრომელ ხალხს და საბრძოლო გზას ვაუწყებდა მას. და იგი, გამოჩნდა ასეთი ადამიანი, 20—22 წლის ჯაბუკი. ეს ადამიანი ახალგაზრდა სტალინია. იგი 1901 წელს ჩამოდის ბათუმში და სათავეში უდგება მუშათა მოძრაობას, ჰქმნის ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

ახალგაზრდა სტალინი სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის აღვივებს საყვარელი-სა და სოლიდარობის ატმოსფეროს, საკმარისია მოეცემათ მუშების საუბარი ახალწლის ღამეს, რომ ნათელი გახდეს, თუ რა ვარჯიშ და უბრალოდ აქვს ავტორს გადმოცემული ამხანაგ სტალინის უდიდესი როლი მუშათა გათავითნობიერების საქმეში.

**„ბ ე ს ი კ ა — ჩვენში გურულ-აპარობიას რამდენი ზანია მოუყვდა დღეა...“**

**დ ო მ ე ნ ტ ი — გურულ-აპარობია კი არა და... ეს სომხები რომ შეიცეაღენ, პირდაპირ სისწულია!**

**კ ო ტ ე — დიდი საქმე ქნა ხელმძღვანელმა... განსაკუთრებით ამ „საწყალი მუშის“ გასვენების მოწყობით.**

**გ ი ო რ გ ი — მამ! მაგ სომეხი მუშის ასეთი გასვენებით სომეხ და ჩვენს მუშებსაც შევეგნებინეთ, რომ ჩვენ ყველა ერთნი ვართ, მუშათა კლასის წარმომადგენელი, და ეროვნება აქ არაფერია მოსატანია, მერე თვითონ ჩვენ მუშებშიაც და დანარჩენ საზოგადოებაშიაც ავამალეთ ჩვენი სახელი.**

**ს ე ვ ე რ ი ა ნ ე — რაც მართალია, მართალია! ხელმძღვანელის ჩამოსვლის შემდეგ თავს ამოვად ვერძნობ... მუშის სახელწოდება აღარ შეთავიკლება.**

**მ ი ხ ა — ავტო არ ვარ! ახლა მუშის სახელწოდება რომ ვინმემ წამომაყვედროს, ზედ არ შევაკედები?!“**

ახალწლის ღამეს, როდესაც გახრწნილების შემევეში ჩაფლული არისტოკრატია განცხრო-

მასა და ბენძერ ნეტარებას მისცემია კლუბში, ახალგაზრდა სტალინი სილიბისტრო ლომჯი-რიას სახლში მოწყობილ შეშათა ფარულ კრე-ბაზე ფანჯრიდან შემოჭრილ განთიადის შუქს ასეთი სიტყვებით ხედება:

„აი, უკვე თენდება მალე შვე ამოვა! გაი-ღის წლები და ჩვენ მოვეწყობით იმ დღეს, როდესაც თავისუფლების მზე სამუდამოდ ამო-ბრწყინდება, მაშინ ჩვენ მოვაბოყებთ ყველა უფლებას და თავს დავაღწევთ ამ აუტანელ მდგომარეობას. მაშინ არ იქნება მეშათა ექს-პლუატაცია, კლასობრივი ბრძოლა და გაიმარ-ჯვებას საყოველთაო შრომა, სასიბარულო ცხოვრება“. ეს ერთერთი საუკეთესო ადგილია პიესაში. ასევე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს კაცობრიობის ორი უდიდესი გენიოსის ლენინისა და სტალინის პირველი შეხვედრა ტაშერდორსში.

თავის იდეური ხილრმით, პოლიტიკური სი-მახვილითა და მხატვრული ფორმის უბრალო-ებით შ. დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს არა მარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა დრამატურგიაში.

სანდრო შანშიაშვილის დრამა „არსენა“ ჩე-ენი ხალხის გმირული ისტორიის თემაზეა აყე-ბული. ავტორი ამ პიესაში მაღალი ოსტატო-ბით ასახავს გლეხურ რევოლუციურ მოძრაო-ბას საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და გვიხატავს სახალხო გმირის, ფე-ოდალური ტირანის წინააღმდეგ ხმაღმეპარ-თული მებრძოლის, გლეხური აჯანყების შე-თაურის — არსენას სახეს.

ავტორს სწორად აქვს დახატული არსენა, როგორც კეთმოყვარე და სიცილის გრძნობით აღსავსე მებრძოლი. ს. შანშიაშვილმა შესწლო ჩასწვლილშია იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად წინააღმდეგობას და დე-ხატა ტიპური სახე იმ ადამიანისა, რომელიც იბრძვის, როგორც ქართული ფეოდალური არისტოკრატის, ისე მეფის რუსეთის გაბრ-ენილ მოხელეთა უმსგავსოების წინააღმდეგ. მაგრამ მარტო ქართული შრომეულები როდი განციდიდნენ ჩავერას, რუსი ჯარისკაცი მიტ-როხინი, რუსეთის დამეჩაეებული ხალხის ტი-პიური გამოხატულებაა. მის არ სურს ბრძოლა ქართველი გლეხკაცობის წინააღმდეგ:

„თქვენებრ გლეხი ვარ და მიწის მუშა! შრო-ბლებს მომწყვდის, დედა ტაროდა, მამაშიეი უჩაობდა და იმ საბარლოს როზგები დაქარეს! მე თან გამოწყვა დედის ცრემლი და ის მეგო-ნებს, რამ იქ, რუსეთში, ჩემებიც ისე იტან-ჯებიან როგორც აქ თქვენი შრომელები და ნა-თესაეები“.

მიტროხინის ამ სიტყვებში იტარდება თვით-მყრობელური ძალადობით ნაწამები რუსი ხალხის გულის ფეთქეა. რუსი ხალხის ასევე ნამდვილი წარმომადგენელია დეკარბონტი ოფი-ციერი სუდაკოვი, რომელიც შაჰინ რაზენის ბრძანებას — დარჩეს საქართველოში ბარათო-შვილის ყმათა მტანჯველად — არ ასრულებს.

სანდრო შანშიაშვილის „არსენაში“ ყველა სახე მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებ-ლობითაა დახატული. დახვეწილი და მეტყვე-ლი ქართული ენა, მოქმედების დინამიკრობა, კომპოზიციური აღნაგობის სისადავე და, რაც მთავარია, დრმა იდეურობა სანდრო შან-შიაშვილის პიესა „არსენას“ ქართული საბჭო-თა დრამატურგის თელსაჩინო მიღწეედ ხდის.

საქართველოს გმირული წარსულის ამსახვე-ლი პიესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იონა ვაეელის ისტორიული დრამა „გიორგი სააკაე“. პიესა საქართველოს ისტო-რიის ყველაზე უფრო მრისხანე პერიოდს ასა-ხავს. ეს არის შეჩვიდმეტე საუკუნის გარიგრა-ცი, როცა საქართველო იტანჯებოდა როგორც გარე მიტერთა და მყრობლური ომებისაგან, ისე ანგარებისა და პირადი პატეგოზოყარეობის ჭაობში ჩაფლულ ქართველ ფეოდალთა რეაქ-ციული მოქმედებისაგანც. დრამის სუეტი ძი-ჩითადად აგებულია იმ ბრძოლაზე, რომელიც სწარმოებდა შშობლიური ქვეყნის კეთილდღე-ობისათვის თავგანწირულ მებრძოლ სააკაესა და შურითა და ბოროტებით აღსავსე ქართველ დიდგვარიანთა შორის. დიდი მოურავის რაინ-დული კეთილშობილება, საშობლოს თავისუ-ფლებსათვის ბრძოლის დაუცხრომელი ენერ-გია და წყურვილი, სიმამაცესთან და ვაეა-ცობასთან შეხაეებული სულიერი სისხტეაეე და მაღალი ბუნება ავტორს მხატვრული ოსტა-ტობით აქვს გადმოეეეული. თითქმის ყველა პერსონაეი: ებერი და გესლით აღსავსე შადი-შან ბარათოშვილი, საშობლოს პატრიოტი, მე-გრამ გამოუტეველი და გულბრყვილი მეფე ლუარსაბი, ზნეობრივი სისხტეაეითა და სათ-ნოებით აღსავსე თეეე — სააკაის და, — სააკაის ერთეული მეგობრები — პაპუნა, ზაზა, სოსიტა და სხე, სისხლობრიციანი და დასრუ-ლებულია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უზამე ჯიბილოს კომიკური სახე. საუკეთესოა სენვა სააკაის შეხვედრისა თავის დათან, თეეესთან, როცა ამ უენასკენელს ირანულ ტანსაცმელში გადაეეული შმა საშობლოს მოლატეეე ჭგონია, ასეთსავე დიდ შთაბეჭდი-ლებას ახდენს სააკაისა და ზურაბ ერისთავის დრამატული ექსპრესიით საეეე დიალოგ მე-ოთხე მოქმედების პირველ სურათში, ლუარსა-

ბისა და თველეს სატრფიალო სცენები, გვირგვინწარმოებულ ლუარსაბისა და შამახასის სცენა, როცა ირანის სისხლიანი აგრესორი ცდილობს სჯული შეაცვლეინოს საქართველოს მეფეს და ხელი ააღებინოს მყინვარეთთან (ე. ი. რუსეთთან) ურთიერთობაზე.

მთელი ჯგაფრიძის პიესა „ეპითაბერის ასულა“ ასახავს მე-18 საუკუნის იმპერიების მეფის ქარისა და დიდგვაროვან ფეოდალთა ცხოვრებას. პიესაში არ არიან გამოყვანილი ისტორიულად რეალური პირები და სუვეტური ქარავაი შექმნილია დრამატურგის თავისუფალი ფანტაზიით, მაგრამ იმდენად კარგად არის გამოყვეთლი სახეება, ხასიათები, ისე დასარულელებთა, მკაფითა და ამავე დროს ისე ტიპური და განზოგადოებულია, რომ პიესა მკითხველზე ან მაყურებელზე ისტორიულად ნამდვილი ამბავის შთაბეჭდილებას ახდენს. სცენიურად დახვეწილი დიალოგები, ცოცხალი, ხალხური სიბრძნით აღსავსე ფრაზები და ნათელი, მსიარული ქუმორის ფერადოვნება ამ დრამატურულ ნაწარმოებს განსაკუთრებულ ღირსებას უნარჩუნებს. უნდა აღინიშნოს ერთმანეთის მიმართ შურით აღსავსე ეპითაბერისა და ბარძიბის სახეები. ისინი მეტისმეტად მოწილი და ელასტიური არიან, რათა მეფის პატრიისცემ დაიშაბურონ და ერთმანეთს ეჯობებინან ამ პატრიისცემის მოპოვებაში. მხოლოდ ამ ქუმპობასა და მტრობას დრამატურგი მტკ ფერებში კი არ იძლევა, არამედ მსუბუქ, მზიაბულ ფერებში გვიხატავს.

მთუხედავად ყოველივე ამისა, პიესას აქვს ნაკლი და ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ნაწარმოების იდეური მიზანსწრაფვა გაურკვეველი და ბუნდოვანია. მართალია, პიესის ფინალიში ერთმანეთის მიმართ მტრულად გაწყობილი ეპითაბერი და ბარძიმი მზად არიან შეერთებულთა ძალით გაილაშქრონ შემოსეული გარეშე მტრის წინააღმდეგ, და ეს გარემოება უთუოდ მათს პატრიოტულ გრძობაზე მეტყველებს, მაგრამ ეს პატრია შტრახია, რაც, რა თქმა უნდა, არ კმარა დრამატურგიული ნაწარმოების იდეური მიზანისათვის. პიესა „ეპითაბერის ასული“ იმის საუკეთესო დამმტკიცებელი საბუთია, რომ რა მალაშხატრულიც არ უნდა იყოს ნაწარმოების ფორმა, მისი აღმზრდელობითი შემოქმედების ძალა მინც ნაკლებია, უკეთ ნაწარმოები მოიკლებს შინაარსის მხრივ, შემოქმედის იდეური ვაზრების მხრივ.

გ. დარასელის პიესას „კიკვიძეს“, რომელიც სამოქალაქო ომის ვმირულ პერიოდს ეხება, ქართული საბჭოთა დრამატურგების მიერ ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის თემებზე დაწერილ პიესათა შორის ერთერთი

მნიშვნელოვანი იდეული უკავია. ამ პიესაში ასახულია ბრძოლა საბჭოთა დამიანებისა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებულ ვაჭრობებულ გესპლოატატორთა და კლასიკურად გენერალთა წინააღმდეგ, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობით შემარწუნებელი ანტირის კაიტალისტური ქვეყნები. სამხედრო ინტერვენციისა და თერგვარიდელების აჯანყებათა მოწყობის გზით მათ საბჭოთა რუსეთი დროებით მოსწყვიტეს მთელ რიგ სამრეწველო და სისოფლოსამეურნეო რაიონები. ბოლშევიკური პარტიის მოწოდებაზე მშრომელი ხალხი აღსდგა უცხოედი დამპყრობთა და თერგვარიდელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლებში, სხვა სახელოვან წითელ მხედართმთაგრებთან ერთად, თავი გამოიჩინა ქართველი ხალხის საბაყო შეილა ვისილ კიკვიძემ.

მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელ კვალს სტოვებს კიკვიძის ყოველი სიტყვა, წრფელი და პირდაპირი, მუნწად თქმული და მართალი, დამიანებისადმი უსაზღვრო სოყარულით გამთბარი, ხოლო მტრისა და საშობლოს გამყიდველთა მიმართ თაბელელითა და ზიზლით აღსავსე, კიკვიძე თავიდანვე მტრულად შეყურებს ესერებასა და ტროცკისტთა ბანდიტების შენიღბულ მოქმედებას, პირადი პატივმოყვარობის გესლით აღსავსე ბრიკებს, შილინის მსავსე აღმიანებს, რომელთაც ვერ მოუნელდებათ კიკვიძის თავგანწირული ბრძოლა სოციალიზმის საქმისათვის და ამიტომ ყოველმხრივ ცდილობენ სახელა გაუტეხონ ამ მართალ მებრძოლს საბჭოთა სარდლობისა და განსაკუთრებით კი სტალინის წინაშე და გზიდან ჩამოშორონ იგი. დრმა შთაბეჭდილების ახდენს კიკვიძის სიტყვები, როცა იგი მოუთმენლად ელის იმხანაგ სტალინის ნახვას. მეგრის ტყვიან არ დესცალდა სტალინის ნახვა, მტრის ტყვიან უდროოდ გამოასალმა ახალგაზრდა მგზნებარე მებრძოლი სიკოცხლეს.

„...ეგრ ვეღირს სტალინის ნახვას... უთხარით, რომ... არაფერი უთხრათ... თვითონ მიხედება— ვენ იყო კიკვიძე...“ წარმოსთქმენს უკანსკენლად დუმირთა კიკვიძე.

კიკვიძის გარდა, ამ პიესაში კარგადაა გამოკვეთილი სახეები: დინჯი და წრფელი ბოლშევიკის — მედოესკისა, ახალგაზრდა კახაის მიწა დუდნიკოვისა და მისი მამის ნიკოლი დუდნიკოვისა, რომელიც მტრის ბანაკებში ეციმისა და სხვა ქეშმარიტ პატრიოტთა ზეგაელენით ჩვენი მებრძოლების რიგებში დგება. ოდნავ სქემატურია დივიზიის ექიმის — ელიზავეტა დანილოვნას სახე.

საკავშირო კ. პ. (მ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 26 აგვისტოს ისტორიულმა

დადგენილებამ „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი ვაჟმკაობების ღონისძიებათა შესახებ“ და იდეოლოგიის საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა (ტურნალების „ლენინგრაძისა“ და „ზევზდის“ შესახებ, კინოფილმ „დიადი ცხოვრებისა“ და ვ. შურადღის ოპერა „დიადი მგობარობის“ შესახებ) საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ახალი აღმავლობის გზაზე დაყენა. ხელოვნების და ლიტერატურის სხვა მემკვიბეთან ერთად, საბჭოთა დრამატურგებმა ამ უპარესად დიდმნიშვნელოვან დადგენილებათა შემდეგ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითი აღმაფრენით მოაკიდეს ხელი საბჭოთა ეპოქის ადამიანთა სულიერი სიმდიდრის, კეთილშობილებისა და სამშობლისადმი უსაზღვრო საყვარელის მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით ახახვას. ის დიდი პატრიოტული სულისკეთება, ნებისყოფის ფოლკისებური სიმტკიცე და შურეველობა, სოციალისტური სამშობლოს კეთილდღობისათვის ბრძოლის გმირული აღტყინება, მორალურია სიწმინდე და მაღალადამიანური სპეტაკი გრძნობები, რომლებიც ამოქმედდება საბჭოთა ხალხს უმისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველა საბჭოთა დრამატურგის შთავონების წყაროდ იქცა. ქართულ დრამატურგიაში დიდი სამამულო ომის თემამე დაწერილ პიესათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ილია მოსაშვილის პიესას „სადგურის უფროსს“, რომელმაც ღირსეულად დამსახურა საბჭოთა მკურნალობის მოწონება და საყვარული.

პიესის შთავარი გმირი, ძველი რკინგზელი, ზოლშევიკი ლევან ჩაღუნელი, რომელსაც წარსულში „სტალინის ხელით დაწერილი პროკლამაციები უბით დაქონდა“, დიდის პასუხისმგებლობით შეეგება პარტიის დავალებას — დარჩენილიყო მტრის ზურგში, თავი ერთგულადამიანად მოეჩვენებინა გერმანელი ოკუპანტებისათვის და ამავე დროს კი ეწარმოებინა ბრძოლა მათ წინააღმდეგ, მძიმე იყო ეს დავალება. მის ადგილობრივი მოსახლეობა უძველესი როგორც მოლატებს, და ლევან ჩაღუნელი, ეს სულითა და გულით სამშობლო ქვეყნის პატრიოტი, ითმენს ამ შურეაქტუოდან. „რადენადეც შემიძლე, იმდენად მე შემიყვარდი, კუზმინ!“ — ეუბნება ჩაღუნელი გზის მოხუც დარაჯს — კუზმინს, რომელიც შზად არის სიცოცხლეს ვასოხალმის „სამშობლოს მოლატე“. მძიმეა ეს ტვირთი, რადგან ლევან ჩაღუნელს, კონსპირაციული მოსაზრებებით, არა იქვს უფლება გამოაშკარავოს თავისი ნამდვილი მისწრაფებანი. ჩაღუნელის თვალწინ საზიზზარი კაცობიები შეუბრალებლად სტანჯვენ საბჭოთა ადამიანებს, ლევანის ერთადერთ

შვილს მარინეს, თავის საყვარელ თანამგმობულსა და მეგობარს, მაგრამ გაუტრეულია ჩაღუნელის ზოლშევიკურ ბრძმედში უმეფრხოთბილი სული, რომელშიაც უმეფრხოთბილად საბჭოთა ქვეყნისა და დიდი სტალინის საყვარული ჩანერგულია. ნებისყოფის ამ ფოლადისებურ სიძლიერეს ლევანი გამარჯვებამდე მიწყავს. ზნეობრივად მაღალი და სპეტაკი ჩაღუნელის გვერდით პიესაში მოცემული არიან სამშობლოს საყვარულით აღსავსე მთელი რიგი საბჭოთა პატრიოტები: რკინომის მდგვანი სერგეი პეტროვიჩი, რკინგზელი მუშა კუზმინი, მარინე, ბორისი და სხვ. მათ სწამთ, რომ გაიმარჯვებენ, რადგან, როგორც რკინომის მდივანი სერგეი ლაპარაკობს, „ჩვენს შორის ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისთვისაც ამ საქვეყნო განსაუდელს პირადი უბედურება არ დავიწყებინოს“, რადგან, როგორც ბორისი ლაპარაკობს, „ადამიანის საყვარელი მისდამი (სტალინისადმი, დ. ჩ.) უფრო დიდაა, ვიდრე ადამიანს ამ საყვარელის გამოხატვა შეუძლია... ეს საყვარული მიუძღვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს, ცეცხლში მიღიან და ცეცხლს არა გრძნობენ, კვლებიან და მაინც ცოცხლობენ! კავკასიონამდე დაიბიეს და აქედანაც ისევ ბერლინს ვასცქერიაან!“ მით სწამთ, რომ გაიმარჯვებენ, რადგან კავკასიის დაცვის სტალინური გეგმის განხორციელებას, ბელადის დავალებით, ხელმძღვანელობს ქართველი ხალხის საამყო შვილი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლვრელიც ბერია. რკინომის მდივანი სერგეი, რომელიც პარტიანულ გეგმებს ხელმძღვანელობს და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტიდან საიდუმლო დავალებით არის გამოგზავნილი, ლევან ჩაღუნელს აღტაცებით ეუბნება:

ეს რ გევი — იცი, რა ვახარო, ამხანაგი ლევან? აი... ახლა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი მელაპარაკა.

ლევანი (ვაოცებული) — რას ამბობთ? საიდან?

სერგეი — კავკავიდან.

ლევანი — ისევ აქ არის?

სერგეი — აქ არის და, ვინ იცის, ახლა კიდევ რამდენ ჩემისთანას ელაპარაკება. რაც მისი მადლიანი ხელი აქ, კავკასიონის მთებში დატრიალდა, ჩვენს გულსაც, ჩვენს იარაღსაც ძალა მიეცა“...

შეთხველი გრძნობს, რომ ეს სიტყვები წარმოთქმულია დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ბერიას მიმართ.

დრამატული სიმძვრის მხრივ განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს სცენა კუზმინის ოჯახში, ლევანისა და სერგეის დილოგი გამოქვბულში და სხვ. მართალია, პიესაში ყველა

სახე არ არის სრულყოფილად გამოკვეთილი (სტუდენტთა არჩევა, ნაწილობრივად ბორისი და სხვა.) და ზოგიერთი ეპიზოდურ სქემურების შთაბეჭდილებას სტოეებს, მაგრამ ეს მცირეოდენი ნაკლოვანებანია. ლევან ზაღუნელის, კუპშინის, სერაგეის, შარინეს და სხვა საბჭოთა პარტიოტების სახეთა მხატვრული სიძლიერე, პიესის იდეური აზრის კეთილშობილება, მოქმედებათა სცენიურობა და ცოცხალი ენა იმას მოწმობს, რომ „სადგურის უფროსის“ სახით ილო მოსაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების საქმეში.

კავკასიის დაცვის გმირულ დღეებსა და ამ პრბოლენში დაუშინებელი ვენერგიით აღსავსე სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლაგერენტი ბერიას ისტორიულ დამახერებებს უმღერის გ. შატბერაშვილი თავის „რკინის პერანგში“.

ჩრდილო-კავკასიისა და საქართველოს საზღვარზე, ერთერთ ქართულ სოფელში მტერი დესანტს ჩამოსხამს. მტერს განზრახული აქვს თავისი მოთავარი ძალები კლდეკარის ხიდი დესანტს შეუერთოს. უტეხი ძალითა და შობლიური მიწისადმი უსაზღვრო ერთგულებით გამსწვალელი ხალხი ახერხებს კლდეკარის ხიდის აფეთქებას და ფაშიტს ავიხაჟა უკუ-ქცევას და განადგურებას. ეს გამარჯვება სამშობლოს პარტიოტებმა უდიდესი მსხვერპლისა და თავგანწირული ბრძოლის შედეგად მოიპოვეს. კოლმურენების მეფურსკერ ბექა იძულებულია მშვიდად უქციროს სამშობლოს მოღალატის მანქანას შიერ გულგანგმირული შეილის — გოდერძის ცხედარს, რომელიც მტერმა განზრახ მიავლო ცის ანაბარა, რომ ამით მოკლულის ვინაობა გამოეჩეკია და ამით იქ მომქმედ ქართველ პარტიზანთა კვალიც აღმოეჩინათ.

ამევე მალაღი პარტიოტული შეგნებითა და ნებისყოფის სიძლიერით არიან აღჭურვილი კოლმურენობის თავმჯდომარე შალვა, ბექას ქალკაცი ლელა და გოდერძი, მეწისჭვილე მამალიზინე, მეგზური ზალიკა და სხვები. განსაკუთრებული სითბოთა და მხატვრული დამაჯერებლობით არის გამოკვეთილი მამალიზინე სახე. მის შიხარულსა და ხუშპარა ხასიათში კეთმოყოფარებისა და სულიერი კეთილშობილების გრძნობები გამოისკვივის. გოდერძის მეგობარ კახას სულიერი ბუნება სამშობლოსადმი სიყვარულთაა გამობარა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირადი განდიდებისაკენ სწრაფის მსგავსი გრძნობები ამ სახეს ოდნავ აგდმყოფური ინდივიდუალიზმის ელფერს აძლევს. მას სურს მთაზე შედგეს, ცას შესწუდეს ზელოთ. „მინდა... მწყურია... იქ... ზევით...“ — ეუბნება კახა თავის სატრფოს ლელის, —

ოლონდ შენ გამომედე გზა, შენი...“ კახას ხასიათს თავიდანვე უიძღვობისა და სვედანიობის კვალი აჩნია. იგი მუდმივ შტრქლემშიც სკუტოთარ თავთან. მას გზა ვერ უშვებდა: „...სხვერპლში. ჩვენი აზრით, ახალგაზრდა აღმანიის ასეთი ბუნება არატიპურია სულიერად ჯანსაღი ჩვენი ახალგაზრდობისათვის და ამიტომაც მხატვრულად ნაკლებად დამაჯერებელია. ბოლოს, კახას სიტყვები, რომ „სიციცხლის აზრი ლამაზი სიყვარლისაკენ მოგვიწოდებს“ — მართებულად არ გამოხატავს სიციცხლის დანიშნულებას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები სინამდვილის ტიპური მოვლენების განზოგადობაა. ამიტომ სასურველი იქნებოდა ავტორის მეტად დაეცე ჩვენი დიდი სამამულო ომის სინამდვილე და არ მოეყვანა ფაშისტები საქართველოს მიწა-წყალზე, თუნდაც დესანტის სახით. ეს ვარემოება აუცილებლად იწვევს მხატვრული დამაჯერებლობისა და სიძლიერის შესუსტებას.

ლ. კუბაბიას პიესა „ჩვენი ფრთები“ ასახავს ომგადახდილი საბჭოთა ტექნიკოსების შემოქმედებითი მგზნებარებით აღსავსე ბრძოლას საბჭოთა ქვეყნის ტექნიკური ძლიერების აღმოვლინისათვის. მართალია, პიესა, წმინდა მოთხრობითი თვალსაზრისით, უნაკლო არ არის, რაც უკვე აღნიშნული იყო ჩვენს პრესაში, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრი რამ იდეური თვალსაზრისითა და სახეთა ორიგინალური შერჩევით მოწონებასა და ყურადღების იმსახურებს.

მართალია, პიესა ფსიქოლოგიურ ნიუანსებზე აგებული, რაც მის სცენიურ ეფექტიანობას ასუსტებს და სუყეტურ ქარგისაც ოდნავ ბუნდოვანს ხდის, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ძირითადში ახალგაზრდა ავტორის იდეური შთანაფიქრი, გამოსახვის ორიგინალური ხერხები და, რაც მთავარია, თვითველი სახის დამახასიათებელი სიტყვიერი მასალის გამოძენა ამ დრამატურულ ნაწარმოებს ვარკვეულ ღირსებებს უნარჩუნებს.

დ. ანთაძისა და შ. ღუმბაძის პიესა „უბრალო აღმანიება“ აგებულია სამგორის მშენებლობის თემაზე.

პიესაში სამგორის დიდი მშენებლობის ფონზე აჩვენებ ვხედავთ საბჭოთა აღმანიების გმირულ ბრძოლას მეოთხე სტალინური ბუთქლელის განხორციელებისათვის. გიორგი ჯაფარიძე, მალაშვილის ცოლი ნანო, მალაშვილის შვილიშვილი კოტე და თინა და სხვ. ზნეობრივად მალაღი და სუყეტური სულის აღმანიები არიან. კარვად არის მოცემული საყუთარ თავში შეყვარებული ახალგაზრდა ექიმის ლადო ინაშვილის სახე.

კარგია პიესის ენა — სადა და ბუნებრივი. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოკებს პიესის ექსპოზიცია — პირველი მოქმედება, რომელშიც ვეცნობით პერსონაჟებს ხასიათებს, მათს ურთიერთდაპყობებულუბას; აქვე ისახება დრამატული კონფლიქტი. შედარებით სუსტია კონფლიქტისა და ხასიათთა შემდგომი განვითარება; დრამატული სიმძაფრე აღმავლობის ნაცვლად თანდათან სუსტდება და ამიტომ უქანასკნელი მოქმედება პლაკატის შთაბეჭდილებას სტოკებს. ხასიათების არალოცირი განვითარებით აიხსნება ის, რომ ინგ. მალაშვილის „შემობრუნება“ ნაკლებად დამაჯერებელია. აღვიღო-ავღიღო პიესა დატვირთულია ზედმეტ, ტექნიკური ხასიათის საცყვიერი მასალით, რაც აღუნებს მოქმედების დინამიზრობას. ყოველივე ეს იყო უთუოდ იმის მიზეზი, რომ პიესა „უბრალო ადამიანები“, მიუხედავად მისი ვარკვეული ღირსებისა, მაინც ვერ შეტანა დიდხანს ქართულ სცენას.


კრებულში მოთავსებული პიესებიდან ყველაზე სუსტად გამოიყოფება თ. დონაშვილის პიესა „ახალი ქართლი“, რომელიც დონაშვილის პირველ დრამატულ ნაწარმოებს წარმოადგენს. მას ახასიათებს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. მართალია, პიესის თემა აქტუალურია და სოციალისტური სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას ეხება, მაგრამ ავტორს ამ შეტად საყურადღებო თემის დამუშავების ვერ მოუნდავს, ან, შეიძლება ითქვას, მეტრისმეტად არამართებულად მოუნდავს დრამისათვის საჭირო კონფლიქტის იდეური საფუძველი, რის გამოც დრამატული მდგომარეობანი და მოქმედ პირთა სახეები ტიპურობას ვერ აღწევენ და ამიტომაც მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას სტოკებენ. კონფლიქტი, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა ინჟინერ რამაზსა და სოფლის მოწინავე კოლმეურნე ილის შორის იჩენს თავს, სრულიად არამართებელია. ილი კვლი-აშვილს არ სურს ქარხანაში სამუშაოდ წასვლა და არც ის სურს, რომ ფრთხილად დაბრუნებული თავისი ქალიშვილი ქეთევანი ვაუწყავს იქ სამუშაოდ. რამაზი, რომელსაც ილის ქალიშვილი უყვარს, პირიქით, არწმუნებს ილის, რომ ქარხანაში მუშაობა ბევრად უფრო სასარგებლოა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, ვიდრე სოფლად კოლმეურნეობაში შრომა. რამაზი მოწინავე საბჭოთა ინჟინერი და ფელისსმება, რომ იგი საესებით ვარკვეულია სოციალისტური სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის განმტკიცებისა და მათ შორის წინააღმდეგობის მოსპობის საკითხებში, რაც სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის

ერთერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მაგრამ, არა! რამაზი ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის თუქუქს მხოლოდ და მხოლოდ ქარხნებისა საჭიროა ვიდრე სოფლის უგულვებელპყოფს სოფლის მეურნეობის როლს. თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე სოფელზე ასეთი შეხედულების ადამიანს, და ისიც მოწინავე საბჭოთა ინტელიგენტს, ნაკლებად შეეხედებით ჩვენს სინამდვილეს.

პიესა აგებულია ზელოვნურ დრამატულ კონფლიქტზე. პიესის იდეური მიზართულების განმსაზღვრელი კითხვის დამსა: — არა არის გადამწყვეტი კომუნისმის მშენებლობის საქმეში — მრწველობა თუ სოფლის მეურნეობა, ეს საკითხის არამართებელი გაგება და დაყენება. მართალია, რამაზი ბოლოს აღიარებს თავის შეცდომას, მაგრამ მკითხველს არა სჯერა მისი „შემობრუნებისა“. თავის მხრივ ასეთივე დამახინჯებული წარმოდგენა აქვს ქალაქზე სოფლის მოწინავე აგრონომს — ანტონს, რომელსაც „ეგაგრება ქალაქში ჩამოსვლა“, არც „პერი უოფნის ქალაქში“, სოფელში კი „სიწყინარება, სიღუფა“.

ცხადია, რომ „ტრეტიათა მოტრფიალების“ მხგავსი წარმოდგენა სოციალისტურ ქალაქსა და სოფელზე სრულიად შეუფერებელია ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტისათვის. ვაურკვეულია აგრეთვე, რად დისკორდა ავტორს პიესაში კოლმეურნეობის ღოთი და თალითა თემშეხდომის ალექსის შეყვანა. როცა პიესის კითხვას იწვევთ, ფიქრობთ, რომ ძირითადი კონფლიქტი წარმოიშვება ალექსისა და მოწინავე კოლმეურნეებს შორის, ბრძოლა მიმართული იქნება სწორედ ალექსის წინააღმდეგ. მაგრამ ეს სახე პირველი მოქმედების შემდეგ ჰქრება. მხოლოდ ერთიერთი პერსონაჟის ნამბობით ვგუბლობთ, რომ ალექსი პასუხისგებაში მისცეს. ასევე არადამაჯერებელია აგრონომ ანტონის სახეც, რომლის გაშარებასაც დისონანსი შეაქვს პიესაში... ცნობილია რომ დრამაში მოცემული ყველა სახე და მათი ურთიერთდამოკიდებულება ზელს უნდა უწყობდნენ პიესის მოაგარი აზრის გახსნას. ეს აუცილებელი პირობა პიესაში დარღვეულია. შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას სტოკებს ახალგაზრდა სპეციალისტი ქალაქის ქეთევანისა და ღიზას სახეები. კაბუცი ნინიკას ქალაქში სამუშაოდ წასვლაც ბუნებრივი და გასაგებია. ყურადღობას იპყრობს ზოგიერთი სცენა. მაგრამ ეს ცოტადენი ღირსებანი ვერ ფარავენ პიესა „ახალი ქართლის“ სერიოზულ ნაკლოვანებებს. რასაკვირველია, უშავობესი იქნებოდა, რომ ეს პიესა რედაქციას კრებულში არ შეეტანა.

დ. ჩხიკვიშვილი.



8. დელბა. „დღიობრი გულია“. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ 1949 წ.



1949 წლის აპრილში აფხაზეთის მშრომელთა და მთელმა ქართულმა საზოგადოებრიობამ გადაიხადა აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულაის დაბადების 75 წლისთავი. მის დელბას წიგნი მოგვითხრობს დიმიტრი გულაის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

დ. გულაიმ, მეფის რუსეთის სასტიკ პირობებში, მთელდავად ავტანელი გაჰირეებისა და ჩაგვრისა, შესძლო გზა გაეყოფა ლიტერატურისაკენ, ხოლო, შემდეგ, საბჭოთა ეპოქაში, მან მოაღწია შემოქმედებით აფხაზეთს. წიგნის ავტორის მიერ მოყვანილი ბიოგრაფიის ფაქტები და მისი საკუთარი დაკვირვებანი საკმაო სისრულით გვიხატავენ აფხაზეთის გამოჩენილი მწერლის, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის სახეს.

წიგნის ავტორი აღწერს მწერლის ბავშვობისა და ყრობის წლებს, რომლებიც მეფის თვითმპყრობელობის სასტიკი ჩაგვრისა და ადვოკატობის თავად-აზნაურობის მიერ მშრომელი ხალხის უმაგალითო ძალმომრეობის გათრებაში მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში დ. გულაა მოწმე იყო თავისი ხალხის ტრაგედიისა — აფხაზების მასიური ჩადატანებით გადასახლებისა სულტანის თურქეთში. ყმაწვილს სამუდამოდ დაამახსოვრდა „მზაჯირობის“ ეკლიანი გზები. მ. დელბა სამართლიანად მიუთითებს, რომ „ეს ბარბაროსული გადასახლება, რამაც მრავალი ათასი აფხაზი იმსხვერპლა და მათ საუფარელი სამშობლო დაკარგეს, — გამოწვეული იყო თურქეთის პროვოკაციით, თურქეთისა, რომელიც თავის ინგლის-ამერიკელ ბატონთა კურთხევით, დღემდე ანადგურებს მის მიერ დაპყრობილ ძველთაძველ-ქართულ მიწებზე ძველი ქართული კულტურის უდიდეს ქმნილებებს“ (გვ. 10 — 11).

სუბუმის ორკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, დ. გულაა შედის გორის საოსტატო სემინარიაში, მაგრამ ხელმოკლეობისა და გაჭირვებულ მდგომარეობის გამო იგი საწვლას ანებებს თავს.

დ. გულაის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მიმდინარეობს თავის ხალხთან მჭიდრო ურთიერთობაში, მის სამსახურში. დ. გულაის ადრინდელ პოეტურ ქმნილებებს საფუძვლად დაედო ხალხური ზეპირ-

სიტყვაობა. „ლექსის წერის დროს მე საკმაოდ ფართოდ ესარგებლობ ფოლკლორით“; — სწერს პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი დ. გულაა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ლიტერატურასთან, რომელიც აფხაზურ ზეპირსიტყვაობასთან ერთად, წარმოადგენდა მისი პოეზიის შთაქარ შემოქმედებით წყაროს. ასეთი მჭიდრო კავშირი საველებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს, რადგან აფხაზისათვის ქართული ლიტერატურა მშობლიურია, როგორც თავისი.

ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში მას საშუალება მიეცა ორიგინალში გასცნობოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებს. ბავშვობიდანვე შეიყვარა დ. გულაიმ ქართული ლიტერატურა, კითხულობდა შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას და ახალი დროის დიდი ქართველი მწერლების — ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის დემოკრატიული და ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გავლენა განიცადა. „დიმიტრი გულაა დაიბადა და გაიზარდა ქართული კულტურის მაღლიან ნაადგურზე“ — წერს მ. დელბა. დ. გულაის მიერ თარგმნილი აკაკი წერეთლის მრავალი ლექსი და პოემა „გაზრდილი“ მეტად პოპულარული გახდა აფხაზეთში.

დ. გულაის ნაწარმოებების პირველი კრებულები გამოვიდა 1912 წელს თბილისში. ამ კრებულით საფუძველი დაედო აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას. დ. გულაის უკვე მამინდელ ლექსებში ჰქოვეს თავისი ნამდვილი გემოსისაღება აფხაზეთის მშრომელთა გრძნობებში და აზრებში, მათმა სიძულელია მხატვრულებისადმი, საბრძოლო სულისკვეთებამ და ოცნებამ თავისუფლებასზე, ბედნიერ მომავალზე. პოეტი მიმართავს „ქირის ოფლში მომუშავე“ მშრომელს, ხოლო ლექსებში „ხოჯანდში“, „მოზეტიალ“ და „მტაცებელი“ იგი მამხილებელ სოციალურ სატრამედო კი აღწევს. მისი ლექსები გავლენილია ხალხისადმი სიყვარულით, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტით და მტაკე რწმენით უკეთესი მომავლისადმი.

დ. გულაა რევოლუციამდელი აფხაზეთის ერთადერთი მწერალი იყო და პირველი აფხა-

ზური გახეთის („აფსნი“) რედაქტორი, რომლის ირგვლივ ახალგაზრდა ლიტერატურულ ძალებს აერთიანებდა. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აყვავდა უხუცესი აფხაზი მწერლის შემოქმედება. მისმა პოლემიკამ მიიღო ფართო გასაქანი.

პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით, დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მუდმივი ყურადღებით და მზრუნველობით საბჭოთა საქართველოს მარგალიტმა — აფხაზეთმა მიაღწია შესანიშნავ შედეგებს, როგორც სახალხო მწერანობის განვითარების, ისე კულტურული მშენებლობის დარგში. აყვავდა ლიტერატურა, გაიზარდა ქართული მწერლობის აფხაზური რაზმის პოეტური კადრები, აფხაზური მწერლობა ქართულ საბჭოთა მწერლობის ერთერთ ციხესაღ შტოდ იქცა.

საკომუნურნო ცხოვრება, სოციალისტური სამშობლოს შეიღების გამოჩენა, სუბტროპიკული მინდვრების და ბაღების, ჩაის პლანტაციების უხვი მოსავალი, აფხაზეთის მშვენიერი ბუნება — ასეთია დ. გულიას შემოქმედების ახალი თემები. პოეტის ნაწარმოებები — განსაკუთრებული შრომის პიმენია. დ. გულია გულთბილი ლირიზმით ასახავს ჩვენი საბჭოთა სწამლვის მრავალნაირ მოვლენებს, ის თვალნათლივ ხედავს ხალხის ბედნიერების განხორციელებას. დ. გულიას მრავალი, ხალხის სიყვარულით და მადლიერებით გაქვნილი, ლექსები, მიძღვნილია დიდი სტალინისადმი:

ჩვენ ვაზივით მიღუნული ყანწით ხელში  
აფხაზეთ, აფწივით და ყველამ შეესვათ ღვინო  
ქარვისფერი, ვალდგრძელოთ ის, ვინც გვაძლევს  
ნეტარებას ამ დღეს, ვინც გვაჩუქა სიცოცხლე და შრომა  
ბედნიერი“.

როდესაც გერმანელი ფაშისტი-დამპყრობლები ჩვენს დიდ სამშობლოს ვერაგულად თავს დაესხნენ, დ. გულიამ, როგორც ნამდვილმა პატრიოტმა, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელმა, ლენინ-სტალინის დიდი საქმის ერთგულმა, საბრძოლოდ მომართა თავისი ჩანგი. ანტიფაშისტურ თემებთან ერთად მის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმის მოტივმა.

დ. გულიას უმისდროინდელი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია პოემა „სიმღერა სტალინზე“ (1943 წ.).

მისი შემდგომ პერიოდში პოეტი ახალ შემოქმედებით აღმაშობას განიცდის. იგი სწერს

შესანიშნავ ლირიულ ლექსებს, აწყურების სიტყვა, „ჩემი ქვეყანა“, „პოლემიკური სიტყვა“, „ახალგაზრდა მეგობრებს“, „კომუნისტური მემდგომი სტალინური კულტურისათვის გათხოვნილები“. მას აღფრთოვანებს საბჭოთა ადამიანის — ნოვატორის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლების ცხოვრება. პოეტი მოუწოდებს ახალ მიღწევებისაკენ, სამშობლოს საკეთილდღეოდ თვადიდებულ შრომისაკენ:

„სიცოცხლეს შენას ნუ დაპოვებ წლებად, საქმით ვაზომე გზა ვრცელზე ვრცელი. მშობლიურ მიწის ბედნიერებას, ტახტუო, მიეც სიცოცხლე მთელი“...

ლირიულ ნაწარმოებებთან ერთად, დ. გულია ენერგიულად მუშაობს ეპიურ ტილოებზე. მისი პოემა „შემოდგომა სოფელში“ (1947 წ.) მოგვითხრობს კოლმურზე გლეხობის თვადიდებულ შრომის შესახებ მტერზე გამარჯვების შემდეგ.

დ. გულიამ სახელი ვაითქვა აგრეთვე როგორც პროზაიკოსმა. მისი რომანი „კამატივი“ თავადანაწარმოებისა და ცარიზმის უღელმეშვე მყოფი რევოლუციამდელი აფხაზეთის მშრომელთა მძიმე მდგომარეობას აღწერს. კამატივი, რომანის მთავარი გმირი, აპტიური და ძლიერი ნებისყოფის მშრომელი ქალი, ერთგული მეგობარი, ექსპლოატატორული საზოგადოების პირობებში იღუპება.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებიდანვე დ. გულია სწავლობს რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნიმუშებზე. ათეული წლების მანძილზე იგი აცნობს აფხაზ მკითხველს მთა ნაწარმოებებს თავისი თარგმანებით. დ. გულიამ აფხაზურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ი. ჭავჭავაძის „კაყო ყანალი“, დ. კონჭაძის „სურამის ციხე“ და პეტრინის, ლერმონტოვის, ი. ტავკოვაძის, ა. წერეთლის, ტ. შვეჩენკოს, კ. ხეთაგლოვის მთელი რიგი პოეტური ნაწარმოები.

რუსთაველის სიდიადეს დ. გულია აღნიშნავს თავისი ლექსში, რომელიც ეხება სუბუში რუსთაველის ძეგლის დადგმას:

„ეს ძეგლი დღეს რომ ამ ელვაარებს  
აღმასის ფერად და ფინანზად ზღვის ტალღები ძირს  
დაფენია, — დე, გვაშობდეს რუსთაველის უკვდავ სიმღერას  
და გვაყვარებდეს ხალხის დიდ შვილს.  
უკვდავ გენიას“.

დ. გულია ცნობილია აგრეთვე, როგორც პირველი აფხაზი მეცნიერი. მას თვალსაჩინოდ ამასხურება მიუძღვის ზეობირიტყვაობის, ენის, ეთნოგრაფიისა და მშობლიური მხარის ისტორიის შესწავლის საქმეში. 1925 წელს თბილისში გამოიცა დ. გულიას „აფხაზეთის ისტორია“, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს აფხაზეთის ისტორიას მეთექვსმეტე-თექვსმეტე წლების შრომის დ. გულიამ საქმიან დღი ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალა შექრიბა, მაგრამ ავტორის აზრი აფხაზეთის წარმოშობის შესახებ ძირშივე მცდარია.

სარეცენზიო წიგნის ავტორი მ. დელბა მრავალრიცხოვანი ისტორიული საბუთების მიხედვით, საესებით სწორად აკრიტიკებს დ. გულიას შეხედულებას და მართებულად შენიშნავს:

„ამ თეორიის მცდარობა ვასაგებია, ვინაიდან აფხაზები ჭარბელები არიან. აფხაზები წარმოადგენენ ჭარბეულ მრავალრიცხოვან ეროვნების ერთ-ერთ ტომს, რომელიც დასახლებული იყო საქართველოსა და კავკასიაში. აფხაზეთის წინაპრები იყვნენ არა ჰენიოხები, არამედ ხეთა-სუბარები.

შემდეგში, ავტორი თვითონ დარწმუნდა, რომ აფხაზეთის ისტორიის ძირითად საკითხებში მისი კონცეპტია უსაფუძვლო და მცდარი იყო“ (გვ. 34).

დ. გულიას მეორე გამოკვლევა „სუხუმი დიოსკურია არ არის“ (1934 წ.) წარმოადგენს სერიოზულ ცდას ამ ძველი ქალაქის ადგილმდებარეობის დაზუსტების საქმეში.

უნდა აღინიშნოს დ. გულიას შრომები აფხაზეთის ეთნოგრაფიის დარგში: „აფხაზური კა-

ლენდარი“ (1920 წ.), „ნადირობის ღვთაებები“ და „სანადირო ენა აფხაზეთში“ (1926 წ.), „თბილისის კულტურა აფხაზეთში“ (1928 წ.) *სტრუქტურული* აფხაზური ენის შესწავლის *სტრუქტურული* კვლევაში გამოაქვეყნა შემდეგი შრომები: „აფხაზური გრამატიკის მასალები“ (1927 წ.), „თურქ-მინოლოგიური ლექსიკონი“ (1930 წ.) და „აფხაზური ენის ორთოგრაფია“ (1933 წ.).

გულიასმით შემოახსნა დ. გულია აგრეთვე ზუბირი ხალხური შემოქმედების შესწავლაზე. ამ დარგიდან პოეტმა გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომებისა. 1907 წელს თბილისში გამოცემული იქნა რუსულად თარგმნილი „აფხაზური ანდაზები და გამოცანები“. 1939 წელს დ. გულიამ გამოაქვეყნა „აფხაზური ანდაზების და გამოცანების კრებული“.

პარტამ და ხელისუფლებამ მალაღი შეფასება მისცა გამოჩენილი მწერლის შრომას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მას აფხაზეთის სახალხო პოეტის საპატიო სახელწოდება მიენიჭა. დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და მრავალი წლის ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის დ. გულია საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა ლენინის ორდენით, იგი დააჯილდოებულა აგრეთვე შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მის დელბას წიგნი, დაწერილი ცოცხალი ენით და პუბლიცისტური სიმახვილით, საკმაოდ კარგად აცნობს ჭარბეულ მეთხვეულს უხუცესი აფხაზი მწერლის ბიოგრაფიას და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ბ. ბლაშტა.

ილია ჰავჭავაძის წიგნი



მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის მის პირად წერილებს — ნათესავ-მახლობლებთან და მეგობრებთან მიმოწერას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ მხრივ ლიტერატურათმცოდნეობაში ორი აზრი არ არსებობს. საქართველოში ამ უბანზე არასახარბიელო მდგომარეობას ეხებათ, ჩვენში ჯერაც არ გამოქვეყნებულა სრული კრებულების სახით პირადი მიმოწერა მწერლობის ისეთი კორიფეებისა, როგორც იყვნენ ილია ჰავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა და სხვ.

სარეცენზიო კრებული, რომელიც გამოსცა აფხაზეთის სახელგამმა ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ამ ხარვეზის შეესების ერთერთ ცდას წარმოადგენს ილია ჰავჭავაძის ხანგრძლივი, ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის შესწავლაში. ამ კრებულის გამოცემა მისასაღებელი ნაბიჯია, როგორც მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა. კრებული წარმოადგენს ილია ჰავჭავაძის კერძო წერილების პირველ წიგნს, საიდანაც საკმაოდ რელიეფურებით მოსჩანს ილიას მტკიცე ფიგურა, როგორც საზოგადო მოღვაწისა, მისი მთლიანი და გაუ-

ზარავი აზრი, როგორც მწერლისა და მოზროვნისა, როგორც ახალი იდეების დანერგვისათვის მებრძოლისა, ვულწრფელი პატრიოტისა, მშრომელთა ერთგული მეგობრისა და მათი ინტერესების დამცველისა.

არც ერთი მისი კერძო ბარათი, ვისთანაც არ უნდა იყოს ის მიწერული, არ არის მხოლოდ „კერძო“, უმნიშვნელო, პირადული, ან რამე ოჯახური წერილმანებით შეზღუდული. თავის ბარათებში თვით უახლოეს ნათესაებთანაც კი—ბიძა იქნება ეს, თუ ბიძაშვილი,— იწავი დიდ ინტერესსა და გულსისხიერებას ამოღებებს ყოველგვარი საზოგადო საკითხისადმი, თვით სტუდენტობის დროიდანვე. ილია ჭავჭავაძე თავის კერძო ბარათებშიც ისე მოხანს, როგორც საზოგადო და საშუალო სარბიელზე, — როგორც პოეტი, ბელეტრისტი, ეურნალისტი, ეკონომისტი, უანგარი მოღვაწე და ყოველგვარი სახარებლო საქმის ინიციატორი, სულიწამდამელი და ხელმძღვანელი, აკისის დემოკრატიული იდეებისათვის განუბრელი მებრძოლი და მშრომელთა უფლებების დამცველი.

ამგვარად წერილების ამ პირველ წიგნს გარკვეული და შეტად დადებითი წვლილი შეაქვს ილია ჭავჭავაძის დიდი შემოქმედებისა და ღვაწლის გამოქვეყნებაში და ამიტომ ის ყოველი ქართველი მკითხველისათვის საგულსისხი და ღირსეული საბეჭარია აფხაზეთის ასრ სახელგამოსავან. კრებულის შემდგენელს, იოსებ ბოცაძეს, საქმიად დიდი და პასუხსაგები შრომა უყისრნია. სარეცენზიო წიგნში ნათლდ სჩანს შეპდგენელის ცდა, რომ შრომა უნაკლო ყოფილიყო, მაგრამ ამისათვის მის საბოლოოდ ვერ მიუღწევია. ამ მხრივ აღენშინავთ მხოლოდ ამ ნაკლოვანებებს, რომლებიც დაკვირვებულ მკითხველს უამკველად თვალში ეცემა. მით უფრო საჭიროა ამ ნაკლთა აღნიშვნა, რომ სარეცენზიო კრებული გამოქვეყნებულია მხოლოდ I ნაწილის სახით. სჩანს, მოკლე დროში მეორე წიგნიც უნდა გამოქვეყნდეს, სადაც შედგელობაში უნდა იქნას შიღებულის ბ პრინციპული, სამეცნიეროტექნიკური და სხვა სახის ნაკლოვანებანი, რომლებიც სარეცენზიო წიგნს ახასიათებს.

არც შეხავალ წერილში, არც ტექსტში და არც შენიშვნებში აღნიშნული არ არის, თუ რომელი წერილი რომელ მუზეუმშია დაცული, რა ნომრითა და რომელ ფონდში. ავტორი მხოლოდ ზოგადად აცხადებს, რომ მან ისარგებლა აქადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატორული მუზეუმის, ქუთაისისა და ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების

ზის ფონდებიდან. მეცნიერული კვლევა-ძიების ხასიათი და წესები კი მოითხოვდნენ წერტორის დაესახელებინა ეს ფუნდები: [რ] [რ] [რ] წერილზე მიუწერა მასალების ნომრებიც.

მართალია, პირადად ილია ჭავჭავაძე გარკვეულ მნიშვნელობას აძლევდა მწერლის კერძო წერილებს „ლიტერატურის ისტორიისათვის“ და თვით მწერლის მიმართულების ახსნისათვის“ და მოითხოვდა ნ. ბარათაშვილის კერძო წერილები „შემშლელად და შემცდარად“ დაბეჭდილიყვნენ ისე, რომ „მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულიად შემუშდარიღ დედნისა“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს როდენიშნავდა იმას, რომ ევრთმოდებული „ლაზსუსკალში“ — უნებლიე შეცდომები არ გავსწორებინა რედაქტორს. ამ გზით უსათუოდ საჭირო იყო ფხიზელი ყურადღების მიქცევა უმოაგრესად პირველი პერიოდის წერილების პუნქტუაციისათვის, რაც, თუ სიყვეთდ არა, ცოდად არ ჩაითვლებოდა. ხომ ასწორებს რედაქტორი პირველ ბარათში დამშვებულ უნებლიე შეცდომას „წვირავისი“. ცხადია, ილია არისოდეს ამ სიტყვას ასე არ დასწერდა, რედაქტორიც სწორად იქცევა, როცა შეცდომას ასწორებს. ასევე უნდა მოქცეოდა იგი ზოგჯერ სასვენ ნიშნებსაც, მით უმეტეს, რომ კერძო წერილებში მათ დიდი ყურადღებით იშვიათად თუ გვიღება რომელიმე ავტორი.

სარეცენზიო კრებული აღმუშავილია სთაანადო მეცნიერული აპარატურით: შეხავალი წერილის გარდა, წიგნს დაბათული აქვს შენიშვნები, კომენტარები და პირთა საძიებელი, მაგრამ მთელი რიგი ფაქტების განუმარტებლობა და ზოგერთი გაუგებრობიანი მათს მნიშვნელობას საგრძნობლად ამცირებენ. ჩამოვთვალთ მხოლოდ დამახასიათებელი და თვალსაჩინო მავალითებ:

შენიშვნებში არ არის განმარტებული და ახსნილი, თუ ვინ არიან წერილებში მოხსენებული შემდეგი პირები: ივანოვი (17) ზურაბ მირთულაძე (24), ვანო კობტკოვი, პორფილიევი (28), სანდრო ერისთავი, (31), ყაზბეგი, მიხეილ ანდრონიკაშვილი (34), ფორაჭოვი (45), ზუბალოვი (71), ზავურსკი (72), დამბაშიძე (73), კაზო ჩოლოყაშვილი (80), რევაზ ვახვახიშვილი, ჩიკვაძე, ყიფიანი (86), გაბაშვილი, (88), მანსვეტოვი (89), პლატონ იოსელიანი (99), იოსებ თუმანივი, ზისკრმანი, მინკეივი (100), სანდრო მუყაშვილი, (114), საშა ჭავჭავაძე (115), და სხვ. ურომლისოდ ბარათისა და მისი შენიშვნების ღირებულება მნიშვნელობას მოკლებულია.

ახლა ვნახთ, თუ რა მდგომარეობაა მოცემულ კომენტარიებსა და შენიშვნებში. ავტორი აქაც ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდის;

არა აქვს დაცული ერთი სტილი, ამგვარი შე-  
ნიშვნებისათვის მიღებული პრინციპი. სადაც  
ეს მისთვის შესაძლებელია, იქ ცდილობს დაი-  
ტყოს ამითივე პიროვნების ვინაობის, ან დაქ-  
ტის განმარტების სისრულე, თუ არა და თავს  
ანებებს ან ჰყვეცავს. მაგალითად, ნიკო ჭავჭავა-  
ძის ვინაობას ის ასე მარტვად იძლევა:  
„ილიას ნათესავი“ (გვ. 139), მაშინ როცა  
ილიას თანამედროვე იყო ორი ნიკო ჭავჭავაძე,  
ერთი მომრიგებელ შემავლად ნამყოფი და  
მეორე — გამოჩენილი გენერალი, ზურაბისძე,  
რომელსაც ვრ. ორბელიანი ზემოთხსენებულ  
ნიკოს“ შერქმევული სახელით იხსენიებს. თუ  
რომელ ნიკოზეა წერილში ლაპარაკი, ამის  
გარკვევას უძველად მნიშვნელობა აქვს.

ასევე უმართებულოდ არის წიგნში განმარ-  
ტებული 29-ე წერილის შენიშვნაში ლოლობე-  
რძე, რომელშიაც ივრელისხმება არა ნიკო რო-  
გორც ეს ავტორსა ჰგონია, არამედ ბესარიონი  
(161), რომელთანაც ცხარე პოლემიკა ჰქონდა  
ნიკო ნიკოლაძეს. საქმე შემდეგნაირად: 1873 წელს  
ბესარიონ ლოლობერიძემ შეადგინა ქუთაისის  
საიდუმლომეტრო ბანკის პროექტი და კიდევაც  
ვატარა ის ცხოვრებაში ერთერთ საერთაოკრე-  
ბაზე დამტკიცების შემდეგ (ვახუტი „დროება“,  
1873 წ., № 25). ამ პროექტის წინააღმდეგ სას-  
ტიკოდ გაილაშქრა ნიკო ნიკოლაძემ 1873 წლის  
ვახუტი „დროებაში“ (№ 26), სადაც ის სწერ-  
და, რომ „ბესარიონ ლოლობერიძეს ბედმა მშვე-  
ნიერი და იშვიათი შემთხვევა არგო, საქმის ვა-  
რიგება ორივე მებრძოლი პარტიის დახმარებო-  
სა და თანხმობით. იმას გამოსვლისას ათოდღე  
სიტყვის თქმის შერტ არა დასჭირდებოდა რა,  
რომ შეეთანხმებინა და ერთ კალაოტში ჩაეს-  
ვა ორივე მხარე... ვინ არ ჩაითარია ამ ცო-  
შიღმა პოლემიკამ: ვ. წერეთელი, სერგეი მესხი,  
აკაკი, ივ. მაჩაბელი, ნ. დადიანი და მრავალი  
სხვა, ბოლოს ილია ჭავჭავაძეც კი... ასე რომ,  
სარეცენზიო კრებულის შემდგენელს ვახუტი  
„დროების“ 26 ნომერში მაინც რომ ჩაეხედნა,  
ამგვარ უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა — ბესა-  
რიონ ლევანისძე ლოლობერიძის (1832 — 1879)  
საქმიანობასა და საზოგადოებრივ როლს ნიკოს  
არ მიაწერდა.

კრებულის შენიშვნებში შეცდომით არის ნა-  
ჩვენები მთელი რიგი ქართული მწერლებისა  
და მოღვაწეების უმოკვანესი თარიღები. მაგა-  
ლითად, შენიშვნების ავტორის აზრით, ივანე  
კერესელიძე დაბადებულია 1829 წელს და გარ-  
დაცულია 1893 წ., მაშინ როდესაც ის დაიბა-  
და 1827 წ. და გარდაიცვალა 1892 წელს. კი-  
რადე ლარაქიფანიძე გარდაიცვალა არა 1918  
წელს, არამედ — 1919 წელს; „სამშობლოს“  
ავტორი — დავით ერისთავი დაიბადა 1847  
წელს და არა 1817 წელს, როცა მისი მამა,

ცმობილი დრამატურგი, ვიორჯი ერისთავი,  
ჯერ კიდევ 4 წლისა იყო ცნობილი თეატრალი  
და ჟურნალისტი ნიკო ავალიშვილი გარდაიცვალ-  
ა 1929 წელს და არა 1922 წ., პიროვ. ალექ-  
სანდრე ცაგარის თარიღებად ნაჩვენებია  
1884 — 1920 წ., უნდა იყოს — 1844 — 1929 წ.,  
ონა მეუნარგია დაიბადა 1852 წელს და არა  
1850 წ.; ილია წინამძღვრისძე დაიბადა  
1846 წელს და არა 1834 წელს.

თუ შენიშვნებში აუცილებელი იყო ზემოთხსენ-  
ებულ პირთა უმოკვანესი თარიღების ჩვენება,  
მაშინ რა დასაშვებს ისეთმა ცნობილმა და ამას-  
თანავე ილიასთან დაახლოებულმა პირებმა,  
როგორც იყვნენ ანტონ ფურცელაძე (1836 —  
1913) და რევაზ შალვასძე ერისთავი (1824 —  
1899), რომლის „ციცკარი“ დაბეჭდილი თარგ-  
მანის ვარშემოც დაიწერა ილიას ის პირველი  
ცნობილი სტატია, რომელშიც დიდი განჯაში  
და წინააღმდეგობა გამოიწვია ქართული მწერ-  
ლობის უფროს თაობაში?.. ან კიდევ, რატომ  
არ უნდა იყოს მოცემული ისეთ მოღვაწეთა  
თარიღები, როგორც იყვნენ ვახტანგ თულა-  
შვილი (1834 — 1910), რომელიც „ქართულთა  
შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-  
გადოების“ ერთერთი დამაარსებელი იყო; პე-  
ტრე გიორგის ძე ნაკაშიძე (1838 — 1895), რო-  
მელსაც მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავისი  
ცნობილი პოემები „ქართლის დედა“ და „მე-  
ფე დიმიტრი თაყაიშვილი“; ასევე უზოგოე-  
ბელოთელია ამ მხრივ შენიშვნების ავტორის  
მეგრ ილია ოქრომჭედისძე (1835 — 1896),  
ლევან ჯანდიერი (1848 — 1910), „დიდუნი-  
ზად“ წოდებული ვიორჯი იესესძე ერისთავი  
(1759 — 1864) და სხვ...

შენიშვნების ავტორის მეგრ არასწორად  
არის შეფასებული ეურნალ „ციცკარის“ როლი  
და მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში. მისი  
აზრით, „ციცკარი“ „თავისი მიმართულებით  
უმოკვანესად კონსერვატორული შინაარსის  
შემცველი იყო“ (გვ. 143). „ციცკარის“ ამგვარი  
შეფასება და მისი დამსახურების სრულად  
მიქმალვა ქართული ეურნალისტიკისა და  
ლიტერატურის განვითარებაში ცალმხრივია.

შენიშვნის ავტორს რატომღაც საჭიროდ არ  
ჩათვლია განმარტა ვივა ყოფიშობისათვის მი-  
წერილი პარათის შემდეგი ტექსტი: „ხელინ-  
დედ“ ზურნაში“ ლამაზიძის თაობაზე სურა-  
ფერს დაბეჭდათ“ (გვ. 97) აქ სიტყვა „ზურ-  
ნაში“ იგულისხმება ვახუტი „ივერიაში“ შე-  
მოღებული ყოველკვირეული იუმორისტული  
კეთხე, სადაც თავსდებოდა სატირული ხასია-  
ისის ფელეტონები და სხვა სახის მასალები,  
ხოლო წერაღონში მოხსენებელი ლამაზიძე ცნო-  
ბილი დეკანოზი დავით ლამაზიძეა — ეურნალ  
„მწვემის“ რედაქტორ-გამომცემელი.

კრებულის შემდგენელი არ ცდილობს გაარკვიოს და დაადგინოს უთაროლო ბარათების უმეტესობის დაწერის თარიღები, მაშინაც კი, როცა ამის საშუალებას თვით ბარათის შინაარსი იძლევა. მაგალითად, 83-ე წერილში მოხსენიებულია გ. ერისთავი — ბაქანი, რომელიც 1864 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, ბარათი დაწერილია ამ თარიღზე ადრე და მასში დათარიღებისათვის გამოსადეგი სხვა ნიშნებიც მოიპოვება; 86-ე წერილში ნათქვამია, რომ „ხოლორა კანტო-კენტად დაიარება“... ხევის პერიოდულ პრესაში კი კარვად ცნობილია, თუ რომელ წლებში იყო „ხოლორბა“. წერილების ასე პირობითად დათარიღება დიანტერესებულ მკითხველსაც უთვთღ დიდ დახმარებას გაუწევდა.

წერილების კრებულში სრულიად დაუმსახურებლად არის შეტანილი ერთი ოფიციალური მიმართვა (გვ. 88), რომელიც ლუარსაბ ბოცვაძისათვის მიწერილ ილიას კერძო წერილად არის გასაღებული. აღნიშნული ბარათის ორიგინალი დაცულია საბალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში (№ 26) და წარმოადგენს „ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სამადლობელო ოფიციალური მიმართვის ცნობილ პედაგოგ ლუარსაბ ბოცვაძისადმი, რომელსაც აღნიშნული საზოგადოების მიერ 1899 წელს მოწოდებულ მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე რამდენიმე ლექსია წაუკითხავს უფასოდ. მიმართვა, რომელიც საზოგადოების შტაბში აკრავს, რეგისტრირებულია 228 ნომრით და მას ხელს აწერენ ა. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების“ თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და მღვიანი — დავით კარიჭაშვილი. როგორც დასახელებული მუზეუმის სხვა ფონდებიდანაც გამოირკვეა, მსგავსი სამადლობელო ბარათი, ცხადია, ერთი და იმავე ტექსტით, საზოგადოებას ყველასათვის გაუგზავნია, ვისაც კი რაიმე მონაწილეობა მიუღია ამ საქველმოქმედო საქმეში. კრებულის შემდგენელს ამ ოფიციალურ დოკუმენტზე შტაბში და დავით კარიჭაშვილის ხელმოწერა მოუხსნია, მისთვის პირადე წერილის სახე მიუცია და წერილების რაგვში მოთავსებია (52).

რაც შეეხება იონა მეუნარგიასათვის მიწერილ ორ ბარათს (42, 43), ისინი კრებულში შეტანამდე დაბეჭდილი არიან ხუთ სხვადასხვა გამოცემაში (1937 წ. № 5 — 6 „მნათობ-

ში“, იმავე წელს ცალკე წიგნად გამოცემულ იონა მეუნარგიას მოგონებებში, გვ. 33, 50, ვახუთ „კომუნისტური განსჯის“ 1937 წ. № 52-ში, ი. მეუნარგიას „ქართული საქმიანობების“ II წიგნში, გვ. 199, და ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტომში, გვ. 178—180). მეცნიერული სიზუსტე მოითხოვდა — შენიშვნების ავტორს ყველა ეს გამოცემა დაესტუმრებინა და ისიც აღენიშნა, თუ რომელი ტექსტით ისარგებლა. მართალია, შენიშვნების ავტორი ასახელებს ამ წერილების პირველ წყაროს — ზუგდიდის მუზეუმს, მაგრამ მისი იმ ყოფნა საეჭვოა. ამას აქვდა ენებს თვით წერილის ნაკლები ტექსტი, რომელიც მოყვანილია ი. მეუნარგიას დასახელებული მოგონებებიდან ერთი შეცდომის დაშვებით: წერილის ნამდვილ ტექსტში სწერია: „მაინც შენ სხვისი სადილების მაქებარს გეძახობა“... სარეცენზიო კრებულში კი მოცემულია „მაშინ შენ სხვის სადილებს“... და ა. შ. საქმე კი მოითხოვდა, რომ კრებულში შეტანილი ყოფილიყო წერილის სრული და უნაკლო ტექსტი, რომელსაც კრებულის შემდგენელი მხოლოდ ზუგდიდის მუზეუმის V საარქივო ფონდის № 161, 162-ის ქვეშ, ამ მისი შრომების I ტომში (გვ. 178) იპოვიდა.

შენიშვნაში იონა მეუნარგიას ფსევდონიმად შეცდომით ნაჩვენებია „კაიშელი“. მას ამ ფსევდონიმით არასოდეს არ უწერია. ეს მამამისის, მიხეილის ფსევდონიმი იყო.

კრებულის როგორც ძირითად ტექსტს, ისე შენიშვნებსაც ამბინჯებს წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე დაშვებული კორექტორული შეცდომა.

უვარგისია წიგნის ტექნიკური გაფორმებაც, არ ვარჯა კლიშეების უმეტესობა, რადგან იგი ცუდად რეტუმირებული და მურით დამუშავებულია (გვ. 17, 64, 69, 72 და სხვ.).

აღნიშნულ ნაკლოვანებებს მიუხედავად, სარეცენზიო წიგნი მაინც საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის და განსაკუთრებით კომათვის, ვინც დაინტერესებულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და ღვაწლის შესწავლით. სასურველი იქნებოდა წერილების მე-2 წიგნის უფრო სრულყოფილად და უნაკლოდ დამუშავება და დროულად გამოცემა, რასაც საბჭოთა მკითხველი სიამოვნებით შეიგებება.

სოლომონ ცაიშვილი

